

114  
1950



# მნათობი

1

0363360



1950

# მნათობი



საქართველოს საბჭოთა მწერლების  
კავშირის შ რ ვ ე ლ თ ვ ი უ რ ი სალიტერატურა  
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო  
ურნალი

წელიწადი ოცდამეუზვიდო

1

ი ა ნ ვ ა რ ი

★




4815

19

სახელგამი  
თბილისი

50



## ლ ე ლ ო

რომანი

(მეორე ნივთიანი)



სარეკორდო კრეფის შემდეგ ციცი-  
ნო და ქიშვარდი თითქმის განუყრელი  
გახდნენ. მაგრამ ქიშვარდი რატომღაც  
მოუსვენრად იყო. ვერ იქნა, ვერაფ-  
რით ვერ მოახერხა კვლავ გაება ციცი-  
ნოსთვის საუბარი „საბოლოო გრძნო-  
ბაზე“. ციციწოც უფრო ზშირად დადი-  
ოდა მათთან, მაგრამ ქიშვარდომ დრო  
ვერ მოიხელთა, რომ გული გადაეშალა  
მისთვის.

მეტისმეტად მღელვარე, აფორიაქე-  
ბული იყო ეს დღეები ციციწოსთვის.  
მას ხან ერთ ბრიგადას მიამაგრებდნენ,  
ხან მეორეს, რომ კრეფის ახალი წესე-  
ბი შეესწავლებინა მკრეფავეებისათვის.

მეზობელ კოლმეურნეობებიდან მო-  
დიოდნენ ქალები ციციწოს კრეფის  
ტექნიკის გასაცნობად. რაიონული გა-  
ზეთიც ყოველ წერილში, რომელიც  
ჩაის კრეფის მიმდინარეობას შეეხებო-  
და, ციციწო ფარეანიძეს იხსენიებდა.  
ციციწო ახალგაზრდობის საერთაშორი-  
სო დღის სახელობის საპატიო დაფაზე-  
დაც მოხვდა.

კინოექსპედიცია ჩამოვიდა სურათის  
გადასაღებად და ორი დღე ციციწო  
იმათთან მუშაობას მოუწდა. ქიშვარდი  
აქაც შეელოდა ციციწოს, მაგრამ ვაქს  
ეჩვენებოდა, რომ ახლა იმის დრო არ  
იყო, „გრძნობებზე“ ჩამოვედო ლაპა-  
რაკი.

სამაგიეროდ ბონდო არ იყო გულ-

ხელდაკრეფილი. თითქო ქიშვარდის  
ჯიბრზეო, სულ კვალდაკვალ დასდევ-  
და ციციწოს. სადაც ციციწო წავიდო-  
და, ბონდოც უთუოდ იქ უნდა გაჩენი-  
ლიყო. გრძნობდა, რომ მანძილი მათ  
შორის იზრდებოდა. ციციწო მეტად  
მალა მიიწვედა და ბონდო ცდილობდა  
როგორმე ფრთები შეეკვეცა ქალისათ-  
ვის. ერთხანს თავისებურად სცადა ცი-  
ციწოს რეკორდის გამასხარავება; ამოი-  
ჩემა, ყოველ შეხვედრისას შეაგებებდა:  
„ორასკილოიანს ვახლავარ“. ახალგაზ-  
დობის ყოველ თავყრილობაში ათასნაი-  
რად აბრუნებდა და აკანკვლებდა ამ  
სიტყვას: ხან „ორასს“ ჩაურთავდა გაბ-  
მული სისინით, ხან მარტო ს... ს... ს...  
ციციწომ იცოდა, რომ ყველა ეს ამ  
„ორასკილოიანის“ სახეცვლილება იყო,  
მაგრამ ახალ მოვალეობით გართული  
ქალისათვის ბონდოც და მისი ქილიკა-  
ობაც იმდენად შორეული გახდა, რომ  
ის ამას დიდ ყურადღებას აღარ აქცე-  
და. ბონდოს უნდოდა, რომ ციცი-  
წოს და სხვა ქალიშვილების ყურადღე-  
ბა მიეპყრო, მაგრამ მუშაობით გატაცე-  
ბულ ახალგაზრდებში შანსიანი ბიჭის  
მორიგი საოხუნჯო ნომრები ჩვეულებ-  
რივ გამოხმაურებას ვეღარ პოულობდ-  
ნენ.

ბონდო სულ აიღერდა და თითქოს  
ციციწოს ჯიბრზე სმას მიპყო ხელი.  
უკანასკნელ დროს, თითქმის ყოველ

დღე მიჰყვებოდა ბათუმის მატარებელს. იქიდან ფხიზელი არასდროს დაბრუნებულა.

ერთ საღამოს თითქოს შემთხვევით შეეფეთა ყრუა კატოდან მომავალ ციციონოს. მარტოხელა ყრუა კატო ავად გამხდარიყო და ავჯარგიან ალვასის მოსაკითხი გაეგზავნა მისთვის. ციციონოს ავადმყოფის მოვლაში შეჰგვიანებოდა და უკვე მთვარიანზე ბრუნდებოდა შინ. აფთიაქს რომ გასცდა, დიდი კაჯლის ჩრდილიდან ბონდო გამოტყვრა და ლანდევით აედევნა უკან. ერთხანს შორიახლო მისდევდა, მერე წამოეწია და მხარდამხარ გაჰყვა:

— ვახლავართ ორას კილოიანს,—ნაძალადევი სითამამით მიესალმა ბონდო.

— ბონდოს სალამი, — უშფოთველად მიუგო ქალიშვილმა.

კოტა ხანს მდუმარედ მიბიჯებდნენ. სოფელს ეძინა, ირგვლივ სიჩუმე იყო. ზოგჯერ ხელსახოცში გახვეული ჯამ-პურჭელი თუ გაირაჩხუნებდა, ციციონოს რომ მიჰქონდა.

— რას არაჩხუნებ, ციციონო, მაგ ხელსახოცში, ჩვენსავით ხომ არ გიქვიფიათ დღეს საღამე? — და ამ სიტყვაზე ბონდოს ენა და ფეხი ერთად წაუბორძიკდა.

— ქეიფი კი არა, აგერ კატო ბებიასთან ვიყავი, პატარა საუნდომო<sup>1</sup> მოუტანე საწყალს.

— ეჰ მოგვლიათ ერთი თქვენ, რაღა დროს მისი საუნდომოა, საიქიოდან ელვა-დებეშა აქვს მოსული, — რაღაც უხიავად ჩაიცინა ბონდომ.

— რატომ გაქვს, ბონდო, ასე მწარე ენა, რას ერჩი ახლა იმ მოხუცებულს, ვის რას უშავებს, — უსაყვედურა ციციონომ.

ბონდო ოდნავ შეცბა და უხერხულობის დასაფარავად ისევ ქეიფის ამბავს დაუბრუნდა:

— ეს წუთია ბათუმის მატარებელს ჩამოყვები. ოჰ, რა სუფრის<sup>2</sup> შეწყვეტილ ისე დამენანა მიტოვებ, მზრომ<sup>3</sup> კისლამ ჩამოვრჩი მატარებელს.

— რაა, ბონდო, ამდენს რომ სვამ, — ისევ მომღურავად უთბრა ციციონომ, — რაზე იყავი ახლა ბათუმში?

— ყაისარას ქიკო ამირებს წასვლას ხე-ტყის დამზადების აგენტად, მეც დამპირდა წაგიყვანო. ისეთი მოხერხებულია, რომ ქვას წვეწვს გამოადენს. მეც წავალ, ერთი ბედსა ვცდი, ან ვირი გამოვალ, ან ვირის პატრონი, — გაიცინა ბონდომ, — აღარ დაადგა საშველი მე და მამაჩემის გაყრის დამტკიცებას, თორემ მე ჩემი წილი უნდა გაეყიდო და მთლად გადავიდე ბათუმში. როგორ მიჩრეე შენ?

— რა ვიცი, რა უნდა ვირჩიო. თუ კაცი მოინდომებს, ყველგან მოახერხებს ცხოვრებას.

— გინდა შენც გადმოდი ბათუმში, — შედგა უცებ ბონდო და მნიშვნელოვნად ჩახედა ქალს თვალებში.

— მე რაზე უნდა გადმოვიდე? — გაიოცა ციციონომ.

— შენზე ამბობენ, ახლა ორასკილოიანი რომაა, ცივ ქვაზე დაასახლებს კაცსო... იქნება მეც დამასახლო იქ ასვალტზე... — გაიღრიჭა ბონდომ.

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ. შენ მართლა ბევრი ვისვამს დღეს, — მოუტრა ციციონომ. — მართლა, რას შობა ქიკოს ცოლი? — გადაიტანა მან სიტყვა სხვა საგანზე.

— არა, მე მართლა გულით გეუბნები, — ხაზგასმით წარმოსთქვა ბონდომ, ისევ შედგა და ქალს თვალებში ჩახედა. ციციონომ პირი გვერდზე მიიბრუნა და სიტყვა ბანზე აუგლო, ისევ ქიკოს ცოლს მოუქიდა.

— კარგი, მე მართლა გულით გეუბნობ, — ჯიუტად გაუმეორა ბონდომ, ხშირი წამწამები ზე აზიდა და ქალს თვალებში შეაჩერდა.

<sup>1</sup> უნდომი — ავადმყოფი. <sup>2</sup> აქედან საუნდომო — ავადმყოფის მოსაკითხი რამ.

ციცინომ ერთხანს გაუსწორა თვალი. გული ეტკინა. ბონდოს მუქ თაფლისფერ თვალებიდან მას მუდამ რაღაც სხვით მოეფინებოდა ხოლმე. ახლა კი მას ვაჟის მღვრიე თვალები მიმტერებოდნენ. თითქოს სახეც შეშუპებოდა ზმირი სმისაგან. თავმომაბეზრებლად იმეორებდა ერთსა და იმავეს:

— არ დამსახლებ ცივ ქვაზე, არ დამსახლებ ცივ ქვაზე?

— კარგი ახლა, დაეთხოვე მაგისთანა ლაპარაკს, — ეუშტად აიწია ციცი-  
ნომ წარბები.

ბონდოს სახე დაეწმახნა. ერთხანს დადუმდა. ქალს მხოლოდ მისი კბილე-  
ბის კრაქუნდი ესმოდა. შემდეგ ცივად და გამომცდელად შეაკქერდა ციცი-  
ნოს.

— აბა, ქიშვარდი გინდა დაასახლო ცივ ქვაზე?

— მე არავის დასახლებას არ ვაბი-  
რებ! — აენტო ციცილო, — რა დაიჩემე ეს «ცივ ქვაზე დასახლება», თუ კაცს თავისი თავის სიკეთე უნდა, ყველაფერში ვზა ხსნილი აქვს. თუ შენით იფუჭებ თავს, სხვა რას გიშველის, — მტკიცედ წარმოსთქვა და ნაბიჯს აღჩქარა.

ბონდო ერთხანს მდუმარედ მისდევ-  
და. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვა ვერ დაემტრა. ბოლოს უსაზმ-  
ნოდ მოავლო მკლავში ხელი. ციცილო უხმოდ გამოაცალა მკლავი. არც გამომ-  
შვიდობებია, ისე შევიდა ეზოში და მოხურა კიშკარი.

ბონდო გაოგნებული დარჩა კიშკარ-  
თან. ერთხანსად გამოფხიზლდა. აქამდე ციცილოს უყურადღებობას ქალურ თვალთმაქცობად სთვლიდა. თავდაჯე-  
რებული შანსიანი ბიჭი დარწმუნებუ-  
ლი იყო: საკმარისია სერიოზული წინა-  
დადება მიეცე და ციცილო დაუფიქ-  
რებლად გამომყვებაო. ახლა კი ქალის ეუშტი პასუხი ცივი წყალივით გადაეგ-  
ლო. პირველად იგრძნო, რომ იგი არც ისე გულწარმტაცი და ყველასათვის სასურველი იყო, როგორც მას ეგონა.

მოაგონდა, თუ რამდენჯერ მწარედ დასცინეს შრომის ფერხულში ჩაბმულ-  
მა ახალგაზრდებმა, მოაგონდა, რო-  
გორ გააბიაბრუა სკაინამ-სარეკორდო კრეფის დროს, როგორ თითო-თითოდ ჩამოშორდნენ მისი თავყვანისმცემლები და ავანიავანები. აქამდე ის ყველა-  
ფერ ამას ყურადღებას არ აქცევდა, რადგან ყველას ზემოდან დაჰყურებდა.

ციცილოს მწარე სიტყვებმა პირვე-  
ლად აუხილეს თვალი და დაანახვეს, რომ ის ძალიან პატარა, და არა თუ პა-  
ტარა, ზედმეტიცაა ამ ქვეყანაზე.

ეს პირველი ლახვარი იყო, რომე-  
ლიც ნებიერსა და თავისთავში შეყვა-  
რებულ შანსიან ბიჭს შიგ გულში მოხე-  
და.

კომკავშირის რაიკომმა ახალგაზრდი სტახანოველების შეკრება მოაწყო ვარ-  
დოულში. ციცილო, ეონა და სილოვანი გაიწვიეს ამ შეკრებაზე. სამჯერ დაუ-  
რეკეს სილოვანას, ციცილო ფარვანიძე უსიკვდილოდ წამოიყვანეთო. თუმცა მარტო ეს სამნი იყვნენ გაწვეულნი, მაგრამ სოფელ შრომის ფხიზელმა და ყველაფრით დაინტერესებულმა ახალ-  
გაზრდებმა კვირა დღით და მანქანით ისარგებლეს და ამზანაგებს აედევნენ. აქ იყვნენ ქიშვარდი, ბიძინა, მამია, ასინეთის ქალიშვილი, ნუკრის თვალები მაყვალა, მარგალიტა, კლეოპატრა და სხვები.

მთელი რაიონის მოწინავე ახალ-  
გაზრდობამ მოიყარა თავი კინო-თეატ-  
რის დიდ დარბაზში. მინდვრის სტახა-  
ნოველები, მასწავლებლები, აგრონო-  
მები, ინჟინრები, კვლევითი ინსტიტუ-  
ტის მეცნიერი თანამშრომლები, აბრე-  
შუმ-სახევეი ფაბრიკის მუშები, ყველა-  
ნი აქ შეკრებილიყვნენ.

გაფაციცებით ათვალეირებდნენ კედ-  
ლებზე გაკრულ დიაგრამებს.

აბრეშუმის ფაბრიკის პროდუქციის ყოველწლიური ზრდა თვალსაჩინოდ იყო წარმოდგენილი ერთი მეორის გვერდით ჩამწკრივებული, ძაფდახვე-

ული, თითისტარებით. თითისტარების სიდიდე ყოველწლიურად მატულობდა, ხოლო უკანასკნელი წლის პროდუქციის გამომახტველი თითისტარი ადამიანის სიმაღლეს აღწევდა.

— დედოფალი ცავ, ამოდენა თითისტარით ვინ უნდა დართოს! — შეიცხადა მარგალიტამ, — აგი იმას გავს, დევის დედას რომ ეჭირა ხელში, წისქვილის ქვა რომ ქონდა წამოგებული კვირისტავად.

— ნუ მოგვეჭერი თავი, ცავ, მაგი დასართავად კი არაა აქ გამოდგმული, აგი დიაგრამაა, წარმოება რომ იზრდება იმის მიჩვენებელი, — დარიგების კილოთი ეუბნებოდა მამია.

ყარამანასაც ვერ მოეთმინა, მანქანა მიეტოვებინა და ახლა პლაკატზე გამოხატული ტრაქტორის წინ იდგა დოინჯშემოყრილი და აღტაცებული. ტრაქტორის საჭეს წითელთავსაფრიალი ლამაზი ქალიშვილი უჯდა.

— რას მიაშტერდი, ყარამანა, მაგ სურათს, გამოტყდი, რომელი უფრო მოგწონს, ტრაქტორი თუ ქალიშვილი, — გასძახა ბიძინამ.

ყველამ იცოდა ყარამანის იარი სუსტი მხარე: — მანქანა და ქალიშვილები; კიბიტომ ყველას გაეცინა.

— ტრაქტორიც კარგია და გოგოც, ჩემმა მშემ, — კეთა მოიქექა და ქული ცხვირზე ჩამოიღო დამორცხვებულმა ყარამანამ, — მაგისთანა გოგოს კი არ დაიწუნებს დედაჩემი რძალად.

— უიმე, ციციწო არაა აგერ გამოხატული? — შეჰკვილა უცებ მაცვალამ. ყველანი შემოეხვივნენ სურათს, რომელზედაც ციციწოს წინ მთასავით ამართულიყო მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხევი.

ციციწომ კი შორცხვად ჩაუარა თავის სურათს და მეღიქაურელი მკრეფავების სურათის წინ შედგა.

— ციციწო, შენ არ ილაპარაკებ? — რაღაცნაირი შიშით შეეკითხა მაცვალა,

რომელიც შეყვარებულიყო შეყვარებულზედა თვალეში რეკორდსმენს.

— სუ, ცავ, ამდენ ხალხში რა შენს პარაკებს, — გულგახეთქილად მიამბოციციწომ.

— ლაპარაკი ხალხში უნდა! აბა მე რომ მელაპარაკო, რა კეჟუს გამოიტან, — თავისი თავი გააქილიცა ყარამანამ.

ამ დროს რაიკომის მდივანი გიორგი გამოჩნდა პრეზიდენტის მაგიდასთან, ხარი დააწყარუნეს და ყველამ თავთავის აღვიღს მიაშურა.

ციციწო პრეზიდენტში აირჩიეს. სოფელ შრომის დანარჩენი ახალგაზრდები უკანა რიგებში გამწყრიდნენ. მხოლოდ ბიძინა და მაცვალა აღმოჩნდნენ რატომღაც პირველ რიგში.

კომკავშირის რაიკომის მდივანმა სერგომ ნახევარი მოხსენება იმის გაშუქებას მოანდომა, თუ როგორ გადმოიტანა სოფელ შრომის კოლმეურნეობამ ძაბული გაბედავას გამოცდილება. ციციწოს კრეფის მეთოდზედაც დიდხანს შეჩერდა. ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოიკვლიეს, — ამბობდა სერგო, — რომ ფარვანიძემ კრეფის განსაკუთრებული ტექნიკა გამოიმუშავა და მისი გამოცდილება მთელი რაიონის მკრეფავებმა უნდა გაიზიარონ. მოხსენების შემდეგ, შესვენება რომ გამოაცხადეს, კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი მივიდა ციციწოსთან:

— დღეს შენც უხდა გამოხვიდე, შეკრებას უნდა უამბო, თუ როგორ მიადწიე შენს რეკორდს.

ციციწო ქიშვარდისთან მიიჭრა. შემკრთალად შეეკითხა:

— რა უნდა ვთქვა, თუ იცი?

— მოყვი, რაფერ მოემზადე, როგორ შეისწავლე კრეფის ტექნიკა, ინსტიტუტის ბრიგადა როგორ მოგეხმარა... — დაიწყო ქიშვარდი.

— ვერ ვიტყვი, ვერ ვიტყვი, გული გამისკდება! — გაიდგა ფეხი ციციწომ.

— კრეფაში რეკორდი დაამყარე და

ორ ღერ სიტყვას როგორ ვერ იტყვი?— შეუტია ქიშვარდიმ.

კამათი დაიწყო. ორატორები ერთმანეთს სცვლიდნენ, მაგრამ ქიშვარდისთან კამათში გართულ ციცინოს არ გაუვგია მათი ნაუბარი და უცებ ჩაესმა თავმჯდომარის სიტყვები, რომელთაც სუნთქვა შეუტრეს და ტანში ქრუანტელად დაუარეს:

— სიტყვა ეკუთვნის ჩაის კრეფის ოსტატს ციცინო ფარვანიძეს!

— აღეკი, ცავ, შენი გვარი დაიძახეს! — ჰკრა ფონამ ზელი ციცინოს, რომელიც თითქოს ერთ ადგილს დასციებოდა.

ციცინო წამოდგა, დაბნეულად მიიხედ-მოიხედა, თითქოს მხსნელს ეძებსო: წელმოწყვეტილად გადადგა რამოდენიმე ნაბიჯი მწკრივებ შორის გაფენილ წითელ ხალიჩაზე. ფეხები ებორკებოდა და ერთ ადგილას კიდევაც წაიფორჩხილა. რა უბედურად გრძელი ეჩვენა ეს წითელი ხალიჩა ტრიბუნამდე! მაგრამ აი ციცინო ტრიბუნაზე დგას. სახეზე აღმური ასდის, თვალები უჭრელდება ამდენი უცნობი სახის დანახვაზე.

„ვერ ვიტყვი“, — ფიქრობს გულგახეთქილი. მაგრამ მისი თვალები ფონას თვალებს შეხვდა. აღერსიანად და გამამხნევებლად შემოჰყურებს ფონა, როგორც გულკეთილი მასწავლებელი დამორცხვებულ მოწაფეს. სილოვანაც მოუთმენლად მისჩერებია, თითქოს უწყრება, რას გაჩერებულხარ, დაიწყეო. ქიშვარდი კი, ძვირფასი ვარდქიშ, ისე უმზერს, თითქოს ციცინოს არსებამი უნდა გადაიტანოს მთელი თავისი სულიერი სიმტკიცეო. და ციცინოს გაოცებით ესმის თავისი ხმა, რომელიც მშვიდად და მკაფიოდ ჟღერს:

— რა უნდა ვთქვა, ამხანაგებო, მე რა გავაკეთე ასეთი! ჩვენი ბრიგადის ქალებმა გამაზალისეს, ფონა ხოტივარი იყო ჩვენში ახალგაზრდების თავი და ბაირახტარი, არაფერ დაბრკოლებას არ

ეუბებოდა. კომკავშირმა დაგერჩაზა, პარტორგანიზაცია დაგვეხმარა, გავგეობა დაგვეხმარა, ქვეყანა ქვეყნად გვეხმარა. მინც ქიშვარდი ქილიფთარს რომ არ გამოეღო თავი, ამდენი რომ არ ემუშავა, მე რას გავაკეთებდი! რომ ვხედავდი, ქიშვარდი ასე აკლავს თავს ჩემს ნაკეთოს, მე რაღა გამაჩერებდა. დღე კი არა, ღამეც, მთვარეზე ვვარჯიშობდი უზოს ჩაიში. მეშარიები რომ ჩაივლიდნენ, გაიკვირებდნენ, ვინაა ეს, ღამე დაბორილობს ჩაიში, მთვარეული ხომ არ არისო. მერე იმით მომეცა რმედი, გადაბიბინებული ჩაი რომ დავინახე. აღარ მახსოვდა, როდის ვათენდა და როდის დაღამდა. პირველად ვალდებულემა რომ ავიღე, მაშინაც ქიშვარდიმ წამაქეზა. მაგისთანა საქმის ერთგული და საიმედო ამხანაგი ყოველთვის წაგაქეზებს კარგ საქმეზე. ასეა, ამხანაგებო, ერთი აღამიანი რას ვახდება, ქალი იყოს, გინდა კაცი. თუ კოლექტივმა მოინდომა, წყალს აღმა წაიყვანს, თორემ მე რა გავაკეთე. ქიშვარდიმ რომ შევ ზღასავით გადაშრალებულე ჩაი მოიყვანა, ისეთ ჩაის ზველა კი მოკრეფდა.

ისე გულუბრყვილოდ წარმოსთქვა ეს უკანასკნელი სიტყვები, რომ მთელ დარბაზს ღიმილი მოჰგვარა და ტანის გრიალში ტრიბუნიდან ჩამოვიდა. ღიმილი გაუერთა სახეზე გიორგისაც, რომელიც რაღაცას განქარებით ინიშნავდი ბლოკნოტში. ციცინო თავისიანებთან კენ გაეშურა სახეაფაკლებული. უცნობმა ახალგაზრდებმა რებლიკები დაადევნეს:

— კაი მკრეფავიო, ამბობენ და კაი გოგოც ყოფილა.

— ვინაა, ბატონო, ავი ქიშვარდი ქილიფთარი, ამდენი რომ აქო ამ ღამაზემა ქალიშვილმა.

ფონა გულიანად იცინოდა და ქიშვარდის სახელოზე ეწეოდა:

— შეხედე, ქიშვარდი, თურმე შენ

ყოფილხარ რაც ყოფილხარ, და ჩვენ არ ვიცოდით.

ადგილზე დაბრუნებულ ციციანოს კი სილოვანამ შეუტია:

— რა ქენი, ცავ, რავე ვადამისხი ნიორ-წყალი ამ შენს რეკორდზე!

— აბა რა უნდა მეთქვა, — მიამიტად გაიოცა ციციანომ, — ქიშვარდის ხომ ვერ დაუკარგავდი ამაგს.

ქიშვარდის სახეზე აღმური ედებოდა სირცხვილისაგან არ იცოდა, სად წასულიყო.

კიდევ უფრო დიდ სატანჯველში ჩავარდა, როცა რაიკომის მდივანი გიორგი თავის სიტყვაში სოფელ შრომის ახალგაზრდობის მუშაობას შეეხო და ქიშვარდი ღროშასავით ზეღმართა.

— ჩვენ გაზეთებიდან და წიგნებიდან ვეცნობით ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებს და ვერ ვამჩნევთ, რომ ისინი აქვე, გვერდით გვიდგანან. ისინი არ გაჰყვირიან თავიანთ თავზე. ისინი ერთგულად და უჩუმრად მუშაობენ; ჩემის აზრით, ასეთია მაგალითად სოფელ შრომის კომკავშირელი ქიშვარდი ქილიფთარი, რომელმაც საკუთარი ინიციატივით შესანიშნავი ჩაი მოიყვანა.

ამ სიტყვებზე წინა რიგებში მჯდომმა ბოძინამ სკამი ააჭრაქუნა, მთელი, ტანით შემობრუნდა და ისე დაუწყო ქიშვარდის თვალყურება, თითქოს პირველად ზედავსო. მავალაც მიბრუნდა და შელის ნუჯრის თვალები მორცხვად მიაპრო ქიშვარდის. მათ მაგალითს სხვებმაც მიჰმატეს, ატყდა სკამების კრაქუნა და მთელი დარბაზი ქიშვარდის მიაჩერდა. ქიშვარდის ელეთ-მე; ლეთი მოსდიოდა და თავი ისე დაბლა დაეხარა, თითქოს სკამებს შუა ჩაძვრომას აპირებდაო. სიხარულისა და სირცხვილისაგან იფორიაქებული ქიშვარდი გიორგის სიტყვას გულისყურით ვედარ მისდევდა, მაგრამ უცებ სილოვანას სახელი ჩაესმა და თავი წამოსწია. რაიკომის მდივანმა თითქოს კალო შე-

იქვალა და ესეც მოხვდა ქიშვარდის უკრში.

ერქვეშული

„... არ შეიძლება არ შეგვეშინოთ...“ ფელ შრომის კომკავშირის ორგანიზაციას და მის მდივანს აშხ. სილოვან ბურბულას, — განაგრძობდა გიორგი, — რომ ის ვერ ამჩნევს ასეთ კომკავშირელებს და არ ნერგავს მათ გამოცდილებას. ქილიფთარის მუშაობის შესახებ ჩვენ მხოლოდ აქ, შეკრებაზე გავიგეთ ფარვანიძის სიტყვიდან, ასეთი ქილიფთარები ერთი და ორი კი არა, ისინი, ათობით უნდა იყვნენ ისეთ დიდ ორგანიზაციაში, როგორც არის სოფელ შრომის კომკავშირის ორგანიზაცია...

ქიშვარდის თავისი ამბები სულ გადავიწყდა, სილოვანაზე ვადაიტანა მზერა. სილოვანას შუბლი შესქმუნხონდა, ხშირი წარბები შეკროდა, ფერი სქლად მოსწოლოდა ფართო სახეზე, რალაც გაოგნებულად შეკყურებდა გიორგის, ზოგჯერ დაბნეულად ახამამებდა მოკლე, თითქოს შეტრუსულ წამწამებს. ქიშვარდი თავს დამნაშავედ გრძნობდა, თითქოს მან ეს გამარჯვება ამხანაგის დამარცხების ხარჯზე მოიშოვა. ვერ გაეგო ქიშვარდის, თუ რით დაიშინა სილოვანამ ასეთი საყვედური. განა სილოვანასაგან გამხნელება და მხარდაჭერა აკლდა ქიშვარდის? განა სილოვანამ არ ითავა ეს საქმე, განა მან არ შემოიკრიბა თავის გარშემო სოფელ შრომის კომკავშირელები, როცა პარტიის ღია კრებაზე, გაბედავას რეკორდზე მსჯელობდნენ. ხომ სილოვანას წაქეზებით მიიღეს მაშინ შრომის ახალგაზრდებმა ის შესანიშნავი ვალდებულებანი.

სილოვანა ყოველთვის სანიმუშო კომკავშირლად ესახებოდა ქიშვარდის.

სილოვანა მართლა ისე იყო ვადაგებული საზოგადო საქმეზე, რომ სათაუისო აღარც კი აგონდებოდა. განა ქიშვარდი შეედრება სილოვანას საერთო საქმისათვის თავდადებაში? აქ კი სი-



ლოვანას არცხევენ, ქიშვარდის მუშაობა ვერ შენიშნენ, მისი გამოცდილება ვერ დანერგო. განა რა გააკეთა ასეთი ქიშვარდისმ? კავშირი შემოაწვია გულზე, რომ მისი გულისათვის გაჯორეს სილოვანა. ახლა ქიშვარდი უკმაყოფილოც კი იყო ციცინოსი: რას გამოაქენა მისი მუშაობა ამდენ ხალხში. „შრომის“ ახალგაზრდებიც როგორღაც შემფოთებული იყვნენ თავიანთი ხელმძღვანელის „დამუშავებით“.

გიორგი კი თავის სიტყვას განაგრძობდა. ქიშვარდი თითქოს ნაკვერცხლებზე იჯდა. კიდევ არ ვაღაპკრას რაიკომის მდივანმა სილოვანასო.

გიორგი ახლა ლაპარაკობდა სუბტროპიკული ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მიღწევებზე, აბრეშუმსახვევი ფაბრიკის ახალგაზრდა სტახანოველებზე, მაგრამ როცა მასობრივ — პოლიტიკური მუშაობის საკითხებს შეეხო, ისევ ხაზი გაუსვა ქიშვარდის მიღწევებს.

„კომკავშირის ორგანიზაცია ცხოვლად უნდა იყოს დაინტერესებული თავისი წევრების საქმიანობით, იგი მოვლენებს კულში კი არ უნდა მიჩანჩალებდეს, კავშირი უნდა მესვეურობდეს ახალგაზრდობის მუშაობას. სწორედ ასეთი მაგალითებს, როგორიც არის ქიშვარდი ქილიფთარის საქმიანობა, უნდა გამოვიყენოთ მასობრივ პოლიტიკურ მუშაობაში, ფართოდ უნდა გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება. ბეცია ის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც ასეთ მოვლენებს მხედველობიდან გამოუშვებს“.

თუმცა გიორგი თავის სიტყვის დასასრულში შეკრების მუშაობას აჯამებდა, დასკვნები გამოკჭინდა, მაგრამ ვინაიდან მან თავში შრომის კომკავშირულ ორგანიზაციას და პირადად სილოვანას მიუთითა, ახლა ისე გამოვიდა, რომ უკანასკნელი, განსაკუთრებით მწვავე და ძნელად მოსანელებელი სიტყვები „სიბეცე“ და „მოვლენების

კულში ჩანჩალო“ თითქოს მთლიანად სილოვანას შეეხებოდა. ერკუნესული

როგორც კი დასრულდა მოხსენება, სოფელ შრომის ახალგაზრდობა სილოვანას შემოეხვია. მაგრამ რაღაც უხერხულობა ჩამოვარდა. არ იციოდნენ, ციცინოსა და ქიშვარდისათვის მიელოცნათ წარმატება, თუ სილოვანისათვის გამოეთქვათ თანაგრძნობა.

მაგრამ ამ დროს სცენიდან ჩამოშვალ პრეზიდენტის წევრების ჯგუფს სერგო გამოეყო, სილოვანას მკლავში ხელი მოაგლო და გიორგისთან მიიყვანა. სამიენი დიდხანს საუბრობდნენ. შრომელებს კი დიდი ბჭობა შეექნათ გიორგის სიტყვის გამო, თითქოს ვერ გარკვეულობდნენ რაიკომის მდივნის ნალაპარაკეში. ციცინოს და ქიშვარდის მუშაობა ასე მალა ასწიეს თავიანთ სიტყვებში გიორგიმ და სერგომ, სილოვანა კი შეაბურეს. რაშია საქმე? გული მაინც სიამაყით ევსებოდათ ციცინოსა და ქიშვარდის წარმატების გამო.

— რა სიტყვა, თქვი, ციცინო, რაფერ დაგშენდა ტრიბუნაზე დგომა. — ეხვეოდა ციცინოს მაყვალა.

ქიშვარდისაც ყველა ხელს ართმევდა და ულოცავდა.

ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ, თუ როდის დაასრულებდა გიორგი სილოვანასთან საუბარს. ბოლოს გიორგიმ გამამხნეებლად მოაგლო სილოვანას მხარზე ხელი და კარებისაკენ გაემართა. სილოვანას რაღაც შეჭირვებულ დიმილი გაუკრთდა სახეზე, მაგრამ თავისიანებთან ისევ შებლშუჭმუხვნილი მოვიდა.

— რას მოკუპრულხარ, სიდედრი ხომ არ მოგვედომია, არაფერია მაგი, გამოსწორდება, — თავისი მუდამ დამკლერილი ხმით შემოუფახა ყარამანამ.

სილოვანამ ისე გაიქინა თავი, რომ ხშირი, შეკრული წარბები არც კი გაუხსნია:

— არაფერი, კი არა, კარგად შემაბურეს და მეკუთვნოდა კიდევ, — გაა-

წყვეტინა მან ყარამანას და ასე მოღუ-  
შული გაეშურა მანქანისაკენ.

ქიშვარდი იცოდა სილოვანის ზნე:  
თუ რაიმე საწყენი შეხედებოდა, თვი-  
თონვე გადახარშავდა თავის ფართო  
პერდში. არასოდეს არავის შესჩივ-  
ლებდა და შესტირებდა. მაინც აედევ-  
ნა, უნდაოდა რითიმე გამოეხატა სილო-  
ვანასათვის თავისი თანაგრძნობა, მაგ-  
რამ ყარამანა ისევე ჩაიჭრა ლაპარაკში.

— ივარგა ქიშვარდი, ივარგა! ამით  
მაინც ვცემ პატივს, აგერ კაბინაში ჩა-  
ვაჯენ.

— კარგი ერთი, მე რა წითელი კო-  
ჭი მნახე, ამდენი ქალიშვილების შემ-  
ხედვარეს კაბინაში რა ჩამაჯენს, —  
ძლივს გამოვლიჯა ქიშვარდი მკლავი  
მოფერს.

— მართალია, მართალი, — სერიო-  
ზულად დაუმოწმა ბიძინამ, — რაინდი  
ბიჭია ქიშვარდი, მაგას რავე იკადრებს.

— ციციწო ჩაჯდეს, ციციწო, — და-  
იძახეს ბიჭებმა.

ციციწო მაყვალას უთმობდა ბავშ-  
ვია, ცოდვა არისო, მაყვალამ კიდევ  
ბენზინის სუნი მოიმიზეზა და ჟონას  
ეპატიებოდა.

— ნუ შემოკალით ხელში, ვინცა  
ჯდებით, დაჯექით ბარემ. ვერ ხედავთ,  
დაგვალამდა თავზე, — აყვირდა ყარამანა.

როგორც იყო, დალაგდნენ, ციციწო  
და ჟონა კაბინაში ჩასხდნენ. დანარჩენი  
ქალიშვილები ძარაზე ავიდნენ და ერ-  
თადერთ შერბზე ჩამწკრივდნენ. ხელი-  
ხელ გადაჭდობილი ვაჟები ამათ უკან  
დაიდგნენ.

— აბა, ბიჭებო, ერთი ხორუმი გავ-  
მართოთ, — მაინც კი ვართ ხელიხელ  
გადახვეული, დაიძახა ბიძინამ. როცა  
მანქანა დაძრა, მაგრამ სახემორჩუბ-  
ლულ სილოვანას რომ შეხედა, ხელად  
გაჩუმდა.

— ვენაცვალე ჩემს ხელობას, —  
იძახდა ყარამანა, რომელსაც სიბრაზემ  
გადაუარა. თანაც მარჯვედ ატრიალებ-  
და საქვს და ვზას თვალს არ აშორებ-

და, — მთლად ამიტომ გავხდი მოფერი,  
ამისთანა ლამაზი ქალიშვილები მო-  
მიჯდებიან გვერდშპიზმსტრქამიკტანა  
იციწონდა, თან მალიმალ იჭყიტებოდა  
კაბინის ზურგში დატანებულ სარკმელ-  
ში და ამხანაგებს ვასძახოდა:

— მაყვალაზე გეპიროთ თვალი, არა-  
ფერი მოეწიოს, მე ჩამაბარა ასინეთმი  
მაგისი თავი.

— რა ვქნათ, აყვანი არა გვაქვს, რომ  
ჩაეაწინოთ და სხვაფრივ ქეა მოწყობი-  
ლი, — ოხუნჯობდნენ ჟონას შეძახილ-  
ზე ბიჭები.

„მოვამულ გუნებაზეა“, — ფიქრობ-  
და ქიშვარდი და სილოვანას კმუნვა ძა-  
ლაუნებურად მაზედაც გადადიოდა.  
დღევანდელ სიხარულს უნელებდა.

დღე იწურებოდა. მანქანის სრბო-  
ლით ატეხილი ნიავ-ქარი სახეში სცემ-  
და ქიშვარდის, გახურებულ შუბლს  
უგრძობდა. წინ ნადინების ფართო  
ქალა იშლებოდა. შორს, ცის დასალი-  
ერს, ქალა კოლხიდის დაბლობს უერთ-  
დებოდა. უფრო შორს კი მკრთალ ნაყ-  
ვთებად ისახებოდნენ კავკასიონის მთა-  
გრეხილის სილუეტები.

სალამოს ბინდ-ბუნდში უფრო მკვეთ-  
რად ამოზიდულიყვნენ აქარა-გურიის  
მთების თხემები. ისინი თითქოს მხარუ-  
ლით ეშვებოდნენ ზღვისაკენ. ჩამავალ  
მზის სხივებს ცეცხლი შეენთოთ ზღვის  
კაბადონზე აღმართულ ქულა ღრუბლე-  
ბისათვის.

დღევანდელ შეკრებას ქიშვარდის  
ფიქრებისათვისაც თითქოს ცეცხლი  
შეენთო, აქამდე გონს ვერ მოსულიყო.  
რა შალა ასწიეს დღეს შეკრებაზე. მარ-  
თლა დროშასავით ამართა იგი გიორ-  
გიმ... ჩვენი ქვეყნის მოწინავე აღამი-  
ანების მწკრივში დააყენა...

ქიშვარდის გული დღეს პირველად  
აივსო სიამაყის გრძნობით, საკუთარი  
ღირსების შეგნებით, პირველად აძლ-  
და იგი საკუთარ თვალში, აქამდე  
მორცხვი და უკანდახეული, დედის  
კალთას რომ ეფარებოდა, დღეს წელში

გაიმართა. — მაინც რა იყო თავის ბონდოს რომ აღარებდა და თავის ფიქრულს — სილიბისტროს ლურჯად შეღებილ ოდას! ამ წერილმანის ჯობრით იყო, რომ კოლმეურნეობას ფეხებში გაეხლართა და ერთხელ (ამის მოგონებაზე სიწითლე მოადგა სახეზე), კოლმეურნეობას გარდამავალი ღროშაც დააკარგვინა.

და თითქოს უნდა ციცინოს გაუზიაროს ეს ფიქრებიო, თავისდაუნებურად იხრება და კაბინის სარკმელში იქიჩრება. ციცინოს ნაწინავეებს და ოდასაც შევარდისფერებულ ლოყას მოავლებს თვალს. ციცინომაც უნებურად მოიხედა, თითქოს ქიშვარდის მზერა იგრძნო და როგორი სითბო ჩაუღდა ვუყუთნა თვალებში.

მხოლოდ ერთი ღრუბელი ეფარება ქიშვარდის სიხარულის კამკამა ცას, ერთი რამ ჰკვრის კმუნვას, ეს არის სილოვანის შეკრული წარბები. სილოვანა ისევ მოკუპრული ზის, ახალგაზრდების ჟრიაფულში არ ერევა.

მოსახვევში მანქანა ცელივით მოიქნედა ხოლმე ფეხზე მდგომთ და ისინიც თავის შესამაგრებლად, უნებურად იხრებოდნენ მერხზე მჯდომ ქალიშვილებისაკენ. ქიშვარდიც დატორტმანდებოდა ხოლმე და მაშინ მისი ხელები თავისთავად გაიწევენ სილოვანას ფართო მხრებისაკენ. მაგრამ ქიშვარდი თავს იკავებდა. რაც კინოთეატრის დარბაზიდან გამოვიდნენ, სილოვანს ხმაც არ გაუცია მისთვის. ქიშვარდის ეჩვენებოდა, რომ სილოვანა განაწყენებულია მასზე.

ახალგაზრდები დიდხანს ვერ შერჩინენ იმ დაძაბულ განწყობილებას, სილოვანას დამუშავებამ რომ გამოიწვია; ახსურდნენ, ალაპარაკდნენ, ერთმანეთს ნაცვებს ესროდნენ.

მხოლოდ სილოვანა იჯდა მოღუშული, მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი, ფიქრებში წასული.

— ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა

მტირალი წყლისა პირსა, — სილოვანა მამამ გახუშრება, როცა მანქანა წაიღებების ნაპირს ჩაუყვია. გიგლინიძე

— სატირალი არაფერი ვეაქვს, მაგრამ საფიქრალი და სამუშაო ბევრი, — გამოერყვია ფიქრებისაკენ სილოვანა. — სწორი იყო გიორგი, შენი გამოცდილება უნდა გადავიტანოთ სხვა ბრიგადებში, — მიუბრუნდა ის ქიშვარდის. ქიშვარდის სიხარულის აღმური აუვარდა სახეზე. აჰა, ის ერთი ღრუბელიც ჩამოშორდა მის მოწმენდილ ცას. ისეთი ძალა იგრძნო, მგონი ერთ ნაცვეთს კი არა, მთელი კოლმეურნეობის პლანტაციებს დაამუშავებდა მარტოღმარტო.

ელვასავით მოედო პლანტაციებს სკაჩიას მოტანილი ახალი ამბავი: დილაადრიან ეპიფანე და შერმანდი ვარდოულში წასულან და იქიდან თბილისში მიემგზავრებიან მოწინავე მეჩაიების თათბირზეო. ხელიდან ხელში გადადიოდა ცისფერ ქალაღზე დაწერილი ტელეფონოგრამა.

სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს:

ამხ. შერმანდი გოგიტაურს.

პარტბიუროს მდივანს ამხ. ეპიფანე ზარიძეს.

ა. წ. თბილისში მოწვეულია მოწინავე მეჩაიების თათბირი. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეთ ვარდოულში, რომ იქიდან გაემგზავროთ თათბირზე. იქონიეთ ზუსტი ცნობები თქვენ კოლმეურნეობაში ჩაის კრფვის მიმდინარეობის შესახებ.

ყოელის მცოდნე სკაჩიამ ისიც ამცნო ყველას რომ წუხელ ამ ტელეფონოგრამის მიღებისთანავე ეპიფანეს და შერმანდის ლოგინიდან წამოეყენებიათ აგრონომი და მონაგარიშე და ამ ოთხ ადამიანს მთელი დამე კანტორაში გაუთენებიათ იმის გამოანგარიშებაში. თუ

რომელმაც პლანტაციამ რა მოსავალი მოიტანა მიმდინარე წელს. შეაჯამეს გამოიკვია თურმე, რომ ყველაზე დიდი მოსავალი სემადორის ჩაის მოუცია.

— უყურე შენ, სად ამოყო თავი ქიშვარდის ნამუშევარმა, — იძახდა მეგობრის წარმატებით აღფრთოვანებული ყარამანი.

— მარა ჩამორჩენილი ნაკვეთებიც გვექონია, ცხრას კილოს რომ ვერ შეათავებენ, — დაასვენა სკაჩიამ.

— მაგი იქ იქნება, სადაც ბრიგადირი მოისუსტებეს, — გამოამკლავნა თავისი ძველი გულისტკივილი ასინეთმა, რომელსაც ახლაც ეჩვენებოდა, რომ ლევანმა იგი ცუდად დამუშავებულ ნაკვეთზე გამოიყვანა სარეკორდოთ. მაგრამ ასინეთის განცხადებისთვის ახლა არავის ეცალა. ყველას გულისყური იმ თათბირისაკენ მიეპყრო, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა.

— აბა რა გეგონათ თქვენ. — ქაქაუნებდა სკაჩია ხან ერთ ბრიგადაში და ხან მეორეში, — დიდი ჯილდოები გამოვა ახლა მაგ რეკორდებზე.

სეფე დარბაისლურად შლიდა ხელებს; — სულ კაი-კაი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები დაუპატივებიათ მაგ თათბირზე, დიდი ნასწავლი ხალხი იქნება იქ, სულ ჩაის დარგის პროფესორები. დაიფასა თავი ჩვენმა სოფელმა, დიდი ავტორიტეტია სწორეთ, მაგისტანა ხალხში რომ გამოვჩნდით.

— აბა რა ვითომ, დაგავიწყდათ, ვის მისცა სიტყვა ჩვენმა თავმჯდომარემ. — ჩაურთო სიტყვა ფარნამ და ნათელმა ღიმილმა შეკრული წარბები გაუხსნა.

— მესამე ბრიგადა მიდის წინ, მესამე ბრიგადა, — ჩასძახებდა დანიელი, — ჩვენისთანა რეკორდი კაცს არა აქვს რაიონში.

— ჩვენი ბრიგადაც არ ზის ნაცარში, — წამოგრძელებოდა ლევანა, — ასინეთი გადაქიჩმაჩებულა ავტრ, ახალ რეკორდზე უნდა გავიდეთ.

— კი გავალ, სწორედ, — აღესილ

დანასავით შემართულიყო ასინეთი, — თუ იმფერ ნაკვეთს შემისჯიდებოდა ციხის რომ ქონდა, უკმეჩაჟმეცხვხხე. თხა თხის უარესი, მგელმა შექპამა.

ყველაზე უფრო მაინც ახალგაზრდები ლელავენ, სილოვანა ვეფხვივით დატრიალდა, ბაქურია ბრიგადებში აფრინა, მუშაობის შემდეგ სემადორის ჩაიში მოიყარეთ თავი ყველა ახალგაზრდებმა.

დღეს იქ მუშაობდნენ სილოვანა და ქიშვარდი ჩაის თონხაზე.

ნაწვიმარზე სარეველა მომძლავრებულიყო, ისე გაფიცებულიყო სილოვანა, რომ ქიშვარდიც ვერ უტოლდებოდა მუშაობაში.

— ვინა თქვა, სილოვანა მძიმე წონაო, ცეცხლმოკიდებულივით გარბის. — იცინოდა ქიშვარდი და თვითონაც თავგამეტებით ურტყამდა თოხს.

— რა ვიცი, მაჩანჩალა მე აღმოვჩნდი და ბეცი, — რაღაც მწარედ ჩაიდულუნა სილოვანამ და კიდევ უფრო მიეძალა მუშაობას.

ამ დროს აქოშინებული ბაქურია მოვარდა, მუდამ გადალოკილი ქოჩორი შუბლზე ჩამოშლოდა, ლურჯი თვალები გაპბრწყინებოდა.

— რა ქენი, ბიჭო, — შორიდანვე შეაგება ქიშვარდამ, — შეატყობინე ყველას?

— შევატყობინე... მოვლენ... ვილაც უცხო კაცია მოსული, რაღაც პრიალა-პრიალა ინსტრუმენტები აქვს... მგონი კინოს იღებს, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა აღტაცებისაგან სულშეგუებული ბაქურია.

— მოწყედი თავიდან, რა დროს კინოა, თავზე ცეცხლი გვეკიდება. — შეუღრინა სილოვანამ და ბაქურიას აღფრთოვანებას ცივი წყალი გადაასხა.

ამ დროს ის უცხო კაციც გამოჩნდა ჩაის ასაწონ ფარდულთან, ფართო ფარდლებიანი ქილის ქური ეხურა, ვიწრო ბეჭებზე საზურგე ჩანთა ჰქონდა ჩამო-



კიდებულო, ოქროს ჩარჩოიანი პენსნე ეკეთა, მიამიტად ავლებდა გარშემო ცისფერ ბეც თვალებს. მას დანიელი მოსდევდა ორი მომცრო ყუთით ხელში.

ქიშვარდი ირინად ვახედა და ვაე-ლიმა:

— ალბათ, ამ ყუთებშია ის პრიალა ინსტრუმენტები, ბაჭურიას რომ მოსკრა თვალი, — გაიფიქრა მან.

ამ დროს ფარდულთან, მოსახვევეში, ცხენის ურემი გამოჩნდა, აზოტის სასუქით დატვირთული. ცხენს ილარიონი მოუძღოდა. ურემს სეფე მოსდევდა, სწრაფად მოაბიჯებდა. ყველგანმყოფი სკაჩიაც აქ ტრიალებდა.

ამასობაში უცნობიც, რომელიც თავისი ჩია ტანისათვის შეუფერებელი ფართო ნაბიჯებით მოისწრაფოდა წინ, სილოვანას და ქიშვარდის ნაკვეთს მიუახლოვდა.

— ა, ბატონო, ჩვენი ბრიგადის ბიჭები; ამოირჩიეთ, რომელი მთოხნელიც ვნებათ, — მოწიწებით მიმართა დანიელმა სტუმარს. ბიჭებმა ყურები დაკვიტეს; ყველამ სილოვანას გარდა, მოსულისაკენ მოიბრუნა კისერი.

— ამოგვარჩიოს რა, ვასათხოვარი ქალიშვილები ხომ არ ვართ, — სიცილით გადაულაპარაკა ქიშვარდი სილოვანს.

— არა, თქვენ თითონ გამოარჩიეთ რომელიმე მთოხნელი დააყენეთ მწკრივზე, — სიტყვა სტუმარმა და თან მორიდებული ღიმილით მთავლო თვალი ახალგაზრდებს.

დანიელმა მუშტრის თვლით გადახედა ყველას, თითქოს ფალავანს არ ჩევისო და სილოვანაზე შეაჩერა მზერა.

— სილოვან, გამოდი აქეთ, თუ მძახარ.

სილოვანამ უხალისოდ დაუშვა თოხი, ჩაის ბუჩქზე გადაალაჯა და უცნობს მიუახლოვდა.

— აგერ ეს პატიოსანი ადამიანი ჩაის ინსტიტუტიდანაა, ჩვენი მუშაობა უნდა ვაზომოს.

ამ სიტყვებზე სტუმარმა ისე გააღღამა, თითქოს დანიელს ებრუნებოდა, 'ხესტად ვერ ავიხსნათ, ჩვენში მისეულს მიზანიო.

— გაზომოს, ბატონო, — მქისედ გამოსცრა სილოვანამ, — მერე მე რას მავალეზო.

— განსაკუთრებით არაფერს, გეთაყვათ იმუშავეთ, როგორც ჩვეულებრივად გიმუშავიათ. მე აგერ ნამუშევარს აღვრიცხავ, — გაუღიმა სტუმარმა და ჩანთა მოიხსნა ზურგიდან. სწრაფად შეუღდა თავისი ყუთების გახსნას.

სილოვანა ახალი მწკრივის თავში დადგა, თოხი ტუნგოს ხეზე მიაყუდა და ხალათის გახდას შეუღდა. სტუმარმა თოხის პირს ფხა გაუსინჯა, ტარსაც კი გახედა, მტკაველით ვადაზომა თოხის პირის სიგანე, მერემ ხელში შეათამაშა, თითქოს წონისო. მახლობელ მწკრივზე მომუშავეებმა ერთ წუთს მუშაობა შესწყვიტეს. გაოცებული შესცქეროდნენ ამ პატარა კაცს, რომელიც გამოცდილ მიწის-მუშასავეთ ათვალეირებდა ამ სამუშაო იარაღს. შემდეგ პენსნე მოიხსნა და გაორთქილ მინებს დაუწყო ცხვირსახოციით წმენდა.

სილოვანას უნებლიედ გაუღიმა.

— ფერი ფერს, მადლი ღმერთს, — გადაულაპარაკა მან ქიშვარდის, — რაღა ეს ბეცი კაცი გამოგზავნეს ჩემისთანა ბეცი მღვინის შესამოწმებლად.

— კარგი ერთი, რას ჩააცივდი ამ სიბეცეს, — შეუწყრა ქიშვარდი და ისევ მოუსვა თოხი.

სტუმარმა პენსნე გაიკეთა და დანიელს მიუბრუნდა:

— აზოტს ვინ დაფხვნის და მოაბნევს?.

— აგერ, ჩვენი ილარიონი, ეგეც კაი მარჯვე ყაძახია, თუ მოინდომა, — გამამხნეველად გადახედა ბრიგადირმა ილარიონს, რომელიც აზოტის ზოდებს ყრიდა ურმიდან.

— მეც უნდა ჩამწეროთ საცხა, მეტი საშველი არაა, — ღიმილის ნიშნად

ტუნები აბრუცა ილარიონმა და მოყინული კარტოფილის მსგავსი ცხვირი განზე მოიგრიხა, ჯილდოთ ასინეთს, მადლობა ასინეთს, გაზეთში დახატვა ასინეთს, — ხრიდა თითებს ილარიონი.

— შენც ჩაგწერენ, შენც ოლონდ იმარჯვე დღეს. — დაამშვიდა ბრიგადირმა ილარიონი, რომელმაც უკვე მოიმარჯვა კეტი და თავგამოდებით შეუდგა აზოტის ზოდების ბეგვას.

— მაშ, როგორც მოგახსენეთ, ჩვეულებრივად, ჩვეულებრივი სისწრაფით იმუშავეთ, — გაუმეორა სტუმარმა სილოვანს, რომელსაც მთელი თავისი ტანი დაეკიმა და ამ ჩვეულებრივი სამუშაოს დაწყების წინ ისე უძგერდა გული, თითქოს პირველად აიღო თოხი ხელში. იგი მართლა ფალანგანად გრძობდა თავს.

სტუმარმა წუთსაზომი მომართა, სილოვანამ ძალუძად დაკრა თოხი მიწას. ჯერ მძიმედ დაიწყო, მშვიდად, მაგრამ დიდხანს ვერ შერჩა ამ სიმშვიდეს. მორქვენალ ბუღასავით დახარა თავი და გაპყვა მწყრივებს. მის მიერ ამობრუნებული ფხვიერი მიწის ნაფხვენები ქიშვარდის მწყრივზედაც კი ცვივოდა. სილოვანას წინ ილარიონი მიჩინდრიკობდა, დაფხვილ აზოტს ფაცა-ფუცით აფრქვევდა მწყრივებს შორის.

— არ შემაჩერო თორემ მოგკლავ, — ზოგჯერ დაუბრიალებდა მსხვილ თვალებს სილოვანა.

— ნუ გეშინია, ნუ, არ დაგაღალატებ. — დუდღუნებდა ილარიონი და ტუსტუსით გარბოდა წინ.

პლანტაციასზე გაფანტული კოლმეურნეების თვალი სილოვანასკენ იყო მიპყრობილი. მკრეფავი ქალები, საესე კალათებით რომ მიიჩქაროდნენ ჩაის ასაწონ ფარდულისაკენ, ერთი წუთით შესდგებოდნენ ხოლმე, რომ სილოვანას გამგებლები მუშაობისათვის ეცქირათ. ისინი კი, ვისაც ახლო მისვლის საბაბი არ ჰქონდა, მალი-მალ გადმო-

ხედავდნენ მეცნიერი მუშაკის თანხლებით მომუშავე სილოვანასკენ.

ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკების ჩამოსვლა სოფელ შრომის კოლმეურნეობაში უჩვეულო ამბავი არ იყო. ისინი აქ ათასგვარ ცდებს ატარებდნენ, ხან ჩაის ბუჩქის გასხვლასზე, ხან სასუქის შეტანასზე, ხან ჩაის მანებელთან ბრძოლასზე. მაგრამ ახლა ეს ჩია კაცი ჩაის ბუჩქებს კი არ აკვირდებოდა. ის სილოვანას მუშაობას ადევნებდა თვალყურს და ყველას გულისყურით უნებლიედ სილოვანასკენ იყო მიპყრობილი.

სილოვანა უხმოდ, გაკერპებულივით მიისწრაფოდა წინ. მეცნიერი მუშაკი ფეხდაფეხ მისდევდა მას, აღმართს და დაღმართს არ ერიდებოდა. ხან შესდგებოდა, ნათონს სინჯავდა, ჩათოხნავი აზოტი ხომ არსად დარჩაო. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა გამბდარ სახეზე. მალიმალ ესხნიდა და სწმენდდა გაორთქლილ პენსნეს. უცებ შედგა და დანიელს მიუბრუნდა:

— ეს თქვენი საშუალო მთოხნელი ორმოტორიანი ყოფილა, ბატონო. მეტისმეტად ჩქარა მუშაობს.

— აბა, რაფერ გაეაჩეროთ ახლა. — ეშმაკურად ჩაიღიმა დანიელმა და გრუზა უღვაშები ზევით აიგრიხა.

— არა, ბრიგადირო, შენ აქ რაღაც პროვოკაციას მიწყობ, — გულკეთილი ღიმილით ამბობდა მეცნიერი მუშაკი, — საშუალო მთოხნელის მაგივრად დევეკი შემომაჩეჩე, — სათვალეები მოიხსნა და ისევ მინებს დაუწყო წმენდა. — ეს საშუალო მუშა კი არა, დეეია, — სიამოვნებით გაიმეორა მან.

— ა, ბატონო, — გაშალა ხელები დანიელმა, — თან თვალეები ეშმაკურად უციმციმებდა, — ეს თუ არ მოგდით თვალში, აგერ ამდენი ხალხი და ამოირჩიეთ, რომელიც გნებავდეთ.

მეცნიერმა მუშაკმა პენსნე გაიკეთა

და მწკრივებს აუარ-ჩაუარა. ტანმორ-  
ნილ ბიძინას დაადგა თვალი.

— აგერ, იმ ახალგაზრდის მუშაობას  
დაეკვირდეთ, თუ შეიძლება, — მორი-  
დებულად სთქვა მან.

— კი ბატონო, მაგაზე როგორ ვაწ-  
ყენინებთ. — დატრიალდა დანიელი, —  
აბა, ბიძინა, დაადექი ახალ მწკრივს და  
მიყევი.

ბიძინამ ხალისიანად შეასრულა ბრი-  
ვადირის განკარგულება, თან შავ მო-  
ვლვარე თვალებს არ ამორებდა მეცნი-  
ერ მუშაკს.

ამან ბიძინასაც გაუმეორა ჩვეულებ-  
რივი დარიგება და წუთსაზომი მომარ-  
თა.

ბიძინა ცეცხლივით გაენტო მწკრივს;  
ოროყიან თიხს მსუბუქად ატრიალებდა  
ხელში და ისე ურტყამდა, გვეგონებოდა  
მიწას ნაპერწკლები სცევიავო. ილარიო-  
ნი იმასაც მახარობელივით მიუძღოდა  
წინ და დაუზარებლად აბნევიდა დაფხვ-  
ნილ აზოტს.

— ჩვეულებრივად იმუშავე, გეთაყ-  
ვა, როგორც მანამდე მუშაობდი, საშუ-  
ალო სისწრაფით, — ხშირ-ხშირად მოა-  
გონებდა მეცნიერი მუშაკი ბიძინას.

სკაჩიას, რომელიც სმენად და მზე-  
რად იყო ქცეული და ასისტენტით  
დასდევდა მეცნიერ მუშაკს, გულმა ვე-  
ლარ მოუთმინა სტუმარს თავს დაუარა  
და თვალეში ჩააშტერდა.

— საშუალო რეკორდი უნდა დაამ-  
ყაროს, ბატონო?

მეცნიერი მუშაკი წუთით შესდგა და  
გაოცებით მიამყრო თავისი ბეცი თვა-  
ლები. შემდეგ სეფეს და დანიელს გა-  
დახვდა. მათ სახეებზეც ეს შეკითხვა  
იყო აღბეჭდილი და სტუმარი დაეშურა  
განემართა მათთვის:

— რეკორდი? არა გეთაყვა, ეს რე-  
კორდი კი არ არის... როგორ ავიხს-  
ნათ... ამას ჩვენ მუშაობის პროცესის  
ფორტოგრაფირებას ვეძახით. და სახეზე  
საშინელი შეწუხება დაეტყო, რომ ვერ  
შესძლო უფრო გასაგებად გამოეთქვა

რაც უნდოდა, მაგრამ სეფე რას სეფე  
იყო, თუ ამ ძნელად მოსწონებულ მეც-  
ნიერულ ტერმინებს აზიზობდა, აზიზობ-  
ნებდა.

— კი ბატონო, კი, — წინ გაიწვდინა  
სეფემ სალოკი თითი, — მაგი დასტურ  
მუშაობის ანალიზია ერთნაირი.

— ასეთ დაკვირვებებს ჩვენ სხვაგა-  
ნაც ვატარებთ, უთხრა სტუმარმა; —  
აგერ ახლა მელიქაურში ვიყავი, იქიდან  
მოვდივარ.

სკაჩიამ ყურები ცქვიტა და ეშმაკუ-  
რად მოჭუტა თვალები.

— ბიჭო, ჯობრენამეს მოწყობილი  
არ იყოს ეს საქმე. მზეერავად ხომ არ გა-  
მოგვიგზავნა აგი კაცი. — გადაულაპა-  
რავა დანიელს.

ბრიგადარს გაეცინა, უნდოდა რაღაც  
ეპასუხნა, მაგრამ უცებ მოიხედა, და  
რაკი დაინახა, რომ ბიძინა და მის  
კვალდაკვალ მიმავალი მეცნიერი მუშა-  
კი უკვე მეორე მწკრივის ბოლოში  
გასულიყვნენ, თვითონაც შურდული-  
ვით მოწყდა ადგილიდან. ბიძინა შე-  
მობრუნდა და ახალ მწკრივზე დატრი-  
აღდა მაქოსავით. მეცნიერი მუშაკი  
უკან მისდევდა, ხალათს უსინჯავდა,  
ხომ არ გაოფლიანდო. თან ხშირ-ხში-  
რად დახედავდა წამსაზომს. როცა ბი-  
ძინამ მეოთხე მწკრივი მოათავა, მეცნი-  
ერი მუშაკი გადაქრით შესდგა და და-  
ნიელს მიუბრუნდა:

— არა გეთაყვა, არც ესაა საშუალო  
მთოხნელი...

— მომკალით ვინცხამ. — ვითომ შე-  
იოცა დანიელმა, — არც ეს მოგივიდათ  
თვალში აბა რა ვქნათ ახლა. სილოვანა  
დევკაცია, ეს პატარა თქვენ თვითონ  
გამოარჩიეთ, მუშაობს ჩვეულებრივად.

— აბა, კიდევ ესინჯოთ ვინმე, —  
მოუთმენლად გააწყვეტინა სტუმარმა, —  
თორემ დამეკარგა დღევანდელი დღე...  
სწრაფად მიიხედ-მოიხედა, — აბა, თუ  
მმა ხარ ის ახალგაზრდა გამოიყვანე, —  
ცოტა არ იყოს ნერვიულად სთქვა მან.

— რომელი ბატონო.— მზადყოფნით შეიგება დანიელმა.

— აი, ის მალალი ბიჭი რომ არის, ხმელ-ხმელი, — და მამიაზე მიუთითა. მამიამ შენიშნა მასზე მიბყრობილი თვალი, ტუნწი ღიმილი გაუკრთა მოგრძო სახეზე, მერცხლის ფრთებივით გადამლოლი წარბები შეათამაშა, და დანერგის დაძახებას აღარ დაელოდა, ისე დადგა ახალი მწყრივის თავში:

სტუმარი მიეჭრა და დაბეჯითებით გაუქმორა თავისი შეგონება:

— ჩვეულებრივად იმუშავეთ, ამხანაგო, ძალიან გთხოვთ, ჩვეულებრივად იმუშავეთ.

— გასაგებია. — ბეჯითად დააქნია თავი მამიამ და თოხი ხელში შეათამაშა.

— აბა დაეწყეთ, — სთქვა სტუმარმა.

მამიამ მარჯვედ დააკრა თოხი და თითქოს ამობრუნებულ მიწას ამოაყოლაო, ბოხი ხმით დაავუტუნა:

შენ ბიჭო, იკრახედილო,  
შენი ხმა ჩამოგვდიოდა,  
შენი თოხის წერილი,  
წყალ-ვალმა გამოდიოდა.

გვეგონებოდათ ახალგაზრდებს ნიშანი მისცესო, თოხებს უცებ თითქოს ცეცხლი მოედოთ. როგორც აღესილი ხმლები ფიცხელ ბრძოლაში, ისე ელაგდნენ, მოპირული თოხები მზეზე.

— მიდი, მიდი, — წასაქვებლად გასძახოდნენ ერთმანეთს ბიჭები. ყველა ერთბაშად შრომის ეინმა აიტაცა, იტყოდით მალალი ძაბვის დენმა დაუარაო ოცდაორ პექტარზე გადაქიმულ პლანტაციას.

მამია მსუბუქი რწევით მისდევდა მწყრივს, მალი-მალ ინაცვლებდა თოხს ხელში, შორიდან იხვეტდა მიწას და იმასაც ასწრებდა, რომ ოსტატური მოქნევით მოსხებილი ბალახის ძირები მიწისაგან გაებერტყა.

სტუმარი კი, რომელსაც ახლა თითქოს მხოლოდ წესის გულისთვის ელო

ხელის გულზე წამსახობა, სასაწყრკვეთილებახარევი აღტაცების გრძობით გააყურებდა ხან მამიას, ხან მწყრივზე შეფენილ დანარჩენ მთონელებს, რომლებიც სიმღერის რიტმს აყოლილი, თვალშეუსწრობი სისწრაფით ურტყამდნენ მიწას თოხებს. და ეს თოხის ცემა, სხვა დროს შეუქმნეველი და უხმო, ახლა ერთ მთლიან შეტევის გუგუნად გამოისმოდა...

მუშაობაში გართულებმა ვერ შეამჩნიეს თუ რა სწრაფად იცვლებოდა ზღვისპირეთის დაუდგარი ტაროხი. ჯერ საამურად სისინებდა ბორიო კრიბტომერიების წიწვებში, თითქოს ვიღაც უხილავის ხელი თითებს ათამაშებს აბრეშუმის სიმებზეო.

მაგრამ რაც უფრო ფიცხდებოდნენ მთონელები, მით უფრო ხელდებოდა ზღვის ქარი, ხეების კენწეროებს ერთმანეთს ახლიდა. ზღვის ნესტიანი სუნთქვა უკვე იჭრებოდა პლანტაციებში და მოსარკულ ცის სიღურჯეს ქუფრი ფერები ერეოდა. ვერც ის შეამჩნიეს, თუ როგორ ერთბაშად დაეშვა წვიმა და ირიბად წამოსული წვეთების შრიალი თოხების შეწყობილ ხმაურს შეუერთდა.

— სოროტია, სოროტი, — რაღაც გამომწვევად გახედეს მთონელებმა ფერმეცვლილ ცას, რომელზედაც ჯერ კიდევ მოსჩანდა ღრუბლებით დაუფარავი ლურჯი სარკმელები.

— სოროტი რას ჰქვია, გეთაყვა, — ცნობის მოყვარეობით მიუბრუნდა ბრიგადირს სტუმარი, რომელსაც ქარის მძლავრმა შემობერვამ ქილის ქუდი მოავლიჯა თავიდან.

— სოროტს გამრებ წვიმას ეძახიან ჩვენში, უცბად რომ წამოვა და გადაიღებს, მიუგო დანიელმა და ჩაის ბუჩქზე შერჩენილი ქუდი ღიმილით მიწოდა მეცნიერ მუშაკს.

— გამრებია თუ გამომრები, მე კი გამიარა ბეჭებში, — სიცოლით მიუგო სტუმარმა, გამხდარი მხრები აიწურა და



გაჩქარებით აედევნა მამიას, რომელიც უკვე კარგა მანძილით დაშორებოდა მას.

— აბა საშუალო მითხნელო, დაცხე, — შესახურებლად გასძახოდა მამია ახალგაზრდებს ცალი მხარი წინ წამოვგდო და თითქოს მხარულით მიცურავდა წვიმისაგან აბზინებულ, სველ, მაღალ ბუჩქებს შორის;

მეცნიერი მუშაკი მონუსხულივით მისდევდა მამიას. წვიმა კი ძლიერდებოდა. „სოროტის“ მსხვილი წვეთები ფინთხივით უტყლაშუნებდნენ ჩაის ბუჩქებზე.

— რა ვქნა, გაგვიცივდება ეს უცხო ადამიანი, მოგვეპოვება თავი, — აწრიალდა დანიელი, მაგრამ სტუმრის საქმეში ჩარევა ვერ გაბედა, ისევ მამიას მიჰყვარა.

— კარგი მამია, შეეწყვიტოთ ახლა თოხნა. სულერთია, ამ წვიმაში მოჭრილი ბალახი ხელად გაცოცხლდება.

— არა დანიელ, ხვალ დაფოცხავ, — თავულებლად მიუგო მამიამ, რომელსაც ახლა მუშაობისათვის თავის დანებება ბრძოლის ველიდან გაქცევად ეჩვენებოდა.

— კაი ახლა, რომ გეუბნები, ვაიგონე, — უფრო მტკიცედ გაუმეორა დანიელმა და სტუმარს მიუბრუნდა, — წამოძახი, ბატონო, ფარდულში, ცეცხლს დავანთებთ, გავრით, რა ვქნათ, არ გვიწყობს ხელს ამინდი.

— არც ამინდი მიწყობს ხელს და არც კაცი, — ამბობდა ფარდულისკენ მიმავალი სტუმარი და საყვლოში ჩასულ წვიმას ხელსახოცით იშპრალბდა, — რაღაც უიღბლო შეიქნა ეს დღე ჩემთვის.

„ერთი ახლა ჩვენც გვკითხე, უიღბლოა თუ იღბლიანი“, — გულში ეცინებოდა დანიელს, რომელიც სიამოვნებით ავლებდა თვალს გადათოხნილ ფერდობს.

2. „მნათობი“, № 1.

და თითქოს ბრიგადირის ფიქრთა დენას გამოეხმაურაო, სკანდალს დაუარა სტუმარს და დაეცინა:


— ამისთანა უიღბლო დღე ნეტა ბარე სამასი მოგვეცა წელიწადში. თქვენც კი გაგეზარდებათ, თქვენი კეთილი გულის ამბავი რომ ვიცო.

ამ გულუბრყვილო ქათინაურზე სტუმარს გაეცინა, და მის სახეს ჩვეული გულკეთილი გამომეტყველება დაუბრუნდა:

— ვის არ გაეზარდება ასეთი შესანიშნავი მუშაობის ნახვა, ამხანაგებო. ჩვენც იმისთვის ვიბრძვი, რომ ყველა ასე სულით და გულით მუშაობდეს. დღეს კი ჩამედუშა ჩემი გეგმები, მაგრამ არა უშავს, ხვალ განვგაგრძობ. მე აქ ერთ კვირას მაინც დავრჩები.

— აი ყოჩაღ, ბიჭებო, — ეუბნებოდა ამ დროს სილოვანა ახალგაზრდებს, — ჩინებულად იმუშავეთ დღეს, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. სტახანოვიური ნაკვეთები უხდა მოვამზადოთ რიგიანი პირიანად, კომკავშირულად, რომ არ შეერცხვეთ. ყველა შეგვიწყობს ხელს ამ საქმეში, აგრონომიც დაგვეზარება, ქიშვარდის გამოცდილებაც გავიზიაროთ, — რატომ თუ კი გაგვიმხელს ქიშვარდი თავის სეკრეტს! — შეათამაშა წარბები მამიამ და თოხის ყუთა გამეტებით დაჰკრა ქვას, რომ მიკრული ტალახისაგან გაებერტყა. ისინი ამ დროს სწორედ ციციანოს სარეკორდო ნაკვეთს გაუსწორდნენ.

საერთოდ კარგად იყო მოვლილი სემათორის ჩაი, მაგრამ ქიშვარდის მიერ დამუშავებული ნაკვეთი მაინც მკვეთრად გამოირჩეოდა მთელს პლანტაციის იხე მძლავრად გადაეშალათ ჩაის ბუჩქებს თაღები, რომ მწკრივი მწკრივზე მისულიყო. თითქოს ვინმე ჯადოქარ დეკორატორის ხელით გადამეხდა სული ნობილური მანქანისავით დარწმუნებულად შეეძინა მისთვის.



— ჰა, აგერაა ქიშვარდის სეკრეტი, — დაიჯღაღლა უცებ ყარამანამ და თოხის პირით წამოაყირა ვა თხრილში ჩადგმული როფი, შიგ ჩარჩენილი ნაკელწყლოთ.

ყველამ მისკენ მოიხედა.

— რა სეკრეტზე ლაპარაკობს? — მიუბრუნდა მეცნიერი მუშაკი სეფეს.

— ისე, ხუმრობით ამბობს, — სეფეს მაგიერად მიუგო დანიელმა, — ასეთი შესანიშნავი ჩაი რომ მოიყვანა, რა სეკრეტი იხმარაო...

ახალგაზრდებმა შენიშნეს, მეცნიერი მუშაკი რომ რაღაცას კითხულობდა და მისკენ მოიწიეს.

— ჰო მაგის საიდუმლოება მართლა სასუქია, პატივის მიწოდება — გაუღიმა სტუმარმა ყარამანას, რომელსაც ისევ აყირაებულნი ეჭირა ნაკელწყლის როფი, — პატივი და ჩინებული მოვლა — დაუშავება, ყველა აგრონომიული ღონისძიებების ჩატარება, — მწიგნობრულად ჩამოაყალიბა მეცნიერმა მუშაკმა თავისი აზრი.

— ჰუმმარტი ბრძანებაა, — თავის ქნევით დაუდასტურა სეფემ, — მაგ ჩაიზე, შენ ხარ ჩემი ბატონი, მე ასეთი შენიშვნა მაქვს, რამდენ პატივს სცემ, იმდენს ატყობ, რომ შესსყენაა, შენი მხარე უჭირავს, — და სეფემ აღერსიანად გადაუსვა ხელი ჩაის ბუჩქის თაღს.

— შესანიშნავად სთქვით, სეფე ბატონო, — ეს პირდაპირ აფორიზმივითაა, მაგას ჩაურთავ მე სადმე ლექციაში, — და მეცნიერმა მუშაკმა უბის წიგნაკი ამოიღო.

— რამდენს პატივს სცემ, იმდენს ატყობ, შესსყენაა, — სიცილით გაიმეორეს სეფეს „აფორიზმი“ ახალგაზრდებმა.

მაგრამ სეფემ იხტიბარი არ გაიტეხა. ახალგაზრდების ლაღობამ კიდევ უფრო გააახლისა. თავისი აზრის განმარტობას შეუდგა.

— ა ბატონო, ქიშვარდომ რომ სცა

პატივი ამ ნაკვეთს, იმიმა გვარდებმა ასეთ კარგ მოსავალს.

ეროვნულმა ამასობაში ფარდულმა მუშაკმა დაიწყო ბაქურთას ცეცხლი დაენთო. ყველა სიამოვნებით მიეფიცა გიზვიან ცეცხლს. ფარდულის კუთხეში მიგდებული მორი მოავორეს და სტუმარი დიდის პატივით დასვეს შუა ადგილას. გაწუწული ქალიშვილებიც კისკისით და ხმაურით შემოცვივდნენ ფარდულში. სტუმრის დანახვაზე უცებ ჩაჩუმდნენ, მორიდებულად მიდგნენ კუთხეში და გალუმბული ნაწინაების დაწურვას შეუდგნენ.

— აბა, ბიძებო, მიუშვით აგი ქალიშვილები ცეცხლთან, — აფხაჯურდა სეფე, — ზრდილობა, შენ ხარ ჩემი ბატონი, გურულების მოვონილიაო და არ მომპრათ თავი ამ უცხო სტუმართან.

ვაეებმა მიიწ-მოიწიეს და ქალიშვილებს ადგილი დაუთმეს.

არა მაინც რა იყო, პირი ხომ არ შეთქვით ყველამ ჩემს წინააღმდეგ. — ამბობდა ცეცხლისაგან გამხიარულებული სტუმარი და თავის კეთილ, ბეც თვალებს ღიმილით ავლებდა ახალგაზრდებს, — მე ჩვეულებრივ მუშაობაზე უნდა მომეხდინა დაკვირვება, თქვენ კი ისეთი ცეცხლი დაანთეთ... ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს და ყველას ერთი და იმავე აზრის გამოხატველი ღიმილი გაუქრთა სახეზე. რა იცოდა სტუმრად მოსულმა მეცნიერმა მუშაკმა, რომ გუშინდელი შეკრების შემდეგ სოფელ შრომის ახალგაზრდებს „ჩვეულებრივი“ მუშაობა აღარ შეეძლოთ.

## ახალი ტალღა

სოფლადაც სკირთ ეს ზნედ — რამე ნაკვესს, ოხუნჯობას ან ვისიმე გაქილიკებას დიდი და პატარა თითზე დაიხვევს და რამდენიმე დღის, და ზოგჯერ კვირის მანძილზეც ეს საღალღობო პირიდან პირში გადადის, და სადაც არ უნდა გა-

იართ, მინდვრად — სამუშაოზე, სამკითხველოში, თუ აფთიაქში, — ყველგან გესმით ეს ნაკვესი.

ეს ბედი ეწია „სეფეს“ „აფორიზმსაც“, რომელიც ასეთი გულმოდგინებით ჩაიწერა უბის წიგნაკში მეცნიერმა მუშაკმა.

ეს უწყინარი გამოჯაგრება სეფესი ისმობდა პლანტაციებზე ამ დღეებში, როცა ახალგაზრდათა სარაიონო შეკრების მონაწილენი სტახანოვური ნაკვეთების დამუშავებას შეუდგნენ. თოხნიდნენ და სასუქი მიჰქონდათ საწყობიდან, წყალსაწრეტ არხებს სწმენდნენ თუ ხელ-კეტს ურევდნენ ნაკელწყლით სავსე აუზში, ერთმანეთს მზიარულად გასძახოდნენ — „პატივი ვცეთ ჩაის ბუჩქს... ჩვენსკენაა ჩაი“..

ქალიშვილები სადამოებით ციციონოსთან იყრიდნენ თავს. არდადეგებზე ჩამოსულ გოგონებსაც გადაედოთ საერთო აღფრთოვანება. შუქურა, ვენერა და თეოლინა კვალდაკვალ დასდევდნენ ციციონოს: შენებური ხელგასმული კრეფა გვასწავლეო. განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდნენ, — ცდილობდნენ ყველაფერი მეთოდურად შეესწავლათ. აგრონომს გამოართვეს პლანტი, რომელზედაც ჩაის კრეფის წესები იყო დასურათბატებული და სეფესი ოდის კედელზე გააკრეს. მაყვალა, მარგალიტა და კლეოპატრა ისე შეკუთრებდნენ ამ სურათზე დაბატულ ხუთფოთლიან და ოთხფოთლიან ღუყებს, თითქოს ათასობითა და მილიონობით ასეთ ღუყს არ გამოეცლო მათ ხელში.

მეცნიერი მუშაკი, რომელიც ბინად სეფესთან იყო, ღიდის ინტერესით ადევნებდა თვალყურს ქალიშვილების სამზადისს. ხშირად თვითონაც ჩაერეოდა ხოლმე ციციონოს ახსნა-განმარტებაში. მოუსვენარმა ბაქურიამ ამ შეკრებებს „ნუცას სკოლა“ დაარქვა. ქალიშვილები, თავს რომ მოიყრიდნენ, ბაქურია საზეიმო ხმით წამოიწვებდა: „ციცინო ფარვანიძემ თქვა, სოფელ

შრომის ქალიშვილები სულ სტახანოვებზე უნდა გავხადოყოყმოდნენ ჩაის ბუჩქთან და ეუბნებოდნენ: „სტახანოვის ხუთფოთლიანი ნორმალური ღუყი, ეს ოთხფოთლიანი ყრუ ღუყი, ეს თევზა ფოთოლი... ისწავლეთ გენაცვალეთო. გახდებიან თეოლინა ვენერა და შუქურა ჩაის კრეფის ოსტატები თუ არა!“

ციცინო ცოცხს დაავლებდა ხოლმე ხელს და ბაქურიას გამოუდგებოდა. ის შორიახლო დაკუნტრუშობდა და ციციონოს ახსნა-განმარტებებს იმეორებდა:

„ხუთფოთლიანი ღუყიდან იყრიფება სამი ფოთოლი კვირტით... ოთხფოთლიანიდან — ორი ფოთოლი კვირტით“.

ახალგაზრდებს კი პირდაპირ იერიში მიჰქონდათ სასუქის საწყობზე.

ილაჯი გაუწყვიტეს საწყობის გამგეს. თავისუფალ დროს ხან აგრონომთან თათბირობდნენ, ხან ჭიშვარდისთან გარბოდნენ რჩევისათვის. პლანტაციებს ავსებდა სილოვანას გუგუნა, გულშეკრდიდან ამომავალი ხმა:

— აბა, ბიჭებო, დავსცხოთ კომკავშირულად, სირცხვილი არ ექამოთ.

მაგრამ სილოვანას წაქეზება არ სჭირდებოდა ახალგაზრდებს.

ყველაზე ადრე ეს მეცნიერმა მუშაკმა იგრძნო. იგი თავის დაკვირვებებს კვლავ განაგრძობდა და რაკი პირველ დღეს სილოვანა, მამიასა და ბიძინას, მუშაობას უკვირდებოდა გადასწყვიტა მათთან განეგრძო დაწყებულ სილოვანას, — ხან ერთს ჩაუდგებოდა კვალში, ხან მეორეს, ხან მესამეს. სტახანოვური ნაკვეთების მომზადებით გატაცებული ახალგაზრდები კი გააფთრებით მუშაობდნენ და მეცნიერი მუშაკი ვერაფრით ვერ ეღირსა, იმ ტიპური გამომუშავების სურათის ნახვას, რომლის შესასწავლადაც ის ჩამოვიდა შრომის კოლმეურნეობაში. სტუმარი ხან უკმაყოფილო იყო ამ ამბით, ხან აღტაცებული. ბოლოს იმედი გადიწყვიტა და კიდევაც იყო დაპირა გამოეცვალა შესწავლის ობიექტები, რომ ამ

დროს კოლმეურნეობის მანქანა ვარდოულში დაიბარეს. შერმანდი და ებიფანე დაბრუნებულნივეხენ მოწინავე მეჩაიების თათბირიდან. ხელად მოედო ეს ამბავი სოფელს. ყველა დიდის ინტერესით მოელოდა, რა ამბებს ჩამოიტანდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე და პარტიურის მდივანი თათბირიდან. საღამოზე ახალგაზრდებმა დაბარებულნივეხით მოიყარეს თავი პარტიურის ოთახში.

— როგორაა საქმე, კომკავშირო, — შეაგება — ებიფანემ ახალგაზრდებს, — როგორ მიდის კრეფა?

— კარგად მიდის, კარგად, ლანქერივით მოდის დუყი ამ წვიმების შემდეგ, ჩვენ კრეფ... — ეშმაკურად დაფახულა სილოვანამ მოკლე, ქერა წამწამები და ამხანაგებს შეთქმულივით გადახედა, — ნაკვეთებს ვამზადებთ: მამია — შუიანში, ბიძინა — ეკალდიღში, კაბიტონი — მომწვარში, ყარამნიც იძახის — მეც მოვამზადებ ნაკვეთს, სარემონტოდ რომ დავაყენებ მანქანასო. აგერ მეც შეეუღლები ნაკვეთის დამუშავებას კოლაშაურის ჩაიში... ასე რომ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისთვის ერთად მაგრადა უნდა დაიქნოს შრომის კომკავშირმა. ჭე შემახტრა გიორგიმ შეკრებაზე, — ცოტა დარცხვენით დასძინა მან, — მოვლენებს კულში მიჩანჩალებსო, მარა ახლა ძალიან დავტრიადლით ყველა.

— ქალიშვილებიც არ ვზივართ ნაკარში, — ოდნავის სიამაყით წარმოსთქვა ყონამ, — ბიჭებს არ ჩამოგრჩებით, — ახლა სამოც კილოზე ნაკლებს თუ მოკრეფენ, ჩვენს ქალებს სირცხვილად მიიჩნიათ; აგერ ჩვენი სტუდენტი გოგოებზე იძახიან, ჩაის კრეფის ოსტატები უნდა გავხდეთო.

ამ დროს მეცნიერმა მუშაკმა შემოაღო კარი დანიელის, სეაჩიას და სეფეს თანხლებით (ეს უკანასკნელი ძმადნაფიცოვით მუდამ თან სდევდა სტუმარს).

— მე საჩივლელად მოვედი, — დიმი-

ლით მიმართა სტუმარმა ებიფანეს და ახალგაზრდებს გადახედუკრეფუკრეფსოვით, იმ დღეს რომ გვეხებოდა ვარდოულში, ტექნიკური ნორმირების საკითხებზე ჩამოვალ თქვენთან-მეთქი.

— ჰოდა მოგახსენებთ, რომ ჯერჯერობით არაფერი გამოვიფიდა. თქვენმა ბიჭებმა არასგზით არ მიჩვენეს ტიპური გამოიმუშავების სურათი.

— რატომ, მაგენი სულ ყველა ტიპური ბიჭებია, ტიპური, — იტყვიასეაჩიამ.

ყველას გაეცინა.

— მაგაშიც საგანია ერთნაირი, ახლა მაგ სტახანოვური ნაკვეთებს რომ ამზადებენ, ნამეტანი ღვრიალეებენ ბიჭები და დავეიქანცეს ჩვენი სტუმარი, — ბოდიში მოჰხადა სეფემ ახალგაზრდებს.

— აბა რა, პატივი უნდა ვცეთ ჩაის, — შეათამაშა წარბები მამიამ.

— ჩვენსეყნაა ჩაი, ძაან გვეპირდება, მოუბა მხარი ბიძინამ. ახალგაზრდებს სიცილი წასკდათ.

ებიფანემ და შერმანდემ ვერ გაიგეს ახალგაზრდების უეცარი გამხიარულების მიზეზი.

— მე მამასხარაეებენ ეს ღღინძალები, — უწყინარად ჩაილაპარაკე სეფემ, — მე ვთქვი: რაც უფრო პატივს ვცემთ ჩაის ბუჩქს, იმდენს ვატყობთ, რომ ჩვენსეყნაა-მეთქი და ამ ჩემს ნათქვამს კული გამოუბეს.

— ჰოდა ჩვენი სეფე პირდაპირ გულთმისანი ყოფილა, — გაიცინა ებიფანემ, — სწორედ მაგ ჩაის ბუჩქის პატივისცემა, — პლანტაციების უკეთ მოვლა იყო ჩვენი თათბირის მთავარი საკითხი, ნახეთ აგერ, რა ამბებია გაზეთში, — უკვე სერიოზულ კილოთი სთქვა ებიფანემ, ახალი გაზეთების დასტა ამოიღო, საველე ჩანთიდან.

ამ დროს ლევანი და ივაკი შემოვიდნენ პარტიურის ოთახში. ფარნაც გამოჩნდა სასხლავი მაკრატლით ხელში. გაზეთები ხელიდან ხელში გადადიოდა მოწინავე მეჩაიეთა თათბირს მთელი



ორი გვერდი ჰქონდა დათმობილი, ახლა გულდასმით კითხვის დრო არ იყო და მხოლოდ თათბირის მონაწილეთა გამოსვლების სათაურებს ავლებდნენ თვალს. სეფესაც, რამდენადაც ხელების სიგრძე ამის ნებას აძლევდა, შორს დაექირა გაზეთი და ჩამარცვლით ხმამაღლა კითხულობდა: „მივსცეთ სამშობლოს მეტი მაღალხარისხოვანი ჩაი“.

— შენი ჰირიმიე, — რაღაც მოწიწებით წარმოთქვა სეფემ და ისევ განაგრძო კითხვა. „ჩაის მოსავლიანობის გადიდება ჩვენი საბრძოლო ამოცანაა“. „გავაძლიეროთ მზრუნველობა ჩაის პლანტაციებისა და ჩაის თვითეული ბუჩქისადმი.“

— ჰაიტ, თქვე ეშმაკებო, — გაიმართა ის წელში და მოზეიმე სახით გადახედა ახალგაზრდებს, — თქვენ რომ არასოდეს მოგეწონებათ ჩემი ნათქვამი, აგერ ნახეთ, რას ამბობს ჩვენი პარტია: გავაძლიეროთ მზრუნველობა ჩაის ბუჩქზეო, პატივი ვცეთ ჩაის ბუჩქსო. გაზეთში სწერია აგი, გაზეთში, — ვითომდა გაფიცებით წარმოსთქვა მან.

სინამდვილეში კი ის არა თუ ცხარობდა, მას გულით უხაროდა ეს კენწულაობა ახალგაზრდებთან. ხანდახმული და ჯანსუსტი, მაგრამ სულითა და გულით ახალგაზრდა, ამ კენწულაობაში უფრო მეტად სიახლოვეს გრძნობდა ამ ჯანლონით სავსე ახალგაზრდებთან.

— აგერ ნახეთ „ჩვენი კორესპონდენტის საუბარი კოლმეურნეობა განახლების თავმჯდომარესთან“, ამოიკითხა ქიშვარდომ, რომელიც თავის ჩვეულებისამებრ ხარბად დასცხრომობდა გაზეთს. — „ეთერი კირვალის კომკაშიერულმა რგოლმა ჰექტარზე ცხრა ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა“.

— თუკ, ხედავ საიდან გადაგვისწრეს თავი, — შეშფოთებულად წამოიძახა სკაჩიამ.

— უყურე შენ, — გულნატკენად გა-

დააქნია თავი სეფემ, — გვაჯობებს ახლა მაგით!

— ჰოდა ამხანაგებო, <sup>ერკონულნი</sup> ჩვენიც მუხედა მაგრად მოეკიდოთ ხელი მაგ საქმეს, — წარმოსთქვა ებიფანემ, — ჩვენც უნდა მოვწყუთ სტახანოვერი რგოლები და ბრიგადები.

„ეთერი კირვალის რგოლის პლანტაცია სანიმუშოა ჩვენს კოლმეურნეობაში“, — განაგრძობდა კითხვას ქიშვარდი, — „ეთერის რგოლმა ვალდებულება იკისრა ჰექტარზე ათი ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს“.

— მოკრეფს კიდეც მოკრეფს, — გულდაჯერებით სთქვა დანიელმა, — თვალდანახული ამბავია. აგერ არაა სემადორის ჩაი. შეიდი ათას კილოს მაინც გაასწორებს, და რა გვიან დაიწყოს ქიშვარდომ მაგ ნაკვეთის დამუშავება.

— იცი, ებიფანე, რამდენი ილაპარაკე გიორგიმ, ჩვენს შეკრებაზე სემადორის ჩაის შესახებ, — გააელვა თვლები ბიძინამ.

— თქვენს შეკრებაზე კი არა, მოწინავე მეჩაიების თათბირზეც კი ილაპარაკე გიორგიმ ქიშვარდის მუშაობის შესახებ, — აღერსიანად გადახედა ებიფანემ ამდენი ქებისაგან დამორცხვებულ ქიშვარდის.

— ივარგა ქიშვარდომ, ივარგა, რესპუბლიკაში გვასახელა, — დასწავლილი გაკვეთილივით იმეორებდა ყარამანა.

— მამ ასე ამხანაგებო, — წამოდგა ებიფანე, ენერგიული მოძრაობით ხალათის ნაოკები მოიყარა წელზე, და ორივე ხელით მაგიდას დაებჯინა—ჩვენ დიდი სამუშაო გვიდევს წინ. ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა უნდა ჩაეებათ ბრძოლაში ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისათვის. პირველ ყოვლისა უნდა დაენერგოთ ჩვენი მოწინავეების გამოცდილება, და უნდა გადმოვიღოთ სხვების კარგი წამოწყებაც, თუნდაც იმავე ეთერი კირვალისა.

— აბა თქვენ რას იტყვით, ქალიშვი-

ლებო, — გადახედა შერმანდომ მკრეფავებს, რომლებიც ყურადღებით უსმენდნენ, პარტიუროს ძლიერს, — მძლეთა მძლევებთან მოგიხდებათ შეჭიდება!

— აბა რომელი ივავაკებო, ვინ გაყვებით დავლურში კირვალძეს, — აიგრიბა ულვაში დანიელმა.

— ეონა და ციცინო თუ იფერხებენ ისევ, — წამოიყვირა ყარამანამ, — თუ გავლენ ათი ათასიანებში.

ქიშვარდომ გაზეთს ზემოდან ფარულად გახედა ციცინოს. გული სიამით იყვინო: ციცინოს დიმილი უკრთოდა ლურჯ თვალეში. თუმცა იმას არაფერი უთქვამს მაგრამ ქიშვარდი მიხვდა: იგი არ შედრკებოდა, ახალი ამოცანების წინაშე.

— აბა რას იტყვი, კრეფის ოსტატებო? — მოავლო თვალი ქალიშვილებს ეპიფანემ.

— არავინ არ დავიხვეთ უკან, ყველა გავალთ მაგ დავლურში, — მტკიცედ დაასყენა ეონამ.

— ასეა ამხანაგებო, ახლა იწყება დიდი სახალხო ლაშქრობა უხვი მოსავლისათვის — ოღნავ საზეიმო, ხმით წარმოსთქვა ეპიფანემ. თვალეები გაუბრწყინდა, თავი მაღლა ასწია, გაღებულ ფანჯარაში სივრცეს გახედა, თითქოს პლანტაციებს სჭვრეტსო, სადაც უნდა გაიშალოს ეს დიდი ლაშქრობა. — და ჩვენც უნდა დავირაზმოთ, მოწინავე მოლაშქრეები უნდა გავხდეთ. ახალ საფეხურზე გადავდივართ, — კიდევ უფრო აუწია მან ხმას, — ახალი ტალღა მოდის, და ამ ტალღამ თავზე კი არ უნდა გადაგვიაროს, ჩვენ მას ქეწოზე უნდა მოვექცეთ!

პარტიუროს ოთახი კი თანდათან ივსებოდა ხალხით. უკვე სამი მუჩი შემოიტანეს. სინათლევ აანთეს. და გვიან ლამემდის გრძელდებოდა ეს სახელდახელო თათბირი. კოლმეურნეები მუშაობის ახლებურად გარდაქმნის გეგმებზე ბჭობდნენ და ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ.



• • • ე რ ა რ ე ნ ე შ უ ლ ი

— აიუ, შე სამგლტე მუჯავანდებო — და კულტივატორში შებმულ თავის არაბას ელიზბარა, — რა მოგივიდა დღეს, რა ბუზარა შეგიჯდა. შეხედე ერთი ამას, — გასძახოდა ოფლად გაღვრილი ჩალანდარი სეფეს, რომელიც იქვე ახლოს წყალსაწრეტ არხს სჭრიდა.

— მიდი, მიდი, არაბა; — უქნევდა თავის ყავარჯენს სკაჩია ელიზბარას ჯაგლაგს, — შენ კი არა, შენი პატრონიც ქე ისროდა ტლინკებს, მაგრამ ხომ ხედავ, ჩაღვა კალაპოტში და ქეა მოგებას, ასე არაა სეფე?

— მაინც, რას აპკიდებოდი, თუ ღმერთი გწამს, მაგ სიპიტოს, — ახლაცხენის პატრონს მიუბრუნდა სკაჩია. — გარბენინებდა შენ და შენს არაბას თავისი უყუღმართი გზებით, გათრევედა და გხედნიდა, თვითონ კეთლებოდა, და შენ ჭიყუელა მოგიციეოდა ქერიდან.

ელიზბარას თითქოს პირში წყალი დაეგუბებია. ხმას არ იღებდა. გაიგე, — რაიაღმასკომს უყვე დაუმტკიცებია სიპიტოს გარიცხვა კოლმეურნეობიდან, — არ უსვენებდა სკაჩია. — დროზე ჩამოშორდი მაგ ოხერს, თორემ მის ბედს გაიზიარებდი. ხომ არ გავიგია, რას აპირებს სიპიტო.

— ჯანდაბას იქით გზა ჭქონია, — შეუღრინა ელიზბარამ და გულმოსულმა შოლტი გადააწნა არაბას.

— კიდევ დიდხანს ითმენდნენ მაგას კოლმეურნეობაში, — განაგრძობდა სკაჩია, — ტყვილა კი არ ამბობენ: „არ გათეთრდებოდა ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო“ — სწორი არ არის სეფე?

მაგრამ სიტყვა-მრავალი სეფე არ ეზმაურებოდა დღეს არც ელიზბარას როზროხს არც სკაჩიას ენაკვიმატობას. მისი ფიქრი და გონება მთლად წაელო მუშაობას. დღეს იგი თავისი ქალიშვილის რგოლს შეელოდა. წყალსაწრეტი თბრილი ანუ როვორც თვითონ ეძახდა

უცხო და გაუგებარ სიტყვებზე შეყვარებული მოხუცი „დრინაეი“ გაჰყავდა; იმ სიღრმე სადრენაეო თხრილი გაეჭრა, რომ კრილში მარტო მისი მოხრილი ბეჭები და თინ-ნაქსოვი კრელი „ბერეტი“ მოსჩანდა. ის ხან ბარის სატერფულს აწევებოდა ქოშინით, ხან ნიჩაბის ტარს დაიმოკლებდა ხელში, ხენგშით ჰყრიდა კრილიდან ბარით მორღვეულ მიწას. ზოგჯერ თხრილიდან ამობობდებოდა, კაქა-ფეხებს გაჩანჩავდა თხრილზე, გაწყალბებულ ლურჯ თვალებს წურავდა, შებლს ხელით იჩრდილებდა თხრილის სისწორეს ამოწმებდა. წელი ცოლის თევძალით ჰქონდა გაკრული, მუშაობის დროს თევძალი წამდაუწუმ უვარდებოდა. ციციწო პელო და მარგალიტა ჩაის ბუჩქების შეწამელაზე მუშაობდნენ. ციციწო მალი-მალ გასძახოდა მამას:

— გეყოფა ახლა, ბაბა, არ გადაიჯაფო, ხომ იცი შენი გულის ამბავი, გაწყენს.

— რას მაწყენს, ვეფხვივითა ვარ. ვეფხვივით,—ქიჩმაჩობდა სეფე, მაგრად შემოიკრავდა წელზე თევშალს და კვლავ სადრენაეო არხში მიძვრებოდა. მთელ ოჯახს, აქ მოეყარა თავი. ალექსი ჩაის ბუჩქებს სწმენდა ტოტებს შორის ჩაკვიენულ გამხმარ ფოთლებიდან—ჩაის ჩრჩილის საბუღარებიდან. ბაქურიაეც აქ ტრიალებდა. ის ხან თხრილის კრილში ჩახტებოდა, მომცრო ნიჩბით ჰყრიდა მიწას თხრილიდან. ხან თხრილის ნაპირას ნაყარი მიწის გორაკებზე ბზინავდა მისი ხბოსავით ალოკილი ქოჩორი. აქ მას „საფორტიფიკაციო“ სამუშაოები გაეშალა. ციხე-კოშკს აგებდა, შიგ დატანებული სათოფურებით.

დღე იწურებოდა. ზღვის პირას დასულ მზის სხივს მოევარაყებია პლანტაციის შესავალში ბოძებზე გაკრული პლაკატი. პლაკატზე გამოხატული იყო შეილი, გვერდით კი მსხვილი ასოებით ჩაის ბუჩქზე დახრილი ტანკენარი ქალი-შეილი, გვერდით კი მსხვილი ასოებით

ეწერა: ციციწო ფარვანიძის სტამბოლური რგოლის პლანტაცია, რგოლი კისრულობს ჰექტარზე ათეულებს. გრამი ჩაის მწვანე ფოთლის აღებას.

მწუხრის გრძელი ჩრდილები გაწვნიან პლანტაციებზე. გზაზე, ქარსაფარ ზოლად ჩამწყრივებულ ვერცხლისფრად მოლალაბე ევკალიპტების მიღმა გახშირდა შინისკენ დაძრულ კოლმეურნეების ფეხის ხმა და საუბარი.

— არ ვიშაბამოთ სეფე? ქეა აწი დრო. — და ელიზბარამ თავისი უსაზომოდ ფართო გალიფეს ბერტყვით გადმოალაჯა, ციციწოს რგოლის პლანტაციაზე. სკაჩია მას აედევნა. ელიზბარას ჩია მეუღლე კი კულტივატორიდან გამოსხნილ არაბას უტრიალებდა.

— ხომ გავიგონია, გლახა მუშა უქმის ძალზე გახელდაო, — ისეა ჩემი საქმე, — შეაგება სეფემ მოსულთ.

პლანტაციის ჰიშვარში ქვიშით დატვირთული ცხენის ურემი შემოვიდა. ცხენს ილარიონი მოუძლოდა. ორთვალას დანიელი და ქიშვარდი მოსდევდნენ. ილარიონმა ცხენი გამოხსნა, ბალახი დაუყარა, ორთვალა ააყირავა და ქვიშა ჰიშვართან დაახვავა. აქ კოლმეურნეობა ნაკელწყლის აუზს აგებდა. დანიელი და ქიშვარდი სეფესთან მივიდნენ.

— რას შვრები სეფე, ჰას ხომ არ თხრი, ამ სიღრმეზე რომ ჩასულხარ. — ჩასძახა დანიელმა ბარზე დახრილ სეფეს.

— ნაცარქექიას ამბავი ხომ გავიგონია, ისეა ჩემი საქმე,—და სეფემ ხენგშით ამოისაროლა მიძიმე ბელტი, — დევებმა რომ გაგზავნეს ღვინოზე და იგი დიდი უშველებელი ქვეერის ამოთხრას შეუდგა, ვითომ დიდი ვაჟკაცი ვარო, — თავისი თავი გააქილიყა სეფემ და უჩვეულო სიჩაუქით ამოვიდა ღრმა კრილიდან. ქიშვარდი კი თხრილში ჩახტა და ბარს დაავლო ხელი. ციციწო მასთან მივიდა.

— მობრძანდით აქ. დანიელ,—გაჰყ-

ვა სეფე გაჭიმულ თოკს და ამ თოკივით გრძელი საუბარი გააბა: ელიზბარა და სკაჩიაც მიჰყვნენ მას.—აქ 'შუაგულში, 'შენ ხარ ჩემი ბატონი, დაბალია, ბუჩქს წყალი უდგება ძირში. ხომ ხედავ, რა-ფერ ამოყვითლებულია ფოთოლი: ერთი ასეთი ღრმა თხრილი ზემოთაც უნდა დაეარტყა. კაი შეშვეული ნიადაგია, ძარა წყალი აჭირვებს საქმეს. დახურული "დრინაჲ" უნდა მოვაწყო. ასე გაეთხრი და წნელს ჩაეყრი შიგ, მერმე მიწას გადაეყრი. ფართობს არ დაკვარგავ. იმ მენიერმა მუშაკმა, მასწავლა, ჩვენსას რომ იყო სტუმრად. ერთი უნდა მოვარჯულო ეს ხაკეეთი, კულტურულ მდგომარეობაში ჩაეყენო. თუ პატივი არ ეცი ჩაის ბუჩქს; — გაიმეორა მან თავისი „აფორაზმი“; — ისე ამხელა ვალდებულებას რაფერ შეისრულებ, — გაბედა მან ჭიშკარზე გაკრულ აბრას.

— აუპ, ქიშვარდომ რა ბღღერი დააყენა, — შემობრუნდა უცბად თხრილისკენ სკაჩია, რომელიც ელიზბარასთან ერთად კუდში მისდევდა სეფეს.

ჭრილიდან სეტყვასავით მოცივივოდა მძიმე ბელტები. ვეება ზვინი დაეხო-რავებინა ქიშვარდის თხრილის კიდეზე. თავგამეტებით სცემდა ბარის სატერფულს ფეხს, წელგაუმართავად მუშაობდა. ზოგჯერ თუ აიქნედა თავს თითქოს იმისთვის, რომ წინ წამოყრილი ქოჩორი გაესწორებინა. მოსიყვარულედ, მოალერსედ შემოსცქეროდნენ მას ციციონს მუქლურჯი თვალები და ამ მშერის დასაქერად აიქნედა თავს ეამის-ეამს. მერმე კი ისევ გაფიცვებით დაკრავდა ფეხს ბარს. ბარის პირს ღრუბალი გაჰქონდა მძიმე თიხნარში.

— რა არის აბალგაზრდობა, სისხლი უღულს ძარღვებში, — ოდნავ ნალექიანად წარმოსთქვა სეფემ.

— აბა ვინაა ჩემი „პასაჲირი“, — დუღუნით გადმოსძახა თხრილის პირას შეგროვილებს ილარიონმა, რომელსაც უკვე შეება ორთვალაში თავისი ქორფლიანი ლურჯა.

— მე ვიქნები, ჩემო ილარიონო, მე, — დაფაცურდა სეფე, — თუ ვიქნები ვიქნები რა აიტანს ახლავ მდგომარეობა მან და ჩაის ბუჩქზე გადაფენილი დაბამბული ჯუბა მოისხა გამხდარ მხრებზე.

— ჯღერობს ქალო, ჩაბრძანდი ილარიონის ემადინში, — მიმართა მან ცოლს. — შენც დაბრძანდი, დანიელ.

— არა, ჩვენ ფეხით გაუყვებით, ეგები ქეც გაეასწროთ მაგ თქვენ „ემადინს“, — ჩაიცინა დანიელმა, და ფართო ნაბიჯით გაემართა კოლმეურნეთა აბალი ჯგუფისაკენ, ეკალიბტების მიღმა გზაზე რომ გამოჩნდა.

და თითქოს დანიელის სიტყვების დასადასტურებლად ილარიონს „ემადინი“ კარგახანს ვერ დაიძრა აღგლიდან ქორფლიანი ლურჯა გაჯიუტდა, ტლინკებს ყრიდა და გავას მალლა ისროდა, ისე თავგამეტებით, რომ ურემზე მგდომი ალვასი ჭავლს ჩააფრინდა და გულგახეთქილი კიოდა:

— გადმომსვით გადმომსვით, ფეხით წამოვალ, ის მიჩვენებია, საცხა დამამტვრევს ეს შეჩვენებული ცხენი.

ილარიონი უშწოდ უტრიალებდა ცხენს და დუღუნებდა:

— რა ღმერთი გიწყრება! ქე იყავი ღეთისნიერად და ახლა რამ ვაღაგრაი.

სკაჩიაც აპირებდა ილარიონის ურემზე დაჯდომას, მაგრამ ეს გართულება ენაკეიმატობით მთლად ცეცხლს უნთებდა საწყალ ილარიონს. ბოლოს რომ დაინახა, განზე ვადგა და ჩვეული ენამაკეიბტობით მთლად ცეცხლს უნთებდა საწყალ ილარიონს. ბოლოს ესეც მობეზრდა.

ლევანი ჭის ოწინარევით აზიდულიყო ბრიგადის წევრებს შორის ასინეთიც ჩვეულებისამებრ რალაცას წიწმატობდა და ბრიგადირს უტევდა. ლევანი აბეზარ ბუშვივით იგერიებდა გაკაპსებულ ქალს.

ილარიონი კი კვლავ თავის ცხენს ეჯაჯგურებოდა. მოსართავებს ხან მო-





უკერდა, ხან მოუშვებდა, თან გულნაწყენად დუღდუნებდა:

— რა უბედურებაა, ყველაფერი ჩემთვის რომ მოიცლის, ყველა ცხენი ცხენს ჰგავს, და მე რა შემომამჩნევს ეს დამთხვეული.

ქიშვარდი, რომელსაც დიდხანს უქმად ყოფნა არ შეეძლო, სეფეს „ღრიანეს“ დაუბრუნდა, ბაქურიაც იქვე ტრიალებდა. ციციონი სასურებელი მანქანა ურემზე დადო და თხრილთან მივიდა.

— გეყოფა, ვარდქიშ, წავიდეთ. — ზის ხმაში ისეთი სინაზე და მადლობა ისმოდა, რომ ქიშვარდი უფრო მიეძალა სამუშაოს.

ილარიონის კორფლიანმა ლურჯამ, როგორც იყო, შეისმინა პატრონის შეგონება და ტლინკების სროლა შესწყვიტა. ცოლის გვერდით ჩამოჯდა.

— წამოდი, აწი ჩემი ბიძი! — აღერსიანად გადმოსძახა მან ქიშვარდის, — გეყოფა აწი ზეშაობა.

— არა, ამ ჩაბარულს ამოვწყენდ ბარემ, თორემ რომ გაწვიმდეს, ისევ ჩაიგლისება, ხელახლა მოსათხრელი გახდება, — არ ეშვებოდა მუშაობას ქიშვარდი.

— გაყვეთ თქვენ, ბაბა, ჩვენ ახლავე დაგეწვეით, — გასძახა ციციონი ურემზე დამსხდარ ბლვასის და სეფეს. მაგრამ ეს „ახლავე“ დიდხანს გაგრძელდა. ქიშვარდის გახურებულ მუშაობას ბაქურიაც გაეტაცა. ნაყარ მიწას გუმბათივით აზვიანავდა, აღფრთოვანებული ჰყიოდა:

„ნახეთ, იალბუზს ვაშენებ, იალბუზს!“

ქიშვარდიც დაუხარებლად უმატებდა მიწას ბაქურიას იალბუზს.

უკვე ბინდი ჩამოწვა. ეასაკებმა ძილისპირული ყაპყაბი გააბეს. ბადრ მთვარეს დღისეულად რომ აკრილიყო ცაში, ოქროს ფერი დაედო. ქიშვარდის და ბაქურიას შეჯიბრს კი ბოლო არ უჩანდა.

— ახლა კმარა, ვარდქიშ, — მეუბნებოდნენ სთქვა ციციონი. თხრილს უხრად გადგებელი ქიშვარდის ბაქურიაც მხრუნველად გაბერტყა.

ქიშვარდიმ მორჩილად დასდო ბაჩი და თხრილიდან ამოვიდა.

ბაქურიაშიც უკანასკნელად მოაბირკეთა თავისი „იალბუზი“ და სამივენი შინისაკენ დაიძრნენ.

— ჩვენები ახლა სად იქნებიან ასული. — სთქვა ბაქურია, — ვეღარც კი დავეწვეით.

— ნაციხვარიდან გადავიდეთ, თავი გადუსწროთ, — აღჩქარა ნაბიჯს ქიშვარდი.

ამ დროს სადღაც ქვემოდან მოტორის გუგუნი გაისმა.

— მახქანა მოდის, — დაიკვივლა ბაქურია: — მე დაუხედები, გავაჩერებ, და ჩაის ბუნჩუზე ხტომით მოკურცხლა. ქიშვარდიმ ციციონს მკლავში ხელი მოაელო და ისინიც შარავნისკენ დაეშვნენ.

ქიშვარდიმ მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ საკმაოდ დაქანცულიყო ამ სულმოუთქმელი ბარევით, მაგრამ გულით ეწადა, რომ ციციონი მანქანით მიეყვანა შინ. და ამ სურვილს თითქოს ფრთები შეესხა მისთვის. ისე მიაქანებდა ციციონს, თითქოს ლელო გააქვსო.

ციციონსაც ფეხი შეეწყო მისთვის, მსუბუქად მიჰქროდა. პირქარი თმას უწეწდა ციციონს, სახეზე აფენდა ვაყს. სუნთქვა შეკრული, სახე აფაკლებული გამოიჭრნენ კიდევ გზის მოსახვევში და მანქანის ფანრებმა სახეში შემოანათეს. ეს ჩაის ქარხნის საბარგული იყო, ცალიერი ყუთებით დატვირთული. შოფერმა წუთით შეაყენა მანქანა. მოტორი კი ისევ გუგუნებდა. ბაქურია ყუთებზე გადაჰყრილ თოკს მოეჭიდა და კატასავით აძვრა მთად აზიდულ ყუთებზე. ციციონს და ქიშვარდის უწყიოდა:

— ამოდით, ამოდით ჩქარა, მანქანა ჩვენს პუნქტზე მიდის. — ქერა-თმიანმა მუშამ, უზბეკური ტუბეტეკია რომ

ეხურა თავზე, ფეხით ძარის კიბეს და-  
ებჯინა:—მობრძანდით კრეფის ოსტა-  
ტო,—ლიმილით გამოუწოდა მან ციცი-  
ნოს ხელი.

— დედოფია! ეს ის ვაჟი არაა, იმ ლა-  
მეს რომ შეგვხვდა, ქარხნის დასათვა-  
ლიერებლად, რომ ვიყავით! — გადაუ-  
ლაპარაკა ციციანომ ქიშვარდის.

— მაშ, მაშ — აიტაცა ქიშვარდომ —  
მაგას მიტია ჰქვია. არ გახსოვს ხის ფე-  
ხიან დარაჯს რომ უთხრა შენზე: „ეს  
ის ფარვანიძეა, დღეს ორასთორმეტი  
კილო რომ მოკრიფა“.

მიტია კი ისევ იღვა ხელგამოწვდილი,  
მოლიმარი სახით.

— მაღლობთ მიტია. — ალერსიანად  
უთხრა ციციანომ, — მაგრამ მაქ სად  
უნდა დავჯდეთ? შემკრთალად ახედა  
მან მთად დახორავებულ ყუთებს, სა-  
ყორნიას მწვერვალია პირდაპირ. გად-  
მოგყვარის სადმე მოსახვევში. შენც ჩა-  
მოდი ძირს, ახლავე ჩამოდი, გადმოვარ-  
დები! — დაუცაცხანა მან ბაქურას.

— არაფერსაც არ ჩამოვევარდები, —  
კიდევ უფრო მაგრად ჩაებლუჯა ბაქუ-  
რია თოქს.

შეშფოთებული ციციანო მანქანას მი-  
ეჭრა, მაგრამ ამ დროს მოტორი მძლავ-  
რად აგუგუნდა და მანქანა ადგილიდან  
დაიძრა. მიტისა პაერში დარჩა გაწვდი-  
ლი ხელი.

მანქანა თვალს მიეფარა. ციციანო და  
ქიშვარდი მარტონი დარჩნენ. თვალის  
მომკრულ შუქის შემდეგ კიდევ უფრო  
შედეღდა წყვილიანი მათ გარშემო, რა-  
ღაც საამურად შემოადგათ მათ ეს რბი-  
ლი, ხვევრდოვანი სიბნელე.

— საკვირველია, როგორ მოვაგონ-  
დი, — ლიმილით ამბობდა ციციანო, —  
გახსოვს ვარდქიშ, ქარხნის კიბეზე რომ  
ავრბოდით სულმოუთქმელად, ყველა  
კარებიდან რომ შემოგვეცქეროდა ხალ-  
ხი, — გააკყვა ამ საამო მოგონებებს ცი-  
ციანო.

— მერმე ქარხნის სხვენში რომ ავე-  
დით, ჩაის ფოთოლი რომ გაწვიმდა წი-

თელ კაბაზე... — განაგრძობდა ციცი-  
ნოს ფიქრებს ქიშვარდი. ეგრევე...

— ეს როგორღა დაგამხსნის... —  
სახე გაუბრწყინდა ციციანოს.

— ძალიან გიხდებოდა ის კაბა... — და  
დამორცხვებულმა ქიშვარდომ სხაბა-  
სხუბით განაგრძო. — მერმე, გახსოვს,  
ჩაი რომ გავგასინჯეს, „საქართველოს  
თაიგულიაო“, და ჩვენ არც გემო გავ-  
ვიგია და არც სუნნი, კინაღამ პირი და-  
ვიფუფქეთ სიჩქარით.

ციციანოს გაეცინა და ქიშვარდის  
მცლავში ხელი გაუყარა.

— მერმე გახსოვს, ვარდქიშ, შინ  
რომ ებრუნდებოდით, ყველა გზას გვი-  
თმობდა და სულ წინ აღმოვჩნდით... —  
დაიწყო ციციანომ და უცებ შეჩერდა  
თითქოს სიტყვა გაუწყდა. — მოაგონდა  
მაშინ „საბოლოო გრძნობებზე“ რომ  
ჩამოუგდო სიტყვა ქიშვარდომ. ირიბად  
გახედა ვაქს და ლოყები აუფაქლდა,  
ოდნავ შეუთრთოლდა ხელი, ქიშვარდის  
ხელს რომ ეყრდნობოდა. ეს თრთოლვა  
ვაქსაც გადაედო. ორივენი სდუმდნენ.  
თვალწინ დაუდგათ ის საღამო, შეტო-  
ლებელნი რომ მიემართებოდნენ შინი-  
საკემ გამარჯვების და სიახლოვის  
გრძნობით აღსაყენი. არც თუ ისე  
დიდი ხანი გასულიყო მას შემდეგ, მაგ-  
რამ ბუნებაში უკვე შემოჭრილიყვენ  
შემოდგომის ფერები. ნიავეზე შრია-  
ლებდნენ სიმინდის გამხმარი ფოთლე-  
ბი, მწიფე მალღარის დამათრობელი  
სურნელი იღვა გარშემო, ვაქს კი ეჩვე-  
ნებოდა, რომ ეს იგივე საღამო იყო.  
ისევ შემოადგა გულს მაშინდელი  
კრთომა და მღელვარება. იგრძნო რამ  
დადგა წუთი, როცა უნდა ეთქვა გადამ-  
წყვეტი სიტყვა. მაგრამ როგორ დაიწ-  
ყოს. ამ დასაწყისზე ის მუდამ ფიქრობ-  
და და თავის გულში გრძელ გრძელ სა-  
უბრებს გაუბამდა ხოლმე ციციანოს. მაშ  
სად გაქრნენ ახლა ის წყვეული სიტყვა-  
ბი. რა მოხდის!

— ვარდქიშ, რამდენიმე რამ შეიცე-  
ლა იმ საღამოს შემდეგ, — მეოცნებე

ხმით სთქვა ციციანომ: გახსოვს; რა გაუბედავი, შშიშარა ვიყავი მაშინ. რამდენი ჩიხინი დაგვირდა, რომ რეკორდზე გამოგვეყვანე. ახლა კი არავითარი სიძინეღე აღარ მაშინებს.

ის ის იყო ევკალიპტების ჩეროდან გამოვიდნებ და სავსე მთვარის რბილი ნათელი დაფინა ქალიშვილის სახეს. ქიშვარდომ შეხედა და განცვიფრებული შესდგა. თითქოს ყველაფერი წინანდებური იყო, ეუფუნა თვალები, აშოლტოლი ტანი, გრუზა ნაწნავები და მაინც ეს არ იყო წინანდელი ციციანო. მისი ლურჯი თვალები მტკიცედ, თავდაჯერებით გამოიყურებოდნენ და თითქოს სიარულიც რალაცნაირი მტკიცე ჰქონდა. როგორ გამოეპარა ქიშვარდის ეს ცელილება.

— მართლაც ძალიან გამოიცვალე! — გაოცებით წარმოსთქვა მან, — თან თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა ქალიშვილს.

ციციანო სიხარულისაგან აინთო.

— ხომ, ვარდქიმ! ბაბას კი არა სჯერა. ზე და ყოხა მერგოლურებად რომ გამოგვეყვანე, ბაბას ეშინოდა, თავს ვერ გაართმევ მაგ საქმესო. იმახოდა, „უონას რას ეტოლები, იმას წელმაგარი ოჯახი უდგას გვერდშიო. მარტო ძმა რათა ღირს, ბუღასავეთ ბიჭიაო“. ხომ იცი, ბაბა ყველაფერში ახლებურად მსჯელობს, ამ ერთში კი ძველებური შეხედულებისაა. მისი აზრით ოჯახის დედაბოძი უსათუოდ ვაეიშვილი უნდა იყოს!

ციციანო წუთით გაჩუმდა. ქიშვარდიც დუმდა.

— რასაკვირველია, ბაბა შემცდარია, — ისევ დაიწყო ციციანომ, — მე არავითარი სამუშაო არ მაშინებს. თუ საერთო საქმეზე გული შეგტკივა, ყველაფერს მოერევი. მაგრამ მოსწრებული ძმა რომ მედგეს გვერდში, მაინც რამ-

ხელა იმედია! — ციციანომ ნაღვლიანად ამოიოხრა.

ციციანოს ხმაში ელერტობის მხრებზე და, ისეთი წადილი, ვაჟისთვის თავისი სული გადაეშალა, რომ მისი სიტყვები რალაც მწვავედ და ტუბილად მოხვდა გულში ქიშვარდის. და ამ ღამეში, მალარის გამაბრუებელი სურნელით რომ გაელენთილიყო, ეს სითბო, ეს ხავერდოვანი სიღბო, ქალის ხმაში რომ ეღერდა, ცეცხლად შემოენთო ქაბუჯის გულს. განა — ძმაზე ხაკლებ საიმედო ვარ მე შენთვის, — რალაცნაირი გულისტკივილით აღმოხდა მას.

ციციანო სწრაფად შემობრუნდა. თავისი მოქნილი თითებით ქიშვარდის მხრებს შეეხო.

— ჩემო ვარდქიმ, მაგას როგორ ლაპარაკობ. მე ვერასდროს, ვერასდროს ვერ გადავიხდი, რაც შენ ამაგი დამდე.

მისი ლურჯი თვალები პირდაპირ სულში ჩასცქეროდნენ ქაბუჯს. იგი რალაც ახალი, იღუმალი და ნაზი ღიმილით იღიმებოდა. ასეთი ღიმილი ქიშვარდის არასდროს ენახა მის სახეზე. დიდხანს შეგუბებული გრძნობები ნიაღვარივით მოსკდნენ, გაარღვიეს სიმორცხვის და გაუბედავობის ჯებირი. ორივე ხელი შემოხვია და მძლავრად მიიკრა გულზე, რომელსაც ისეთი ბაგაბუგი გაუღიოდა, თითქოს მკერდიდან ამოვარდნას ღამობსო. იდგნენ ასე მოჯადოებულებივით. ბოლოს ციციანომ ფრთხილად გაინთავისუფლა თავი და აწეწილი ნაწნავები მხრებზე გადაიყარა. ქიშვარდომ შინით ჩახედა თვალბუში — ხომ არ მიჯაერდებაო. მაგრამ ციციანო ნაზად და ოდნავ ეშმაკურად იღიმებოდა იმავე იღუმალი ღიმილით. თვითონვე გაუყარა მკლავში ხელი, მხარზე მიიკრა და წასიურჩულა ისე, რომ თითქმის შეეხო ტუჩებით მის ყურს.

— წავიდეთ, ვარდქიმ, უკვე გვიანაა. ზანგმორეულებივით მიდიოდნენ და

ვერც კი შენიშნეს, თუ როგორ მიაღგნენ სეფეს ჭიშკარს. დიდხანს ეჭირა ციციონოს ჭიშკარდის ხელი თავის ნაზ ხელელებში და მთელი მისი არსებიდან იმდენი სითბო და ალერსი გამოკრთოდა, რომ სიხარული სირბილით მიაქანებდა ჭიშკარდის შინაშდის, თითქოს ეშინოდა გზაში არ დაბნეოდა ეს ბედნიერება.

ჭიშკარდი ახალი ოდის აივანზე წევს. ხელეები თავქვეშ შემოუწყვია. ეზოში ქარი კატასავით ეთამაშება მიმობნეულ ბურბუშელას. ხან ოდის წინ ააშრიალებს, ხან ეზოს კუთხისაკენ გაიტაცებს. უკანასკნელი დღეების სასიხარუ-

ლო ფაცა-ფუცში ჭიშკარდის ხელი აქი შეამჩნია, თუ როგორ ეჭირა ციციონოს დასასრულს ოდის შეხება. დღესაც ემუშავნათ ხელოსნებს: ოდას უკვე დაედგა მარჯუნისფერი კრამიტის გვირგვინი. მხოლოდ აივანი დარჩენილიყო გადაუხურავი. კოჭების ამაღლასა და ლარტყების შორის მოჩანდა მუქლაქვარდი ცის ნაჭერი და ციციანათლებივით მოციმციმე ვარსკვლავები. საესე მთვარე უკვე ცის სხვენზე იყო ასული, მაგრამ თითქოს სულ ზევით და ზევით, მეშვიდე ცისკენ მიიწევდა. ჭიშკარდის სიხარული კიდევ უფრო მაღლა მისწრაფოდა.

კავახ მარბიანი

## ყარმობილან მიყვარს



იმ დღიდან მიყვარს სურათი ერთი,  
როცა პატარა ბიჭუნა ვიყავ.  
მე მაშინ პირველ სტრიქონებს ვწერდი  
და ძლივს ვარჩევდი წიგნებში სიტყვას.

მას შემდეგ წელი გავიდა ბევრი  
და ბევრჯერ, ბევრჯერ გავიზაფხულე.  
სურათი ისევ ჰკიდია ზევით  
და ჩემს მაგიდას თავზე დაჰყურებს.

ის არც მხატვარის ფუნჯს დაუხატავს,  
მას არ ამკობენ უცხო ფერები,  
ფოტო-სურათი მიყვება ამბავს  
მეგობრობის და ბედნიერების.

გორკაში, ბაღში სკამებზე სხედან  
და თვალი ჩვენსკენ აქვთ მოპყრობილი,  
ორი ბელადი გვიღიმიის ერთად,  
ორი ბელადი კეთილშობილი.

მ.ს.წ. წაჩწერა მაქვს მიწერილი  
ბავშვეური ხელით გამოყვანილი:  
— „ მე მიყვარს დიდი ძია ლენინი,  
— „ მე მიყვარს დიდი ძია სტალინი“.

ახლაც სურათი თავზე დამოქერის  
და შინახოლი მაქვს სასოგობით  
ჩემი ბავშვობის დროის ნაწერი,  
პირველი სიტყვა ჩემი ცხოვრების

მე ყოველ დილით მათ თვალებს ვხედავ,  
 მათ სპეტაკ ღიმილს, ღიმილით ვხედები.  
 გორაკში, ბაღში სკამებზე სხედან  
 რევოლუციის უბადლო ძმები.



ქართული  
 წიგნწერის  
 კავშირი

ორი ბელადი კეთილშობილი  
 თავზე დამცქერის გამარჯვებული,  
 თვალები ჩემსკენ აქეთ მოპყრობილი,  
 მათი შუქით ვარ განათებული.

პახანა მოკბანელი

## ლ ე ნ ი ნ ი

★

ის არ მომკვდარა, ვერ მისწვდება სიკვდილის ცელი,  
მან ხალხის გულში მარადისი იპოვა ბინა.  
კვლავ ცოცხლად გვიდგას მისი სახე. ვუცქერით ლენინს,  
მის სპეტაკ შუბლზე კომუნიზმის ნათელი ბრწყინავს.

ვინ სთქვა, მოკვდაო, ვინ დაუღო სიცოცხლეს მიჯნა;  
დგას ტრიბუნაზე, წინ გვეძახის გაწვდილი ხელით;  
ის ჩვენთან არის, მშრომელთ შორის საუბრობს დინჯად  
და ხალხში დადის ცისკარივით ვლადიმერ ლენინ.

მან გადაშალა, ჩვენი დიდი ცხოვრების წიგნი;  
აბა გახედეთ, როგორ ჰყვავის ეს მთა, ეს ველი,  
ჩვენს ყოველ წინსვლას მშობელივით დაძაბარის იგი,  
ჩვენს ყოველ წინსვლას ამჩნევია ილიჩის ხელი.

ის ჩვენთან არის, ცოცხლობს მისი საქმე და სიტყვა,  
მავზოლეუმში მიუღულავს არწივის თვალი; —  
მას სძინავს წყნარად, რადგან ჩვენი ცხოვრება მიჰყავს  
იოსებ სტალინს.

---

## ლ ე ნ ი ნ ს



შენ გიგონებთ, შენ გიმღერის ჩვენი ლექსი,  
ხარ უკვდავი ბელადი და ბრძენი,  
სადაც ვშრომობთ, ჩვენ შენი ხმა გვესმის,  
მშობლიურად, საყვარელო ლენინ!

შენს მძლე დროშას მტერი ვერსად მოერია,  
შენ გვარგუნე დღე იმედის, ლხენის,  
მზე სტალინმა, გამირთა-გამირმა და გენიამ,  
აგისრულა შენ ანდერძი, ლენინ!

შენ ცოცხლობ და გული როგორ დაღონდება?  
არ შევდრკებით, გზა დაეძლიეთ ძნელი,  
ჩვენ ყოველთვის შენი სახე გვაგონდება,  
ბრძენთა-ბრძენად მშობლიურად ლენინ!

როცა აღსდგა ჩვენი ხალხის შურისგება,  
გარს გვეხვია მტრების ურდო ბნელი,  
შენი სახე, როგორც მტკიცე მოწოდება,  
გვინათებდა, საყვარელო ლენინ!

მიყვებოდით ჩვენ დიდ სტალინს, საქმით მართალს,  
ჩვენ ვეკვებოდით ფაშისტების ბერლინს,  
რაიხსტაგზე როცა დროშა აღიმართა, —  
მაშინ ჩვენთან შენც იბრძოდით, ლენინ!

შენი სიტყვა, შენი აზრი და მოძღვრება  
მტრებისათვის არის შიშისმგვრელი,  
შენს დიდ საქმეს დღეს სტალინი მიუძღვება, —  
ცოცხალი ხარ, საყვარელო ლენინ!..



ნიკოლოზ ჩხეიძე

## ბელადის წიგნი



გადაშლი წიგნს და ბელადის აზრი  
ჩირადდანივით გზას ვაგინათებს.  
ბრძოლებისათვის ვინმობს და გრაზმავს,  
გაგამხნეებს და ძალას გიმატებს.

გიმატებს ძალას და დაგაჯერებს,  
აი, რა ძალუმს ბელადის ნაფიქრს,  
როგორ აჩნია მინდვრებს და სერებს  
ეს თვალუწყდენი ფიქრები მძაფრი.

ყოველ სტრიქონს და თვითულ მძიმეს  
ო, რაოდენი იმედი ახლავს.  
ო, რაოდენი წუთები მძიმე  
ვანუცდია და შემოუნახავს.

შემოუნახავს ხალხისთვის ძალა,  
სიბრძნე ხალხისთვის არ ჩაუქვრია,  
და ახლა რამდენ სოფელს თუ ქალაქს  
ბელადის სიბრძნით ნაკები ჰქვია.

ეს წიგნი სადაც შეაღებს კარებს,  
ჩაგრული სტამბა და გაიხარებს.  
ეს წიგნი სადაც გაჩნდება, უმაღ  
სიციცხლე ღვივის ცხადად თუ ჩემად.

ეს წიგნი არღვევს უკუნს და ბნელეთს  
და ახლებურად აბრუნებს ხმელეთს.  
ეს წიგნი ყველგან უნერგავს იმედს,  
სიხარულს აძლევს ბერძენს თუ ჩინელს.

ხალხებს უბრუნებს შვებას და ღზენას,  
ხალხებს მფარველობს და ხალხებს შველის.  
პისთვის უწოდა ხალხთა სიმღერამ  
პას გამარჯვების დიდი სახელი.

მ. კახაიძე

## პარსკვლავი

მოთხრობა

★

### თავი პირველი

შეტვეზზე გადასული დიეზიზა ღრმად შეიჭრა უსახურო ტყეში და იქ შთანთქმა.

ის, რაც ვერ მოახერხეს ვერც გერმანელთა ტანკებმა, ვერც გერმანელთა ავიაციამ, გააკეთეს ამ ფართო ტყიანმა სივრცეებმა და ომით გაფუჭებულმა და გაზაფხულის ნიაღვრებით წალეკილმა გზებმა. შორეული ტყის პირი გაიჭედა საომარი მასალითა და პროდუქტებით დატვირთული საბარგო მანქანებით. აქა-იქ გაფანტულ ხეტორებში ჩაჩნენ სანიტარული ავტომობილები. უსახულო მდინარეთა ნაპირებზე უსაწყვავოდ დარჩენილმა საარტილერიო პოლკმა მიმოფანტა თავისი ზარბაზნები. ყველა ესენი ყოველ საათობით კატასტროფულად უკან რჩებოდნენ ფეხოსან ჯარს, რომელიც განახევრებული საკვებითა და თითოეულ ვაზნაზე კანკალით, მაინც განაგრძობდა მარტოდ-მარტო წინსვლას. შემდეგ ისიც მოეშვა. მისი იერიში თანდათან სუსტი და თანდათან გაუბედავი ხდებოდა. ისარგებლეს რა ამით, გერმანელები გავიდნენ დარტყმის ზონიდან და აჩქარდნენ დასავლეთისაკენ.

მოწინააღმდეგე გაპქრა.

მოწინააღმდეგესაგან ჩამორჩენილი ფეხოსნები მაინც განაგრძობენ იმ საქ-

მის კეთებას, რისთვისაც არსებობენ: ისინი იკავებენ მტრისთვის ბრძოლით წართმეულ ტერიტორიას. მაგრამ მოწინააღმდეგეს მოწყვეტილ მშვერავებზე უსიხარულო სანახავი არა არის რა. თითქოს არსებობის აზრი დაპყარგესო — უსულო სხეულებით მიაბიჯებენ გზის ნაპირებზე.

ერთ ასეთ ჯგუფს წამოეწია თავისი „ვილისით“ დიეზიზის მეთაური პოლკოვნიკი სერბიჩეკო. ის ნელა გამოვიდა მანქანიდან და გაჩერდა ატლახებულ და ჩამოხორცილ შუაგზაზე, დონეზე შემოყრილი დამცინავად იღიმებოდა.

მშვერავები, დიეზიზის მეთაურის დანახვისას, შეჩერდნენ:

— როგორაა საქმე, პა, — იკითხა მან, — გავისხლტათ მოწინააღმდეგე, არწივებო? სად არის მოწინააღმდეგე? რას აკეთებს ის?

წინ მიმავალ მშვერავში მან ლეიტენანტი ტრაკინი იცნო. (დიეზიზის მეთაურს ასსოვდა ყველა თავისი ოფიცრის სახე).

პოლკოვნიკმა საყვედურით გაიქნია თავი:

— მაინც რასა იქმ—შენ, ტრაკინი? — და გესლიანად განაგრძო:

— მხიარული ომი გეაქვს, შეიძლება ითქვას, — სოფლებში რძე სვა და ქალებში იხეტიალო... მნაირად გერმა-

ნიამდის შეიძლება ისე მივიღეთ, მოწინააღმდეგე ვერც კი დავინახოთ. კარგი კი იქნებოდა, არა? — შეეკითხა იგი პოულოდნელი გამხიარულებით.

მანქანაში მჯდომი დივიზიის შტაბის უფროსის პოდპოლკოვნიკ გალიევის მოქანცულ სახეზე ოდნავი ღიმილი კრთოდა. ჰკვირობდა პოლკოვნიკის გუნების უეცარ ცვლილებას. ერთი წუთის წინ პოლკოვნიკი შეუწყალებლად ტუქსავდა გალიევის უთავბოლობისათვის და ისიც ჩემად, გულმოკლული უშენდა.

მზვერავების დანახვისას დივიზიის მეთაურს გუნება შეეცვალა. პოლკოვნიკმა სერბიჩენკომ თავისი სამსახური 1915 წელს ქვეითი მზვერავიდან დაიწყო. საბრძოლო ნათლობა მზვერავობაში მიიღო და გიორგის ჯვარი დაიმსახურა. მზვერავებისადმი რაღაც უცნაური სიყვარული შერჩა მას მარად. მის გულს სიხარულით ატოვებდა მზვერავების მწვანე ნიღაბხალათები, მათი მზით დაწვეარი სახეების დანახვა და უხმაურო ნაბიჯები. დაწალიყვებით ერთი მეორის მიყოლებით მიდიან მზვერავები გზის პირას. ყოველ წუთს მზად არიან გაჰქრნენ, შეუერთდნენ ტყის მღუმარებას, ოღრო-ჩოღროებს და სიბნელეში მოციაცე ლანდებს.

დივიზიის მეთაურის საყვედურები სერიოზული ხასიათისა იყო. მართლაც, მისცე მოწინააღმდეგეს წასვლის საშუალება, ანდა როგორც ამას უწოდებენ სამხედრო წესდების საზეიმო ენით, — მისცე მას მოწყვეტის საშუალება, — ეს მზვერავებისათვის მეტად არასასიამოვნო რამაა, თითქმის სამარცხენოც.

პოლკოვნიკის სიტყვებში იგრძნობოდა შემაწუხებელი შიში, დივიზიის ბედ-იღბალზე. მას ეშინოდა მოწინააღმდეგესთან შეხვედრისა, რომ დივიზია ხისხლისაგან დაცლილი და ზურგს მოწყვეტილი იყო. მაგრამ ამავე დროს შეხვედრაც უნდოდა ამ გაუჩინარებულ

მოწინააღმდეგესთან, სცემოდა მას, გაეგო რა სურს, რის შემდეგაც თანაც ამასთანავე უკვე დრო იყო შეჩერებულ იყვნენ, მოეყვანათ წესრიგში ხალხი და სამხედრო მეურნეობა. თითონაც არ უნდოდა გამოტეხოდა თავისთავს, რომ იმის ეს სურვილი რა თქმა უნდა ეწინააღმდეგებოდა მთელი ჩვენი ქვეყნის აღზნებულ გულისთქმას, მაგრამ მაინც ოცნებობდა, რომ იერიში შეჩერებულყო. ასეთია ხელობის საიდუმლოება.

მზვერავები კი იღგნენ ჩემად, მხოლოდ ადგილზე ტოკავდნენ და საკმაოდ საწყყად გამოიყურებოდნენ.

— აი, ესენია შენი თვალი და ყური, — აგდებულად უთხრა მეთაურმა შტაბის უფროსს და მანქანაში ჩაჯდა.

„ილისი“ დაიძრა.

მზვერავები იღგნენ კიდევ ერთ წუთს, შემდეგ ტრავეკინმა ნელა გასწია წინ და დანარჩენებიც მიჰყვნენ მას.

ჩვეულებისამებრ ტრავეკინი ყოველ გაფაჩუნებას მიაყურებდა და თან თავის ოცუულზე ფიქრობდა.

როგორც დივიზიის მეთაურს, ისე ლეიტენანტსაც სურდა და თან ფრთხილობდა მოწინააღმდეგესთან შეხვედრას. სურდა იმის გამო, რომ მოვალეობა უკარნახებდა ამას, და კიდევ იმიტომ, რომ ის დღეები, როცა იძულებული იყვნენ უმოქმედოდ გაეტარებიათ, დამღუბელად მოქმედებდა მზვერავებზე და სახიფათო სიხარმაცისა და უზრუნველობის ქსელში ახვევდა მათ. ფრთხილობდა კი იმიტომ, რომ თვრამეტი კაციდან, რომელიც იერიშის დასაწყისში ყავდა მას, დარჩა მხოლოდ თორმეტი. მართალია, მათ შორის იყვნენ მთელი დივიზიისათვის ცნობილი ანიკანოვი, შეუპოვარი მარჩენკო, მამაცი მამოჩინი და გამოცდილი ძველი მზვერავები ბრაცნიკოვი და ბიკოვი. დანარჩენები კი იყვნენ იერიშის მსვლელობის დროს ნაწილიდან შეკრებილი გუშინდელი მსროლველები. ამ ადამიან-

ნებს ჯერჯერობით ძალიან მოსწონთ იარონ დახვეწვაზე, აბიჯონ ერთი მეორის მიყოლებით პატარა ჯგუფებად, ისარგებლონ ქვეითი ნაწილისათვის წარმოუდგენელი თავისუფლებით. ისინი დიდებითა და პატივისცემით არიან გარემოცულნი. რასაკვირველია არც შეიძლება ამან არ გააამაყოს ისინი. ამიტომაც აქვთ მათ არწივისებური გამოხედვა. მაგრამ როგორი იქნებიან საქმეში, ეს არავენ იცის.

ტრაკინი ახლა მიხვდა, რომ სწორედ ამ მიზეზებმა აიძულეს იგი არ აჩქარებულყო. დივიზიის მეთაურის საყვედურმა მას, ცოტა არ იყოს, გული ატყინა, მით უმეტეს იცოდა, თუ როგორ უყვარდა სერბიჩეკოს მწვერავები. პოლკოვნიკის მწვანე თვალები შეყურებდა ტრაკინს ძველი, გამოცდილი მწვერავის, წინანდელი ომის უნტეროფიცერ სერბიჩეკოს მოცბიერო გამოხედვით, რაც მათ განმასხვავებელი წლებისა და წარსული თავგადასავლის შორეულ მანძილიდან თითქოს გამოცდით ეკითხებოდა: „აბა, ვნახოთ, როგორი ხარ შენ. ახალგაზრდავ, ჩემთან, მოხუცთან შედარებით!..“

ამასობაში ოცეული სოფელში შევიდა. ეს იყო დასავლეთ უკრაინის ჩვეულებრივი სოფელი, ხეტორის ყაიდაზე გაფანტული. ვეებერთელა, სამი კაცის სიმაღლის ჯვრიდან გადმოსცქეროდა ჯარისკაცს ჯვარცმული მაცხოვარი. ქუჩები დაცარიელებული იყო. მხოლოდ აქა-იქ ეზოებში ისმოდა ძაღლების ყეფა, და შინ ნაქსოვი ფანჯრის ტილოს ფარდების ძლივს შესამჩნევი მოძრაობა აჩვენებდა, რომ ადამიანები, ყურადღებით ათვალიერებდნენ სოფლის გზებზე მიმავალ ჯარისკაცებს.

ტრაკინმა თავისი ოცეული გორაკზე, განცალკევებით მდგომ სახლში მიიყვანა. კარები ხნიერმა ქალმა გააღო, მიმსვლელთ მან მოუგერია დიდი ნაგაზი და ხშირ. ქალია წარბებში ღრმად

ჩამჯღარი თვალებით დასჯდა შევიწკალებულ ჯარისკაცებს.

— გამარჯობათ, — უნებურად მამა, — ჩვენ თქვენთან ცოტახანს დავისვენეთ.

მწვერავები შეყვნენ ქალს სუფთა. შეღებულ იატაკიან ოთახში, სადაც მრავლად იყო ხატები. მწვერავებმა არაერთხელ შეამჩნიეს, რომ ამ მხარე მხატვები ისეთნი როდი იყვნენ, როგორც რუსეთში. რუსეთში ხატებს აქვთ წმიდანთა დაშაქრული ლამაზი სახეები და ისინი არ არიან მოჭედილობით შემკულნი. რაც შეეხება დედაკაცს, ის ზუსტად ჩამოგავდა კიევის ან ჩერნიგოვის მახლობლად მცხოვრებ უკრაინელ დედაბრებს, ურიცხვი ტილოს კაბებით და გამხდარი დამარღვეული ხელებით. განსხვავებულადა მათგან მხოლოდ ღია, გამსჭვალავი, არაკეთილი თვალებით.

მაგრამ, მიუხედავად მისი პირქუშობისა და თითქმის მტრულად განწყობილი ღუმილისა, მან შემოსულ ჯარისკაცებს მიართვა ახალი პური, ნაღებივით სქელი რძე, მკაფე კიტრი და კარტოფილით ქვაბი. მაგრამ ყველაფერ ამით იგი ისე კუშტად, არაკეთილი გამომეტყველებით თავაზობდა მათ, რომ ლუკმა ყელში არ გადადიოდა.

— აი, ბანდიტის დედა! — ჩაიბუტბუტა ერთმა მწვერავთაგანმა.

მან ნაწილობრივ გამოიცნო. მოხუცის უმცროსი შვილი მართლაც წასულა ტყეში ბანდიტური ვზით. უფროსი კი წითელ პარტიზანებს შეერთებია. იმ დროს, როდესაც ბანდიტის დედა მტრულად ღუმდა, პარტიზანის დედამ სტუმართმოყვარულად გაუღო მებრძოლებს თავისი ქოხის კარები. მწვერავებს დასანაყრებლად მოართვა მოხარკული ღორის ქონი და თიხის დოქით ბურაზი. პარტიზანის დედამ ადგილი დაუთმო ბანდიტის დედას, და იგი მოლუშულ სახით მიუჯდა თავის საქსოვ დაზგას. რომელსაც ნახევარი ოთახი ეჭირა.

მშვიდმა, ფართო, უბრალო სახისა და წვრილ-გამჭირახთვალეზიანმა სერკანტმა ივან ანიკანოვმა კითხა მის:

— ბებო, რატომ დუმხარ მუნჯი-ციო? დაჯექით ჩვენთან და მოგვიყვიეთ რაიმე.

გამხდარმა, ნერვიულმა და ბეჭებში მოხრილმა სერკანტმა მამოჩინმა დამცინავად ჩაიბუტბუტა:

— სწორედ რომ არშიყია ეს ანიკანოვი. ნეტავი რა სასიამოვნოა დედაბერთან მუსაიფი...

ფიქრებში გართული ტრავკინი საბლიდან გავიდა და კიბის ახლო გაჩერდა. სოფელი თვლემდა. გორებზე გლეხების დაფალმანღებელი ცხენები დადიოდა. იყო სრული სიწყნარე, როგორც შეიძლება იყოს მხოლოდ იმ სოფელში, რომელზედაც სწრაფად გაიარა ორმა ერთიმეორის მოწინააღმდეგე არმა.

— ჩაფიქრდა ჩვენი ლეიტენანტი, — ჩაილაპარაკა ანიკანოვმა, — როცა ტრავკინი გავიდა. — როგორ სთქვა მეთაურმა! მზიარული ომი გვაქვსო! რძე სვით და ქალებთან იხეტიალეო...

მამოჩინი აენტო:

— მეთაურმა იქ რა სთქვა, ეს მისი საქმეა. შენ რას ეჩრები? არ გინდა რძე — ნუ სემ, აგერ გეჯა წყლით. ეს შენი კი არა, ლეიტენანტის საქმეა. ის აგებს პასუხს უფროსებთან. გინდა ლეიტენანტს გადიობა გაუწიო? ვინა ხარ შენ? ერთი გაუთლელი სოფლელი. ჩამვარდნოდი ქერჩში, შე შენ ხუთ წუთში გაგატიტლებდი და თევზებს სადილად მიგყიდდი.

ანიკანოვმა გულიანად გაიცინა.

— ეს სწორია. ტან-ფეხზე ვახდა ეს შენი საქმეა, სადილების ოსტატია ხარ.

— მერე რა? — შეუტია მამოჩინმა, ანიკანოვის სიმშვიდით მუდამ დაგესლილმა, — სადილობაც შეიძლება. მწვერავი გენერალზე უკეთესად სადილობს.

სადილი გამბედაობასა და საზოიანობას მატებს ადამიანს, გასაგებია.

ვარდისფერლოყებიანი და სელისფერთმიანი ბრანეიკოვი, პირმრგვალი, კორფლიანი ბიკოვი, ჩვიდმეტი წლის ბიჭი იურა გოლუბოვსკი, რომელსაც გოლუბს ეძახდნენ, მაღალი, ლამაზი ფეოქტისტოვი და დანარჩენები ღიმილით უსმენდნენ მამოჩინის სამხრეთულ ცხარე ლაპარაკსა და ანიკანოვის მშვიდ, დალაგებულ სიტყვას. მხოლოდ მზარბეჟიანი, თეთრკბილებიანი და შავ-გერემანი მარჩენკო იდგა სულ საქსოვ დაზგაზე მომუშავე მოხუცთან, უყურებდა მის გამხდარ პატარა ხელებს, და ქალაქელი კაცის გულუბრყვილო გაყვირვებით იმეორებდა:

— ეს ხომ მთელი ფაბრიკაა!...

მამოჩინისა და ანიკანოვის ხან მზიარულსა და ხან მწვევე დავაში ყოველგვარ სავანზე: ქერჩის ქაშაყის უშირატესობაზე ირკუტსკის ორაგულთან შედარებით, საბჭოური და გერმანული ავტომატების ხარისხზე, აგრეთვე იმის შესახებ, პიტლერი გიცია, თუ უბრალო არამზადა, მეორე ფრონტის გახსნის ვადების შესახებ, — მამოჩინი იყო თავდამსხმელი მზარე, ხოლო ანიკანოვი თავის ჰკვიანურ, პატარა თვალებს ეშმაკურად მოჰუტუტავდა, მშვიდად, მაგრამ გესლიანად იცავდა თავს და თავის სიმშვიდით მამოჩინს ააფთრებდა.

მამოჩინს, რომელსაც ახასიათებდა შარიანი კაცის და ნურასტენიკის თავდაუტერლობა, აღიზიანებდა ანიკანოვის სოფლური სიღარბისლე და კეთილი ბუნება. ამ გაღიზიანებას ფარული შურიც ერთვოდა. ანიკანოვი ორდენოსანი იყო, მამოჩინს კი მხოლოდ მედალი ჰქონდა. ანიკანოვს მეთაური ისე ექცეოდა, როგორც თითქმის თავის ტოლს. მამოჩინს კი, როგორც დანარჩენებს. ყოველივე ეს აბრაზებდა მამოჩინს. ის თავს იმშვიდებდა იმით, რომ ანიკანოვი პარტიულია და ამის გამო სარგებლობსო განსაკუთრებული ნდობით.

მაგრამ თავის ვულში მინც აღტაცებული იყო ანიკანოვის დიხგი ვაქცაობით. მამოჩინის გამბედაობა კი ხშირად პოზიორობა იყო. საჭიროებდა მუდმივ წაქეზებას, და ის ვრძნობდა ამას. მას კი უზომო თავმოყვარეობა ჰქონდა. მას კარგი მწვერავის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული და ის მართლაც მონაწილეობდა უამრავ სასახლო საქმეებში, სადაც პირველ როლს მინც ანიკანოვი თამაშობდა.

სამაგიეროდ საბრძოლო დავალებებს შუა შესვენებებში მამოჩინმა იცოდა საქონლის შნოიანად ჩვენება. ახალგაზრდა მწვერავებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ საქმის კურსში, იგი აღტაცებას იწვევდა. მამოჩინი თავს იწონებდა განიერი შარვლით, ქრომის ყვითელი ფესაცმელებით, გიმნასტურის საყულო მუდამ გახსნილი ჰქონდა, შავი ქოჩორი კი თვითნებურად გადმოვარდნობდა ღია მწვანე ფერის ზედაწილიან ყუბანურადან. აბა, როგორ შედრებოდა მას ვეება, ფართო სახიანი და სადა ანიკანოვი!..

წარმოშობამ და თითოეული მათგანის ომამდელმა გამოცდილებამ,—ციმბირელი ანიკანოვის კოლმეურნის უნარმა, მელითონე მარჩენკოს მოსაზრებულობამ და ზუსტმა გაანგარიშებამ, მამოჩინის მეზღვაურის თავზებულაღებულობამ,— ყოველივე ამან თავისი დალი დასვა მათ ქცევასა და ჩვეულებას, მაგრამ წარსული უკვე ძალზე შორეულად მოსჩანდა. არ იცოდნენ, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ომი. ისინი მთელი არსებით ჩაებნენ ომში, ომი მათთვის გადაიქცა ყოველდღიურ ცხოვრებად და ეს ოცეული კი ერთადერთ ოჯახად.

ოჯახი! ეს იყო უცნაური ოჯახი, რომლის წევრები არც ისე დიდი ხნობით სტეპებოდნენ ერთად ცხოვრებით. ზოგნი მიემგზავრებოდნენ პოსპიტალში, ზოგიც კიდევ უფრო შორს, საიდანაც არავენ ბრუნდებოდა. ამ ოჯახს ჰქონ-

და თუმცა არა დიდი, მაგრამ სათულო ისტორია, რომელიც გაღვივებული ბიდან—„თაობამდე“. ზრგაფრანქსი პასოვდათ, პირველად როგორ გამოცხადდა ანიკანოვი ოცეულში. დიდი ხნის განმავლობაში ის არ მონაწილეობდა საქმეში. — უფროსთაგანი არავენ კისრულობდა მის თან წაყვანას. მართალია ციმბირელის ვეებერთელა ფიზიკური ძალა დიდ ღირსებას წარმოადგენდა, მას თავისუფლად შეეძლო მკლავებში მოემწყვდია და დაესჩიოთ. თუ საჭიროება მოითხოვდა, ორი კაც ერთად. მაგრამ ანიკანოვი ისეთი უზარმაზარი და მძიმე იყო, რომ მწვერავები შიშობდნენ: ერთიც ვნახოთ მოკლან. ან დასკრან? სინჯე და, გამოათრეე ის ცეცხლიდან. ანიკანოვი ამოდ ეხვეწებოდა და ეფიცებოდა მათ, რომ თუ დასკრიდნენ თითონ გამოხოხდებოდა, ხოლო თუ მოკლავდნენ: „ემშამაც წაგილოთ, მიმატოვეთ, მკვდარს გერმანელმა რა უნდა დამაკლოს!“. მხოლოდ შედარებით არც ისე დიდი ხნის წინათ, როცა ახალი მეთაური, ლეიტენანტი ტრაკვინი მოვიდა, დაქრილ ლეიტენანტის სკვორცოვის მაგიერად. მდგომარეობა შეიცვალა.

ტრაკვინმა პირველსავე დაწვერვანე წაიყვანა ანიკანოვი და ამ გოლიათმა მოგრიხა ვეება გერმანელი ისე მოხერხებულად, რომ დანარჩენმა მწვერავებმა ამოსუნთქვაც ვერ მოასწრეს. ის მოქმედებდა სწრაფად და უხმაუროდ, როგორც ვეებერთელა კატა. ტრაკვინმა კი ძლივს დაიჯერა, რომ ანიკანოვის მოსასხამში ფართხალობდა ნახევრად გაფუღული გერმანელი „მოენე“ დივიზიის ოცნება მთელი თვის მანძილზე. მეორეჯერ ანიკანოვმა სერეანტ მარჩენკოს დახმარებით შეიპყრო გერმანელი კაპიტანი. ამ საქმეზე მარჩენკო ფეხში დაიჭრა და ანიკანოვს მოუხდა გერმანელისა და მარჩენკოს ერთად წაყვანა; ნაზად იხუტებდა ამხანაგსაც და

მტრსაც, ფრთხილობდა არ დაეზიანებია არც ერთი.

ნაცადი მშვერავების საკმარისი საქმეები მთავარი თემა იყო ღამის გრძელი საუბრისათვის. ეს ამბები აღიზიანებდნენ ახალმოსულთა წარმოდგენას, ასაზრდოებდნენ მათში მათი ხელობის განსაკუთრებულობის საამაყო გრძობას. ასლა დიდი ხნის უმოკმედობამ და მტრისაგან დამორბამ ხალხი გააზარმატა.

ზორბად ჭამისა და წყოს ტყბილად გაბოლებს შემდეგ მამოჩინმა სურვილი გამოსთქვა ეს ღამე სოფელში გაეთათ, და არაყი ეშოვნათ. მარჩენკომ ბუნდოვანად სთქვა:

— ასაჩქარებელი აქ არაფერია... სულერთია ვერ დავეწვეით, გერმანელები ზორბად გარბიან.

ამ დროს კარები გაიღო და ტრაკინი შემოვიდა. მიუთითა დიასახლისს დაფალმანდებულ ცხენებზე და ჰკითხა:

— ბებია, ვისია ეს ცხენები?

ერთი იმ ცხენთაგანი, დიდი ქურანი ფაშატი, შუბლზე თეთრი ნიშნით, დიასახლისს ეკუთვნოდა, დანარჩენები — მეზობლებს. ოციოდე წუთის შემდეგ ეს მეზობლები მოიწვიეს დედაბრის ქოჩში. ტრაკინმა აჩქარებულად დაჯღაბნა ხელწერილი და სთქვა:

— თუ გინდათ, გამოგვაცოლეთ ვინმე თქვენი ბიჭებიდან და ის მოიყვანს ცხენებს უკან.

გლებებს ეს წინადადება მოეწონათ. თითოეულმა მათგანმა მშვენიერად იცოდა, რომ მხოლოდ საბჭოთა ჯარების სწრაფი წინააღმდეგობის წყალობით, ვერ მოასწრეს გერმანელებმა მთლად გაერკათ პირუტყვი და დაეწვათ სოფელი, მათ არ გაუწვევიათ წინააღმდეგობა ტრაკინისათვის, იქვე გამოყვეს გამყოლი, რომელიც რაზმთან ერთად უნდა გამგზავრებულყო. ტყაბუქიანი, თექვსმეტი წლის ყმაწვილი ამყობდა, თანაც შიშობდა მასზე დაკისრებულნი ხაპასუნისმგებლო მოვალეობის გამო.

ცხენებს ფალმანი შეხსნა, ლავბი ამოსდო, დაალეგინა წყვეტილ მხელე აცნობა მშვერავებს, წამკლან მხელე ბაო.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ცხენოსანი რაზმი სწრაფი ჩორთით დაეშვა დასავლეთისაკენ. ანიკანოვმა აღმაცურად გადახედა გვერდით ცხენის ჰენებით მიმავალ ყმაწვილს, მივიდა ტრაკინთან და ჩუმიად ჰკითხა:

— ხომ არ მოგზებდებოთ ასეთი რეკვიზიციისათვის, ამხანაგო ლეიტენანტო?!

— დიად, — უბასუხა ტრაკინმა, ოდნავ ჩაფიქრების შემდეგ, — შეიძლება მომხედეს, მაგრამ გერმანელებს მაინც დავეწვეით.

ისინი მიუხედნენ ერთმანეთს და გაიღიმეს.

ტრაკინი მიაქვენებდა ცხენს და თან აკვირდებოდა საუკუნოვან ტყის მღუმარე შორეთს. ქარი მძვინვარედ სცემდა მას სახეში, ცხენები ფრინველებად ეჩვენებოდა. დასავლეთი ვაბარწყინდა ხისხლისფერი დაისით და, თითქოს ამ დაისის დაწვეა სურთო, მიჰქროდნენ დასავლეთისაკენ მხედრები.

## თავი მეორე

ღამის გასათევად დივიზიის შტაბი დაბანაკდა დიდ ტყეში, მოუსვენარ ძილით შეპყრობილი პოლკების ცენტრში. ცეცხლს არ ანთებდნენ, რადგან ტყის თავზე დიდი სიმაღლიდან, მომაბეზრებლად გუგუნებდნენ გერმანელთა თვითმფრინავები, რომლებიც ეძებდნენ ჩამვლელ ჯარებს. წინასწარგამოგზავნილმა მესანგრეებმა აქ ნახევარ დღეს იმუშავეს და ააშენეს მშვენიერი, მწვანე კარების ქალაქი, სწორი ხეივნებით, მკაფიო საჩვენებელი ისრებით და წიწვებით დაფარული სუფთა კარვებით. რამდენი ასეთი დროებითი „გასართობი“ ქალაქი იყო გაშენებული

დივიზიის მესანგრეთა მიერ ომის წლებში.

მესანგრეთა ასეულის მეთაური ლეიტენანტი ბუგორკოვი შტაბის უფროსთან მიღებას ელოდებოდა. პოდპოლკოვნიკი თვალს არ აცილებდა რუკას. რუკის მწვანე სივრცე, რომელზედაც აღნიშნული იყვნენ დივიზიის ნაწილები, ძალზე უცნაურად გამოიყურებოდა. მოწინააღმდეგის მარეწებელი ლურჯი ფანჯრის ჩვეულებრივი ხაზები, სულაც არ იყო. არაფერი იცოდა ზურგი სად იმყოფებოდა. ტყის დაუსრულებელ სიმწვანეში პოლკები სახიფათოდ განმარტოვებულნი მოსჩანდნენ.

რამდენიმე დამის უძინარი გალიევი ნაბადში ეხვეოდა. ბოლოს, როცა რუკას თვალი მოაცილა. ბუგორკოვი შენიშნა.

— თქვენ რა გინდათ?

ლეიტენანტი ბუგორკოვი კმაყოფილებით თვალღებდა მათ მიერ აშენებულ მშენებელ კარავს.

— მოვედი გავიგო, ხვალ სად მოთავსდება შტაბი. ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — უპასუხა მან, — განთიადისას იქ გავგზავნი ოცეულს.

მას ძალიან უნდოდა დივიზია შენეებულყო ამ ტყეში თუნდაც ერთი დღელამე კიდევ. მხიარული კარვების ქალაქს ცოტა მაინც დატყობოდა ცხოვრების ნიშანი. ვინმეს იქნებ შეექო ბუგორკოვი ამ საუკეთესო კარვების მშენებლობისათვის. თორემ მოხედვას ვერ მოასწრებ, ახალ კარვებს უკვე ტოვებენ და მათში გაზაფხულის ქარი დაიწყებს თარეშს. ბუგორკოვი იყო შეილი და შეილისშვილი სახელგანთქმული ხუროებისა და კალატოზებისა. მასში დაუკმაყოფილებელი მშენებლის სიამაყე ლაპარაკობდა.

პოდპოლკოვნიკმა მოკლედ უთხრა:

— მომეცი შენი რუკა.

და მან ბუგორკოვის რუკაზე პატარა ალამი დაბანა, რომელიდაც სხვა ტყის

პირას, ახლანდელი სადგომიდან ორმოციოდე კილომეტრის დაშორებით ბუგორკოვმა ამოიხერხა მსგავსი სახელისაყენ გაემართა. მაგრამ ამ დროს კარის ნაცვლად ჩამოფარებული ბრეზენტის ფარდა შეიბრა და კარავში დახვერვის უფროსი კაპიტანი ბარაშკინი შემოვიდა-პოდპოლკოვნიკი ვალიევი მას ძალიან გულცივად შეხვდა:

— დივიზიის მეთაური დახვერვის უკმაყოფილოა. დღეს ჩვენ შეხვდით ლეიტენანტ ტრავეინსა და მის ხალხს. რა შესახედაეები არიან! მოუწყობლები, ბანჯგულიანები. რას ფიქრობთ თქვენ?

პოლკოვნიკი გაჩუმდა, მერე უცებ წამოიყვია საშინელი ხმით:

— კეთილინებეთ, კაპიტანო, და ბოლოს და ბოლოს მითხარით, სად არის მოწინააღმდეგე?

ლეიტენანტი ბუგორკოვი კარავიდან გაძვრა და მომავალი ოპერაციისათვის მესანგრეთა ოცეულის მოსამზადებლად წავიდა. მან გადასწყვიტა გზაზე ტრავეინი მოეტენა, რომ გაეფრთხილებია განაგონის შესახებ. „ჩქარა გაყრიქოს და გაპარსოს მშვერაეები, კეთილმოსურნეობით ფიქრობდა ბუგორკოვი, — თორემ ზორბად მოხედება მას“.

ბუგორკოვს უყვარდა თავისი თანამემამულე — ვოლგელი ტრავეინი. სახელოვანი მშვერაეი, ტრავეინი, დარჩა იმავე წყნარ და თავმდაბალ ყმაწვილად, როგორიც იყო ის მათ პირველ შეხვედრის დროს. მართალია ისინი იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს, — თითოეულს საკმაოდ ჰქონდა საკუთარი სამსახურის საზრუნავი, — მაგრამ სისამოვნო იყო ხანდისხან იმის გახსენება, რომ აქ, სადღაც, ახლოს, დადის მეგობარი თანამემამულე ვალოდია ტრავეინი — მორიდებული, სერიოზული, სანდო ადამიანი. დადის მუდამ სიკვდილის თვალწინ, ყველა სხვებზე უფრო ახლოს მასთან...





ბუგორკოვმა ტრაკინი ვერ ნახა. შეძგრა ბარაშკინის კარავში, მაგრამ ბარაშკინი გაჯორვის შემდეგ კიდევ არ იყო გონს მოსული და ბუგორკოვის კითხვაზე გინება სეტყვასავით დააცარა.

— ეშმაკმა იცის სად არის! დიდად სასიამოვნოა ჩემთვის მის მაგიერ მივიღო შენიშვნები...

კაბიტანი ბარაშკინი დივიზიაში განთქმული იყო როგორც ყიამყარალი და ზარმაცი. ვინაიდან იცოდა, მას აღმაცერად უცქეროდნენ და ყოველდღე ელოდა სამუშაოდან გადაყენებას, სულ მთლად აიღო ხელი საქმეზე. სად იყვნენ მისი მზვერავები ან რას აკეთებდნენ ისინი, მან გარკვეულად არ იცოდა მთელი შეტევის განმავლობაში. შტაბის სატყერითო მანქანით დადიოდა და „რომანს აბამდა“ ახლახან მოსულ რადისტ კატასთან, ამ ქერათმიან, მუდამ დაფიქრებულ, ლამაზ თვალებიან ჯარისკაც ქალთან.

ბარაშკინიდან გამოსული ბუგორკოვი აღმოჩნდა მის მიერ აშენებულ ადამიანთათვის დროებით ბუდეთა ცენტრში. დაეხეტებოდა სწორ ხეივანში და ფიქრობდა იმაზე, თუ რა კარგი იქნებოდა ბოლოს და ბოლოს დამთავრებულიყო ომი, წასულიყო მის მშობლიურ ქალაქში და იქ ხელახლა ეკეთებინა მისი ჩვეული საქმე: ეშენებინა ახალი სახლები, ესუნთქა ახალი გარანდული ფიცრების ტყბილი სურნელი და ხარაზოებზე ასელისას წყეროსან ოსტატებთან განეხილა დამკვეთნილ ლურჯ ქალაღზე რთული ნახაზები.

განთიადზე ბუგორკოვმა ოთხთვალაზე დააწყო ნიჩბები, წერაქვები და სხვა ხელსაწყოები, ჩაუდგა სათავეში თავის შესანგრევებს და გზას გაუდგა.

ახლადმოფრენილ ჩიტების კვიპიკი ვაისმოდა მთელ ტყეში, რომლის ძველ ბეებს გვირგვინი შეიკრათ ვიწრო გზის თავზე. გზის ნაპირებზე დადიოდნენ მახარაზი პრეზენტაციის მქონე ლამენა-

თევი და შეცივებული გუშაგები. გზასთან და სადგომების ~~რეკლამის~~ რილ სანგრებში მორბედი ~~მორბედი~~ ტყვიამფრქვევებთან მთვლემარე მეტყვიამფრქვევები. ერთმანეთზე მაგრად მიხუტებულ ჯარისკაცებს ეძინათ მიწაზე გაფენილ ნაძვის ტოტებზე. დილის საცივე აღვიძებდა ხალხს და ისინი აგროვებდნენ ტოტებსა და კინკრიეებს ცეცხლისათვის.

„აი რა არის ომი, — ფიქრობდა ბუგორკოვი და იშმუშნებოდა, — ასობითა და ათასობით ადამიანთა დიდი უსახლკარობა“.

გაიარეს თუ არა ათიოდე კილომეტრი, მესანგრეებმა დაინახეს დასავლეთიდან მათეენ ჩქარა მომავალი სამი ცხენოსანი. ბუგორკოვი შეკრთა: მან იცოდა, რომ წინ არ იყო არცერთი წითელარმიელი. მხედრები ჰუნებით მოჰქროდნენ და მალე ბუგორკოვმა შეგება იგრძნო: მათ შორის იცნო ტრაკინი.

ტრაკინმა ცხენიდან თქვა: — გერმანელები, არტილერიითა და თვითმავლებით ახლოს არიან.

მან ბუგორკოვს ცხენიდანვე რუქაზე აჩვენა გერმანელების დაცვის განლაგება, რომელიც გადიოდა სწორედ ამ ტყის პირას, სადაც ბუგორკოვი აპირებდა ახალ კარავთა ქალაქის აშენებას.

— ხოლო, გერმანელთა ორი ჯავშნოსანი და თვითმავალი ქვემეხი დგას, აი აქ, ალბათ საფარში... და თითქოს თავისი ნათქვამი რომ დაადასტუროს ტრაკინმა დასძინა: — აი, ხედავ... ანიკანოვი დაიჭრა გერმანელებთან შეტაკების დროს.

ანიკანოვი უხერხულად იჯდა ცხენზე, დამნაშავესავით გაიღიმა, თითქოს თავის ვაუფრთხილებლობით მიაყენა ყველას დიდი უსიამოვნება.

ბუგორკოვმა დაბნეულად იკითხა: — მე, რა უნდა ვქნა? შეთანხმდნენ, რომ მესანგრეები იქვე დაიციდნენ. ტრაკინი შტაბის უფ-

როსს მოახსენებს და, შემდეგ ბუგორკოს გადასცემს უფროსების განკარგულებას, ტრაკინმა მათრახი გადაუქირა შუბლზე თეთრნიშნის დიდ ქუჩას და ისევ გასწია ქუჩებით.

კარავთა ქალაქის შუაში, თავისი „ვილისის“ ახლოს იდგა პოლკოვნიკი სერბიჩენკო, მას ვარს ეხვეინენ პოლკოს მეთაურები, პოდპოლკოვნიკები, მაიორები; მხოლოდ ცოტა მოშორებით — ადიუტანტები და შაქრიკები. ტრაკინმა ერთბაშად შეაყენა ცხენი, ჩამოხტა და ცხენზე უჩვეულო დიდხანს ჯდომისაგან დაკოკლებულმა, მოახსენა:

— ამხანაგო დივიზიის მეთაურო, გერმანელები ახლოს არიან.

მას შემოეხვიენენ, და ტრაკინმა მოკლედ უამბო, რომ მასობელ მდინარეზე გაშლილია გერმანელების პოზიციები მთლიანი სანგრების სახით. მან შეამჩნია საარტილერიო პოზიციები და ექვსი თვითმავალი ქვემეხი. სანგრები დაკავებულია გერმანელთა ქვეითი ჯარის მიერ. აქედან ოციოდე კილომეტრის დაშორებით ჩასაფრებულია ორი ჯაღშროსანი და თვითმავალი ქვემეხი.

დივიზიის მეთაურმა რუკაზე აღნიშნა ტრაკინის ცნობები. ატყდა ნელი ფაციფუცი. პოლკებისა და შტაბების მუშაკებმაც ამოიღეს რუკა. პოდპოლკოვნიკ გალიევს დაეფიქდა სიციფე, მოიხსნა მხრებიდან ნაბადი და დააგდო მიწაზე. პოლიტგანყოფილების უფროსი კი წავიდა პოლიტმუშაკების შესაკრებად.

— მამასადამე, შენ ფიქრობ სერიოზული დაცვაა? — შეეკითხა ბოლოს დივიზიის მეთაური „ვილისის“ კაპიტანზე გაშლილ რუკაზე უკანასკნელი ხაზის გაულებსას.

— სწორედ ასეა.

— თვითმავალი ქვემეხები შენ თვითონ ნახე?

— სწორედ ასეა.

— შენ ხომ არ თხზავ ციტას? — უეცრად დაამთვრა ტრაკინმა მისი პოლკოვნიკმა და თან მოეწინააღმდეგა წვანო-რუხი თვალებით ახედა ტრაკინს.

— არა, არ ეთხზავ, — უპასუხა ტრაკინმა.

— არ გეწყინოს, — შემარიგებლური ტონით უთხრა დივიზიის მეთაურმა, — ამას მე სიზუსტისათვის გეკითხები. მე ისიც ვიცი, კაზაკო, რომ მშვერავებს ცოტა ტყუილიც უყვართ.

— მე არ ვტყუი, — გაიმეორა ტრაკინმა.

სადღაც უკვე გაისმა ბრძანება: „ორალთან“, ტყე ყრუდ ახმაურდა. ეს ქვეგანაყოფები წამოიშალნენ.

დივიზიის მეთაური უყურებდა რუკას და თან იძლეოდა ბრძანებას:

— პოლკები მიდიან ლაშქრული წესით, როგორც წინათ. ავანგარდული პოლკი გზავნის წინ გაძლიერებულ ბატალიონს, როგორც მეწინავე რაზმს. პოლკის არტილერია მიყვება ქვეით ჯარს. ფლანგებზე იგზავნებიან მშვერავები და მეავტომატეები. 108,1 მალლობზე მიღწევისას, მეწინავე პოლკი სბრძოლო წესით გაიშლება. მისი სამეთაურო პუნქტია მალლობი 108,1. მე ვიქნები ამ ტყის დასავლეთ ნაპირას მეტყვევს სახლთან. გალიევ, მოამზადე საბრძოლო განკარგულება. მოახსენე კორპუსს — და უცებ ხმადაბლა თქვა: — შეხედეთ, ამხანაგო უფროსებო! საარტილერიო პოლკი ჩამორჩა. ქურვები და ვაზნები ცოტაა. ჩვენ არახელსაყრელ მდგომარეობაში ვართ. პატიოსნად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა.

ოფიცრები ჩქარა წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ საქმეებზე. მანქანასთან დარჩნენ დივიზიის მეთაური, გალიევი და ტრაკინი. პოლკოვნიკ სერბიჩენკომ შეათვალა ტრაკინი, მისი გაქაფული ცხენი და ღიმილით წარმოსთქვა:

— ყოჩაღ, კაზაკო!



— ანიკანოვი მყავს დაჭრილი, — უადგილოდ აუწყა პოლკოვნიკს შეცბუნებულმა ტრავკინმა.

დივიზიის მეთაურმა არაფერი უპასუხა. უკანასკნელი განკარგულება მისცა გალიევს და გაემგზავრა პოლკებთან.

გალიევის ირგვლივ დაიწყეს სირბილი შტაბის ოფიცრებმა. გალიევს ველარ იცნობდით. გამხიარულებული, დაუცხრომელი, ის უცებ დაემსგავსა ბაქოელ ოინბაზ ბიჭუნას, როგორც იყო ის ამ ოცდაათი წლის წინათ. „გალიევმა იყნოსა გერმანელები“, — ამბობდნენ მასზე ასეთ წუთებში.

— გასწი შენიანებთან, უთვალთვალე გერმანელებს და აგზავნე შიკრიყები, — უბრძანა მან ტრავკინს.

— არის! — შესძახა პასუხად ტრავკინმა და ხელახლა მოახტა ცხენს.

მისმა გამყოლმა მწვერავემა ანიკანოვი სანინსტრუქტორს ჩააბარა და უმხედრო ცხენით შეუერთდა ლეიტენანტს.

ტრავკინს ბუგორკოვი იმავე ადგილას შემფოთებული დახვდა. იგი ჩამოხტა ცხენიდან, უგულოდ შესვა ბუგორკოვის მიერ მოწოდებული არაყი და აჩვენა მას რუკაზე დივიზიის შტაბის ადგილსამყოფელი.

— მაშასადამე, ბრძოლა ხელახლა იწყება, — სთქვა ბუგორკოვმა და ტრავკინს შეხედა სერიოზულ თვალებში.

მწვერავებმა დეზი ჰკრეს ცხენებს და ჰენებით გასწიეს.

შესანგრებმაიც განაგრძეს გზა. ისინი წყნარად ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ აი, კვლავ დაიწყება ბრძოლა და მას ბოლო არ უჩანსო. ბუგორკოვმა სთქვა:

— აბა, ბიჭებო, კარავშენის მაგიერ ახლა ბლინდავშენი გვექნება.

ტრავკინი ჩქარა შეუერთდა თავის ხალხს. ისინი ელოდებოდნენ ტვიან ბორცვზე უსახელო მდინარის ახლოს.

რომლის გაღმა გერმანელები ჩასანგრებულნი იყვნენ.

გერმანელების სათვალვეს დაკარგულ კენწეროზე გასული მარჩენკო ჩამოვიდა და მოახსენა ლეიტენანტს:

— ეს გერმანელები ჯავშნიან ავტომანქანებსა და თვითმავალ ქვემეხებში ტრიალებდნენ აქ ნახევარ საათს, შემდეგ შებრუნდნენ და მდინარეზე გადავიდნენ, — მაშასადამე, თავისიანებისაგან წაივინდნენ. მდინარე პატარაა, მე თვითონ ვნახე. წყალი ჯავშნიან ავტომანქანებს შუამდე სწვდებოდათ.

მწვერავეები მიფორთხდნენ მდინარესთან და ბუჩქებში ჩაწვენენ. ტრავკინმა ცხენებიანი ყმაწვილი შინ გაისტუმრა.

— იარე ამ გზაზე, პირდაპირ. ყველა ცხენს არ წაიყვან.

ორი ჩემთან დარჩება კიდევ ერთი დღით. ხვალ გამოვგზავნი, თორემ ცნობის ვაგზავნის სხვა საშუალება არ არის.

შემდეგ ტრავკინი მისობდა ამხანაგებთან და გერმანელთა დაცვას უთვალთვალებდა. სანგარი ახლახან ამოთხრილი და ჯერ დაუმთავრებელი იყო, რომელიც შიგ მარბენალ გერმანელებს მხრებამდე ძლივს სწვდებოდა. სანგარის წინ იყო მავთულის ხლართი ორმაგ პალაზე. მწვერავეებს გერმანელებისაგან ყოფდა არც ისე ფართო მდინარე, რომლის ნაპირი დაფარული იყო ლელიანით. სანგარის მიწაყრილზე მთელი სიმაღლით აღმართულიყო კაცი და აღმოსავლეთ ნაპირისაკენ ჭოგრიით იყურებოდა.

— ახლავე ვაგზავნი მას პიტლერის დედასთან. — ჩასაჩურჩულა მამოჩკინმა.

— ნუ სულელობ, — უთხრა ტრავკინმა.

ის უყურებდა გერმანელთა დაცვას მისი შეფასების მიზნით. აი, იქ, ბუნდოვნად რომ მოჩანს რუხი ზოლი მიწისა — ეს მეთრე სანგარია. გერმანელებს დაცვისათვის კარგი ადგილი

აურჩევით — დასავლეთი ნაპირი გაცილებით მაღალია აღმოსავლეთზე და იგი სქლად დაფარულია ტყით. ხუტორის მიმობნეულ სახლების მახლობელი მალღობი, საკომანდო პუნქტია, რომელიც რუკაზე აღნიშნულია ციფრით 161,3. სანგარში ბევრი გერმანელია. ხუტორის განაპირას აღმოსავლეთით თვითმავალი ქვემეხი დგას.

ტრაკინს უცბად ანიკანოვი მოაგონდა. მაგრამ მოაგონდა როგორღაც სხვათა შორის, ბუნდოვანად. ასე იგონებენ პატარებლიდან გადასულ მგზავრს, რომელმაც არც ისე დიდი ხანი დაჰყო დანარჩენ მგზავრებთან და, საით გაუხვია, არავინ იცის.

მამოკინმა ჩაიწურა:

— შეხედეთ, ამხანაგო ლეიტენანტო, ფრიცები ექსკურსიაზე გამოდიან. ოცდაათამდის გერმანელი გამოვიდა ტყიდან და მდინარისაკენ გამოემართა. აქ ისინი დაიშალნენ, ფრთხილად იჭირობოდნენ გაღმა ნაპირისაკენ. შევიდნენ მღვრიე წყალში.

ტრაკინმა ოცეულის სატყეთესო მსროლელს მარჩენკოს უთხრა:

— აბა, დააფრთხე ისინი.

გაისმა ავტომატების მიჯრითი სროლა. ტყეის ცემისაგან პატარა შადრევნები ჩნდებოდნენ წყალზე. გერმანელები ამოხტნენ წყლიდან, უკანვე თავიანთ ნაპირისაკენ, დაფეთებულნი და ბატებივით აყიფინებულნი იქვე გაწვენენ სანგრებში. შემოფოთდნენ, აფუსდუსდნენ, გაისმა ხორხისმიერი ბრძანება. გაიზუზუნეს ტყეებში. ხუტორის განაპირას მღვარი თვითმავალი ქვემეხი უცბად შეინძრა, შეტორტმანდა, და ერთი მეორეს მიაყოლა სამი ჰურვი. წამის შემდეგ გერმანელთა ქვემეხებმაც ატეხეს სროლა. ისინი ათეულზე ნაკლები არ იქნებოდა და სამი-ოთხი წუთის განმავლობაში ბეჭობს ურტყამდნენ. ჰურვები გაშმაგებით აფეთქებდნენ მიწას, და უცნაური ხმაურით აყრუებდნენ მღვმარე ტყეს.

არტილერიის თავდასხმის გუგუნე გაიგონა დივიზიის მეწინავე ქუჩებში — გაძლიერებულმა ბატალიონის მეთაური შეჩერდა. ბატალიონის მეთაური კაპიტანი მუსტაკოვი და ბატარეის მეთაური კაპიტანი გურევიჩი გაირინდნენ თავიანთ ცხენებზე. მუსტაკოვმა სთქვა: — აი, რას ნიშნავს გადაჩვევა... თვეზე მეტია, არ მომისმენია ეს მუსიკა.

ისმოდა ერთიმეორის მიყოლებით აფეთქების თანაბარი ხმა.

გაძლიერებული ბატალიონი ერთი წუთით შეჩერების შემდეგ დაიძრა წინ. მოსახვევში ჯარისკაცებმა დაინახეს ცხერის ჰურვებში გახვეული ცხენებიანი ყმაწვილი. ის იჯდა ცხენზე მოხრილი და კისერ წაგრძელებული უსმენდა ქვემეხების ძლიერ გუგუნს.

ბატალიონის მეთაური გაუსწორდა თუ არა ყმაწვილს, კითხა:

— შენ რას აკეთებ აქ?

— დაუჩქარეთ, — შეშინებული ჩურჩულით სთქვა ბიჭუნამ, — იქ მდინარესთან ძლიერ ბევრი გერმანელია, ხოლო მშვერაკები — თორმეტი კაცი...

## თავი მესამე

ის, რასაც სამხედრო ენაზე თავდაცვაზე გადასვლა ეწოდება — ასე იწყება:

ნაწილები გაიშლებიან და ცდილობენ ისე გაარღვიონ მოწინააღმდეგის ფრონტი, რომ არსად შეჩერდნენ. მაგრამ ხალხი დაქანცულია შეუწყვეტელი იერიშებით. არტილერია და საომარი მასალა მცირეა, იერიშებზე გადასვლის ცდა წარმატებას არ იძლევა, ქვეითები ისევ წვანან სველ მიწაზე მტრის ცეცხლისა და გაზაფხულის წვიმის ხანდისხან თოვლნარევი წვიმის ქვეშ, ტელეფონზე მომუშავენი ისმენენ უფროს მეთაურთა ლანძღვას: „გაბარდვიეთ!“ „შალეთ ქვეითები, გარვეთ ფრიცე-



ბი“, მეორე უშედეგო იერიშის შემდეგ მოდის ბრძანება: „გამაგრდით“.

თმი უზარმაზარ მიწისმთხრელად გადაიქცევა. მიწის სამუშაოები ღამით სწარმოებს, რომელსაც ანათებს ვერმანელთა ფერადი რაკეტები და ვერმანელთა არტილერიის მიერ ახლო სოფლებში გაჩენილი ხანძრები. მიწაში ჩნდება ნადირთა სოროსებური დახლართული ლაბირინტი. ჩქარა მთელი ეს ადგილი სახეს იცვლის, ეს უკვე პატარა მდინარის ტყიანი ნაპირი როდია ლელიანთა და წყალმცენარეებით დაფარული, იგი ტურვების ნამტკრვეებითა და აფეთქებებით დაწყულულებული „წინა მხარეა“, სარტყლებად დაყოფილი, როგორც დანტყეული ჯოჯობეთი, გადატიტვლებული, გადათხრილი, ვაუპიროვნებული, რომელსაც თავს დაჰქრებიან უცხო ქარები.

ღამეობით სხედან მზევრავები, ნამდინარევის პირას (ახლა ამას ჰქვია ნეიტრალური ზონა), ისმენენ ვერმანელთა ნაჯახების ჩაქუნს და მათი შესანგრეების ხმას. ისინიც ამაგრებენ თავიანთ წინა კიდეს.

სხვათა შორის, ზოგი ჰირი მარგებელია — ზურგი თანდათან ახლოვდება. მოჭრილად ოთხთვალეებით მოაქვთ ტურვები, ვაზნები, პური, თევზი, კონსერვები, როგორც იქნა მოვიდნენ და სადღაც მახლობლად ტყეებში გაჩერდნენ: შენიღბული მელსანბატი, საველე ფოსტა, გასაცვლელი პუნქტი, სავეტერინარო ლაზარეთი.

მოდის საარტილერიო პოლკიც, რომლებსაც დიდი სიხარულით ზედმიწევნით ქვემეხებს მიწაში ფლავენ. ახდენენ სწორ გამოთოფვას და აწარმოებენ, ჩვენი ჯარისკაცების სასიამოვნოდ, ვერმანელთა სანგრებსა და ბლინდავებზე მძაფრ თავდასხმებს.

იწყება შედარებით მშვიდი ცხოვრება. სველი ცხოვრება, ბლანტი, უხვირო მიწური, მაგრამ მაინც ცხოვრება. და როცა ახლოს მოდის საველე ფოსტა

და ფოსტალიონი მთელი თავის იერიშების დროს დაგროვებული წყლის, მთელ წყებას მიაწვდის, ჯარისკაცებს გათომოდ ხელს, — ეს უკვე თითქმის ბედნიერი ცხოვრებაა.

მდინარის პირას ლელიანსა და ძირ-მომხალ წყალმცენარეთა შორის ერთ-ერთ სანგარში ჩამჯდარმა ტრავენიმ თავისი წერილები წაიკითხა. წერს დედა, ვოლგის ერთერთი პატარა ქალაქის მსწავლემბელი, აგრეთვე დაც მოსკოვიდან. დედის ყველა წერილი არსებითად იყო გამოუთქმელი, სიბრალულით აღსავსე და მხურვალე თხოვნა — აღდიღუბო.

მისი და ლენა, მოსკოვის კონსერვატორიის ვიოლინოს კლასის სტუდენტი წერდა თავის წარმატებებზე. ის ახალგაზრდული დამილარობით წერდა ბახისა და ჩაიკოვსკის შესახებ: მოხუცი ჩაიკოვსკი არც ისე ძნელი ყოფილა, როგორც წინათ მეგონათ. ეს ბებერი გერმანელი ბახი... და ასე შემდეგ-ყრმობის ტიკტიკი, ელექტრონის პლანეტონების თანაბარი სინათლე ღირბაზში, ვიოლინოების მკრთალი ბრწყინვა, — ეხ! როგორი შორეულია ყოველივე ეს! სიმართლე, რომ ვთქვათ, ტრავენიმ ეწყინა კიდევ, რომ აღამიანები თეატრში დადიან, უსმენენ მუსიკას, ყვარობენ, სწავლობენ, იმ დროს. როცა ტრავენი და სხვები, სხედან იქ სიკედილის მოლოდინში — და, რაც უფრო უარესია, კოკისპირული წვიმაში.

— რას გეწერენ, ამხანაგო ლეიტენანტო? — შეეკითხა მის მახლობლად ჰოგრიტით ხელში მჯდომი მარჩენკო.

ტრავენიმა უპასუხა: — ცხოვრებას მიაჩნიალბენ და ჩვენ შემოგვეყურებენ — ჩქარა დავამთავრებთ თუ არა.

მარჩენკომ გაიღიმა, თავი დაიქნია. თან ჰოგრიტში გამუდმებით იყურებოდა მტრის პოზიციისაკენ. შენიშნა.

— გერმანელები რალაც ფაცი-ფუც-ში არიან.

ტრავკინმაც აიღო ჭოგრი. გერმანელებმა ტყვიდან ქვემეხი გამოაგორეს. და მას გაეცინა — მოაგონდა დის სიტყვები, რომელიც ასე ისმოდა: ეს ბებერი გერმანელი ბ-ბას! ბა-ბას!

ტრავკინმა გურვეჩის ტელეფონით აცნობა:

— უკურეთ, გურვეჩი, მათ ქვემეხი გამოაგორეს პირდაპირ დამიზნებისათვის — ორი თითით მარჯვნივ დანგრეულ სახლიდან. ხედავთ?..

— ვმადლობთ, ტრავკინ! — ტელეფონის მიღში ყრუდ გაისმა მუდამ ფხიზელ არტილერიისტ გურვეჩის ხმა. — ახლავე დაუშენ.

სველ ლერწმებს შორის თავი შემოყო და შემოვიდა მამოჩკინი.

— საჭმელს, არ მიირთმევთ, ამხანაგო ლეიტენანტო?

მან ვაზეთში გაბეული ფაიფურის თეფშით ნახევარი ბატი მოიტანა.

ტრავკინმა ბატი მარჩენკოს გაუყო და გაიფიქრა, რომ მამოჩკინს ამ უკანასკნელ ხანს ზშირად მოაქვს „არა სამხედრო ნიმუშის“ სხვადასხვა პირის ჩასატკბარუნებელი. უნდოდა შეკითხოდა მამოჩკინს, საიდან მოაქვს ყველა ეს საჭმელები, მაგრამ უმალ დააფიქსა, მარჩენკოს მიერ გერმანელების მოქმედების შესახებ ახალი შენიშვნის გამო.

მამოჩკინი მართლაც გამდიდრდა. არავინ იცოდა, სად შოულობდა ამ უამრავ კვერცხს, კარაქს, ფრინველს, მკაფე კიტრსა და კომპოსტოს წნილს. მშვერავების შეკითხვაზე მამოჩკინი ღრეკით პასუხობდა:

— მერე რა, შენც შესძელი.

საჭმე კი იყო სულ უბრალო და ძალიან ულამაზოც. დატოვებული ორი ცხენი ტრავკინის ბრძანებით მამოჩკინს უნდა წაეყვანა სოფელში. მაგრამ მან დანიშნულებისამებრ არ ჩააბარა, არამედ მისცა „ღროებით“ ახლობელ

ხუტორში მცხოვრებ მოხუც ქირვის ქირის აულეზლად, იმ ბერძენულად, რომელიც მოხუციდან მიიღებდა მხოლოდ და მხოლოდ დაუქტებს. ვახუტეზული ხენა-თესვის დრო იყო და მოხუცმაც არ იძუნწა.

ახალგაზრდა მშვერავები მამოჩკინს ალტაცებული შესეკეროდნენ. უკვირდით მისი ხერხიანობა და წარმატება. ლამაზ ფეოკრისტოვის სახით მას ყავდა სანდო ალიუტახტი, რომელიც ცდილობდა მიეზამა მამოჩკინისათვის ყველაფერში და ულვაშებიც კი მოუშვა მისი სათაყვანებელი ამხანაგის მსგავსად. საღამოობით მამოჩკინი ახლებს უამბობდა ოცეულის ზეპირ მატიანეს, სადაც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ამოატრეტივებდა თავის საკუთარ დამსახურებას. მართალია ანიკანოვსაც მოწყალებით აქებდა, რადგან ანიკანოვი უკვე ისტორიად გადაიქცა და არ შეეძლო მამოჩკინის დიდებისათვის ზიანი მიეყენებინა.

მშვერავები უსმენდნენ მამოჩკინს და ზშირად იჭერდნენ უაზრობასა და წინააღმდეგობაში. მაგრამ ამის ნაკლებად ცხვენოდა მას. მხოლოდ ტრავკინის თანდასწრებისას მამოჩკინის ენა-მზიურობა უფერული ხდებოდა. ტრავკინს ეჯავრებოდა ტყუილი. ხანდახან თავისუფალ საღამოებში ტრავკინი თითონ მოყვებოდა ებიზოდებს საბრძოლო ცხოვრებიდან. ასეთი საღამოები კი ახლებისათვის ნამდვილი დღესასწაული იყო, რადგან ისინი მის სიტყვებში გრძობდნენ სიმართლეს და დამაჯერებლობას. მის თხოვნაში მსმენელები ხედავდნენ არა მარტო ამბავთა გარეგნულობას, არამედ შინაგან კანონზომიერებასაც, ამით ისინი ერკვეოდნენ იმაში, თუ რატომ იყო საჭირო, სწორედ ასეთი მოქმედება და არა სხვაანაირი, ამა თუ იმ გარემოებაში.

ამასთან მშვერავებს აოცებდათ ტრავკინის თავმდაბლობა. იგი ყვებოდა ანიკანოვის შესახებ. დაღუპულ ზემდეგ

ბელოვზე, მარჩენკოზე, მამოჩინზე მაგრამ თავის თავს კი გვერდს უვლიდა, თითქოს ვიღაც თანდამსწრე ყოფილიყო.

— უნდა ისწავლოთ ისეთი მოქმედება, როგორც მოქმედებდა ანიკანოვი, — ხშირად ამ სიტყვებით დაამთავრებდა თავის ამბავს, და მამოჩინი შურით ცმუტავდა თავის კუთხეში.

ასეთ საღამოებში ახალგაზრდა იურა გოლუბი, ლეიტენანტს ფეხთით მიუჯდებოდა და შესცქეროდა მას მოსიყვარულე თვალებით. მას შეეძლო უსახლეოთ აღფრთოვანებულიყო მამოჩინის გაზვიადებული მამაცობით, მაგრამ მისთვის სამაგალითო იყო მხოლოდ ეს გულწაბრობილი ახალგაზრდა, ოდნავ შეუყენობი ლეიტენანტი.

თუმც მამოჩინსაც უყვარდა ეს საღამოები, ჩვეულებრივად ჩუმი ლეიტენანტი ასეთ იშვიათ წუთებში როგორც შლიდა თავის გულს. მან კი იცოდა სხვადასხვაგვარი ისტორიები და ხანდახან ყვებოდა ამბებს მეცნიერთა და მხედართმთავართა ცხოვრებიდან, მამოჩინი კი ცნობისმოყვარე იყო.

ტრაკვინისათვის მოქონდა მას ხორაკეული, ყველასათვის ფარული წყაროდან იმითომ კი არა, რომ მოეგო მეთაურის გული. მამოჩინი ერკვეოდა ადამიანებში, გრძნობდა, რომ ლეიტენანტისაგან ამ გზით რაიმე შეღავათის მიღება, ან მფარველობის გაწევა შეუძლებელი იყო; ტრაკვინი სჭამდა ბატის ზორცს და რიგინად არც კი ამჩნევდა, რასა სჭამდა. მამოჩინი „მფარველობდა“ ტრაკვინს იმისათვის, რომ უყვარდა ის. უყვარდა სწორედ იმ თვისებების გამო, რომლებიც არ გააჩნდა თვითონ მას — საქმისადმი თავდავიწყება და სრული უანგარობა. ის გაცილებული შესცქეროდა, თუ როგორი სიზუსტით ყოფდა ტრაკვინი მიღებულ არაყს, თავისთვის გაცილებით ნაკლებს დაისხამდა, ვიდრე სხვებისათვის. დასვენების

თაც სხვებზე ნაკლებს იყვებოდა, მამოჩინს ვერ ვაეგო ეს, ის გრძნობდა, რომ ლეიტენანტი კარგად იცნობდა იქცეოდა, მაგრამ ისიც შეგვიწვივად იცოდა, მეთაურის ადგილას რომ თითონ ყოფილიყო, სხვანაირად მოიქცეოდა.

ლეიტენანტს მიართვა მამოჩინმა მორიგი ულუფა „ცხენის ზორცი“, როგორც თვითონ დაარქვა ბატის, ქათმის ზორცს და სხვა სანოვაგეს, რომლებსაც ცხენების „ჭირამი“ იღებდა და გაემართა დარანისაკენ, სადაც მოთავსებული იყო მშვერალების საცხოვრებელი. და აქ კინალამ შეეჩეხა დივიზიის უფროსს, პოლკოვნიკ სერბიჩენკოს, რომლის შეხვედრას ყოველთვის გაურბოდა მამოჩინი, თავის მწვანე ყუბანურისა და ყვითელი ჩექმების გამო; დივიზიის მეთაური ვერ ითმენდა ტანსაცმელის დაწესებული ფორმის შეცვლას.

პოლკოვნიკის გვერდით იდგა თეთრი გოგონა, ვაჟურად თამაშერკეილი; ჯარისკაცის ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოწყობილი უმცროსი სერკანტის სამხრეებით. მამოჩინი აქ ყველა ქალს სათითაოდ იცნობდა. ეს ქალი კი ვერ იცნო. დივიზიის მეთაური აღერსიანი ღიმილით ელაპარაკებოდა ქალიშვილს.

პოლკოვნიკი სერბიჩენკო ქალებისადმი ნაზ მფარველობას იჩენდა. გულში ფიქრობდა, ომში ქალებს რა ესაქმებათო. მაგრამ ის უპატივემლობას არ განიცდიდა მათდამი, როგორც ბევრი სხვა, პირიქით ებრალებოდა ისინი ძველი ჯარისკაცის სიბრალულით, რომელიც კარგად იცნობდა ომის სიძნელეებს.

— რას იტყვი, გოგონა, მოგწონს აქაობა? — ეკითხებოდა პოლკოვნიკი. ქალიშვილმა მორცხვად უპასუხა:

— არა უშავს... როგორც ყველგან.

— ვანა, როგორც ყველგან? ჩემთან ისე არ არის, როგორც ყველგან. ჩემო ძვირფასო, ჩემი დივიზია სახელგან-

თქმულია, წითელდროშოვანი! აქ არავინ გაწყენინებს!..

— არა, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— გამიგონე, თუ გაწყენინონ, შემოგაინდნენ, მოდი და გაბედულად მითხარი! ჩვენთან გოგონები ცოტანი არიან, მათ თავს არავის დავაჩაგვრინებ.

— ისე შენ ყმაწვილებთან სიყვარულის ქსელს ხომ არ აბამ?

— რაში მჭირია მე ისინი! — გაიცინა გოგონამ.

— მა, არ მომატყუო... ყველაფერი ვიცი, შენ კაპიტან ბარაშკინთან არა ერთხელ გნახეს, იცოდე, თავი კარგად დაიჭირე, — უთხრა უცებ სერიოზულად. — მამაკაცები ცბიერი ხალხია, და არ ლაპარაკობენ იმას, რასაც ფიქრობენ.

ის გამოემშვიდობა გოგონას და თავის ქოხის მიმართულებით წავიდა. გოგონა კი ისევ ხის ქვეშ იდგა.

გოგონას წინაშე წარმოსდგა მამოჩკინი.

— ჩემი სალამი, ქალიშვილო!

გაოცებულმა გოგონამ შეათვალა მამოჩკინი თავიდან ფეხებამდე.

— მწვერაღი სერჟანტი მამოჩკინი! — და ყოჩაღად შემოკრა ქუსლები ერთმანეთს.

გოგონას გაეღიმა.

— მე თქვენ, ასე რომ ვთქვათ, არ შემხვედრისხართ, — ჩააცივდა ის. — თქვენ სხვა ნაწილიდან ხართ, თუ ციდან ჩამოფრინდით?

გოგონამ გაიცინა და აღხსნა, რომ ის აქ გადმოიყვანეს სხვა დივიზიიდან.

— მწვერაგებთან იქ მეგობრობდით?

— მე ზურგის შტაბში ვმუშაობდი.

ისინი ერთიმეორის გვერდით მიდიოდნენ. გოგონა უღარდელად ხითხითებდა. მამოჩკინი თავს იწონებდა მეზღვაურის ოხუნჯობით, თან ფიქრობდა, ხად წაყვანა ქალიშვილი.

— მე თქვენ გირჩევთ, კატუშა, — მან უკვე სახელიც გაიგო, — მომიჯალში თქვენ მეგობრობა იქონიოთ მწვე-

რაგებთან. ვინ არის უკეთესი კავალერი? ცხადია, მწვერაგე, რომელიც ყოველთვის დასალევი, უსაფრთხოა? ისევ მწვერაგებს. ვინ არის ყველაზე დამოუკიდებელი და თავზეხელაღებული? რა თქმა უნდა, მწვერაგე!.. გასაგებია? ნუთუ თქვენ მწვერაგებიდან არავის იცნობთ? — განაგრძობდა ის და ცელქურად იღიმებოდა. — ის, ჩვენთვის ცნობილი კაპიტანი ბარაშკინი რაო? ა?..

— თქვენ საიდან იცით? — გაუკვირდა გოგონას.

— მწვერაგებმა ყველაფერი იცინა.

მამოჩკინთან ტყეში სასეირნოდ წასვლაზე ქალიშვილმა უარი თქვა, მაგრამ ოდესმე მასთან სტუმრობას კი შეპირდა. მამოჩკინს პირველად ეწყინა. მაგრამ შემდეგ ისევ გამზიარულდა და ისინი მეგობრულად განშორდნენ ერთმანეთს.

სადგომში მოსვლისას მამოჩკინს დახვდა წყნარი, მაგრამ დაძაბული ფაციფუცი, ისე როგორ ყოველთვის დავალების შესასრულებლად გასვლის წინ. და მოაგონდა, რომ დღეს მარჩენკოს დაზვერვაზე მიჰყავს ოთხი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი.

მოწინავე ხაზიდან ახალმოსული მარჩენკო, იჯდა კუთხეში, დაეანგულსალეწ მანქანასთან და წერილს წერდა. მასთან ერთად წამსვლელი ადამიანები იცვამდნენ ნიღამ-ხალათს, იკიდებდნენ წელზე ხელყუმბარებს, რაღაც ყურადღებით ფუსფუსებდნენ და ყოველ წუთში შეხედავდნენ მარჩენკოს, თითქოს დრო ხომ არ არის წასვლისო.

მარჩენკო თავის ცოლსა და მოხუც შობილებს წერდა წერილს ქალ. ხარკოვში. ის ატყობინებდა მათ, რომ ცოცხალია და ჯანმრთელად არის, რომ ცოლი ტყუილად ეჭვიანობდა იმისათვის; რომ მან თითქოს აქ „ვიღაც გაიჩინა“. არაფერი ამის მსგავსი. ის წერდა ხშირად, მაგრამ ფოსტა შეტყვის გამო ჩამორჩა, თუმცა ეს ყველაფერი ჩვეუ-





ლებრივი იყო, მაგრამ ამჯერად ის წერდა განსაკუთრებულად. ყოველ სტრიქონის შემდეგ გულისხმობდა სხვას უფრო შთამბოვნებელს. როცა წერილი დაამთავრა, აღღვებული იყო, წერილი გადასცა მორიგეს და წყნარად სთქვა:

— აბა, მაშ წავიდეთ, ბიჭებო. ყველაფერი მზად არის?

მან დააწყო თავის ოთხეული, გამომცდელად შეათვალიერა ისინი და შეეკითხა:

— მესანგრეები კი არ არიან?

შორეულ კუთხეში დაყრილ ჩალიდან მოისმა შვიდი, მზიარული ხმა:

— როგორ თუ არ არიან? მესანგრეები თავის ადგილზე იმყოფებიან.

წამოდგა მარჩენკოს ჯგუფის გამყოლებად ბუგორკოვის მიერ გამოგზავნილი, ორი მესანგრე, რომელთაც თივა ტანისამოსზე შერჩენოდათ.

— შე ვარ უფროსი, — გაიმეორა ადრე მოლაპარაკე ხმამ, საშუალო, მკვრივი ტანის, ოციოდე წლის ახალგაზრდამ.

— რა გქვია? — კითხა მარჩენკომ და მოწონებით შეათვალიერა მესანგრე.

— მაკსიმენკოს მეძახიან, შენი თანამემამულე ვარ, — უპასუხა „უფროსმა“ საერთო სიცილში.

— საიდან? — მარჩენკოს გაეცინა და გამოუჩნდა მარგალიტებივით კბილები.

— კრემენჩუგიდან.

— თითქმის თანამემამულე ყოფილხარ... შენი ამოცანა ხომ იცი!

— ვიცი, — ისევ გაბედულად უპასუხა მაკსიმენკომ, — გავნაღმოთ გერმანული ნაღმები, გადავჭრათ გერმანული მავთული, ვაგატაროთ თქვენ ამ კრილში და დავბრუნდეთ სახლში კომკავშირულ კრებაზე, რადგან ხეალ დილაადრიან ჩვენ სადგომში კომკავშირული კრება გვაქვს, შე კი კომკავში-

რის ორგანიზატორი ვარ. ასეთად ჩენი ამოცანა.

— ყოჩაღ ახალგაზრდა. — და კიდევ გაეცინა მარჩენკოს. — მაშასადამე, ჩვენ ორგზის თანამემამულე ვყოფილვართ. ჩვენთან მეც კომკავშირის ორგანიზატორი ვარ, წავიდეთ.

დაწალიკებული ჯგუფი დაიძრა და გაეყა გზის ნაპირებს წინა მხარისაკენ, სადაც მათ ტრავკინი ელოდა.

თავი მეოთხე.

მარჩენკოს წასვლის შემდეგ მეზუთე დღეს, მამოჩკინი ისევ შეხვდა კატისა და მიიბატიყა იგი მშვერაგებთან.

მან ფარდულის ერთ კუთხეში სუფრა გაშალა, დააწყო მადის მომგვრელი საუზმე, მიიწვია ფეოქტისტოვი, რამდენიმე სხვა მეგობარი, და ჩალაზე კატას გვერდით დაჯდა.

გახურებულ ღზინში, ყველასათვის მოულოდნელად ტრავკინი შემოვიდა.

ლეიტენანტის შემოსვლამ ცოტა უზერხულობა გამოიწვია, რომლის დროსაც მამოჩკინმა მიმალა ბოთლი და ტოლჩა. სიმართლე, რომ ვთქვათ მამოჩკინისათვის არც თუ ისე სასიამოვნო იყო ქალიშვილის თანდასწრებით, გამოეჩინა მეთაურისადმი შიში, მაგრამ კიდევ უფრო არასასიამოვნო იქნებოდა, მეთაურისაგან მკაცრი შენიშვნა მიეღო.

ტრავკინმა ირიბად გადახედა კუთხეში მჯდომ მშვერაგებსა და უცნობ ქალიშვილს. მშვერაგები აღგზენ, მაგრამ მან დაბალი ხმით სთქვა „თავისუფლად“ და შორს კუთხეში თავის საწოლზე მიწვია. სამი ღამის უძინარი იყო ის. მარჩენკო გუშინწინ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ამოდ ელოდა მას სანგარში მძიმე თვლემასთან შეკიდებული ტრავკინი. უცნაური და შემაშფოთებელი იყო, რომ არ მობრუნდა ის

ორი მესანგრე, რომლებსაც ევალემო-  
და დანაღმულ ველზე მზვერავეების გა-  
ტარების შემდეგ დაუყოვნებლივ დაბ-  
რუნება. დაიკარგა, გაქრა მთელი ჯგუ-  
ფი, რომელიც უხპაუროდ მიიშალა  
უკუწინეთ ღამეში. გაქრა ისე, რომ წვი-  
მამ კვალიც კი წარეცხა მათი.

ტრაკინი მიწვა თივთიკის საბანზე  
და დაიძინა მშფოთვარე ძილით.

მიყუჩებულმა მზვერავეებმა კიდევ  
დალიეს თითო არაყი და კატამ წყნა-  
რად იკითხა:

— ეს არის თქვენი მეთაური?—რო-  
გორი წყნარია და ახალგაზრდა.

ტრაკინი ბორგავდა ძილში და უცებ  
წამოილაპარაკა:

— რატომ არ მოდი ამდენხანს? რა  
უცნაური ადამიანი ხარ. მესანგრეებიც  
მოსულან. ჩვენ კი ჩაიკოვსკის ვესმენ-  
დით, შენ არსად ჩანდი, ჩერჩეტო.

მისი ლაპარაკი არ ჰგავდა მძინარე  
ადამიანის ბოღვას. მან ნორმალური,  
მღვიძარე ადამიანის ჩვეულებრივი  
ხმით წარმოსთქვა სიტყვები. მზვერა-  
ვეებმა უხერხულობა იგრძნეს და სათი-  
თაოდ გაიფანტნენ დარჩა მარტო მა-  
მოჩინი თავის თეთრ სუფრასთან.

კატია ჩუმი ნაბიჯებით მივიდა ტრაკ-  
კინთან და მის წინ გაჩერდა. ტრაკინს  
თვალეები ნახევრად გაღებული ჰქონდა,  
როგორც მძინარე ბავშვს. გახუნებული  
გიშნასტურა გახსნოდა, სახეზე კი მწა-  
რე ნაღველის გამოშხატველი იერი  
აღბუქდოდა. კატამ წყნარად სთქვა:

— რა კარგი ვინემა.

— არ გააღვიძო! — უხეშად გამო-  
ეხმაურა მამოჩინი. მაგრამ კატიას ეს  
არ წყენია, რადგან იგრძნო მამოჩინის  
სიტყვებში იგივე ნაზი გრძნობა მძინა-  
რესაღმი, როგორითაც თვითონ განიშ-  
სკვალა. — სწუხს ჩვენი ლეიტენან-  
ტი, — აუხსნა დაღვრემილმა მამოჩ-  
კინმა.

წვეულება საბოლოოდ ჩაიშალა, რაც  
ყველამ იგრძნო.

და მხოლოდ კატია გამოვიდა საღ-  
გომიდან როგორღაც უცნაურად კლ-  
ფრთოვანებული, სევდოვანი, მუქი  
წყობილებით. გამწვანებული ტყეში  
მიშავალი ის შემფოთებითა და თითქ-  
მის — ვაკვირებითაც კი შეიგრძნობ-  
და ამ თავის ახალ განწყობილებას. რას  
წეებოდა მისი ასე აღელვება, მისი გუ-  
ლის გაფაქჩივება, სასიხარულო სევდით  
აღვსება? მას თვალწინ ედგა ლეიტე-  
ნანტის თითქმის ბავშვური სახე. შეიძ-  
ლება მასში დაინახა მან თავის საკუთა-  
რი გამოსახულება, რაღაც ტყვილის  
მაგვარი, სულის სიღრმეში მიშალული,  
ჯერ კიდევ გაუყუჩებელი ტყვილი იმ  
გოგონასი, რომელიც პატარა ქალაქი-  
დან მოვიდა და ომმა აგმა ცხოვრების  
მთელი მძაფრი პირობები.

კატამ ხშირად დაიწყო შერბენა  
მზვერავეების დარანში. მამოჩინი და  
სხვებიც მშვენიერად გაერკვნენ გოგო-  
ნას სულიერ განწყობილებაში. მამოჩ-  
კინს გაეხარა კიდევ, რადგან ის ყო-  
ფა-ცხოვრების საკითხებში ლეიტენან-  
ტის მფარველად თვლიდა თავს. მან გა-  
დასწყვიტა, პატარა რომანი კატასთან  
მძიმე ფიქრებიდან დაიხსნინდა ლეიტე-  
ნანტს, რომელიც მარჩენკოს და მისი  
ჯგუფის აშკარა დაღუპვის შემდეგ შე-  
სამჩნევად დადარდიანდა.

მზვერავეები ერთიმეორეს ასწრებდნენ  
კატიას დაბატიებაში, უამბობდნენ  
ლეიტენანტის შესახებ ახალ ამბებს,  
მირბოდნენ კავშირგაბმულობის ასე-  
ულში, რომ შეეტყობინებინათ მისთ-  
ვის „იგი მოწინავე ხაზიდან მოვი-  
და“. ერთი სიტყვით ყოველნაირად  
ცდილობდნენ დაეახლოვებინათ კატია  
ტრაკინთან. ერთად-ერთი, ვინც ვერ  
ამჩნევდა ამ ორომტრიალს, ეს თვითონ  
ტრაკინი იყო.

ერთხელ დარანში მოსვლისას ტრაკ-  
კინმა დაინახა, რომ მისი კუთხე გადა-  
კედლილია კარავ-მოსასხამით და კუთ-

ხეში თივაზე გაფენილი საბნის მაგიერ, დგას ნამდვილი რკინის საწოლი და მაგიდა, მაგიდაზე კი ლარნაკი ქორფა ენძელებით. მან იკითხა:

— ეს რა არის?

— რა? — მიამიტად მიუგო ბრაენიკოვმა. — ეს მეკავშირე კატიამ გააქვთა. ის ყოველნაირად ცდილობს თქვენთვის, ამხანაგო ლეიტენანტო.

ტრავეინი წამოწითლდა და ჰკითხა:

— რატომ უშვებთ ოცეულის განლაგებაში უცხო პირებს?

ბრაენიკოვი დამნაშავესავეთ გაჩუმდა. მამოჩენმა კი, გაიგო რა ამ საუბარის შესახებ, ხელები გაასავსავა.

— რა ადამიანია! სულ გერმანელებზე ფიქრობს და სხვა არაფერი. მუდამ გერმანელთა დაცვის სქემებს ხაზავს, რუკას უზის და მთელი დღეები წინა ხაზზე დამწრის.

რაც შეეხება კატიას, პირველად ის საქციელწამსდარი იყო ტრავეინის გულჩათხრობილობითა და ქაბუტური სიმორცხვით. არა მისდამი ასეთ დამოკიდებულებას, კატია მიჩვეული არ არის. ის მიჩვეულია იყოს ყოველთვის სასურველი. თუმცა მან იცოდა, რომ ეს იოლი წარმატება არის არა მისი ღირსება, არამედ უფრო ის, რომ მამაკაცები იქ ბერია და ქალები კი თითზე ჩამოსათვლელი. შემდეგ მან ანაზღად იგრძნო, რომ ის ორმაგად ბედნიერია: ბედნიერია მით, რომ მისთვის საყვარელი ადამიანი, ჩვეულებრივი ადამიანი არ არის, არა, ის მკაცრია, ამაყი და წმინდა. ასეთივე უნდა ყოფილიყო. ტრავეინთან ყოფნის დროს კატია მისთვის უჩვეულო მორცხვობას იჩენდა და თვითონაც უკვირდა, ნუთუ ეს არის ის კატია, წინათ რომ თავი მიიჩნდა უკვე გამოცდილ, პატარა ცოდვილ არსებად. ლაშქრული ცხოვრების ფაცაფუცში წუთიერი სიმპატიისა, ან უბრალო მოწყვნილობის გამო, გაკვრით მიღებულ და დაბრუნებულ ხვევნაკონას — ის უწოდებდა ცხოვრებას.

ის იგონებდა ამას როგორც რაღაც ულამაზოს, მაგრამ უკვე დაღუპვის წარსულს.

კატია ყოველდღე მოდიოდა დარანში ყვავილებითა და ბზის ქუჩულა ტოტებით. მაგრამ საქმე ყვავილებში კი არ იყო. მას თან მოჰქონდა ნაზი, ქალური კეთილსურნელება, რომლისთვისაც დარდობდა მარტოობაში მყოფი მებრძოლების გული. მწვერავეები კიცხავდნენ თავის მეთაურს ქალიშვილისადმი გულგრილობაში, თუმცა იმავე დროს ამაყობდნენ ვაჟის მიუწვდომლობის გამო.

დივიზიაში მისულმა არმიის დაწვერვის განყოფილების უფროსმა, პოლკოვნიკ სემერკინმა კატიას იმ მომენტში მიუსწრო, როცა ის ლურჯ ლარნაკში ქორფა ყვავილებს აწყობდა. პოლკოვნიკი შევიდა დარანში, უნდოდა ენახა, თუ როგორ ცხოვრობენ მწვერავეები, მაგრამ დარანში არაეინ აღმოჩნდა გარდა მზარეულისა, მორიგისა და ამ ქალიშვილისა.

— თქვენ ვინა ხართ? — შეეკითხა პოლკოვნიკი.

— რადისტი, უმცროსი სერგანტი სიმაკოვა, — მოახსენა კატიამ.

— მე კი მეგონა, თქვენ აქ ყვავილებით ვაჭრობდით, — ჩაიბუტბუტა დვარძლიანმა პოლკოვნიკმა და გავიდა.

შემდეგ ის დიდხანს საუბრობდა დივიზიის მეთაურთან. ისინი თავაზიანად, მაგრამ საფუძვლიანად შეკამათდნენ.

— თქვენ არაფერიც არ იცით თქვენს წინაშე მდგარი მოწინააღმდეგის შესახებ, — უსაყვედურებდა დივიზიის მეთაურს პოლკოვნიკი სემერკინი, — თქვენ განა გაქვთ ნათელი წარმოდგენა იმათ დაუგუფებასა და განზრახვებზე?

პოლკოვნიკი სერბიჩენკო ცდილობდა თავი შეეკავებინა და ხუმრობაში ატარებდა:

— მე საიდან უნდა ვიცოდე? დივიზიის მეთაურმა ზოგჯერ ისიც არ იცის, მის ჯარში რა ხდება. მას საიდან ეყო-

დინება, რას აკეთებს მოწინააღმდეგე? აი, გავგზავნე დაზვერვაზე მწვერავები და არ დაბრუნებულან უკან. თქვენთვის შეიღი აღამიანი — წერილმანი საქმეა, — თქვენ არმია ხართ, მე კი პატარა კაცი, ჩემთვის შეიღი აღამიანის დაღუპვა დიდი, ძალიან დიდი დანაკლისია. ბრძოლაში გამომავლდნენ მწვერავები.

— ეს სწორია, — შეესიტყვა პოლკოვნიკი სემერკინი, — აბა, ერთი ნახეთ თქვენს დაზვერვაში რა ხდება, მივდივარ მათთან დარანში, არავინ არის, მორიგემაც არ იცის სად არიან ისინი. მართალია, იქ ქალიშვილი დაიარება ყვავილებით. რა იდ-ლია! თქვენი პროკურატურის გამომძიებელმა ახლახან მითხრა, რომ მასთან შესულა სეროზული საჩივარი თქვენს მწვერავებზე, ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენ არ იცით და მე კი ვაივებ. საჩივარი რომელიც სოფლიდანაა. აი თქვენი მწვერავების ცუდი მუშაობის მიზეზი.

პოლკოვნიკ სერბინეკომ გამომძიებელი გამოაძახებინა.

შეუმჩნეველი, მშვიდი, ოდნავ ნაყვავილარი, დიდი ამობურცული მელოტთავიანი პროკურატურის გამომძიებელი კაპიტანი ესკინი ჩქარა გამოცხადდა.

გამომძიებელმა დაწვრილებით უამბო ახლობელი სოფლის მცხოვრებთა საჩივრის შინაარსი: მწვერავებმა თვითნებურად წაიყვანეს ცამეტი ცხენი, რომელთაგან მხოლოდ თერთმეტი დაბრუნეს, განცხადებაზე დართული იყო ხელწერილი გაურკვეველი ხელმოწერით.

— რატომ გგონიათ, რომ ეს სწორედ ჩვენმა მწვერავებმა ჩაიდინეს?

გამომძიებელმა, დივიზიის მეთაურის პრისხანე გამოხედვის მიუხედავად, უშიშრად უპასუხა:

— ეს კიდევ არ არის ზუსტად დადგენილი.

— მაშ, დაადგინეთ ზუსტად და შემ-

დეგ მომახსენეთ. შეგიძლიათ წახვიდეთ.

გამომძიებელი გავიდა. დივიზიის მეთაურმა დადლილად უთხრა პოლკოვნიკ სემერკინს.

— კარგი, ჩვენ გავუღს გავგზავნით ზურგში, მხოლოდ თქვენ კი ეცადეთ შეგვევისოთ მწვერავები.

როცა ყველა წავიდ-წამოვიდა, პოლკოვნიკი სერბინეკოც გამოვიდა ქოხიდან და მიმავალმა შემოსასვლელში ფეხზე წამოშტარ შიკრიკს მიამახა:

— მალე მოვალ.

ზანტად მბრუნავ წისქვილის მიმართულებით გაეშურა პოლკოვნიკი. გაბნეულ დარანთა შორის ერთერთთან მივიდა და შესასვლელში მორიგეს შეეკითხა:

— მწვერავები ხართ?

— სწორედ ასე, ამხანაგო პოლკოვნიკო, — უპასუხა მორიგემ და ხმამალა დაიყვირა ნახევრად ბნელ სადგომში — ადექით! სმენა!..

სადგომი ამოძრავდა და გაირინდა. დივიზიის მეთაურმა გამომცდელად მიმოიხედა. სადგომის სიბნელეში იდგარვა მწვერავი ხელეზნაშვებული. ერთერთი კუთხე ბრეზენტით იყო გადაკედლილი. სწორედ ამ კუთხესთან მივიდა დივიზიის მეთაური უსიტყვოდ. გადასწია ბრეზენტი და დაინახა კატია, რომელიც „სმენაზე“ იდგა. მაგიდაზე წიგნები და რვეულები ეწყო. ლურჯ ლარნაკში კი ყვავილები.

დივიზიის მეთაურის გულმოსული გამოხედვა ოდნავ შერბილდა, მან დაკვირვებით შეხედა კატიას და კითხა:

— შენ აქ რას აკეთებ? — შემდეგ მიუბრუნდა მასთან მოხსენებით მისულ მორიგე სერკანტს და შეეკითხა:

— სად არის თქვენი მეთაური?

— ლეიტენანტი წინა ხაზზეა.

— როცა მოვიდეს, ჩემთან გამოგზავნეთ.

ის გაეშურა გასასვლელისაკენ. შემდეგ მოიხედა.

— კატია, აქ დარჩები, თუ ჩემთან წამოხვალ?

— წამოვალ, — უთხრა კატიამ.

ისინი ერთად გავიდნენ დარანიდან.

— შენ რატომ შეგრცხვია? — შეეკითხა დიკონის მეთაური. — ცუდი აქ არაფერია. — ტრავკინი კარგი უმაწვილი და გაბედული მზვერავია.

კატია დუმდა.

— რაო? შეგიყვარდა? კარგია — კაპიტანი ბარაშკინი? როგორ? ვადაყენე?

— მასთან არაფერი, — სთქვა მან. — ის ისე უბრალოდ... სისულელე...

პოლკოვნიკმა ჩაიბუტბუტა, შემდეგ ყურადღებით შეხედა გოგონას დამწვებულ წამწამებს და კითხა.

— ის, ტრავკინი, რას ამბობს? მოხარულია? მშვენიერი გოგონაა და თან ყვეაილებიც მოაქვს.

ქალიშვილს არ უპასუხნია, პოლკოვნიკი მიუხედა:

— რაო? არ უყვარხარ?

სამხრებშიანი, უმცროს სერკანტ ჩიტუნას სახით მოცემულმა გაუზიარებელი სიყვარულის შევლმა ტრავკინიამ მოაღბო პოლკოვნიკი. აქ, ამ ომის ქარცეცხლში ათრთოლდა ახალგაზრდა სიყვარული, ისე როგორც ჩიტი ნიანგის ხახშიში. პოლკოვნიკმა ჩაიციხა.

ისინი სამხედრო ექთან ულიბიშევის შეხედნენ და დივიზიის მეთაურმა მიიბატყა ისიც კატიასთან ერთად ჩაიხე.

როდესაც პოლკოვნიკის ქოხში მოვიდნენ, ულიბიშევი და კატია დაიხასხისობას მიჰყვეს ხელი. შიკრიკის დახმარებით აადლეს სამოვარი, მიუსხდნენ მაგიდას და გააბეს მზიარული მუსაიფი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ტრავკინიც მოვიდა.

— დაჯექი, — უთხრა დივიზიის მეთაურმა.

კატია აღელდა, მას ეგონა პოლკოვნიკი გაეხუმრებოდა ტრავკინს კატიას გრძობებზე, მაგრამ დივიზიის მე-

თაურს ერთი სიტყვაც არ დაუძრავს ამის შესახებ. საუბარი ეხებოდა ცხენებს და კატია გაუბრალებდა ლეიტენანტის ახალგაზრდა სერიოზულ სახეს, ისმენდა მის მკაფიო, გარკვეულ პასუხებს დივიზიის მეთაურისადმი, თუმცა არც ესმოდა ამ ლაპარაკის აზრი. და მან ოგრძნო აუტანელი სიმწარე.

„აბა, მე რა მისი შესაფერი ვარ, — თქმობდა ის. — იგი ასეთი ჭკვიანია, დინჯი, მისი და ვიოლინოზე უკრავს, თვითონაც სწავლული იქნება. მე კი? ისეთივე გოგონა ვარ, როგორც სხვა ათასები“.

ტრავკინი ოდნავადაც ვერ ხედებოდა ამ ქალიშვილის ნამდვილ გრძობებს. ქალიშვილი იწვევდა ვაჟში სინანულსა და გაუგებრობას. კატიას მოულოდნელად ხშირად მისვლა დარანში არამკითხული ზრუნვა ტრავკინის კეთილმოწყობისათვის. ყველაფერი ეს ტრავკინს ეჩვენებოდა რაღაც უწყისოდ, მომაბეზრებლად და სულელურად. მას ცხვენოდა თავის მზვერავების, რომლებიც ქალის გამოჩენისთანავე მრავალ მნიშვნელოვნად გადახედავდნენ ერთი მეორეს და უგერგილოდ ცდილობდნენ მათ მარტო დატოვებას.

ახლა ძალზე გაუყვირდა, რომ დაინახა კატია დივიზიის მეთაურის ოთახში და ისიც სამოვართან. როცა დივიზიის მეთაურმა ლაპარაკი ცხენების შესახებ დაიწყო, ტრავკინს ჯერ ეგონა, რომ კატია გაცივო რაიმე მზვერავების ლაპარაკიდან ცხენების შესახებ და იქორავა დივიზიის მეთაურთან.

მან მოკლედ აღუხსნა პოლკოვნიკს საქმის შინაარსი და დივიზიის მეთაურის წინაშე ანაზღად აღსდგა იერიშის დღეები, შეუწყვეტელი მარშები, მოკლე შეტაკებები და მარტის ის შუადღე, როცა ის, პოლკოვნიკი ახორციელ შუაგზაზე მდგომი დამცინავად უსაყვედურებდა მზვერავებს. მეთაურის გამამხნეველად მოკუტული მომწვენიო-რუხი

თვალეში შეყურებდნენ ტრავკინს წინანდელი ომის მხვერავის, უნტერ-ოფიცერ სერბიჩენკოს ხედვით.

— ყოჩაღ, ტრავკინ!

პოლკოვნიკმა კითხა.

— შენ მართლა დაუბრუნე ყველა ცხენი გლეხებს?

ტრავკინმა დაბეჯითებით უპასუხა:

— სწორედ.

კარებზე დააკაუნეს და ზღრუბლზე კაპიტანი ბარაშკინი გამოჩნდა.

— შენ რაღა გინდა? — უკმაყოფილოდ კითხა სერბიჩენკომ.

— ხომ არ გამომიძახეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო?

— გამოგიძახე სამი საათის წინათ. სემერკინი გელაპარაკათ?

— მელაპარაკა, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— მერე?

— გაგვზავნი ჯგუფს მოწინააღმდეგის ზურგში.

— უფროსად ვინ წავა?

— აი ეს, ტრავკინი. — დაფარული ღვარძლით უპასუხა ბარაშკინმა.

მაგრამ ის მოტყუვდა ანგარიშში. ტრავკინს თვალშიც კი არ დაუხამხამებია. უღიბნიშვეა მშვიდად ასხამდა ჩაისს, მან არ იცოდა საქმე რაში იყო, კატიამ კი სრულებით ვერ გაიგო, რომ წარმოთქმული სიტყვები სწორედ მისი სოყვარულის ბედთან იყო დაკავშირებული.

ერთად-ერთი, ვინც მიუხედა ბარაშკინის თვალთა გამომეტყუვლებას, დივიზიის მეთაური იყო, მაგრამ მას არ პქონდა საფუძველი, არ დათანხმებოდა ბარაშკინს. მართლაც ამ უჩვეულო მძიმე ოპერაციის ხელმძღვანელად

ტრავკინი საუკეთესო მეთაურად დასრულდა იყო.

— კარგი, — სთქვა დივიზიის მეთაურმა და ბარაშკინი გაუშვა.

მალე ტრავკინიც წამოიღა.

— რა გაეწყობა, — წაღი, — დაარიგა ის პოლკოვნიკმა, — მოემზადე, იცოდე, საქმე სერიოზულია.

— არის, — სთქვა ტრავკინმა და ქოხიდან გავიდა.

პოლკოვნიკმა ერთხანს უსმინა მიმავალ მხვერავის ფეხის ხმას და უხალისოდ სთქვა:

— კარგი ყმაწვილია.

ტრავკინის წასვლის შემდეგ კატიი ვერ ისვენებდა. ჩქარა ისიც გამოეთხოვა მათ და წავიდა. იყო თბილი, მთვარიანი ღამე, სიწყნარე, ღრმა, ტყის ჩვეულებრივი სიწყნარე, რომელიც ხანდახან ირღვეოდა შორეული აფეთქებებით ან და მარტო მიმავალ სატვირთო მანქანის რახრახით.

კატია ბედნიერი იყო: მას ეგონა, რომ ტრავკინი დღეს უფრო ალერსიანად უყურებდა მას, ვინემ ყოველთვის. და მას ეგონა, რადგან ყოველისშემძლე დივიზიის მეთაური კატიას კეთილგანწყობილებით ეპყრობა, რა თქმა უნდა შესძლებს ტრავკინის დაჯერებას, რომ კატია არც ისე ცუდი გოგონაა, და რომ მასში არის ის ღირსება, რომელიც შეიძლება დაფასდეს. და ამ მთვარიან ღამეში ის ყველგან ეძებდა თავის შეყვარებულს და ჩურჩულებდა ძველ, თითქმის ისეთსავე სიტყვებს, როგორიც კებათა-ქებაშია, თუმცა მას არასოდეს არ მოუსმენია და არც წაუყვითხავს ის.

თარგმანი ძმთა ალაფიანი.

(გაგრძელება იქნება)

ხარტონ პარლავილი

## გენაგე ნინოშვილს

★

ვისაც სწევას შთაგონების  
 უშრეტი ცეცხლის ალი,  
 გულში უღვივის მარად  
 იმედი დაუმტხრალი,  
 და სინათლისკენ ილტვის  
 ბრძოლის ხალისით მთვრალი,—

მას შეიყვარებს ხალხი,  
 როგორც მზეს, შუქ-სხივოსანს,  
 და უკვდავების უქრობ  
 მარაგანდვდით მოსავს.

შენც ხომ ასეთი იყავ.  
 უსპეტაკესო გულო,  
 პოეტო, ჩაგრულთათვის  
 დამწვარო, დადაგულო!

გურიის მიწამ შენს მკერდს  
 შთაბერა ლალი სული,  
 უმწიკვლო, წრფელი მგოსნის  
 შენ ხარ ხატება სრული.

ქედს არ უხრიდი შავბედს,  
 სიკვდილამდე რომ გდევდა.  
 უკვდავების მზეს მისწვდი  
 და დაიურვე სევდა.  
 არ შედრკა შენი გული  
 სიციოცხლის გამწარებით,  
 ცრემლს არ ემონა თვალის  
 დახრილი წამწამები.

მისიკენ მიგყავდა ხალხი,  
 ტანჯული, ნაწამები.  
 შენი სიტყვები ბნელეთს  
 ჰკვეთდნენ, ვით ვარსკვლავები!..

მაღალ მიზნისთვის ბრძოლა  
 იცოდი თავგანწირვით,  
 უტეხი ნებით, შრომით  
 იყავ ნამდვილი გმირი.  
 და გამარჯვების რწმენა —  
 გულს ცეცხლად დანანთები,  
 წინ მიგაფრენდა მარად  
 ჩაუქრობელი გზნებით.  
 მაგრამ დაეცი ადრე,  
 დაგემსხვრა მძლავრი ფრთები.

ვერ სთქვეი სათქმელი სრულად,  
 სიმღერა სიყვარულის,  
 და დაგიღუმდა მკერდში  
 უმზურვალესი გული!

იხარე, წამებულო,  
 შენი წადილი ახლა,  
 ფოლადის კაცის ხელით  
 სიბნელე გაპარტახდა.

დიდ საბჭოეთთან ერთად  
 შენი გურიაც ხარობს,  
 იხარე, დიდო გულო,  
 ჩაგრულთა აღამდარო!

გონდო კახელავა

## მომონება

★

თოვლის ფიფქებით შეიმოსა თხმელა მალალი,  
დაფუსფუსებენ, საახალწლო მზადება არის.  
ბუხარში ცეცხლის განუწყვეტლად გიზგიზებს ალი,  
და სიარულში წამდაუწყუმ კრიალებს კარი.

ბავშვები ფრთხილად დაეტიტინებთ მოკრძალებულნი,  
ალტაცება და სიხარული სუფევს ჩვენს ხმაში,  
თხილის რტოებით, სუროს ფოთლით დამშვენებული  
შემოიტანა ჩიჩილაკი ბაბუამ სახლში.

შებინდა, მწუხრმა მოციმციმე სივრცე დაბურა,  
შეიკრა პირი თეთრად აკრილ ნათოვარ ცაშა.  
აანთეს შუქი, მყუდროებამ დაისადგურა,  
თხილამურებით ქალაქიდან მოვიდა მამა.

გახსნა ხურჯინი, ათამაშდნენ ჩვენი თვალები,  
არ გვეუცხოვა ლელვის ჩირი, მსხალი თუ ვაშლი.  
და საახალწლო საჩუქრებთან ვით ნაპერწყლები  
რგვალ მაგიდაზე ფორთოხლები აბრწყინდნენ მაშინ.

სულ ხუთიოდე იყო, მაგრამ ყველას გვერჩია  
მზიური ფერი, სხვა ფერისგან გამორჩეული.  
ის გახდა ჩვენი სანატრელი ხილი მზეწყია,  
არად მიგვაჩნდა ბებოს პანტა და ბროწეული.

მოაბლოება მაგონდება იმ ალიონის,  
ლელვა გულისა, სარეცელში ხშირი შერხევა,  
ფანჯრბს მინაზე მირჩენილი თოვლის ფიორი  
და საახალწლო უცხო ხილზე ხელის შეხება.

ის დრო წავიდა, ჩემი სოფლის მინდვრებს ამშვენებს  
დღეს ნარინჯების თვალწარმტაცი გარიყრაყები.  
დახუნძულ ტოტებს ზღვის ნიაფი შეაშრიალებს,  
ოქროსფერ ნაყოფს არ ნატრობენ ჩვენი ბავშვები.



მოთარქვენი

## მარგარიტოს ჯარისკაცი

კონეა

★

თითქოს მხედრები დგანან გემბანზე,  
თითქოს დესანტად გაჰყავთ ხეხილი,  
გემის ხმაალად დაძახებულზე  
ნაპირს ეცემა ტალღა მებრძოლი.

ზარი ზედიზედ დარეკს დიდგული,  
ზეირთმა ზმული მორთო ზომალდთან,  
როგორც მერცხლები ტოტებშიმბული  
დაფრთხნენ ფოთლები

ფორთოხლოვანთა.

ზომალდმა გუგუნს რომ მოუჩქარა,  
გასცდა ნესადგურს მძლავრი  
ბლაგილით,

თითქოს ნაწილი მოსწყდა აქარას  
და შეშრიალდა ზღვაში ბალივით.

თეთრი მხეფები ცვივა გემბანზე,  
ტოტებს წვეთები ნამად ედება;  
თმებდანამული შოთა გერაძე  
ჩაფიქრებული დადის ნერგებთან.

დადის ლომკაცი, ცეცხლში ნაწრთობი,  
მწვანე ხალათი შვენი მემორის,  
ხეხილს მიჰყვება, როგორც პარტორგი  
დადი საბჭოთა მეურნეობის.

ხეხილს მიჰყვება ყირიმისაგენ,  
მჩქვს ქართული ოქრო ზომალდით,  
მზისგან დამწვარი მისი პირსახე  
შუქზე ლაბლაპებს, როგორც

ფოლადი.

დადის გემბანზე შოთა გერაძე,  
ტოტებს აძხვდაც წარბის აწევით.  
გაჭიმულები დგანან სმენაზე  
ნერგები, როგორც ჯარისკაცები.

მზე გადიხარა. მთები აქარის  
ჩამოეფინენ ზღვაში ნაბდებით,  
ჩანდა მწვერვალი, თეთრი ხანჯალი,  
თოვლის ზარნიშის აჩირალდებით.

როგორც დიდი ხნის თანამგზავრები,  
ქარმა ღრუბლები თან გაიყოლა,  
ისე დაკეცა დღემ წამწამები,  
თითქოს იყო და არა იყო რა.

ზეირთებს გორიზად მოაჯირითებს  
ზღვა ზომალდისკენ რისხვით დაძრული,  
შოთა გერაძე დგას მოაჯირთან,  
სივრცეს გაჰყურებს ფიქრში წასული.

ყირიმისაგენ მიჰქვს ნერგები,  
ქონორს უწეწავს ქარი თავნება  
და შეჰყურებენ დაიმედებით  
მწვანე ფოთლები ნამისთვალემა.

უცებ ინათა აღმოსავლეთის  
მზრიდან შემხვედრმა შუქმა გემისამ,  
ლიდრონ თვალების გამონათებით  
შეჰხვდნენ შავზღვაში შუალამისას.

მძური სალამი მისცეს ერთმანეთს  
და დაიძახეს ერთად გემებმა,  
ურთერთს ფარები რომ შეანათეს  
ჰგავდა განთიადს ეს შეგებება.



ერთი სატვიროთო, ერთი სამხედრო  
ხომალდს ხომალდი გზაზე შემოხვდა,  
ერთი სიმწვანე ჰქონდათ საერთო  
და ერთნაირი დროში შეენოდათ.

გადმომდგარიყვენ მუხღვაურები,  
(ზოგი მათგანი ზღვაზე დაბერდა).  
ეჩვენებოდათ უცნაურობად  
გემბანის ასე აფერადება.

მიშრიალებდა, როგორც წალკოტი,  
ზღვაში ნარინჯის ბაღად დაძრული,  
ნერგებს ახალი ადგილსამყოფი  
მიწა მიელის გადახანძრული.

ჩაუფრინდება ახალ სამშობლოს,  
ყირიმს დათუთქულ მყერდს  
ვაუგრილებს,  
ყინვა ამოროს, გვაღვა ამოროს,  
ყამი გახმობას ვერ დაუპირებს.

შეეგებება მხარე ყირიმის  
ომგადახდილი, გადაგვალული,  
მხარე შეეცვლილი, დამეწყრილივით,  
მხარე ჭურვებით გადაბარული.

ომმა გრუხუნით გადაიარა,  
ჰვარტლი სწვდებოდა ტურფა  
ასპიროს;  
ახლა საბჭოთა ადამიანმა  
მიწა წალკოტად უნდა აქციოს.

გადამწვანდება მიწა წარმტაცი,  
ჯააციცხლებენ ხეებს ფრთოსნები,  
ზღვას გადაყურებს ღამით ვაჟკაცი  
და სჭვრეტს მომავლის დღეებს  
ოცნებით.

მართლაც ზღაპრული მხარე ვახდები,  
გზაზე მომავლის მოჩანს ზაფხული,  
ხაქართველოსებრ ბალ-ვენახებით  
მკერდმოხატული, მოჩარდახული.

თვალწინ დაუდგა ახლა სამშობლო,  
ფეთქვა გულისა მან აჩქარა,

ცოტახანია, რაც მას დასწორდა  
და მოენატრა ვაჟკაცს ფეხქვეშაში,  
გინგლისმოთქვა

ტკბილი ხსენების გაივლის წუთი,  
თითქოს ჰიკიკი მისწყდა  
მერცხლების;  
ბოლოს თბილისი და ინსტიტუტი  
წინ დაეხატა წმინდა მერხებით.

სახე აენტო ამ მოგონებით,  
წიგნებს იხსენებს ყდაგაცრეცილებს,  
დიდი მომავლის აგრონომები  
სხედან, უსმენენ ხარბად ლექციებს.

როგორც კონსპექტის ბოლო  
ფურცელი  
ახლა გერაძეს ის აგონდება,  
როცა სტუდენტი—ბოლოკურსელი  
ცეცხლში ვაღეშვა,—იქცა  
ფრონტელად.

გახსენებათა ჩაქრა პატრუქი,  
ჩარჩა ჩაღვრილი სისხლი ყირიმში.  
ხეხილს მიჰყვება ახლა პარტორგი,  
ყირიმი არის მისი ფინიში.

კრთიან ღამეში თვალუბციმცემა,  
შუქმოხანხამე ელნათურები,  
ზღვაში ჩრდილების ბადეს ისვრიან  
ნერგები, როგორც მებადურები.

## 11.

შეიფართხალებს წყალში კაცივით  
გერაძის ჩრდილი ძირს ჩავარდნილი,  
ფერდაკარგული და სისხლდაცლილი  
ჯარისკაცია თითქოს დაკრილი.

თითქოს იღიზა ზღვაში უჩუმრად,  
თითქოს მკლავებიც უჩანს შიშველი,  
თითქოს ანიშნებს პატრონს  
მუნჯურად,  
თითქოს ჩურჩულებს: — შოთავ,  
მიშველე!..



თითქოს აფრენას ლამობს მშფოთარი  
 ისე გადადის ტალა ტალაზე,  
 გემთან შეხლისას ზღვა ბობოქარი  
 ერთ ზვირთს ჩქეფებად გაათასებს.

შოთა შრილა შტოებს შეჰყურებს,  
 ბოლოს ჩრდილისკენ მიტრიალდება  
 და უცებ თითქოს დაიგრუხუნეს  
 სეასტიკიანმა თვითმფრინავებმა.

ასე იელვა ხსოვნამ ომისამ,  
 თვალწინ წარსული დადგა და მაშინ...  
 თითქოს ქვემეხთა სროლაც მოისმა,  
 თითქოს საყვირთა ატყდა განგაში.

მომშეუვალი კლდეც შეშინდება,  
 სიკვდილზე ფიქრთან რა შეგარიგებს:  
 აი, ფრთაშავმა ყუმბარმზიდებმა  
 გადმოუფრინეს თავზე ნავტიკებს.

ზღვა მოღუშული მასპინძელია,  
 წყალს მთარღვევენ ჯგუფად ბარკები.  
 — ალბათ, სიკვდილი არ მიწერიდა,  
 ახლა ცოცხალი თუ გადავრჩები!..

ვილაც ნავტიკში იტყვის ხმამალა  
 და გადაჰხედავს წამით მეომრებს,  
 იგივე მებრძოლი სიტყვას ხელახლა  
 უფრო ხმამალა გაიმეორებს.

გმირის ვარსკვლავი უციმიციმება,—  
 სიტყვა უმიზნოდ კი არ წამოსცდა,  
 მისგან ასეთ დროს შიშის ხსენებას  
 ჯარისკაცულად ჰქვიან — გამოცდა.

ამ დროს ხუმრობა არის წამალი,  
 ყველა იმედით უსმენს მედაროვს,  
 დივიზიაში კაცი არ არის,  
 ოხუნჯობაში რომ შეედაროს.

მზისგან შეფერილ კეთილ სახეზე  
 ვაჟკაცს ფორთოხლის დაჰკრავს  
 ელფერი,  
 ზის და კვიმატურ სიტყვას დაეძებს  
 ეს ყირიმელი მასწავლებელი.

— ალბათ, სწყურია რაღაც ისტორია...  
 ჯარისკაცებმა წამსვე შეჩინეს ყელი  
 — სიკვდილს გვესვრიან! გეგამით მისა  
 მუხლდოს,  
 ჭურვებს გვაყრიან—არ შემეშინდეს?!

სიტყვა და მებრძოლმა სახე უნდობლად  
 მეზობლებისკენ ისე მიიღო,  
 ისე შეჰხედა, თითქოს უნდოდა:  
 შეკრთენ თუ არა—მიხვედრილიყო.

გამოაფხიზლა ფიქრში გართულნი,  
 (ჩამორჩენოდა ღესანტს ნავტიკი).  
 კარგად იცოდნენ, რომ ხელჩართული  
 გადაჰხედბოდათ ბრძოლა სასტიკი.

ყუმბარმზიდები დაგრუხუნებდნენ,  
 აი, ჰერში ბრძოლაც დაიწყო;  
 წამალი არის ამ დროს ხუმრობა,  
 სიკვდილზე ფიქრი რომ დაგაეიწყოს.

— რას მობუზულხართ, თავი ასწიეთ...  
 ზღვას რომ ჩაჰყურებთ, რა  
 ჩაგყარავით?!  
 აჰა, თამბაქო გაინაწილეთ,  
 კვამლის სიმწარე ახლა კარგია.

შენ ჰეი, მშობილო,  
 გულჩათხრობილო...  
 უთხრა მეზობელს ახლა დაცინვით.  
 — რას მოღუშულხარ? ალბათ ბებია  
 თუ გაგახსენდა აწგარდაცვლილი.

ო, რა ეშმაკი ჩანხარ ნამდვილად,  
 ბოლოს ხმამალა უთხრა ჩუქაშელს,  
 რომ გაგიჭირდეს—წეკოს მაგივრად  
 გაიპარსავ და მოსწევე უღვაშებს.

ჯარისკაცებში ატყდა ხარხარი,—  
 ბრძოლის დროს თითქოს უცნაურობა,  
 ახლა მებრძოლებს ახალთ-ახალი,  
 ჯარისკაცული უნდათ ხუმრობა.

წყალში გაჰქონდა შრაპნელს  
 შხაბუნი,—  
 (ძლივს ეწეოდა ღესანტს ნავტიკი).



კარგად იცოდნენ, რომ ხელჩართული  
გადაჰხდებოდათ ბრძოლა სასტიკი.

ცას აბნელებდნენ ყუმბარმზიდები,  
მესერშმიტები გაათრებულნი;  
ხმაურს ეჩვევი, ბოლოს მშვიდდები,  
თითქოს ომში ხარ დაბადებული.

უცებ დაეცა შორით ყუმბარა,  
ზღვიდან შადრეუნის ჩქერი ავარდა,  
ნავტიკს ფრთაშავემა გადმოუარა  
და ღრუბლებისკენ შეინავარდა.

ყირიმისაკენ მიდის დესანტი,  
ქარი მიჰყვება აზხანაგისებრ,  
მიდის დესანტი, დაბინდებამდის  
უნდა გავიდნენ გაღმა ნაპირზე.

აი, გამოჩნდა შორს სანაპირო,  
ბარკებს ზედიზედ ჰხედება ტალღები,  
სიკვდილო, მოსვლა რომ დააბირო,  
ახლა ვერაფერს ვეღარ გახდები...

უცებ ისეთი სტვენა გაისმა,  
რომ მედაროვსაც არ ეტუმრება,  
მკლლით აჭრილი სვეტი წყალისა  
მზრებზე ჩქერებად დაესხურებათ.

წყალი დუღილით ადის ჰაერში  
და იქორება ვით შადრევანი,  
მიდის დესანტი,—  
ჯარისკაცებში  
ერთი ქართველი ზის შავგერემანი.

ზის მებრძოლებში შოთა გერაძე,  
პირზე ადგება, თითქოს სათქმელი,  
მტერთან პირისპირ შეტაკებაზე,  
პირველ ბრძოლაზე ფიქრობს  
ქართველი.

თავს ყუმბარმზიდმა გადმოუარათ,  
ამოშანთოდა ფრთები სეასტიკით,  
უცებ დაეცა ახლოს ყუმბარა,  
დანაფოტა მათი ნავტიკი.

ზღვაში სიკვდილის გაჩნდა აჩრდილი,  
მარილიანი წყალი გაწითლდა,

გადარჩა მხოლოდ ორი დაჭრილი  
ცხრა შედესანტე ჯარისკაცი  
გინგლინიძე

არვინ მოზარე, არვინ მტირალი,  
გაჩნდა სიჩუმე ყრუ და საზარი,  
სივრცე ცისფერი, მარილიანი,  
თითქოს ცრემლია უზარმაზარი.

მხარში დაჭრილი წყალში ფართხალებს,  
ტანზე სიკვდილი სცემდა ხანჯლებით,  
ლურჯმა ტალღებმა გაღინახარეს:  
— ვერა, ცოცხალი ვერ გადარჩები!

უცებ აენთო შუქი იმედის,  
ვიღაც ეძახის — ესმის გერაძეს;  
ო, ნაპირამდე თუ კი მივვლი,—  
შევეჭიდები სიკვდილს მეასედ.

სთქვა და მოუსვა მაშინ მხარული,  
ვინ მოუხმობდა, იქნებ ენახა...  
რა სასწაული, რა სიხარული  
არის სიცოცხლის პოვნა ზელახლა.

ტუნებს უსისხლოს და ჩალურჯებულს  
ვეღარ შეარხვეს, პასუხს ვერ აძლევს,  
ნავის ფიცარზე ჩაბლატუკებულს  
მოჰკრა ჯარისკაცს თვალი გერაძემ.

წყალში სტანჯავდა ცხარე წყურვილი,  
მკერდი ჭრილობის წვამ გაუხურა,  
უცებ იმედის თუ სასწაულის  
თვალწინ აენთო ვაჟაკს შუქურა.

ტალღებს მოარღვევს ვიღაც ნაცნობი,  
ფართო ფიცარი მოაქვს ფარივით,  
აი, მოცურდა. ზღვასთან ნაბრძოლი  
დახვდა გერაძე მომავლავივით.

თხელი ტუნები გალურჯებოდა,  
სისხლი ერთვოდა ზღვას ჩანჩქერივით,  
სიკვდილს ათასჯერ გადურჩებოდა  
ასეთ გასაჭირს გადარჩენილი.

დაეყრდნობიან ერთად ფიცარზე,  
თითქოს ორთავე იქცა ფრთიანად,  
თითქოს აფრინდნენ დედამიწაზე,  
ურთერთს შეხედეს იმედიანად.



პოი, სიცოცხლე, ტბილო, ნეტარო,  
შეპარნაყოფა ხარ ხეხილივით;  
უცებ გერაძე იცნობს მედაროვს,  
გაუნათლდება სახე ღიმილით.

მაგრამ... უეცრად შებლი შეღუშა,  
უთხრა კრილობამ მიინც თავისი,  
ფიცარს მარჯვენა კმუნვით შეუშვა,  
ზვირთი ბურთივით განუე გაისერის.

ატივტივა მოტაცებული,  
განდა სივედილის გარდუვალობა,  
მაგრამ მებრძოლი გონწართმეული  
ზღვას ჯარისკაცმა არ დაანება.

წელზე მოხვია მკლავი მარწუხად,  
მეორე მკლავით ტალა გადახნა,  
შოთა ტკივილმა რომ შეაწუხა  
ამოიოხრა ახლა ხმამალა.

ეულარ სკიდებდა თითებს ფიცარზე,  
სისხლი წაერთო, ღონე წაერთო, —  
გადასულიყვენ დელამიწაზე  
ბევრი სათქმელი ჰქონდათ საერთო.

განა იქნება, რომ შეედავოს  
ამ გაჭირვებას სხვა განსაცდელი,  
მკერდზე ვარსკვლავი ენთო მედაროვს,  
შემოკფლეთოდა მთლად ტანსაცმელი.

მკერდზე ვარსკვლავი ენთო ციმციმა,  
მისი გმირობის დასტურ-ბეჭედი  
და დღევანდელი წუთის სიმამიეც  
აუწევია დევის ბეჭებით.

მათი ნაეები — მათი დესანტი  
ძლივსლა მოჩანდა შორს, წერტილებად.  
ასე იცურეს დაღამებამდის  
თავიანთ ნაწილს მოწყვეტილებმა.

სათქმელს დაეძებს წყალში დაღლილი,  
არას ახსენებს გაჭირვებაზე,  
ვადუხვევია მკლავი ბაღლივით  
ჯარისკაცისთვის დაჭრილ გერაძეს.

— კაცის სიცოცხლე ზღვაში  
მებაროს, —  
არ ვივარგებდი განა ექიმად?

სთქვა და ღიმილი ვიქტორ მედაროვს  
კეთილ სახეზე გადაეფენა  
გინგლინიონიკა

შოთა გერაძე იწვა უჩუმრად  
ფართო ფიცარზე ბეჭებგაშლილი,  
უდასტურებდა სიტყვას მუნჯურად,  
სათქმელს სტაცებდა მხარი დაჭრილი.

— გაუმაგრდით, ტკივილს, გეთაყვა...  
მებრძოლს მებრძოლმა მისცა ნუგეში;  
მისმენ, ძმობილო? უნდა გენახა,  
როგორ ვცურავდი სიჭაბუქეში.

დამრჩა ყირიმში ჩემი ბავშვობა,  
შავიზღვა ჩემი გახლავს აყვანი,  
ჩხირით ქვიშაზე ვწერდი ასოებს,  
ასე ვისწავლე ბაღლმა ანბანი.

ტალის შვილი ვარ, ტალამ  
გამგულოს?  
თუმცა მებრძოლი, არ დამინანა;  
ლურჯი ჩქერები უნდა აკურთხოს  
ეკ გაჩენილმა ადამიანმა.

სამიშროება გადაიყარა,  
დავამარცხეთო, ვგონებ სიკვდილი,  
სთქვა და ნაპირზე გადაიყვანა  
მან ჯარისკაცი ღონემიხდილი.

გამოიტანა ფართო ფიცარიც, —  
აღბათ, წარწერა ახლაც აჩნია:  
„ზღვაში წუთები ვნახეთ სიმწარის  
და ამ ნაფოტმა გადაგვარჩინა“.

III.

ჰყავს მედაროვი შოთას იმედად,  
პო, დაილოცოს მისი გამჩენი,  
ბალატის კარი შემოიღება,  
შემოაკითხავს ძმა გადამრჩენი.

და ნავსადგური მოჩანს შორიდან,  
ჩანახშირებულ დამწვარ სახლებით;  
ყუმბარის სკდომას ძველი შენობა  
პხვდება ფანჯრების აცახცახებით.

კარგახანია არ ჩანს ვიქტორი,  
ძმისთან ნუგეში ველარ მოჰქონდა,

უკანასკნელად უთხრა „მშვიდობით“...  
ლომკაცი ცეცხლში დაბობოქრობდა

სუნთქავ... პაერი დახუთულია,  
მკვეთი სუნია ნაცარ-ფერფლისა,  
გადარუჯული მიწის სუნია,  
სისხლის სუნია და წამლებისა.

— . —

წყალში აჩრდილი გდია ისევ,  
როგორც ამბავი ზღვაში მომხდარი,  
წარსულს გერაძე აღარ იხსენებს,  
მცხვან ატყვიდა ნაჭირილობარი.

შარიშტრობდნენ გემზე ნერგები,  
ზღვაში აჩრდილი იწვა წარსულად.  
წმინდაო მიწავ! შეეგებები,  
სისხლი თავისი ვინც დაგასხურა.

დადის გემბანზე ცეცხლში ნაწითობი.  
მწვანე ხალათი შეენის მეომრის,  
ხეხილს მოჰყვება, როგორც პარტორგი  
დიდი საბჭოთა მეურნეობის.

ნერგებს მიჰყვება ყირიმისაყენ,  
მიაქვს ქართული ოქრო ხომალდით,  
მზისგან დამწვარი მისი პირსახე  
შუქზე ლაპლაპებს, როგორც ფოლადი.

ზღვაზე თენდება. მტრედისფერდება.  
ყრუ დაძახილი მ-სწყდა ტალღისა.  
სუნთქვა წამიერ შეგიჩერდება  
ასე ხასხასა ცის დანახვისას.

ზღვაზე თენდება. ყივის აბრილი—  
საგანთიადო მამლის ყივილით,  
მოჩანს ყირიმის მშვიდი ნაპირი,—  
ხომალდს უყურებს მამის ღიმილით.

ზღვაზე თენდება. ამ გათენებას  
შენც თუ შეჩხარი, მშაო მედაროვ;  
მიწის ჭრილობის გასამართლებლად  
თქვენში ნარინჯი გადმომეტანოს.

ზღვაზე თენდება. მომაქვს ხეხილი,  
ჰე, ყირიმელო, სად ხარ, არწივო,  
მიწა დამწვარი და დამეხილი  
უნდა წალკოტად გადავაქციოთ.

უნდა იცვალოს მხარემ ნერი,  
ზიდონ ბაჯაღლო ოქრო ურქმებელი...  
და გაივლინთოს ლურჯი...  
მაგნოლიათა ყვავილთ სურნელით.

მაშინ ყირიმის ერთხელ დანახვას  
კაცი სიცოცხლეს ანაცვალებდა,  
მისი ბელტების მკერდზე დაურასაც  
აღარ ერქმევა გარდაცვალება.

აი, გათენდა. გემიც გაჩერდა  
და ნაესადგურძი მორთო ბლაველი,  
მზე მოვიზგიზე სახეს აჩენდა  
უზარმაზარი ფორთოხალივით.

— . —

გახსოვს, ფაშისტის ჩექმას იტანდი,  
გახსოვს, ბატონად გყავდა ურჩხული?!  
გადაგყენია დღეს განთიადი,  
მიწავ ხანძრებით გადარუჯულო.

გული საგულეს რომ გიღელავდა...  
გაჩაღებულნი გახსოვს ის დილა,  
ხალხთა ბელადმა, დიდმა ბელადმა  
გადარჩენილი როცა ვიხილა.

მან სთქვა: გაშენდეს ვაზი, ხეხილი,  
ზედეთ ნერგები საქართველოდან,  
სთქვა და — ყირიმი ბორკილშეხსნილი  
ამას უცდიდა, ამას ელოდა.

იგი მოვიდა წმინდა საქმისთვის,  
რომ დაენერგა ხალხთა მშვიდობა,  
და მსოფლიოში დიდი სტალინის  
რწმენით აღსავსე ხმა გაისმოდა.

გადარუჯულმა, ნამტირალემა  
მიწამ დაიწყო შელაპაჯება,—  
ხალხში გერაძე დატრიალებდა —  
რუსებს ქართველი რჩევას აძლევდა.

როგორ ეკრიფათ ფრთხილად ხეხილი,  
რომ არ გაეხმოთ ოქროსთვალემა  
და უცაბედად ჩამოტეხილი  
ტოტი ტოტებზე როგორ აებათ.

განდნენ ბაღები, განდნენ ბაღჩები,  
გადმოზიდული საქართველოდან,  
თითო რტოების შეთამაშებით  
ნერგი გოგონას მსგავსად მღეროდა.

გული მეგობრის ხსოვნით გაშუქდა,  
შოთამ ხეხილი გადაარჩინა,  
უნდა წაეღო მისთვის საჩუქრად  
ვინც დახრჩობისგან გადაარჩინა.

უნდა ენახა გმირი ძმობილი,  
უნდა აშბორით გადაჰხვეოდა  
და მისწავლეს მისი სოფელი  
ვაჟკაცს ჩამოსულს საქართველოდან.

აეტომობილით მიაქვს ხეხილი,  
მიაქვს ნერგები—ტოტებგაშლილი.  
მიწა დამწვარი და დამეხილი  
ჩამავებულა, როგორც ნახშირი.

ტრიალ ტრამალზე მოჩანს სანგრები,  
ტელმიწურები გაუქმებული,  
გადაბუგული ნასახარები,—  
ჟანგისნაირად გამუქებული.

შებინდებისას ახლოს გამოჩნდა  
წამომართული გზისპირ სოფელი.  
მგზავრმა ალალი გულით დალოცა  
პატარა კუთხე, — გმირის შობელი.

წინ ჩაუქროლა ფართო ეზოებს,  
კალთას უშლიდა მხარე ყირიმის,  
გზაზე მხედებოდა ყოფილ  
მებრძოლებს,  
შუბლს უნათლებდა მათი ღიმილი.

აეტომობილმა ძრავის ძაგძაგით  
გადაიქროლა თითქმის სოფელი,  
— გზა დაგვიწყნია, ჩანს, ამხანაგო...  
შოთას ხმადაბლა ეტყვის შოფერი.

უცებ ღიმილი მოხვდა ეზოდან,  
უცებ შეიცნო სახე კეთილი,  
იღვა ვიქტორი და არ იძუროდა  
მარმარილოსგან ჩამოკვეთილი.

იღვა სახალხო ძეგლი მეომრის,  
იღვა ლომკაცი, ის ლურჯკვლევი,  
დაბადებული ქვეყნად ~~ქვეყნად~~  
გადარჩენილი ვით უკვდავება.

დაქათქათებდა მთვარე პირბადრი,  
იღვა, შერხევა ენატრებოდა,  
იღვა უძრავად,—რაღაც დიადი,  
რაღაც ზღაპრული შემატებოდა.

„წმიდა ყირიმის კართან დაეცა,  
მკერდით მამულის მკერდი დაფარა,  
დაეცა. ოთხი „ვეფხვი“ დალეწა“,  
ახლა ლომკაცი მკედრეთით აღმდგარა.

თითქოს უნდაო ფრთების აწევა,  
შუქი მალლიდან მოდის კამკამით,  
აზოიკითხა შოთამ წარწერა,  
მკერდზე შენიშნა ორი ვარსკვლავი.

თითქოს იცოდა, რად მოდიოდა,  
რომ მიელოცა დღეს დაბადება:  
„ომში მიიღო ორჯერ გმირობა  
და დაიმკვიდრა ეს ქანდაკება“.

შუქი მეომრის ჩანდა ეზოდან,  
ნათელს ისროდა სახე კეთილი,  
იღვა ვიქტორი და არ იძუროდა  
მარმარილოსგან ჩამოკვეთილი.

დაქათქათებდა მთვარე პირბადრი,  
იღვა, შერხევა ენატრებოდა,  
იღვა უძრავად, რაღაც დიადი,  
რაღაც ზღაპრული შემატებოდა.

— გახსოვს, ზუმრობა შეგრჩა ბაგეზე,  
გახსოვს, ვარამში ჩვენი გამოცდა?!  
უთხრა ხმამალა შოთა გერამემ  
და ქანდაკებას მკერდზე აკოცა.

— . —

წმინდაო მიწაე! შენ დაილოცე,—  
ასეთ ლომკაცთა იცი გაჩენა,  
შენ გაბარია მათი სიცოცხლე,  
შენ გესარჩლება მათი მარჯვენა.

წმინდაო მიწავ! გადახანძრულო,  
 ალალი გულის კაცივით წმინდავ,  
 იმღერე ახლა: საგაზაფხულო,  
 საგანთიადო სიმღერა გვინდა.

წმინდაო მიწავ! მკერდზე გადგება  
 ოქრო-ნათელი გარიერაჲცისა,  
 ომი თუ ატყდა — რისხვად აღსდგება  
 ის ქანდაკებაც ჯარისკაცისა.

რისხვად აღსდგება, — ახლა ნერგები,  
 მწუანე ნერგები შვენის გარშემო.  
 წმინდაო მიწავ, ახავერდლები,  
 უნდა ნაყოფი შენი გვაჩვენო.

უნდა იცვალოს მხარემ იერი,  
 ზიდონ ბაჯაღლო ოქრო ურმებით

და გაიკლინოს ლურჯი ჰაერი  
 მაგნოლიათა ყვავილთ ზღვრებში  
 გიგლინოთქას

მაშინ ყირიმის ერთხელ დანახვას  
 კაცი სიცოცხლეს ანაცვალებდა,  
 შენი ბელტების მკერდზე დაყრასაც  
 აღარ ერქმევა გარდაცვალება.

გადამწუანდები სერიოთ-სერამიდი,  
 შენზე სიმღერა სოქვან ხეხილებმა.  
 მოგინახულებს, მოვა ბელადი  
 და ვახარებულს გაელიმება.

თქვენც, ნარინჯებო, მაშინ ტოტები  
 ერთმანეთს ტაშად რომ შეაჯახოთ,  
 ამღერებულებს დიდრონ ზოდებად  
 ჩამოგვეყრებათ ოქრო ბაჯაღლო.



კოპიარ ვასკი

## თაინსულები გზა

რომანი \*

თავი მეთექვსმეტი

როგორ დაბრუნდა ბილიონ

ჯემსონი შინ თავის ხალხთან

ახლა ყველაფერი დასრულებული იყო: კონსტიტუცია დაიწერა, კანონები ჩამოყალიბებული იქნა ერთმანეთზე მიყოლებით, ბედნიერებისადმი ლტოლვის, თავისუფლებისა და ცხოვრების ცნებები ისე იყვნენ განსაზღვრულნი, როგორც ეს ამ კავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში შემაჯავლი ერთერთი შტატის ხალხმა მოიხსურა.

„როგორია შენი გეგმები?“ ჰკითხა კარლოზომ გიდიონს.

„შინ უნდა წავიდე“.

„დიდი დრო გავიდა, არა?“

„ძალიან დიდი“, გაიღმა გიდიონმა.

„უცნაური საქმე სკირს შავ ხალხს, ფრენსის, ნაღვლიანი გული შინისეუნი გვეწვევა. ძველად, ავ დროში, ზანგს ქვემოთ მდინარეზე გაჰყიდდნენ და ეს სიკვდილზე უარესი იყო მისთვის. შინ დაბრუნების წყურვილი მკლავს“.

„შემდეგ რას აპირებ?“

„ამაზე დიდხანია ვფიქრობ“, დაყოვნებით წარმოსთქვა გიდიონმა. „ჩვენებმა იციან მიწის საქმე, იციან, როგორ უნდა მოიყვანონ ცოტაოდენი ბამბა, ცოტა სიმინდი; სხვა ბევრი არაფერი. კარუელის ძველი პლანტაცია, სადაც ისინი ცხოვრობენ ახლა, მაგრამ დიდხანს ვერ გასტანს ასე. მე ვიყავი მიწების საქმეთა უწყებაში, მოვაკვლიე პლანტაციის მდგომარეობას; კარუელს ვალებში დაუკარგავს იგი, მერე მოვალეებს — გადასახადებში. მალე, ერთ მშვენიერ დღეს

მას საჯარო ვაჭრობაზე გაჰყიდონ; ჩვენები სადღა უნდა წავიდნენ მაშინ?“

„სად და სადღე ამდენი ზანგია უმეწყლო, უსახლკარო და მშვიერი. ესაა სწორედ პრობლემა, გიდიონ, ყველაზე დიდი პრობლემა, ჩვენს წინაშე“.

„იქნებ რამე გავაყეთო; ბევრი კი არაფერი შემოძლია, მაგრამ შევეცდები ჩვენიანებს გზა მაინც ვუჩვენო, რომ მაქცოტაოდენი მიწის ყიდვა შესძლონ: თუმცა ამაშიაც არ ვარ დარწმუნებული: შეიძლება იქნეს საშუალება, შეიძლება — არა არ ვიცი, შინ კი წავალ და რამეს ვიღონებ“.

„რაც ცოტა ვინმეს თუ უშველის, გიდიონ, მაგრამ მთელ პრობლემას რეალურად ვერ გადასჭრის“.

„ვიცი“.

„გიდიონ, გიფიქრია ოდესმე პოლიტიკაზე?“

„როგორ?“

კარლოზომ მცირე ყოყმანი იგრძნო, გაიღმა და გიდიონს მათი პირველი შეხვედრა მოაგონა: „მაშინ დავიწყე შეგნება იმისა“. სთქვა მან, „რომ საჭირო იყო რწმენა მქონოდა შენისთანა ხალხისა“.

„რატომ ჩემისთანა ხალხისა?“

„იმიტომ, რომ მთელ ამ შტატს, სინამდვილეში მთელ ჩვენს სამხრეთს პატარა უმცირესობის გამოკლებით, რომელიც ჩვენს წინააღმდეგაა, ერთი მომავალი აქვს მხოლოდ — საკუთარი ღონით ფეხზე წამოდგეს. შენ ეს შესძელი უკვე,

\* მნათობი № 11



სხვა ბევრმაც შესძლო. ჩვენ ფეხს ვერ გიწყობთ, გიდიონ, რადგან ბევრ რამეში ჩვენსა და თქვენს შორის მთელი ზღვაა, მიუხედავად ჩველი გულისა, შენ ურჩი მისწრაფების კაცი ხარ; მე კი სხვა გზას ვარჩევ, რადგან შენში მრავალი რამაა დიდი ძალისა და დიდი ღირსების ისეთი, რაც მე არ მაქვს როგორ გამოიყენებ ამ უბირატესობას?\*

„მაქვს კი?“ გაიღიმა გიდიონმა. „იქნებ მაქვს, იქნებ არა; ნამდვილად რომ გითხრა, არ ვიცი. მინდა მოვისაზრო, მინდა ვისწავლო. უვეცი კაცი ვარ, ფრენსის; სამი თვის წინათ რომ მცოდნოდა, თუ რა უვეცი რამ ვარ, მაშინვე დავანებებდი თავს ყველაფერს“.

„გიდიონ, სანამ შინ წასვლას გადასწყვეტდე, ცოტა დაფიქრდი ამაზე: რამდენიმე დღეში ჩვენი შტატის რესპუბლიკელი დელეგატები თავს მოიყრიან ერთად. მე ერთი მათგანი ვარ. დაფიქრდი ამაზე, გიდიონ. ეიბ ლინკოლნის პარტია აქ ფეხს მოიდგამს და ჩვენი შტატის არჩევნებში გაიმარჯვებს კიდეც — ეს ჩვენ კარგად ვიცით, კონვენტის ხმების შედეგი ხომ ვნახეთ! ეს ნიშნავს შტატის კანონმდებლობას, მთავრობის მთელ სტრუქტურას, კონგრესსმენებს, სენატორებს, ყველაფერს — სულ ჭვემიდან მოყოლებული ზევით. დასაბამში ამის მონაწილე შენც ხარ; ჩვენი კონსტიტუციის ერთი ნაწილი, სულ ერთია, რაგინდ მცირეც არ უნდა იყოს იგი. შენი ხელებიდან გამოვიდა. ახლა საშუალება გაქვს ამ საქმეს მიჰყვე. კანონები ცხოვრებაში გაატარო“.

„როგორ?“ ნელა იკითხა გიდიონმა. „ზოგიერთ ჩვენთაგანს უნდა, რომ შტატის სენატში იჯდე, კანდიდატი იყო“.

გიდიონმა თავი გააქნია.

„რატომ არა?“

„არ გამოვა“, მიუგო გიდიონმა.

„გეშინია?“

„უკვე აღარ მეშინია“, გაიღიმა გიდიონმა. „უბრალოდ — არ გამოვა, ვიცი,

რაც ვარ. შესაძლებელია ერთი წლის ან ხუთი წლის შემდეგ, მაგამომწინაა, არ გამოვდგები, ფრენსის“.

„შენ უფრო გამოდგები, ვიდრე იმ ხალხის უმრავლესობა, რომელიც სენატში გავა“.

„შესაძლებელია“, მხრები აიჩეჩა გიდიონმა.

„მოიფიქრებ ამის შესახებ?“

„არა, შინ უნდა წავიდე“.

„და რომ გითხრა, ცდები-მეთქი. გიდიონ?“

„ის უნდა ვქნა, რაც ჩემი ფიქრით უკეთესია“.

„შენთან კამათი ამაოა, ხომ?“ მიხვდა ბოლოს კარდოზო.

„მგონი, რომ ამაოა“.

„სამწუხაროა,“ გულწრფელად თქვა კარდოზომ.

მათ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და წუთიერი დაყოვნების შემდეგ კარდოზომ სთქვა: „შენთან შეხვედრა, გიდიონ, ბედნიერი მოვლენა იყო ჩემთვის“.

„როგორ, ბატონო?“

„იქნებ ოდესმე მეც შევძლო შინ დაბრუნება“.

როდესაც გიდიონის წასვლის უკმაყოფილოდ, მისის კარტერი წრფელი ცრემლებით ატირდა. კარტერები გიდიონს თავზე დაჰფუსფუსებდნენ, მათ მთელი ყუთი გაამზადეს საკმელოთ სავსე; იქვე იყო ერთი წყვილი ფეხსაცმელი, რომელიც კარტერმა რეიჩელისთვის შეჰკერა, შავი, მაღალყელიანი, ღილებით. გიდიონმა ფულის გადახდა მოინდომა. „არა, ეს პატარა საჩუქარია, მეტი არაფერი, გიდიონ შეილო“. მეორე საჩუქარი იყო ბიბლია — „სანუგეშებლად“, სთქვა კარტერმა. „კარგი ყმაწვილი ხარ, გიდიონ, მაგრამ ღმერთი არ უნდა დაივიწყო“.

გიდიონმა ერთი საათი გაატარა ენდერსონ კლეისთან ერთად, რომელმაც მას უთხრა: „გიდიონ, მე ზოგიერთივით ქელას არ გკარგავ სიხარულით და პალილუიას სიმღერით. ეს დასაწყისია მხო-

ლოდ. ვთქვათ, ყველაფერი ეს ჩაიფუშა; მაშინ ჩვენ ხელახლა უნდა დაეიწყოს. აქა-იქ ყოველთვის იქნება ჩვენი ხალხი და ერთმანეთის ცნობა არ გაგვიჭირდება“.

„არ გაგვიჭირდება“ დამოწმა გიდიონი და ხელი მაგრად მოუჭირა მაღალი, წმელი, წითური კაცის მარჯვენას.

მიუხედავად უაღრესად დიდი სურვილისა მალე ენახა თავისი ხალხი, გიდიონს გული წყდებოდა, როცა პატარა აბგას თავისი ტანსაცმელით ავსებდა და წიგნებს, რომლებიც ახლა უკვე საკმაოდ მოზრდილ გროვას შეადგენდნენ, ერთად ჰკრავდა. მას რკინიგზის ბილეთი აღებული ჰქონდა უკვე; არა, კარუელს იგი ფეხით აღარ ბრუნდებოდა. ერთის მხრით იგი შურით შესცქეროდა შავ კაცს, რომელმაც ფართო ნაბიჯით ას მიღზე მეტი გამოიარა, სახლიდან ქალაქ ჩარლსტონს რომ მოსულიყო.

ნუთუ კარუელში არაფერი გამოიცვალა? მოხუც ზანგს, რომლის ჯორშებმული ძველთაძველი ეტლით გიდიონმა უკანასკნელი ოცი მილი გაიარა, არაერთარი წარმოდგენა არ ჰქონდა კონვენტზე, იმ დიდ მოვლენებზე, რომლებმაც მწიხისძვრასავით შეარყიეს ჩარლსტონი და რომელთა მონაწილე გიდიონი იყო. „კონვენტი? არ გამოგონია“, და ამ კუთხის ახალი ამბები, რომელთა შესახებ იგი იუწყებოდა, ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის; დაჰადება. სიკვდილი, სოფლური ცხოვრების მშვიდი დინება და მრისხანე შფოთი, ფარული, პატარა ვულკანივით რომ ამოხეთქავს ხოლმე ზანდახან. „მისი ბულერის ბიჭი დაბაში მიდიოდა, არაფერი დაუშავებია თავისთვის მიდიოდა, თეთრებმა დაიჭირეს—ისინი ხუთნი იყვნენ—ჯოხებით სცემეს და მერე ჩინარის ხეზე ჩამოჰკიდეს. „რატომ, რა ჩაიდინა ასეთი?“ „არაფერი, რამდენადაც ვიცი, ეს იყო, თავისთვის მიდიოდა“. მოხოცმა ისიც უთხრა გიდიონს, რომ რკინიგზას დიდი ჭაობამდე მოეღწია და მის გასა-

ყვანად შეაგულ ჭაობზე ჯგერებით გამაგრებული მიწაყრილში გვერდებს აპირებდნენ თურმე. „მტკიცესი ქარაობენ, დღეში დოლარს აძლევენ“. „ზანგს დღეში ერთ დოლარს?“ გაუკვირდა გიდიონს. „დღეში ერთ დოლარს. იანკებს გაჰყავთ ეს გზა“. „ქარუელში როგორღა იყო საქმე?“ ჰკითხა მას გიდიონმა. მოხუცმა უპასუხა. „ქარუელში საერთოდ იშვიათად ავდივარ და გასულ წელს კი სულაც არ ვყოფილვარ“-ო. „რა ისმის მაინც?“ რას ელი ასეთს, რა უნდა მოხდეს, ყმაწვილო?“ გაფიცდა მოხუცი. „რატომ ხარ ასე სულწასული? მოიცადე და თავთ ნახავ. ცათა სასუფეველი არ დამკვიდრებულა—ამას კი გეტყვი. ძროხა ხზოს იგებს და ზანგის ქალი ორსულდება. სხვა რა უნდა მოხდეს?“ გიდიონმა ცნობის-მოყვარეობა გულში ჩაიკლა და ახლი იმას ისმენდა, თუ როგორი ამინდი იყო გასული ექვსი კვირის განმავლობაში კვირიდან კვირამდე.

და მერე, გვიან ნაშუადღევს, როცა ვრძელი ჩრდილები დადლილი განერთხნენ, მიწაზე, გიდიონმა კარუელს მოაღწია.

როგორც ყოველთვის, ახლაც წინ ბავშვში მოზობდნენ ყოველი მხრიდან წამოშლილი — მდელიზე აფრთხილებულ მწყერებივით; ისინი, რაც ძალა შესწევდათ, ისე ჰყვიროდნენ; ზარკუსი მათ შორის იყო; გიდიონს არ ახსოვდა იგი ასე მაღალი. დავაჟაკებული ჯეფი დიდ მანძილზე ჩამორჩენოდა ბავშვებს, იგი მოდიოდა, არ მოზობდა.

რეჩივლს გიდიონი კვლავ თავისთან ჰყავდა ახლა;

მისი შიში გაურკვეველი, ცვალებადი, აჩრდილის მაგვარი იყო; ამ შიშის არსი იმ უცნობ იდუმალუბაში მდგომარეობდა, რომელიც პორიზონტზე მდგარი მთის ციცაბო ფერდობით იწყებოდა, ყოველ მხრისაკენ ვრცელდებოდა და მთელ სამყაროს მოიცავდა. დასაბამი და დასასრული ყველაფრისა კარუელი

იყო, რადგან სხვა ადგილებში უცნობი იყვნენ მისთვის. დედამისი ვირჯინიდან მოიყვანეს და ჩარლსტონის ბაზარზე საჯარო ვაჭრობით გაპყვიდეს; მას ძუძუ-მწოვარა ბაღლი ჰყავდა თან, რომელმაც ორმოცდარეი დოლარით ასწია მისი ფასი. ეს ბაღლი რეიჩელი იყო. მის მუხსიერებას კარუელამდე არაფერი შემოენახა და კარუელის გარდა იქ არაფერი მოიძებნებოდა. ომმაც კი, რომლის გრიგალში მთელი სამხრეთი აფორიაქდა, ვერ დაიხნია დიდი კვალი ამ მიდამოს. ომის ზვირთები ჯერ ერთ მხარეზე სცემდნენ კარუელს, მერმე მეორეზე. ერთხელ ამ ზვირთცემამ გაიტაცა გიდიონი, პანიბალუანინგტონი და სხვები — ისინი წაივიდნენ, რომ იანკის თოფი აეღოთ ხელში და თავიანთი თავისუფლებისათვის ებრძოლათ. უზარმაზარი, იღუმალებით მოცული და პირდარეილი გარეკვეყნის უფსკრულმა შთანთქა ისინი და ორ ბაუშეთან დარჩენილ რეიჩელს მათი დაბრუნების იმედში უნდა ეპოვნა რწმენა. გიდიონი ბუმპერაში იყო და საიმედო, უტყუარი, როგორც შვის ამოსვლა და ჩასვლა; თუ სხვა ქალები ტირილდნენ, რეიჩელი ცრემლს არ აკარებდა თვალებს და თავისთავს ეუბნებოდა: „გიდიონმა თქვა, დაებრუნდებიო“. ამას შეეძლო რწმენის ჩანერგვა, მაგრამ შიშს საეცებით ვერ გააქარწყლებდა. მას რომ გიდიონი დაეკარგა, მთელი ქვეყანა შესწყვეტდა არსებობას მისთვის. სხვა ქალები არ იყვნენ ასე; ცოდვა რომ ავიღოთ — ზოგიერთ დედაკაცს შეეძლო თავისი სხეული ცოდვით შეეპილწა რეიჩელი ხვდებოდა ამას, მას ესმოდა ის ვნება და მარტოობის გრძნობა, რაც ამ უზნეობას იწვევდა; ზოგჯერ იგი წარმოიდგენდა ისეთ მდგომარეობას, ვითომ გიდიონს ღალატობდა და ასეთი წარმოდგენის მთელი ბუნდოვანება ღიმილს ჰკვრიდა მას, რადგან იგი გიდიონი იყო თავათ და გიდიონი კი — იგი. თუნდაც მათი შეუღლება რომ ვთქვათ, როცა ისინი ღამით მძა პიტერთან მივიდნენ

საიდუმლო ჯვარისწერიანთის მკვინ როცა ამდენი კაცი და ქუჩისმუხლად აძლევენენ ერთმანეთს ~~ამისავე~~, რადგან იცოდნენ, რომ შეუღლება მათთვის ერთი ღღის, ერთი თვისი, ერთი წლის ამბავი იყო, არა კავშირი ღვთის წინაშე, არამედ ბედნიერების ხანმოკლე გაეღლება მანამდე, სანამ მათ გაპყვიდნენ, საქონელზე გასცევიდნენ, გაათახსირებდნენ; მიუხედავად ამისა რეიჩელმა და გიდიონმა მაინც იქორწინეს და ერთგულება შეჰუციეს ერთმანეთს.

რეიჩელისათვის აუცილებელი არ იყო ცოდნა ჩარლსტონის, კონვენტის და ახლადშექმნილი ცხოვრების შესახებ იმისათვის, რომ იგი ერთს მიმხედარიყო — იქიდან დაბრუნებული კაცი ის არ იქნებოდა, რაც იქ წასვლის წინ იყო. გიდიონის პირველი წერილები მან ჩარლსტონიდან მიიღო და დასაწყისში მძა პიტერს ან ჯეიმს ალენების უნდა წაეკითხა ისინი მისთვის. ამით გამოწვეულმა სირცხვილის გრძნობამ რეიჩელი აიძულა კითხვა ესწავლა; იგი ღამღამობით იჯდა სხვა ქალებთან და კაცებთან ერთად პატარა ქოხში და ალენები მათ ასწავლიდა ისევე, როგორც ბაუშვებს დღისით; რეიჩელი ნელა ითვისებდა, მას თავი ტყვიოდა. გიდიონი თანდათან უფრო და უფრო შორდებოდა მას...

და მერე გიდიონი დაბრუნდა და კვლავ გულში ჰყავდა ჩაკრული იგი, და რეიჩელს ახლა ბევრად უფრო კარგად ესმოდა აზრი ამ სიტყვებისა:

„თავისუფლება გაქირევებით მოპოებული რამაა“.

გიდიონის მოსვლის მეორე დღე კვირა იყო და მძა პიტერმა კრება მოიწვია შვის ქვეშ, მდელიოზე. ხალხი ძალუმი ხმით მღეროდა: „შენი გზით მატარეო, უფალო, შენი გზით მატარეო“. მძა პიტერმა ბიბლია გადაშალა და ესაიას წინასწარმეტყველებიდან წაიკითხა: „აჰა ღმერთი ჩუენი, აჰა უფალი, უფალი ძალისა თანა მოვალს და მკლავი უფლებისთანა, აჰა სასყიდელი მისი მის თანა, და საქმე წი-

ნაშე მისსა. ვითარცა მწყევსი მწყსიღეს სამწყსოსა მისსა, და მკლავთა, მისთა შეკრიბეს კრავნი და მუცელ ქმნულთა ნუგეშინი სცეს“. „ამინ!“ დაემოწმა ხალხი ჭადაგს. ბავშვები ერთ ადგილზე ვერ ისვენებდნენ, ერთმანეთს თმებს ჭაჩავდნენ ან ძაღლებს უწრუწუნებდნენ, გიდიონი, რეიჩელი, ჯეფი, მარუსი და ჯენი ერთად ისხდნენ. „ამინ“. კვლავ გაიმეორა ხალხმა. ჯეფი დრო და დრო იქით იხედებოდა, სადაც ბრმა გოგონა ელენ ჯოუნსი იჯდა მისტერ ადენბისთან ერთად; გიდიონმა ეს შენიშნა და წარბები შეჰკრა. ძმა პიტერმა განაგრძო:

„დღეს ჭადაგებს არ ვიტყვი, რადგანაც, დიდება უფალს და, გიდიონი კვლავ ჩვენთანაა. კეთილმა ღმერთმა ინება თავისუფლება ებოძებინა ჩვენთვის, ჩვენი ღალადი ისმინა; ღმერთმა ინება კურთხეული მიწა ებოძებინა ჩვენთვის. რძისა და თაფლის ბარაქიანი მიწა, მაშინ როცა სხვა ჩვენისთანა შავები შიმშილობენ და ფეხის დასაბიჯებელი ადგილი არ გააჩნიათ. კეთილმა ღმერთმა ინება ხმა მოეცა ჩვენთვის, ძმა გიდიონს თან ახლდა იგი იმ შორეულ ჩარლსტონ ქალაქში. როგორ იყო? ძმა გიდიონი იჯდა იქ, კონვენტის დარბაზში დიდ და მძლე ხალხთან ერთად; კეთილმა უფალმა ძალა მისცა მას, ვითარცა ჭაბუკ მეფე დავითს. დიდება ღმერთს!“

„ამინ“, გაისმა ხალხის ხმა.

„ძმა გიდიონი დაბრუნდა; ჩემი ჩვეულებრივი ჭადაგების ნაცვლად დღეს იგი ილაპარაკებს; გვეტყვის, როგორ იყო ყველაფერი. აღეპი, ძმაო გიდიონ, აქ გამოდი, რომ მთელმა მრევლმა დაგიწახოს“.

და გიდიონმა ილაპარაკა. ილაპარაკა ისე მარტივად, როგორც შეეძლო; მან ხალხს მოუთხრო ყველაფერი, რაც თავს გადახდა, როგორ ჩავიდა ფეხით ჩარლსტონს, უამბო თავისი შიშისა და ეჭვების შესახებ, როგორ იმუშავა მტვირთავად, როგორ დაბინავდა კარტრეგებთან და ბო-

ლოს როგორ დაიჭირა თავისი ადგილი კონვენტში. მან პირველად ახლა მისწავლა მარტივად აეხსნა მათთვის, რომ ვინაობა მნიშვნელობა, რა იგულისხმებოდა რეკონსტრუქციის მთელ პოლიტიკაში, როგორც ეს კონგრესის მიერ იყო გათვალისწინებული, და როგორ ჩაივლიდა რეკონსტრუქციის პროცესი ახლა, როცა შტატის ახალი კონსტიტუცია შექმნილი იყო უკვე. ნელნელა გიდიონმა მოხაზა ის საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც კონსტიტუცია შეიცავდა, განმარტა ისინი, მაგრამ ამასთან ერთად მან მსმენელებს ისიც აუხსნა, თუ რა დიდი ნაპრაღი იყო კონსტიტუციაში ჩაწერილ ძირითად კანონებისა და ამ კანონების სინამდვილეში ვატარების შუა. კონსტიტუცია ამბობდა, სამხრეთ კეროლიანის შტატში საყოველთაო სწავლება იქნებაო. მაგრამ საქითო გახდებოდა ფულის მოძებნა. მასწავლებლების გაწერონა, სასკოლო შენობათა აგება — და სანამ ეს არ გაკეთებულა, ხალხმა ისე უნდა ისწავლოს, რისი საშუალებაც არსებობდა. გიდიონმა მიუთითა იმაზე, რომ რასიული დისკრიმინაციის აღმკვეთი კანონი კიდევ არ ნიშნავდა მის მოსაზრებას, რომ ამას მრავალი წელი მოუწოდებოდა.

„ჩვენ, ხალხს რაღა?“ განაგრძო გიდიონმა. „როგორ იქნება ჩვენი საქმე მომავალში? მე ხან აქ შეეყავი ცხვირი, ხან იქ და ზოგი რამ გავოგე. ეს მიდამო დადლი კარუელს დაუკარავს და ხელში ვიღაც სხვას ჩავარდნია, იმ კაცს კი გადასახადებში წაუგია. ეს იმას ნიშნავს. რომ აღრე თუ გვიან ეს ადგილი საჯარო ვაჭრობაზე გამოვა და ვინც მეტს შეაძლებს, მას ერგება. მაშინ კი ჩვენ აქედან უნდა ავიბარგოთ, თუ აღრევე რამეს არ ვიღონებთ. არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცეთ; ამაზე ვიფიქრე, ძალიან ბევრიც ვიფიქრე და მგონია, რომ რაც არ უნდა ვიღონოთ, სულერთია, მაინც ფული გვეპირდება. ამის გამო გულს ნუ გავიცტებთ. უიმედობის მიზეზი მოკვდა, აღარ არსებობს უკვე; ახალი, ნათელი

დროება ჩვენს წინ, ახალი, ნათელი დროება გვიხლოვდება“.

აქ არ იყო ის აჩქარება და დროის სიმცირე, რასაც გიდიონი ჩარლსტონში განიცდიდა. მზე ჩადიოდა და ამოდიოდა; ვიდიონის ახალი ტანსაცმელი შენახული იყო და ახლა იგი თავის ძველ სამუშაო შარვალს და ძველ პერანგს ატარებდა. კონტრასტები ისე შემადრწუნებლად აღარ მოქმედებდნენ მასზე და მონათა ქოხებმა, რომლებიც დაბრუნებისას საშინლად მოეჩვენა ვიდიონს, მის თვალში თანდათან ის ძველი სახე მიიღეს, რაც მისთვის ჩვეულებრივ, ცნობილ სანახაობას წარმოადგენდა:

ღამელამობით ვიდიონი სანთლის შუქზე ჰკითხულობდა, მეტწილად ხმამაღლა. მარკუსი, ჯეფი, ჯენი და რეინგელი ისხდნენ და ყურს უგდებდნენ. ხშირად აღენი მოვიდოდა ხოლმე ელენ ჯოუნსთან ერთად. ზოგჯერ ძმა პიტერი, ზოგჯერ კიდევ სხვა ვინმე. ვიდიონი მათ უიტმენს და ემერსონს უკითხავდა, ჯონ ბრაუნის უკანასკნელ მქუხარე სიტყვებს და ჯონ გრინლიფ უიტეირის ლექსებს. ვიდიონი კარგად კითხულობდა და პოეზია აღვივებდა მათ ფანტაზიას. ისინი ირწოვდნენ ლექსის რიტმზე და თან ფრთხილად ტამის ცემას აყოლებდნენ. კითხვის დროს ვიდიონს თვალს არ ამორებდა ჯეფი; ვიდიონმა გუნებაში გადასწყვიტა, რომ მოკლე ხანში ბიჭს გამოელაპარაკებოდა და გავეო, თუ რა იმალებოდა ამ შავი თვალებისა და შავი სახის გულგრილი გამომეტყველების იქით. მარკუსი იოლად ვკიდებოდა ცხოვრებას; სიმკვირცხლე, რომელსაც იგი სწავლაში იჩენდა, ანცვიფრებდა აღენის. სულ უფრო ძლიერი მოთმინება ამფოთებდა ვიდიონს. ძმა პიტერმა უთხრა: „გაიხსენე, ვიდიონ, მე რომ გეუბნებოდი, — ისე აივსები-მეთქი, როგორც სახაპელა, კიდან სუფთა ცივი წყალი რომ ამოაქვს“.

„მასხოვს“. დაემოწმა ვიდიონი.

„შენ ჩარლსტონს წახვედი, იქ უფალმა ძალა მოგანიჭა. უკან დაბრუნდეს და ახლა კავშირის აღარ გრძნობ შენს ზღვრებზე“  
„ეს არაა მართალი“, სთქვა ვიდიონმა.

„ღმერთს რომ ზურგს შეაქცევ, ვიდიონ, ღმერთიც ზურგს შეგაქცევს“, თქვა ძმა პიტერმა და მერმე ჩაფიქრებით დასძინა სვედიან ხმაზე: „ახე, ვიდიონ“.

„არა, არა, ამაში არაა საქმე, სხვა რამაა, უფრო მეტი. მე ყველაფერს მზროლოდ ჩემებურად ვუყურებდი. ძმაო პიტერ, ისე ვუყურებდი, როგორც შემეძლო — ჩემი გონების თვალთ. მე ვნახე ხალხი ბორკილებში და ეს ბორკილები ღმერთმა კი არ დაამსხვრია, არამედ ხალხმა. მე ვნახე ცუდი ადამიანებიც, გულგრილი ადამიანებიც თოფი რომ აიღეს ხელში კეთილი საქმისთვის, რადგანაც კარგმა ხალხმა თავისი გაიტანა და სისხლისა და ტანჯვისაგან რაღაც გამოვიდა“.

„სულის ხსნა, ვიდიონ?“

„იქნებ ხსნას მე ჩემებურად ვხედავ — სიმართლეში, სკოლებში, კარგ კანონებში, კარგ სახლებში ამ ქოხების ნაცვლად ჩვენ რომ ვცხოვრობთ ეხლა —“

და რეინგელი ღამით სასოწარკვეთილებით ეჩურჩულება ქმარს: „ვიდიონ!“

„რა იყო?“

„მითხარი, რომ გიყვარვარ, ვიდიონ!“

„აბა ვინ უნდა მიყვარდეს?“

„მამ რა მოხდა, ვიდიონ? შენ გამოიცივალე, სხვანაირად ლაპარაკობ, სხვანაირად იქცევი. რა მოგვივა მე და შენ?“

„არაფერი, ძვირფასო, არაფერი“.

„მაღე სულ გამომეცლება ხელიდან, სულ ვიდიონ“.

„არა“.

„ენა ერთს ამბობს, გული — მეორეს“.

„არა, არა“, ამხნევეს ცოლს ვიდიონი.

და კვებ პოლსტინმა კარლოზოს წერილი მოიტანა, სადაც ეწერა: „... იფიქრე ამაზე, ვიდიონ? დაუშვებელია, რომ შენ მანდ საკუთარ ნაქუქში იჯდე, როცა მთელ ქვეყანას მიწისძვრა აზანზარებს“.

ერთხელ, გვიან ნამუადღევს ისინი დასხდნენ, როგორც ძველად იცოდნენ ხოლმე — ზურგიით ბედლის კედელს მიყრდნენ. წინგაშვერილი ფეხებით მტვერს აქოთებდნენ, კბილით ბალახის ღეროებს ღეჭდნენ — გიდიონი, ძმა პიტერი, ჰანიბალ უაშინგტონი, ალენბი, ენდრიუ და ფერდინანდი, რომლებსაც უკვე ლინკოლნი დაერქვათ გვარად.

- „წვიმას აპირებს თითქოს“.
- „იქნებ ცოტა მოწვიმოს“.
- „პატარა წვიმა მოუხდება მიწას“.
- „მოუხდება“.

„კარგი იქნებოდა რამდენიმე აკრზე ბამბას დაეთესდეთ“, სთქვა გიდიონმა.

„ნეტავ თვალთ არ მანახა ბამბის კუკური კვლავ და ბედნიერი ვიქნები“.

„ტანჯვის საქმეა“.

„ამ მიწის მარცვალი ბამბაა“, სთქვა გიდიონმა, „მას ნაღდი ფული მოაქვს, ჩვენ კი ფული გვეკირდება“.

„შენ ესა სთქვი!“ შენიშნა ალენბიმ.

„ჰო; ჩვენ არაფერი არ გვეკუთვნის. არც მიწა, არც ეს ქოხები, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, არაფერი. დღემდე ყველაფერი არეული იყო, არავინ არ ირკვევდა საქმეს, არავინ არ კითხულობდა — რას აკეთებენ ეს ზანგები აქაო. როცა პირველი არჩევნები ჩატარდება, ჩვენ სამოქალაქო ადმინისტრაცია გვეყოლება და მაშინ კი ერთი აკრიც არ დარჩება აურიცხავად.“

„ეინ აგყრის ამ მიწიდან, გიდიონ?“

„ვინც მას იყიდის.“

„თეთრი კაცი მარტოა ვერ დაამუშავენს მიწას. ზანგები დასკირდება“.

„კი, ზანგები დასკირდება ღალაზე სამუშაოდ, როგორც თეთრები მუშაობდნენ ომის წინ. ყოველ აკრზე ბამბას დასთესენ და ზანგი სამათხოვროდ მიიღებდა, ვინმელო ლორის პატარა ნაკერი მიუფგონ ბავშვების გამოსაყვებად. ძმა პიტერისა არ იყოს, ამ მიწას რძისა და თაფლის ბარაქა აქვს. მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ სიმინდი მოგვეყავს, საკვები, რადგან უფულოდაც ვაჯავქეს თავი. მაგ-

რამ წიგნის წასაკითხავად რომ ბავშვსა სანთელი გვეკირდება, ისიც ფული ღერს, ბავშვების სასწავლო წიგნების მიწის ღერს.“

„გიდიონ, მთავრობა არ შეისყიდის მიწას ზანგებისათვის?“ იკითხა ჰანიბალ უაშინგტონმა.

„შესაძლებელია, მაგრამ ეთქვათ — მთავრობამ შეისყიდა; მთავრობა ათასი კაცია, ისინი არ ჩქარობენ. ვინ იცის, იქნებ ამასობაში ერთი ან ორი წელიწადი გავიდეს, ან სულაც არაფერი გამოვიდეს. იქნებ მთავრობამ სთქვას, აგერ დაბლა ჯორჯიასაკენ მიწაა, იქ დასახლდითო. ეს არ ივარგებს. ჩვენ აქ გვიცხოვრია, სწორედ აქაა ჩვენი კერა. ჩვენ ეს მიწა უნდა შევიწარმოთ.“

„როგორ?“

„ვიყიდით“, სთქვა გიდიონმა. „ვიმუშავოთ, ფული ვიმოვოთ და მიწა ვიყიდით“.

ამაზე ალენბიმ შენიშნა: „ამას დიდი ფული დასკირდება, გიდიონ.“

„რა თქმა უნდა, მაგრამ ცდა ბედის მონახეურა. ბანკები სესხს იძლევიან. ჰო, ზანგებსაც კი აძლევენ ხოლმე, თუ საქმე საიმედოდ იცნეს; ჩვენც მოგვემენ, თუ ნახეს, რომ ჩვენი განზრახვა საქმიანია და თუ ცოტა ფული ჩვენც გვექნება. რკინიგზა ქაობზე უნდა გავიდეს, იქ მუშახელი სკირდებათ, დღეში დოლარს აძლევენ ზანგსაც და თეთრსაც. ეთქვათ იქ წავედით, ასე — ექვსი ან რვა კვირა ვიმუშავოთ რკინიგზაზე — “.

„მოსავალი?“

„დავბრუნდებით და ავიღებთ.“

ზანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, სანამ ბოლოს ძმა პიტერმა არ თქვა: „სამწუხარო ამბავია, გიდიონ, კაცები დედაკებს დააშორო“.

მაგრამ ჰანიბალ უაშინგტონმა მას სიტყვა ჩამოართვა: „გიდიონი მართალია“.

„კრებას მოვიწვევთ“, უთხრა მათ გიდიონმა.

ქალებსათვის ეს მართლაც სამწუხარო ამბავი იყო. ქაობში ციებ-ციხელება მძვინვარებს, კაცები დასწულდებიან და ამოწყდებიან; ქაობი თილისმით შეკრული ადგილია.

„აღენბომ გიდიონს ჰკითხა: „ჯეფიც თან უნდა წაიყვანო?“

„ჰო, ვაეკაცის ღონე აქვს უკვე.“

„შენ ადგილზე მე არ წაიყვანდი.“

„რატომ?“

ისინი ბოსლის იმ განყოფილებაში იყვნენ, რომელსაც აღენბომ სკოლაღ ხმარობდა; პირველ დამხობილ ბაგას, რომელიც მაგილობას სწევდა, თავანში გამოკრილ სარკმლიდან სინათლის ფართო სვეტი ეცემოდა. მაგილაზე იაფი ქაღალდის დასტა იყო და წაწვეტილებული ნახშირის ჯობები, და თუშკა ბავშვები წასული იყვნენ, ჰაერში იგრძნობოდა მათი სიახლოვე, — ბუნდოვანი გრძობა, რომელშიაც გიდიონი ვერ გარკვეულიყო, — მათი წყურვილი და აგზნებული ლტოლვა... გიდიონი ერთხელ აქ გაყვითლს დაესწრო და ნაბა მოხუციის გასაოცარი მოთმინება. „პატარა ცხოველებს ჰგვანან“, შენიშნა გიდიონმა მაშინ. „რა თქმა უნდა, მაშ რა გეგონა? ჰაგრამ სწავლობენ კი“. ბავშვების თავგამოდება აშკარა იყო. აღენბომ კი მოთმინების მქონე, კარგი მასწავლებელი ჩანდა.

„რატომ?“ ჰკითხა მას გიდიონმა და თან მოაგონდა, რომ აქამდე ვერ გამოელაპარაკა ჯეფს, როგორც ეს მისი განზრახვა იყო.

„ძნელია ვითხრა-რატომ. იქნებ თუნდაც იმიტომ, რომ ჯეფი ცეცხლივითაა. იცი რა ხდება მასში, გიდიონ?“

დარცხვენილმა გიდიონმა არაფერი უბასუხა.

„მან წერა-კითხვა უკვე იცის. ზღვის ღრუბელივითაა — ყველაფერს უმაღვე შეისრუტავს ხოლმე. იგი მთელი ქვეყნის შესრუტვას ღამობს და ისე სწრა-

ფად, რომ მაშინებს კიდევ. მას თავისი გულის წადილი იცის; ბნელი ექიმის გახედვით.“

გიდიონი შენიშნა

„საიდან იცი?“

„მითხრა.“

„ჩემთვის არაფერი უთქვია“, შენიშნა გიდიონმა.

„ჰკითხე კი ოდესმე?“

გიდიონმა თავი გაიქნია და აღენბომ განაგრძო: „შეგიხედავს ოდესმე შენი თავისთვის და შეჰკითხებიხარ თავს ზოგ რამეს, გიდიონ? გასსოვს ის კაცი, რომელიც ჩარლსტონის გზაზე მიაბიჯებდა ეს არც ისე დიდი ხნის წინათ იყო, მაგრამ შენ ის კაცი აღარ ხარ უკვე. შეჰკითხებიხარ თავს ოდესმე, თუ რა მოგდის, რა მოგედის ჩვენ ყველას, რა ემართება ჩვენს ქვეყანას? როდესაც კონვენტში იჯექი და გეგმას იმუშავებდი იმის შესახებ, თუ რა უნდა გამოცვლილიყო, მოგვიდა თავში ერთხელ მაინც ის აზრი, რომ ეს ცვლილება მშობიარობის მწვავე ტყვილებს ემგვანება?“

„ჯეფზე რას იტყვი?“ ხელა იკობა გიდიონმა.

„რას ვიტყვი? ჯეფი შენი ვაჟია. ქაობში წაიყვან და დღეში ისიც მიიღებს ერთ დოლარს — მე იმის თქმა არ მინდა, თითქოს ეს ცუდი იყოს, მაგრამ ჯეფს შეუძლია ჩრდილოეთს წავიდეს სასწავლებლად; იქ ისეთი სკოლებიცაა, მაგალითად, მესაჩუზესტში, სადაც ზანგის ბიჭს მიიღებენ, განათლებას მისცემენ, გაწრთნიან—“.

„როგორ, არ ეცი?“... წამოიღულღულა გაოგნებულმა გიდიონმა.

„ჩარლსტონში შენ მეგობრები გყავს; კარდოზოს შეუძლია გზა გასწავლოს“.

„როგორ, ასე უბრალოდ გავაგზავნო?“ ვერ გამოკრეულყოფი გიდიონი.

ჯეფს გოგონა ფიქვანარში დაჰყავდა; ბიჭი მას უამბობდა ყველაფრის შესახებ, რაც გოგონას ირველივ არსებობდა.





„აგერ შენს ფეხებთან ვომებშიომ ხტუნ-  
ვით გადასერა ბილიკი“. ჩამავალი მზის  
შესახებ ჯეფმა სთქვა: „შტოებში ისე  
სჩანს, თითქოს დიდი, გამლილი ვარდი  
იყოს“. ნიავს გოგონა თავათ გრძობდა:  
„თითქოს ვიღაც მეხება ხელით“, უთხრა  
მან ჯეფს. თავდაპირველად ელენს ში-  
შის ზღუდე ერთკა ირგვლივ და ჯეფმა,  
რომელიც რაღაც სასწაულოთ ინსტიტუტ-  
რად მიხვდა ამ შიშის მიზეზს, იგი სათუ-  
თად გაარღვია; ელენი ღრმა, წყვილიადით  
მოცულ გამოქვამულში ცხოვრობდა, სა-  
დაც არც ფერები არსებობდა, არც სი-  
ნათლე. ჯეფს ერთი ნაბიჯი არ გადაუდ-  
გამს, ერთი სიტყვა არ უთქვია ისეთი.  
რომელიც ამ ბრმა გოგონას შეაკრთობ-  
და — იგი ჯეფისთვის მთელი ქვეყნის  
უმშვენიერესი კმნილება იყო. აღენბი  
ამ ქობში ცხოვრობდა, რომელიც სპე-  
ციალურად მისთვის ააგეს. იგი არ იყო  
წინააღმდეგი, როცა ჯეფი მოდიოდა და  
აღენბის წიგნებს უკითხავდა ელენს.  
რომელიც ამ დროს სახლის სამუშაოს  
აკეთებდა. მოხუც ძია სექსტონისაგან,  
რომელიც გასულ წელს მოკვდა, ჯეფმა  
ზღაპრები იცოდა ქაობის შესახებ, ჩიტე-  
ბის ნადირთა და ქვეწარმავალთა შესა-  
ხებ. რომლებიც ერთმანეთში საკუთარ  
ენაზე ლაპარაკობდნენ და საკვირველი  
ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ჯეფმა ესე-  
ნიც უამბო ელენ ჯოუნსს. რეიჩელი  
ატყობდა, რომ ჯეფი შეყვარებული იყო.  
მას ესმოდა ვაჟის ტლანქი სინახე, რი-  
თაც იგი ასე ჰგავდა გიდიონს, იცოდა,  
რატომ ჯავრობდა ჯეფი და რატომ  
სკიპობდა იგი მარკოსს ხელებში, როცა  
უმცროსი ძმა ხუმრობით აღიზიანებდა  
მას. ეს ამბავი ანაღვლიანებდა რეი-  
ჩელს — ბრმა გოგონა! ბრმას მოვლა  
სჭირდება და როგორადაც არ უნდა მი-  
უღვე, უსინათლო ქალი ტვირთია ვაჟკა-  
ცისათვის. ჯეფი კი უკვე თითქმის იმდენ-  
ნი ხნისაა, რამდენისაც გიდიონი იყო,  
როცა მან რეიჩელი შეირთო. ვაჟკაცს  
დედაკაცი უნდა, და დედაკაცს ვაჟკაცი.  
ჰაგრამ ტოლები უნდა იყვნენ, როგორც

ნაქუქის ნახევრები ერთმანეთს რომ ავ-  
სებენ.  
„აღენბი დაამშვიდა ვინაა მისი მკერდი  
კარგად იქნება, რეიჩელ, დამიჯერე.“  
ტყეში, ნახევარი მილის მოშორებით  
იმ ადგილიდან, სადაც სამხრეთის მინდვ-  
რები თავდებოდა, ერთი აკრის ოდენა  
ადგილი იყო, რომელზედაც ხეები მოეჭ-  
რათ და რომელიც ახლა მცხუნვარე  
შუხს დარჩენოდა დავლად ჯირკვებით  
სავსე. ძერქორები მოფრინდებოდნენ  
ხოლმე აქ, დამპალ ჯირკვებზე ჩამოსს-  
დებოდნენ და თავის კანტურით ესალ-  
მებოდნენ ერთმანეთს; მინდვრის ვე-  
ლები შუხს ეფიცებოდნენ ნებიერად  
დახვეულნი. ჯეფს აქ მოჰყავდა ელენ-  
ნი. ისინი ისხდნენ ხოლმე ცხელ სი-  
ლახე, ზურგით მიწოლილნი წაქცეულ  
ხეზე და მშვენიერი მარტობით ტყე-  
ბოდნენ. მთელი საათობით იჯდა ჯეფი  
და გოგონასათვის სიტყვებით ჰქმნიდა  
ქვეყანას, რომლის დანახვა მას არ შეეძ-  
ლო — ცაზე დავრავნილი ღრუბელი,  
ღურჯველა ჩხიკვი... და დროდადრო  
ჯეფი საკუთარი ოცნების სურათებს  
ჰხატავდა ელენისათვის.  
ნელა, ძალიან ნელა და შეუქმნევლად  
რაღაც ემართებოდა ელენს; ნაწილობ-  
რივ ეს ეს იყო, რომ იგი ახლა გულთბი-  
ლი, მეგობრული ხალხის თემში ცხოვ-  
რობდა, როცა მთლილი დღე ადამიანის  
ხმები ავსებდა სმენას, ბავშვების ყრია-  
მული და მოზრდილთა დამახილი, დიდ  
მანძილზე რომ უხმობდნენ ერთმანეთს;  
ნაწილობრივ ეს ჯეფი იყო, რომელმაც  
ერთხელ მას უთხრა: „მიყვარხარ, ელენ,  
ტკბილო“. მეორეჯერ, როცა ჯეფმა იგი  
გულზე მიიკრა, გოგონა შეევედრა: „ნუ  
მავნებ, ჯეფ, გთხოვ“. და ჯეფი მიხვდა,  
თუ რას ნიშნავდა ცხოვრება ელენისათ-  
ვის. ეს უცნაური, თავისებური რამ იყო:  
მას უნდა სცოდნოდა, მაგრამ ვის შე-  
ჰკითხებოდა? სხვა მისი ტოლი ბიჭები  
ღელისპირა ბუნჩებში იმალებოდნენ და  
მომანავე გოგოებს ფარულად უთყაო-

თვალბდნენ, ან დაედევნებოდნენ ხოლ-  
მე მათ და ბალახში წამოაქცევდნენ.

„რას გააკეთებ მომავალში?“ შეეკით-  
ხა ერთხელ ელენი ჯეფს.

„რასაც მოვინდომებ, რაც გადაწყვე-  
ტილი მაქვს“.

„მინც რას?“

„მამაშენივით მინდა ვიყო“, სთქვა  
ჯეფმა; მან პირველმა გაჰხედა მამის შე-  
სახებ დალაპარაკებოდა ელენს.

„ექიმი?“

„ჰო,“ მიუთვო ჯეფმა.

სოფლის თვალში ექიმი ურწმუნო,  
ლოთი კაცი იყო თამბაქოსაგან გაყვით-  
ლებული წვერით; ერთხელ ვიღაც ქალი  
სიკვდილის პირზე იყო მისული და  
ჯეფს ესმოდა, თუ რა მღელვარე და  
უახრო მიეთმოეთი იყო ხალხში ექიმე-  
ბის შესახებ. მან დააპირა გიდიონის-  
ვის ეკითხნა ამის გამო, — მამამისმა  
უფთოდ ყველაფერი იცოდა, — მაგრამ  
ჯეფი იმდენად აღმერთებდა მამას,  
რომ ვერ შეუბედა მას ამაზე საუბარი.  
ბიჭმა აღენბის ჰკითხა:

„ექიმი, — რაა ექიმი?“

„კაცი, რომელიც ავადმყოფებს  
შეკურნალობს“.

„მართლა?“ რამდენიმე მილის მოშო-  
რებით ერთი საწყალი დედაბერი ცხოვ-  
რობდა ძეძვიანში. მან თილისმის ძალა  
იცოდა, ჯადოს ამზადებდა და ჰყილდა.  
„მასავით?“ უნდოდა გაეგო ჯეფს.

„არა, მასავით კი არა, მეცნიერებით,  
როცა კაცს იმის ცოდნა აქვს, თუ რა  
იწვევს ავადმყოფობას“.

ასე, ამგვარად დაიწყო ეს ამბავი და  
ახლა, როცა ჯეფს ხელიხელჩაკიდებუ-  
ლი ელენი ფიჭვნარში მიჰყავდა, მან გო-  
ვონას უთხრა: „ჩემ გაგზავნას აპი-  
რებენ“.

„შენ გაგზავნას? სად?“

„ჩრდილოეთისკენ ალბათ. სასწავ-  
ლებლად, ექიმი რომ გამოვიდე“.

ეს დაუჯერებელი რამ იყო; ელენმა  
ნადვლიანად შესჩივლა ჯეფს, შენი წას-

ვლის შემდეგ ვინლა იქნება ჩემთვის,  
და ჯეფმა ნათლად წარმოიღვინა, თუ  
როგორ შეიკრებოდა ელენის ირველივ.  
თითქმის აქამდე არც  
კი მოსვლია ეს აზრი თავში! „მიყვარ-  
ხარ“, სთქვა ეაქმა, „შენ, მხოლოდ შენ  
მიყვარხარ!“

„გინდა კი წასვლა?“

„მინდა“, საბრალო ხმით წამოილულ-  
ლულა ჯეფმა. „ერთი დღეც იქნება —  
მოვალ, უსათუოდ დაებრუნდები, გეფი-  
ცები, რომ დაებრუნდები!“

გიდიონმა მხოლოდ მაშინ გაანდო  
რეიჩელს ყოველივე, როცა კარდოზო-  
საგან პასუხი მიიღო. კარდოზო იწერე-  
ბოდა: კი, ამის მოწყობა შესაძლებე-  
ლიაო. ჯეფი მასთან უნდა ჩასულიყო  
ჩარლსტონში, კარდოზო ფრედერიკ  
დუგლასს და ზოგიერთ სხვა მეგობარს  
მისწერდა ჩრდილოეთში. ჯერჯერო-  
ბით ოცდახუთი დოლარიც საკმაო იქნე-  
ბოდა და კარდოზო მოაგვარებდა ჯეფის  
გამგზავრებას ზღვით ბოსტონს. და მერე  
გიდიონმა რეიჩელს უამბო ყოველივე.

„რა სიშორისაა ეს ადგილი, ბოს-  
ტონი?“

„ათასი მილი იქნება ალბათ“, მიუთვო  
გიდიონმა. „ხომ გესმის, რას ნიშნავს,  
რეიჩელ, ჩვენი ვაჟი, მონობაში შობილი  
ბავშვი ბოსტონს წავიდეს ექიმობის შე-  
სასწავლად?“

რეიჩელმა თავი დაუქნია.

„ხომ არ ფიქრობ, რომ მე არ მინდა  
იგი აქ მყავდეს, ჩემთან ერთად?“ შემ-  
ფოთდა გიდიონი.

და ისევ: რეიჩელმა პასუხად თავი  
გააქნია მხოლოდ. გიდიონმა ქალი გულ-  
ზე მიიკრა; „გამოიხედე, გენაცვალე, ჩე-  
მო პატარა, დრო მოვა — შენი ბიჭით  
იამაყებ, ძალიანაც იამაყებ, ნახავ, რომ  
იგი დიდი, სახელოვანი ნაბიჯით გასწევს  
წინ“.

„ვიცი“, მიუთვო რეიჩელმა.

მაღალი, წვერიანი უფროსი, ტყავის  
წალბაში და ტალახში ამოგანგლულ

სველ ტანსაცმელში ჩაცმული იანკი, რომელსაც, როგორც ჩანდა, ახლახან დაედწია თავი მაღარიის შეტევისაგან, ვილიონს მიუბრუნდა: „შენ ლაპარაკობ ამითი სახელით?“ „დიად“. „რამდენი ხართ?“ „ოცდაორი“, მიუგო ვილიონმა. „ბარი, ცული და წერაჭვი. დღეში ერთი დოლარი. შეიდი დღე კვირაში — შხის ამოსვლიდან შხის ჩასვლამდე. ხელფასს სამშაბათობით ვაძლევთ“. „კარგი“, თავი დაუქნია ვილიონმა. უფროსმა თვალთ ფარდულზე ანიშნა, სადაც ხელფასს იძლეოდნენ და დასძინა: „ხელი მოაწერიხე შენს ხალხს, ან ნიშანი დასყან“.

ვილიონი, ტრუპერი და ფერდინანდ ლინკოლნი მკრელების გუნდში მოხედნენ. ისინი ექვსი-რვა დღიის სიმსხო მეორე ნაყარში შევიდნენ, მუხლებამდე წუმბეში ჩადგნენ და მთელი დღის განმავლობაში მათ ორღესულ ცულებს უსაბულოდ გაჰქონდათ ხის ტანზე. შავების უმრავლესობისათვის — მუშათა გუნდები კი შავებისაგან შესდგებოდნენ — ეს მუშაობა რკინიგზაზე პირველი თავისუფალი შრომა იყო, რომელიც მათ ოდესმე გაეწიათ. როდესაც იანკის კომპანიამ მშენებლობისათვის საქირო მუშახელის შესაგროვებლად დაჰქირავებელი კანტორები გახსნა ახლო მდებარე დაბა-ქალაქებში, ადგილობრივმა ვაჭრებმა თავი გადააქნიეს და დაასვენეს: „დროის დაკარგვაა. ზანგი ისე არ იძუშავენს, თუ ზურგზე მათრახი არ მოხედა, ან თუ ვისიმე მონა არ იქნა“. ისინი ამბობდნენ, რომ სამარცხვინო საქმე იყო ზანგისთვის დღეში ერთი დოლარის მიცემა; გააფუქებენ, წაახდენენო ზანგებს, ვის გაუგონიაო ასეთი ხელფასი?! იანკი ინჟინრები და გუნდთა უფროსები მხრებს იჩენდნენ და მუშახელის დაქირავებას განაგრძობდნენ. „სულ ერთია“, ამბობდნენ ადგილობრივნი, „იმ კაობზე მიწაყრილის გაყვანა არ იქნება და ახია წყეულ იანკებზე!“ მაგრამ რაგინდ უცნაური არ იყო ეს ამბავი, მიწაყრილი

მაინც შენდებოდა. როდესაც მორებითა და ტოტებით ჯვარედინად დასაწყობებული უკვალოდ შთაბრუნდნენ, ინჟინრებმა ხრეში ჩაჰყარეს და ხელახლა შეუდგნენ შენებას. როცა წვიმები დაიწყო და კაობი ტალახისა და კუბრის ნარევე ზღვად იქცა, კაცები წელამდე ლაფში იდგნენ და ძელებს ბრმად უშვებდნენ სავარაუდო ადგილზე. მერმე კოლოები იერიშზე გადავიდნენ და აცხცახებულნი, ციებ-ცხელებით გათანგული კაცები სამკურნალოდ გარეკა სენმა: რიცხვი განცხადებებისა მუშების დაქირავების შესახებ კვლავ გაიზარდა. გულუბრყვილო ერთუზიანში, რომელმაც ეს მხარე მოიცვა, როცა ხმა გაერცელდა, სამხრეთში რკინიგზა გაჰყავთო, მალე გაჰქრა; ყოფილი პლანტატორების, ზედამხედველებისა და მონებით მოვაჭრე ხალხისათვის რაღაც ავისმომასწავებელი, კომპანია, საკუთრება ახალი ინგლისისა, ისეთივე გაუგონარი თავხედობით, ისევე მოურიდებლად იჭრებოდა ამ რკინიგზით მათ მიწა-წყალზე, როგორც ომის დროს შერმანი გაიჭრა ზღვისკენ.

შავებისთვის კი ეს ამბავი სხვა რამეს ნიშნავდა. ვილიონმა ახლა პირველად აულო ალლო შრომის ურთიერთობას მთელ ცხოვრებასთან და ცივილიზაციასთან. ის და მისი ხალხი წლიდან-წლამდე მუშაობდა მონებად, არაფერი არ გააჩნდა, არაფერს არ იღებდა თავიანთ შრომისათვის სწორედ ისე, როგორც ჯორი ან ხარი მუშაობს ხოლმე. ახლა კი რკინიგზა იუწყებოდა იმ საქონლის შესახებ, რომლის ყიდვა მას უნდოდა; ეს საქონელი შრომა იყო; ვილიონი და მისი მეზობლები მოვიდნენ და თავიანთ შრომას ჰყიდდნენ ერთ დოლარად დღეში. მათი შრომიდან იზადებოდა ახალი ნაყოფი, ოცნება, მიწაყრილი, ლამაზი ფოლადის რელსები, ღამეში ბლავილით მომავალი მატარებელი. ისინი წავლენ, როგორც თავისუფალი ადამიანები, ხელში საკუთარი ფულით და თავი

ვისი მზრით ისინაც იყიდიან რამეს, უკან კი დასტოვებენ მას, რაც ღონესა და ოფელს შეუქმნია.

გიდიონმა არ იცოდა, შეიძლებოდა თუ არა რკინიგზის ასეთი ვაკისის გადაყვანა მონური შრომით; ერთი რამ კი აშკარა იყო მისთვის: მონები ამგვარად მაშინაც კი არ მუშაობდნენ, როცა ზურგს მათრახით უჭრებდნენ. მისი გუნდი საჯებირო ძელურისთვის ზეებს სჭრიდა და ასუფთავებდა. ორი კაცი მიადგება ხეს მოპირდაპირე მხრიდან, ერთი დაბლა სცემს ცულს, მეორე ცოტა ზემოთ, და მერე გაისმოდა ყვირილი და მგრვინავი გამომძახილი ტყისა — „გზა მიეცი!“ წყალზე დაცემული ხას ტყლაშუნი, შტოების ჩამორეცხვა — დაყვრა დაყვრაზე რიგრიგობით და მერე შორს რვა კაცი იღებს და ჯორშებმულ მარხილზე აგდებს. კაცები წელს ზევით შეშველნი მუშაობდნენ, მათი შავი ტანები ბზინავდნენ, კუნთები ტალღებით დაგორავდნენ კანქვეშ. დასაწყისში ისინი მონის ძველ სამუშაო სიმღერებს მღეროდნენ, მაგრამ ეს აღარ ვარგოდა უკვე — რიტმი აღარ ეწყობოდა. ტემპი სხვაანაირი იყო და ჩივილის თქმაც არ უნდოდათ უკვე სიმღერაში, და ამგვარად ახალი სიმღერები ჩაისახა, თავდაპირველად უსიტყვეოდ — მათ უნდა ემღერათ; პირველი სიტყვები ფიჭვის უმარტივეს ძაფს გადმოსცემდნენ — „ბებერ ტყეს არ უყვარს ჩემი ნაჯახი“, — სიტყვებიც გაჩნდა, პანგიც დაიბადა...

გიდიონი გააზიზებულყო თურმე. დაბინდებისას მას უკვე მთელი სხეული სტივიოდა და არავითარი სურვილი, არავითარი აზრი არ ჰქონდა თავში ვარდა იმისა, რომ ფაცხაში ტახტზე დაგდებულყო და დაეძინა. მუშაობა, კამა და ძილი — ეს იყო სულ, და გიდიონი თავის თავს ეკითხებოდა: „სადაა სწავლა, დასვენება, წიგნები ან სხვა რამე ვარდა შრომისა ასეთ ცხოვრებაში?“ მონობიდან გამოსვლით ცივილიზაციის მთელი

ერა იქნა უკან მოტოვებული, მაგრამ ნუთუ ადამიანი ამაზე განქრდებოდა?

მალე ციებ-ცხელების მუხრობითა და ლაარტყა, კაობი ვამით მძენივარე თონედ იქცა; კოლოების ლაშქარი მთელი დღე და ღამე ზუზუნით რიალებდი პაერში. გიდიონთან ერთად მოსული ჯორჯ რაიდერი ციებ-ცხელებით ჩაწვა და ოთხ დღეში სული დალია. ცხედარი პანიბალ უაშინგტონმა და ძმა პიტერმა წაიღეს შინ, რომ ქალები დასაფლავებას დასწრებოდნენ, ტირილით გული ეჯვრათ და ამაში მაინც ეპოვნათ ცოტა ნუგეში. გიდიონი ზრემის ჩამყრელთა გუნდში გადაიყვანეს, მერე იგი პიკორის კაკლის ზეებიდან განძელებს სჭრიდა, და ერთხელ მათ სასტევენის ხმზ გაიგონეს — ეს მუშა მატარებელი მობობლავდა წინ. კაობის წყალი დაიწრიტა, ტალახი გახმა და დასკდა; სიცხემ მოიმატა, მაგრამ მუშაობისთვის პირობები ახლა უკეთესი იყო. უკვარედინად ნაგები ძელური ხრეშითა და ღორლით შეიმოსა და ფოლადის რელსებმა მუშა მატარებლისთვის ბილიკი გასკიმეს. გიდიონი ლამობდა გაეგო ყველაფერი ეს და ამიტომ თავი უსკდებოდა ტვივლისაგან; ერთხელ მას პანიბალ უაშინგტონმა ჰკითხა:

„ზემოთ, გიდიონ, ჩრდილოეთში თეთრი ხალხიც ასე მუშაობს?“

„ალბათ ზოგი მუშაობს.“

„არც დასვენება, არც ვართობა, არც დროსტარება ქალთან?“

„ალბათ.“

„შენ გგონია, რომ ეს სწორია, გიდიონ?“

„არ ვიცი; ენახით, იქნებ გაეგო“...

ეს ამბავი მოხდა მაშინ, როცა მამაკაცები სამუშაოდ იყვნენ წასულნი. ტრუპერს ქალოშვილი ჰყავდა, სახელად ჯესი; იგი თოთხმეტი წლის იყო. ეს ამბავი მას შეემთხვა. გოგონამ მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უთავებროდ მოუთხრო მათ იმის შესახებ. თუ როგორ გაჰყვა იგი

ძველ თამბაქოს გზას;<sup>1</sup> ისე, ოცნებაში გაერთო თავისთავთან და გზას მიჰყევბოდა, როცა წინ ჯორშებმული ორთვალა შემოხვდა, რომელშიაც ორი თეთრი იჯდა. მათ ვოგონას დაუყვირეს: „პეი, აქ მოდი!“ ჯესი მინდორზე გაიქცა, კაცები უკან დაედევნენ. ვოგონა ძალღმაცვალას ბუჩქებში შევარდა, დაეცა, კაცებმა იგი ბუჩქებიდან გამოათორიეს, ტანსაცმელი შემოახიეს და გააუპატიურეს. მერე იმაზე ლაპარაკობდნენ, მოეკლათ თუ არა, მაგრამ დაბოლოს გაუშვეს და ჯესი სირპილით მოვარდა შინ შიმშველი და შიშისაგან ნახევრად შემეცარი კეუახე.

როდესაც ტრუპერმა ეს ამბავი შეიტყო, ლამის იყო თვითონაც კეუდიან არ შეიშალა; მისი მთავარი რეაქცია რისხვა იყო, მას ეწადა სისხლი დაეღვარა, ჯოჯოხეთს იფიცებდა თეთრი კაცი უნდა მოკვლათ. ვიდიონი და ძმა პიტერი ცდილობდნენ გონზე მოეყვანათ იგი და ემუდარებოდნენ დამშვიდებულებოდა: „უეჭველად ჩამოგახჩიობენ“. „ჩამომახჩიონ“. „მერე ამით ვითომ რას უშველია?“, „რამეს ვუშველი!“ ჯიუტობდა ტრუპერი. ბოლოს ვიდიონმა დაგუბებული ბრახით სთქვა: „სისულელეს ამბობ, ასეთ რამეს როგორ იზამს კაცი?! შეიდი კვირაა ამ ჭაობში ვმუშაობთ — რისთვის? ერთი, ჰკითხე შენს თავს, ტრუპერ, — რისთვის? კაცი ციებამ იმსხვერპლა, შინ წაიღეს და დამარხეს. ერთხელაც არ აგვიწყევია თავი ზემოთ, რომ ლურჯი ცა დაგვენახა, ქალისთვის თვალი არ მოგვიკრავს, — რისთვის? აბა ჰკითხე შენს თავს!“

„რისთვის?“ გაიმეორა გამტარებულმა ტრუპერმა.

„ახალი ცხოვრებისათვის, ღმერთმა დაგწყევლოს, შეიგნე ეს ამბავი!“

„თქმა არ უნდა, ბრტყელბეჭდის ლაპარაკობ, ვიდიონ, მედიდურად ლაპარაკობ, ხმას უწევ. ჩარლსტონის ციხე და გადიდგული, ფართოდ ცხოვრობდი, გამოწყობულ ზანგებთან და თეთრ ხალხთან იჯექი.“

„შე სულელო, ჩარლსტონს იმიტომ წავედი, რომ იძულებული ვიყავი წავსულიყავ. წავედი და მეშინოდა, პატარალ ვკრწნობდი თავს, რადგან იქ ბევრი რამ იყო შიშის მომგერელი. ახლაც არის. დიად“, — მან ტრუპერს ხელი მოჰხვია და სთქვა: „გამოიხედე, კაცო, აქეთ. საზარელი ამბავია, რაც მოხდა, სავალალო და საზარელი; პატარა ვოგონამ ღრმა კრილობა მიიღო; მაგრამ ეს კრილობა მოშუშდება, ტრუპერ, კრილობები მუშედებიან. ვოგონას დაეიწყებდა. შენ თავათ უნდა მიხედე — რატომ, როგორ ხდება ასეთი რამ... შენ ცოლი გყავს, სხვა ბავშვებიც გყავს. ამ ჭაობის სამუშაოდან შინ თითქმის ათასი დოლარით დაებრუნდებით, — გამიგონე, ტრუპერ. თითქმის ათასი დოლარით! ამდენი ფულ ზანგს არასოდეს ჰქონია ჯერ ერთად მთელს ქვეყანაზე. ასეთი ფულით რაც გინდა, იმას იზამ, გინდა ილოთებ, გინდა იმრუშებ. ასეთი ფულით ცოდვის საგნებს იყიდის კაცი, დიდებულსა და მშვენიერ რამეებს, ჭრელ ჩითის კაბებს, ტბილეულს; ღმერთმა იცის და მეც არ ვიტყვოდი ასეთებზე უარს, ტრუპერ, — ეს დიდი ცდუნებაა, მაგრამ მე კაცებს ველაპარაკე და მათ მითხრეს; კარგი, ვიდიონ, ეს ფული გადაედოთ და მიწა ვიყიდოთო. რატომ იქცევთან ასე ეს უმეცარი ზანგი მონები? რატომაა, რომ მათ ასეთი იმედი აქვთ, ასეთი რწმენა მომავლისა?“

ტრუპერმა საბრალოდ გააქნია თავი. „შე გეტყვი, რატომ. მომავალი წელი ისახება, როგორც ხვალინდელი დღე, როცა მზე ჩავიდა და კაცს არ ეძინება. მაშინ იგი თავისთავს ეუბნება, ხვალინდელი დღე არასოდეს დადგება, მზე კვლავ აღარ ამოვაო, ეს დამე გაგრძელ-

<sup>1</sup> ძველ გზებს სამხრეთში დღემდე შერჩათ „თამბაქოს გზის“ სახელი, რაც ისტორიულად იმას ნიშნავს, რომ ამ გზებით თამბაქოს ეზოდებოდნენ ნაოსნეობისაგან.

დებო სამუდამოდ და კაცი ტრიალებს, ერთი მხრიდან მეორეზე ბრუნდება, ამ გრძელ მოსაწყენ წუთებს ითვლის და ითვლის, რადგან რული არ ეკარება თვალს. გეტყვი, რომ ეს დრო თითქმის გავიდა; ხვალისდელი დღე ნამდვილად მალე მოვა, თქმა არ უნდა. ყოველგვარი ძველი სიფხე და ბოროტება ნელნელა კქრება; ზანგს ლინჩებით ჰკლავენ, პატარა უმწყო გოგონას ნამუსს ჰხდიან — მაგრამ ეს ამბები თანდათან ისპობა.“

გიდიონი რეიჩელს ჯეფის წერილს უკითხავდა. „აგერ აქ ჯეფი ქალაქზე ამბობს, ყური დაუგდეთ: „უორჩესტერი ლამაზია და ბევრი ხალხი ცხოვრობს; ასეთ ადგილს სიტი ჰქვია. პირველად კაცს შეეშინდება კიდეც, მაგრამ მალე ეჩვევა ასეთ სიტუში ცხოვრებას.“

„როგორც ჩარლსტონია, არა?“ იკითხა მარკუსმა, თუმცა მას მეტის-მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ჩარლსტონი. „ჰო, ჩარლსტონიეითაა ალბად“, ყოყმანით სიტყვა გიდიონმა და მერმე წერილს დაუბრუნდა ისევ:

„პრესბიტერიანულ უფასო სასწავლებელში თოთხმეტი მოსწავლეა, ყველა შემსავიდ ზანგი ბიჭებია, მხოლოდ უმრავლესობა ობლები არიან, არც დედა ჰყავთ არც მამა. ღირსეული ჩარლზ სმიტი და ღირსეული კლოდ საუთიკი, რომელიც პრესბიტერიანელი კი არაა, არამედ იუნიტარიანელი, გვასწავლიან კითხვას, წერას, ანგარიშს, ლათინურს, ისტორიას და გეოგრაფიას —“

„რა იუნიტარიანელი?“

გიდიონმა არ იცოდა; სამაგიეროდ მას შეეძლო ეთქვა მათთვის, თუ რა იყო გეოგრაფია და რომ ლათინური — ენა იყო, რომელზედაც მრავალი ასეული წლების წინ ლაპარაკობდა ის ხალხი, რომელიც სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა. „ახლაც იმ ენაზე ლაპარაკობენ?“ გიდიონი ამაში არ იყო დარწმუნებული და არც ის იცოდა, აპირებდნენ თუ არა

ჯეფის გაგზავნას იმ ქვეყანაში. გიდიონმა კითხვა განაგრძო.

„ჩვენ ვმეცადინებოთ, რა ქვეყანაშია ოთახში, რომელიც სამომავლოდ მისხს უკანაა და რომელსაც ფლიგელი ჰქვია. ქალების კომიტეტი საკმელს გვიშაბდებს და მათ აქვთ ჩაბარებული ჩვენი ტანსაცმელი. ტანსაცმელი სუფთაა და კარგი, სულ ცოტათია მხოლოდ ნახშირი. სამაგიეროდ ჩვენ ვმუშაობთ: ბალახს ვთიბავთ, ფანჯრებს ვრეცხავთ, ვვკით და ეკლესიას ვასუფთავებთ, რისთვისაც 10 ცენტს ვიღებთ სახარჯავად. თქვენ მენატრებით, მაგრამ აქ ბედნიერი ვარ. ელენს უთხარით, რომ ისიც მენატრება...“

რეიჩელი თვალეზზე მომდგარ ცრემლს იწმენდა, მარკუსი და ჯენი კი ფიქრით ჯეფთან იყვნენ, მის ცხოვრებას იყოფდნენ ჩრდილოეთში. ერთ-ერთ წერილში გიდიონმა ვაჟს მისწერა: „ის წიგნები წაიკითხე ჩარლზ დიკენსი რომ სწერს. ისინი შენ ბევრ რამეს გასწავლიან კაცთა ძმობის და კარგი და ცუდი ხალხის შესახებ“.

სანამ მიწის შესახებ დაიწყებდა მოლაპარაკებას, გიდიონი ებნერ ლეიტთან გაემართა. ერთ დილით მან აუჩქარებლად გაიარა გზა ებნერის კარმიდამომდე, ეზოსთან ჰიშკარს მიეყრდნო და ელოდა, როდის შენიშნავდა მას თეთრი მასპინძელი. სახლის კარებში მისის ლეიტი გამოჩნდა, მან თვალი შეავლო გიდიონს და უკან შებრუნდა. გიდიონს ჯიმი მოუახლოვდა ზღაზუნით და აუწყა, ებნერი ღორებს საკვებს აძლევს.

„რა გქვია, ზანგო?“ იკითხა ბიჭმა.

„გიდიონ ჯეკსონი“.

„უწინ მინახავხარ.“

„მართალია,“ თავი დაუქნია გიდიონმა. „ალბათ გახსოვს, შარშან შემოდგომაზე ამ გზაზე რომ გამოვიარე.“

„აჰა.“

„რა ხნის ხარ, ბიჭო?“ იკითხა გიდიონმა.

„ათი ზაფხული გაუათავე“.

„სწავლობ?“

ბიჭმა გაიღიმა და თავი გააქნია: „არც მინდა.“

საღორე ბაკიდან ებნერი გამოვიდა და თავი დაუკრა გიდიონს: „დილა მშვილობისა!“

„დილა მშვილობისა, მისტერ ებნერ“. მიუგო გიდიონმა. „ვხედავ, შესანიშნავი ყანა გქონია. რამდენიმე აკრზე ბამბაც დაგითვისავეს. შემოსავლიანი რამაა, წელს კარგა ბლომად მოგცემს ფულს.“

„თუ მოვკრიფე, — კი.“ სთქვა ებნერმა.

„მოკრეფ!“

„ძალიან კარგია, რომ ასე დაიმედებულნი ხარ,“ სთქვა ებნერმა, „იქნებ მოზვიდე და მომეხმარო!“

„ენახოთ, რატომაც არა“.

ებნერმა შარვალი აიჩეჩა, გააფურთხა და ხელები საჯდომს აუსვ-დაუსვა. „გავიგე, რკინიგზაზე მუშაობდი, გიდიონ“, სთქვა ებნერმა. ახლა მათ პიტერი და ებნერის პატარა, ექვსი წლის გოგონა მოუახლოვდათ; გოგონა მამას ქამარზე ჩამოეყიდა და შუბლზე ჩამოყრილ წითური თმებიდან თვალს არ ამორებდა გიდიონს.

„მართალია“.

„მგონია, რომ ვერაფერი საკადრისუნდა იყოს ამპარტავან ზანგისათვის ვენტში ჯდომის შემდეგ“.

„იქნებ საკადრისია, იქნებ ვერა; გააჩნია, როგორ შეხედავ ამ ამბავს“. გაიღიმა გიდიონმა.

„ისე ჰგავს, თითქოს ზანგები ეპატრონებიან მთელ შტატს“.

„მე არ ვიტყვოდი ამას, მისტერ ებნერ“.

„არ იტყვოდი?“

„შეიძლება შემოვიდე, მისტერ ებნერ? ყელი გამშრალი მაქვს და ერთ ჰიქა ცივ წყალს ძალიან დაგიმადლიდით“.

„მე მოვიტან,“ წამოიბახა პიტერმა და ქისკენ მოკურცხლა:

„შემოდი,“ მოკლედ სთქვა ებნერმა და გიდიონს ფართოდ გაშლული ხის ჩრდილისკენ გაუძღვა. ებნერმა მისწერა, გიდიონი მის გვერდით დაჯდა. პიტერმა თუნუქის ფიალათი წყალი მოიტანა, გიდიონმა შესვა და მადლობა სთქვა. „კარგი ჰა გქონია“, მოწონების ნიშნად თავი დაიქნია გიდიონმა. „წყალს ცივად ინახავს, დარჩდილული მაქვს“, სთქვა ებნერმა. „ცივ ანკარა წყალს ვერაფერი შეედრება.“ აივანზე ებნერის ცალი გამოვიდა ისევე, ერთი წუთით კაცებზე შეაჩერა მზერა და შინ შებრუნდა. „კარგი დრო არც ისე ხშირად მოდის, რომ მას კაცმა ზურგი შეაქციოს“.

„გააჩნია, როგორ გეცმის ეს ამბავი“.

„მე ისე მესმის, რომ უკეთესი დრო დაგვიდგება, ვიდრე ომამდე იყო,“ ნელა უპასუხა გიდიონმა. „შესაძლებელია პლანტაციის ხალხისთვის ძნელი სათოხარი გამოდგეს, მაგრამ წერილ ფერმერს ბევრი შესაძლებლობა ექნება ისეთი, რაც წინათ არ ჰქონია“.

„აჰა“.

„საქმეს ასე შევხედოთ,“ სთქვა გიდიონმა, „რაც იყო — იყო; ერთ კაცს ვერ ნახავ ამ მიდამოში, რომ ომს დიდი გაპირება და მწუხარება არ მიეყენებინოს. შინ ქალები მუშაობდნენ; წვალბდნენ და იმედით ცხოვრობდნენ; მე და შენ დაებრუნდით, დავიმკლავეთ და ვთქვით, რომ ამ ვარამიდან რამე შეგვექმნა. თქმა არ უნდა, ერთი კაცის პირობაზე ბევრი მოგიხნავს, სიმინდი და ბამბა დაგითვისავეს; ვიცი, რომ წელში წყდები; ჰო, ყანა კი მაქვს, ისეთი ყანა, რომ კაცი იამაყებს, მაგრამ ვის ეკუთვნის ეს მიწა, შენ რომ ხნავ, მისტერ ებნერ?“

„ვის ეკუთვნის?“ შეაჩერდა ებნერი გიდიონს. „ღმერთმა შეშაჩვენოს, თუ ვიცოდე ან თუ დაგიდევდე — ვის ეკუთვნის! ერთ დროს დადლი კარუელის იყო, მგონი მან დაკარგა და ფერ“.



გიუსონ უაიტს ჩაუვარდა ხელში. ამ-  
ბოზენ, უაიტი ტექსასში გადავიდაო“.

„მართალია. მიწა გადასახადებმა წაი-  
დეს, ყოველი ფუტი, ყოველი აკრი, რაც  
ერთხელ კარუელისა იყო“.

„ძალიან კარგი, წაიღონ. ღმერთმა ხომ  
იცის, რომ გადასახადების ფულს მე არ  
გამაჩნია.“

„ამაშია სწორედ საქმე, „წყნარად  
სთქვა გიდიონმა. „კარუელის მამული  
საჯარო ვაჭრობით გაიყიდება კოლამ-  
ბიაში ოქტომბრის თვეში. მე ის ფედერ-  
ალურ კომისრისაგან შეეიტყვევებათ,  
ათას-ათას აკრიან ნაკვეთებად გაჰყი-  
დიან, ამაზე უფრო მეტივე ნაჭრებად არ  
დაანაწილებენ. და როცა გაიყიდება, სად  
უნდა წავიდეთ, მისტერ ებნერ? თუნდაც  
შენ, სად უნდა წახვიდე?“

„სადაც ვარ, იქვე დავრჩები,“ გულ-  
გრილად სთქვა ებნერმა. „ვერცერთი  
წყეული იანკი ვერ მეტყვის, აქედან აი-  
ბარგეო, ვერცერთი წყეული ზახტო-  
მფლობელი ვერ მეტყვის ამას. მთელი  
ომის მანძილზე თოფისთვის ხელი არ  
მიშვია — და რა ოხრობა მივიღე ამ ომი-  
დან? არა, ჩემო ბატონო, აგერ აქ ვზივარ  
საკუთარ საჯდომზე და ვერავენ ვერ  
მეტყვის, სხვაგან წადიო!“

„ბოდიშს ვიხდი, მისტერ ებნერ, მაგ-  
რამ აბა დაუკვირდი, რას ამბობ. ვერავენ  
ვერ მეტყვის, აიბარგეო, — ძალიან კარ-  
გი, მაგრამ სინამდვილეში სხვანაირადაა.  
შერიფი მოგადგება — რას იზამ? კა-  
ნონს შეებრძოლები? პლანტატორს, რო-  
მელსაც ზურგში კანონი და წესწყობი-  
ლება უდგას, შენ აჯობებ? როგორ შეს-  
იღებ ამას?“

„მე ზანგი არ მჭირდება კეტა რომ მას-  
წავლოს.“

„კარგი, მაგრამ ერთი წუთით დამაც-  
დე, მისტერ, ებნერ. როგორ უყურებ  
ზანგებს — ეს შენი საქმეა და მე იმი-  
სათვის არ მოვსულვარ, რომ ამაზე დავა  
გავიმართო. მაგრამ ერთს კი გეტყვი:  
რაც არ უნდა იფიქრო ზანგზე, იგი შენი  
მტერი არაა.“

ებნერმა გიდიონს ცივად მიმოიხა-  
ლა: „ღმერთმა დაგლახბროს, კარგად უყუ-  
რეო“.

გიგლიონიქა

„კარგი, წავალ,“ ტოჩების მოკლემკით  
სთქვა გიდიონმა, „წავალ, კარუელის  
მიდამო საჯარო ვაჭრობით გაიყიდება  
და მაშინ მთელ ქვეყანაზე გაბოროტდე-  
ბი. მაგრამ რას იზამ? ერთ რამეს გეტყვი,  
მისტერ ებნერ, სულერთია, ვინდა ამის  
პოსმენა, თუ არა. მე და ჩემი ხალხი ქა-  
ობში სამუშაოდ წავედით, რომ მიწის  
საყიდლად ფული გვეშოვნა. აჰ, ჩვენს  
მხარეში უმიწაწყლო კაცი მონაზე უკე-  
თესი ვერაა, და დიდი განსხვავებაც არაა,  
მისტერ ებნერ, ზანგია ეს მონა, თუ  
თეთრა კაცი. ჩვენ თითქმის ათასი დო-  
ლარი გვაქვს ახლა. ისეთ ბანკირს რომ  
მოეძებნიდეთ, რომელიც გირავნობის  
სიგელზე თანხას გვაესხებდა, მაშინ  
საჯარო ვაჭრობაზე წავიდოდით და რამ-  
დენიმე ათასაკრიან ნაკვეთს შევევაჭრე-  
ბოდით“. რამდენიმე წუთი გავიდა და  
თეთრი არაფერს ამბობდა, დასცქეროდა  
მხოლოდ თავის დიდ, უხეშ ძვლიან ხე-  
ლებს, ფორთოხლისფერ თმას, რომელ-  
საც ხეშეში მავთულის ხვეულებით დაე-  
ფარა კანი, დასცქეროდა იანკის ხიშტით  
დანაქდევ დაღს მაჯაზე. გიდიონი  
თვალს არ აშორებდა ებნერს და ლამობ-  
და ოდნავ მაინც მიმწვდარიყო იმ შიხავან  
ბრძოლას, რომელსაც ებნერი ამ წუთში  
თავისთავთან განიცდიდა და რომელიც  
მთელი სიცოცხლის მანძილზე წინააღმ-  
დეგობებში ჰგლეჯდა მის გულს: ვინ  
სძულდა მას? რისთვის იბრძოდა იგი?  
რატომ? მკვლელობის, ლაშქრობათა და  
მკვლელობისაგან თავდაცვის წლების  
შემდეგ აღამიანი ის აღარაა უკვე, რაც  
მანამდე იყო. იგი შინ ბრუნდება, კვლავ  
სახნისს ჰკიდებს ხელს და ღორებს საკ-  
ვებს აძლევს, მაგრამ იგი ის აღარაა,  
რაც მანამდე იყო.

„მე ფული არ მაქვს“, გაისმა დაბო-  
ლოს ებნერის დაღლილი ხმა, რომელ-  
შიაც მკვებე კილო გამჭარალიყო უკვე-  
„ოთხი დოლარი და სამოცი ცენტი —“



ესაა სულ, რაც ჩემს სახლში მოიძებნება, გიდიონ.“

„შენ არ გკირდება ფული“, უბასუხა გიდიონმა. „მე მოსახლეებს ვეძებ, რომლებიც მიწის ყიდვაზე ყაბულს იქნებიან. რაც ჩვენ ფული გვაქვს, საცმარისია საქმის დასაწყებად, თუ არა, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არაფერი არ გამოვა ამ საქმიდან. კარუელის მიდამოზე ოცდაშვიდი ზანგის კომლია და შვიდი თეთრი — ყველა ამ მიწაზე ვსახლობთ; როცა მიწა გაიყიდება, ჩვენ ყველამ გულანაბალი უნდა ავიკრაოთ ან ღალაზე მომუშავე ხინები უნდა გავხედეთ. თითო კომლზე ასე ოთხმოცი ოთხმოცდაათი აკრი რომ ეთქვათ, — ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლები, ეს კომლს გააჩნია, — ასეთ ნაქერზე პატარა ბუნჯნარიც იქნება დასაწყავი, ცოტა სამოვარი, ცოტა სახნავი, მაშინ სამი ნაკეთი, თითო ათასკრიანი, გვეყოფა, ყველა ჩვენთაგანს შეხვდება საკუთარი ნაქერი მიწისა.“

„მე რაღად გინდივართ?“ იკითხა ებნერმა, „რა გამოიკეთება თქვენთვის კარგი? მე ზანგის მოტრფილად არ ვარ და არც წყეული სკელაუეგი, რომ მოხვიდე და უკანალი მილოკო.“

„მართალია,“ დაეთანხმა გიდიონი.

„მამ რატომია, რომ მოსულსარ?“

„კარგი,“ სთქვა გიდიონმა, „მოდის საქმეს ასე შევხედოთ: ის, რაც ძველად იყო, არასოდეს დაბრუნდება, ძველ წესრიგს ომმა მოუღო ბოლო. კონვენტი და არჩევნებით ჩვენი სამხრეთისათვის ახალი ცხოვრება მოდის. მაგრამ მართალი თუ გინდა, იგი ასე უბრალოდ, მარტო სურვილით არ დამყარდება; არაფერი არ ხდება ასე. ყველაფერი შექმნილია. რკინიგზა ახლა ქაობზე გადის, რადგანაც ხალხი წავიდა და იმუშავა — ლაპარაკით კი არ გაკეთებულა! იგვეა აქაც. კარგი მიწა ეს ჩვენი მიდამო, ტყბილი, რძისა და თაფლის ბარაქით ხავსე მაწაა, თუ კარვად დამუშავებ.“

არც სიცივე იცის, როგორც იანკებს მხარეში, არც სნეულებითაა სასეკ, როგორც დაბლა ჰდინარის მხარეში. ხალხიც ცხოვრობს, კარგად მოსახლდება და კარგი შავები —“

„კარგი იყო, სანამ წყეულმა იანკებმა არ დააქციეს,“ ჩაურთო ებნერმა.

„დააქციეს კი? ომი სავალალო რამაა, მწუხარება და გავერანება მოაქვს. შენ თოფი აიღე ხელში, მეც თოფი ავიღე და ასე ვთქვათ, მე და შენ ერთმანეთს ვებრძოდით. რისთვის? მართალია, იანკები მოვიდნენ, ზანგები გაანთავისუფლეს და ალბათ პლანტატორების ნახევარი განანაგდა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს, რამდენი პლანტაციია სულ აქ? აბა ერთი მიიხედ-მოიხედე — ყველგან, სადაც თვალი მისწვდება, სულერთიანად კარუელის მიდამოა. მე — მე ზანგი მონა აღარ ვარ, თავისუფალი კაცი ვარ; შენი მდგომარეობა იგივეა რაც ომის წინ იყო, შეიძლება უკეთესიც. თამამე იმედიც კი არ გქონდა, რომ საკუთარ მიწას იყიდდი ოდესმე. კარგი მიწის ყოველი დღეში რომელიმე პლანტაციის ნაწილი იყო, ღარიბ თეთრს დიდი — დიდი ქაობი თუ ექნებოდა ან ერთი მტკაველა ფიჭვნარი, სადაც ორიოდე მარცვალი მოჰყავდა. იანკიმ მიწა დაგვიტოვა და ცოტა უფრო მეტი იმედი, ვიდრე ძველად გვქონდა.“

ებნერი თითოთ სილას ურევდა. „განაგრძე“, სთქვა მან.

„კარგი. რა უნდა იყოს მომავალი, თუ არა ის, რასაც ჩვენ თვითონ შევქმნით? იგი ცუდი არ იქნება, თუ შავისა და თეთრისთვის ერთნაირს გავხდით მას. ამ სიბუღელს ბოლო არ ექნება ჩვენ შორის, თუ მომავალი ჩვენთვის, ორთავესთვის არ იქნა. ჩვენ უფრო ძლიერი ვიქნებით მიწის საყიდლად, თუ შენ შემოგვიერთდები, თუ მაქს ბრომლი შემოგვიერთდება, თუ მშები კარსონები და ფრედ მაკაკი შემოგვიერთდებიან.“

„არ შემოგვიერთდებიან.“

„შესაძლებელია შემოგვიერთდნენ, მისტერ ებნერ. ქვეყანა იცვლება. ჩვენს კარმიდამოზე ახლა ბატარა სკოლაც გადაქვს. შენი ბავშვები რატომ არ უხდა დადიონდენ იქ? როდისმე მთავრობა მოვა და ნამდვილ კარგ სკოლას აგვიშენებს. ახლა კი შენს ბავშვებს არაფერი არ უშლის ხელს ჩემ ბავშვებთან ერთად იარონ სკოლაში გარდა იმისა, რომ ისინი თეთრები არიან, ჩემები კი შავი.“

ებნერმა, თავი გააქნია.

„ეს ამბავი ისეთი რამაა, მისტერ ებნერ, რომ კაცმა კარგად უნდა ასწონდასწონოს. ეალიარებ, რომ დროა საჭირო. მაგრამ არავითარი მიზეზი არ არსებობს, რომ შენ ამ მიწის თაობაზე არ შემოგვიერთდე.“

„შეჩვენებული ზანგის წყალობა არ მპირდება მე,“ ჯიუტობდა ებნერი.

„წყალობა არაა, როცა საკუთარი ზურგის გამაგრება მინდა. მე რომ ბანკირთან მივიღე და ვუთხრა, თეთრებს ამ საქმეში წილი უღევთ-მეთქი, მაშინ ბევრად უფრო მაგარი მექნება ზურგი.“

„შესაძლებელია ასეც იყოს.“ ებნერი ერთი წუთით შეჩერდა და შემდეგ დასძინა: „საიდან იცი, რომ მოგვეყიდიან მიწას?“

„მიწის აგენტს ველაპარაკე, იანკის, ის ამბობს, რომ საჯარო ვაჭრობა ალალი იქნება და ვინც მეტს შეაძლევს მიწა მას დარჩება.“

„ვინ იცის, იქნებ ტყუილს ამბობ.“

„ვინ იცის,“ სთქვა გიდიონმა; მერე მათ ერთმანეთს შეკბედეს და ებნერმა პირველად გაიღიმა.

„ვინ მიდის მიწის საყიდლად?“

„ჩვენებს უნდათ, რომ მათი სახელით მე ვილაპარაკო. ეს არაა ჯერ გადაწყვეტილი. ამაზე შეიძლება მოვითათბიროთ.“

„მეც შენ მოგანდობდი.“

„მამ შემოგვიერთდები?“ იკითხა გიდიონმა.

„შემოგვიერთდებით.“

„სიხარულით ჩამოვართმევდი ხელს ამის გამო, მისტერ ებნერ“, სთქვა გიდიონმა, „და ამაყად გილოცობდი თავს.“

ებნერ ლეიტმა თავის სიცოცხლეში პირველად ჩამოართვა ხელი ზანგს.

ძმებ კარსონებთან ორსაათიანი ლაპარაკის შემდეგ გიდიონმა ისინიც დაითანხმა და სამოცდახუთი დოლარიც მიიღო მათგან საერთო თანხაზე დასამატებლად. მაქს ბრომლი გიდიონის ყოველ არგუმენტზე თავს აქნევდა — ზანგებთან არაფერი საერთო მაქვსო, და ამით საუბარი დასრულდა კიდევ. ფრედ მაკაკი დაყაბულდა, ასევე მოიქცა მისი სიძე ჯეიკ სატერი. გიდიონს სამ დღის ზეფნა-მუდარა დასჭირდა საკუთარ ზალხთან. „რად გვეპირდება თეთრები?“, გაგულიანებით ჰკითხულობდნენ ისინი. ფული მათი იყო. ვანა ერთი მათგანი ამისთვის არ მოკვდა ჭაობში?

გიდიონმა მათ მღვთმარეობა აუხსნა. იგი მოთმინებით იმეორებდა ერთსა და იმავეს. კიდევ კარგი, რომ ზალხის ნახევარი თავიდანვე მის მხარეზე იყო; დაბოლოს დანარჩენებიც დაიყოლიეს. გიდიონი გამარჯვებას ზეიმობდა, უკანასკნელი თვეების განმავლობაში იგი პირველად განიცდიდა კვლავ გამარჯვების შორთოლვაზე სიხარულს. ახლა მას რეინელი გულზე ჰყავდა მიკრული და თითქოს ძველი, დიდი ხნის უკან მოტოვებული ჭაბუკობა დაუბრუნდა.

მერე, როცა ოთხმა დღემ განვლო მას შემდეგ, რაც გიდიონმა ებნერ ლეიტს მოინახულა, ეს უკანასკნელი გორაკზე ამოვიდა მათთან თავისი ორი ბიძის თანხლებით და გიდიონს უთხრა: „შეღმს ველაპარაკე და მისი აზრით ბავშვებმა ცოტა ანბანი უნდა ისწავლონ“

ბიძეები ცქმუტავდნენ, ერთმანეთს მუჯღუგუნს სთავაზობდნენ, და წკმუტუნობდნენ. ებნერმა მათ ხელი წაართვა და უთხრა, ფრთხილად, თორემ მე

ვიცი, რასაც გიზამთო. მას ახლა საკუთარი სირცხვილიც ეყოფოდა, რომელსაც ფეი ზანგებთან მისი ამგვარი მოსელის გამო განიცდიდა; გიდიონი ატყობდა ამას და ამიტომ შეეცადა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ებნერისათვის ეს

უხერხულობა შეემსუბუქებინა. „წმინდა-ლობ, მისტერ ებნერ, ეს არის დაქაანების იყოს,“ სთქვა გიდიონმა. „სადაა ებნერმა თავი დაუქნია? იგი ცოტა ხანს კიდევ იდგა ჩუმაღ, მერე მიბრუნდა და გზას გაუდგა უკან.“

თარგმანი ინგლისურიდან გივი შვანიასი

(გაგრძელება იქნება)

გაზეთი "საბჭოთა საქართველო"

## სამი ლექსი

★

### ოჯახის ბურჯი

ეზოში მუხა შრიალებს ლურჯი,  
მარადეამ ტოტებდაუკნობელი,  
და მუხასავეთ ოჯახის ბურჯი—  
მღერის, სიცოცხლე ჩაუქრობელი.

იგი ოჯახშიც გაზაფხულს ხედავს,  
როცა იშლება ყვავილი შინდის,  
გამოდის ფრთხილად და ბარავს ვენახს  
და ეტრფის კეთილ ოჯახის სინდისს.

ოჯახისათვის მარად მშრომელი,  
გაზაფხულივით ამღერებული,  
გულში სიყვარულდაუშრობელი  
ოჯახს შეჰხარის გაღაღებული.

იგი ბრძოლაშიც იყო გულწრფელი,  
დარტყმა იცოდა მტერზე გამირული,  
ოჯახში მშვიდი სიტყვაუთქმელი  
მამულს იცავდა თავგანწირული.

სისხლით იცავდა ძმათა ოჯახებს,  
კვლავ თვალწინ ედგა ქართლის ქედები  
და როცა მიწას ყუმბარით ხნავდნენ,  
ავონდებოდა ჩვენი დედები.

და უფრო მარჯვედ ურტყამდა  
მტარვალთ  
მამულის ტრფობით ლომად ქცეული,  
თვალის სინათლე ჩაუქრო მრავალს,  
თვითონ მოვიდა გამარჯვებული.

ახლაც მშვიდობას იცავს ვაჟაცი,  
უყვარს ოჯახი, ჩელი ბავშვები...  
იგი შრომაშიც არის მამაცი  
მტრის წინააღმდეგ ბრძოლას ნაჩვევი.

იგი ოჯახშიც გაზაფხულს ხედავს,  
როცა იშლება ყვავილი შინდის,  
გამოდის ფრთხილად და ბარავს ვენახს  
და იცავს ქართულ ოჯახის სინდისს.

---

### საბჭოთა ოჯახში

★

ჩვენს ოჯახებში დგას გაზაფხული,  
მარად სიცოცხლე ჩაუქრობელი!  
ამღერებულა ყველა სართული  
და ეფერება ბავშვებს მშობელი.

შემოდის მამა გაღიმებული,  
ომში სიკვდილის გადაშლახველი,  
ჩვენთან მშვიდობით დაბრუნებული,  
გამარჯვებული გამირის სახელით.



შემოდის დინჯი, მუდამ შრომელი,  
ოჯახისათვის თავდადებული,  
როგორც მშვიდობის მახარობელი,  
გაზაფხულივით განათებული.

ცოლი ღიმილით გააწყობს სუფრას,  
მამას უღვაშებს უწეწავს ბავშვი...  
და მზის სხივივით სპეტაკს და სუფთას  
მამა ბელადის დიდ წიგნს რომ  
გაშლის,—

მოეფინება ოჯახს ნათელი,  
თითქოს ბავშვებმა მზის მისწვლი  
გინგ...  
პირზე უბრწყინავთ ვარდის ფანტელი  
და ყურს უგდებენ ბელადის სიბრძნეს.

და ბედნიერი ოჯახის დედა  
ქმარ-შვილს შეჰხარის სულგანაბული,  
ბელადის წიგნებს სწავლობენ ერთად  
ღარბაისლური ტყბილი ქართულით.

სიცოცხლის სიმღერა



ვაშლის ხეებზე გადაფეთილი  
ხედან კვირტები მზით დასახული,  
და თეთრ ყვავილში იღვიძებს დილით  
დიდი სიცოცხლე და გაზაფხული.

იფრქვევა სხივი ცად დარწეული  
ჩვილ ყვავილებზე ლურჯი და ქერა,  
და მესმის სუნთქვა ტყის ფარჩელის,  
როგორც სიცოცხლის დიდი სიმღერა.

ღვას ვაშლის ძირას ჩვილის აკვანი,  
ზედ დაფენია ფოთლების ჩრდილი,  
და შეტიტინებს დედას თამამი  
წვენი პატარა მამულიშვილი.

იგი ხან დედის ძუძუს უყურებს,  
ხან გაქცევა თვალი ზეცაში,  
და რქენაწოვი ისე ბუტბუტებს,  
თითქოს დასცალა სავესე ზედაში.

ისმენს ფუტკრების ხმაგაბმულ ზუზუნს.  
როგორც ძილისპირს, უნაზეს ნანას,  
ეკერის ტუჩებით დედის ტყბილ ძუძუს  
და კმაყოფილი უმზერს ქვეყანას.

ნიავე ფოთლებს ეჩურჩულება,  
ორთიან ყვავილნი ლურჯი და ქერა  
და ჩვილის ენით ამბობს ბუნება  
დიდი სიცოცხლის უკვდავ სიმღერას.

## ქონრად ვალენროლი\*

★

VI

ბ ა მ ო თ ხ ო მ მ ბ ა

ზამთრის დილაა. ისე ვით ქარბუქს  
გზად არ ემჩნევა ბედაურს დაღლა,—  
კონრადი ისევე მოვიდა ტბასთან  
და კოშკის კედლებს შესძახის ახლა:  
„აჰა, ჩვენ ისევე ვცოცხლობთ, აღდგონო,  
ხედავ? ტრფიალი შენი დაბრუნდა.  
აღსრულდა ფიცი, მტრები

ვიმსხვერპლეთ,

ჩქამიც არ ისმის გულ-დაზაფრულთა“

ა ლ დ ო ნ ა

•ლფ, ეს შენა ხარ? სატრფოვ გულისა,  
დაბრუნდი? ჩაპქრა ომის ხანძარი?  
ველაე არ დამტოვებ?

კ ო ნ რ ა ლ ი

ო, დეთის გულისთვის  
ნურაფერს მკითხავ, გეტყვი რაც არი...  
ქისმინე მხოლოდ, კარგად მისმინე:  
რომ ტექტონების სენო აღსასრული,  
იქ მძინვარებდა მხოლოდ სიკვდილი  
და მხოლოდ ცეცხლი ჩენით აღძრული!  
მე ასთავიან დრაკონს მახეილით  
მყრდი ვაფუბე მყრალი, საზარი,—  
აწ უკვე მათი სასახლეები  
დანგრეულია და გადაშფვარი!  
მათი სახელიც შერცხვენილია,  
გაფუნადგურე ომით ქონება...

ჯოჯოხეთშიაც უჭირთ ასეთი  
შურისძიების გამოგონება...  
მე აღვასრულე ფიცი და ვფიქრობ  
აწ ვერ შემაცდენს გული მაკდური.  
მეც ხომ კაცი ვარ!.. დროა დავიცხოვრო  
დაუდგრომლობა ახალგაზრდული!  
დროა დავმშვიდდე. ჩემს მოხრილ  
ბეჭებს

უკვე აწეება ჯაგრი გვიანი,  
ვფიქრობ, აწ კმარა, აწ გერმანელიც  
არის ჩვენსავით ადამიანი!..  
მე ამიბილა თვალი თვით ღმერთმა  
და ისევ ქვეყნად ვნახე ყოველი:  
შენი სასახლე იავარქმნილი,  
იავარქმნილი შენი კოვენი  
ვარდ-ყვავილებით საესე, ზომ გახსოვს  
შენი შრიალა მინდორი, ჭალა?  
ისე ვით უწინ განშორებისას,  
ახლაც თვალისთვის საამოდ სჩანან  
თითქოს ეს იყო გუშინ საღამოს,—  
ლოდი ზომ გახსოვს, ქვის დიდი  
ლოდი?—

ხავსით მოსილი ის ახლაც იქ ძევს,  
სადაც მე ერთდროს ჩამოვდიოდი.  
და სიმუწვანეში ძლივს შევეამჩნიე,  
როცა ბალახებს ცრემლს  
ვაკურებდი,—  
ჩენი შეხვედრის მოწამე ძეწუნებს  
ჩემი ტრფიალით რომ გავყურებდი!..  
ენახე მე, ჩენი ანკარა წყარო,  
ჩენი ღიმილის სარკველ ცნობილი...  
გახსოვს, ხმელ-ხმელი ძეწუნის ტოტებით



ეთხე ჩემს მიერ შემოღობილი?  
 არ შეხებია მას კაცის ხელი,  
 მაგრამ მით უფრო საკვირველია,—  
 ხნელი ტოტები გაცოცხლებულან,  
 ხეებად დგანან და მზეს ელიან!  
 მათი სიცოცხლით გახარებულნი  
 მე სასოებით მუხლზე დავეცი,  
 დავკოცნე ძეწნა და სიყვარულით  
 კვლავ სათხოვარი ვთქვი ორთავესი:  
 —ღმერთო მაღალო, სამწიბლო

ველზე

ჩვენც ხელმეორედ გვესურს

გაეიხაროთ!

მიწად მოგვეცი მიწა ლიტველთა,  
 წყარო ანკარა—სიცოცხლის წყაროდი“

გთხოვ იქ დაებრუნდეთ... ძმათა

ორდენი

ჩემი ბრძანებით გაადებს კარებს...  
 არა, და ძალით შეველწყავ კლიტულს,  
 დაეანგულსა და ხელმითუკარებს!  
 ხელთ აგიტაცებ და აყვავებულ  
 მინდორში დავსვამ ყვავილთა შორის...  
 არა, და არის ლიტველთ მიწაზე  
 სხვა უფრო მყუდრო სამყოფი ორის.  
 არის ადგილი სადაც არ ისმის  
 უცხო ფარხმალის ცივი ქლარუნი.  
 არ ისმის კენესა დამარცხებულთა,  
 არც გამარჯვების მხნე სიხარული,  
 იქ, სადმე, მწყემსის უბრალო ქოხში  
 გვექნება ჩვენი საამო ბინა,  
 და შენს წინაშე თაყვანის ცემით  
 ვიტყვი თუ გულმა რაც მაგრძობინა...  
 ხალხს დაეიფიწყებ, აღდონავ ჩემო,  
 დავგმობ ომს, აგრე რომ დამაღონა,—  
 ამბობს კონრადი, ოღონდ

დაებრუნდეთ!

მაგრამ რატომღაც სდუმს კვლავ

აღდონა.

და ვალენროდი ვანთიადისას  
 მოელის პასუხს, დამწუხრებული...  
 —აღდონავ, ჩემო!—შესძახის იგი,—  
 თენდება, ჰქრება ვარსკვლავთ  
 კრებულები...  
 ჩამოივლიან გზად გულშეგები,

ჩრდილივით უნდა დაეკარგო კვალი...  
 ამით არის კონრადის ტყვეწმენა  
 სარკმელს ამოდ შეკრულნი ყოველი.  
 დგას კვლავ სიჩუმე და მუხლ-მოყრილი  
 ჩემად კონრადიც ამოდ ჰგოდებს,—  
 დაუცხრომელი ტუჩებით ჰკოცნის  
 იგი ცივ კოშკის მღუმარე ლოდებს.

ა ლ დ ო ნ ა

ო, არა, არა! გვიან-და არის!—  
 ქალის ხმა კონრადს ენურჩულება,—  
 —მე ღმერთი ძალას მომცემს უთუოდ,  
 რომ ავიცილინო ისევ ცდუნება!  
 აქედან მხოლოდ საფლავში ჩავალ,—  
 ღმერთს ეგ აღვუთმევი, შენც კარგად  
 იცი,

და საყვარელო რად გინდა ახლა  
 ურწმუნო გაეხდე, გაეტებო ფიცი!  
 აბა იფიქრე: შენი ძახილით  
 ვინ გინდა იხსნა განწირვისაგან?!  
 მე რომ გისმინო, მე რომ გავგეოდდე  
 და წამით მოვსწყდე კოშკის ბნელ  
 საყანს,  
 შენს გაშლილ მკლავებს, ო, ჩემო  
 კარგო,  
 რომ ვენდო ისევ, რომ გავეკარო,—  
 შენ შემომძახებ გაოცებულნი:  
 —აღდონავ, როგორ შეცვლილხარ,  
 ქალო!

შემეკითხები შიშით: სად არი  
 ციური ცეცხლი შენი თვალისა!  
 არა, აღდონას მომხიბლავ სახეს  
 ნუ შეცვლის ლანდი გულ-დამქანარისა!

გულახდით გეტყვი, მთეაროიან ღამეს  
 შენი ხმა შორით როცა მიცვნიო,—  
 ყოველთვის კედელს მოვფარებდითარ,  
 რადგან შეხვედრა არ შემძლიო!  
 იქნებ შენც აგრე იცვალე ფერი,  
 სულ სხვა სახე გაქვს სულ სხვა  
 იერი,—

მე კი მახსოვხარ, როცა პირველად  
 მოხველ ჩვენს კარზე სევ-ბედნიერი!  
 შეენოდათ, მახსოვს, მხრებს მოსასხამი,  
 თვალებს კი მშვიდი ბრწყინვა  
 მეფურო...

ჩემს ოცნებაში უცვლელი დარჩი  
 ისე ვით ერთდროს გაეკვებულნი.  
 ალფ, რაღა მინდა მე საოცებოდ  
 სხვა, ამ წარმტაცი სურათის გარდა?—  
 ალბათ შევხვდებით ისევ ერთდაერთს,  
 შევხვდებით, მაგრამ... სამარის კართანი

ბედნიერთათვის ჰყვავის ველები,  
 მე კი ვემსხვერბლე ჯავრს და  
 ხეაშიადს!—

უბარობ შენი ხმით, როცა ხანდახან  
 შემოიჭრება კოშკის ქვეშიად!  
 ო, საყვარელო, ამ სავანეში  
 ჩემი წამებაც შევიტებო, მინდა,  
 დასთმე ბრძოლები, ელეტა, ვარამი.  
 მოდი აქ ხოლმე, სინდისით წმინდა.

ნეტავ შეგეძლოს,—და ამ კოშკის წინ  
 ისევ ის ჩვენი ძეწნები დარგო,  
 ამოიტანო ლოდი უბრალო  
 და ყვაილებით კვლავ მომიჭარგო.  
 რომ ამ ძეწნების ჩრდილში ბავშვების  
 ფივილ-ხივილი ჩვენც გავიგონოთ, —  
 როცა დაჰკრეფენ მინდვრის ყვაილებს  
 ლიტვურ სიმღერებს ვისმენდეთ  
 მხოლოდ!

ხმა მშობლიური მე სიზმარივით  
 წამყვება ჩვენი ცხოვრების იქით,  
 დე, სანეტაროდ, სიკვდილის შემდეგ  
 ჩვენს სამარეზეც ისმოდეს იგი..  
 ალფს აღარ ესმის უკვე სიტყვები,  
 სცილდება კოშკის კედლებს ეული,  
 თოვლით და ყინვით გადათებებულ  
 ნაპირზე დამჩრის გონ-წართმეული!  
 უნდა ამ ზამთრის აედართან ერთად  
 გაფითრებულმა ცისქვეშ იაროს,—  
 თვით მოიფლითა ტანისამოსი,  
 რომ მკერდშიშველმა იმგლოვიაროს!

ასე დამჩრდა განთიადამდის  
 და უკვე თითქმის ღონეშიხიდილმა  
 კვალზე ვაგბის ხმაც გაიგონა,  
 დასძახა კვალზე მოსულმა ჩრდილმა.  
 სწრაფლ გამოერკვა კონრადი, უმაღ  
 ყრუ არემარეს მოაგლო თვალი,—  
 არავინ სჩანდა, არავინ სდევდა.

თურმე ამოდ იშოშვლა ხმალი.  
 მაისი-ლა მიხვდა იგი სიმაღლეს.  
 მიხვდა გონება რამ დეწნებდა  
 და დაუბრუნდა ისევ აღდონას  
 გაუბედავი ნაბიჯით, ნელა...

ცისკრის ნათელში ნახა აღდონა,  
 ნახა განდევნილ ქალის ხატება,—  
 შესძახა:—სულო, კეთილი იყოს  
 ამ დილით შენი გამოცხადება!  
 ჩვენ დამ-დამობით ვხვდებოდით  
 დღემდე,  
 დღემდე ვიყავით მონა დარდისა,—  
 დღეს კი დილაა კეთილი,—იქნებ  
 მიხვდე რად მოველ განთიადისას?..

### ა ლ დ ო ნ ა

მე გამოცანას არ ავხსნი. არა!  
 ველარ ანთებ ჩემს გულში ხალისს...  
 ჩემო ძვირფასო, მშვიდობით იყავ,  
 ვთხოვ რომ დამშორდე...

### კ ო ნ რ ა დ ი

გვიანდა არის!  
 იქნებ ყვაილი მაინც მესროლო,  
 ნაცვლად საყვარელ თვალთა ხილვისა.  
 თუნდაც მანდილის ძაფის ნაწყვეტი,  
 თუნდაც პატარა ნატეხი ქვისა!—  
 მინდა სახსოვრად მხოლოდ ის დამჩრეს,  
 რასაც შეეხო შენი თითები,—  
 მინდა შენს მიერ ცრემლდაჰკრებულთ  
 გამოფეთხოვო მეც მოწიწებით...  
 მინდა ეუტკერდე, იმათთან ერთად  
 გაყინულ მკერდზე დავიკრფე ხელებს,  
 როცა სიკვდილი უკანასკნელად  
 გაიმეორებს ყრულ ჩვენს სახელებს!  
 ზედავ ბასტიონს? მე იქ ვიქნები  
 და თუ ერთმანეთს ვერ გავუგონოთ—  
 დღისით გამოვფენ მე შავ ხელსახოცს  
 ღამით კი ღამპარს ავანთებ მხოლოდ.  
 იცოდე: ღამით თუ ჩაჰკრეს შუქი,  
 თუ ხელსახოცი არ სჩანდეს დილით,—  
 ნუღარ მიგულებ ამ ქვეყნად უკვე,  
 ნუღარ მომიძებნი თვალით კეთილით!..



„იყავ მშვიდობით!“—თქვა და წავიდა. კვლავ უხილავად იქცა ზილულო— ხოლო აღდგონა დარჩა უძრავად საშინელებით სისხლ-გაყინული! და დიდხანს, დიდხანს მოსჩახდა ცაში აღდგონას ლახდი აწვდილ ხელგბით, არხევდა ქარი მის თეთრ საბურველს და ქვითხებდნენ ქვის სარკმელები. „აჰა, დაღაძდა!“—უთხრა კონრადმა ჰალბანს და ჩამქრალ ზეცას გახედა,— ამ ბასტიონზე დილით მოსული კოშკს გასცქეროდა უკვე აქედან. „ხმალს კვლავ მომართებევ, ჩემო

ერთგულო, კვლავ დამიმშვენიებ მზრებს მოსასხამით... მშვიდობით იყავ, მე კი კოშკისკენ ბედის საცდელად წავალ ამ ღამით! ვახსოვდეს ჰალბან, განთიადამდის თუ არ დავბრუნდე,—ნულარ

დამიციდი... ვერ ვხედავ სატრფოს, ახლა შენც გტოვებ და მარტოობის სახშილს განეციდი... ჰალბან, ხელსახოცს ნულარ ამართავ როცა ამოვა მზე შუქმფინარი... როცა აჟ... მაგრამ, ვინ ამტყრევს კარებს, ამ ბასტიონის კართან ვინ არი?!

„ვინ არი“ სამეგრე უხმობს მსახური. „ვაება!“—ისმის... და შებრძოლ გუნდად რისხვა თანდათან აწყდება კარებს, სჩანს ბასტიონის აღება უნდათ. სჩანს გუშაგები დაურბევიათ და კიბეებზეც ისმის ხმაური,— ვალენროდისკენ ისწრაფის უკვე ხარბი ყიციანის ხმა უცნაური! ხმალი იშიშვლა უშალ კონრადმა, კარს გაუყარა რკინის ურდული,— მერე აავსო თასი, დასცალა, ისევ აავსო... და თქვა ჩურჩილოთ: „აღსრულდა, ჰალბან, მშვიდობით იყავ!“ ჰალბანმაც იგრძნო რისხვა წამისა,

გაფითრებული შეჰყურებს სასიხს/ სტურავს ღვინოში წვეთს მხამისა...  
 ეროვნული  
 გიგანტური  
 „მოხუცო, გესმის? ახლოვდებიან, საცაა მოვლენ და რაღას ელი? მე ჩემი თასი დავცალე უკვე, ახლა შენც შენსას ჩასკიდე ხელი!“ გაფითრებული ჰალბანი უცებ შორდება სასიხის და ამბობს ნელა: „არა, მე უნდა ცოცხალი დავრჩე რომ შენს გმირობას მღეროდეს ყველა დაე, მომავალ საუკუნეებს შენი ამბავი ესმათ, რაინდო! მღეროდეს ლიტვა, მღეროდეს ხალხი,—

მტერი ბალღებმაც რომ ვერ დაინდონ დაე, მათ ზრდიდეს შურისძიება და ჩვენ სიკვდილი გვეპატობა!“ კონრადი მუხლზე ეცემა კენესით. სარკმელით კოშკის სარკმელს

გაჰყურებს,— თითქოს მზის სხივებს ემშვიდობება მწუხრში უკვალოდ გადაჯრგულებს! შემოეხეია ხელებით ჰალბანს, გაქეავებული სიღუმს მწუხარებით,— ევლარ გაუძლო რკინის ურდულმაც და შემოტეხა მტერმა კარები. კონრადს უხმობენ ვით მოლაღატეს, უნდათ ცოდვები მოინანიოს, რომ განწმენდილმა კეთილად მაინც ორდენის ხმლის ქვეშ სული დალიოს! ხმალ ამოწვდილი ელის კონრადი, უნდა შეებას მტერს უშიშარი,— მაგრამ ფითრდება, ჰკარავს ძალ-ღონეს...

და მაგისტრობის წმინდა ნიშანი მან მოსასხამთან ერთად დააგლო და საკუთარის ფეხით გასთელა,— „აი, ცოდვები ჩემი—იძახის,— მომკალით!.. არ მსურს მსჯავრის იცდენა!.. ვინდათ განსაჯოთ ჩემი საქმენი?— შეხედეთ ხანძრით გადამწვარ სოფლებს! ხმლებით აჩეხილ ადამიანთა გროვას შეხედეთ, უსმინეთ ობლებს...

აჰა, ქარბუქიც დაძრწის, რომ ველად  
ვადარჩენილთა ძელები გაპყინოს,  
შშიერ მგლების და ძაღლების ხროვა  
იმათმა ლეშმა უნდა აღზინოს!  
ეგ არის ჩემი საქმე, ვამაყობ,  
რომ ასთავიან დრაკონს შეეგები,  
რომ სამსონივით შეეძარ სვეტებიც  
და ახლა მმარხავს თვით ნანგრევები!”

თქვა და ერთბაშად დაეცა დაბლა.  
ლამპარიც იქვე დაეცა თავთან,—  
და სულთმობრძავად მფეთქავი ალი  
კონრადის სულის ამოსვლას ჰგავდა.  
ამ დროს შორეულ კოშკიდან სივრცე  
გაჰყვითა გმინვამ უკანასკნელში..

თქვენ იცით ვისი გულია ცეცხლში  
ვისი თვალები დაძვრულნი  
ო, გმინვა გულს რომ აღმოხდა ახლა  
ისევე არასდროს განმეორდება...  
როგორც კონრადის ჩამჭრალი შუქი  
იგიც ქვეყანას თრთოლვით შორდება.  
ასევე ჩანვის გამწყდარი სიმი  
გულმოსაკლავად გაიწკრიბალებს!  
ჩემი სიმღერაც წყდება აქ უცებ  
და გულს უსიტყვოდ ასეველიანებს...  
დაე, განავრძონ ანგელოსებმა  
ცაში აღდონას საგალობელი,  
დაე, მსმენელთა სულში ისმოდეს  
აუ ამ სიმღერის ხმა-უქრობელი..

თარგმანი პარლო ძალაძისა.

## ჰენაგე ნინოშვილი



ე. ნინოშვილი ერთის მხრით ამთავრებს XIX საუკუნის დიდი კლასიკური ქართული პროზის გზას და მეორეს მხრით იწყებს 90-იანი წლების დემოკრატიულ მწერლობას ახალი იდეებითა და ხალხური მოტივებით. ე. ნინოშვილი პირველი ქართველი მწერალი იყო, რომელიც თავისი დემოკრატიული, პროგრესული შეხედულებებით „მესამე დასთან“ მივიდა.

როგორც ცნობილია, პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში მესამე დასი იყო. ე. ნინოშვილი ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი და წევრი იყო ამ დასისა. ნინოშვილის როლი ამ მხრივ აღნიშნული იქმნა ქართულ პრესაში. გაზეთი „კვალი“ 1897 წლის თავის მოწინავე წერილში წერდა: „1890 წლიდან დაჭერა კვლავ ახალმა პროგრესულმა სიომ. ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდა არაჩვეულებრივი მიმართულების თითო-ოროლა ახალგაზრდა, რომელმაც თავი იჩინა „კვალში“ 1893 წ. თავისებური პროგრამით. ესენი არიან ეკონომიური მატერიალიზმის თეორიის მიმდევარნი. ამ დასის მეთაურად სიტყვაჯაზმულ ლიტერატურაში უნდა ჩაითვალოს ნინოშვილი“... მაგრამ მესამე დასი არ იყო ერთგვაროვანი ორგანიზაცია. „მესამე დასის“ უმრავლესობა ნოე ყორღანის მეთაურობით წარმოადგენდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას— „ლევალურ მარქსიზმს“, რო-

მელიც ავულგარებდა და ამახინჯებდა რევოლუციური მარქსიზმის საფუძვლებს და რომელიც უარყოფდა რევოლუციურ მოძრაობაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას, მუშათა კლასის პოლიტიკურ-რევოლუციურ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეას. „მესამე დასის“ შიგნით 1898 წელს ჩაისახა და ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი — ა. წულუკიძე, ლადო კეცხოველი და ი. სტალინი... „მესამე დასის“ უმცირესობა, ამხანაგ სტალინის, კეცხოველისა და ა. წულუკიძის მეთაურობით წარმოადგენდა „მესამე დასის“ რევოლუციურ, მარქსისტულ, ინტერნაციონალისტურ ფრთას, რომელმაც დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა მესამე დასის უმრავლესობის წინააღმდეგ ლენინური „ისკრის“ პრინციპებისათვის“<sup>1</sup>. ე. ნინოშვილი არ მოსწრებია ამ რევოლუციური ფრთის მოღვაწეობას. ასევე ვერ მოასწრო მან გამხდარიყო ჩამოყალიბებულ რევოლუციურ-მარქსისტულ მსოფლმხედველობის მოაზროვნე მწერლად. მიუხედავად ამისა, ნინოშვილმა საინტერესო შემოქმედებითი გზა გაიარა. მისი შემოქმედება მშრომელი გლეხკაცობის ცხოვრების თემებით დაიწყო, ბოლოს

<sup>1</sup> ლ. ბერიძე, „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

კი მწერალმა პროლეტარიატის ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლის თემასაც მოჰკიდა ხელი. ამ მხრივ ე. ნინოშვილი არის ოთხმოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურაში ფრიად საყურადღებო მოვლენა. ამ გზაზე გახდა ე. ნინოშვილი ერთგვარი მეთაური ოთხმოცდაათიანი წლების მესამე დასის ლიტერატურული ახალი თაობისა.

ოთხმოცდაათიანი წლებიდან როგორც რუსეთში, ისე საქართველოში იწყება სამრეწველო კაპიტალიზმის აღმავლობის ეპოქა. სამრეწველო კაპიტალიზმს მოყვა სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება და განვითარება. ისტორიის სარბიელზე გამოვიდა ყველაზე უფრო რევოლუციური კლასი— პროლეტარიატი. ის თანდათანობით იზრდება რიცხობრივად და იწრთობა პოლიტიკური შეგნებითაც. ოთხმოცდაათიანი წლებიდან სწრაფი ტემპით იზრდება საქართველოში ქალაქური ცხოვრება. კაპიტალისტური ქალაქური ცხოვრების ინტენსიურ ზრდას ხელი შეუწყო ბატონყმობის გაუქმებამ. მართალია, ფაქტიურად გლეხი კვლავ ყოფილი ბატონის, მემამულის ხელში დარჩა, მაგრამ, როგორც ამხანაგი სტალინი შენიშნავს „მცირე პირადი თავისუფლება“, რომელიც მაშინ გლეხობამ მოიპოვა, მას უფლებას აძლევდა თავისუფლად აერჩია თავისი საცხოვრებელი ადგილი, და აი დატაკი გლეხი, რომელსაც სოფლად არაფერი გააჩნია, ქალაქისაკენ მიემშრება და იქ ეწყობა ფაბრიკა-ქარხნებში. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული და პოლიტიკური ცხოვრება ოთხმოცდაათიანი წლებიდან კაპიტალისტური ურთიერთობის გზით წარიმართა. ამ გარემოებამ არსებითად წესცვალა საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის ხასიათი.

ე. ნინოშვილი მომსწრე იყო მთელი ამ ისტორიული პროცესისა. ბატონყმობის გადაყარდნის შემდეგდროინდელ სოფლის ცხოვრებას, მშრომელი

გლეხკაცობის მძიმე სოციალურ ვითარებას ნინოშვილი ზედმიწევნით კარგად იცნობდა. იგი კარგად გაეცნა მრეწველმუშათა კლასის ცხოვრებას, მის ცხოვრებასა და ბათუმში, სადაც თვითონაც იყო რიგითი მუშა, მაგრამ მუშათა კლასის ცხოვრებისა და ბრძოლის საკითხებმა ვერ პოვეს ფართო გამოხატულება ნინოშვილის შემოქმედებაში მისი უდროოდ სიყვდილის გამო. ამიტომ ჩვენს ლიტერატურაში ნინოშვილი ოთხმოცდაათიანი წლების სოფლის გლეხკაცის უმწეო მდგომარეობის ყოფითი თემებით განისაზღვრა, მაგრამ ამ თემატიკის ფარგლებშიაც საკმარის მკვეთრად გამოვლინდა მისი მსოფლმხედველობა, როგორც რევოლუციური დემოკრატიული მწერლისა.

ნინოშვილის მხატვრული შემოქმედების ცენტრში მოქცეულია კლასთა ბრძოლის თემა. კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით ხატავს ის სოფლის ცხოვრებას. ნინოშვილის ნაწერებისათვის დამახასიათებელი არის მებრძოლი სტილი. ნინოშვილის ნაწერების ერთგვარი პუბლიცისტური ხასიათიც აქედან წარმოსდგება. და ეს არ არის შემთხვევითი, ე. ნინოშვილის რევოლუციური ბუნებას სწორედ ყველაზე უფრო შეეფერებოდა ასეთი ლიტერატურული მიდრეკილება. ამ გარემოებაზე თვითონ მწერალი მიუთითებს. იგი აღფრთოვანებული მიმართავდა ანასტასია წერეთელს: „ძლიერ მესიამოვნა, რომ ჩემი სტატია დაიბეჭდება. ჩემი მოთხრობების დაბეჭდვისათვის მე არასდროს არ აეჩქარებულვარ, სტატიების დაბეჭდვა კი ყოველთვის მეჩქარება, ყოველთვის ბავშვით მძიგერს გული, მინამ ჩემს სტატიას დაბეჭდილს დაეინახავდე. როცა მოთხრობას ვსწერ, სრულიად დაშვნიდებული ვარ, სტატიის წერის დროს კი ჩემი გული ღელავს, თითქო ვილაყას პირადად ვებრძოდე, ვეჩხუბებოდე, მოთხრობებში მე ვედილობ შეძლებისდა-

გვარად დაეხატა ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები, სტატეებით კი ვებრძვი იმით, ვინც თავიანთი ცრუ აზრებით ხელს უშლიან ყველას, ვინც კი ზრუნავს ხალხის წყლულის განკურნაზე. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, რომ ეს უკანასკნელი (სტატეები) უფრო საყურადღებოა ჩემთვის, აქ საგულისხმოა ის გარემოება, რომ ნინოშვილი თავისი მოღვაწეობის უმთავრეს პრინციპად ხალხის წყლულების განკურნებას სახავს; იგი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი მწერალია. ამითვე აიხსნება ის, რომ ნინოშვილი მწერლობას უყურებდა, როგორც ცხოვრების გარდაქმნის, ადამიანების აღზრდის, მასში კლასობრივი შეგნების გამოუმუშავების მძლავრ იარაღს. ნინოშვილი მწერლობას საზოგადოებრივი ფუნქციას აკისრებდა. უფრო მეტი, ნინოშვილის რეალიზმი ამ მხრივ უფრო შორს მიდიოდა, მისი აზრით მწერლობის ამოცანა არა უბრალო ცხოვრების სამსახური, არამედ უვარჯისი ცხოვრების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ბრძოლაში ნინოშვილი გამოდიოდა როგორც დამცველი მშრომელი ხალხის ინტერესებისა. „მწერლობა უნდა ასახავდეს — წერს ე. ნინოშვილი, — ცხოვრების სინამდვილეს, მწერლობა მიზნად უნდა ისახავდეს მშრომელი მასის დაბეჩავებული მდგომარეობის სინამდვილით აღწერას“. აქ საგანგებოდ ზაზგასმულია დაბეჩავებული მშრომელის ინტერესების დაცვის აუცილებლობა. დამახასიათებელია, რომ ნინოშვილი კლასობრივ პრინციპს უღებს საფუძვლად, როდესაც ხაზს უსვამს ტიპიურობის საკითხს: „ჩემის ფიქრით მოთხრობის მწერალმა შემთხვევითი ფაქტი არასოდეს არ უნდა აიღოს თავის მოთხრობების დედაზრად. ყოველთვის საზოგადოებრივი პრინციპი უნდა ისახებოდეს მოთხრობებში“.

ე. ნინოშვილი თანმიმდევრულად

იცავდა თავის შემოქმედებაში მებრძოლ რეალისტურ სტილს. სოციალური სიმძაფრე, პუბლიცისტური მებრძოლი სტილი დამახასიათებელია ე. ნინოშვილის ნაწერებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ისიც, რომ ნინოშვილის მოთხრობების სიუჟეტი უმთავრეს შემთხვევაში აღებულია სინამდვილიდან. მაგრამ აქ ეს კონკრეტული ფაქტი უაღრესად განზოგადოებულია, მას ზოგადი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს მიცემული. ამ შემთხვევაში საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ „მოსე მწერალი“. როგორც ცნობილია, ნინოშვილმა ამ მოთხრობის თემად ცხოვრებაში მომხდარი ფაქტი აიღო. ეს ფაქტი ცნობილი იყო ნინოშვილის თანამედროვეთათვის. ამ ფაქტის გამო აღძრული საქმის გარჩევის დროს, გაზ. „ივერიის“ კორესპონდენტის დამოწმებით, ე. ნინოშვილის მოთხრობას „მოსე მწერალი“ კითხულობდნენ სასამართლოს წევრები და თვით დამსწრე ხალხი, მხოლოდ „ვექრლა“ ეს თხზულება ბრალდებულების სიმაართლის საბუთად წარადგინა თურმე. აქედან სავსებით გასაგებია, თუ რამდენად ახლო იდგა ნინოშვილის „მოსე მწერალის“ შინაარსი რეალურ სინამდვილესთან. ნინოშვილის „მოსე მწერალი“ უაღრესად განზოგადოებული სახეა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. მოსე მწერალი ტიპიურად გამომხატველია მეფის რუსეთის მექრთამე მოხელისა როდესაც ეს ნაწარმოები დაიბეჭდა. მაშინვე მიიპყრო ყურადღება. გ. წერეთელი წერდა: „მოსე მწერალი“ შესანიშნავი ზელოვნებითი ნაწარმოებია, ცხოვრების სინამდვილე ზედმიწევნით არის შიგ აღმოხატული. თვით „მოსე მწერალი“ აბალი ტიპია ჩვენს სიტყვაჯამულ ლიტერატურაში, სრული რეალური თვისებით გამოყვანილი“. ე. ნინოშვილისათვის დამახასიათებელია რეალური ფაქტის ასეთი განზოგადოება.

ამავე გარემოებით აიხსნება ის, რომ ზშირად ე. ნინოშვილი პუბლიცისტური წერილების, კორესპონდენციების მოთხრობის შინაარსი ერთიდაიგივეა. უკეთ რომ ვთქვათ, კორესპონდენციების შინაარსი ნინოშვილს გამოყენებული აქვს შემდეგ თავისი მოთხრობების სიუჟეტად. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ მწერლის კორესპონდენცია „საბაასო“ და შემდეგ მისი მოთხრობები: „სიმონა“ და „განკიცხული ოჯახი“. მიზანი ე. ნინოშვილისა ორივე შემთხვევაში ერთი იყო: ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, მშრომელი ხალხის მჩაგვრელი ძალების წინააღმდეგ. ამ მიზნით იყენებდა ის კორესპონდენციებსაც, პუბლიცისტიკასაც და ბელეტრისტიკასაც.

ე. ნინოშვილი უაღრესად გამაზვილებულად აყენებდა კლასთა ბრძოლის საკითხს. ჩვენს მწერლობაში ეს საკითხი მანამდე იყო დაყენებული; ნინოშვილი ერთგვარად გამოდის მეცხრამეტე საუკუნის სოციალური მოთხრობების ამ მდიდარი ტრადიციიდან. ე. ნინოშვილმა განავითარა, წინ წასწია ტრადიცია, 90-იანი წლების ვითარება შეუფარდა იგი და ამ გზით ახალ საფეხურზე აიყვანა კლასთა ბრძოლის საკითხი. ნინოშვილს კლასთა ბრძოლის საკითხი მიაჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების არსებით და გადაწყვეტ საკითხად. სხვა საკითხები კი, კერძოდ ისეთი მთავარი პრობლემა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა, როგორც იყო ეროვნული საკითხი, მიაჩნია ამ საკითხის ნაწილად, მასზე დაქვემდებარებულად. მაგრამ აქაც არ შეიძლება გადაჭარბებულად იქნას შეფასებული ნინოშვილის დამსახურება, საქმე ისაა, რომ ე. ნინოშვილმა, ასე სწორედ დაყენებული, კლასობრივი ბრძოლის პრინციპი ვერ აამალა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვერ მოასწრო, ხანმოკლე

ცხოვრების გამო, განეწილა პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპამდე.

საზოგადოებრივი

ე. ნინოშვილის მსოფლმხედველობის გამოსარკვევად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილს — „ძველი დავა ახალ ქერქში“, რომელიც თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერა. ამ წერილში მწერალი ანალიზს უკეთებს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას და არკვევს ოთხმოცდაათიან წლების თაობათა შორის უთანხმოების ძირითად მიზეზს. ნინოშვილის აზრით: „ძველსა და ახალ თაობას შორის დავის იწვევს ძველი თაობის ჩამორჩენილობა“. ასე მოხდა ეს სამოციან წლებში, ასე განმეორდა იგი ოთხმოცდაათიან წლებში. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელ დროს სამოციანი წლების ახალი თაობა ძველ თაობათა როლში მოგვევლინა. ამასთან დაკავშირებით ე. ნინოშვილი აბასიათებს ოთხმოცდაათიან წლების საზოგადოებრივ განვითარების გზას და ამ პერიოდის მთავარ მოვლენად მას კაპიტალიზმი და მრეწველობა მიაჩნია. მისი აზრით, კაცობრიობის ცხოვრება ისე არ გაუმჯობესდება თუ არსებულს პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიურ ყოფაში ძირითადი ცვლილება არ მოხდება. ახლა ჩვენი ცხოვრება კაპიტალიზმის გზით მიდის, რომელსაც დიდი და ახალი ცვლილებები უნდა მოჰყვეს. კაპიტალიზმს ნინოშვილის აზრით, დიდ პროგრესთან ერთად უბედურებაც მოაქვს. „საუკეთესო პოლიტიკო-ეკონომებმა მეცნიერულად ისტორიული ფაქტებით დაამტკიცეს, რომ იქ სადაც კაპიტალიზმი და მრეწველობა ეხლანდელი ეკონომიური და სოციალური წყობილებით ფეხს გაიდგამს, ერის ერთი ნაწილი ლტაკდება და ვარდება

მეორე ნაწილის ხელში ეკონომიურ მონაღო“. და იქვე უმატებს. „მეორე რაში გამოადგება ერთი ნაწილის სიმდიდრე მეორე ნაწილს, პროლეტარებს, რომლებიც აქა-იქ ქუჩებზე სიმშვილით იხტებიან იმ დროს, როცა რომელიმე მდიდარი ლორდი ან ბურჟუა დღიურად თუმნობით ხარჯავს თვისი ძალის სარჩენად“. ინგლისის მაგალითზე ნინოშვილი ხაზს უსვამს კაპიტალიზმის მტაცებლებად კლასობრივ ბუნებას. მიუხედავად ამისა, ნინოშვილი სცნობს, რომ კაპიტალიზმი აუცილებელი საფეხურია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის: „კაპიტალიზმი და მრეწველობა ისეთი მდინარეა, რომ თუნდაც კიდევ ძლიერ მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებთ და უნდა მოგახსენოთ, არა სასურველია მისი შეყენება, არა თუ საქართველოსთვის, არც ერთ ქვეყნისთვის“. აქ ნინოშვილი უკვე პრინციპიალურად უპირდაპირდება ხალხოსნებს და მათი წინააღმდეგ გამოდის. ე. ნინოშვილი ამ ბუბლიცისტურ სტატიაში ცდილობს გამოიყენოს ჩერნიშევსკისა და კარლ მარქსისა მოსაზრებანი საზოგადოების კლასობრივი ბუნების დასახასიათებლად. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კლასობრივი ბრძოლის გაგებაში ნინოშვილი როგორც ეთქვათ, ვერ ამოღლდა თანმიმდევრულ რევოლუციონური მარქსიზმის გაგებაზე. ამიტომ შემთხვევითი არ არის, როცა იგი წერს: „მე იმას მოგახსენებთ, რომ ყოველი განათლებული კაცი, ყოველი ინტელიგენტი, რომელსაც მართლა გული შესტკივა თავისი ქვეყნის ავკარგინობაზე, და ბედ-იღბალზე, ამ თავითვე უნდა ცდილობდეს, რომ სიმდიდრეში და წარმატებაში წილი ედოს არა ერთ რომელიმე ნაწილს ერისას, არამედ მთელს ერს, გამოუკლებლად და თანასწორად. უამისოდ ერის წარმატებას წარმატება არ ეთქმის“. აქ უთუოდ მოჩანს საერთო ეროვნული მოქმე-

დების თეორიის ერთგვარი კვალი. როდონდ აქვე უნდა შევეჩქნით... რომ ე. ნინოშვილი, როგორც მხატვარი უნდა წავიდა და აქ უფრო გარკვევით და მტკიცეთ დაიცვა კლასთა ბრძოლის პრინციპი.

ე. ნინოშვილი არა მარტო სტილით, არამედ ბიოგრაფიითაც თავისებური მოვლენა იყო ქართულ ლიტერატურაში.

ე. ნინოშვილის მთელი ბიოგრაფია ძველი, უკუღმართი ცხოვრებისაგან გამწარებული და დატანჯული ადამიანის ტიპური ისტორიაა. ამიტომ განიცდიდა იგი ასე მძაფრად თავის გმირთა შეურაცხყოფას და უუფლებობას, ამიტომ უყვარდა მთელი გულით ცხოვრებისაგან გამწარებული ადამიანები, ამიტომ აღლევებდა მათი ბედი მწერალი პირად ცხოვრებაში ისევე უბედური და გამწარებული იყო, როგორც მისი საყვარელი გმირები. ამ დაჩაგრულთა და შევიწროვებულთა ბედზე ფიქრმა ააღებინა ე. ნინოშვილს კალამი ხელში. სულ სხვაა გარეშე მაყურებლის თვალთ დანახული ქვეყანა და სულ სხვაა უშუალოდ განცდილისა და ნაგრძნობის გადმოცემა და აღწერა. ე. ნინოშვილის ნაწარმოები გადმოგვცემს იმას, რაც ბავშვობიდანვე გულში იგრძნო, თვალმა ნახა და მისმა მგრძნობიარე არსებამ უშუალოდ განიცადა. ეგნატე უმეტეს შემთხვევაში თავისი საყვარელი გმირების ბედის მონაწილეა. იგი არც ფარავდა ამას. როცა ერთ-ერთმა ნაცნობმა ეგ. ნინოშვილს მისწერა, სპირიდონ მცირიშვილი თვით მოთხრობის ავტორს ჰკავსო, მან უპასუხა: „მართლია, მაგრამ მხოლოდ გარეგნობით, ისე კი მცირიშვილი უფრო ყოჩაღია ავტორზე“. თუ აქ ავტორულ მოკრძალებას ანგარიშს ვაკუწყვით, მაშინ უდავოა, რომ ნინოშვილი საცხებით

ინიარებს მეგობრის ძვრს და ჩვენ უფლებმა არ გვაქვს ავტორს არ დაუუჯეროთ.

ეგ. ნინოშვილის პირველი ნაწარმოები „სახუმრო ფელეტონი“ გამოქვეყნდა ვაზ. „ივერიის“ 1887 წლის აგვისტოს ნომერში. მისი უკანასკნელ ნაწარმოებს — „სოფლის გმირებს“ 1892 წ. თარიღი უნის. ამგვარად, მთელი მისი სამწერლო მოღვაწეობის ხანგრძლივობა რაღაც ხუთიოდე წლით განისაზღვრება. თუ ამას დაუმატებთ იმასაც, რომ ეგ. ნინოშვილს უკუღმართ პირობებში უხდებოდა მუშაობა, მაშინ უფრო ნათელი გახდება მისი ნიჭის დიდი ძალა.

ეგ. ნინოშვილს მუდამ შავი აჩრდილივით სდევდა სიღარიბე, შიმშილი, ავადმყოფობა, უბინაობა, ლუკმა პურის ძებნა. 1892 წელს ეგნატე სწერდა თედო სახოკიას: „არ ვფიქრობ, აქ რამეს დაწერა შეიძლებოდეს, თუმც კი შენ ძლიერ მიჩივებ რამე დაწვერო. აბა, წარმოიდგინე, რის დაწერა შეიძლება ასეთ გარემოებაში: ათასნაირი გარყვნილი ხალხით სავსე სამიციტნოს ვეერდზე არის გაკეთებული ბუდეხავით ერთი ოთახი, რომელსაც სივრძე ხუთი არშინი აქვს, სივანე 3% არშინი, სიმაღლე — 3%, იატაკი დამპალი, ოღროჩოლო, უხეირო კერს ისეთი დირები აკრავს, რომ კაცის თავი სწვდება ქვემოდან. ერთი ხელის გულის ოდენა ფანჯარა. ამ კუბო-ოთახს სამიციტნოდან ამორებს კარდონივით თხელი ფიკრის კედელი. დუქნიდან ისე შემოდის მთვრალი ხალხის ყაყანი, ჩხუბი, ლანძღვა და აყალ-მაყალის ხმა, თითქო შიგ, ჩვენთან იყვეს. ასეთი მორთული ჩვენი ოთახი (გახსოვდეს, რომ ამ ოთახში 2 კაცი ვცხოვრობთ) ისეა გავსილი უხეირო სტოლით, უხეირო ლოჯინით, ნიჩბებით, წალკატებით, რაღაც ჩვენი ხაბაკ-ხუბაკით, რომ ვერც კი გაინძრევი შიგ. ჯერ სიცხეები არ დაუწყია და სულის შეხუთვას ვგრძნობ. რაღა იქნება შემდგ? ახლა მოდი და იმუ-

შავე, თან წერე ამისთანა მდგომარეობაში შეიძლება? არ ვფიქრობ. უფრო აღრე ეგნატე სწერდა, ეგნატე უნდა შეილს: „მე, რასაკვირველია, სრულიადაც არ მაქვს პრეტენზია მასზედ, რომ ჩემს „სიმონაში“ სრულიად ყოფილიყოს დახატული დღევანდელი გურიის ხალხის მდგომარეობა. მე ჯერ ამისათვის საკმაო ძალაც არა მაქვს და მერე კიდევ თუნდაც ძალა მქონდეს, სად შემიძლია დინჯად და ძლიერ დაკვირვებით ვხატო ხალხის ცხოვრება მაშინ, როცა ლუკმა პურისათვის მოუსვენრად იქეთ-აქეთ ვწანწალებ“.

ასეთ მძიმე ეკონომიურ პირობებში მყოფმა ეგ. ნინოშვილმა ძალიან ცოტა ხანი იცხოვრა. მაგრამ ამ მოკლე ხანში ეგ. ნინოშვილმა ძალიან ბევრის გაკეთება შესძლო. ხუთ წელიწადში ნინოშვილმა დასწერა: „ჯანყი გურიაში“, „უცნაური სენი“, „პალიასტომის ტბა“, „არშინი“, „სიმონა“, „კაცია და გუნება“, „ქრისტინე“, „განკიცხული ოჯახი“, „განკარგულება“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „მოსე მწერალი“, „სოფლის გმირები“, პუბლიცისტური წერილები: „ძველი დაეა ახალ ქერქში“, „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“, „საბაასო“, „წერილი დაღესტანიდან“ და რამდენიმე კორესპონდენცია.

ე. ნინოშვილის შემოქმედების მთავარი თემა გლეხკაცის ცხოვრება იყო. გურიის მშრომელი გლეხკაცობის მძიმე ცხოვრების ფონზე დახატა ე. ნინოშვილმა რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრების ტიპური და განზოგადებული სურათები. ნინოშვილი ღრმად იხედება გლეხკაცის ცხოვრების უღრესად მწვევე და მძიმე პირობებში. ის დამაგრული მშრომელის უბრალო თანამგაძნობელი როდია, გარეშე მაყურებლის სიმშვიდით როდი აგვიწერს იგი გლეხკაცის ცხოვრებას, მის გარემოს და ბუნების სურათებს. არა, ნინოშვილი, პირველ ყოვლისა, გლეხის მძიმე



ყოფის, მისი არადამიანური შრომის, მისი დამცირებისა და ტანჯვის უშუალო მონაწილეა. ის ისევე განიცდის ამ ტანჯვას, როგორც მისივე გმირები. ნინოშვილი გაბედულად და დაუნდობლად ამხელს გლეხობის მჩაგვრელებს. ოთხმოციანი წლებში ყველაზე უფრო მასობრივ და მრავალრიცხოვან დანაგრულ მასას სოფლის გლეხობა შეადგენდა. ნინოშვილის შემოქმედებაში სოფელი სოციალურად და კლასობრივად დიფერენცირებულს, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ საწინააღმდეგო ბანაკს წარმოადგენს. ერთ მხარეზე არიან დავით დროიძეები, იასონ უქმაძეები, ნიკო ავსენიძეები, პოლიციის მოხელეები და ეკლესიის მსახურები, მეორე მხარეზე — პატიოსანი მშრომელები, ღარიბ-ღატაკი გლეხები, სიმონა ძალაძეები, გოგია უიშვილები, კაცია მუნჯაძეები და სხვანი. ნინოშვილმა მძაფრი კლასობრივი დაპირისპირების ვითარებაში წარმოადგინა მთელი ჩვენს საზოგადოებრივი ყოფა ამ პერიოდისა.

ნინოშვილის პირველსავე მოთხრობაში — „გოგია უიშვილში“ მთელი სიმძაფრით გამოჩნდა უუფლებო, დამცირებული და დანაგრული გლეხის ტიპური სახე. „გოგია უიშვილის“ მთელი ბიოგრაფია ბატონყმობის გადავარდნის შემდეგდროინდელი გლეხის ტიპური თავგადასავალია. აქ კარგად ჩანს, თუ როგორი ზედმოწვევით იცნობს ე. ნინოშვილი გურიის საზოგადოებრივ ვითარებას. როგორც ცნობილია, კაპიტალისტურმა ურთიერთობამ სოფლად მწვავე სოციალური დიფერენციაცია გამოიწვია. გლეხობას გამოუჩნდა ახალი მჩაგვრელი ძალა — ჩარჩვაჭრები. ბატონყმობის ნაშთების, ადგილობრივი პოლიციური აპარატის და საეკლესიო მსახურთა უღლის გარდა, ახლა გლეხობას კისრად აწეა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების უღე-

ლიც. ვართლებულმა სოციალ-ეკონომურმა ვითარებამ გლეხკაცობა: ჩვენს ვალატაკება გამომწვევს! მჩაგვრე ცხოვანმა ჩავგრამ არამარტო დასცა ეკონომიურად გლეხკაცობა, არამედ მათში პროტესტისა და წინააღმდეგობის გრძნობაც გამოიმუშავა. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ ოთხმოციანი წლებში გურიაში ფართო ხასიათი მიიღო ფირალობამ — ყაჩაღობამ. როგორც თვითონ ნინოშვილი სამართლიანად მიუთითებდა „გლეხკაცობის ყაჩაღობის მიზეზი სოციალური და ადმინისტრაციული წესწყობილება იყო“. გურიის ლეხკაცობის მძიმე სოციალური ცხოვრების მართალი სურათთა დახატული „გოგია უიშვილში“. აქ ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, ყოველი ეპიზოდი, ყოველი სიტუაცია სინამდვილიდან არის აღებული; მოთხრობის დასაწყისშივე ვტყობილობთ, რომ სოფელში ეკუთვუცია ჩამოუყენებიათ და თითო კომლზე ეკუთვუცის ხარჯად თითო თუმანი გაუწერიათ. — „ახლა ნადელის ფული, ახლა ხუცის ფული, ახლა ფოშტის ფული, ახლა გზის სამუშაო და რა ვიცი, ათასმა ჯანაბამ უნდა გადაიაროს ამ ჩვენს ზურგზე! ამასაც არ დაგვაჯერეს, თქვენში ავიკაცები ბუდობსო, ასწიეს შარშან ეკუციით გააყეს ჩვენი სოფელი, ახლა კიდევ ეკუციაო, ბარემ ამოგვხადონ სული“ — ასე შესჩივის ცოლს გოგია უიშვილი. ამ გლეხურ მსჯელობაში მთელი სისრულით არის დახატული ის მწარე სოციალური ბედი, რომელშიაც გმინავდარეველუციაამდელი სოფლის გლეხკაცობა. მარტო გოგია როდია ასეთ ბედში. „მარტო ჩვენ ხომ არა ვართ ასე, ყაჩახს ასში ერთს ვერ ნახავ, ჩვენზე უკეთესად იყოს“, — ამბობს მარინე. ამით ნინოშვილი ანზოგადოებს გოგია უიშვილის ბედს.

გოგია უიშვილი ღატაკი გლეხია. მემკვიდრეობით გოგიამ და მისმა ორმა

მამ ერთი პატარა ფიქრული სახლი, ერთი ნალია, ერთი ფაცხა და შვიდი დღიური საბეგრო ანუ სანადელო მიწა მიიღო. ეს მცირე ქონება სამ ვაჟს შორის გაიყო. ბატოსან, შშრომელს და გამრჯე ცოლ-ქმარს, თავდაპირველად არ ამინებდა დაბრკოლება, მაგრამ რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო მწელი ასატანი ხდებოდა მათთვის ცხოვრების ტვირთი. ამასთან ზუთი წერილ-შვილი მიეცათ და ოჯახი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხარივით შრომა, ოფლის ღვრა, და ჭაპანწყვეტა არ შეელოდა გოგია უიშვილს, რადგან მისი ნაშრომი მჩაგვრელებს მიჰქონდათ. მძიმე ცხოვრებამ არა ერთხელ სიკვდილი ანატრებია გოგიას. ამას ზედ დაერთო ახალი დამცირება და შეურაცყოფა: ახალი წლის წინა ღამეს ნაცვალი და პოლიციელები გოგიას სახლში მიუხდნენ და რაც გააჩნდა წაართვეს, თვითონ კი ცოლითურთ სოფლის კანცელარიაში წაიყვანეს და ცემით გაუმასპინძლდნენ. შეურაცყოფილი გოგიას სიტყვები საუკეთესო დახასიათებაა თვითმპყრობელური რუსეთის „სამართლისა“: — „ჩვენდა ქვეყანაზე სამართალი არ ყოფილა! მომთხარეს, დამაქციეს, გამლახეს! სამართლის კარზე მოვედი, მეგონა, და აქნაი ვარესი ძეცვეს! სადა ხარ სამართალო, ღმერთო, ხატო, რჯულო“. ე. ნინოშვილი ავტორისეულ რეპლიკებით განუმარტავს მკითხველს გოგიას ცხოვრების მძიმე ყოფის ნამდვილ არსს; — „მართლა და რა ნუგეში შეიძლებოდა გოგიასთვის, როცა ის ცხადად ხედავდა თავის მდგომარეობას. მუდამ მოუსვენარი ხარივით შრომა, ოფლის ღვრა, ჭაპან-წყვეტა და მინც ცოლ-შვილი შიშველ-ტიტველი, ხშირად შშიერიც; მიწა-მამული მის ბარაზე არსად მოიპოვება, ნაბატონარი საბეგრო მიწის (ნადელის) გარდა; გადასახადი დღითიდღე მატულობს; უფროსი, მებატონე, მღვდელი, მამასახლისი, ასე გასინჯეთ, ნაცვალიც კი მას

უწყრება და იჯაბნებს; სახსარი ცხოვრების გაუმჯობესებისა კარგად სწავს. ნუთუ არ დაღონდება ფეხი-კოფეხულა თავი! მისი ფიქრები, რომლითაც „ოდის“ ამენებას ფიქრობდა, კარგი ხანია, რაც გაყიდა სხვა და სხვა გადასახადის დასაყმაყოფილებლად გადასახადში წაართვეს მარინეს მზითვი: ნობი, ფარდაგი, სპილენძის ქვაბი და ის „ქისეის“ კაბა, რომელიც გოგიამ ჯვარის დაწერის დროს უყიდა მარინეს. რიგიანი საკმლის უქონლობა და უსაცმელობა, ანუ, როგორც თვითონ გოგია ეძახდა, „გლაზათ ყოფნა“, ხშირად აჩენდა გოგიას ოჯახში ავადმყოფობას. მეტადრე ერთ ზაფხულში გოგიას ცოლ-შვილს გაუჩნდა სნება და ერთი ბავშვი მოუკლა; სხვები თუმცა-ღა გადაჩინენ სიკვდილს, მაგრამ ერთი ბავშვი კი დამუნჯებულყოფა ავადმყოფობისაგან და მას შემდეგ ისე მუნჯად დარჩა. აი, ასეთმა უნუგეშო მდგომარეობამ შეაძულა გოგიას სიცოცხლე და ანატრებინა სიკვდილი; ამიტომ უჩიოდა ის ცას და ქვეყანას“.

„გოგია უიშვილში“ მწერალმა არა მარტო დაბეჩავებული გლეხის სახე დახატა არამედ მასში მონახა პროტესტის, არსებულის წინააღმდეგ უქმყოფილების ელემენტები: გოგია უიშვილი საჯაროდ ამხელს მჩაგვრელებს და მათ უსამართლო ქცევას. მაგრამ მას არ ჰყოფნის ძალა, რომ ამ უსამართლობის წინააღმდეგ თანამიმდევარი ბრძოლა აწარმოოს, მისთვის არ არის ცნობილი ბრძოლის გზა და ამიტომაც რთულ წინააღმდეგობაში მოქცეული თავის პროტესტანტულ გზას თვითმკვლელობით ანთავრებს.

„გოგია უიშვილში“ ეგნატე ნინოშვილმა გლეხის ცხოვრების მუქად დახატული თავგადასავალი ტრაგიკული კლოთი გაამჟაფრა, ამით ამბავს უაღრესად გამომწვევი ხასიათი მისცა. მკითხველი არა მარტო იმსჯელება ღრმა თანაგრძნობით დაჩაგრული გლე-

ხის — გოგიას მიმართ, არამედ იგი არსებული უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტისა და აღშფოთების გრძნობით იესება.

გლუხკაცის ცხოვრების სურათია დახატული აგრეთვე მოთხრობებში: „განკარგულება“, და „პალიასტომის ტბა“.

„განკარგულებაში“ დახატული სურათი გლუხკაცობის ცხოვრებისა ისეთივე ტიპურია, როგორც ეს ნინოშვილმა წარმოგვიდგინა მის პირველ მოთხრობაში — „გოგია უიშვილში“. სიღარიბისაგან წელში გაუმართავი კაცია, ისევე შესჩივის ბედსა და ცხოვრებას, როგორც გოგია. უფროსი ქალს 12 წლის მარინეს კაბა ისე დახეოდა, რომ ბევრგან სხეული უჩნდა. „საბრალო ქალი თავის შშობლებთანაც კი სირცხვილით ხელებს იფარებდა ტიტველს სხეულზე. როცა სტუმარს დაინახავდა მარინე მირბოდა სახლის უკან, რომ დაშალულიყო... ორივე ბავშვი კი სულ ტიტველი იყო“. კაციას კი დაფლეთილ პერანგიდან ბევრგან მოუჩანდა შვისგან დამწვარი წითელი კანი.

გაუხარელი კაცია შესჩიოდა ქვეყანას, „რამდენი რა არ ტრიალებს საწყალი ყაზახის თავზე — ეუბნებოდა ფაქრებში კაცია თავის თავს — ცოლშვილი დაარჩინე, ფოსტის ფული გადაიხადე, უჩიტლის, მწერლის, გზის სამუშაოზე წადი, სადარაჯოდ წადი, ყველას მორჩილება გაუწიე, ყველას ემსახურე! არა, ძალიან უბედურად არის ყაზახის ცხოვრება მოწყობილი“. ივანეც („პალიასტომის ტბა“) ისევე შესჩივის თავის ბედს, როგორც გოგია და კაცია მუნჯაძე. „მებატონეს, მღვდელს, ზელშეიფეს, ოჯახს, მტერს, მოყვარეს, ყველას პასუხის გაცემა უნდა. ძნელი მუშის გული“. კაცია მუნჯაძე კარგად გრძნობს თუ ვინ არის მისი მჩაგვრელი, მაგრამ მასში პროტესტის წინააღმდეგობისა და ბრძოლის გრძნობა უფრო ნაკლებია, ვიდრე გოგია უიშვილში. ამ მხრივ ორივე გმირზე გოგია უიშვილზე

და კაცია მუნჯაძეზე მაღლა დგას. ივანე — „პალიასტომის ტბის“ მთავარი გმირი. ივანემ იცის, რა მჩაგვრელია ერთი პირი იცოდეს, მაშინ მას მჩაგვრელები ვერაფერს დააკლებენ, მარა დალატი და ორპირობა არის მტერი გლუხკაცობისა. ივანე საყვედურით მიმართავს თავის თანამომეგებს: „ყაზახმა რომ ერთი პირი იცოდეს და ერთმანეთის მხარის მიცემა, მაშინ“... დასკვნა ნათელია: მაშინ გლუხკაცის დაჩაგვრა და აბუჩად აგდება ადვილად არავის შეუძლია.

ე. ნინოშვილმა გლუხკაცის უფრო მებრძოლი სახე დახატა „სიმონაში“. სიმონამ იცის, რომ საჭიროა ძალას ძალა დაუბრდაპირდეს, რომ მჩაგვრელები ნებით და სურვილით სასიკეთოს არაფერს გაიმეტებენ ღარიბებისათვის. სიმონამ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის გზად ფირალობა აირჩია.

ნინოშვილმა კარგად იცის, რომ „თუ კაცმა თავზე ხელი აიღო, იმაზე საშიში რაღაა ქვეყანაზე“. ნინოშვილი სიმონას გვიხატავს როგორც პატიოსან მშრომელს, როგორც ძალაძეების სახელოვან შთამომავალს. დავითმა უსამართლოდ აითვალისწუნა იგი და გადაემტერა მას. სიმონამ ამ უსამართლობის და ბოროტების მოთავეს სამაგიერო მიუზღო. იგი ამბობს, ერთი მუშა კაცი ვიყავი გასაქმლელად მომინდომეს, თავზე ხელი ამაღებინეს და ეს არის ნახონ, თუ კაცია თავზე ხელაღებული კაცია.

ნინოშვილმა ხაზი გაუსვა, რომ რაც უფრო მძიმეა მჩაგვრელების უღელი, მით უფრო აშკარად არის გამოხატული პროტესტის და წინააღმდეგობის გრძნობა დაჩაგვრულებში. პროტესტის ეს ძლიერი გრძნობა არის ის ძალა, რომელიც წალეკავს უსამართლობას და ბოროტებას, ასეთია ის განწყობილება, რასაც ნინოშვილის მოთხრობები აღუძრავს მკითხველს.

კლასობრივი პრინციპით ხატავს ე. ნინოშვილი არა მარტო მის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას, არამედ ჩვენი ხალხის ისტორიულ წარსულსაც. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ცნობილი ისტორიული რომანი „ჯანყი გურიამი“. ეს ფრიალ მნიშვნელოვანი ისტორიული რომანია ქართული ლიტერატურაში. აქ მძაფრ რეალისტურ ფერებით არის დახატული ისტორიული სურათი გურიის მასობრივი გლეხური მოძრაობისა, რომანი შეეხება გლეხთა 1841 წლის აჯანყებას. როგორც ეს დადასტურებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, მწერალს ზედმიწევნით შეუსწავლია 1841 წლის აჯანყება. ამ მიზნით მას გამოუყენებია როგორც ოფიციალური დოკუმენტები, ისე 1841 წლის აჯანყების მონაწილეთა ნაამბობი და მონათხრობი. მწერალს ფართო მხატვრულ ტილოზე გაუშლია გლეხური მოძრაობის ეს მნიშვნელოვანი ფაქტები. რომანის ძირითადი ხასიათი ისტორიულ ჩარჩოებშია ჩაყენებული. რომანის გმირები: ხასან ბეგ თავდგირიძე, ბრუსილოვი, შალიკაშვილი, ნაკაშიძე, დადიანი, თოიძე და სხვანი ისტორიულად ცნობილი პირები არიან — 1841 წლის აჯანყების მონაწილენი. იმისათვის, რომ ამ ისტორიულ ფაქტებს მეტი სიმძაფრე მისცეს, მწერალი ამბავს რომანულ ფონზე შლის. ნაწარმოებში სამი რომანული ხაზია: მანასა და სიმონასი, გიორგისა და გულოსი, ბესიასა და მელანიასი. მთელი ეს სასიყვარულო თავგადასავალი ისტორიული სინამდვილის ჩარჩოებშია მოქცეული.

ცენტრალური ადგილი ამ ნაწარმოებში ბატონყმობისა და ცარიისტული რუსეთის მიერ დამონებული გურიის გლეხის მდგომარეობის დახასიათებას უჭირავს. ეს ძირითადი საკითხი კლას-

თა ბრძოლის ასპექტით არის გამოქვეყნებული. აჯანყების ძირითადი წარმართველი ძალა გლეხკაცობაა. რომანის დასაწყისში აჯანყების სპილენძი მწერალი ასახელებს მეფის რუსეთის მიერ პოლიციის შესანახად გაწერილ გადასახადებს. ამ გარემოებამ გლეხობა და თავდაზნაურობა გარეგნულად ერთმანეთს დაუკავშირა, თითქოს მათ აჯანყების საერთო მიზანი ჰქონდათ — ვითომპყრობელთა განდევნა. მაგრამ ეს კავშირი თავდაზნაურობასა და გლეხობას შორის მხოლოდ გარეგნულია. არსებითად კი სულ სხვადასხვა იყო მათი მიზნები: გლეხობას სურდა თავიდან ჩამოეცილებია ახალი მჩაგვრელები მეფის რუსეთის მოხელეების სახით; თავდაზნაურობას კი სურდა თავიდან მოეშორებია მეფის რუსეთი, რომ თვითონ უფრო თავისუფლად ებატონა გლეხობაზე და კვლავ აღედგინა ფეოდალური წყობილების ძველი ფორმები. ამგვარად, მეფის რუსეთის წინააღმდეგ უკმაყოფილებას სხვადასხვა კლასობრივი საფუძველი გააჩნდა, მაგრამ პირველ პერიოდში საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლამ თითქოს გაერთიანა თავდაზნაურობა და გლეხობა. მაგრამ შემდეგ გლეხკაცობამ კარგად შეიგნო რა თავის კლასობრივი ამოცანები, რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის — გიორგის შთაგონებით, აჯანყება ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართა. გიორგი ასე განუმარტავს გლეხებს აჯანყების მიზანს: „ნამდვილი გაუმჯობესება გლეხკაცობის მდგომარეობისა, მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც ბატონყმობა მოისპობა, მაგრამ ამასთან ესეც უნდა ესთქვათ, რომ მონობის მოსპობაზე თვითონ გლეხკაცმა უნდა ამოიღოს ხმა“.

ეგნატე ნინოშვილი, ამ რომანში ისტორიული სინამდვილის სწორი შეფასებით, დიდ რუს ხალხთან კავშირის აუცილებლობას აღიარებს. გიორგი სიმპატიურათაა განწყობილი რუსეთის.



მიმართ. მაგრამ აქ ნაგულისხმევია არა მეფის რუსეთი, არა თვითმპყრობელობის კოლონიზატორული პოლიტიკის გამტარებელი რუსეთი, არამედ რუსი ხალხი. ასეთი რჩევით მიმართავს გიორგი აჯანყებულებს: „ჩვენმა ხალხმა რუსეთს კი არ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა, არამედ მონობას, ანუ ბატონყმობას. დიახ, გლეხკაცობის განთავისუფლება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა ჰქონდეს მიზნად აჯანყებას და არა რუსების განდევნა. მაშინ შინაყმები, რომლებიც ასჯერ მეტი არიან თავიანთ ბატონებზე, მტერად აქცევენ ჩვენი გაუნათლებელი თავადაზნაურობის ამ მძლავრ მოქმედებას და ამგვარი მოქმედებით გაგლეჯენ დიდი ხანიდან გაქვდილს, გლეხკაცობის ყელზე მოხვეულ ჯაჭვს“. გიორგის სახით ე. ნინოშვილმა დაგვიხატა რევოლუციურ-პროგრესიული ინტელიგენტის სახე. ის კარგად ერკვევა, როგორც სოციალურ ისე პოლიტიკურ საკითხებში. აჯანყებულების ამ იდეური მეთაურის აზრით, გლეხკაცობის განთავისუფლების საქმე თვით გლეხკაცობის საქმეა. მთავარ სოციალურ ძალად მას სწორედ გლეხკაცობა მიაჩნია, ეს საესებით სწორი იყო ამ დროისათვის. ორმოციან წლებში ჩვენში არ არსებობდა სხვა ძალა ვარდა გლეხკაცობისა, რომელსაც შეეძლო მშრომელთა განთავისუფლების საქმეს ჩადგომოდა სათავეში. დამახასიათებელია, რომ გიორგის პოლიტიკური პროგრამა დემოკრატიული მმართველობის სისტემას ითვალისწინებს. იგი შალიკაშვილთან საუბარში ასეთ აზრს ანუ თარგმნებს: „თუ სასწაული მოხდება და ჩვენი გლეხობა თავადაზნაურობას და რუსეთს მოერივეს, მერე რესპუბლიკანური მმართველობა დავაარსოთ, ე. ი. აღმოვარჩიოთ პატიოსანი და ჰკვიანი კაცები და რამდენიმე წლის ვადით მი-

ვანდოთ ხალხის მმართვეა. შემდეგ რუსეთს ამით მინდობილობას ვაქცევთ. მუქურულდება სხვები ამოგაქცევით. შემდეგ კიდევ სხვები და ასე იქნება შემდეგშია“. ასეთია გიორგის პოლიტიკური პროგრამა. ამის მიხედვით, სრულიად ბუნებრივად ისმება საკითხი: შეიძლება თუ არა ორმოციან წლების გურიის ჰყოლოდა ასე ჩამოყალიბებული, მოწინავე, პროგრესიული, რევოლუციონურ-დემოკრატიულად მოაზროვნე ინტელიგენტი. როგორც ეს სამართლიანად არის აღნიშნული ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურაში, ძნელია ასეთი რამ წარმოვიდგინოთ; ამიტომ უფრო სამართლიანი იქნება ვიგულისხმოთ, რომ ნინოშვილმა ისტორიული წარსულის წარმომადგენლის სახეში მისი დროის მოწინავე ინტელიგენტის შეხედულებანიც გააერთიანა და ასე გაანათა ახალი იდეების შუქით ორმოციან წლების ინტელიგენტის შეხედულებანი.

რომანში ხალხის მასობრივი მოქმედების მონუმენტალური სურათია დახატული 1841 წლის ისტორიულ აჯანყების ფონზე. თუ ერთის მხრივ აჯანყებულთა იდეურ ხელმძღვანელად მწერალმა გიორგი დაგვიხატა, მეორე მხრივ ამ იდეების პრაქტიკული განხორციელებისთვის მებრძოლი მეთაურის როლში გლეხის წრიდან გამოსული ბესია წარმოადგინა. ბესია უხსნის ხალხს საქმის ვითარებას, განუმარტავს აჯანყების მიზანს ისევე, როგორც ეს გიორგიმ განუმარტა. თავადაზნაურ პროვოკატორების — ივანესა და კოზიას წინააღმდეგ ბრძოლაში ბესია ახერხებს გლეხთა მთელი ყრილობის მიმხრობას. ბესია ბოლომდე რჩება ხალხის თავისუფლებისათვის გაუტეხელი მებრძოლი გმირის როლში. მას ვერაგულად ჰკლავენ რეაქციის აგენტები ივანე და კოზია — „თი გლეხების გენერალი მოუკლავთ, აჰა, შენ გვართმევდი ყმებს? არ გერჩია შენი



ეროვნული  
გეგლიოთქეა

ბატონისათვის გემსახურებია და ცოცხალი ყოფილიყავი?“ — ასე მიმართავს მას თავადი დათა. ნინოშვილი ხაზს უსვამს იმ კლასობრივ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობდა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის. ბესია, რომელმაც ნათლად შეიგნო თავისი კლასობრივი ინტერესები, თავადაზნაურობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ აჯანყებს ხალხს. ივანე და ზოგი სხვა აზნაური, რომლებიც გამორჩენის მიზნით მიეტმასნენ აჯანყებულებს, როცა დაინახავს, რომ აჯანყებული ხალხის კლასობრივი შეგნება მათ წინააღმდეგ არის მიმართული, მეფის რუსეთის მოხელეებს მიეკედლება, მასთან შეკრავს ზავს და გლეხკაცობის წინააღმდეგ გამოდის. მწერალი კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით ხატავს 1841 წლის გლეხური მოძრაობის მთელს ისტორიას. სწორედ ეს აქვს მხედველობაში ნინოშვილს, როდესაც გიორგის ათქმევინებს: „ყოველღონისძიებას ვიხმარ, რომ ჯანყის მიზანი შევეცალო, ე. ი. ჩვენი ხალხმა რუსებს კი არ გაუწიონ წინააღმდეგობა, არამედ მონობას, ანუ ბატონყმობას. დიახ, გლეხკაცობის განთავისუფლება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა ჰქონდეს მიზნად აჯანყებას და არა რუსების განდევნა. მართალია, გაუნათლებელი გლეხკაცის შრომით ცხოვრებას დაჩვეული თავადაზნაურობა, დიდ წინააღმდეგობას გაუწევს ამ აზრს! იმათი ლტოლვილება ის არის, რომ ჩვენი ქვეყნიდან განდევნონ რუსები და შემდეგ წინანდებურად გაამთავრონ რომელიმე არამზადი, ხალხის შრომით გასუქებული თავადი, რომელიც თავის დღეში მონობის ქვეშ დაიჭერს გლეხკაცობას, რომ ამით მოიგოს თავისი ბოდის თავადაზნაურობის გული“.

ამ რომანში 1841 წლის აჯანყება დახატულია არა როგორც ერთგული მოძრაობა, არამედ როგორც სოციალური, კლასობრივი მოძრაობა.

ეგნატე ნინოშვილს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა მაშინ, როდესაც საქართველოში მეურნეობის კაპიტალისტური ფორმა აღმავლობის ვხით მიდიოდა. მწერალმა კარგად შენიშნა კაპიტალისტური ურთიერთობის შექმრა სოფლად და ამის შედეგად კულაკობის წარმოშობა.

ყველაზე უფრო დამთავრებული სახით ეს პროცესი ნინოშვილმა აჩვენა „სიმონაში“.

სოფლის ახალი ბურჟუაზიული ფენის—კულაკობის წარმომადგენლის სახე დახატა ნინოშვილმა დავით დროიძეში. დავით დროიძე ფულმა ყოვლისშემძლე კაცად აქცია. სიმდიდრის გამო მას ყველა შიშით, რიდით, პატივისცემით და მოკრძალებით ეპყრობა. არც ერთ სოფლის მებატონეს არ ჰქონია ისეთი გავლენა, როგორიც დავით დროიძემ მოიპოვა. ფულით გაამაყებული ტიტყო ასე მიმართავს თავის ძმას: „კაცო, ძალა თქვენ გაქვს, ფული თქვენ გაქვს და მაინც კი ერთი დასწულელებული დედაბრის უნდა გეშინოდნენ და ცრუობა უნდა იფიქროთ მისი შიშით... რა ოხრათ გინდათ ის შეძლება და ფულები თუ კი დედაბერი შეგაშინებთ, ის კი არა კინტის დაძვრას ვერ უნდა გაბედავდნენ მეზობლები“. ფული და სიმდიდრეა დავით დროიძის შვილის ტიტყოს მორალური კოდექსის საფუძველი. ფულის ძალით იგი ფეხქვეშ თელავს სიმონას ოჯახს.

დავით დროიძეს სამართლიანად ეძახიან სოფლის პატარა მეფეს. მამასახლისი თუ ბოქაული, მომრიგებელი მოსამართლე თუ მაზრის უფროსი ერთნაირის პატივისცემით ეპყრობა დავითს და ყოველ მის მოთხოვნას უყოყმანოდ ასრულებს. მწერალი არა მარტო აღწერს დავით დროიძეს როგორც გამდიდრებულს და გავლენიან კაცს,

არამედ გვიჩვენებს მას როგორც ხალხის უბედურების, ჩაგვრისა და დამცირების მატარებელ ძალას. დავით დროიძემ გააუბედურა ძალაძეების ოჯახი; მან პატიოსანი შრომელი კაცი — სიმონა, რომელმაც არ მოინდომა მისი ყურმოჭრილი მონა ყოფილიყო, თავიდან მოიცილა ცილისწამების გზით. მწერალი აჩვენებს ამ კონფლიქტის კლასობრივ შინაარსს. დავითისა და სიმონას მორიგება არაერთარ ძალას არ შეუძლია იმითომ რომ ისინი კლასობრივად დაპირისპირებული ინტერესების წარმომადგენელი არიან. მწერალი ისევე შეურიგებელია კაპიტალიზმის წარმომადგენლის — დავით დროიძის მიმართ, როგორც ფეოდალური ყოფის წარმომადგენლების მიმართ.



ე. ნინოშვილი კარგად ხედავდა, რომ კაპიტალისტური განვითარების შედეგად გართულებულმა პირობებმა თავაწყვეტილი და ლალი ცხოვრების მიღა აუშალეს თავადაზნაურობის წარმომადგენლებს და მათ გააორკეცეს გლეხკაცობის ჩაგვრა-ყვლეფა. ამასთანავე უფრო აშკარა გახდა თავადაზნაურობის ეკონომიური და მორალური დაქვეითება. თავადაზნაურული ყოფის წარმომადგენლები დახატა ე. ნინოშვილმა: „ჩვენი ქვეყნის რაინდში“, „ქრისტიანში“ და „სოფლის გმირებში“. ყველა ეს ტარიელ მკლავაძეები, იასონ უქმაძეები, მანუჩარ არწივაძეები, საზოგადოების ხორცმეტი, ზნეობრივად გაბრწინილი ადამიანები არიან. თავიანთი ბიოგრაფიით ტარიელი, იასონი და მანუჩარი ერთმანეთს გვანან: „მანუჩარ არწივაძე გიმნაზიის პირველ კლასიდანვე დაითხოვეს მასწავლებლები მუდამ უჩიოდენ იასონს უმორჩილობასა და სიციველქეს. ბოლოს მასწავლებელს სილა გააწნა“ — და ფუფუნებასა და ნებიერობაში აღზრდი-

ლი უქმაძე სკოლიდან დაითხოვეს. ასეთივე ბედი ეწია ტარიელ მკლავაძესაც. ტარიელ მკლავაძის რთვულსუფობის მსხვერპლი გახდა სპირიტუალისტური შვილი. სპირიტონი ხალხის ერთგული მოჭირნახულე და მისი ინტერესებისთვის თავდადებული მეზობელია. მწერალმა ტარიელ მკლავაძისა და სპირიტონი მცირიშვილის სახით ერთმანეთს დაუპირდაპირა ორი სხვადასხვა კლასობრივი ინტერესების გამომხატველი ტიპი. ტარიელი — გარდასული, დრომოქმული საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმომადგენელია. სპირიტონი — ახალი, პროგრესიული, დემოკრატიული იდეებისთვის მეზობელი ადამიანია. სპირიტონი მცირიშვილი შრომელი ხალხის წრიდან არის გამოსული და ხალხს უყვარს თავისი მასწავლებელი: — „ის ხალხის მასწავლებელიც იყო, ხალხს ესარჩლებოდა, იღწოდა მათი წარმატებისთვის“. სპირიტონის მიზანია ღირსეული სამსახური გაუწიოს ხალხსა და ქვეყანას. მას უყვარს ხალხის ინტერესებისათვის თავგანწირული ადამიანები, რომელთაც ვერ „ამინებს ვერც შიმშილი, ვერც სიცივე, ვერც საპყრობილე, ვერც დაკარგვა, ვერც მარტობა და ვერც სახრჩობელია“. მისი აზრით ის ადამიანია პატრესაციემი, რომელსაც ხალხის ცხოვრება თავისი ღვაწლით გაუუმჯობესებია. სულ საწინააღმდეგო იდეალი ამოძრავებს ტარიელ მკლავაძეს. ტარიელ მკლავაძისა და იასონ უქმაძის იდეალი ორ საგანშია გამოხატული, „ქალებში და ღვინოში“. ტარიელი და იასონი ხალხის დამჩაგვრელი ძალაა. „ძლიერ აწუხებდა ტარიელის თავგასულობა — შენ-შნავს მწერალი მის სამშობლო სოფელს, მეტადრე გლეხკაცობას. თითქოს მისი პარამხანის კუთვნილება იყოს, ისე უყურებდა ტარიელი გლეხკაცობის ქალებს“. ასევე იქცევა იასონ უქმაძეც, რომლის უნაძუსობის მსხვერპლი გახდა გულუბრყვილო, პატიოსანი გლეხი ქალი ქრისტიანე. ხალ-

ხი ებრძვის მხაგერელებს. არა ერთხელ სცადა სოფელმა თავიდან მოეშორებინა ტარიელი. მოთმინებიდან გამოსულმა გლეხკაცობამ ტარიელზე საჩივარი შედგინა და წარადგინა სადაც ჯერ არს. „ამ განაჩენით ვითომც სოფლის გლეხკაცობას სურდა ტარიელის თავიდან მოშორება“. მაგრამ ტარიელისა და იასონის დამცველების როლში გამოდის მეფის პოლიცია. ამიტომ გლეხკაცობის ყოველგვარი ბრძოლა მათ წინააღმდეგ უშედეგოა.

მცირიშვილის ბრძოლა და მოქმედება ტარიელ მკლავადის წინააღმდეგ უაღრესად საზოგადოებრივი ხასიათისაა. სპირიდონი არა მარტო პირადი შურისძიებით აღზნებული პიროვნებაა, არამედ საზოგადოების ინტერესებისთვის მებრძოლი გმირია, რომელსაც გადაუწყვეტია მოსპოს თავისი და ხალხის მტერი. ამ მომენტში, როდესაც სპირიდონმა განიზრახა ანგარიში მოსთხოვოს თავის დამლუბველს, მან გარკვევით გაიგონა ტარიელის სიტყვები— მისი ახალი „საგპირო საქმეების“ შესახებ. „კიდევ ვიღაცის დაჩაგვრა და გაქვლევა! თითქოს იმისთვის არის დაბადებული რომ ყველა გაქვლოს და შეურაცხყოს! თავი მოსწონს კიდევ ამით“. აღშფოთებული სპირიდონი უფრო მტკიცედ გადასწყვეტს მოსპოს ეს საზოგადოებისთვის მავნე ელემენტი, და კიდევ ასრულებს ამ გადაწყვეტილებას.

ე. ნინოშვილი მთელი თავისი შეგნებით იბრძოდა მავნე საზოგადოებრივი ძალების წინააღმდეგ. ნინოშვილის აზრით, მშრომელი ხალხის სიბეჩავის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს დრომოკმული ტრადიციებიც, რასაც ღრმად გაუდგამს ფესვები გაუნათლებელ და ჩამორჩენილ გლეხკაცობაში. მავნე ტრადიციის გავლენის შედეგად დახატა ნინოშვილმა მოთხრობებში: „პარტახი“, „უცნაური სენი“ და „არშიყნი“. ნინოშვილის აზრით მავნე ტრადიციის გავლენა განსაკუთრებით

მძიმეა მშრომელი ქალთათვის. ძველი ტრადიციის ფონზე დახატა მან პარტახის მთავარი გმირის ღრმად ტრადიციული თავგადასავალი. ძველი, მავნე ტრადიციების საბრალდებულო დასკვნად გაისმის მისი სიტყვები თავის მოკვლის წინ: „შევძულდი, შევძულდი ყველას! რეზა შეცდომო, რა ვიცი რეზა შევეცდი ისე იყო ჩემი საქმე მოწყობილი და შევეცდი თლათ იგინია დანაშაული ჩემს შეცდომაში არა ვითამ, აბა მე ვარ? რა ვიცი, ვერაფერს გეოგებს კაცი, ესეა მოწყობილი ჩვენი ყოფა... ძალიან უბედურად არის ქალის საქმე! ყაზახის ქალი ნამეტურ დაკირულია! ჯერ დედმამა შენი ბატონი და მერე ქმარი! ხმაი. ნება არც ერთთან არ გაქვს, რომ გიწვალონ, მაინც იმათ ხელთ უნდა დარჩე, სანამდის ცოცხალი ხარ! აბა სხვაი რა გაგიყვ? გეიქევი? რა გამოვიდა მერე? რამდენი გეიქეა, მაგრამ ზოგი დატყრილი მეიყვანეს, ზოგი ქმარმა მოკლა და ზოგი ჰირმა დააღობო. თაობიდან არის ყოლიფერი უხეიროდ მოწყობილი და იგია...“

რევოლუციამდელი სოფლის მძიმე პირობების ფონზე, ასე მკვეთრ ფერებში ხატავს ე. ნინოშვილი ქალის ხვედრს.



ეგნატე ნინოშვილმა თავისი ხანმოკლე სამწერლო მოღვაწეობა ხალხის ინტერესებისთვის ბრძოლას შეაღია. ნინოშვილმა ახალი ელერა მისცა, ახალი ვითარების ფონზე გაშალა მშრომელთა მწვავე სოციალური საკითხები. ნინოშვილმა ჩაგრულთა ბედი გაიხადა თავის მოთხრობების თემად ხალხის განთავისუფლებისთვის ბრძოლა კი მთელ თავის მოღვაწეობის იდეალად. ოთხმოცდაათიანი წლების ახალი დემოკრატიულ-რევოლუციური იდეების ძლიერი სული ჰქრის ნინოშვილის ნაწერებში. ეს ახალი იდეები აძლევს ნინოშვილის ნაწერებს უაღრესად აქტუა-





ლურ მნიშვნელობას. ამიტომ იყო, რომ საქართველოში პირველ სოციალ-დემოკრატი მუშათათვის ე. ნინოშვილი ერთ-ერთ უსაყვარლეს მწერლად იქცა.

ასე დაუკავშირდა ეგნატე ნინოშვილი მუშათა კლასის პირველ რევოლუციურ ნაბიჯებს. ნინოშვილის ნაწერების იღბა მხოლოდ დასაწყისი იყო იმ დიდი საბრძოლო რევოლუციურ მარქსისტულ იდეებისა, რომელიც შემდეგ დიდი სტალინის მეთაურობით გავრცელდა საქართველოში. ე. ნინოშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი შეეცადა განერღვია ოთხმოციანი წლების ხალხოსნური და ნაციონალური იდეების რკა-

ლი და შეერთებოდა პროლეტარიატის რევოლუციური იდეებს.

ნინოშვილი ერთი უსაყვარლესი რელი გმირის პირით ამბობს: „ის ადამიანია პატივსაცემი, რომელსაც ხალხის ცხოვრება თავისი დეაწლით გაუუმჯობესებია“. ამ იდეალის ერთგული დარჩა მწერალი ბოლომდე და ამაშია მისი დიდი დამსახურება მშრომელი ხალხის წინაშეც.

ნინოშვილის ნამდვილი დაფასება მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში მოხდა. საბჭოთა ხალხი მესამედ უზღის მას იუბილეს.

პეპელი ინფორმაცია

## გიორგი მერჩულა

ქართველი მწერალი მათე საშუაისა<sup>1</sup>

4.

ქართველთა სამეფო მე-9 საუკუნეში ბაგრატ I მეფე-კურაპალატის დროს  
(826 — 876 წ.წ.)

მას შემდეგ, რაც გავეცანით ქართველთა სამეფოს აღდგენის ხანას მე-9 საუკუნის დასაწყისში აშოტ I დიდის დროს, განვიხილავთ ამის შემდეგ იმ ცნობებს, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის თხზულება ქართველთა სამეფოს შესახებ მომდევნო პერიოდში.

\*

იბერიის განთავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი, ქართველთა სამეფოს აღდგენის დიდი მოამაგე აშოტ I დაიღუპა არაბებთან ბრძოლაში (არაბთა მხედართმთავარის ხალილ ბენი-დის-ძე არაბიელის კავკასიაში ლაშქრობის დროს) 826 წელს, 26 იანვარს.

აშოტ I, როგორც ირკვევა, მოკლულ იქნა ღალატით ნიგალის-ხეველთა ერთი ჯგუფის მიერ, რომელნიც მოსყიდულნი ყოფილან არაბებისაგან.

რომ აქ ღალატს ჰქონდა ადგილი, ეს ირკვევა მე-11 საუკუნის ქართული საისტორიო თხზულებიდან — სუმბატ დავითის-ძის მატეიანიდან.

უფრო ადრინდელი ხანის ძეგლი — გიორგი მერჩულის თხზულება — აგრეთვე ადასტურებს, რომ აშოტ I ღალატის შედეგად დაღუპულა.

ჩვენ უკვე აღნიშნული გეჭონდა, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში მოყვანილია გლოვის სიტყვები გრიგოლ ხანძთელისა, წარმოთქმული აშოტ I-ის დაღუპვის გამო.

გლოვის ამ სიტყვაში, სადაც პანეგირიკული ტონით არის დახასიათებული აშოტ I-ის ძლიერება, გრიგოლ ხანძთელი ამბობს:

„ჰოი მეფეო ჩემო ძლიერო და დიდებულო... სადაით-მე მოგელოდი, აღმსავლით-მე ანუ დასავლით, ჩრდილით-მე ანუ სამხრით, რამეთუ ყოველთა ზედა ნათესაეთა (ერთა) მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით (ბრძოლით) ხელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკვირველი ეგე დიდებული ღმრთის-მსახური ხელმწიფე! აწ ვითარ-მე მიეცი ზელსა შეურაცხთა უშუალოთა და უნდოთა

<sup>1</sup> გაგრძელება. მნათობი № 10, 11 (1949 წ.).

კაცთასა, რომელნი იგი იუდაის მსგავსად, შენ, უფლისა თვისსა მკლველ იქმნეს...<sup>1</sup>

ამ-რიგად, როგორც ეს სწინს გრიგოლ ხანძთელის სიტყვიდან <sup>ერქვესულე</sup> აღმოცენდა, მკლველნი ყოფილან მოღალატენი, „იუდაის მსგავსად“ მოსყიდულნი, „შეურაცხნი, უშჯულონი და უნდონი კაცნი“.



აშოტ I-ის დაღუპვის შემდეგ ქვეყანა დიდ განსაცდელში ჩაეარდა. არაბთა ამ დიდი ლაშქრობის დროს, რომელსაც, როგორც მოვიხსენეთ, არაბთა მხედართმთავარი ხალილ იეზიდის-ძე არაბიელი ხელმძღვანელობდა, საქართველომ დაქარგვა გამოცდილი ხელმძღვანელი. აშოტ I-ის მემკვიდრენი მცირე-წლოვანი იყვნენ. არაბებმა დაიპყრეს ქართველთა სამეფოს ტერიტორიები თითქმის მთლიანად, გარდა აშოტ I-ის მიერ შექმნილი ქართველთა სამეფოს ახალი ცენტრისა — არტანუჯის მხარისა.

ამ-რიგად, ქვეყნის ამ უკიდურესი განსაცდელის დროს დამტკიცდა, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებაში ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ცენტრის გადატანა იბერიის ქვეყნების ზურგში, არაბთაგან უფრო დაცულს არტანუჯის მხარეში, ბიზანტიის იმპერიის მეზობლად.

როგორც აშოტ I-ის დროს, ისე აშოტ I-ის მემკვიდრეების დროსაც, აქედან, არტანუჯის მხარიდან დაიწყება ქართველთა სამეფოს ქვეყნების ხელახალი შემოკრება.

აშოტ I-ს სამი ვაჟი ღარჩა: ადარნერსე, ბაგრატ I და გვარამი. მემკვიდრის ცნობით, ვიდრე აშოტის მემკვიდრენი მცირეწლოვანი იყვნენ, „ვიდრე უსრულ იყვნეს ჰასაკითა, იზარღებოდეს ციხესა შინა არტანუჯისა“<sup>2</sup>. ქვეყანას ხელმძღვანელობას უწევდნენ აშოტ I-ის თანამოღვაწენი.

სახელმწიფო თათბირს ქართველთა სამეფოს მეთაურად აურჩევია ჯერ კიდევ ახალგაზრდა საშუალო ძმა ბაგრატ I. ბაგრატს მეფის წოდებულება მიუღია.<sup>3</sup> ამავე დროს ბიზანტიის იმპერატორისაგან მას მიუღია კურაპალატობის პატივი<sup>4</sup>. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ „მიეცა მას (ბაგრატსა) ფლობი ხელმწიფობისაი ზეგარდამო, და ძმანი მისნი, კეთილნი და დიდებულნი ხელმწიფენი, ადარნერსე უხუცესი (უფროსი) და გვარამ მრწემი (უმცროსი) მშუვალესა მას ძმასა ბაგრატს მორჩილ ექმნნეს საღმრთოსა ძმობისა სიყვარულთა, რამეთუ ერთ-ზრახვა, ერთ-სულ და ერთნება იყვნეს იგინი. ხოლო ბაგრატ უმთავრეს მათსა იყო სიბრძნითა, სახითა და სიქველთა“<sup>5</sup>.

გიორგი მერჩულე განსაკუთრებული პატივით მოიხსენებს ბაგრატ-I-ს, რომელიც მას ყოველად ღირსეულ, ყოველმხრივად მომზადებულ ქვეყნის მეთაურად და ბრძენ ადამიანად მიაჩნია.

მეფე-კურაპალატი ბაგრატ I, ძმათა თანამშრომლობით, სათავეში ჩაუდგა

1 იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 45.  
 2 იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. \* 576/345—346.  
 3 იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 65<sup>22</sup>, 26, 27, 62<sup>21</sup>, 10<sup>1</sup>, 20<sup>1</sup>, 63.  
 4 იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 61.  
 5 იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 61.

ქვეყნის ხელახლა შეკრების საქმეს. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს: „განვი-  
დნა • მ ე ფ ო ბ ა ი სამთა მათ ძმათა ხელმწიფეთაი, რამეთუ ხრამელის მთაზე  
დაიპყრნეს ფრიალნი (მრავალნი) ქვეყანანი და განიოტნეს აგარის სათესავნი  
(განდევნეს არაბნი)“<sup>1</sup>.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა თანახმად, ქართველთა სამეფოს ქვეყნე-  
ბის ხელახალი შემოკრება შემდეგის თანდათანობით მომხდარა.

როგორც მოხსენებული გვქონდა, 826 წლის მომდევნო ახლო ხანებში, რო-  
დესაც ბაგრატ I მეფედ იქმნა დასმული და კურაპალატობა მიიღო, ბაგრატ  
I-ის სამფლობელო განისაზღვრებოდა არტანუჯის სანაპიროებით. მემატიაზე მო-  
გვითხრობს, რომ როდესაც ბაგრატმა მიიღო კურაპალატობა, „იყვნეს სარკის  
მიმცემელ სარკინოზთა ყოველნი ხეენი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი. ხოლო  
არტანუჯის გამოღმართ დაიპყრეს მათ ნაქონები იგი მაშისა მათისა“<sup>2</sup>.

ამის შემდეგ, 826—841 წლების მანძილზე, ბაგრატ I-ს გაუნთავისუფლე-  
ბია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციები, მესხეთის მხარენი.

842 წელს ბაგრატ I დაიკურს შიდა-ქართლის ქვეყანას. ამ დროს ბაგრატს  
მოხერხებულად უსარგებლნია არაბთა შინაგანი განხეთქილებით. მე-9 საუკუნ-  
ის 30-იან წლებში ხალიფს განუდგა თბილისის ამირა საჰაკ ისმაილის-ძე.  
ბაღდადის ხალიფმა არა ერთგულის გამოგზავნა ექსპედიცია განდგომილი ამირას  
მორჩილებაში მოსაყვანად, შაგრამ უშედეგოდ. ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციის  
დროს, როდესაც თბილისის ამირას საწინააღმდეგოდ მოვიდა ხალიფის მიერ  
წარმოგზავნილი მხედართმთავარი მოჰმედ ხალიდის-ძე (ეს მოხდა 842 წლის  
ახლო), მემატიაწინ ცნობით „მოერთო მას ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა“<sup>3</sup>  
და ამ დახმარების შედეგად ბაგრატმა მიიღო ქართლი (შიდა-ქართლის ქვეყა-  
ნი), რომელიც მანამდე თბილისის ამირას ვაჟუნის ქვეშ იყო<sup>4</sup>.

ამის შემდეგ ბაგრატ I მკვიდრად ფეხს იკიდებს შიდა-ქართლში და განამ-  
ტკიცებს თავის ვაჟუნას საქართველოს ამ ცენტრალურ ტერიტორიაზე.

უფრო გვიან ბაგრატ I-ის თანამმართველმა გვირამ მამფალმა გაანთავი-  
სუფლა არაბთაგან მესხეთის აღმოსავლეთი სანაპიროები და ქვემო-ქართლის  
პროვინციები<sup>5</sup>.

ქართველთა სამეფოს ფარგლებში შესულა აგრეთვე ლიხთ-იმერი ქართლი  
(აღმოსავლეთი არგვეთი)<sup>6</sup>.

ამ-რიგად, აშოტ I-ის მემკვიდრეებმა ისევ შეკრიბეს ქართველთა სამეფოს  
ქვეყნები და აღადგინეს, როგორც მემატიაზე ამბობს, „ნაქონები იგი მაშისა  
მათისა“ აშოტ I-ისა<sup>7</sup>. ქართველთა სამეფოს ფარგლებში გაერთიანდა როგორც  
მესხეთის ქვეყნები (შავშეთ-კლარჯეთი, ნიგალი, აჰარა, ტაონი, სპერი, სამცხე,

<sup>1</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 62.

<sup>2</sup> იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. \* 576/346.

<sup>3</sup> იხ. მატიაზე ქართლისა, გვ. \* 443/220.

<sup>4</sup> იხ. იქვე, გვ. \* 445/223.

<sup>5</sup> რომ ლიხთ-იმერი ქართლი (რომლის ცენტრი იყო ზიხა ბაგრატ I-ის სამფლობელოში შე-  
დიოდა მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, ეს ირკვევა „მატიაზე ქართლისა“-ის მიხედვით,  
გვ. \* 446/223.

<sup>6</sup> იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. \* 576/346.

ჯავახეთ-არტანის, ისე შიდა-ქართლის ქვეყანა, ლიხთ-იმერი ქართლის თე-  
მით, და ქვემო ქართლი.

იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც შედიოდა ქართველთა სამეფო-  
I-ის დროს, ქართველთა სამეფოს საზღვრების გარეშე დარჩა მხოლოდ ალბა-  
ნეთის პროვინციები (განჯის მხარე).



ქართველთა სამეფოს მხარეთა შემოკრების შემდეგ ქართველთა სამეფოს  
პოლ-ტიტულმა ორგანიზაციამ შემდეგი სახე მიიღო.

სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე-კურაპალატი ბაგრატე.

ხოლო მისი თანამმართველნი ადარნერსე და გვარამი იყვნენ მმართვე-  
ლებად:

პირველი (ადარნერსე) იყო მმართველად კლარჯეთისა;

მეორე (გვარამი) იყო მმართველად ქვემო-ქართლისა (ტაშირისა, თრიალე-  
თით და აშოციით) და აღმოსავლეთ-მესხეთისა (ჯავახეთ-არტანისა).

თანამმართველი გვარამი, როგორც ეს სწანს გიორგი მერჩულის ძეგლიდან  
და სხვა საისტორიო წყაროებიდან, ატარებდა ტიტულს „მამფალი“.

თანამმართველი ადარნერსე, რომელსაც მიემართება ზედწოდება „ხელმწი-  
ფე“, სწანს აგრეთვე „მამფალი“-ს რანგში ითვლებოდა (მისნი შემკვიდრენი  
იმავე „მამფალის“ ტიტულს ატარებენ).

რას ნიშნავდა ეს ტიტული „მამფალი“?

წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან შესაძლო ხდება იმის დადგენა, რომ  
„მამფალი“ თავისი მნიშვნელობით ჰფარავს ძველს იბერიამში მიღებულს სა-  
ხელისუფლო ტიტულს „პიტიახში“. („პიტიახში“ ირანული ტერმინია, „მამფა-  
ლი“ ამის შესაფარდი ერთ-ერთი ადგილობრივი ქართული ტერმინი ყოფილა).

როგორც ეს უკვე გამოჩევეულია, ძველს იბერიამში რამდენიმე საპიტიახშო  
არსებობდა. მათ შორის ერთი საპიტიახშო იყო ქვემო ქართლში, მეორე საპი-  
ტიახშო იყო კლარჯეთში. პიტიახშები იყვნენ „სეფე-წულები“, ისინი სამეფო  
გვარეულობიდან ინიშნებოდნენ<sup>1</sup>.

მე-9 საუკუნეში ბაგრატ I-ის დროს აღდგენილი ქართველთა სამეფოს ორი  
„სამამფალო“ იგივეა, რაც ძველი იბერიის სამეფოს საპიტიახშონი.

გვარამ მამფალი, რომელიც იყო მმართველი ქვემო-ქართლისა (მესხეთის  
მიმდგომი სანაპირო თემებით) ძველი იბერიის ქვემო-ქართლის პიტიახშის ად-  
გილზე ზის.

ადარნერსე ხელმწიფე, ასევე „მამფალი“-ს რანგის ხელისუფალი, რომე-  
ლიც იყო მმართველი კლარჯეთისა, ასევე ძველი იბერიის კლარჯეთის პიტი-  
ახშის ადგილზე ზის.

ამრიგად ქართველთა სამეფოს რესტავრაციის დროს მე-9 საუკუნეში

<sup>1</sup> იხ. პ. ინგოროვას, ძველ-ქართული შტაინე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბე-  
რიის მეფეთა სია (საქართველოს სსრ. მუზეუმის შთამბე, XI-b, 1941 წ.) გვ. 292—293.

აღდგენილი ყოფილა არა მარტო „მეფის“ ინსტიტუტი, არამედ ძველი იბერიის დროინდელი ზოგი სხვა ინსტიტუტიც, რასაკვირველია ახალი შენაარსებულნი  
გენერალითაჲსა



გიორგი მერჩულის თხზულებაში მოცემულია პორტრეტები ქართველთა სამეფოს ხელმძღვანელებისა მე-9 საუკუნეში, როგორც მეფე-კურაპალატის ბაგრატ I-ისა, ისე თანამმართველთა, ადარნერსე ხელმწიფისა და გვარამ მამფალისა.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ გიორგი მერჩულე განსაკუთრებულს პატივით მოიხსენებს ბაგრატ I-ს, რომელიც, ჩვენი მწერლის სიტყვით, გამოირჩეოდა „სიბრძნითა, სახითა და სიქველითა“. გიორგი მერჩულე წარმოგვიდგენს ბაგრატ I-ს, როგორც დიდად განათლებულ ადამიანს, ყოველმხრივ მომზადებულ ქვეყნის მეთაურს და ბრძენ სახელმწიფო მოღვაწეს.

ბაგრატ I-ს ორ თანამმართველთაგან პირველი — ადარნერსე ხელმწიფე — სჩანს საკმაოდ უფერული ფიგურა იყო და არ თამაშობდა რაიმე მნიშვნელოვან როლს.

რაც შეეხება მეორე თანამმართველს, გვარამ მამფალს, იგი უაღრესად საინტერესო პიროვნება სჩანს.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ გვარამ მამფალი, ისევე როგორც ბაგრატ I, ფართოდ განათლებული ადამიანი ყოფილა. იგი, სახელმწიფო მოღვაწე, საერო პირი, არა მხოლოდ საერო განათლებით ყოფილა აღჭურვილი (ხოლო საერო განათლებაში ამ დროს შედიოდა სწავლა „ამის სოფლისა ფილოსოფოსთა“, აგრეთვე შესწავლა „მწიგნობრობისა მრავალთა ენათა“), არამედ გვარამ მამფალი ამავე დროს ყოფილა აგრეთვე მეცნიერი მცოდნე სჯულის საქმეთა და კანონიკური სიმართლისა<sup>1</sup>. ამასთან, გიორგი მერჩულის სიტყვით, გვარამ მამფალი ბრწყინვალე ორატორი ყოფილა „იყო იგი ფრიად სიტყვა-ხელოვან“, — სწერს ჩვენი ავტორი<sup>2</sup>.

რაც შეეხება გვარამ მამფალის სახელმწიფო მოღვაწეობას, იგი, ყველა ჩვენებათა მიხედვით, უაღრესად ენერგიული პიროვნება ყოფილა.

გიორგი მერჩულე გვარამს უწოდებს დ ი დ ს („რომელი მას ეამსა ხელმწიფე იყო მამფალი გვარამ დ ი დ ი“)<sup>3</sup>.

უნდა გვახსოვდეს, რომ მე-9-10 საუკუნეთა მოღვაწეებიდან ეს სახელწოდება „დიდი“, გარდა გვარამისა, მიემართება სამ პიროვნებას, — მართლაც დიდ სახელმწიფო მოღვაწეებს: აშოტ I-ს, ქართველთა სამეფოს აღმადგენელს; და-

<sup>1</sup> რომ ტიტული „მამფალი“ თავისი მნიშვნელობით უდრის ძველი იბერიის სახელისუფლო ტიტულს „პიტაჰში“. ეს დასტურდება სხვა მასალებითაც, რომლებიც ტაშირის (ქვემო-ქართლის) მფლობელთ ეხება. სამშვილდის სიონის წარწერაში მე-8 საუკუნისა (772 წლისა) ტაშირის მფლობელნი მოიხსენებიან როგორც „ნათესავით პიტაჰშინი“. (იხ. პ. ინგოროვეა, ძველ-ქართული მატაიანე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, გვ. 298); ხოლო ამავე ხანებში იგივე ტაშირის მფლობელნი მოიხსენებიან ტატულით „მამფალი“ (დავით და აბულ მამფალნი, დასახელებულნი ბონისის სიონის წარწერებში). იხ. აგრეთვე სტეფანოს ტარონელის (ასოლიკის) მატაიანე, სადაც ტაშირის მფლობელი მოიხსენება როგორც ტაშირის მამფალი (გვ. 257).

<sup>2</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 91—93.

<sup>3</sup> იხ. იქვე, გვ. 94.

<sup>4</sup> იხ. იქვე, გვ. 89.

ეთ დიდ კურაპალატს, რომელმაც ქართველთა სამეფოს სახელწოდება ეპისტამედ და არზრუმის მხარის დასავლეთ მიჯნამდე მიიტანა; და ბაგრატ III-ს, საქართველოს სამეფო-სამთავროთა გამაერთიანებელს ერთ-ერთ მთავარ გვარამ მამფალი, რასაკვირველია, არაა ასეთი დიდი რანგის მოღვაწე, მაგრამ ცხადია შემთხვევითი ამბავი არ იყო, რომ მას მიემართებოდა სახელწოდება „დიდი“.

ეს სახელწოდება „დიდი“ გვარამისათვის უწოდებიათ იმის გამო, რომ იგი ყოფილა შეურიგებელი მეზობელი არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ და ფაქტიური ხელმძღვანელი ანტი-არაბული ფრონტისა როგორც საქართველოში, ისე საერთოდ კავკასიაში.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ატარებდნენ ბაგრატ I და გვარამ მამფალი, ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ბაგრატ I არაბებთან ურთიერთობაში უფრო ელასტიურ პოლიტიკას ატარებდა, იგი მოხერხებით სარგებლობდა არაბთა შინაგანი განხეთქილებითა და უთანხმოებით. იმიტომ, რომ დაესუსტებინა თბილისში მჯდომი არაბთა ამირა, რომელიც ქართველთა სამეფოს ეცილებოდა საკუთრივ ქართლის ტერიტორიებს, ბაგრატ I ორჯონის მიემხრო ბაღდადის ხალიფის მიერ წარმოგზავნილ მხედართმთავარს, რომელიც თბილისის განდგომილი ამირას დასასჯელად იყო წარმოგზავნილი (842 და 853 წლებში). ამ მოხერხებული პოლიტიკის შედეგად ბაგრატ I-მა იმას მიაღწია, რომ შესძლო განემტკიცებინა თავისი გავლენა შიდა-ქართლში და შემოეერთებინა საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრალური ტერიტორია.

რაც შეეხება გვარამ მამფალს, იგი მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე არაბთა შეურიგებელი მეზობელი ყოფილა, რომელიც არავითარ ღრობით კომპრომისებზე არ მიდიოდა. ძველ-ქართული საისტორიო წყაროს ცნობის თანახმად არაბთა ხალიფის მხედართმთავარის ბუღა-თურქის დიდი ლაშქრობის დროს კავკასიაში 852 — 856 წლებში ანტი-არაბული მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელი მთელ კავკასიაში გვარამ მამფალი ყოფილა და მასთან ერთად სომხეთის მთავარი აბულ-აბასი.

განდგომა არაბთაგან საქართველოს მთიელებისა და ბუღა-თურქის ჯარების დამარცხება საქართველოს მთიანეთში გვარამ მამფალისა და მისი თანამოღვაწეების მოწყობილი იყო<sup>1</sup>.

ეს დამარცხება, რომელიც არაბებმა განიცადეს საქართველოს მთიელთაგან, იყო ერთ-ერთი მიზეზი ბუღა-თურქის მხედართმთავრობიდან გადაყენებისა და კავკასიიდან გაყვანისა. საქმის ვითარებაში კარგად ორიენტირებული არაბი მემკვიდრე იაკუბი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთიელთა წინართა მიერ უკუქცეული ბუღა-თურქი ხალიფმა მუტევაკილმა კავკასიიდან გაიყვანა<sup>2</sup>.

ბუღა-თურქის ლაშქრობის დროს კავკასიაში, რაც ოთხი წელი გაგრძელდა, არაბებმა, როგორც ცნობილია, შესძლეს დაეტყველებინათ მთავარი ხელმძღვანელები ანტი-არაბული მოძრაობისა კავკასიაში, როგორც ქართველები (მათ შორის განთქმული მოღვაწე კონსტანტი კახა), ისე სომხეთისა და არანის (ალ-

1 იხ. შატინე ქართლისა, გვ. \* 444/221 — 222.

2 იხ. J. Marquart, Steifzüge, გვ. 413 — 414.

ბანეთის) მთაერები, მაგრამ გვარამ მამფალის დამორჩილება და ხელში ჩაგდება არაბებს ვერ მოუხერხებიათ.

ბულა-თურქის კავკასიიდან წასვლის შემდეგ, გვარამი წარმალეხი მთაგრაობდა არაბებთან ბრძოლას. გვარამს ბრძოლით გაუნთავისუფლებია არაბთა მიერ დაპყრობილი მესხეთის აღმოსავლეთის სანაპიროები და ქვემო-ქართლის ტერიტორიები. შემატთან, ბულა-თურქის ლაშქრობათა მომდევნო ხანის შესახებ, შემდეგს ვაღმოგვეცემს:

„ხოლო გვარამს დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აშოცი და არტანი და ბრძოდა სარკინოზთა (არაბთა), ზოგჯერ სძლის გვარამ, და ზოგჯერ სარკინოზთა“<sup>1</sup>.

არაბებთან ამ ბრძოლების დროს გვარამს დაუმარცხებია არაბთა ამირა გიბულოცი, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერებული ყოფილა (შემატთანის სიტყვით იგი „განდიდებული იყო“) ტყვედ წამოუყვანია გაბულოცი და წარუგზავნია იგი დატყვევებული საბერძნეთში<sup>2</sup>.

ცხადია ამ შეუირვებელი ბრძოლებისათვის, რომელსაც აწარმოებდა გვარამ მამფალი არაბთა წინააღმდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე, მიეკუთვნება გვარამისათვის სახელწოდება „დიდი“, რა სახელწოდებითაც, როგორც აღვნიშნეთ, მას მოიხსენებს გიორგი მერჩულე.

### \*

გიორგი მერჩულის თხზულება ბევრ ძვირფას ცნობებს შეიცავს შინაური მშენებლობის შესახებ ქართველთა სამეფოში ბაგრატ I-ისა და მის თანამმართველთა ადარნერსე ხელმწიფისა და გვარამ მამფალის დროს.

შეიძლება ვადაუჭარბებლად ითქვას, რომ არც ერთი ჩვენ დრომდე მოღწეული საისტორიო წყარო ამ ხანისა არ ვგავარძნობინებს ისე ახლო ეპოქის სულს, როგორც გიორგი მერჩულის ძეგლი.

რამდენადაც გიორგი მერჩულის ძეგლი პირველ რიგში მიძღვნილია საეკლესიო მოღვაწის ცხოვრების აღწერისადმი, ბუნებრივია რომ აქ უმთავრესად ვაშუქებულია საეკლესიო მშენებლობა; მაგრამ ამასთან ერთად აქ ვეცნობით საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებსაც.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს განათლებისა და ქვეყნის კულტურის საერთო მაღალი დონე, რაც იგრძნობა გიორგი მერჩულის ძეგლის ცალკეული ცნობების მიხედვით.

ბაგრატ I-ის დროს წარმოებული სახელმწიფოებრივი მშენებლობის დარგიდან აქ ცალკე შეეჩერდებით ამ ეპოქის საკანონმდებლო საქმიანობაზე.

გიორგი მერჩულის ძეგლის მიხედვით ირკვევა, რომ ბაგრატ I-ის დროს ჩატარებულა დიდი საკანონმდებლო მუშაობა, რომლის შედეგადაც ჩვენი მწერლის ცნობით, მოღწეული ყოფილა „ყოვლისა ერისა სამართლით განკითხვა“. ამით შესრულდაო, ამბობს ჩვენი ავტორი, წერილის სიტყვაო: „განსაჯეთ მართალი სამართალით“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. შატავე ქართლისა, გვ. \* 445/223.

<sup>2</sup> იხ. იქვე.

<sup>3</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 69, —თ.



როგორც ირკვევა, ამ დროს, ქართველთა სამეფოს აღდგენის ამ პირველ ხანაში, საფუძველი ჩაეყარა მთელ ზიგ ინსტიტუტებს, რომლებიც მოქმედებდნენ შემდეგ, მომდევნო საუკუნეთა მანძილზე.

არაა ინტერესს მოკლებული გავითვალისწინოთ აქ ისტორია ერთ-ერთი ასეთი ინსტიტუტისა.

როგორც ცნობილია, ძველ საქართველოში, მე-12—13 საუკუნეებში, თამარის ეპოქაში, არსებობდა ინსტიტუტი სახელმწიფო ქველმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფისა, ღარიბ-ღატაკთა („გლახაკთა“) და ქვრივ-ობოლთა დახმარებისა. სპეციალურ თანხას, რომელიც სახელმწიფო შემოსავლიდან ყოველწლიურად გადაიდებოდა ამ მიზნისათვის, ეწოდებოდა „გლახაკთა ნაწილი“.

თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი მოგვითხრობს, რომ მეფის თამარის დროს — „ყოვლისა სამეფოისა მისისა შემოსავალი, რაიცა იყო შინათ და გარეთ, ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებულად, ერთისა ქრთილისა მარცვლამდეცა“, — ე. ი. სახელმწიფო შემოსავლის ერთი მეათედი სახელმწიფო ქველმოქმედებისთვის, ღარიბ-ღატაკთა დახმარებისათვის იყო გადადებული. სახელმწიფო აპარატში არსებობდა კიდევ ცალკე უწყება, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ დარგს, სახელმწიფო ქველმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის საქმეს.

საფიქრებელი იყო, რომ ეს ინსტიტუტი დაწესებული იქნა გვიან ხანაში, მე-12 საუკუნეში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში, როდესაც სახელმწიფოებრივმა წყობილებამ განვითარების განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია.

მაგრამ გიორგი მერჩულის თხზულებიდან ირკვევა, რომ ამ ინსტიტუტს უძველესი ისტორია ჰქონია.

სახელმწიფო ქველმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტი დაწესებული ყოფილა თავდაპირველად მე-9 საუკუნეში, ბაგრატ I-ის დროს, და ამ დროიდან მოკიდებული ეს ინსტიტუტი მოქმედებაში იყო ძველ საქართველოში ვიდრე მე-12 — 13 საუკუნეებამდე, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქამდე. (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 70, — 1).

5

**გადმოცემა, წარმოდგენილი გიორგი მერჩულის ძეგლში და სხვა ისტორიულ წყაროებში ქართველ მეფეთა გვარეულობის (ბაგრატიონთა სახლის) შთამომავლობა-სადაურობის შესახებ.**

მას შემდეგ, რაც გავეცანით ძირითად ცნობებს, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის ძეგლი ქართველთა სამეფოს აღდგენის პირველი პერიოდის შესახებ, აქ ჩვენ შევჩერდებით აგრეთვე ერთ ცალკეულ საკითხზე, — ისტო-

1 იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცნობება მეფეთ-მეფისა თამარისი, 1944 წ., გვ. 35, 11—21; 8. „მნათობი“, 74 1.

რიულ გადმოცემაზე ქართველ მეფეთა გვარეულობის შთამომავლობა სახელურობის შესახებ; ჩვენ განვიხილავთ ბაგრატიონთა გვარეულობის ისტორიას და კერძოდ გავარკვევთ კითხვას, თუ როდის წარმოიშვა და რა მუშაობის შედეგად შექმნილი იქნა მუშაობის ფართოდ გავრცელებული ლეგენდარული თქმულება, თითქოს ქართველ მეფეთა გვარი არის შთამომავალი დავით ისრაელთა მეფისა.

როგორც შემდეგ დავინახავთ, ამ თქმულებას კავშირი აქვს იმ იდეოლოგიასთან, რომელიც შეიქმნა ქართველთა სამეფოს აღდგენის დროს. თქმულება, როგორც შემდეგ გამოირკვევა, ჩამოყალიბდა მე-9 საუკუნის დასაწყისში და უსახვედა მიზნად ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის იდეის განმტკიცებას, რამდენადაც ქართველთა სამეფოს მეთაურნი აღიარებულნი იყვნენ როგორც „მეფე ნებითა ღმრთისათა“, როგორც პირდაპირი შთამომავალი თვით დავით მეფე-წინასწარმეტყველისა, რომელიც—ბიბლიურის თქმულებით—მეფედ დადგენილი და ცხებული იყო ღვთაების მიერ და რომელიც ხორციელი წინაპარი იყო თვით იესო ქრისტესი. ამ-რიგად ამით უარყოფილი იყო ყოველგვარი უფლებრივი დამოკიდებულება გარეშე ძალე-ბისაგან, ქართველთა სამეფო აღიარებული იყო როგორც დამოუკიდებელი, თვითმყოფი და თავის-თავადი.



ისტორიკ ბაგრატიონთა სახლისა ინტერესს წარმოადგენს როგორც საქართველოს, ისე საერთოდ კავკასიის ხალხთა ისტორიის თვალსაზრისით, რამდენადაც ბაგრატიონთა გვარეულობა დიდ როლს თამაშობდა არა მხოლოდ ძველი საქართველოს, არამედ აგრეთვე ძველი სომხეთის ისტორიაში.

ბაგრატიონთა გვარის აღზევება სჩანს იწყება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. ადრეულ საშუალო საუკუნეებში ბაგრატიონთა სახლი ცნობილი იყო საქართველოსა და სომხეთში როგორც უძლიერესი, უდიდესი გავლენის მქონე მთავართა გვარეულობა.

ხოლო უფრო გვიან ორივე შტო ბაგრატიონთა, — როგორც ქართველი ბაგრატიონები, ისე სომხეთა ბაგრატიონები, — მეფობას მიიღწევენ საქართველოში და სომხეთშიაც, სახელდობრ საქართველოში მე-9 საუკუნის დასაწყისში (ამოტ I დიდის დროს), ხოლო სომხეთში ოდნავ გვიან, მე-9 საუკუნის დასასრულს (885 წელს).

ვინ იყვნენ ბაგრატიონები წარმოშობით?

ამ საკითხზე, როგორც ცნობილია, დიდი ლიტერატურა არსებობს და ამ საკითხის გამო, როგორც შემდეგ გამოირკვევა, არა ერთი შემცდარი შეხედულება ყოფილა წარმოდგენილი.

საისტორიო წყაროების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად უცილობელად ირკვევა, რომ ბაგრატიონთა გვარეულობა ქართული წარმოშობისა იყო. რაც შეეხება სომხეთის ბაგრატიონებს, ისინი წარმოადგენდნენ ქართველ ბაგრატიონთა გვარეულობის განშტოებას.

ისტორია ბაგრატიონთა სახლისა საქართველოსა და სომხეთში ბევრნაირად არის საყურადღებო, რამდენადაც ამასთან დაკავშირებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული საკითხებისა ამ ორი მეზობელი ერის ისტორიული წარსულიდან.

საერთო სახელის ბაგრატიონთა შესახებ ჩვენ ქვემოთ ცალკე შევხებით. აქ კი ჯერ საუბარი გვექნება ბაგრატიონთა გვარეულობის ძირითადი მხარეების შესახებ, — საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო სახლის შესახებ.

ქართველ ბაგრატიონთა ძირითადი სამფლობელო მესხეთის მხარეში — „კლარჯეთის სახლი“.

თავდაპირველად რამდენიმე შენიშვნა იმის გამო, თუ სად მდებარეობდა ძირითადი სამფლობელო ქართველ ბაგრატიონთა.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ქართველი ბაგრატიონები, ვიდრე ისინი გახდებოდნენ ქართლის (იბერიის) ერისმთავარნი, და შემდეგ ქართლის (იბერიის) მეფენი, უფრო ადრე ყოფილან მთავრები მესხეთის მხარეთა.

ყველა არსებული მასალები, რომლებიც მოიპოვება ქართველ ბაგრატიონთა შესახებ ადრეულ საშუალ-საუკუნეებში ვიდრე მე-8 საუკუნის დასასრულამდე თანხმობით უჩვენებს, რომ ძირითადი საგვარეულო სამფლობელო ქართველ ბაგრატიონთა არის მესხეთის პროვინციები — კლარჯეთი — ჯავახეთი — სამცხე.

ცენტრი ბაგრატიონების ძირითადი საგვარეულო სამფლობელოსი, როგორც ირკვევა, იყო კლარჯეთი, კლარჯეთი ყოფილა რეზიდენცია ბაგრატიონთა გვარეულობის მფლობელ მთავართა; ამის გამო ამ სამფლობელოს „კლარჯეთის სახლი“ რქმევიან<sup>1</sup>.

1 რომ ბაგრატიონთა ძირითადი სამფლობელო მოიცავდა მესხეთის მხარეებს — „კლარჯეთის სახლი“, იხ. ამის შესახებ საისტორიო წყაროებში:

ა) ჯუანშერის ქრონიკა, გვ. \* 407/190 (ანასელი გვ. 143) სადაც დასაბუთებულია გვარამ I-ის ძირითადი სამფლობელო — მესხეთის მხარეები: 1. კლარჯეთის პროვინცია (რომელიც ამ ეპოქაში მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვიდან — არსიანის მთამდე, ე. ი. კანტონებს: ა. საყვირი კლარჯეთი, ბ. შავშეთი, გ. ნიგალი, დ. „საზღვარი ქართლისა სპერი“, იხ. იქვე გვ. \* 414/196) და 2. ჯავახეთის პროვინცია (რომელიც ამ ეპოქაში მოიცავდა ჯავახეთისა და არტაანის კანტონებს).

ბ) ჯუანშერის ქრონიკა, გვ. \* 414/196, ცნობა სტეფანოს I-ის შემკვიდრეთა შესახებ, რომელიც, მას შემდეგ, რაც მათ სახლს ჩამოერთვა ქართლის (იბერიის) ერისმთავრობა, ისევ თავის ძველ სამფლობელოში — კლარჯეთში მკვიდრობენ.

გ) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტექსტი, — ჯუანშერის ქრონიკაში ჩართული ექსცერპტი მე-8 საუკუნის მატიანისა, მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. \* 432/211, ცნობა ბაგრატიონთა სახლის ძირითადი სამფლობელოს „კლარჯეთის სახლი“-ს შესახებ (იხ. პ. ინგოროვია, ძველ-ქართული მატიანე მოქცევა ქართლისა და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, გვ. 296. შენიშვნა 3, და ქვემოთ გვ. 116.).

დ) ცხრობა ვახტანგ გორგასარისა, — ცნობა „ბიზანტიანი სეფეწული“-ს სამცხის ერისთავის შესახებ (გვ. \* 322/134, \* 371/166 და შენიშვნა 5, \* 377/170, \* 394/181, \* 399/185). ბიზანტი — საგვარეულო სახელია ბაგრატიონთა სახლისა. ამ საისტორიო ტრადიციის თანახმად, რომელიც დატულია ვახტანგ გორგასარის ცხრობაში, სამცხის ერისთავთა სახლი ბაგრატიონთა გვარეულობას ეკუთვნოდა.

ე) მატიანე ქართლისა გვ. \* 441/218—219, რომლის თანახმად აღიარებენ ბაგრატიონის სამფლობელო იყო მესხეთის ქვეყნები: „ანასამლი კლარჯეთისა, აჭარისა, სივალისა, არსისფორისა, არტაანისა და ქვემოტაოსა“, რეზიდენციით კლარჯეთში.



რატინი სეფე-წული<sup>1</sup>. ხოლო ძველს იბერიაში „სეფე-წული“ ეწოდებოდა სამეფო გვარეულობის შთამომავალს; „ბიერატინი სეფე-წული“ აქ ფარნავაზიანთა სამეფო გვარის შთამომავლად არის წარმოდგენილი.

2. სებეოსის მატინის შესავალი. — საისტორიო ძეგლში, რომელსაც სეპსკა ვალის სახით არის ჩართული სებეოსის მატინაში და რომელიც სებეოსის ანონიმის სახელით არის ცნობილი (იგი ეკუთვნის ადრეულ საშუალ-საუკუნეებს), აღნიშნულია ბაგრატიონთა გვარის შთამომავლობა ფარნავაზისაგან. აქ წარმოდგენილია შემდეგი გენეალოგია ბაგრატიონთა გვარისა: „ფარნავაზ შვა ბავამ და ბაგარატი; ბაგარატ შვა ბიერატი; ბიერატ შვა ასპატი“ (იხ. სებეოსის ანონიმი, განყ. I). ამავე საისტორიო ძეგლში ბაგრატიონთა წინაპარს — ეპონიმს ბაგრატს (ბაგარატს) პირდაპირ ეწოდება ფარნავაზიანი („ბაგარატ ფარ[ნ]ავაზიანი“ — იხ. სებეოსის ანონიმი, იქვე, განყ. II).

3. მე-12 — 13 საუკუნეთა ქართველი ავტორი არსენი მეტაფრასტი, ავტორი ნინოს ცხოვრებისა, უწყებაში, რომელიც დაართული აქვს ნინოს ცხოვრებას, და რომელიც ქართველთა ტომისა და ქართველი მეფეების შთამომავლობას ეხება, აღნიშნულია: „ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა [აზო—ფარნავაზიანთა] შვილის-შვილნი არიან“<sup>2</sup>.

ამას სწერს არსენი მეტაფრასტი მე-12 — 13 საუკუნეებში, ე. ი. როდესაც საქართველოში უკვე ოთხი საუკუნის მანძილზე ბაგრატიონები მეფობდნენ. ამ-რიგად არსენი მეტაფრასტის ამ უწყების თანახმად ბაგრატიონნი არიან პირდაპირი შთამომავალნი აზო-ფარნავაზიანთა სამეფო სახლისა.



მას შემდეგ, რაც ირკვევა, რომ ბაგრატიონთა გვარეულობა არის შტო ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიისა, გასაგებია ამის შემდეგ იგივეობა ისტორიული გადმოცემებისა, რომლებიც არსებობენ ფარნავაზიანთა დინასტიის შესახებ და ბაგრატიონთა გვარეულობის შესახებ.

გავეცნოთ ამ გადმოცემებს.



გადმოცემა ქართველი ხალხის გადმოცემების შესახებ სამხრეთიდან (არიან — ქართლიდან) აზო-ფარნავაზიანთა დინასტიის მეთაურობით.

უძველეს ქართულ საერო მატინაში, რომელსაც ეწოდება „მოქცევა ქართლისა“, და აგრეთვე მის მიმდგომ სხვა ძველ ქართულ ტექსტებში (შატბერ-დულ-ჰელიმური ნინოს ცხოვრება, არსენი მეტაფრასტის ტექსტი) — დაცულია უაღრესად მნიშვნელოვანი საისტორიო გადმოცემა ქართველი ხალხის გადმოსახლების შესახებ სამხრეთიდან „არიან — ქართლიდან“ აზო-ფარნავაზიანთა დინასტიის მეთაურობით.

ეს გადმოცემა შემდეგნაირად არის ფიქსირებული „ქართლის მოქცევის“ მატინაში.

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 115, შენიშვნა 1.

<sup>2</sup> იხ. პ. ინგოროვცა, ძველ-ქართული მატინა „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, გვ. 283.

„აზო, ძე არიან-ქართლისა მეფისა... წარვიდა არიან-ქართლად მამისა თვისისა, და წარმოიყვანა ათასი სახლი მდებარე უფლისა და ათნი სახლინი მამა-მამუქითანი, და დაჯდა ძველმცხეთას, და თანა-ზევანდეს კერპნი ღმერთად გაცი და ვა.

„და ეს იყო პირველი მეფე მცხეთას შინა, აზო, ძე არიან ქართველთა მცხეთისა და მოყვდა.

„და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ — წინაპარი მეფეთა ქართლისათა ფარნავაზიანთა“<sup>1</sup>.

ამრიგად ამ უპირატესად მნიშვნელოვანი საისტორიო გადმოცემის თანახმად, რომელიც ქართველი ხალხის უძველეს ეროვნულ თქმულებას წარმოადგენს, ქართველები გადმოსახლებულან თანამედროვე მიწა-წყალზე სამხრეთიდან, რომელიც კვეყნიდან, რომელსაც გადმოცემა „არიან-ქართლის“-ს სახელით ნათლავს. ეს გადმოსახლება ვითომც მომხდარა აზო-ფარნავაზიანთა დინასტიის წინაპარის მეთაურობით.

გავეცნოთ ამის შემდეგ ანალოგიურ ისტორიულ გადმოცემას ბავრაციონთა გვარეულობის შესახებ.

#### დ.

გადმოცემა ქართველი ხალხის გადმოსახლების შესახებ სამხრეთიდან (იერუსალიმიდან) ბავრაციონთა გვარეულობის წინაპართა მეთაურობით.

ეს მეორე გადმოცემა, იმ სახით, როგორც იგი გავრცელებული ყოფილა საქართველოში მეათე საუკუნეში, ჩაწერილი აქვს 952 წელს ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე პორფიროგენეტს თავის ცნობილ ძეგლში (De administrando imperio) იბერიელთა მონათხრობის მიხედვით.

მოგვეყვას კონსტანტინე პორფიროგენეტის ტექსტი:

„უნდა ვიცოდეთ, რომ იბერიელები, ეს ი. კურაპალატისანი (ქართველთა სამეფოს მკვიდრნი) ამჟამინდელ (თავის თავს განდიდებენ) იმით, რომ არიან შთამომავალი ჰერის (ხეთელის) მეუღლის (ბერსავისის), რომელიც შეირთა მეფემ და წინასწარმეტყველმა დაეთიმა; სახელდობრ ისინი (იბერიელები) ამტკიცებენ, რომ არიან შთამომავალი შეილებისა, რომელიც მას (ბერსავისა ხეთელს) შეეძინა დაეთისაგან. ამიტომაც ისინი უწოდებენ თავის თავს დაეთ მეფისა და წინასწარმეტყველის ნათესავს, და აქედან ყოველად-წმიდა ღმერთის-შობელის ნათესავსაც, რადგან ისიც (ღმერთის-შობელი) დაეთისაგან არის წარმოშობილი... ისინი (იბერიელები) მოგვითხრობენ, რომ მათი ტომი იერუსალიმიდან არის მოსული, რომ ისინი (იბერიელები) წამოვიდნენ იერუსალიმიდან (ღმერთის ბრძანების მომასწავებელი) სიზრების ჩვენებით და დაესახლნენ სპარსეთის მხარეებთან. ე. ი. კვეყანაში, სადაც ამჟამად მკვიდრობენ. ეს (ღმერთის ბრძანების მომასწავებელი) სიზრის ჩვენება რომ მიიღეს, და იერუსალიმიდან რომ წამოვიდნენ, იყვნენ (იბერთა წინამძღოლი) დაეთი და ძმა მისი სანდიტატი; ამ სანდიტატმა, როგორც ამის შესახებ მოგვითხრობენ თვით იბერიელები, მიიღო ღმერთისაგან წყალობად, რომ მას ბრძოლებში ზღაღივერ დაუზიანებდა ხეულის ვერც ერთ ნაწილს, ვარდა გულისა, რომელსაც იგი ბრძოლებს დროს იტყვდა რაღაც (განსაკუთრებული) საფარით. ამიტომაც იყო, რომ ასე ძალიან ეშინოდათ მისი სპარსელებს, მან (სანდიტატმა) გაიმარჯვა კიდევ სპარსელებზე და სძლია ისინი და თავისი თანამონათესავე იბერიელები დაასახლა ძველად მისადგომადგომლებში, სადაც ისინი დღემდე მკვიდრობენ. აქედან მათ თანდათან გააფართოვეს თავისი საზღვრები, გამრავლდნენ და გადაიქცნენ დიდ ხალხად...

„ვინაიდან იბერიელები, როგორც თვითვე ამბობენ, შთამომავლობით იერუსალიმიდან არიან, ამის გამო მათ აქვთ დიდი სიფაჩული მისი (იერუსალიმისა) და უფლისა.

<sup>1</sup> იხ იქვე, გვ. 260.

იესო ქრისტეს საფლავისა (იერუსალიმში) და განსაზღვრულ დროებში უზღვედ უზრუნველ ფულს წმინდა ქალაქის (იერუსალიმის) პატრიარქსა და იჭაურ ქრისტიანებს.  
 „დასახელებულ დაეთოს, სპანდიატის ძმას, ყაედა შვილი ბაგრატი. შვილი ამოტი. სპანდიატი კი, ძმა დასახელებული დაეთისაჲ უზღვედელ...“<sup>1</sup>

არაა საჭირო სიტყვის გაგრძელება იმის შესახებ, რომ ეს მეორე თქმულება ქართველი ხალხის სამხრეთიდან (იერუსალიმიდან) გადმოსახლების შესახებ ბაგრატიონთა გვარეულობის მეთაურობით არის ვარაიაცია, შემდგომი ზანის შეცვლილი სახეობა ძველი საისტორიო გადმოცემისა ქართველი ხალხის სამხრეთიდან—„არიან-ქართლიდან“—გადმოსახლების შესახებ ფარნაევაზიანთა (აზო-ფარნაევაზიანთა) დინასტიის მეთაურობით.

რაკი ბაგრატიონთა გვარი ძველ-ქართული ფარნაევაზიანთა დინასტიის განშტოებას წარმოადგენდა, გასაგებია ამის შემდეგ, რომ ბაგრატიონთა გვარის შესახებაც იმავე სახის თქმულება ყოფილა გავრცელებული, რაც ფარნაევაზიანთა დინასტიის შესახებ.



განვიხილოთ ამის შემდეგ უფრო დაწერილებით ის ცვლილებანი, რომელიც დასახელებულ თქმულებას თანდათანობით განუცდია დროთა განმავლობაში.

1. როგორც ვნახეთ, თქმულების უფრო ძველ ვერსიაში, რომელიც აზო-ფარნაევაზიანთა დინასტიის ეხება და რომელიც დაცულია „მოქცევა ქართლისა“-ის მატრიანეში და მის მიმდგომ წყაროებში, ქართველთა პირვანდელ სამშობლოს ეწოდება „არიან-ქართლი“. როგორც ამის შესახებ სხვა ადგილას გვაქვს საუბარი, „არიან-ქართლი“-ს სახელწოდებით სჩანს იგულისხმება ხეთა-ურარტუს მსოფლიო. „არიან-ქართლი“ სჩანს არის ბიბლიაში დასახელებული „ურ-ქაშდ[იმ]“, რომელი სახელწოდების მეორე ნაწილს „ქაშდ[იმ]“ = „ქართ[ი]“ ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი უკავშირებენ ქართველების სატომო სახელთან „ქართ-ი“. სახელწოდება „ურ-ქაშდ“-ის დერივატულ ფორმებად სავარაუდებელია \* ჰურ-ქართ // \* ჰურ-არტ // ჰურ-არტაანი<sup>2</sup>. თუ სად მდებარეობდა ბიბლიაში დასახელებული ეს ქვეყანა, ამის შესახებ მეცნიერებაში სხვადასხვა შეხედულებები იყო გამოთქმული, ზოგი მას ურარტუსთან აიგივებს, ზოგი კი მესობოტამიაში მდებარე ქალაქ „ურუ“-ს მზარედ სთვლის<sup>3</sup>.

2. ბაგრატიონთა შესახებ თქმულებაში ქართველების პირვანდელ სამშობლოდ, ნაცვლად „არიან-ქართლი“-სა, დასახელებულია იერუსალიმი (კონსტანტინე პორფიროგენეტის ზემოთ-დასახელებულ ტექსტში) ან და, რაც იგივეა, „ქვეყანა ფილისტიმი“ — ჰურიასტანი (სუშმატ დაეთის-ძის მატრიანე). შეცვლა „არიან-ქართლი“-სა იერუსალიმით, ანუ რაც იგივე ფილისტიმით—ჰურიასტანით, წარმოადგენს თქმულების შემდგომს ქრისტიანიზაციას. რასაკვირვე-

1 იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit., თავი 45, გვ. 197—8.

2 იხ. ნ. მარი, Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка, გვ. 5. შენიშვნა, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913 წ., გვ. 34, 3. ინგოროვეა, ძველ-ქართული მატრიანე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ზანის იბერიის მეფეთა სია. გვ. 319.

3 იხ. ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 34.





მულის გამოძებნა ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობის იდეის გასამართლებლად და განსამტკიცებლად. და შემთხვევითი კი არ არის ფაქტუალური, რომ ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი *სტრატეგის* ტიტ მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ამაყობდნენ ქართველები იმით, რომ „უწოდებენ თავის-თავს დავით მეფისა და წინასწარმეტყველის ნათესავს, და აქედან ყოვლად-წმიდა ღმრთის-მშობლის ნათესავსაც, რადგან ისიც (ღმრთის-მშობელი) — დავითისაგან არის წარმოშობილი“. ამასვე ვადმოგვცემს აგრეთვე ამ ეპოქის ქართული მატიაწე, სადაც ბაგრატიონთა შესახებ აღნიშნულია „ვითარმედ არიან ივინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყველისა, რომელი იგი ზორციელად მამად ღმრთისად იწოდა“<sup>1</sup>.

უძველესი ლიტერატურული წყაროები, სადაც ვადმოცემულია ეს თქმულება ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან შთამომავლობის შესახებ, ეკუთვნის მე-9 — 10 საუკუნეებს; მათ შორის მთავარია ორი:

1. ქართული — გიორგი მერჩულის თხზულება — 950 წლისა.
2. ბერძნული — კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულება — 952 წლისა.

ამას გარდა მოკლე გლოსა ამის შესახებ ჩართულია ქართული მატიაწის ტექსტში, ჯუანშერის ქრონიკაში, რომელიც მე-9 საუკუნის მეორე ნახევარს (872 — 907 წ.წ.) ეკუთვნის<sup>2</sup>.

ეს თქმულება ჩვენ დრომდე გადაჩენილი ლიტერატურულ წყაროებში თუმცა პირველად მე-9 საუკუნის მეორე ნახევრისათვის არის დამოწმებული, მაგრამ ირკვევა, რომ იგი წარმოშობილია ამაზე ადრე, ქართველთა სამეფოს აღდგენის პირველ პერიოდშივე, აშოტ I დიდის დროს. ამას ადასტურებს ჯერ ერთი მატერიალური კულტურის ძეგლი აშოტ I დიდის დროისა, და ამას გარდა ამასვე ეთანხმება აგრეთვე ჩვენება გიორგი მერჩულის თხზულებისა.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა ოპიზის ბარელიეფი აშოტ I დიდის ხანისა, რომელიც ეკუთვნის 818 წლის ახლო დროს, და სადაც აშოტ I წარმოდგენილია როგორც შთამომავალი დავით მეფე-წინასწარმეტყველისა და ნათესავი ქრისტესი. (ბარელიეფზე, როგორც მოვიხსენეთ, წარმოდგენილია ჯგუფი: შუაში ტახტზე ზის ქრისტე, რომლის ერთ მხარეზე სდგას აშოტ I დიდი, ოპიზის ტაძრის გამოსახულებით, ხოლო მეორე მხარეზე წარმოდგენილია დავით წინასწარმეტყველი, როგორც წინაპარი აშოტ I-ისა და ქრისტესი, რომლის მეშვეობით აშოტ I ენათესავება ქრისტეს).

რაც შეეხება გიორგი მერჩულის თხზულებას, აქაც ეს საკრალური ფორმულა ქართველ მეფეთა შთამომავლობის შესახებ დავით მეფე წინასწარმეტყველისაგან ვადმოცემულია სწორედ მაშინ, როდესაც ავტორი ქართველთა სამეფოს აღმადგენელს აშოტ I დიდს ეხება, სახელდობრ როდესაც გიორგი მერჩულე მოგვითხრობს აშოტ I-ისა და გრიგოლ ხანძთელის შეხვედრის შესახებ.

აღწერა ამ შეხვედრისა — ბიბლიურ ხაზებში ვაშლილი — ბევრნაირად არის საინტერესო ამ ეპოქის იდეოლოგიის გასაცნობად.

გიორგი მერჩულეს ამ შეხვედრის აღწერის დროს აშოტ I წარმოდგენილი ჰყავს როგორც „მეფე ნებითა ღმრთისაითა“, დამოუკიდებელი ქვეყნის დამო-

<sup>1</sup> იხ. მატიაწე ქართლისა გვ. \* 440/218.

<sup>2</sup> გვ. \* 430/209.

უკიდებელი ხელმწიფე, რომლის უფლება მომდინარეობს მხოლოდ ღირსი-საგან; ავტორის წარმოდგენით ქართველთა მეფე, როგორც შთამომავალ დავით მეფე-წინასწარმეტყველისა, არის სწორი მეფეთა ალტმულერ ქვეყნის მეფეთა ისრაელისათა, რომელნიც ბიბლიის თანახმად, თვით უფლის მიერ იყენენ მეფედ ცხებულნი.

ხოლო გრიგოლ ხანძთელი ავტორს წარმოდგენილი ჰყავს როგორც სულიერი მოძღვარი ერისა, მოსილი ისეთივე ავტორიტეტით, როგორც ბიბლიური წინასწარმეტყველნი.

ამ შეხედრის დროს აშოტ I, მსგავსად ისრაელის მეფეთა, შემდეგის სიტყვებით მიმართავს გრიგოლ ხანძთელს, როგორც ახალს წინასწარმეტყველს:

„მეფეთა ისრაელისათა ეამად-ეამად (დრო და დრო) წინასწარმეტყველი აღუდგინის ღმერთმან სიქადულად მათდა, ზღუდელ შჯულისა და შესაწევნელად მორწმუნეთა... ეგრეთვე ეამთა ჩვენთა შენ გამოგაჩინა... ქრისტიანეთა სიქადულად...“<sup>1</sup>

ხოლო გრიგოლ ხანძთელი, როგორც მოძღვარი ერისა, საპასუხო სიტყვაში ასე მიმართავს აშოტ I-ს:

„დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულ ხელმწიფეო, მეფობა და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან..., რომლისათვისცა ამას მოგახსენებ: არა მოაკლდეს მთავრობა შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა (ქართველთა) ქვეყანათა ამათ უკუნისამდე ეამთა, არამედ იყენენ იგინი მტკიცედ უფროს კლდეთა მყართა და მათთა საუკუნეთა, და დიდებულ იყენენ უკუნისამდე“<sup>2</sup>.

რასაკვირველია შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ გიორგი მერჩულე ამ საკრალურ ფორმულას ქართველ მეფეთა დავით წინასწარმეტყველისაგან შთამომავლობის შესახებ გრიგოლ ხანძთელს მიაწერს.

ეს შეხედულება შესაძლოა სპორადულად წინადაც იყო გამოთქმული, მაგრამ მისი საბოლოოდ ჩამოყალიბება როგორც იდეოლოგიური ბაზისისა ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის იდეის განსამტკიცებლად, სჩანს, უნდა მიეკუთვნოს გრიგოლ ხანძთელსა და მის სკოლას.

გრიგოლ ხანძთელი თავისი ეპოქის იდეოლოგიური ცხოვრების ნამდვილი მეთაური და ხელმძღვანელი იყო.

გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულის დახასიათებით — „მადლითა სავსე, განსრულებული სიბრძნითა, კეთილად განმგებელი მოღვაწე და უდაბნოთა ქალაქ-მოფელი“, რომელსაც ჩვენი ავტორი ერის მოძღვრად დაგვისახავს, დიდი პატრიოტული სულისკვებით შთაგონებული მოღვაწეა. გრიგოლ ხანძთელის დიდი პატრიოტიზმი იგრძნობა კერძოდ მისი ჰიმნებიდან, რომელთა შესახებ ქვემოთ გვაქვს საუბარი. გრიგოლ ხანძთელისათვის უადრესად ახლო ყოფილა ქართველთა სამეფოს სახელმწიფო მშენებლობის საქმე. იმავე გიორგი მერჩულეს მოთხრობილი აქვს, რომ როდესაც აშოტ I-ის არაბებთან ომში დაღუპვის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი მემკვიდრე ბაგრატ I, გრიგოლ ხანძთელმა მიუძღვნა მას „ჯერისაგებრი შესხმაა“. გიორგი მერჩულის სიტყვით გრიგოლ ხანძთელის „ქებაა იგი შესხმისაა ეამისა მის ბრძენთა მიერ შეუცა-

<sup>1</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 40.

<sup>2</sup> იხ. იქვე.

ვი“ იყო, ე. ი. ეს შესხმა იყო იმდენად ღრმა შინაარსისა, რომ თავით იმდენად ინდელ ბრძენთათვისაც კი „შეუცავი“, მიუწვდომელი იყო.

სამწუხაროდ რა შინაარსისა იყო ეს — „შესხმა ქებისა“<sup>1</sup> მხრისა და მხრისა თელისა, რომელიც საფიქრებელია წერილობითად იყო აღბეჭდილი, და რომელიც ამათემ სახით (წერილობით თუ გადმოცემით) სცნობია გიორგი მერჩულეს, ჩვენთვის უცნობი რჩება; მაგრამ ერთი რამ შესაძლოა ითქვას, რომ ეს „შესხმა“, მიძღვნილი ქართველთა სამეფოს მეთაურის ბაგრატ I-ისადმი, ცხადია იმავე პატრიოტული სულით იყო შთაგონებული, რომლითაც გამაჰკვალულია გრიგოლ ხანძთელის სიტყვები, მიმართული აშოტ I დიდისადმი, სადაც იგი ქართველთა ქვეყანას უსურვებს იყვეს „მტკიცედ უფროის კლდეთა მყართა და მათთა საუკუნეთა.“



ჩვენ ამით დავასრულებთ განხილვას საისტორიო ცნობებისას და უძველეს გადმოცემათა და თქმულებათა, რომლებიც ეხება ქართველ მეფეთა სახლს, ბაგრატიონთა გვარეულობას.

ირკვევა მაშასადამე შემდეგი:

1. ქართველ ბაგრატიონთა თავდაპირველი საგვარეულო სამფლობელო არის მესხეთის მხარენი — „კლარჯეთის სახლი“.

2. ბაგრატიონთა გვარეულობა არის განშტოება ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიისა, რომელიც მეფობდა იბერიაში ანტიკური ხანიდან მოყოლებული ვიდრე საშუალ საუკუნეებამდე (მე-9 საუკუნის დასაწყისამდე ა. წ.).

3. ბაგრატიონები, განშტოება ფარნავაზიანთა დინასტიისა, ფარნავაზიანთა ძირითად შტოს მეფობის დროს ყოფილან „პიტიახშები“, მმართველი მთავრები მესხეთის მხარეთა, „კლარჯეთის სახლი“-სა. უფრო გვიან ბაგრატიონები გახდებიან ქართლის (იბერიის) ერისმთავარნი, ხოლო შემდეგ ქართლის (იბერიის) მეფენი.

4. საისტორიო თქმულებანი, რომლებიც არსებობენ ფარნავაზიანთა დინასტიის და მათი განშტოების ბაგრატიონთა გვარეულობის შესახებ, დაკავშირებულია ქართველი ხალხის უძველეს ეროვნულ საისტორიო გადმოცემასთან ქართველი ხალხის სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ.

ამ საისტორიო გადმოცემას შემდეგი ცვლილებანი განუცდია დროთა განმავლობაში:

ა. გადმოცემის უფრო ძველ ვერსიაში ქართველი ხალხის პირვანდელ სამშობლოს ეწოდება „არიან-ქართლი“ (=ურ-ქაშდომ, ჰურ-ქართი).

ბ. გადმოცემის შემდგომი ხანის ვერსიაში სახელი ქვეყნისა „არიან-ქართლი“ (ურ-ქაშდომ, ჰურ-ქართი), როგორც გაუგებარი, გადაკეთებულია უფრო ნაცნობი სახელით ჰურისტანი, იერუსალიმი.

გ. გადმოცემის მესამე, კიდევ უფრო გვიანი ხანის ვერსიაში ქართველებისა და ბაგრატიონთა გვარის გენეალოგია დაკავშირებულია დავით წინასწარმეტყველთან, ჰურისტანის მეფესთან. თქმულების ეს მესამე გვიანდელი ვერსია, რომელიც ფიქსირებულია კონსტანტინე პორფიროგენეტისა და გიორგი მერჩულის თხზულებაში, — ჩამოყალიბებულია მას შემდეგ, რაც აღდგენილ იქმნა ქართველთა სამეფო და ბაგრატიონთა გვარეულობამ მეფის ხარისხი მიიღო.

<sup>1</sup> იხ. იქვე, გვ. 62.

თქმულემა გადაკეთებულა იმ მიზნით, რომ გაამართლოს ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობა და თვითმყოფობა, რამდენადაც ქართველთა საქმეებსა და თაურნი აღიარებულნი არიან როგორც მეფენი „ნებითა ღმრთისაჲსა“ (ქართული ვარცხნილი პირდაპირი შტო დავით მეფე-წინასწარმეტყველისა, რომელიც ბიბლიის სიტყვით, ცხებული იყო თვით ღვთაების მიერ.

## 3.

შენიშვნა ბაგრატიონთა გვარეულობის  
სომხური შტოს შესახებ

დაკავშირებით იმ საკითხებთან, რაც ზემოთ იყო განხილული, აქ საჭიროა, მიმოხილვის სისრულისათვის, შევეხეთ აგრეთვე საკითხსაც ბაგრატიონთა გვარეულობის სომხეთის შტოს შესახებ.

სომხეთის ბაგრატიონთა შესახებ დიდი ლიტერატურა არსებობს და მათი წარმოშობის საკითხის გამო ბევრი შემცდარი შეხედულება იყო წარმოდგენილი.

მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ბაგრატიონთა გვარეულობა ქართული წარმოშობისა ყოფილა და ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიის განშტოებას წარმოადგენდა, ჩვენ აქ დავერჩენია პასუხი გავსცეთ შემდეგ საკითხებზე:

ა. როდის მოხდა სომხეთის ბაგრატიონთა გამოყოფა საქართველოს ბაგრატიონთა გვარეულობიდან.

ბ. შენახულა თუ არა სომხურ საისტორიო წყაროებში ჩვენებანი, თქმულებანი ან საისტორიო გაღმოცემანი, რაც სომხეთის ბაგრატიონთა საქართველოდან წარმომავლობას ადასტურებდეს.

იმისათვის, რომ პასუხი გავსცეთ პირველ კითხვაზე, — თუ როდის მოხდა სომხეთის ბაგრატიონთა გვარეულობის გამოყოფა საქართველოს ბაგრატიონთა გვარეულობიდან, ამისათვის ჯერ საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ სად იყო ძირეული სამკვიდრო სამფლობელო სომხეთის ბაგრატიონთა.

ადრეულ საშუალ-საუწყუნეებში ბაგრატიონთა სამფლობელოები სომხეთში მდებარეობდა სამ პროვინციაში: სპერის პროვინციაში, კოგის პროვინციაში და ბაგრევიანდის პროვინციაში.

ამათგან უკანასკნელი ორი პროვინცია — კოგისა და ბაგრევიანდისა (რომლებიც აირარატის მხარის ნაწილს შეადგენდნენ) — არაა ბაგრატიონთა თავდაპირველი სამფლობელო.

ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის ცნობის თანახმად კოგის პროვინცია, რომლის ცენტრი იყო ვანთქმული ციხე-სიმაგრე დარონქი (ეხლანდელი ბაიანთი), შეადგენდა სომხეთის სამეფო გვარეულობის არშაკიდების სამფლობელოს<sup>1</sup>; ეს პროვინცია გადასულა ბაგრატიონთა ხელში მას შემდეგ, რაც სომხეთში დაეცა არშაკიდების სამეფო.

რაც შეეხება ბაგრევიანდის პროვინციას, იგი, როგორც ეს ირკვევა ისტორიკოსის ლაზარე ფარაბელის ცნობების მიხედვით, მე-4 საუკუნეში ეკლესიის სამფლობელო ყოფილა და ეს კუთხეც უფრო გვიან გადასულა ბაგრატიონთა მფლობელობაში, ბაგრატიონთა გვარის გავლენის გაძლიერების შემდეგ.

<sup>1</sup> იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, 1883წ., V, 1, გვ. 157.

თავდაპირველი ძირითადი სამფლობელო სომხეთის ბაგრატიონებისა არის სომხეთის სპერის პროვინცია. რომ სწორედ სპერის პროვინცია შეადგენდა სომხეთის ბაგრატიონთა ძირითადს თავდაპირველ სამეფოს, ანუ ადასტურებს ჩვენება სომხის ისტორიკოსის ფაესტოს ბიზანტიელისა<sup>1</sup>; და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამასვე ადასტურებს აგრეთვე სომხეთი ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიკოსი — მოსე ხორენელი<sup>2</sup>.

სომხეთის სპერის პროვინცია მდებარეობდა ჭოროხის ხეობის სათავეებში. მთავარი პუნქტი სომხეთის სპერის პროვინციისა იყო ქალაქი ბაიბერდი (თანამედროვე ბაიბურთი).

როგორც ეს ირკვევა სტრაბონის ცნობათა მიხედვით, სპერის პროვინცია ვიდრე მეორე — პირველ საუკუნეებამდე ძველი წელთაღრიცხვისა ეკუთვნოდა ბერძენებს, ხოლო შემდეგ იგი დაპყრობილი იყო სომხეთის მიერ.

როგორც ცნობილია, სომხეთმა მეორე — პირველ საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა, ჯერ როდესაც ჩამოყალიბდა სომხეთის სახელმწიფო, ხოლო შემდეგ ტიგრან დიდის დროს, დიდი ექსპანსია განავითარა. სომხეთმა ამ დროს შეიერთა სანაპირო ტერიტორიები ირანიდან (მიდიდან), სირიიდან, ალბანეთიდან, იბერიიდან და ხელობთა ჯგუფის ტომების ტერიტორიებიდან.

კერძოდ იბერიიდან ამ დროს სომხეთმა შეიერთა შემდეგი მხარეები:<sup>3</sup>

1. გოგარენის პროვინცია, — რომელიც მდებარეობდა მტკვრის ხეობაში (იგი მოიცავდა თანამედროვე ყაზახის მხარის ტერიტორიას)<sup>4</sup>;

2. ხორძენის პროვინცია, რომელიც მდებარეობდა მდინარე ეფრატის ხეობაში<sup>5</sup>;

3. ბასიანის მხარე და მიმდგომი თემები მდინარე არაქსის ხეობაში<sup>6</sup>;

4. სპერის პროვინცია — მდინარე ჭოროხის სათავეებში<sup>7</sup>.

ამ მხარეების შემდგომი თავგადასავალი სხვადასხვანაირი იყო.

ხორძენის პროვინცია, რომელიც ეფრატის ხეობაში მდებარეობდა, სომხეთის ფარგლებში დარჩა;

გოგარენის პროვინცია ისევ დაიბრუნა იბერიამ მეოთხე საუკუნეში;

არაქსის ხეობაში მდებარე მხარეთა ერთი ნაწილი (ბასიანი) იბერიამ დაიბრუნა მათე საუკუნეში;

1 იხ. ფაესტოს ბიზანტიელი, V. 44. გვ. 216.

2 იხ. მოსე ხორენელი, II, 3, 37, 63 III, 43.

3 სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI, თავი XIV, 5, თავი IV, 8.

4 გოგარენის პროვინცია, როგორც ეს ირკვევა ფაესტოს ბიზანტიელის ცნობათა მიხედვით, შეიცავდა ორ კანტონს, — ძორის და კოლბის თემებს, — რაც თანამედროვე ყაზახის მხარის ტერიტორიას მოიცავს. (იხ. ამის შესახებ უფრო დამწერლობით ქვემოთ).

5 ზორძენი შემდეგ შედიოდა ეგრეთწოდებული მეოთხე სომხეთის ოლქის შემადგენლობაში (იხ. სომხური გეოგრაფია IX საუკუნისა, 1881 წ., გვ. 30, 1865 წ. გვ. 607).

6 სტრაბონის მიერ მოხსენებული პარიადრის მთის რაიონები (წიგნი XI, თავი XIV, 5), როგორც ირკვევა, ესაზღვრებოდა ზორძენის პროვინციას (რომელიც იბერიის ნაწილს შეადგენდა) და მასწავლამე მოიცავდა ბასიანის მხარესა და მიმდგომ თემებს არაქსის ხეობაში.

7 რომ სპერის პროვინცია I საუკუნეში (მე. წ.) უკვე სომხეთს ეკირა, ეს სწავს სტრაბონის გეოგრაფიის ტექსტიდან (წიგნი XI, თავი IV, 8).

რაც შეეხება სპერის პროვინციას, იგი დაბრუნებულ იქნა იბერიის მიერ აგრეთვე მეათე საუკუნეში (დავით დიდი კურაპალატის დროს)<sup>1</sup> ეროვნული  
განმათავსებელი

ამის შემდეგ ჩვენ განვიხილავთ საკითხს, თუ როგორი იყო საზღვრები სომხეთის სპერისა და აგრეთვე როგორი იყო ეთნოგრაფიული შემადგენლობა ამ მხარის მოსახლეობისა.

საზღვრები სომხეთის სპერის პროვინციისა სრულიად ზუსტად ირკვევა იმ ცნობების მიხედვით, რომელიც დაცულია ქართულ, სომხურ და ბერძნულ წყაროებში.

სახელდობრ წყაროებიდან ირკვევა, რომ სომხეთს დაპყრობილი ჰქონია არა მთელი სპერის მხარე, არამედ მხოლოდ ერთი ნაწილი სპერის მხარისა.

არსებულა სომხეთის სპერი, რომელიც შედიოდა სომხეთში; ამის გვერდით არსებულა იბერიის (ქართლის) სპერი, რომელიც შედიოდა იბერიაში (ქართლში); არსებულა აგრეთვე ჭანეთის სპერი, რომელიც ტერიტორიულად აკრავდა იბერიისა და სომხეთის ზონებს, მაგრამ პოლიტიკურად არ შედიოდა არც იბერიაში და არც სომხეთში, არამედ ტრაპიზონის მხარის ჭანების პოლიტიკური გაერთიანების ნაწილს შეადგენდა.

ტერიტორიული მოცულობა ამ სამი ზონისა შემდეგი, იყო:

სომხური სპერი, როგორც ეს სრულიად ზუსტად ირკვევა პროკოპი კესარიელის ცნობების მიხედვით, მოიცავდა მდინარე ჭოროხის სათავეებს ვიდრე ქალაქ ბაიბურთამდე; ბაიბურთთან თავდებოდა სომხეთის საზღვარი (თვით ქალაქი ბაიბურთი სომხეთში შედიოდა)<sup>2</sup>.

იმავე პროკოპი კესარიელის ცნობებიდან ირკვევა ამავე დროს, რომ ჭოროხის ხეობის (სპერის) მეორე ზონა, — საკუთრივ ჭანური ტერიტორია, — იწყებოდა ბაიბურთის ქვემოთ და მოიცავდა ბაიბურთის მოსაზღვრე ღართის ველს<sup>3</sup>.

ამის ქვემოთ უწევს ტერიტორია მესამე ზონისა, — იბერიის (ქართლის) სპერისა, — რომელიც მოიცავდა ჭოროხის ხეობის იმ ნაწილს, სადაც მდებარეობს ქალაქი სპერი (თანამედროვე ისპირი). ეს კანტონი, ქართული სპერი, კარგად არის ცნობილი ძველ-ქართული საისტორიო წყაროებით. ჯუანშერის ქრონიკაში, ტექსტში, რომელიც მე-7 საუკუნის პირველ მესამედს ეხება, მოიხსენება, როგორც საქართველოს ტერიტორიის ნაწილი „საზღვარი ქართლისა სპერი“<sup>4</sup>.

ეს კუთხე „საზღვარი ქართლისა სპერი“, წარმოადგენდა ძირეული ქართული მხარის კლარჯეთის ნაწილს. (როგორც უკვე მოხსენებული გქონდა, კლარჯეთის მხარე ძველის დანაწილებით აერთიანებდა ოთხს: კანტონს: საკუთრივ კლარჯეთი, ნიგალი, შავშეთი და „საზღვარი ქართლისა სპერი“) <sup>5</sup>.

<sup>1</sup> სპერის პროვინცია (იგივე ჩორმაირის მხარე) შემოერთებულ იქნა დავით დიდი კურაპალატის მიერ 978 წელს.

<sup>2</sup> იხ. პროკოპი კესარიელი De Aedificiis (ed. Bonn.), III, 4—5. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908 წ., გვ. 60, 62.

<sup>3</sup> იხ. პროკოპი კესარიელი op. cit., III, 6. ს. ყუბხიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 182—188, Н. Адонц. op. cit., გვ. 60—65.

<sup>4</sup> იხ. ჯუანშერი, გვ. \* 414/196.

<sup>5</sup> იხ. ზემოთ, გვ. 115.



განვიხილოთ ამის შემდეგ ამ მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის საკითხი.

კოროხის ხეობის ის სექტორი, რომელიც უჭირავს სპერის მხარის ზემოთ-დასახლებული სამ კუთხეს, უძველესი დროიდანვე დასახლებული ყოფილა ქართველი ხალხის ორი შტოს იბერიელების (მესხების) და ჭანების მიერ.

სპერის მხარეთა ზემო ნაწილში, როგორც ეს ირკვევა პროკოპი კესარიელის ცნობების მიხედვით, სახლობდნენ ჭანები; ქვემო ნაწილში კი, სხანს იბერიელები (მესხები) შეადგენდნენ უმრავლესობას. (როგორც ეს დადგენილია სპეციალურ ლიტერატურაში, თვით სახელწოდებაც ამ მხარისა სპერი // \* სპერი // პიბერი დაკავშირებულია იბერთა სატომო სახელთან).

საკითხავია, როგორი მდგომარეობა დამყარდა სპერის იმ ნაწილში, რომელიც სომხეთმა დაიჭირა; შეიცვალა იქ მოსახლეობა მას შემდეგ, რაც იგი იბერიას ჩამოსცილდა და სომხეთში გადავიდა? თუ აქ იგივე ძველი ქართული (ჭანურ-იბერიული) მოსახლეობა დარჩა, როგორც სპერის დანარჩენ ნაწილებში, ჭანურ სპერში და იბერიის სპერში?

როგორც ირკვევა ამ კუთხეში, ე. ი. სპერის იმ ნაწილში, რომელიც სომხეთმა დაიჭირა, მოსახლეობის შემადგენლობა ძირითადად არ შეცვლილა. სომხების ჩამოსახლებას აქ არ ჰქონია ადგილი, და არც სომხურ ენას მიუღია აქ გავრცელება.

სომხეთის ბაგრატიონთა მემკვიდრე — მოსე ხორენელი პირდაპირ აღნიშნავს, რომ სომხეთის ბაგრატიონთა სამფლობელო, რომელიც მდებარეობს სომხეთის დასავლეთ სანაპიროზე, არის ის მხარე, სადაც უკვე არ ისმის სომხური ენა<sup>1</sup>.

ასევე მე-8 საუკუნის სომეხთა მწერლის სტეფანოს სივნიელის ცნობის მიხედვითაც სპერში სომხურ ენას გავრცელება არა ჰქონია<sup>2</sup>.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, შეუქი ვფინება სომხეთის ბაგრატიონთა წარმოშობის საკითხს.

ჩვენ უკვე დადგენილი გვქონდა, რომ ქართველ ბაგრატიონთა გვარეულობა, რომელიც იყო განშტოება ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიისა, დადგენილი იყვნენ „პიტიახშებად“, ე. ი. მმართველ მთავრებად მესხეთის მხარეთა — „კლარჯეთის სახლისა“.

ხოლო სომხური სპერი, ე. ი. სპერის ის ნაწილი, რომელიც იბერიიდან სომხეთის ფარგლებში გადავიდა, ტერიტორიულად უშუალოდ ეკვრის მესხეთის მხარეებს „კლარჯეთის სახლს“.

უფრო მეტი: სომხეთის სპერი არათუ მარტოოდენ ტერიტორიულად ეკვრის მესხეთის მხარეებს — „კლარჯეთის სახლს“, არამედ სომხეთის სპერი ეს არის ნაწილი, ჩამონაჭერი მესხეთის მხარეებისა — „კლარჯეთის სახლი“-სა. (ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ სპერის ის სექტორი, რომელიც საქართვე-

<sup>1</sup> იხ. მოსე ხორენელი, წიგნი II, თავი 3.

<sup>2</sup> იხ. სტეფანოს სივნიელი. გამოცემა ნ. აღონცისა (Дюниевый Фракийский и армянские толкователи, 1915 წ.) გვ. 187.—სტეფანოს სივნიელის ამ ტექსტის შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ.

ლოში დარჩა, — „საზღვარი ქართლისა სპერი“, — ძველი ადმინისტრაციული დანაწილებით კლარჯეთის ნაწილს შეადგენდა).

ამის შემდეგ გასაგებია, რომ სპერის ამ ტერიტორიაზე, რომელიც სომხეთის ფარგლებში გადავიდა, მმართველ მთავრებად დარჩენილა განსტოება იმავე ბაგრატიონთა გვარისა, რომლებიც მკვიდრობდნენ აქ უფრო ადრე, ვიდრე ეს მხარე სომხეთს შეუერთდებოდა.

ამ-რიგად აქაც, სომხეთის სპერში, იგივე მდგომარეობა არსებულა, როგორც ჩვენ ვხედავთ იმავე ეპოქაში მეორე პროვინციაში, გოგარენის სამთავროში.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ გოგარენის პროვინცია შეიერთა სომხეთმა იმავე დროსვე, როდესაც შეერთებულ იქმნა სომხეთის სპერი, ე. ი. მეორე—პირველ საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა. და როგორც ეს დასტურდება სომხეთა ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის ცნობებიდან, გოგარენში, სომხეთთან შეერთების შემდეგაც, მმართველ მთავრებად — პიტიახშებად — დარჩენილა იგივე ძველი ქართველ მთავართა გვარეულობა, „ფარნავაზიანი“, განსტოება იბერიის მეფეთა დინასტიისა; ქართველ ფარნავაზიანთა მთავრობა გოგარენში გაგრძელებულა ამ მხარის სომხეთთან შეერთების შემდეგაც ხუთი საუკუნის მანძილზე <sup>1</sup>.

აღსანიშნავია, ამას გარდა, რომ გოგარენის პროვინციას, ისევე, როგორც სომხეთის სპერს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩამოცილებული იყო იბერიას და პოლიტიკურად სომხეთთან იყო გაერთიანებული, არ დაუკარგავს ქართული ეთნოგრაფიული სახე და არც ამ მხარის მმართველ მთავრებს — პიტიახშებს — შეუწყვეტიათ კავშირი ქართულ მსოფლიოსთან. და როგორც ეს სჩანს სომხეთა ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის ცნობებიდან, როდესაც მე-4 საუკუნეში (ახ. წ.) გოგარენი განუდგა სომხეთს და შეუერთდა იბერიას, ამ მოძრაობას იბერიასთან შეერთებისათვის იგივე გოგარენის პიტიახშების სახლი — ფარნავაზიანი — ხელმძღვანელობდნენ <sup>2</sup>.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით ამრიგად ირკვევა, რომ სომხეთის ბაგრატიონთა შტოს გამოყოფა ქართველ ბაგრატიონთა გვარეულობიდან უძველეს ხანაში მომხდარა, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, როდესაც სომხეთმა შეიერთა იბერიის სანაპირო სპერის მხარე.

მას შემდეგ სომხეთის ბაგრატიონთა ეს შტო დიდ როლს თამაშობს სომხეთის ისტორიაში. მათი გავლენა თანდათან იზრდება; ფართოვდება აგრეთვე მათი სამფლობელოები. მე-4 საუკუნის შემდეგ, როდესაც სომხეთში დაეცა არშაკიდების სამეფო სახლი, სომხეთის ბაგრატიონთა მფლობელობაში გადადის აირარატის მხარის კოვის პროვინცია, რომლის განთქმული ციხე-ქალაქი დარონქი (ეხლანდელი ბაიაზეთი) ამის შემდეგ იქცა სომხეთის ბაგრატიონთა მთავარ რეზიდენციად. სომხეთის ბაგრატიონთა მფლობელობაში გადავიდა აგრეთვე აირარატის მხარის ბაგრევანდის პროვინცია.

ამრიგად ბაგრატიონთა გვარის სომხეთის შტო დროთა განმავლობაში ორგანიულად დაუკავშირდა სომხეთის ქვეყანას. უფრო გვიან მათ სომხეთის მეფობაც მიიღეს.

<sup>1</sup> იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, V, 15, გვ. 177—178.

<sup>2</sup> იხ. იქვე.



ჩვენ დრომდე მოღწეული სომხური და ქართული საისტორიო წყაროები ეკუთვნიან საშუალ-საუკუნეებს და ამრიგად მეტად დიდი მანძილით არიან დაშორებული იმ ეპოქას, როდესაც მომხდარა სომხეთის ბაგრატიონთა მტკიცე მთავრობა. ამიტომაც რასაკვირველია არ არის მოსალოდნელი, რომ ამ შედარებით გვიანდელ საისტორიო ძეგლებში დაცული იყოს პირდაპირი ავთენტური ცნობები სომხეთის ბაგრატიონთა შთამომავლობა — სადაურობის შესახებ.

მაგრამ წყაროებში მაინც შენახულა უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენებანი, საისტორიო გადმოცემები, რომლებიც მიუთითებენ სომხეთის ბაგრატიონთა შტოს საქართველოდან წარმომავლობას.

სომხურ საისტორიო მწერლობაში უძველესი ძეგლები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს სომხეთის ბაგრატიონთა ადრინდელი ისტორიის შესახებ, შემდეგია:

1. მე-7 საუკუნის ისტორიკოსის სებეოსის მატიანის შესავალში ჩართული ძეგლი, რომელიც სებეოსის ანონიმის სახელით არის ცნობილი. ეს ტექსტი, სებეოსის ანონიმი, დაახლოვებით მე-6 საუკუნით თარიღდება.

2. მოსე ხორენელის ისტორია, რომლის თარიღი ზუსტად გარკვეული არაა, და რომელიც ყველა ნიშნებით მე-7 საუკუნეზე გვიან დროს არ ეკუთვნის.

პირველ ძეგლზე, რომელიც სებეოსის მატიანეშია ჩართული, ჩვენ უკვე გვეყონდა საუბარი. ამ ძეგლში მოყვანილია გენეოლოგია ბაგრატიონთა გვარისა, რომელიც იწყება ფარნავაზიდან. ამავე ძეგლის მეორე ადგილას სომხეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი ბაგრატი (ბაგრატი) მოიხსენება, როგორც „ფარნავაზიანი“<sup>1</sup>.

ამ უძველესი სომხური საისტორიო წყაროს უწყებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზემოთ-წარმოდგენილ დებულებათა დასადასტურებლად. ამის მიხედვით ირკვევა, რომ სომხეთის ბაგრატიონთა გვარის შესახებ თვით სომხეთში არსებულა გადმოცემა, რომ ისინი არიან „ფარნავაზიანი“, და მაშასადამე აქ ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი მაჩვენებელი იმისა, რომ სომხეთის ბაგრატიონთა გვარი მომდინარეობს ქართველ ბაგრატიონთა გვარეულობიდან, რომელიც ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიის განშტოებას წარმოადგენდა.

აზა ნაკლებ მნიშვნელოვანია ძველი სომხური საისტორიო მწერლობის მეორე ძეგლის — მოსე ხორენელის ისტორიის ჩვენება.

მოსე ხორენელი, როგორც ცნობილია, სომხეთის ბაგრატიონების კარის ისტორიკოსი იყო და მის თხზულებაში ჩვენ გვაქვს გამოძახილი იმ შეხედულებათა და გადმოცემათა, რაც სომხეთის ბაგრატიონთა კარის წრეში ყოფილა მიღებული და გავრცელებული.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ მოსე ხორენელი საგანგებოდ აფრთხილებს სომხის მკითხველებს, რომ სომხეთის ბაგრატიონები არ არიან სომხური შთამომავლობისა. მოსე ხორენელი სწერს:

„ხოგიერთი პირები, რომლებიც არ არიან ღირსნი ნდობისა, არ ხელმძღვანელობენ ქეშმარიტებით და თვითნებურად ამბობენ, რომ გვირგვინის-დამდგმელთა ბაგრატიონთა გვარი თითქოს მიმდინარეობს ჰაიკისაგან. ამაზედ გეტყვი: არ ერწმუნო ასეთ სულელურ სიტყვებს, იმიტომ რომ ასეთ სიტყვებში არ არის არავითარი კვალი, არავითარი ნიშან-წყალი სიმართლისა“<sup>2</sup>.

1 იხ. სებეოსი, 1939 წ., გვ. 6 — 7,9 (იხ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 117).

2 იხ. მოსე ხორენელი, წიგნი 1, თავი 22.

9. „მნათობა“, № 1.

ამ-რიგად მოსე ზორენელი კატეგორიულად უარყოფს სომხეთის ბაგრატიონთა სომხურ შთამომავლობას.

მაშ ვინ იყვნენ სომხეთის ბაგრატიონნი?

მოსე ზორენელს მოჰყავს თქმულება ბაგრატიონთა გვარის ჰურიასტანიდან შთამომავლობის შესახებ<sup>1</sup>.

დღემდე გაუგებარი და აუხსნელი იყო, თუ საიდან წარმოიშვა ეს გადმოცემა. ამის შესახებ სხვადასხვა ჰიპოთეზები იყო წარმოდგენილი.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ გავარკვეით გენეზისი უძველესი ქართული საისტორიო თქმულებისა ქართველი ხალხის არიან-ქართლიდან გადმოსახლების შესახებ, გავარკვეით აგრეთვე ის ცვლილებანი, რომელიც ამ თქმულებას შემდეგ ხანებში განუცდია, ცხადი ხდება, რომ მოსე ზორენელის მიერ მოყვანილი გადმოცემა ეს არის გამოძახილი ქართველი ხალხის ამ უძველესი ეროვნული თქმულებისა.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მოსე ზორენელის თხზულებაში ეს თქმულება ფრაგმენტარულად არის წარმოდგენილი. კერძოდ ამის მხედვეთადაც ირკვევა, რომ თქმულების ქართული ვერსია არის პირველწყარო, ხოლო სომხური ვერსია მომდინარეობს ქართულიდან, წარმოადგენს ამ უკანასკნელის შემდეგდროინდელს გაბუნდოვანებულ ვარიაციას.

სახელდობრ მოსე ზორენელის თხზულებაში ეს თქმულება წარმოდგენილია ორ ცალკეულ ფრაგმენტად, რომელთა შორის ქვემოთი გაწყვეტილია.

1. პირველი ფრაგმენტი. მოსე ზორენელი თავისი თხზულების მეორე წიგნის მე-8 თავში აღნიშნავს, რომ იბერიელები (ქართველები) გადმოსახლებული არიან თანამედროვე მიწა-წყალზე ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის დროს. როგორც ამის შესახებ უფრო დაწვრილებით სხვა ადგილას გვაქვს საუბარი, მოსე ზორენელის მოთხრობაში ჩვენ გვაქვს შეცვლილი ვერსია თქმულებისა ქართველების არიან-ქართლიდან გადმოსახლების შესახებ<sup>2</sup>.

2. მეორე ფრაგმენტი. მოსე ზორენელი მეორე ადგილას (წიგნი I, თავი 22) გადმოგვცემს, რომ ბაგრატიონები არიან შთამომავალი ებრაელი დიდებულისა, რომელიც ეკუთვნოდა, იმ ტყვეების რიცხვს, რომლებიც ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა წამოიყვანა ჰურიასტანიდან.

ეს მეორე თქმულება მოყვანილია პირველისაგან დამოუკიდებლად. ხოლო სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს ერთი და იმავე თქმულების ორ ნაწყვეტთან. პირველი ფრაგმენტი (იბერიელები, «ტყვედ» წამოყვანილნი ბაბილონის მეფის მიერ და დასახლებულნი საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე), და მეორე ფრაგმენტი (ებრაელი დიდებული, წინაპარი ბაგრატიონთა გვარისა, აგრეთვე «ტყვედ» წამოყვანილი იმავე ბაბილონის მეფის მიერ) — ეს არის ცალკეული ნაწილები ერთი და იმავე თქმულებისა ქართველების სამხრეთიდან («არიან ქართლიდან») გადმოსახლების შესახებ.

ამრიგად სომხეთის ბაგრატიონთა გვარეულობის მემატანიანს მოსე ზორენელს დაუცავს მეტად მნიშვნელოვანი ჩვენება, რაც მიუთითებს სომხეთის ბაგრატიონთა საქართველოდან შთამომავლობას. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის ბაგრატიონები საუკუნეთა განმავლობაში სომხეთთან იყვნენ დაკავშირებული, სომხეთის ბაგრატიონთა გვარში დარჩენილი ყოფილა ძველი საგვარეუ-

<sup>1</sup> იხ. მოსე ზორენელი, იქვე.

<sup>2</sup> იხ. ბ. ინგოტოყვა, ძველ-ქართული მატანიან «მოქცევა ქართლისა» და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, გვ. 284—286.

ლო გადმოცემა მათი წინაპრების ქართველი ბაგრატიონებისა, დავუვმოთქვით უძველეს ქართულ ეროვნულ თქმულებასთან ქართველი ხალხის სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ ბაგრატიონთა (იმავე ფარანავაზიანთა) სახელის მკეთაურობით.

დასასრულ ჩვენ ამ შეეჩრდებით კიდევ ერთ საკითხზე—ბაგრატიონთა გვარის ონომასტიკონზე, საგვარეულო სახელებზე, რაც აგრეთვე მიუთითებს სომხეთის ბაგრატიონთა გვარის საქართველოდან შთამომავლობას.

როგორც ცნობილია, დიდებულთა ძველ გვარეულობებში გავრცელებული იყო გვრეთ-წოდებული საგვარეულო სახელები, ე. ი. სახელები, რომლებიც უპირატესად გავრცეულ-ულობაში იხმარებოდა.

ეგრძელ ბაგრატიონთა გვარში, როგორც ქართველ ბაგრატიონთა შტოში, ისე სომხეთის ბაგრატიონთა შტოში, მიღებული იყო შემდეგი ოთხი სპეციფიური საგვარეულო სახელი, რომლებიც ყველა ბოლოდება ერთი და იმავე გრამატიკული ელემენტით „ტ-ი“:

ბ ა გ რ ა ტ-ი; ს უ მ ბ ა ტ-ი; ბ ი ვ რ ა ტ-ი; ა შ ო ტ-ი.

რა წარმოშობისაა ეს სახელები?

სომხური ონომასტიკონის საკითხები კარგად არის შესწავლილი და არსებული მასალების ნიხედით შესაძლოა გადაჭრით ითქვას, რომ ამ სახელებს არა აქვთ არავითარი კავშირი სომხურ ენობრივ სამყაროსთან. ეს სახელები ბაგრატიონთა გვარის კუთვნილებაა და ეს სახელები გავრცელებულა სომხეთში მხოლოდ მას შემდეგ, რაც სომხეთში ბაგრატიონთა გვარი დამკვიდრდა და ამ გავლენას მაილწია, რომ ეს სახელები არ ეყუთენის სომხურ ონომასტიკონს, ეს ირკვევა კერძოდ იმის მიხედვითაც, რომ სომხური ონომასტიკონისათვის საერთოდ უცხოა ამ ტიპის სახელები, დაბოლოებული გრამატიკული ელემენტით „ტ-ი“.

ამ ოთხი სახელიდან, რომლებიც აუხსნელად ითვლება, მხოლოდ პირველი სახელის—„ბაგრატი“-ს შესახებ გამოთქმული იყო მოსაზრება პროფ. ს. აღონციის მიერ, რომ ეს სახელი ბ ა გ რ ა ტ-ი (რომლის ვარიანტული სახეობაა აგრეთვე „ბ ა გ ა რ ა ტ-ი“) ვითომც მომდინარეობს ირანულიდან „ბ ა გ ა დ ა ტ“. ამის მიხედვით ნ. აღონცი გამოსთქვამდა მოსაზრებას, რომ ბაგრატიონთა გვარი სწანს ირანის სანაპირო მხარეებიდან არის წარმოშობილი 1.

მაგრამ, ჯერ ერთი, თუნდაც სახელი „ბაგრა-ტ-ი“ იყვეს იგივე ირანული „ბაგადატ“, ეს სრულად არ მოასწავებს ბაგრატიონთა შთამომავლობას ირანიდან, თუ ირანის სანაპირო მხარეებიდან. ირანული სახელები სერთოდ ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოსა და კავკასიაში და ირანული სახელების ხმარება არავითარ ჩვენებას არ იძლევა სადიტრობა-შთამომავლობის შესახებ.

შემდეგ, თავისთავად ეს მიმოთევი, რომ სახელი „ბაგრა-ტ-ი“ ვითომც არის ირანული „ბაგადატ“—შეუფოწმებელ მოსაზრებას წარმოადგენს, რაც არაფრით არ დასტურდება. საისტორიო წყაროებში ჩვენ არ ვაქვს არც ერთი მაგალითი იმისა, რომ ბაგრატიონთა გვარში გვევლებოდეს ეს სახელი ფორმით „ბაგადატ“, ანდა ერთმანეთის ნაცვლად იხმარებოდეს სახელები „ბაგრა-ტ-ი“ და „ბაგადატ“.

ხოლო მთავარი ვაჭრეობა, რომლის მიხედვითაც ირკვევა სრული უსაფუძვლობა ამ მოსაზრებისა სახელების „ბაგრა-ტ-ი“-ს და „ბაგადატ“-ის ვითომც იგივეობის შესახებ, არის შემდეგი. ბაგრატიონთა ეს საგვარეულო სახელი „ბაგრა-ტ-ი“ ცხადია არ შეიძლება დავაწირობო ბაგრატიონთა სხვა საგვარეულო სახელებს, რომლებიც ყველა ერთი და იმავე ტიპისაა და ბოლოდება ერთადამავე გრამატიკული ფორმანტით „ტ-ი“, ე. ი. სახელებისაგან „სუმბა-ტ-ი“, „ბიგრა-ტ-ი“, „აშო-ტ-ი“. და თუ ჩვენ დავუშვებდით, რომ ირანული წარმოშობისაა სახელი „ბაგრა-ტ-ი“, ირანული წარმოშობისად უნდა მიგვეჩინია აგრეთვე დანარჩენი სახელებიც — „სუმბა-ტ-ი“, „ბიგრა-ტ-ი“, „აშო-ტ-ი“; მაგრამ ამ უკანასკნელ სახელებსათვის ირანულ ონომასტიკონში ვერავითარი ანალოგია ვერ იქმნა მოძებნილი.

ამრიგად საკითხი სახელი „ბაგრა-ტ-ი“-ს ირანული წარმოშობის შესახებ თავისთავად ახსნება.

მაშ სად უნდა ვეძიოთ ამ სახელების ახსნა?

რაც გამოიკვება, რომ ბაგრატიონთა გვარი ქართული წარმოშობისაა ყოფილია, საფიქრებელი ხდება, რომ ეს სახელებიც ქართული წარმოშობისაა.

1 იხ. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908 წ., გვ: 307—308, 412—413.



და როგორც ირკვევა, ეს მართლაც ასეა.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ გარდა ბავშვობისა გვარეულობისა, რომლის ძირითად საშუალებას მესხეთის მხარეში—კლარჯეთის სახლი—ჭოროხის ხეობა შედგენს, მხოლოდ ძველქართულ გვარეულობაშიც, ორბელიანთა (ვან-ბაქურიან-ორბელიანთა) გვარეულებიც, როგორც ირკვევა, იმავე მხარეთაგან, ჭოროხის ხეობიდან იყვნენ წარმოშობით (ტოდან resp. ჭოროხის ქანეთიდან), ჩვენ ვგაქვს იმგვარივე სახელები, დაბოლოებული გრამატიკული ელემენტით „ტი“, როგორც მაგალითად „ლომარი-ტი“, „რატი“, ე. ი. სახელები იმავე ტიპისა, რაც ბავშვობის სახელები: ბავრა-ტი, სუმბა-ტი, ბივრა-ტი, აშო-ტი.

რას აღნიშნავს ეს დაბოლოება „ტი“, დართული სახელების ბოლოში?

ქართულს ონომასტიკაში ამგვარი დაბოლოება „ტი“, როგორც ირკვევა, არ შემთხვევაში იხმარება:

ა. როგორც დაბოლოება გვარის სახელებისა, გვარებისა;

ბ. როგორც დაბოლოება პირთა სახელებისა.

გავეცნოთ ამ ორივე ტიპს.

ა. დაბოლოება გვარებისა: „ტი“.

ქართულ გვარებში, როგორც ცნობილია, მრავალგვარი დაბოლოება მიღებულია: „ჭე“, „შვილი“, „ური“, „ანი“ („იანი“) და სხვანი.

გვარების ამგვარ დაბოლოებათა რიცხვს გვეთვინის დაბოლოება „თი“ და მისი ვარიანტული სახეობა „ტი“.

დაბოლოება გვარებისა „თი“ დღემდე შერჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, მაგალითად ხევში, და აგრეთვე მესხეთში.

ხევში გვარის დაბოლოება „თი“ ფართოდ არის გავრცელებული, იგი იხმარება პარალელურად დაბოლოებისა „შვილი“ და „ური“. ასე მაგალითად გვარი „ჩოფიკა-შვილი“ ხევში ორნაირად გამოითქმის: როგორც „ჩოფიკა-შვილი“ და „ჩოფიკა-თი“; ასევე „გობია-შვილი“ და ამის პარალელურად „გომიე-თი“, „ხეთაგური“ და ამის პარალელურად „ხეთაგე-თი“ და სხვანი.

ასევე მესხეთშიც. მესხეთში ჩვენ ვგაქვს მაგალითად გვარი „თამარა-შვილი“, ხოლო ამის პარალელად „თამარა-თი“, ასევე „ტატალა-შვილი“ და ამის პარალელად „ტატალა-თი“ და სხვანი.

გვარის ეს დაბოლოება „თი“, ძველად, როგორც ირკვევა, განსაკუთრებით ფართოდ უფილა გავრცელებული მესხეთში, კერძოდ ჭოროხის ხეობაში, შავშეთ-კლარჯეთში. ჩვენამდე მოღწეულა საშუალო სტრუქტურებიდან ძველი, სულთა-მატიანე მიქოიანის ხევისა.—რომლის ძირითადი ტიპსი მე-14—15 საუკუნეებს ეკუთვნის<sup>1</sup>; ამ ძველში, რომელშიაც აღწერილია სოფლობრივ მოსახლეობა ჭოროხის ხეობის მიქოიანის (მაქახელის) თემისა, რომელიც შავშეთის ფარგლებში შედიოდა, ადგილობრივი მოსახლეობის გვარები წარმოადგენილია ამ დაბოლოებით „თი“. როგორც ირკვევა, ძირითადი სახეობა გვარებისა შავშეთ-კლარჯეთში ძველად, საშუალო სტრუქტურებში, სწორედ ამ სახეობისა უფილა.

ეს რაც შეეხება გვარის დაბოლოებას „თი“.

პარალელურად ამ დაბოლოებისა „თი“ არსებობს აგრეთვე ამავე სახის დაბოლოება გვარისა „ტი“, რომელიც სწამს წარმოადგენს დაბოლოება „თი“-ს სახესხვაობას, ქართული ენის სხვა დიალექტში წარმოქმნილს.

ძველ-ქართულ საბუთებში ჩვენ ვგვხვდება მაგალითად გვარი: „გვიგი-ტი“<sup>2</sup>. იგი ნაწარმოებია სახელიდან: „გვიგი“. ამნაირად გვარი „გვიგი-ტი“ იფიქვა, რაც „გვიგი-თი“ („გვიგის-ძე“).

ასევე გვარი „ჯიბუ-ტი“. იგი ნაწარმოებია სახელიდან: ჯიბო, ჯიბუ. იმრთად „ჯიბუ-ტი“ იფიქვა, რაც „ჯიბუ-თი“ (ჯიბუს-ძე).

სხეთვე ტიპისაა, როგორც „გვიგი-ტი“, „ჯიბუ-ტი“, აგრეთვე გვარები „დლონ-ტი“, „ქლენ-ტი“, „ხუბუ-ტი“ (აქედან, ორმაგი დაბოლოების დართვით, ხუბუ-ტი-ა).

ეს გვარები დაბოლოებით „ტი“ უმთავრესად გურიაშია გავრცელებული. მაგრამ ასეთი ტიპის გვარები მაინც იმდენად იშვიათია გურიაში, რომ ცხადია ისინი არ სრამად ადგილობრივი.

<sup>1</sup> ეს ძველი აღმონდა აკადემიკოს მარი ბროსეს არქივში (სსსკ. შენიშვნებითა აკადემიის-ყოფ. სააზიო მუზეუმში).

<sup>2</sup> იხ. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1907 წ. გვ. 130.



რომ ეს ფორმანტი „ტი“ // „ტა“ ძველ ქართულში ფართოდ იხმარებოდა, ამისი მხარეზელია განსაკუთრებით ის გარემოება, რომ ძველ საბუთებში ჩვენ გვხვდება სახელები ანუ არი კინობითი-საალერსო დაპოლოებით „ტი“ // „ტა“, ხოლო თვით ძირითადი სახელები რომლებიდან ნაწარმოებია ეს კინობითი-საალერსო ფორმები, აღარ შენახულა. ამიტომაც ასეთია მაგალითად სახელები:

კოჰა-ტი, კოჰა-ტა  
გოსი-ტი, გოსი-ტა  
ხუბი-ტი, ხუბი-ტა  
იალი-ტი, იალი-ტა  
ბოჰო-ტი, ბოჰო-ტა  
მაჰუ-ტი, მაჰუ-ტა და შრავალი სხვანი 1.

ამრიგად, ირკვევა, რომ ქართულ ინომასტიკონში ბოლოციდური „ტი“ ფართო გავრცელებით სარკებლობდა, იგი მიღებული ყოფილა, როგორც გვარის სახელებში (გვარებში), ისე პირთა სახელებში.

ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე ჯგუფი, საყუთრივ პირთა სახელები, რომდნადაც ჩვენი განხილვის საგანი, ბაგრატიონთა საგვარეულო ინომასტიკონი, პირადი სახელების წყებას გუთვინის.

ყოველივე ამის შემდეგ, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, ნათელი ხდება, რომ ბაგრატიონთა გვარის ეს სპეციფიური სახელები:—ბაგრა-ტი, სუშა-ტი, ბიერა-ტი, აშო-ტი (ისევე როგორც ჭან-ბაქერიან-ორბელიანთა გვარის სახელები: ლიპარი-ტი და რა-ტი), ქართული წარმოშობისა ყოფილა. აქ ჩვენ გვაქვს ნიშანდობლივ პირთა სახელების ზემო-აღნიშნული სახეობა, დაბოლოებით „ტი“, რაც ასე ფართოდ ყოფილა გავრცელებული ძველად ქართულში.

დამატებითი აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ბაგრატიონთა გვარის ამ სახელების ქართული წარმოშობა ირკვევა არა მარტო მათი საერთო კომპოზიციით, ქართული სახელებისათვის დამახასიათებელი ბოლოციდური „ტი“-ს დართვით, არამედ ზოგ შემთხვევაში შესაძლოა ამოცნობილ იქმნას თვით ის ძირითადი სახელიც კი, რომელიც საფუძვლად დასდებია ამ რთული ფორმის სახელებს ბოლოციდურით „ტი“.

1. სახელი ბ ა გ რ ა-ტი. ეს სახელი, როგორც აღნიშნული გვექონდა, ორი ფორმით გვხვდება: ბაგრა-ტი და ბაგარა-ტი. ძველ ქართულში ამავე დროს არსებობდა სახელი ბაკურ, იგივე ბაქარ (ყერძოდ ფორმიდან ბაქარ ნაწარმოებია გვარი ბაქარა-ძე). სახელი ბაგრა-ტი, ბაგარა-ტი ცხადია მომდინარეობს სწორედ ამ ფუძე-სახელიდან ბაქარ // \*ბაგარ (ბაქარა- // \*ბაგრა), ქართული ბოლოციდური ფორმაცის—„ტი“-ს დართვით 2.

2. სახელი ს უ შ ბ ა-ტი. ძველ-ქართულში ეს სახელი ორი ფორმით გვხვდება: სუშა-ტი სუბა-ტი (სუბა-ტი). ამავე დროს, ძველ-ქართულ ინომასტიკონში არსებულა სახელი \*სუბა // ზუბა (აქედან მომდინარეობს გვარი: ზუბა-ძე), ანუ მეორე ვარიანტით \*სუშა // ზუშა (აქედან მომდინარეობს გვარი:—ზუშა-ძე). სახელი სუშა-ტი (იგივე სუბა-ტი)ცხადია ნაწარმოებია ამ ფუძე-სახელიდან სუშა ანუ სუბა, ბოლოციდური ფორმაცის—„ტი“-ს დართვით 3.

1 სახელები ამოკრებული ზემოთ-დასახელებული დოკუმენტებიდან.

2 არაა ბნტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ ძველი ისტორიული ტრადიცია (რომელიც შენახულა მამიკონიანებისა და ორბელიანების, კოროხის ხეობის ამ ძველი ბინადარი გვარების, ცნობილ ისტორიულ ვადმოცემებში), ჭანეთის შეფეების საგვარეულო სახელად აღნიშნავს სახელს: „ბაკურ“. რომდნადაც სპერის (კოროხის ხეობის) ჭანეთი ამ დროს ბაგრატიონთა სამფლობელოს წარმოადგენდა, ამდენად შემთხვევითად არ შეიძლება ჩაითვალოს ეს შეხვედრა ბაგრატიონთა საგვარეულო სახელისა ბაგრა-ტი, რომელიც, როგორც ირკვევა მომდინარეობს სახელიდან ბაქარ // ბაკურ, და ჭანეთის შეფეების ამ საგვარეულო სახელისა ბაკურ.

3 იგივე სახელი \*სუბა ქართულში არსებულა აგრეთვე ფორმით სუბა; აქედან არის ნაწარმოები, ბოლოციდური „ტი“-ს დართვით, ფორმა სახელისა სუბა-ტი, ზოლო ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს გვარი სუბა-ტი-შვილი.

აღსანიშნავია ამას ვაგდა, რომ სახელი \*სუბა არსებულა აგრეთვე ფორმითაც \*სუბია // ზუბია; ამ უკანასკნელიდან ნაწარმოებია სახელი ზუბა-ტი // ზუბი-ტი, რომელიც ჩვენ გვხვდება ძველ დოკუმენტებში (იხ. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1907 წ. გვ. 174, 181).



3. სახელი აშოტ-ი. ეს სახელი ჩვეულებრივ გვხვდება ამ ფორმით (აშოტ-ი). მაგრამ ამ სახელის უძველესი ფორმა ყოფილა არშოტი (როგორც ეს დამოწმებულია იქვე მოხსენის ტექსტში) <sup>1</sup>; ამავე დროს ძველ ქართულში არსებულა სახელი არშა, <sup>2</sup> ვერძულად <sup>3</sup> არშაჟი ირკვევა, ამ უკანასკნელი ფუძე-სახელიდან არის ნაწარმოები, ბოლოკიდური „ტი“-ს დართვით, სახელი არშოტი, სადაც შემდეგ მოვიღეთ ფორმა აშოტი.

4. სახელი ლიპარიტი. ძველ ქართულ საბუთებში დამოწმებულია სახელი ლიპარი <sup>4</sup>. თავისთავად ცხადია სახელი ლიპარიტი ამ სახელიდან არის ნაწარმოები, ბოლოკიდური „ტი“-ს დართვით.

რაც შეეხება სახელებს რატი და ბივრატი, მათი ფუძე-სახელები არ შენახულა (ცერძოდ სახელი რატი, სწამს, შეეცეციალად არის მოღწეული). მაგრამ ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ეს სახელებიც იმავე სახით არის ნაწარმოები, როგორც ამავე ჯგუფის დანარჩენი სახელები, ბოლოკიდურის „ტი“-ს დართვით.

ასეთია ის დასკვნები, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ ბაგრატიონთა საგვარეულო ონომასტიკონის განხილვის შედეგად.

ამრიგად ონომასტიკონის ანალიზი თავის-მხრივ ადასტურებს იმ დასკვნებს, რაც ჩვენ მივიღეთ საისტორიო პირველწყაროების განხილვიდან ბაგრატიონთა გვარეულობის ქართული შთამომავლობის შესახებ.

ჩვენ ამით დავასრულებთ ბაგრატიონთა გვარის ისტორიის ამ მიმოხილვას<sup>5</sup>.

6

**ცნობები გიორგი მერჩულის ძეგლისა შავშეთ-არტანისა და მიმდგომი მხარეების მმართველი მთავრების (ერისთავთ-ერისთავების) შესახებ**

საისტორიო ცნობებიდან, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის ძეგლი ქართველთა სამეფოს შესახებ, აქ ცალკე შეეჩერდებით ქართველთა სამეფოს ცალკეული სამფლობელოების მმართველი მთავრების შესახებ.

ამათ რიცხვს ეკუთვნიან გიორგი მერჩულის თხზულებაში დასახელებულნი პირნი, ბაგრატიონთა სახლის წევრნი:

1. ერისთავთ-ერისთავი აშოტ კუხი (896 — 918 წ.წ.) და
2. დიდი ერისთავთ-ერისთავი გურგენი (918—941 წ.წ.).

აშოტ კუხი კარგად ცნობილი ისტორიული პიროვნებაა, მოხსენებულ მთელ რიგ ძველ-ქართულ საისტორიო წყაროებში. აშოტ კუხი იყო შვილი გურგენ I კურაპალატისა (აშოტ I დიდის შვილის-შვილისა)<sup>6</sup>.

<sup>1</sup> იხ. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908 წ., გვ. 246—7.  
<sup>2</sup> სახელი არშა // არშაშა // არშაშა შედის როგორც შემადგენელი ნაწილი ორნაწილედ სახელში არშო-უშა // არშ-უშა (იხ. პ. ინგოროყვა, ძველი ქართული შატანე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, გვ. 296—298) აგრეთვე სახელში არშაიერი და სხვ.  
<sup>3</sup> იხ. მაგალითად დავითარი რუისის სამწყსოსი (ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1907 წ., გვ. 169).  
<sup>4</sup> ზოგიერთი ვიწრო სპეციალურ საკითხის შესახებ იხ. დამატებით სპეციალურ გვესკურსში (ცერძოდ სპეციალურ გვესკურსში განხილული გვაქვს ცნობა გვიანდელი ხანის ისტორიკოსის ვარდან აღმოსავლელისა; როგორც დოკუმენტალურად დასტურდება, ეს ნაგვიანვეი ცნობა ტენდენციური ხასიათისაა, ანაქრონიზმს შეიცავს და ეწინააღმდეგება დადგენილ ისტორიულ ფაქტებს; ამდენად იგი მოკლებულია მნიშვნელობას ისტორიისათვის).  
<sup>5</sup> იხ. გიორგი მერჩული, გვ. 71.

ამოტ კუხი ატარებდა, ერისთავთ-ერისთავის-ს ტიტულს და იყო მმართველი შავშეთ-არტაანისა, სამცხისა და აჭარისა. ცენტრი ამ სამფლობელოსი იყო შავშეთ-არტაანი (ამის გამო ეწოდებოდა მას შ ა ე შ ე თ ა რ ტ უ ლ ო ბ ე ლ ო სი მ ი მ დ გ ო მ ი მ ხ ა რ ე ბ ი ს სამფლობელოსი)<sup>1</sup>.

რეზიდენცია ამოტ კუხისა იყო ტბეთში, რომელიც მდებარეობს შავშეთის პროვინციაში. აქ, ტბეთში, ამოტ კუხის მოღვაწეობით აგებულია ერთ-ერთი უშესანიშნავესი ძეგლი ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა, განთქმული ტბეთის ტაძარი, რომელიც დღემდის ამშვენებს თურქთაგან მიტაცებულ ამ კუთხეს.

ამოტ კუხი ქართული მწერლობის დიდი მოამაგე ყოფილა. ტბეთი ამოტ კუხის დროს გადაქცეულა ქართული მწერლობისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრად. აქ ტბეთში ამოტ კუხის დროს მოღვაწეობდა განთქმული მწერალი სტეფანე მტბევაძე, რომელსაც მოიხსენებს გიორგი მერჩულეც თავის ძეგლში. (იმავე მე-10 საუკუნეში ტბეთში მოღვაწეობს გამოჩენილი პოეტი — ჰიმნოგრაფი იოვანე მტბევაძე). არაა ინტერესს მოკლებული აღნიშნოთ, რომ სტეფანე მტბევაძის ცნობილი ჰაგიოგრაფიულ-ისტორიული ნაწარმოები — მარტილობა გობრონისი — ამოტ კუხის პირადი ინიციატივით, ყოფილა დაწერილი; ნაწარმოების ზედწერილში თვით ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ძეგლი მან დაწერა „ბრძანებითა ამოტ ერისთავთა-ერისთავისაითა“.

გიორგი მერჩულის ძეგლიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ამოტ კუხი არა მხოლოდ მაშენებელი ყოფილა ტბეთისა, არამედ ამოტ კუხს დიდი მშენებლობა ჩაუტარებია აგრეთვე ძველი ქართული კულტურის მეორე ცნობილ ცენტრში, — ხანძაში, სადაც მოღვაწეობდა გიორგი მერჩულე<sup>2</sup>.

•

ამოტ კუხი უძეოდ გარდაიცვალა და მისი მემკვიდრე იყო მისი ძმისწული გურგენი. გიორგი მერჩულის ძეგლში აღნიშნულია, რომ ერისთავთ-ერისთავის ამოტის (კუხის) გარდაცვალების შემდეგ — „გურგენ, ძმისწული ამოტისა, დიდი იგი ხელმწიფე ფრიალთა ნათესავთა (მრავალთა ერთა)... დაჯდა ერისთავთა-ერისთავად“<sup>3</sup>.

მოღვაწეობა გურგენ ერისთავთ-ერისთავისა (რომელსაც შემდეგ „დიდი ერისთავთა-ერისთავის“ ზედწოდება მიუღია), დღემდე სათანადოდ გაშუქებული არაა. სინამდვილეში კი გურგენ ერისთავთა-ერისთავი, როგორც ირკვევა, მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართველთა სამეფოს მოღვაწეთა შორის მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში.

თავდაპირველად აღსანიშნავია გიორგი მერჩულის დახასიათება გურგენ ერისთავთ-ერისთავისა. ზარბაზნაძე საკითხავია, რისთვის უწოდებს გიორგი მერჩულე გურგენ ერისთავთა-ერისთავს — „დიდი იგი ხელმწიფე ფრიალთა ნათესავთა“, ე. ი. დიდი იგი ხელმწიფე მრავალთა ერთა, მრავალთა ტომთა? რად

<sup>1</sup> შავშეთ-არტანი ჩამოყალიბდა ცალკე სამფლობელოდ გურგენ I კურაპალატის დროს (იხ. სკმატ დაიეთის-ძე. გვ. \*578/348). გობრონის მარტილობიდან, და კონსტანტინე პორფიროგენეტის ძეგლის ცნობებიდან ირკვევა, რომ ამოტ კუხის დროს (აგრეთვე გურგენ ერისთავთ-ერისთავის მოთაბობის დანაწიების) ამ სამფლობელოში, გარდა შავშეთ-არტანისა, შედიოდა აგრეთვე სამცხე (ყველის-ციხის თემი) და აჭარა. ამას გარდა სავარაუდებელია, რომ ამოტ კუხის დროს (და ამაზე ადრეც, გურგენ კურაპალატის დროს) ამ სამფლობელოში შედიოდა აგრეთვე სანაპირო კუთხე კლარჯეთისა, ხანძა და მისი სანახები.

<sup>2</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 71—72.

<sup>3</sup> იხ. იქვე, გვ. 72.



იყო გურგენი „დიდი ხელმწიფე“? რომელ „ფრიაღთა ნათესავთა“ მხარეზე-ლი იყო გურგენი?

გიორგი მერჩულის საისტორიო ცნობები აღბეჭდილია ხოლმე, განსაკუთრებულის სიხუსტით და ცხადია გამოთქმა „დიდი იგი ხელმწიფე ფრიაღთა ნათესავთა“ — არ არის შემთხვევითი და უსაფუძვლოდ ნახმარი.

რომ გიორგი მერჩულე არ აჭარბებს გურგენ ერისთავთა-ერისთავის დახასიათების დროს, ამას ადასტურებს მეორე ძეგლი იმავე ეპოქისა, სუჰბატ დავითის-ძის ბაგრატიონთა საგვარეულო მატიაზე; სუჰბატ დავითის-ძის მატია-ნეში აღნიშნულია, რომ დიდმა ერისთავთ-ერისთავმა გურგენმა „უ მე ტ ე ს ნ ი ს ი მ ხ ნ ე ნ ი და ბ რ ძ ო ლ ა ნ ი ქ მ ნ ნ ა ყ ო ვ ე ლ თ ა მ ა მ ა თ ა მ ი ს თ ა ს ა და და ი მ ო რ ჩ ი ლ ნ ა ყ ო ვ ე ლ ნ ი გ ა რ ე მ ო ს ნ ი“, ე. ი. ისეთი სიმხნე გამოიჩინა და ბრძოლები გადაიხადა, რომლის სწორი არც ერთ მის წინაპარს (ე. ი. ბაგრატიონთა სახლის არც ერთ მეფე—მთავარს) არ მოუძოქმენდიაო, და დაიმორჩილა „ყოველნი გარემოსნი“, გარეშემო ქვეყნებში<sup>1</sup>.

საკითხავია, რომელი გარეშემო ქვეყნები დაუპყრია გურგენ ერისთავთ-ერისთავს, რომლის შედეგად იგი, გიორგი მერჩულის სიტყვის თანახმად, გაზხდარა „დიდი იგი ხელმწიფე ფრიაღთა ნათესავთა“ (მრავალთა ერთა, მრავალთა ტომთა).

ამ საკითხს ნაწილობრივ შუქი ეფინება ამავე ეპოქის მესამე ძეგლიდან, იოანე სომეხთა კათოლიკოსის მატიანიდან.

ამ ძეგლის მიხედვით, რომელიც გურგენის მთავრობის დასაწყისს ეხება, ჩვენ ვგებულობთ, რომ გურგენს, ჯერ კიდევ თავის მთავრობის პირველ წლებში, დაუპყრია სომხეთის სანაპიროები; მას შემოღუერთებია ტაშირის მხარენი, რომელიც ამ დროს სომხების მიერ იყო დაკერილი, შემოღუერთებია აგრეთვე ტერიტორია ალბანეთის ტომებისა — უტის ქვეყანა (თანამედროვე განჯა—ყარაბაღის მხარე).

ეს ბრძოლები, რომლებიც უწარმოებია გურგენ ერისთავთ-ერისთავს, შემდეგ ვითარებაში იყო წარმოშობილი.

როგორც ცნობილია, მე-9 საუკუნის დასასრულს ახლად ჩამოყალიბებულმა სომეხთა სამეფომ სცადა გაეფართოვებინა თავისი საზღვრები ჩრდილოეთისაკენ, საქართველოსა და ალბანეთის მიმართულებით. ამ დროს სომხებმა შესძლეს დაეპირათ საქართველოსადმი კუთვნილი ტაშირის პროვინციები. სომხეთმა შეიერთა აგრეთვე ალბანეთის მხარეები, მათ შორის უტის ქვეყანა.

საქართველოს პროვინციების დაპყრამ გამოიწვია საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის დიდი გამწვავება. თუ რამდენად გამწვავებული იყო ამ დროს სომეხ-ქართველთა ურთიერთობა, ეს შესაძლოა გავითვალისწინოთ ამ ეპოქის ძეგლის გობრონის მარტვილობის მიხედვით, რომელიც დაწერილია მე-10 საუკუნის დასაწყისში, 914 — 918 წლებში (დაწერილია ამასთან სწორედ შავშეთში, ე. ი. იმ მხარეში, რომელიც აშოტ კუხისა და გურგენ ერისთავთ-ერისთავის სამფლობელოს შეადგენდა).

როგორც მოხსენებულ გვექონდა, 918 წელს, აშოტ კუხის გარდაცვალების შემდეგ, გურგენი დასვეს ერისთავთა-ერისთავად შავშეთ—არტაანისა და მიმდგომი მხარეებისა. გურგენის ეს სამფლობელო აღმოსავლეთის მხრით, არტა-

<sup>1</sup> იხ. სუჰბატ დავითის-ძე, გვ. \*52/352.

ნისა და ჯავახეთის ხაზით, ემიჯნებოდა ტაშირის პროვინციებს, რომლებიც სომხებს ჰქონდა დაჭერილი.

921 — 922 წლებში გურგენ ერისთავთ-ერისთავს დაუწყია <sup>განჯა-ყარაბაღის</sup> ტაშერის მხარეთა გასანთავისუფლებლად. სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათოლიკოზის ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ამ დროს, 921 — 922 წლებში, გურგენს უკვე შეუერთებია ტაშირის მხარის ტერიტორიები, ვარდა ზოგიერთი ციხეებისა, და ბრძოლა სწარმოებდა ამ ცალკეული ციხეების აღებისათვის <sup>1</sup>.

ამავე ხანებში გურგენ ერისთავთ-ერისთავს შემოუერთებია აგრეთვე ალბანეთის ტერიტორიები, უტის ქვეყანა (განჯა-ყარაბაღის მხარე), რომელიც სომხებს ეჭირათ.

უტის ქვეყნის (განჯა-ყარაბაღის მხარის) შემოერთება საქართველოსთან შემდეგს ვითარებაში მომხდარა.

სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათოლიკოზის ცნობებიდან ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც გურგენ ერისთავთ-ერისთავი დამკვიდრებულა ტაშირის მხარეში, სომხეთს გასდგომია უტის ქვეყანა (განჯა-ყარაბაღის მხარე) და შეერთებია გურგენ ერისთავთ-ერისთავის სამფლობელოს. კერძოდ გურგენს მიზნობია უტის ქვეყნის უძლიერესი მთავარი ამრამი, რომელიც გამხდარა ვასალი გურგენ ერისთავთ-ერისთავისა. საქართველოს ძალა-უფლება უცენიათ აგრეთვე ალბანეთის დანარჩენ მთავრებსაც. თანამედროვე სომეხთა ისტორიკოსი იოანე კათოლიკოზი აღნიშნავს, რომ ალბანეთის ქვეყანა გურგენ ერისთავთ-ერისთავმა გადაიბირა, ჩამოაშორა სომეხებს და ალბანეთის ნახარაბები (მთავრები) თავისი ვასალები გახადაო, ყველა ამ კუთხის (ალბანეთის ქვეყნის) ნახარაბობას თავისთან აღაშქრებდა და სომეხებიდან განდგომას მოუწოდებდაო<sup>2</sup>.

გურგენ ერისთავთ-ერისთავმა ალბანეთის ამ მხარეების, უტის ქვეყნის (განჯა-ყარაბაღის პროვინციების) საქართველოსთან შემოერთებით აღადგინა ის ძველი საზღვარი ქართველთა სამეფოსი, რომელიც აშოტ 1-ის დროს არსებობდა <sup>3</sup>.

უტის ქვეყნის შემოერთება საქართველოსთან მომხდარა 922 წელს, გურგენ ერისთავთ-ერისთავის მთავრობის დასაწყისში.

ამის შემდეგ, 923 წელს, ქართველთა სამეფოს, როგორც ცნობილია, კონფლიქტი ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასთან არტანუჯის გამო, რაზედაც დაწერილებით მოგვითხრობს კონსტანტინე პორფიროგენეტი.

აღსანიშნავია, რომ იმავე 923 წელს, მხოლოდ უფრო ადრე, ვიდრე დაიწყებოდა ეს კონფლიქტი, ბიზანტიის იმპერატორმა გურგენ ერისთავთ-ერისთავს მიუბოძა მაგისტროსის ხარისხი, რაც დიდ პატივად ითვლებოდა. მაგრამ მიუხედავად ამ კეთილ-განწყობილებისა, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა გამოხატა ამ აქტით, გურგენ ერისთავთ-ერისთავი არა თუ დარიდებია იმპერატორის წყენას, არამედ პირიქით სწორედ გურგენ ერისთავთ-ერისთავი ყოფილა მთავარი ორგანიზატორი იმ დიდი დემონსტრაციისა, რომელიც მოეწყო ქართველთა საშუალოში ბიზანტიის წინააღმდეგ. როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ამ დემონსტრაციამ უკან დაახვიინა ბიზანტიას; იმის შიშით, რომ ქართველთა სამეფოს ომი არ დაეწყოს ბიზანტიასთან, ბიზანტიელებმა უკან გაიყვანეს თავისი ჯარი.

<sup>1</sup> იხ. იოანე კათოლიკოზი (დრასხანაკრტელი), 1853 წ., გვ. 171—172.

<sup>2</sup> იხ. იოანე კათოლიკოზი (დრასხანაკრტელი), გვ. 172—173.

<sup>3</sup> იხ. ზემოთ, № 11 (1949 წ.), გვ. 129, 136—138.

ასეთია ის ცნობები, რომელსაც ვადავლებს გურგენ ერისთავთ-ერისთავის შესახებ თანამედროვე უცხოელი ავტორები იოანე კათოლიკოსის, ვახუშტის, ტანტინე პორფიროგენეტის. ამ ცნობების მიხედვით გურგენ ერისთავთ-ერისთავი დიდად ენერგიული, დიდი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწე ყოფილა, რომელსაც, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვანად გაუფართოვებია ქართველთა სამეფოს ტერიტორია და მისი საზღვრები განჯა-ყარაბაღის მხარემდე მიუტანია. ეს ცნობები, როგორც ვხედავთ, ეთანხმება და ამართლებს გურგენ ერისთავთ-ერისთავის იმ დახასიათებას, რომელიც წარმოდგენილია გიორგი მერაულის ძეგლში და სუმბატ დავითის-ძის ქრონიკაში.

7

**სია ქართველთა სამეფოს მეთაურთა — მეფეთა და კურაპალატთა მე-9 საუკუნის დასაწყისიდან — მე-11 საუკუნის დასაწყისამდე გიორგი მერაულის ძეგლისა და სხვა საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით**

გიორგი მერაულის თხზულებაში წარმოდგენილი ქართველთა სამეფოს შესახებ ცნობების განხილვის დასასრულს მოგვყავს აქ სია ქართველთა სამეფოს მეთაურთა — მეფეთა და კურაპალატთა, დაწყებული ქართველთა სამეფოს აღდგენის დროიდან მე-9 საუკუნის დასაწყისში, ვიდრე მე-10—11 საუკუნეთა მიჯნამდე, როდესაც, ბაგრატ III-ის დროს, საქართველოს სამეფო — სამთავრონი გაერთიანდნენ სრულიად საქართველოს სახელმწიფოს სახით.

ამ სიის მოყვანა საჭიროდ მიგვაჩნია კერძოდ იმის გამო, რომ არსებული ნუსხა, მიღებული ქართული ისტორიოგრაფიაში, არ არის ზუსტი.

შეფარდება ყველა იმ ჩვენებათა, რომელთაც შეიცავს გიორგი მერაულის თხზულება (— უძველესი ქართულ საისტორიო ძეგლთა შორის, რომლებიც ასახავენ ამ ეპოქას), სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა, მატიაზე ქართლისა და სხვა ქართული საისტორიო წყაროები და მასალები, აგრეთვე უცხოური წყაროები, გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ შემდეგი ნუსხა ქართველთა სამეფოს მეთაურთა დასახელებულ პერიოდში.

- |  |                                    |
|--|------------------------------------|
| 1. <b>აშოტ I</b> დიდი (ძე ადარნერსესი)                           |                                    |
| ა. ქართლის ერისმთავარი   | VIII საუკუნის ბოლოდან — 809 წლამდე |
| ბ. ქართველთა მეფე და კურაპალატი                                  | 809/813 — 826 წ. (1)               |
| 2. <b>ბაგრატ I</b> (ძე აშოტ I-ისა), ქართველთა მეფე და კურაპალატი | 826 — 876 წ. (2)                   |
| თანამმართველნი:  |                                    |
| 2-ა. ადარნერსე ხელმწიფე (ძე აშოტ I-ისა)                          | 826 — 867/9 წ. (2)                 |
| 2-ბ. გუარამ მამფალი (ძე აშოტ I-ისა)                              | 826 — 882 წ. (4)                   |

1 იხ. გიორგი მერაულე, გვ. 32, 38—41, 44—45, 61—63, 103—107; დანარჩენი წყაროები მოითხოვებულია შემოთ, გამოკვლევაში.

2 იხ. გიორგი მერაულე, გვ. 32, 41, 44, 46, 61—63; 65—66, 67—70, 71, 115, 117, 118; სუმბატ დავითის-ძის მატიაზე, \*576—577/345—346; მატიაზე ქართლისა, \*443—446/220—223.

3 იხ. გიორგი მერაულე გვ. 46, 61, 71, 107—109; სუმბატ დავითის-ძე, გვ. \*576/345—346; მატიაზე ქართლისა, გვ. \*445/223.

4 იხ. გიორგი მერაულე გვ. 41, 71, 89, 91, 93, 96, სუმბატ დავითის-ძე გვ. \*576—577/345—347; მატიაზე ქართლისა, გვ. \*444—447/222—225.



3. დავით I (ძე ბაგრატ I-ისა), ქართველთა მეფე და კურაპალატი 876 — 881 წწ. (წიგნი 881 წლისა)
4. აღარნერსე I (ძე დავით I-ისა), ქართველთა მეფე და კურაპალატი (881) 888 — 923 წ. (9)  
 ა. მემკვიდრე (მცირეწლოვანობის დროს) 881 წლიდან;  
 ბ. მეფედ დადგენილ იქმნა 888 წელს;  
 გ. კურაპალატად დადგენილ იქმნა 891 წლის შემდეგ.  
 თანამმართველნი:  
 4-ა. აშოტ (ძე ბაგრატ I-ისა), რეგენტი (მეფის ტიტულით) 881 — 885 წ. (9)  
 4-ბ. გურგენ I (ძე აღარნერსე I-ისა), ქართველთა კურაპალატი 881 — 891 წ. (9)
5. დავით II (ძე აღარნერსე I-ისა), ქართველთა მეფე 923 — 937 წ. (9)  
 5-ა. ბაგრატ მაგისტროსი, (ძე აღარნერსე I-ისა); მეფედ წოდებული 937 — 945 წ. (10)  
 (ბაგრატ მაგისტროსის, მეფედ წოდებულს, არ მიუღია საერთაშორისო ცნობა და მეფის ტიტული ვერ დაუმკვიდრებია).  
 5-ბ. აშოტ II (ძე აღარნერსე I-ისა), ქართველთა კურაპალატი (923) 937 — 954 წ. (11)  
 (აშოტ II 923 — 937 წლებში იყო თანამმართველი დავით I-ისა ქართველთა კურაპალატის ტიტულით; 937 — 945 წლებში იყო მეთაური სახელმწიფოსი, ქართველთა კურაპალატის ტიტულით, ბაგრატ მაგისტროსთან ერთად. 945 — 954 წლებში იგი ერთობლივად მეთაურია სახელმწიფოსი, აგრეთვე ქართველთა კურაპალატის ტიტულით. 937 — 954 წლებში მეფობის ინსტიტუტი მოსპობილი იყო).

<sup>9</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 71 სუმატ დავითის-ძის მატთან \*577/346—347. მატთან ქართლისა \*446—447/224; პატიშვილის ოთხთავის ანდერძი (MAK, XIV, გვ. 115. სიდიანაც დასტურდება, რომ დავით I, კურაპალატის ტიტულით ერთად, მეფის ტიტულს ატარებდა).

<sup>10</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 138; სუმატ დავითის-ძის მატთან \*577—579/347—349. მატთან ქართლისა \*447—448/225; პატიშვილის ოთხთავის ანდერძი. ფეხოვური წყაროებში კონსტანტინე პორფიროგენეტი *op. cit.*, თავი 45 და ითანე კათოლიკოსის (დრასხანაკერტელის) მატთან, გვ. 80 და შემდგომში.

<sup>11</sup> იხ. სუმატ დავითის-ძის მატთან, გვ. \*577/347, მატთან ქართლისა გვ. \*447/224; პატიშვილის ოთხთავის ანდერძი (სიდიანაც დასტურდება, რომ აშოტს, როგორც რეგენტს, მიემართებოდა მეფის ტიტული).

<sup>12</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 71, 109; სუმატ დავითის-ძის მატთან, \*575—579/346—348; მატთან ქართლისა \*447—448/225.

<sup>13</sup> იხ. სუმატ დავითის-ძის მატთან, გვ. 579—580/349—350; კონსტანტინე პორფიროგენეტი, *op. cit.*, თავი 46.

<sup>14</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 138 სუმატ დავითის-ძე \*580/349—350; კონსტანტინე პორფიროგენეტი, *op. cit.*, თავები 45, 46. იშხანის საფრესკო წარწერა. (იხ. აგრეთვე განმარტების სის ბოლოში უმეფობის დროის შესახებ).

<sup>15</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 138; სუმატ დავითის-ძის მატთან გვ. \*580—581/349—350; კონსტანტინე პორფიროგენეტი, *op. cit.*, თავები 45, 46.



6. სუმბატ I (ძე ადარნერსე I-ისა) ქართველთა მეფე და კურაპალატი 954 — 958 წ. (12)
7. ბაგრატ II, რეგვენად წოდებული (ძე სუმბატ I-ისა), ქართველთა მეფე 958 — 994 წ. (13)  
თანამმართველნი:
- 7-ა. ადარნერსე II (ძე ბაგრატ მაგისტროსისა), ქართველთა კურაპალატი 958 — 961 წ. (14)
- 7-ბ. ადარნერსე III (ძე სუმბატ I-ისა), ქართველთა კურაპალატი 961 — 983 წ. (15)
- 7-გ. დავით III დიდი (ძე ადარნერსე II-ისა), ქართველთა კურაპალატი, მოურავი ქართველთა სამეფოსი, მეფე იმიერტაოსი და აღმოსავლეთის მხარეთა (961) 978 — 1001 წ. (16)
- ა. მიილო მაგისტროსის ტიტული 961 წ.
- ბ. შვლობელი იმიერი ტაოსი 961/966 წლებიდან.
- გ. მიილო კურაპალატობა და შემოიერთა ბიზანტიიდან აღმოსავლეთის მხარენი 978 წ.
8. გურგენ I (ძე ბაგრატ II -ისა), ქართველთა მეფეთა-მეფე (975) 994 — 1008 წ. (17)
9. ბაგრატ III (ძე გურგენ II-ისა) მეფე სრულიად საქართველოსი, აფხაზთა მეფე, ქართველთა მეფე და კურაპალატი (975) 978 — 1014 წ. (18)
- ა. მეშვიდრე შვლობელი ქართლისა 975 წლიდან
- ბ. მეფე აფხაზეთისა 978 წლიდან
- გ. მიილო ქართველთა კურაპალატის ტიტული 1001 წელს.
- დ. მიილო ქართველთა მეფის ტიტული 1008 წელს
- ე. საქართველოს ვაერთიანება დამთავრდა კახეთ-ჰერეთის შემოერთებით 1010 წლის ახლო

12 იხ. სუმბატ დავითის-ძის შატაინე, გვ. \*580—581/349—350; დოლისვანის წარწერა (იხ. ნ. მარტი, TP. VII, გვ. 184—185). სუმბატ I, ვიღრე იგი 954 წელს მეფის და კურაპალატის ტიტულს მიიღებდა, ამაზე ადრე, 941—954 წლებში, ერისთავთ-ერისთავის ტიტულს ატარებდა; გიორგი შერჩელის თხზულებაში, 950 წელს, სუმბატ I მოიხსენება ერისთავთ-ერისთავად, იხ. გვ. 138.

13 იხ. სუმბატ დავითის-ძის შატაინე, გვ. \*581—582/350—351; შატაინე ქართლისა, გვ. 466/240—241; სტეფანოს ტარონელის (ასოლიკის) შატაინე, გვ. 252, 267, 277.

14 იხ. სუმბატ დავითის-ძის შატაინე, გვ. \*580—581/350—351; ადარნერსე II, ვიღრე იგი 958 წელს კურაპალატის ტიტულს მიიღებდა, ამაზე ადრე, 945—958 წლებში, მაგისტროსის ტიტულს ატარებდა; გიორგი შერჩელის თხზულებაში, 950 წელს, ადარნერსე II მოიხსენება მაგისტროსის ტიტულით, იხ. გვ. 138. იხ. აგრეთვე კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit. თავი 45.

15 იხ. სუმბატ დავითის-ძის შატაინე, გვ. \*582/351.

16 ძირითადი ქართული წყაროები: შატაინე ქართლისა (გვ. \*459—467/235—241), სუმბატ დავითის-ძის შატაინე (გვ. \*581—582/351—352, ცხორება იოანე და ეფთვიმე შთაწმიდელთა (1946 წ., გვ. 15—20, 25, 28).—უცხოური წყაროები: სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი), არისტაკეს ლასტივერტელი, მათე ედესელი, ედრენი, ზონარი, იაზია ანტიოქელი.

17 იხ. შატაინე ქართლისა, გვ. \*461—468/236—242; სუმბატ დავითის-ძის შატაინე, გვ. \*582/351—352; სტეფანოს ტარონელის (ასოლიკის) შატაინე, გვ. 250, 270, 276, 278—9, არისტაკეს ლასტივერტელი (1912 წ.), გვ. 5, 23.

18 ძირითადი ქართული წყაროები: შატაინე ქართლისა (გვ. \*461—473/236—246), სუმბატ დავითის-ძის შატაინე, (გვ. \*582—584/351—354), დივანი აფხაზთა მეფეთა (ძველი საქართვე-



მოყვანილი სიის გამო ჩვენ აქ შევჩერდებით ერთ საკითხზე, რომელიც ინსტიტუტის დროებით შეჩერებაზე, რასაც ადგილი ჰქონია მეათე საუკუნის მეორე მესამედში, 937—954 წლებში, აშოტ II ქართველთა კურაპალატის დროს, და რასაც შუქი ეფინება გიორგი მერჩულის ძეგლიდან.

გიორგი მერჩულე, როგორც აღნიშნული გვეჩინდა, იყო თანამედროვე აშოტ II ქართველთა კურაპალატისა; თხზულება გიორგი მერჩულისა — ცხობრება გრიგოლ ხანძთელისა — დაწერილია აშოტ II-ის კურაპალატობის დროს, 950 წელს.

გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში აშოტ II კურაპალატს უწოდებს არა მეფეს, არამედ მთავარს.

გრიგოლ ხანძთელის ცხობრების უკანასკნელ თავში გიორგი მერჩულეს ჩამოთვლილი ჰყავს თავისი თანამედროვე მფლობელნი და ხელისუფალნი, როგორც ქართველთა სამეფოსი (იბერიისა), ისე აფხაზეთისა (დასავლეთ საქართველოსი); სახელდობრ გიორგი მერჩულე აქ აღნიშნავს, რომ მისი თხზულება დაიწერა 950 წელს —

„ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნერსე ქართველთა მეფისასა, აფხაზეთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კოსტანტი მეფისასა, ერისთავთ-ერისთავობასა სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისასა, მაგისტროსობასა ადარნერსეისსა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა, ერისთავობასა სუმბატისსა, ძისა დავით მამფლისასა“<sup>1</sup>.

ამრიგად ამ ჩამოთვლისას გიორგი მერჩულე პირველად მოიხსენებს ქართველთა სახელმწიფოს (იბერიის) მეთაურს, რომელსაც მიემართება ტიტული მთავრისა; შემდეგ მოხსენებულია აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც მიემართება ტიტული მეფისა; შემდეგ კი ჩამოთვლილი არიან ქართველთა სახელმწიფოს (იბერიის) უმაღლესი ხელისუფალნი — ერისთავთ-ერისთავი, მაგისტროსი და ერისთავი.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში მფლობელი მეფე-მთავრებისა და ხელისუფლების ტიტულატურის აღნიშვნის დროს ზუსტად არის დაცული ოფიციალური პოლიტიკური ტერმინოლოგია; იგი არ ხმარობს ამ ტიტულებს ad majorem gloriam, არამედ ისტორიკოსის სრული ზედმიწევნით იგი იცავს ოფიციალურად მიღებულ ტიტულატურას.

ეს სიხანს კერძოდ შემოთ-მოყვანილი ტექსტიდანაც.

გიორგი მერჩულე, როგორც ვნახეთ, პირველად მოიხსენებს იბერიის სახელმწიფოს მეთაურს, იმის გამო, რომ იგი მისი ქიციანის ხელმწიფეა, ხოლო მეორედ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ხელმწიფეს; მაგრამ ამავე დროს იგი პირველს უწოდებს მთავარს, ხოლო მეორეს მეფეს. აშკარაა ამის მიხედვით, რომ იბერიის სახელმწიფოს მეთაურს ამ დროს მეფის ტიტული არ ჰქონია.

ლო, 1913 წ., გვ. 21—22). — უცხოურა წყაროები: სტეფანოს ტარანელი (სოლოვი) (გვ. 252, 276), არისტაკეს ლსტივერტელი (გვ. 5, 7).

<sup>1</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 137—138.

აღსანიშნავია ამავე დროს ისიც, რომ გიორგი მერჩულე მეფის ტიტულით მოხსენებს იბერიის სახელმწიფოს წინანდელ მეთაურთ, კერძოდ აშოტ II კურაპალატის მამას აღარნერსე მეფეს (იხ. ზემოთ, აქვე მოყვანილი წინაში). ასევე გიორგი მერჩულის თხზულებაში ამავე მეფის ტიტულით მოხსენიებულია იბერიის სახელმწიფოს მეთაური მე-9 საუკუნისა: აშოტ 1 დიდი (809 — 826 წ.) და ბაგრატ I (826 — 872 წ.).

ამრიგად გიორგი მერჩულის ტექსტის მიხედვით სრულიად უდავოდ ირკვევა, რომ მისი დროის იბერიის სახელმწიფოს მეთაური აშოტ II კურაპალატი აღარ ატარებდა ტიტულს მეფე, არამედ იგი ყოფილა მთავრის რანგის მფლობელი; მეფობის ინსტიტუტის მოქმედება ამ დროს შეჩერებული ყოფილა.

საკითხავია ამის შემდეგ, ჰქონდა თუ არა ადგილი მეფობის ინსტიტუტის მოქმედების შეჩერებას სხვა დროსაც იბერიაში, და რით იყო ეს გამოწვეული. წყაროების შესწავლიდან ირკვევა, რომ ასეთ ფაქტს მხოლოდ ორგზის ჰქონია ადგილი მე-9 — 10 საუკუნის განმავლობაში:

პირველად მე-9 საუკუნის ოთხმოციან წლებში, ხანმოკლე დროის მანძილზე, დავით I-ის მოკვლის შემდეგ — აღარნერსე I-ის გაზეფებამდე;

მეორედ, მე-10 საუკუნეში, აშოტ II კურაპალატის დროს 937 წლიდან 954 წლამდე.

პირველ შემთხვევაში, ე. ი. მე-9 საუკუნის 80-იან წლებში, მეფობის ინსტიტუტის დროებითი შეჩერება გამოწვეული იყო შინაგანი არეულობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა იბერიაში, და მეგვიდრის აღარნერსეს მცირეწლოვნობით.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, მეფობის ინსტიტუტის შეჩერებას მეათე საუკუნეში, აშოტ II კურაპალატის დროს, 937—954 წლების მანძილზე, ამას, როგორც ირკვევა, სულ სხვა მიზეზები ჰქონდა; იგი გამოწვეული ყოფილა ბიზანტიისა და ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობის გართულებით, მეფობის ინსტიტუტის შეჩერება ბიზანტიის ინტრიგების მეოხებით მომხდარა.

როგორც ირკვევა, მეფობის ხარისხის მისაღებად სახელმწიფოს მეთაურის მიერ არ იყო საკმარისი მართო თვით-აღიარება მეფედ; ამისათვის რომ მეფედ არჩეულს ოფიციალურად განემტკიცებინა ეს თავისი ტიტული, მას უნდა მიეღო საერთაშორისო ცნობა მეზობელი ქვეყნებიდან და პირველ რიგში ცხადია ბიზანტიიდან. მეფედ ცნობა ეს იყო არა უბრალოდ ტიტულატურის საკითხი, არამედ ეს იყო ამავე დროის ქვეყნის სრული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი.

ხოლო მე-10 საუკუნის ოციანი წლებიდან მოკიდებული ვიდრე ორმოცდაათიან წლებამდე ქართველთა სამეფოსა და ბიზანტიას შორის გაშფავებული ურთიერთობა არსებობდა ჯერ არტანუჯის კონფლიქტის გამო, ხოლო შემდეგ არაბთაგან დაპყრობილი აღმოსავლეთის ქვეყნების (თეოდოსიოპოლისა და მიმდგომი მხარეების) კუთვნილების საკითხის გამო. მდგომარეობა იმდენად გართულებული იყო, რომ საქმე ომის მექარამდისაც კი მიდიოდა.

როგორც ცნობილია, პირველ კონფლიქტში ქართველთა სამეფომ გაიმარჯვა. მეორე კონფლიქტშიაც გამარჯვება ნაწილობრივ აგრეთვე ქართველთა სამეფოს ხედა, რამდენადაც ქართველთა სამეფომ მიიღო ნაწილი საღაო ქვეყნებისა არაქსის ხეობაში, — ჩრდილო ბასიანი.

სწორედ ამ ხანებში, როდესაც დაწყებული იყო ეს მეორე კონფლიქტი აღმოსავლეთის ქვეყნების გამო და მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა, 937 წელს გარდაიცვალა უძეოდ ქართველთა მეფე დავით I (რომლის ტანამაართველი იყო აშოტ II კურაპალატი). მემკვიდრეობის წესით სამეფო ტახტი უნდა მიეღო მის მომდევნო ძმას ბაგრატ მაგისტროსს.

როგორც ირკვევა, ბაგრატ მაგისტროსს მიუღია კიდევ მეფის ტიტული.

რომ ბაგრატ მაგისტროსს, ძმის გარდაცვალების შემდეგ, მეფის ტიტული მიუღია, ამას დოკუმენტალურად ადასტურებს საფრესკო წარწერა განთქმული იშხანის ტაძრისა. იშხანის ტაძარში დაცულია საფრესკო მხატვრობა ბაგრატ მაგისტროსის დროისა; თვით ბაგრატ მაგისტროსის საფრესკო გამოსახულებას თან ახლავს შემდეგი წარწერა მე-10 საუკუნის ასომთავრულით:

„ბაგრატ მაგისტროსი, ქართველთა მეფე“<sup>1</sup>.

მაგრამ ბაგრატ მაგისტროსს ვეღარ დაუმკვიდრებია საბოლოოდ ეს ტიტული ქართველთა მეფისა.

როგორც აღენიშნეთ, მეფის ტიტულის დამკვიდრებისათვის საჭირო ზყო საერთაშორისო ცნობა მეზობელი ქვეყნებიდან და პირველ რიგში აღმოსავლეთის ქრისტიანული მსოფლიოს მთავარი ქვეყნის ბიზანტიიდან. ხოლო რაკი ამ დროს ურთიერთობა ბიზანტიასა და იბერიას შორის ასე გამწვავებული იყო, ცხადია ბიზანტია შეეცდებოდა, რათა ბაგრატ მაგისტროსს, როგორც ქართველთა მეფეს, არ მიეღო ასეთი ცნობა. (რომ თვით ბიზანტია ამ გამწვავებული ურთიერთობის გამო აღარ სცნობდა იბერიის სახელმწიფოს მეთაურს, როგორც მეფის რანგის მქონე ხელმწიფეს, ეს დასტურდება სწორედ ამ ეპოქის ბიზანტიური ძეგლიდან, კონსტანტინე პოლიროგენეტის თხზულებიდან, სადაც იბერიის ხელმწიფეს მიემართება ტიტული მთავრისა და არა მეფისა).

ასეთ პირობებში, ბაგრატ მაგისტროსს ვეღარ მიუღია საერთაშორისო ცნობა, როგორც ქართველთა მეფეს, ვერ დაუმკვიდრებია მეფის ტიტული.

ამრიგად ბიზანტიამ ამით აიღო რეევანში იმ პოლიტიკურ დამარცხებათა გამო, რომელიც მან, იბერიასთან ურთიერთობის დროს, სხვა საკითხებში განიცადა.

რომ ბაგრატ მაგისტროსს ვეღარ დაუმკვიდრებია ქართველთა მეფის ტიტული, — ამას ადასტურებს გიორგი მერჩულის ძეგლი. გიორგი მერჩულას თხზულებაში ბაგრატს არ მიემართება ტიტული „ქართველთა მეფე“; იგი მოიხსენება მხოლოდ როგორც მაგისტროსი, მეფის ტიტულის გარეშე (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 138).

სხვათა შორის ამ მაგალითის მიხედვითაც კარგად სჩანს, თუ როგორის სიზუსტით არის აღბეჭდილი გიორგი მერჩულის ცნობები, თუ როგორ პრეციზულ ზედმიწევნილობას იჩენს ამ მხრივ ჩვენი ავტორი, როგორც ისტორიკოსი.

945 წელს გარდაიცვალა ბაგრატ მაგისტროსი. მას შემდეგ, მემკვიდრეობის წესით, მეფის ხარისში უნდა მიეღო მის მომდევნო ძმას აშოტ II-ს, ქართველთა კურაპალატს.

<sup>1</sup> წარწერა ვადმოღებულია აკადემიკოს ე. თაყაიშვილის მიერ 1917 წელს თურქეთის საქართველოში მოგზაურობის დროს. წარწერის პირის ვადმოცემისათვის პატივცემულ მეცნიერს ვუღიოთ მადლობას მოვახსენებთ.



მაგრამ, როგორც მოვიხსენიეთ და როგორც ეს დასტურდება გიორგი მერჩულის ძეგლიდან, აშოტ II-ს აგრეთვე ვერ დაუმკვიდრებია ქართველთა მეფის ტიტული იმავე მიზეზების გამო. აშოტ II რჩება სახელმწიფოს მფარველად „ქართველთა კურაპალატი“-ს ტიტულით, მხოლოდ როგორც არა შეფე, არამედ როგორც მთავრის რანგის ხელმწიფე.

მეფობა აღდგენილ იქმნა აშოტ II კურაპალატის შემდეგ, მისი მემკვიდრის სუმბატ I კურაპალატის დროს (954 — 958 წ.წ.), როგორც ეს დასტურდება დოლისყანის წარწერიდან.

ამის შემდეგ ქართველთა სამეფოს მეთაურნი მუდამ ატარებდნენ ამ ტიტულს: „ქართველთა მეფე“ (აგრეთვე „ქართველთა მეფეთ-მეფე“). სუმბატ I-ის მემკვიდრეა ბაგრატ II, ქართველთა მეფე (958 — 994 წ.); მას მოსდევს გურგენ I ქართველთა მეფეთ-მეფე (994 — 1008 წ.); ხოლო ამ უკანასკნელის მემკვიდრეა ბაგრატ III, რომლის დროსაც მოხდა გაერთიანება საქართველოს სამეფო-სამთავროთა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს სახით და დაიწყო ახალი ერა ქართული სახელმწიფოებრივობისა.

ასეთია ისტორია უმეფობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართველთა სახელმწიფოში მე-10 საუკუნის მეორე მესამედში, 937 — 954 წლებს შორის.

8

დასკვნები

ჩვენ ამით დავასრულებთ შედარებით განხილვას გიორგი მერჩულისა და მისი ეპოქის სხვა საისტორიო წყაროების ცნობებისას ქართველთა სამეფოს შესახებ.

წარმოდგენილმა მასალებმა ჩვენ მოგვცა საფუძველი არსებითად გადაგვიხინჯა ის შეხედულებანი, რომლებიც დღემდე მიღებული იყო საისტორიო მეცნიერებაში ქართველთა სამეფოს (იბერიის) მე-9 — 10 საუკუნეთა ისტორიის მთელ რიგ ძირითად საკითხთა გამო.

ეს შემცდარი შეხედულებანი, რომელიც დღემდე მიღებულია საისტორიო მეცნიერებაში, შემუშავებული იყო მეტ წილად უფრო ადრე, ვიდრე გიორგი მერჩულის თხზულება აღმოჩენილი და გამოქვეყნებული იქნებოდა. გიორგი მერჩულის აღმოჩენის შემდეგ ეს საკითხები აღარ ყოფილა ახლებურად განხილული, შეფარდებით ახალ მასალებთან.

ამ შემცდარ შეხედულებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემცდარი შეხედულება ქართველთა სამეფოს აღდგენის დროის შესახებ.

სახელდობრ საისტორიო მეცნიერებაში დღემდე შემდეგი შეხედულება იყო მიღებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების — „სამეფოების“ — აღდგენის შესახებ ცენტრალურ და სამხრეთ კავკასიაში — იბერიაში („ქართლში“) და სომხეთში.

„სამეფოს“ აღდგენა, მიღებულის შეხედულების თანახმად, ვითომც პირველად მოხდა სომხეთში მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში (835 წელს). ხოლო „ქართველთა სამეფო“ (იბერიის სამეფო) ვითომც აღდგენილ იქმნა ამის შემდეგ, მომდევნო წლებში (888 წელს).

რომ სომხეთში მეფობის აღდგენა მართლაც მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა, ეს ცნობილი ისტორიული ფაქტია, დამოწმებული საისტორიო წყაროებით.

ხოლო რაც შეეხება შეხედულებას, თითქოს „ქართველთა სამეფო“-ს აღდგენაც აგრეთვე მომხდარიყოს მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში, სომხეთის სამეფოს აღდგენის შემდეგ, — ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

საისტორიო წყაროების განხილვიდან გამოიარკვა, რომ იბერიის დამოუკიდებლობის — „ქართველთა სამეფო“-ს აღდგენის პირველ ცდას ადგილი ჰქონია ჯერ კიდევ მე-8 საუკუნეში, როდესაც არჩილ II-ის დროს, ხანმოკლე დროის მანძილზე, აღდგენილ იქმნა „მეფობა ქართლისა“.

ხოლო მკვიდრად და საბოლოოდ „ქართველთა სამეფო“-ს აღდგენა მომხდარა მე-9 საუკუნის დასაწყისში აშოტ I დიდის დროს, 809/813 — 826 წლებში. ამას ადასტურებს, როგორც ვნახეთ, გიორგი მერჩულის თხზულება, უძველესი ქართულ საისტორიო ძეგლთა შორის, რომლებიც ასახავენ ამ ეპოქას; ამასვე ეთანხმება აგრეთვე, როგორც გამოიარკვა, სხვა საისტორიო წყაროებიც ამავე ეპოქისა<sup>1</sup>.

ჩვენ აქ აღარ ჩამოვთვლით დანარჩენ მცდარ შეხედულებებს, რომლებიც დღემდე მიღებული იყო ქართველთა სამეფოს ისტორიის სხვა საკვანძო საკითხთა გამო, რამდენადაც ეს საკითხები გაშუქებულია ამ გამოკვლევის მანძილზე. ასე, როგორც გამოიარკვა, დღემდე არ ყოფილა სწორად აღდგენილი სურათი იმისა, თუ რა კონკრეტულ ვითარებაში ჩაეყარა საფუძველი და სწარმოებდა მშენებლობა იბერიის ამ განახლებული სამეფოსი, კერძოდ არ ყოფილა გათვალისწინებული პერიპეტეიები იმ დიდი და ხანგრძლივი ბრძოლისა, რომელიც ქართველ ხალხს უწარმოებია ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

აქ დამატებით საჭიროდ მიგვაჩნია მხოლოდ ხაზი გაეუსვათ ერთ შეცდომას, რომელიც ეხება იბერიის სახელმწიფოს, „ქართველთა სამეფო“-ს თვით სახელწოდებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ სახელმწიფოს, რომელიც ჩამოყალიბდა აშოტ I დიდის დროს მე-9 საუკუნის დასაწყისში, უწოდებენ „ტაო-კლარჯეთს“, „ტაო-კლარჯეთის სამთავროს“.

ამ სახელწოდებაში „ტაო-კლარჯეთის სამთავრო“ ორნაირი შეცდომაა.

ჯერ ერთი, აშოტ I დიდის დროს შექმნილი სახელმწიფო, როგორც გამოიარკვა, ეს იყო არა სამთავრო, არამედ „სამეფო“, ე. ი. დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო. ეს საკითხი დაწერილებით განხილული იყო ზემოთ და ამაზე აქ აღარ შევჩერდებით.

ხოლო მეორე არა ნაკლები მძიმე შეცდომა ეს არის თვით სახელწოდება „ტაო-კლარჯეთი“.

აშოტ I-ის დროს მოხდა აღდგენა იბერიის დამოუკიდებლობისა. ამ დროს დაარსებულ იქმნა არა რომელიმე პროვინციალური სამფლობელო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო, არამედ აღდგენილ იქმნა, — ძველი მიმატიანის გამოთქმა რომ გაეიმეოროთ, — „მეფობა ქართლისა“, აღდგენილ იქმნა სახელმწიფო იბერია („ქართლი“ ძველის ვაგებით), ანუ „ქართველთა სამეფო“. ამიტომ არის,

<sup>1</sup> დამატებით ამ საკითხზე იხ. აგრეთვე სპეციალურ ექსკურსში, სადაც მოცემული ვაჭვბ განხილვა არსებულ მცდარ შეხედულებათა. (იქვე ვაჭვბ წარმოადგინო ანაოზი სუმბატ დავითის-ძის ქრონიკის ენობისა, რომელიც, როგორც ირკვევა, არაა სწორად ახსნილი).

რომ ამ სახელმწიფოს მეთაურნი ოფიციალურად ატარებენ ტიტულს: „ქართველთა მეფე“, „ქართველთა კურაპალატი“ (და არა „ტაო-კლარჯეთის მეფე ან კურაპალატი“).

საქართველო

ამ რიგად ამ სახელწოდებაში „ქართველთა სამეფო“ ღრმა პოლიტიკური შინაარსია ჩადებული და შენაცვლება ამ ზოგადი სახელწოდებისა „ქართველთა სამეფო“ ვიწრო პროვინციული ტერმინით „ტაო-კლარჯეთი“ საქმის ვითარებას არა სწორად წარმოგვიდგენს.

სახელწოდება „ტაო-კლარჯეთი“ არაა ამ შემთხვევაში გამართლებული არა მარტო პოლიტიკურად; იგი არაა აგრეთვე გამართლებული ამ ფეოდალური სახელმწიფო ერთეულის ტერიტორიული მოცულობის მიხედვითაც.

„ქართველთა სამეფო“-ს ფარგლებში მისი აღდგენის პირველ პერიოდში, აშოტ I დიდის დროს, როგორც გამოირკვა, გაერთიანებული იყო ძველ იბერიის მთავარი ნაწილები: მესხეთის ანუ ზემო-ქართლის მხარეები (სახელდობრ პროვინციები: სამცხე, ჯავახეთი, არტაან-კოლა, შავშეთი, აჭარა, ნიგალი, კლარჯეთი, ტაონი, სპერი) და საკუთრივ ქართლის მხარეები (შიდა-ქართლი, ქვემო-ქართლი, ლიხის-იმიერი ქართლი).

ამიტომაც, თუ ჩვენ გამოვალთ ამ სახელმწიფოებრივი ერთეულის ტერიტორიული მოცულობიდან, მას უნდა ვუწოდოთ ქართლ-მესხეთის ფეოდალური სახელმწიფო; ხოლო თუ ჩვენ ისტორიული ტერმინოლოგიის ფარგლებში დაერჩებით, მას უნდა ვუწოდოთ იბერიის ანუ „ქართლის“ სამეფო ანუ „ქართველთა სამეფო“.

ის გარემოება, რომ ცენტრი სამეფოსი, პოლიტიკური ვითარების გამო, გადატანილი იყო შიდა-ქართლიდან ზემო-ქართლში, საქმის ვითარებას რასაკვირველია ოდნავადაც არა სცვლის.

ტერიტორიული მოცულობა ქართველთა სამეფოსი (ქართლ-მესხეთის ფეოდალური სახელმწიფოსი) მე-9—10 საუკუნეთა განმავლობაში, როგორც ცნობილია, არ იყო ერთნაირი; მისი საზღვრები ხან შემოიფარგლებოდა მარტო მესხეთის (ზემო-ქართლის) მხარეებით; ხან კი იგი მოიცავდა არა მარტო მესხეთის (ზემო-ქართლის) და საკუთრივ ქართლის ტერიტორიებს, არამედ სანაპირო ქვეყნებსაც. (ასე, გარკვეულ პერიოდებში ქართველთა სამეფოს ფარგლებში შედიოდა ნაწილი ალბანეთისა — განჯა-ყარაბაღის მხარეები, და ეგრეთ-წოდებული „აღმოსავლეთის“ ქვეყნები, ვიდრე ვანის ტბამდე სამხრეთით და ხალტო-არიჭის თემამდე აზრუმის დასავლეთით).

იმ პერიოდებში, როდესაც ქართველთა სამეფოში ქართლ-მესხეთის ქვეყნებიდან შედიოდა მარტო მესხეთის (ზემო-ქართლის) ქვეყნები, მას ზოგჯერ მიემართებოდა სახელწოდება „ტაო“. აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ „ტაო“ ეწოდებოდა მას არა იმის გამო, რომ ამ პერიოდში იგი მარტო ტაოს პროვინციას შეიცავდა, არამედ იმის გამო, რომ აღმინისტრაციული ცენტრი ამ მხარეთა იყო ტაოში. წყაროების ჩვენებათა მიხედვით სრულიად ზუსტად ირკვევა, რომ „ტაო“ ამ გაგებით, ე. ი. როგორც აღმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული, შეიცავდა არა მარტო ტაოს, და არა მარტო ტაო-კლარჯეთს, არამედ მესხეთის (ზემო-ქართლის) ყველა მხარეს (ე. ი. ზემოთ-ჩამოთვლილს შემდეგს 9 პროვინციას: სამცხე, ჯავახეთი, არტაან-კოლა, შავშეთი, აჭარა, ნიგალი, კლარჯეთი, ტაონი და სპერი)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. მატინე ქართლისა, გვ. \* 468/242, \* 461—464/237—239.

ხოლო აქ საქირთა ხაზი გავუსვით შემდეგს უაღრესად მნიშვნელოვანს პოლიტიკურ ფაქტს.

როგორც აღვნიშნეთ, საზღვრები ქართველთა სამეფოსი ტერიტორიაზე იცვლებოდა, იგი ზოგჯერ განიცდიდა პოლიტიკურ კრიზისებს და ტერიტორიის შემცირებას, ასევე იგი განიცდიდა პოლიტიკურ წარმატებებსა და ტერიტორიის გაფართოებას, მაგრამ ძირითადი პოლიტიკურ-იდეოლოგიური სახელმწიფოებრივი კონცეპცია უცვლელი რჩება. სახელდობრ ყველა ამ პერიოდებში, როგორც პოლიტიკური კრიზისების, ისე პოლიტიკური წარმატებების პერიოდებში, მაგისტრალური ხაზი ქართველთა სამეფოს პოლიტიკური იდეოლოგიისა ის იყო, რომ ეს სახელმწიფო კი არ არის რომელიმე პროვინციული სამფლობელო, რომელიმე ცალკე კუთხური ერთეული, არამედ იგი არის პოლიტიკური მემკვიდრე ძველი იბერიის ერთი მთლიანი სახელმწიფოსი. ამის გამო ყველა პერიოდებში, მე-9—10 საუკუნეთა მანძილზე, ამ სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდება ყოველთვის იყო: „ქართველთა სამეფო“, ხოლო მისი მეთაური ატარებდნენ ტიტულს: „ქართველთა მეფე“, „ქართველთა კურაპალატი“.

ეს იდეოლოგია, რომ ქართველთა სამეფო არ არის პროვინციული კუთხური სამფლობელო, არამედ არის პოლიტიკური მემკვიდრე ერთი მთლიანი ძველი იბერიის სახელმწიფოსი, მკაფიოდ არის გამოვლინებული კერძოდ გიორგი მერჩულის ძეგლში<sup>1</sup>.

უნდა აღვნიშნოს ამასთანავე ისიც, რომ ამ იდეოლოგიამ მე-9—10 საუკუნეებში გზა გაიკაფა საქართველოს გარეთაც და საერთაშორისო ცნობა მიიღო. ყველა თანამედროვე უცხოელი ავტორები მე-9—10 საუკუნეთა (როგორც მაგალითად ბიზანტიელი ავტორი კონსტანტინე პორფიროგენეტა, ასევე სომეხთა ისტორიკოსები), რომლებიც ეხებოდნენ ამ სახელმწიფოს, მოიხსენებენ მას არა ტაო-კლარჯეთის სახელით, არა რომელიმე სხვა პროვინციული სამფლობელოს სახელით, არამედ უწოდებენ მას იბერიის სახელმწიფოსს, ქართველთა სახელმწიფოსს.

(გაგრძელება იქნება)

<sup>1</sup> აღვნიშნავთ, რომ თვით ყახეთისა და პერეთის სამთავროებს, რომლებიც დამოუკიდებელი სამფლობელოების სახით არსებობდნენ მე-9—10 საუკუნეებში, გიორგი მერჩულე არა სცნობს ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად და მიიჩნია ისინი განუყოფელ ნაწილად ქართველთა სახელმწიფოსი. ეს მკაფიოდ ხიანს მისი თხზულების უკანასკნელი დამაბოლოებელი თავიდან, სადაც საქართველოს მეფე-მთავართა და ხელისუფალთა ჩამოთვლის დროს, გიორგი მერჩულე არ უთმობს მათ შორის ადგილს ყახეთისა და პერეთის მთავრებს.

## ამერიკის იმპერიალისტები და „მარქალიზაჰული“ თურქეთი



ამერიკელი იმპერიალისტები, რომელნიც ბოდავენ მსოფლიოზე ბატონობის იდეებით, „მარშალიზებულ“ თურქეთს თავიანთი აგრესიული გეგმებში თვალსაჩინო ადგილს უთმობენ. წაართვის რა თურქეთს ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ამერიკელმა იმპერიალისტებმა ფაქტურად ეს ქვეყანა გადააქციეს არა მარტო თავის კოლონიად, არამედ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საწინააღმდეგო ომის კერად გაზადეს. ისინი ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ თურქეთის ადამიანთა რეზერვები, მისი ტერიტორია და ბუნებრივი სიმდიდრენი, მეტადრე ნახშირი, ქრომი, ნავთი და სხვ. თურქული რეაქცია, რომელიც სრული სოლიდარობით შეგება იმპერიალისტური ბატონების ბოროტ გეგმებს, ყველაფერში აქტიურად ეხმარება მათ.

მაგრამ ინგლის-ამერიკისა და თურქეთის ახალი მსოფლიო ომის გამოწვევებელთა მოღვაწეობა მხოლოდ სამხედრო და ეკონომიური ღონისძიებებით როდი განისაზღვრება. ისინი აწარმოებენ აგრეთვე მოსახლეობის ფართო იდეოლოგიურ დამუშავებას.

ამხანაგმა ა. ქდანოვმა, გამოაშკარავა რა ამერიკელი იმპერიალისტების დანაშაულებრივი მოღვაწეობა იდეოლოგიურ ფრონტზე, თქვა:

„ახალი, მესამე მსოფლიო ომის მომზადებაზე რომ ოცნებობენ, ამერიკის ექსპანსიონისტური წრეები სისხლხორცეულად დაინტერესებული არიან იმით, რომ ჩაახშონ თავიანთ ქვეყანაში ყოველგვარი შესაძლო წინააღმდეგობა საგარეო ავანტიურებისადმი, შოვინიზმისა და მილიტარიზმის შხამით მოსწამლონ რიგითი ამერიკელების პოლიტიკურად ჩამორჩენილი და ნაკლებკულტურული მასები, „გააბრიყვონ“ ამერიკელი ობივატელი ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური პროპაგანდის სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებით—კინოს, რადიოს, ეკლესიისა და პრესის საშუალებით“.<sup>1</sup>

ეს დებულება შეიძლება სავსებით და უკლებლივ გადატანილ იქნას თურქეთზედაც. სწორედ ასე მოქმედებენ თურქი და ამერიკელი რეაქციონერები თურქეთში.

თურქული რეაქციის იდეოლოგიური იარაღის ყველა სახეობა ახლა ამერიკული იმპერიალიზმის სამსახურში იმყოფება. პირველ ყოვლისა ასეთი იარაღია—პანთურქიზმი, რომელიც თურქი ნაციონალისტების აგრესიულ, ფაშისტურ იდეოლოგიას წარმოადგენს. პანთურქიზმი ქადაგებს თურქული ნა-

<sup>1</sup> ა. ქდანოვი, საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, სახელგამი, თბილისი, 1947 წ. 33-21

ციის „ერთიანობას“ და „უპირატესობას“ სხვა ნაციებზე და მოუწოდებს „მუსლიმანურ“ ერებს გაერთიანდნენ რასიული ნიშნის მიხედვით, რეაქციული თურქეთის მეთაურობით, იმ მიზნით, რომ დაარსდეს „დიდი თურქული იმპერია“ უცხო ტერიტორიათა ხარჯზე, პირველ რიგში საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ხარჯზე. პანთურქიზმის ეს სულელური და ავანტიურისტული იდეა მეორე მსოფლიო ომის დროს გამოყენებული იქნა ჰიტლერული გერმანიის მიერ. უკანასკნელ დროს ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ცდილობენ გამოიყენონ აღმოსავლეთში თავის იდეოლოგიურ იარაღად აგრეთვე პანისლამიზმის იდეები, რისთვისაც გამოდიან ზალიფატის სახით „ისლამური იმპერიის“ შექმნის რეაქციული ლოზუნგებით.

მაგრამ, ამით როდი კმაყოფილდებიან ამერიკელი იმპერიალისტები და თურქეთში, ირანში, არაბეთის ქვეყნებში აწარმოებენ თავიანთ იდეოლოგიური ხარახურის ექსპორტს: ამერიკანიზმის რასიულ ბოდვას, ბურჟუაზიული ხრწნადი კულტურის სხვადასხვა ნიმუშებს, ამერიკულ კინო-ფილმებს განგსტერებსა და მკვლელებზე, პორნოგრაფიულ და დეკადენტურ ლიტერატურას, ამერიკულ რადიო-ნმახვას, ამერიკულ მოდებს და სხვ.

თურქი ხალხი მოექცა ახლა ორმაგი იდეოლოგიური ზეგავლენის ქვეშ. როგორც ეკონომიკის დარგში იგი ორმაგ უღელს განიცდის, (ერთის მხრივ — თურქული, მეორეს მხრივ კი — ამერიკელ და ინგლისელ ექსპლოატატორებისა), — ისევე იდეოლოგიის დარგში, იგი ორმაგი მუხრუჭის ქვეშ არის მოქცეული, ერთის მხრივ პანთურქიზმისა და რელიგიური ბნელეთის მოციქულობის, მეორეს მხრივ კი — „ამერიკული ცხოვრების“ და ბურჟუაზიული გახრწნილი კულტურის პროპაგანდისა.

ამერიკელი ბნელეთის მოციქულები, ეწევიან რა ამერიკანიზმის პროპაგანდას თურქეთში, ცდილობენ ჩააბრუნონ თურქებს ამერიკელი ექსპანიონისტების რასიული თეორია ამერიკელი ნაციის „განსაკუთრებულობისა“ და „უპირატესობის“ შესახებ, ჩააგონონ თურქებს, რომ ისინი იმყოფებიან სწორედ ისეთი ნაციის „უმალესი მფარველობის“ ქვეშ, რომელიც სპეციფიკური „ამერიკული სულის“ მატარებელია და მოწოდებულია მოახდინოს გავლენა სხვა ერებზე, რათა გადახარშოს ისინი თავის დიდ „ქებაში“. ისინი ჩასძახიან მათ, რომ როდესაც თურქები შეეცდებიან წაბაძვითა და მორჩილებით გახდნენ ამერიკელები, მხოლოდ მაშინ მიალწევენ ყველაფერ კარგს ცხოვრებაში. ეწევიან რა „ამერიკული ცხოვრების“ პროპაგანდას, ამერიკანიზმის მქადაგებლები წარმოადგენენ მას, როგორც ადამიანის გონების იდეალს, როგორც კაცობრიობის კულტურის მწვერვალს. სინამდვილეში კი ამერიკანიზმი შეიცავს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე უსაზიზღრეს და რეაქციულ მხარეებს. ამერიკანიზმის იდეოლოგიაში თვალსაჩინოდ გამოსჭვივების ამერიკის შეერთებული შტატების ფაშიზაციის პროცესი და აგრესიული ომის იდეოლოგიური მომზადება.

ამერიკანიზმი — რასიზმის სახესხვაობა, ყოყლოჩინობა და თავმოწონეობა; ეს არის — ბრძოლა კომუნიზმისა და კაცობრიობის პროგრესის წინააღმდეგ; ეს არის — აღვირახსნილი ცილისწამება და პროვოკაციები საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ; დოლარის კულტი, ბანდიტიზმი და მკვლელობანი; ლინჩის სასამართლო, შოვინიზმი და კაცთმოძულეობა; კოსმოპოლიტიზმი და ხალხთა ნაციონალური სუვერენიტეტის ლი-

კვიდაცია; ფარისევლური ლაყბობა მშვიდობიანობაზე, სინამდვილეში კი ატომური ყუმბარის წარმოება; ახალგაზრდობის გახრწნა და გარყვნა; ერთის მხრივ — მრავალსართულიანი სახლები და ფუფუნება, მეორეს მხრივ კი — სიღარიბე, სიმშლილი, სიბინძურე და სიდუხჭირე; სიკვდილის კულტის, შავიის, მისტიკისა და სპირიტუზმის ქადაგება; სიხარბე, სიცრუე და შიში; ერთი სიტყვით, ეს არის ფაშიზმი ამერიკულ ნიადაგზე.

ეწევიან რა პანთურქიზმისა და ამერიკანიზმის პროპაგანდას თურქეთში, რეაქციონერები იდეოლოგიურ ბრძოლაში მთავარ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე ცილისწამების გავრცელებას, ისინი ცდილობენ ტლანქად დაამახინჯონ ან სრულიად დაუმალონ თურქეთისა და სხვა ქვეყნების მშრომელთა მასებს ამ სახელმწიფოების გარეშე და შინაური პოლიტიკის შესახებ სიმართლე, სიმართლე იმ გრანდიოზულ მიღწევებზე, რომელთაც მიაღწია საბჭოთა ხალხმა მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა, კულტურისა და მეცნიერების დარგში, სიმართლე უდიდესი სოციალისტური გარდატეხის შესახებ, რაც ჩატარდა და ახლაც ტარდება საბჭოთა კავშირში ბოლშევიკური პარტიისა და პირადად ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით. მათ სურთ დაუმალონ მასებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობისმოყვარეობა, რომელნიც აწარმოებენ კომუნისმის მშენებლობას, დაუმალონ საბჭოთა მთავრობის ენერგიული ბრძოლა საერთაშორისო არენაზე მშვიდობიანობისა და ხალხთა უშიშროებისათვის, ახალი ომის გამჩალებლების, იმპერიალისტური აგრესორების წინააღმდეგ.

ამხანაგი ა. ჟდანოვი თავის მოხსენებაში საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავდა, რომ „ამერიკის

სტრატეგიული გეგმის იდეოლოგიური ნაწილის ძირითადი ამოცანაა ეს არის, რომ შანტაჟი გაუწიონ ქვეყნადრებრივ აზრს საბჭოთა კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების ვითომდა აგრესიულობის შესახებ ცილისწამების გავრცელებით, ამრიგად ანგლო-საქსური ბლოკი წარმოგვიდგინონ თავდამცველი მხარის როლში და მოხსნან მას პასუხისმგებლობა ახალი ომის მომზადებისათვის“.

ამავე დროს ამერიკულ-ინგლისელი და თურქი ომის გამჩალებლები ყოველგვარ ქებას ასხამენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის „მეგობრობას“ თურქეთთან, „ტრუმენის დოქტრინისა“ და „მარშალის გეგმის“ მიხედვით ყბაღაღებულ „დახმარებას“, რეკლამას უკეთებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ეგრეთწოდებულ სამხედრო „ძლიერებას“, მათს ანტიხალხური პოლიტიკურ წესწყობილებას, გახრწნილ კულტურას და აგრესიულ საგარეო პოლიტიკას.

ამერიკული და ინგლისური პროპაგანდა ცდილობს ჩააგონოს თურქებს რომ თურქი ხალხის ინტერესები თითქოს შეესაბამებოდნენ ანგლო-ამერიკული მართველი წრეების ინტერესებს, და თითქოს ისინი წარმოადგენენ „დემოკრატიისა“ და „დამოუკიდებლობის“ დამცველებს და ცდილობენ „მარშალის გეგმის“ საშუალებით აამაღლონ ევროპისა და აზიის ხალხთა კეთილმდგომარეობა, მაგრამ ასეთ „დაცვას“ და „დახმარებას“ მოაქვთ მხოლოდ ანგლო-ამერიკული იმპერიალისტების გავლენის ქვეშ მოყოლილ ხალხთა პოლიტიკური და ეკონომიური დამონება.

გაპირებულ მდგომარეობაში მყოფი თურქი მუშებისა და გლეხების მო-

<sup>1</sup> ა. ჟდანოვი. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. სახელგამი. პოლიტსექტორი, თბილისი, 1947 წ. გვ. 24.

ტყუების მიზნით, ამერიკელი იმპერიალისტები ავრცელებენ მრავალმთქმელ დაპირებებს იმის შესახებ, რომ თითქოს მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების „დახმარებით“ მიიღწევენ თურქი ხალხი ბედნიერ, კულტურულ და შეძლებულ ცხოვრებას. ისინი ხატავენ თურქეთის „ბრწყინვალე მომავალს“ ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობის ქვეშ. ამ მიზნითათვის ისინი იყენებენ აგრეთვე მოსყიდულ თურქ ქურნალისტებსაც. მაგალითად, ქურნალისტმა ვედატ ნედიმ ტორმა, რომელიც თანამშრომლობს რეაქციულ გაზეთში „ვატანი“, გამოსცა ბროშურა სახელწოდებით — „ჩვენი მრწამსი“. ამ ბროშურაში ნედიმ ტორი საჭიროდ თვლის თურქეთის ალორძინებისათვის აღმოფხვრილ იქნას ყველა ის საზოგადოებრივი „სწეულეზანი“, რომელიც კი დარჩა ჯერ კიდევ ოტომანების იმპერიისაგან.

ავტორის აზრით, თურქეთს მოეპოვება განუსაზღვრელი შესაძლებლობანი და მისმა მოსახლეობამ უნდა მოახდინოს ყველა თავისი ძალების მობილიზაცია ამ დიდი ამოცანის შესასრულებლად. თურქებს ამ დარგში წარმატება მოელოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი იმოქმედებენ „ამერიკელის სისწრაფით“. „ჩვენ გვესაჭიროება, — ამბობს შემდეგ ავტორი, — ახალი ტიპის აღამიანები, რომელთაც უნდა ჰქონდეთ ახალი ძვირფასი მორალური თვისებები“. მაგრამ, ნედიმის აზრით, „ახალი ტიპის“ აღამიანები არ უნდა იყვნენ არც დემოკრატები, არც კომუნისტები, არამედ ამერიკაიზმის მიმდევარნი. აი საითკენ მოუწოდებს ამერიკული იმპერიალიზმის ეს აპოლოგეტი!

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე წიგნის მაღაზიები და ბიბლიოთეკები თურქეთში გაკვდილი იყო გერმანელი ფაშისტების ლიტერატურის თურქული თარგმანებით. ახლაც მარაგი შეივსო ამერიკელი რეაქციუ-

ლი ანტისაბქოთა შერლოების ნაწარმოებებით, პოლიციური დეტექტიური რომანებით და ყოველგვარი რეაქციური და პორნოგრაფიული ლიტერატურით, რომელიც ასახავს ამერიკულ ლობობად ცხოვრებას და მსოფლიოზე ბატონობის ამერიკულ უგუნურ იდეებს. ავრცელდება ასეთი გამოცემებიც, როგორც, მაგალ. „მკითხაობა ყავის ნალექზე“, „როგორ მივალწიოთ წარმატებას საზოგადოებაში“ და სხვ. თურქი გამომცემლები, გამოიდველნი და ბულვარული მგლანელები სიამოვნებით უკეთებენ რეკლამას ამ ლიტერატურულ ხარახურას და სთარგმნიან მას თურქულ ენაზე. თურქული გაზეთებიც აგრეთვე ათავსებენ თავიანთ ფურცლებზე ნომრიდან ნომერში თარგმნილ ამერიკულ რომანებს გაგრძელებით. ასეთი რომანების ავტორები ქებას ასხამენ ბურჟუაზიულ მორალს და მკითხველს უამბობენ საშინელ მკვლელობებზე და ფარული მოტაცებებზე, აღამიანებზე ნილაბში, რომელნიც ერთი დამის განმავლობაში მილიონერებად გადაიქცევიან, დეტექტივებზე, რომელნიც ფაბრიკანტების სიმდიდრეს იცავენ, არისტოკრატების სასიყვარულო თავგადასავალს, სადისტ-მამაკაცებზე, გამპირ-ქალებზე, და სხვ. ასეთი უხამსი ნაწარმოებებით ავსებს თავის ფურცლებს მთავრობის გაზეთი „ულუსი“. მაგალითად, ამას წინათ დაბეჭდა ნომრიდან ნომერში რომანები „ათას ერთი კოცნა“, „სიკვდილი რომელიც ცოცხლობს“ და სხვ.

ბაძავს რა მოსახლეობის იდეოლოგიურ დამუშავების ამერიკულ მეთოდებს, „ულუსი“ პერიოდულად გაზეთის მთელ ზოლებს უძღვნის პოლიეუდის „მნათობთა“ ყოფა-ცხოვრებას პორნოგრაფიული ფოტოებით და ამერიკული ცხოვრების ქება-დიდებათ. ერთერთ ნომერში გაზეთმა მოათავსა პოლიეუდის მსახიობებს შორის ჩატარებული ანკეტის შედეგი თემაზე: „რა



მოგწონთ ყველაზე მეტად ქალში? ასეთ ამბებით სერიოზულად არის გატაცებული თურქეთის მთავრობის განუთი! თუმცა, ეს დამახასიათებელია აგრეთვე ირანისა და არაბეთის ქვეყნების იმ გაზეთ-თურნალებსათვისაც, რომელნიც იმყოფებიან ანგლო-ამერიკელი იმპერიალისტების გავლენის ქვეშ.

თურქეთის კინო-თეატრები გავსებულა ამერიკული დაბალ-ხარისხოვანი კინო-ფილმებით, რომელთაც ჰოლივუდი აცხობს ერთხელ შემოდებულ სტანდარტული კომერციული პროდუქტით. მარტო ანკარაში ყოველთვიურად უჩვენებენ არა ნაკლებ 30 ამერიკულ ფილმს, სტამბოლში კი უფრო მეტსაც. მარტო ამ ფილმების სათაურების დასახელება საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რამდენად შორს დგანან ისინი საბჭოთა ფილმებისაგან, რომელნიც წარმოადგენენ მაღალიდევურ, შინაარსიან და მაღალმხატვრულ ფილმებს, აფართოებენ მაყურებლის საერთო და პოლიტიკურ პორიზონტს, ზრდიან მათში საბჭოთა პატრიოტიზმს, ანიჭებენ მორალურ კმაყოფილებას და კომუნიზმისათვის ბრძოლაში ახალ ენერგიას უნერგავენ. თურქულ გაზეთების რეკლამურ განცხადებებიდან ჩანს, რომ უკანასკნელ დროში ანკარაში ნაჩვენები იყო ისეთი უხამსი ამერიკული ფილმები, როგორც „ემშაკის მხევერპლი“, „ცხენის ქურდები“, „რკინიგზის ყაჩაღები“, „სიკვდილის სახლი“, „სიკვდილის მუსიკა“, „ვინ არის მკვლელი?“, „ერთი დამე სამოთხეში“, „მომხეიე“ და სხვ. რომელნიც ნერგავენ მაყურებლებში გამხრწნელ ბურჟუაზიულ მორალს.

თურქეთში აგრეთვე ეწყობა ანგლო-ამერიკული მუსიკის ფესტივალები, რომელნიც შესდგებიან ჯაზის ველური ნომრებისაგან. ბნელეთის მოციქულები ჯაზურ შესრულებით შეურაცხყოფენ კლასიკური მუსიკის ნაწარმოე-

ბებსაც კი და ისეთ დამახინჯებულ ფორმით წარმოადგენენ მათ, რომ აბუჩად ავლებას უდრის. დღეს მსოფლიო პოზიტორების ჩაიკოვსკისა, გლინკისა და სხვ. ნაწარმოებები კი სრულიად აკრძალულნი არიან თურქეთში, როგორც „საშიში კომუნისტური მუსიკა“.

ნაციონალური თურქული სიმღერები და მუსიკაც აგრეთვე გადაშუშავებული არიან ახლა ჯაზური შესრულებისათვის, რის შედეგად უმოწყალოდ გამოდიტულია მათში თვითონ ხალხის მიერ შექმნილი, ძველებური, თავისებური მელოდიები.

ამერიკული ცხოვრების პრობაგანდა თურქეთში სხვა ფორმითაც სწარმოებს, მაგალითად, რადიოს, თეატრებისა, ეგრედწოდებულ „სახალხო სახლების“ და „სახალხო ოთახების“, რესტორანების, ყავახანების, კაზინოსა, იზორომების და სხვათა საშუალებით. შეძლებულ თურქებს გამხრწნელი ამერიკული და ბურჟუაზიულ-ევროპული კულტურის გავლენა ემჩნევათ აგრეთვე ტანსაცმელზე, ბინების მოწყობილობასა და ყოფა-ქცევაშიაც.

მაგრამ „ამერიკული ცხოვრების“ პრობაგანდა ამით როდი თავდება. ამერიკული კულტურტრეგერები სხვა მეთოდებსაც იყენებენ. ასე, მაგალითად, მათ შემოაქვეთ პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში თურქი ახლგაზრდების მოკლე ვადით გაგზავნას სასწავლებლად. ეს ახალგაზრდები ათვალეირებენ მათ ქვეყანას, ცხოვრობენ მდიდარ ოტელებში, ტრიალებენ ამერიკულ „უმაღლეს საზოგადოებაში“ ბიზნესმენებისა და განგსტერების შორის, ხედებიან სენატორებს, სახელმწიფო მოღვაწეებს და „თითონ“ ტრუმენსაც კი. ყველა ამის შემდეგ ისინი ბრუნდებიან თავიანთ საშობლოში და აწარმოებენ ამერიკულ პროპაგანდას, აქებენ ამერიკანიზმს. დამახასიათებელია, რომ ახალგაზრდების გაგზავნა და ექსკურსიები აგრეთვე

„პარშალის გეგმის“ მიხედვით სწარმოებს.

ზოგი ამერიკელი „საქმოსანი“ თურქი სტუდენტების და სპეციალისტების გაგზავნას ამერიკის შეერთებულ შტატებში აწარმოებენ თავიანთი პირადი ხარჯზე. მაგალითად, თურქული პრესა იტყობინებოდა, რომ როკფელერის ფონდების ანგარიშში ერთი წლით იგზავნებიან ამერიკის შეერთებული შტატებში ერთი ექიმი, ერთი მედიცინის და და ერთი ინჟინერი. თურქი მკვლამნელებმა მაშინვე ამ შემთხვევას ჩასკიდეს ხელი და გამოაცხადეს ეს ამბავი თურქეთის მიმართ ამერიკელი მილიარდერების „გულწრფელი მეგობრობის“ გამოხატულებად.

თუ წინათ პანთურქისტები ზრდიდნენ თავიანთ მიმდევრებს ყველაფერ უცხოხალში სიძულვილში, უარყოფდნენ ევროპელებისა და ამერიკელების ცხოვრების ყოველგვარ გამოვლენას, მათს ზნე-ჩვეულებებს, ახლა თავიანთი ოკეანისიქითური ბატონების საამებლად მათ უარყვეს წინანდელი პროგრამა და გახდნენ თავგამოდებული ამერიკანოფილები. ისინი სესხულობენ ახლა ამერიკანელებისა და ევროპელებისაგან ყველაფერ იმას, რაც კი ეხმარება მათ ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების გზაზე დასაყენებლად, ყველაფერ იმას, რაც ეხმარება მშრომლების კლასობრივი თვითშეგნების მოწამვლას და დემოკრატიულ მოძრაობასთან ბრძოლის წარმოებას. თურქულ სასწავლებლებშიაც შემოდებულია სწავლების ამერიკული მეთოდები.

ამჟამად ყველა თურქი სახელმწიფო მოღვაწე, მოხელე, ოფიცერი, ობიექტული ყველაფერში ბაძავს ამერიკელებს. წაბაძვის ეპიდემიის შესახებ ხმა აღიმაღლა ისეთმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა გაზეთმა, როგორცაა „კულრეტი“. იგი სწერდა: „ჩვენ ვიცვამთ, როგორც ამერიკელები, დაფ-

დივართ, როგორც ამერიკელები, ჯდომის დროს ფეხებს მაგიდაზე ვაწყოფებთ, როგორც ამერიკელები, ჩუაფიფიქსივენი ყველაფერ იმას ვაკეთებთ, რასაც აკეთებენ ამერიკელები“.

რა მოაქვს „ამერიკული ცხოვრების“ დამყარებას თურქეთში?

ამერიკელების წაბაძვას, ამერიკული ლობბადი ცხოვრების მიღებას მოაქვს მეტად უნუგუშო შედეგები. ყველაფერი ეს იწვევს, როგორც ახალგაზრდობის, ისე მოზარდების გაბრწყინას და გარყენას. თურქეთში არაჩვეულებრივად გაიზარდა დანებით ჩხუბი, ხულიგნობა, გარყვნილება, ქურდობა და ბანდიტიზმი. როდესაც მმართველი სახალხო-რესპუბლიკური პარტიის პარლამენტური ჯგუფი იძულებული შეიქმნა მსჯელობის საგნად გაეხადა სახელმწიფო მოხელეებისა და მოსამსახურეების შორის ქრთამებისა და თავიანთი თანამდებობების ბოროტად გამოყენების შემთხვევების ზრდის საკითხი, პარლამენტის დეპუტატი სადი კონუკი იძულებული იყო განეცხადებინა: „მოწადეებს აქეთ მიდრეკილება პარაზიტობისაკენ, იმისაკენ, რომ სხვის ხარჯზე იცხოვრონ. ეს გრძნობა ზრდის ადამიანებს, რომელნიც სარგებლობას ელოდებიან მეგობრობისაგან, გამორჩომას მეგობრისაგან და ცხოვრობენ თავებდურად, რაც წარმოიშობა ღირსებისა და უნარიანობის უქონლობისაგან“. ავიღოთ, მაგალითად, ამერიკული ფილმების ზეგავლენის საკითხი. ოფიციალური გაზეთი „ულუსი“ იტყობინება, რომ 1948 წლის აპრილში სამმა ახალგაზრდამ, 20—21 წლის თურქმა, მას შემდეგ, რაც ნახა ამერიკული კინო-სურათები, შექმნა ქურდების ბრბო და სტამბოლში ათათურქის ბულვარზე გაძარცვეს თამბაქოს დუქანი დიორი საცხოვრებელი ბინა, წაიღეს რამდენიმე ათასი ლირა და ძვირფასეულობა. ეს ახალგაზრდა თურქები არ



როდესაც გავრცელდა ხმა, რომ ზოგი საროსკიპო თურქეთში გაუქმებული იქნებო, ვიღაც შადან ტალატი, რომელიც თავის თავს ექიმს უწოდებს, გამოვიდა მთაწკრიბის განეთ „ულუსის“ ფურცლებზე მყვირალა სათათურიანი წერილით „საროსკიპოების გაუქმება არ იქნება სწორი“. ამ წერილით იგი გამოეყომაგა პროსტიტუციას და საროსკიპოებს, თანაც უხეშად ცდილობდა მათი საჭიროების დამტკიცებას, კითხობდა იმიტომ, რომ პროსტიტუცია ძველ დროშიც არსებობდა და კიდევაც ყოველთვის იარსებებსო. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ვითომ ქვეყანაზე „შეუძლებელია პროსტიტუციის გაუქმებაო“. მაგრამ მან, რასაკვირველია, როგორც იმპერიალიზმისა და სრწინადი ბურჟუაზიული კულტურის ჭეშმარიტმა თავყვანისმცემელმა, ვერ გახსნა ის სოციალ-ეკონომიური მიზეზები, რომლებიც ექსპლოატატორულ საზოგადოებებში წარმოშობენ პროსტიტუციას. მან ერთი სიტყვიც არ ახსენა საბჭოთა კავშირი, სადაც უკვე დიდხანია, რაც ლეკვიდირებულია პროსტიტუცია. უმუშევრობა, წერაკითხვის უცოდინარობა და ექსპლოატატორული საზოგადოების სხვა ბოროტებანი, რადგან სოციალისტური წესწყობილება თავის ბუნებით ძირიანფესვიანად სმობს ყოველგვარ პირობებს მათი არსებობისათვის. ეს ბოროტებანი არსებობენ ახლა რეაქციულ თურქეთში, სადაც ბატონობენ ბურჟუაზია და მემამულეები, სადაც გავრცელებულია პროსტიტუცია თურქი ნაციონალისტების იმპერიალისტური მფარველობის ქვეშ.

ამერიკელები ისე გრძნობენ თავის თავს თურქეთში, როგორც საკუთარ სახლში. მაგ, განეთი „დეილი უორკერი“ იტყობინება, რომ ერთმა ამერიკულმა „საქველმოქმედო“ საზოგადოებამ სტამბოლში მოაწყო საღამო ამერიკელ მეზღვაურებისათვის. საღამო-

ზე ჩიან დასალევად და სოციალ-დემოკრატიულ იქნენ 40-მდე მოწვეულ ქალი უფროსი ასაკისა. მეორე მხარეს მყოფი განეთი „ენი სმანს“ გააჩქარა პროტესტით, რომ ეს იყო ღრეობა და ყველა თურქი ქალი ძალმომრეობის მსხვერპლი შეიქნაო. სხვა განეთებმა მხარი დაუჭირეს პროტესტის კამპანიას და თურქეთის ყველა კუთხიდან წამოვიდა საპროტესტო წერილები. პროტესტებმა ისეთი ფართო ხასიათი მიიღეს, რომ პოლიციამ ზომები მიიღო ჯემს მაკ-ფერლანდის (თურქეთში ამერიკული ინფორმაციის ბიუროს უფროსი) ბინისა და კანტორის დასაცავად.

ამ შემთხვევის გამო თვითონ ამერიკელებმა მოუტირებლად განაცხადეს: „სისულელეა, არავითარ ღრეობას აღვილი არა ჰქონდა, იყო მხოლოდ მაგარი ჩაი, თუმცა ზოგი მეზღვაური ნასევაში იყო მანამდე, ვიდრე ქალები მოვიდოდნენ. ბნელ კუთხეში მოპარულ კოცნის ვარდა არაფერი არ იყო“. ასეთი განცხადებაც იმას მოწმობს, თუ როგორ ფულგარულად უჭირავთ თავიანთი თვე თურქეთის ამერიკელ „მეგობრებს“.

ოფიცოზმა „ულუსმა“ არჩია დემილით შეხედეს ამ ეკლურ, სკანდალურ შემთხვევას, თუმცა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ამ საქმის გამორკვევის პირობა მისცა მოსახლეობას, რაც რასაკვირველია არ შეასრულა. მაგრამ, თურქეთის ხელისუფალნი თვითონ ხელს უწყობენ „ამერიკული ცხოვრების“ დანერგვას თავიანთ ქვეყანაში.

ასეთ საზიზღარ სახეს ღებულობს ამერიკანიზმის გავლენა თანამედროვე თურქეთის ყოფა-ცხოვრების ყველა მხარეზე. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ჯერ კიდევ 1948 წელს თურქული სატირიკული განეთი „მერხუმ-ფაშა“ ირონიულად წერდა: „თურქეთში ჩამოვიდა ამერიკული კაბიტალი, დემოკრატია, ატომი, ნეილონი, დოლარი, გე-



მეტი, მრჩეველთა მისიები და საკონტროლო კომისიები. მოკლედ, თურქეთში ჩამოვიდა ამერიკანისმი. არ იყვნენ მხოლოდ ამერიკელი განვსტერები, მაგრამ, უკანასკნელ ხანებში, მადლობა ღმერთს, ესენიც გამოჩნდნენ: ნილაბი-ანმა ბანდიტებმა დაიწყეს გამვლელის, საბარგო მანქანების, ბინების და სხვ. ძარცვა. თუ საჭმე ასე გაგრძელდა, ჩვენ მოვესწრებით ბანკების გაძარცვას, კვამლიან ყუმბარებს, დეტაქტივებს და ბავშვების მოტაცებას. ჩვენ გავხდით ამერიკელები: „აალო, მაი დე ლინგ ჰასან საკაი ოკეი, 100 მილიონი დოლარი“.

თურქეთში ამერიკული პროპაგანდის გასაძლიერებლად, ამერიკელი იმპერიალისტები ხშირად აგზავნიან თურქეთის ქალაქებში თავიანთ ინსტრუქტორებს — პროპაგანდისტებს, რომელნიც ჩამოდიან სხვადასხვა ამერიკული საზოგადოებათა წარმომადგენლების, ტურისტების, პროფესორების, არქეოლოგების, სწავლული კონსულტანტების სახით და ცდილობენ თურქეთის ახალგაზრდობის და მოზარდი მოსახლეობის იდეოლოგიურ „დამშავებას“ ამერიკულ ყაიდაზე. ასე, მაგალ., „უელსის“ ცნობით 1949 წლის მარტში სტამბოლში ჩამოვიდა ვიღაც ბეტი ბეტსი, რომელიც ამერიკული ორგანიზაციის „კვალისმიმგნები ქალების“ (ბოისკაუტის მაგვარი სპორტული ბურჟუაზიული ორგანიზაცია) ხელმძღვანელი ყოფილა. მან განაცხადა, რომ შესწავლილი აქვს ამ ორგანიზაციის დაარსების საკითხი 35 ქვეყანაში და ახლა თურქეთში აპირობს ამავე საკითხის შესწავლას.

უოლ-სტრიტის მგანატებმა შექმნეს სტამბოლში „ტურიზმის პოპულარიზაციის თურქული საზოგადოება“. როგორც თვითონ ამერიკელები აცხადებენ, ამ საზოგადოების მთავარი მიზანია არა მარტო ტურიზმის ორგანიზაცია და თურქეთის ლამაზი კუთხე-

ების პოპულარიზაცია, არამედ ეგიპტის ნაღ ისახავს თურქეთის შემოღობულ ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრებას, კონტროლის ორგანიზაციას იმ თანხებზე, რომელიც ამერიკამ გასცა თურქეთს გზების გაყვანისა და სხვა სამხედრო მიზნებისათვის, აგრეთვე „ამერიკული ცხოვრების“ პროპაგანდისათვის. ეს რომ ასეა იქიდან ჩანს, რომ ზემოთდასახელებული საზოგადოების შესახებ დაპირებული არიან გასცენ „მარშალის გეგმის“ ფონდებიდან ხუთი მილიონი დოლარი.

1949 წლის სექტემბერში თურქეთში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრი ქალბატონი ჩეის გოინგ ვუდჰაუზი. როგორც გაზეთებიდან ჩანს, მან მოაწყო თურქი ჟურნალისტების მიღება ამერიკული ინფორმაციის ბიუროში, სადაც ლაქლაქობდა იმის შესახებ, რომ ამერიკელებს უყვართ ტურიზმი და მოგზაურობანი, ავტომობილები და კარგი ოტელები, და ამიტომ თურქებმა ყველაფერი ეს უნდა უზრუნველყონ და მისცენ საშუალება თავიანთ ბატონებს, რაც შეიძლება ხშირად და ფართო მასშტაბით ჩამოვიდნენ თურქეთში სამოგზაუროდ. ქალბატონი ვუდჰაუზი მოუწოდებდა თურქებს, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა გავზავნონ ამერიკის შეერთებული შტატებში, სადაც ისინი გაეცნობიან „წარჩინებულ“ პირებს და მონაწილეობას მიიღებენ „პროფესიულ“ კრებებში. თავისი საუბარი მან დაასრულა ცილისწამებლური გამოსვლით კომუნისმის წინააღმდეგ. უოლ-სტრიტის ეს კომიუნიკაციური გაემგზავრა თურქეთიდან საგასტროლოთ ბეირუტში (ლიბანი).

ასეთ სახეს დებულობს ამერიკანისმის პროპაგანდა თურქეთში. ამ პროპაგანდას მოაქვს თურქეთისათვის შემდგომი პოლიტიკურ-ეკონომიური და მორალურ-საყოფაცხოვრებო დამონება, აგრეთვე იწვევს ექსპლოატატორუ-

ლი კლასებში აგრესიული განწყობილების გაღვივებას.

ამერიკელი იმპერიალისტები კმაყოფილი არიან თავიანთი დანაშაულებრივი პროპაგანდის შედეგებით თურქეთში. მათ მოსწონთ, როდესაც თურქული რეაქცია ფეხქვეშ ეგება, ბაძავს მათ და ყველაფერში ეხმარება ომის ამერიკელ გამჩალებლებს. ამიტომ ამერიკელი მოღვაწეები ყოველი მარჯვე შემთხვევას ეძებენ, რომ შეაქონ თურქეთის ხელისუფალნი „ერთიანობისა“ და „მორჩილებისათვის“, იმისათვის, რომ მათ მისცეს თავიანთი ქვეყანა ამერიკულ იმპერიალიზმს საჯიჯგნად. მაგალ., ამერიკელმა ადმირალმა კრუიანმა, რომელიც „ულუსის“ ცნობით ალექსანდრეტას ნავსადგურში ჩასულა, შეაქო თურქი ნაციონალისტები და განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ „თურქები და ამერიკელები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს: ისინი სრულიად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“. ერთადერთი, რითაც განსხვავდებიან თურქები ამერიკელებისაგან, ეს თურმე მხოლოდ ენით, როგორც „ღრმავაზროვნად“ განმარტა ადმირალმა.

მაგრამ თურქეთის მშრომელი მასებს არ სურთ კულში სდიონ ამერიკელ იმპერიალისტებს, მათ არ სურთ მორჩილება და „ამერიკული ცხოვრების“ მიღება. ისინი ეწინააღმდეგებიან, როგორც პანთურქიზმს, ისე ამერიკანიზმს. თურქეთის პროგრესული ადამიანებს ესმით, რომ პანთურქიზმისა და ამერიკანიზმის რეაქციულ იდეებს, რომელნიც უოლსტრეიტის მაგნატების აგრესიულ მიზნებს ემსახურებიან, ბევრი მძიმე შედეგი მოაქვთ თურქი ხალხისათვის.

თურქეთის უბრალო ადამიანები

თვალნათლივ ხედავენ, რომ ამერიკული იმპერიალიზმის შექცევა თურქეთში ვითომდა „დახმარების“ ტერმინით ხებით, კიდევ უფრო აუარესებს ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას და იგი საეწინააღმდეგოდ დაეტყო თურქი ხალხის ყოფა-ცხოვრების ყველა დარგს. ამხანაგი გ. მალენკოვი, თავის მოხსენებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32 წლისათვის“, ადარებს რა საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მდგომარეობას იმ მდგომარეობასთან, რომელიც შეიქმნა „მარშალიზებული“ ქვეყნებში, ამბობს: „მასმასალამე, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ახლა ვითარება იმგვარად იქმნება, რომ იმ ქვეყნებსა და ხალხებს, რომლებიც იოლად მიდიან ეგრედ წოდებული ამერიკული „დახმარების“ მიუღებლად, საქმე არც თუ ცუდად მიუღით, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში უფრო კარგად წაუვით. (ტაში). თვით ამერიკაში და იმ ქვეყნებში, რომლებსაც იგი „ეხმარება“ საქმე უფრო და უფრო უარესდება“.

საბჭოთა კავშირის ხალხთა უდიდესი გამარჯვებანი სოციალისტური მშენებლობის დარგში კიდევ უფრო მეტად აღაფრთოვანებს თურქეთის დემოკრატიული ძალებს უცხოელი და ადგილობრივი ექსპლოატატორების ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ლოზუნგები „გაუმარჯოს დემოკრატიას“ და „გაეთრიეთ თურქეთიდან, ამერიკელი ოკუპანტებო“, რომელიც წარმოსთქვეს მასობრივ მიტინგზე ქალაქ კაისერისში 1949 წლის ივლისში, გამოხატავენ თურქეთის ყველა ნამდვილი დემოკრატიული ძალებს აზრს.

## პირველი ქართული სტამბა და მისი მემკვიდრეობა



დღევანდლამდე არ დაწერილა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. ის ზოგიერთი ცდა, რომელიც ამ მართლაც მოგვეპოება მხოლოდ მასალად თუ გამოდგება ამ ისტორიის შესაქმნელად. ყველა ის პირნი, რომლებიც ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს იხილავენ, გვერდს უვლიან ისეთ მოვლენებს, რომელთა გარკვევის ან შესწავლის გარეშე, შეუძლებელია ამ საქმის ნათლად წარმოდგენა.

ერთ-ერთი მკვლევარი ჩვენი სტამბებისა დ. კარიჭაშვილი ამ ნაკლოვანებას კარგად გრძნობს და გულსიტკივილით აღნიშნავს, რომ „წიგნების ბეჭდვასთან დაკავშირებული კითხვები სრულებით არ არიან შესწავლილნი და მათ შესახებ ჯერ გამოქვეყნებული არ არის არავითარი მასალა და შეიძლება არც-კი არსებობდეს, რადგანაც ჩვენში ყურადღებას არ აქცევდნენ ამ დიად კულტურულ სიკეთეს და მისთვის მოღვაწე პირების შესახებ ცნობების აღნუსხვას და ჩამომავლობისათვის გადმოცემას“.

მართლაც, შეუძლებელია პირველი ნაბეჭდი წიგნების შესწავლა ისე, რომ არ ვიციოდეთ თუ როგორი იყო ის სტამბა, სადაც წიგნები იბეჭდებოდა, როგორ იბეჭდებოდა და რას წარმოად-

გენდა ამ პირველი სტამბის მემკვიდრეობა?

სად გაკეთდა და ვინ გააკეთა სტამბის ძირითადი მასალა: ქართული შრიფტი, ან როგორ გაკეთდა და რა პრინციპზე იქმნა აგებული მისი გრაფიკული მონახულობა?

როდის და სად გაიმართა პირველი ქართული სტამბა და რას წარმოადგენდა პოლიგრაფიული თვალსაზრისით, ამ სტამბიდან გამოსული პირველი წიგნები?

ამ კითხვების გასარკვევად მართლაც სულ ცოტა რამ მოიპოვება ჩვენს ლიტერატურაში და ეს ცოტაც შესწავლილი და საბოლოოდ დადგენილი არ არის.

ჩვენი მიზანია, ძირითადად ამ საკითხებს შევეხოთ და გზადაგზა ამ საკითხებთან დაკავშირებული ცნობებიც მოვიგონოთ.

ამიტომ ზედმეტი არ იქნება თუ არსებულ ცნობებს ერთხელ კიდევ გადავავლებთ თვალს და ზოგს ისეთ რამეს დავუმატებთ, რაც პირველი ქართული სტამბის საკითხს უფრო ნათელს გახდის.



მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო წლები და მეთვრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედი, ე. ი. ის დრო, როდესაც თბილისში ქართული სტამბა დაარსდა და საქართველო წიგნის კულტურის ახალ

<sup>1</sup> დ. კარიჭაშვილი „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“, 1929 წ.



გზას დაადგა, შავბნელად გამოიყურება საქართველოს ისტორიაში.

ასევე შავბნელად მიმდინარეობდა ცხოვრება და მოღვაწეობა იმ ადამიანისა, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მრავალსაუკუნეიანი ქვეყნის სულიერ კულტურას და საფუძველი ჩაუყარა ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს.

ეს ადამიანი იყო ვახტანგ მეექვსე, ხან განმგებელი და ხან მეფე ქართლისა. არ დაკლებია მას არც ირანის წიხაშე დამცირება და უიმედობა, არც რუსეთის სამეფო კარზე დაუსრულებელი ლოდინი და არც კათოლიკეთა ცბიერი დაპირებანი.

მეფე ბრძენი და პოეტი ერთი „ქირით“ იყო შეპყრობილი. ცდილობდა როგორმე შეენარჩუნებია თავისი ქვეყნისათვის დამოუკიდებლობა. ამ მთავარ მიზანს შეაღია თავისი სიცოცხლე. მოკვდა ისე, რომ საყვარელ ქვეყნის მიწასაც ვერ ეღირსა.

მეტად რთულ და ძნელ პირობებში უხდებოდა მოქმედება; მიზნის მისაღწევად მას არც ისლამურ ქვეყნებთან უნდა გაემწვავებია დამოკიდებულება, არც ის მტკიცე საფუძველი შეერყია, რომელიც თეიმურაზ პირველმა ჩაქვითიერა და რომელზედაც არჩილ მეფემ საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრობის მკვიდრი შენობა ააგო და ამავე დროს აღვირახსნილი ერისთავები და ურჩი სამღვდელოებაც აელაგმა. ყოველივე ამისათვის მარტო ავტორიტეტი და მტკიცე ნებისყოფა არ კმაროდა. საჭირო იყო ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური გარდაქმნა და პროგრესულ ქვეყნებთან კავშირი.

იგი მალე დარწმუნდა, რომ კულტურული აღორძინების გარეშე ვერ შესძლებდა ქვეყნის საკუთარი სახის გამოვლინებას და საკუთარი გზით განვითარებას. იმ დროს კულტურის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას მწიგნობრობა და სასტამბო საქმის განვითარება წარმო-

ადგენდა. ვახტანგმა აქედ მოპოოების ვისი გულისყური.

საქართველოს მეზობელ რუსეთში იყო ერთადერთი მოწინავე ქვეყანა, სადაც პეტრე დიდი დაუნდობლად სპობდა ყველაფერ დრომოკმულს, ჩამორჩენილს და ქვეყნის განვითარების შემაფერხებელს. ამავე დროს რუსეთი წარმოადგენდა ქრისტიანული ქვეყნების ერთადერთ იმედს ირანთურქეთის მონობიდან თავისდასაღწევად. ამ იმედით სულღმებლობდნენ როგორც ბალკანეთის ნახევარ კუნძულის, ისე სამხრეთით მდებარე პატარა ქრისტიანული ქვეყნები, რომელთა შორის საქართველო, მოლდავეთი და უნგროვლასეთი წარმოადგენდნენ მთავარ დასაყრდენს მუსლიმანთა წინააღმდეგ.

რუსეთის როლი მართმადიდებელ ქრისტიან ქვეყნების თვალში, განსაკუთრებით ქართველთა შეგნებაში, დიდად გაიზარდა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, როდესაც 1453 წელს ბიზანტიის იმპერია დაეშვა და ოსმალებმა მათი სატახტო ქალაქი დაიკავეს, მეორე რომის მემკვიდრეობა რუსეთმა იკისრა. ამ საქმისათვის მას აღმოაჩნდა როგორც ფიზიკური ძლიერება, ისე კულტურული პოტენცია. დროთა განმავლობაში, რუსეთის დიდმა მეფემ იოანე მრისხანემ, გასაოცარი გონიერებით დაიწყო ქვეყნის მტკიცე ცენტრალიზაცია და რეგულარული ჯარის შექმნა. საქართველო გარემოცული აღმოჩნდა სამი უძლიერესი და ერთმანეთის მოქიშვე სახელმწიფოთი. ირანი და ოსმალეთი დიდი შიშით შეკუყრებდნენ ჩრდილოეთის გაძლიერებას. ცდილობდნენ კავკასიონის ქედი საფარად გამოეყენებიათ და ადგილობრივ მცხოვრებლებში ისლამი დაემკვიდრებიათ.

საქართველოს მოწინავე ადამიანები ეწინააღმდეგებოდნენ ასეთ აგრესიას. უფრო მკვიდროდ უკავშირდებოდნენ რუსეთს და ყოველგვარ საშუალებას



იყენებდნენ ამ კავშირის გასამტკიცებლად.

ერთერთ ასეთ საშუალებად ვახტანგ-მა დასახა თბილისში წიგნის ბეჭდვის საქმის მოწყობა და ამ მიზნით უნგროვლახეთიდან მოიწვია მესტამბე და იქიდანვე მოიტანა სტამბის მოწყობილობანი.

დანამდვილებით არ ვიცით, თუ რომელ წელს წამოვიდა თბილისში უნგროვლახელი, მესტამბე, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ წინასწარ სამზადისს, რომელიც საჭირო იქნებოდა წიგნის ბეჭდვის დაწყებისათვის, იგი ერთი ან ორი წლით ადრე უნდა მოსულიყო. ყოველ შემთხვევაში 1706 წელს ადრე არ მოსულა, რადგან ამ წელს ის ისევ რიმკინის საეპისკოპოსო სტამბაში იმყოფებოდა და ბერძულ წიგნებს ბეჭდავდა.<sup>1</sup> უნდა ვიგულისხმობთ, რომ ის უნდა ჩამოსულიყო არა უგვიანეს 1707 წლისა, რადგან სტამბის გამართვას, ასოების ამოკრა-ჩამოსხმას და იმ დიდტანიანი საბარების დაბეჭდვას, რომელსაც გასულ წელს 240 წელი შეუსრულდა, ორი წელი უეჭველად დასჭირდებოდა. მან ხუთ წელიწადს იმუშავა ქართული სტამბის გამართვაზე და წიგნების ბეჭდვაზე 1707-დან 1712 წლამდე და შემდეგ იგი აღარსად იხსენიება. ამ არაბუნებრივ დღემილზე არც ერთი მკვლევარი გარკვეულ პასუხს არ იძლევა. დ. კარიჭაშვილს უფრო დასაჯერებლად მიაჩნია უსიამოვნება უნგროვლახელსა და ვახტანგს შორის და ამ უკანასკნელის წყრომა<sup>2</sup>. თუ რას უნდა გამოეწვია წყრომა, ამის შესახებ არაფერს ამბობს.

ჩვენი ფიქრით, უფრო მართებული იქნება, თუ ასე დავსევამთ კითხვას: შემ-

თხვევითი იყო უნგროვლახეთიდან სტამბის მოტანა და მესტამბის მოწვევა, თუ, ეს მნიშვნელოვანე სახელმწიფოებრივი ღონისძიება, დაკავშირებული იყო იმ დროის უდიდეს პოლიტიკურ საერთაშორისო ვითარებასთან? ვფიქრობთ, რომ როგორც უნგროვლახეთიდან მესტამბის მოწვევა, ისე მისი სახსენებლის მოულოდნელი გაწყვეტა მთლიანად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ საერთაშორისო ვითარებასთან, რომელზედაც იყო დამოკიდებული პატარა ქრისტიანული ქვეყნების, განსაკუთრებით უნგროვლახეთისა და საქართველოს ბედი.

მეჩვიდმეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედიდან საბერძნეთის სასულიერო ხელისუფლება მოსვენებას არ აძლევდა რუსეთს, რათა მას შეესრულებია „სალამთო კავშირის“ ვალდებულებანი, დახმარება გაეწია დაჩაგრულ ქრისტიან ქვეყნებისათვის და განეგრძო ომი ოსმალეთთან. ისინი ამ საქმეში აღუთქვამდნენ რუსეთს დახმარებას. ეს არ იყო ცარიელი დახმარების სიტყვები. ისინი აქტიურად მოქმედებდნენ; ამ მოქმედებამ განსაკუთრებული ნაყოფი უნგროვლახეთში გამოიღო. იქ, ბალკანეთის შესავალ კარებში, საუკეთესოდ მოაწყვეს მართმადიდებლური ქრისტიანული წიგნების ბეჭდვა და გააჩაღეს ჩუმი აგიტაცია ოსმალთა წინააღმდეგ. ბერძენთა სამღვდლოების ასეთი მოღვაწეობა საუკეთესოდ უწყობდა ხელს იმპერიალისტური რუსეთის პოლიტიკის იმ ძირითად ამოცანას, რომლის მიზანი იყო დასავლეთ-სამხრეთისაკენ და სამხრეთისაკენ საზღვრების გაფართოება. ამას ყველანი გრძნობდნენ და ალბათ ამ გრძნობით იქმნა მივილინებული, საბერძნეთის სამღვდლოების მიერ, ბუქარესტის სტამბაში ძირად ქართველი, ვინმე ანდრია ანუ ანთიმოზ ივერიელი, რომელიც მალე რუმინეთის

<sup>1</sup> იხ. ლიტერატურული შეკვიდრება ტ. 1, აკ. შანიძის წერილი: „ქართული სტამბის ისტორიისათვის“.

<sup>2</sup> დ. კარიჭაშვილი, „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“.

სასულიერო და საერო ფონზე ერთ-ერთ ცენტრალურ პიროვნებად იქცა.<sup>1</sup> იგი იყო მართმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს დაუცხრომელი ტრიბუნი, მხატვარი და მოქანდაკე, სტამბის ხელოვნების უდიდესი ოსტატი, რუმინული ენის ზედმიწევნითი მცოდნე და რუმინეთის დიდი პატრიოტი. ანთიმოზი დაიახლოვა უნგროვლახეთის ხელისუფალმა კონსტანტინე ბრანკოვანომ. ჯერ რიმიუნის ეპისკოპოსად გახადა (1705), შემდეგ კი უნგროვლახეთის მიტროპოლიტად (1708); არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიტროპოლიტს სახალხო ყრილობაზე ირჩევდნენ და შემდეგ მიტროპოლიტს ამავე ყრილობის თავმჯდომარეობა ევალებოდა. კონსტანტინე ბრანკოვანო განსაკუთრებული მიზანდასახულობით მოქმედებდა. ეს მიზანი იყო ოსმალეთის მიერ დამონებულ ქრისტიანულ ქვეყნებთან კავშირის გაბმა. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა საქართველო იყო, იგი უნდა შესულიყო იმ კავშირში რომელიც ფრიად საიდუმლოდ მზადდებოდა რუსეთის სამეფო კარზე; ამ კავშირის უპირველესი მიზანი იყო ჯერ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მცხოვრები ქრისტიანული ქვეყნების გათავისუფლება და შემდეგ სხვა ქვეყნებისა.

ვახტანგს ამ ფრიად საიდუმლო საქმეში, უნგროვლახეთის ცხოვრების მცოდნე მრჩეველი სჭირდებოდა. ეს მრჩეველი უნდა ყოფილიყო არა რუსეთის კარის წარმომადგენელი, არამედ იმ ჩაგრულ ქვეყნისა, რომელსაც დამარცხების შემთხვევაში, საქართველოსთან ერთად, სრული განადგურება მოელოდა.

ცხადია, რომ ამ საქმეში ანთიმოზი, როგორც მართმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი, ამავე დროს თვითონ ქართველი და ბრანკოვანოს მარჯვენა ხელი, ყველაზე მეტად იქნებოდა დაინ-

ტერესებული. ზემოხსენებულს გამოვახტანგი კულტურულ კავშირს იჭერს უნგროვლახეთთან და მტრის მხარეებს სტამბას და მესტამებს. უნგროვლახეთის მესვეურნი საქართველოში გზავნიან სტამბას და თან მოაყოლებენ მათი საქმის მესაიდუმლეს, ანთიმოზის საუკეთესო მოწაფეს მესტამზე მიხეილ უნგროვლახელს.

იმ დროს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მესტამბენი დიდ როლს თამაშობდნენ, ვინაიდან მესტამბის ფრიად მნიშვნელოვანი და საპატიო სახელი ყველას არ შეეძლო ეტარებინა. ეს შეეძლო ეტარებინა, ისეთ პირს, რომელიც ზოგადი განათლებისა და საზოგადო მოღვაწეობით ცნობილი იყო. ამავე დროს, როგორც სპეციალისტს, ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა როგორც ასოთა ამოკრა ისე აწყობა, ანაწყობის გამართვა, ბეჭდვა, ასოთჩამოსხმა, ორდანოთა (ანუ ჭურჭელოთა)<sup>2</sup> დამზადება, საბეჭდი დაზგის გამართვა, საღებავების შემზადება, აკინძვა და ყოველივე ის, რაც სასტამბო ხელოვნებისათვის საჭირო იყო. მოკლედ, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის მესტამბე უნდა ყოფილიყო თავისი დროის მოწინავე ადამიანი, საბეჭდი იარაღებისა და ბეჭდვითი საქმის ზედმიწევნითი მცოდნე. ამიტომ იყო, რომ თვით უდიდესი ხელისუფალნიც არ თავილობდნენ ამ სახელწოდებას.

როგორც ჩანს, უნგროვლახელიც ასეთი პიროვნება ყოფილა, მისი წინასიტყვაობანი ქართულ გამოცემებში აშკარააღებენ ფრიად განათლებულ ადამიანს თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტს და სასტამბო საქმის საუკეთესო მცოდნეს.

მიხეილ უნგროვლახელის ჩამოსვლის დღიდან ქართული ხელნაწერი წიგნის მრავალსაუკუნეანი კულტურა ახალ გზას დაადგა.

<sup>1</sup> ა. შანიძე, „ქართული სტამბის ისტორიისათვის“. „ლიტ. მემკ.“ ტ. I.

<sup>2</sup> იხ. სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი“.



როდესაც პირველი ქართული სტამბის საკითხს ვეხებით, ბუნებრივად ისმის კითხვა: ვახტანგ მეექვსის მიერ თბილისში მოწყობილი სტამბა იყო თუ არა პირველი ქართული სტამბა, თუ ამ სტამბამდე კიდევ არსებობდა სადმე ქართული სტამბები. მკვლევართა შორის განმტკიცებულია აზრი თითქოს, ვახტანგის სტამბამდე არსებობდა ქართული სტამბა რომში, მოსკოვში, უნგრულანეთში.<sup>1</sup> ამ აზრს ასაბუთებენ იმით, რომ ქართული ასოებით პირველად რომში დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი 1629 წელს. არჩილ მეფემ მოსკოვის სამეფო სტამბაში დაბეჭდა ზუცური ანბანით დავითნი 1705 წელს, ზოლო, რაც შეეხება უნგროვლანეთში ქართული სტამბის არსებობას, ეს აზრი დაკავშირებულია ერთ-ერთი მკვლევარის ზეპირ განცხადებაზე.<sup>2</sup> რაიმე დამამტკიცებელი მასალა ამ განცხადებისა დღემდე არ აღმოჩენილა.

რომელიმე სტამბაში ქართული შრიფტ-კასის არსებობა სრულიად არ ნიშნავს ქართული სტამბის არსებობას. ყოველ კეთილმოწყობილ სტამბაში ინახება ამა თუ იმ კულტურული ერის შრიფტი, საჭიროების დროს ამ შრიფტს იყენებენ, ზოგჯერ წიგნსაც კი გამოსცემენ ზოლმე ამ შრიფტით. დღესაც მრავლად გამოდის წიგნები თბილისის სტამბიდან ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვათა ენებზე, მაგრამ აზრით არაიეს მოუვა სთქვას რომ თბილისში არსებობს ამ ერთა სტამბებიო.

ჩვენის ფიქრით, მკვლევართა შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ როდესაც პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნს ეხებიან, ამ ქართული ასოებით გამოცემულ

წიგნს, სტამბასთან აიგივებენ და ასე გამოდის, თითქოს ქართველ სტამბა არსებობდა ყველგან, სხვადასხვა ქვეყნის შრიფტი ინახებოდა. რასაკვირველია, ეროვნული სტამბის არსებობა ასე არ უნდა იქნას გაგებული.

თუმცა პირველი ნაბეჭდი წიგნი ქართული ასოებით ჯერ რომში გამოვიდა, და შემდეგ მოსკოვში, მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავს აკადემიკოსი აკაკი შანიძე, „არსებითად, რომ ვიმსჯელოთ, ქართულ ლიტერატურას ტექნიკური ბაზა ვახტანგ მეექვსემ მუშუქმნა თბილისში სტამბის დაარსებით“.<sup>3</sup>

ასე, რომ ვახტანგ მეექვსის მიერ დიდი შრომით და საფასურით მოწყობილი „სტამბის სახლები“, საიდანაც 1709 წელს პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი გამოვიდა, არის პირველი ქართული სტამბა. ამ სტამბის დაარსების დღიდან მკვიდრი ნიდაგი ჩაეყარა ქართულ სისტამბო მეურნეობას და გეგმიან გამოცემლობას. ამ დროიდან იწყება ქართული სტამბის ისტორიაც.

როგორც ვიცით, სტამბა ვახტანგ მეექვსემ მოაწყო თავის სასახლის ახლოს, მტკვრის ნაპირას, დღევანდელი ანჩისხატისა და სიონის ეკლესიებს შუა.

ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი იყო გარეგნულად ეს „სტამბის სახლები“ ან რა მოცულობის იყო იგი. ვიცით, მხოლოდ, რომ ბეჭდვითი საქმე დაწყებული გუტენბერგიდან, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე თითქმის ერთნაირად იყო დაყენებული სხვადასხვა ქვეყნებში. ამიტომ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირველი ქართული სტამბაც ისეთივე იქნებოდა როგორც ყველგან. ცხადია, რომ ამ სტამბაში უნდა ყოფილიყო მოთავსებული როგორც საამწყობო, ისე საბეჭდი, საამკინძო, ასოთამომჭრელი და ასოთჩამომსხმელი განყოფილებანი.

<sup>1</sup> პრაფ. კ. კეკელიძე — ნიკიფორე ირაზმა, „ლიტ. მეკ.“. ტ. I. დ. კარიკაშვილი: „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“.

<sup>2</sup> იტვე.

<sup>3</sup> აკად. აკაკი შანიძე: „ქართული სტამბის ისტორიისათვის, ლიტ. მეკ.“. ტ. I.

ბუნებრივად ისმის კითხვა რას ნიშნავს თვით სიტყვა „სტამბა“ და რას წარმოადგენდა იგი.

ქართულმა სიტყვიერებამ დღემდე შეინარჩუნა წიგნის ბეჭდვის ჩასახვისთანავე დამკვიდრებული ტერმინი „სტამბა“. საგულისხმოა, რომ ჩვენი სიტყვის მოამაგე სულხან-საბა ორბელიანი ამ ტერმინს არ აღნიშნავს უცხო სიტყვის ნიშნით, როგორც ამას ჩადის სხვა უცხო სიტყვათა მიმართ. ჩანს, რომ ამ იტალიურ „Stamna“-ს გაქართულებულად სთვლის. ყოველ შემთხვევაში ეს ტერმინი ისე საფუძვლიანად დამკვიდრდა ქართულ მეტყველებაში, რომ იგი ვახდა სინონიმი საერთაშორისო ტერმინის „ტიპოგრაფიისა“, ე. ი. ისეთი წარმოებისა, სადაც იწყობა და იბეჭდება წიგნები. საბა ამბობს „სტამბა“ ესე არს დამბეჭდველი წერილთა, რომელ არს თეგვი“, ხოლო თეგს განმარტავს: „დასაბეჭდავიეთი“.<sup>1</sup>

რას წარმოადგენდა ეს ტამბა, ანუ ის მთავარი საბეჭდავი იარაღი (მანქანა), რომელიც გამოგონების დღიდან თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე საფუძვლიანად არ შეცვლილა, ყველგან ერთნაირი იყო და აღბათ ასევე შემოვიდა საქართველოშიაც.

პირველად საბეჭდავი დაზგა და ყოველი მისი ნაწილი მთლად ხისგან კეთდებოდა. იყო ტლანქი და დიდი ნაგებობა. მ. ს. საფუძვლად ჰქონდა სადგარი, რომელიც ფიცრის მთლიან ჩარჩოს წარმოადგენდა და მიმაგრებული იყო კერთან და იატაკთან ხის დიდი ძელებით. ამ ძელებს შუა მოთავსებული იყო მოძრავი ნაწილები. ერთის მხრივ, ბრტყელი ჰორიზონტალური ხის ტალერი დგეკლითა და რამშეკით და, მეორეს მხრივ, ასევე ბრტყელი, მხოლოდ უფრო მცირე ზომის პიანი, რომლის საშუალებითაც წარმოებდა, ბეჭდვა.

თითოეული ამონაბეჭდის ამოღება თოთხმეტამდე ოპერაციას მოიცავდა და იწყებოდა ასე: დაზგედნებ-გაყოფნეუ და ტალერი ანუ ის სიბრტყე, რომელზედაც ალაგებენ დასაბეჭდავ გამზადებულ გვერდებს. ამ გვერდების ჩარჩოში გაკეპვის შემდეგ მემურე უსობდა სალებავს. სალებავის წასმა ხდებოდა მაცას საშუალებით. მემურეს თითოეულ ხელში ეჭირა თითო მაცა ანუ ხის საბრუნავა, რომელსაც ერთ მხარეზე ჰქონდა თმით გატენილი ტყავის ტამბონი. მეორეზე — კი გაკეთებული ჰქონდა სახელური. როდესაც წააცხებდნენ სალებავს, საჭირო იყო მათზე ამ სალებავის გათანაბრება, ეს ხდებოდა ბალიშების ერთიმეორეზე ოდნავი შეხებით. ამის შემდეგ მემურეს დიდი ოსტატობით უნდა გადაეღო ეს სალებავი განლაგებულ გვერდებზე. ყველა ასოს თანასწორად უნდა მოხვედროდა სალებავი. მემურე ერთდროულად უსვამდა სალებავს ორივე ხელით. ამ დროს დგეკლი იყო ახდილი. დგეკლს გადაკრული ჰქონდა ერთბაში ნარმა, რომლის ქვეშ გაფენილი იყო მაუდი. დგეკლზე ადებდნენ დამჩქელებულ ქალალს (სალებავის უკეთ მიღების მიზნით). ბეჭდვა რომ ზუსტი ყოფილიყო, ე. ი. სტრიქონი სტრიქონს რომ დამთხვეოდა, ამისათვის ქალალს ამაგრებდნენ დგეკლის შუაგულზე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც რამშეკტის ქალალდი იყო ამოჭრილი. ყოველი პროცესი ისე იყო გამოანგარიშებული, რომ დაბეჭდილი ფურცლის დაკეცვის დროს ნაჭვრეტები შეუმჩნეველი რჩებოდა. დგეკლი ისე იყო მომაგრებული ოთხკუთხივ, რომ შესაძლებელი უნდა გამზადრიყო მისი ტალერზე დამშება, მაგრამ ეს არ ხდებოდა მანამდის, სანამ დგეკლზე არ დაუშვებდნენ ანჯამებით მიმაგრებულ რამშეკტს, ანუ ისეთ ჩარჩოს, რომელზედაც გაკრული იყო სქელი ქალალდი, ამოჭრილი ისეთ ადგილზე და ზომაზე, რა ზომის ანაწ-

<sup>1</sup> იხ. სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი“.

ყოფიერება უნდა დაეხმობოდა. ამ ამოქრის მიზანი იყო საბეჭდი ქალაქი დაეცვა მარანებზე მოხვედრილი საღებავისაგან. როდესაც რაშკეტს დაუშვებდნენ დეკლზე, დეკელი გადმოეხურებოდა ტალერზე. ამის შემდეგ ტალერი შესტრდებოდა შიგნით და დადებოდა საღებავზე. საჭირო იყო ზემოდან დაწოლა, რომ ანაბეჭდი გამოსულიყო. ამისათვის მბეჭდავი ტარით მოატრიალებდა ხრახნს, რომელსაც მოძრაობაში მოყვავდა პიანი. პიანი დაწვებოდა დეკელს და ანაბეჭდი უკვე მზად იყო. ამის შემდეგ იწყებოდა უკუქცევითი პროცესი. აუშვებდნენ პიანს, გამოაცურებდნენ ტალერს, ახლიდნენ ჯერ დეკელს, შემდეგ დეკელიდან ახლიდნენ რაშკეტს, აძრობდნენ ცალმხარზე დაბეჭდილ ქალაქს და გააფენდნენ გასაშრობად. ასეთი რთული წესის შემდეგ საშუალოდ მხოლოდ ორმოცდაათი ამონაბეჭდის მიღება შეიძლებოდა ერთ საათში. პირველ ხანებში პიანის ზომა ისე მცირე იყო, რომ მხოლოდ ორი გვერდის დაბეჭდვა იყო მოსახერხებელი. ოთხგვერდიანი ფურცლის ბეჭდვა უხდებოდა ორჯერ.

შემდეგ, როდესაც ნიურნბერგელმა შესტამბე დანერმა ხის მოსაქერი ხრახნი შესცვალა სპილენძის ხრახნით და პიანის ზომა მოუმატა, შესაძლებელი გახდა ოთხგვერდიანი წიგნის ერთდროულად ბეჭდვა.

რასაკვირველია, ვახტანგი ვლახეთიდან გაუმჯობესებულ დაზგებს მოატანინებდა. ამ იარაღების გადმოტანა ზღვით უთუოდ დიდ ხარჯებს და ჯაფას მოითხოვდა. ამ საბეჭდავ დაზგებთან ერთად უნგროვლახელს უნდა მოეტანა ყველა ის მასალა და იარაღები, რომელიც საჭირო იყო სტამბის გასამართავად. უმთავრესად ასეთი იყო ასოების ამოსაქრელი და ჩამოსასხმელი იარაღები, ფოლადის და თითბერის ჩხირები. დამუშავებული საქსილოგრა-

ფიო მასალები, საამკინძაო იარაღები და სხვ. უნგროვლახელს ამ იარაღების საშუალებით უნდა ეწარმოებინა ბეჭდვითი თბილისის სტამბაში. სწორედ ამ საქმეს გულისხმობს, როდესაც ამბობს რომ: „ყოველი საქმენი რაოდენი იხილვე ბიან“ და შემდეგ ამ საქმეებს ჩამოთვლის: „ასონი, ორლანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე მოქმედი და წინამძღოლი მე ვარო“.

ე. ი. უნგროვლახელს საყუთარი ხელით გაუყუთებია ასონი, ანუ შრიფტი, ორლანონი ანუ ჭურჭლები და იარაღები (ალბათ ასოთჩამოსასხმელი ყალიბები) და ყოველნი სახმარნი სტამბისა, ე. ი. ყოველგვარი საბარვეზო, სამღებრო და შესამკობელი მასალები. ექვს გარეშეა, რომ ყველა ეს მასალა უნგროვლახელის მიერ დამზადებულია ადგილობრივ, ე. ი. თბილისში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ მეფის ზედამხედველობით გამოსულ წიგნებში მას გაებედნა ეთქვა: „დაწყებით სრულყოფამდე მოქმედი და წინამძღოლი მე ვარო“.

ყველა ამ მასალაში მთავარი იყო და არის შრიფტი.

ქართველ მკვლევართა შორის გავრცელებულია აზრი, თითქოს ის შრიფტი, რომლითაც დაიბეჭდა პირველი წიგნები ვახტანგის სტამბაში, გაყუთებული ყოფილიყოს უნგროვლახეთში. ისინი ეყრდნობიან პროფესორ ა. ხახანაშვილის მიერ შეუქმონებლად გამოქვეყნებულ ცნობას 1898 წ. ვაზ. „ნივერიაში“ № 63. თვით ხახანაშვილს ეს ცნობა გადმოუღია მ. ვასტერის წერილიდან. მითი ქართული სტამბის არსებობისა უნგროვლახეთში და პირველი წიგნის (კონდაკი) დაბეჭდვისა ამ წერილიდან გავრცელდა ჩვენს მკვლევართ შორის. მ. ვასტერის ეს წერილი მთლიანად გამოაქვეყნა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ 1935 წ. „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“, სათაურით: „ქართული სტამბის

ისტორიისათვის“ და ამ თარგმანს მცირე, მაგრამ ამომწურავი წინასიტყვაობაც წაუშემდგარა.

აკადემიკოსი აკ. შანიძე სათანადო საბუთის აღმოჩენამდე ღიად სტოვეებს საკითხს, ბეჭდავდა თუ არა ანთიმოზ ქართველი ქართულ წიგნებს ბუქარესტში, მხოლოდ მას უეჭველად მიაჩნია ანთიმოზის დიდი როლი ვლახეთიდან საქართველოში სტამბის გამოგზავნის საქმეში, აგრეთვე უეჭველად მიაჩნია ის, რომ უნგროვლახელი იყო ანთიმოზ ქართველის მოწაფე სასტამბო ხელოვნებაში. ხოლო, რაც შეეხება მხედრული შრიფტის დამზადებას, რომელიც ვახტანგის სახელწოდებით არის ცნობილი, ამის შესახებ შენიშნავს: „ამ შრიფტს ვახტანგურს ვეძახით, მაგრამ წარმოშობით იგი შეიძლება გამოჩენილი რუმინელი მოღვაწის ანთიმოზ ქართველისა იყოს.“<sup>1</sup>

რადგანაც შრიფტი ძირითად მასალას წარმოადგენს საერთოდ წიგნის ბეჭდვის საქმეში და ამა თუ იმ სტამბის ისტორიის შესწავლა შრიფტის შესწავლის გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ეს საკითხი ცოტა ვრცლად უნდა განვიხილოთ იმ ფაქტიური მასალის მიხედვით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება.

პირველ ყოვლისა, რას ემყარებიან ჩვენი მკვლევარები, როდესაც ამბობენ, რომ ბუქარესტში დამზადდა ქართული შრიფტით. ისინი ემყარებიან იმას, რომ იმ დროს (საქართველოში სტამბის შემოტანა), როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, უნგროვლახეთში ცხოვრობდა საუკეთესო მესტამბე — მხატვარი, მკერმეტყველი და სასულიერო წიგნების გამომცემელი ანთიმოზ ივერიელი, რომელსაც სკერია სასულიერო წოდების უდიდესი თანამდებობა.

ჩვენი ფიქრით ივერიელობა, ანუ

ქართველობა, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ანთიმოზმა ქართული შრიფტის წესები ცოტა იყო ქართველი, რომელმაც ბუქარესტში დიდი თანამდებობა ეკირათ, თავისი ქართული წარმოშობით ამაყობდნენ კიდევ, მაგრამ ქართული კი არ იცოდნენ? მაგრამ დავუშვათ, რომ ანთიმოზი ფრიად განათლებული იყო ქართულადაც, და ამავე დროს დიდი პატრიოტი — მოყვარული თავისი ქვეყნისა. შეეძლო მას, ერთს, ქართული სტამბის შექმნა და ქართული წიგნების ან წიგნისბეჭდვა სხვა ქართულ სტამბის მოღვაწეთა დაუხმარებლად თუ არა? საკმარისია ოდნავ გავითვალისწინოთ მუშაობის ის პროცესები, რომელიც წიგნის ბეჭდვასთან არის დაკავშირებული, რომ უყოყმანოდ ვთქვათ: არა, არ შეეძლო. ეს შეუძლებელი არის დღესაც და მით უფრო შეუძლებელი იქნებოდა იმ დროს. მაშ თუ ქართული წიგნის ბეჭდვა შეუძლებელი იყო ბუქარესტში, რატომ უნდა გაეწია ანთიმოზს ის უდიდესი შრომა და ხარჯი, რომელსაც შრიფტის დამზადება მოითხოვდა. დავუშვათ ისიც, რომ მას იმდენად უყვარდა თავისი სამშობლო, რომ გამოიხატა დროც და მატერიალური საშუალებაც იმისათვის, რომ შეექმნა ქართული ხუცური და მხედრული შრიფტი, რომლითაც დაბეჭდილია ვახტანგის სტამბის პირველი წიგნები. შეეძლო თუ არა მას ამ შრიფტების დამზადება?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შრიფტებს მესტამბეები აკეთებდნენ საუკეთესო ხელნაწერების მიხედვით და არჩეულ ხელნაწერს ამუშავებდნენ კალიგრაფიულად, ასოჩამოსხმის ტექნიკის მიხედვით. ასოთამომკრელს ყოველი ასო უნდა შეეფარდებია როგორც მარჯვენა ისე მარცხენა მხრიდან დანარჩენ ასოებთან და ამის მიხედვით დაემზადებინა თითოეული ასოს ნახაზი. თვით იდეალური ხელნაწერი ალფაბეტის შტრიხი არ შეიძლება ზუსტად თანაბ-

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგის გამოცემა ალფაბეტით აკ. შანიძის მიერ, გვ. 409. შენიშვნა.



რი ყოფილიყო. ასევე შეუძლებელი იყო ხელნაწერში შრიფტის ხაზის ზუსტად დაცვა. კარგი შრიფტის შექმნისათვის კი როგორც შტრიხის აგრეთვე შრიფტის ხაზის დადგენას ჰქონდა და დღესაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუ შრიფტის ხაზი როგორც შუალედი, ისე ზედა და ქვედა, აგრეთვე ალფაბეტის შტრიხი არ იქნება სწორად დადგენილი და ისე ჩამოსხმული, შრიფტი უვარგისი გამოვა, სტრიქონში გამართვის დროს დაიბრციება, ანაწყოები აკრულდება, ზედა და ქვედა ნაწილები ერთმანეთში შეიჭრება ამავე დროს მრავალი ასოს თვალი (очко), გადმოკიდული უნდა ყოფილიყო. ეს იმისათვის, რომ მარჯვნივ ან მარცხნივ მდებარე ასოს შეჭრა მეორე ასოს არეში შესაძლებელი გამხდარიყო, როგორც ამას მოითხოვდა ხელნაწერი.

ალფაბეტის ნახაზების ეს წინასწარი დამუშავება დიდ დროს, სიზუსტეს და თითოეულ ასოს თავისებურების ცოდნას მოითხოვდა.

ასეთი შრომით დამზადებული ნახაზებიდან იწყებოდა შრიფტის ჩამოსხმა.

შრიფტის ჩამოსახმელად საჭირო იყო შემდეგი ოპერაციების ჩატარება:

შტრიხისა და შრიფტის ხაზის დადგენის შემდეგ იწყებოდა თითოეული ასოს ამოჭრა მაგარ ლითონზე, ფოლადსა ან თითბერზე რელიეფური და შებრუნებული სახით, რომელსაც პუნსონი ეწოდება. შემდეგ, ამ პუნსონს დაადებდნენ უფრო რბილ ლითონზე, და მეორე მხრიდან სცემდნენ ჩაქუნს მანამდის, სანამ ლითონზე არ გაკეთდებოდა პუნსონზე ამოჭრილი ასოს გამოსახულება გარკვეული სიღრმით. ეს შებრუნებული სიღრმე ასოს ყალიბს წარმოადგენდა და მას მატრიცა ეწოდება. ამის შემდეგ იწყებოდა წიგნის ბეჭდვის კიდევ უფრო ძნელი მუშაობა, ვიდრე ასოს ამოჭრა იყო, ე. ი. იწყებოდა შრიფტის ჩამოსხმა, ასოთჩამოსხმელი იღვა გახურებულ ლუმელთან, რომლის თავზედაც იღვა

საცხე ჯამი გამდნარი გარტით ასოთჩამოსხმელს მარცხენა, ხელში ეჭირა ასოთჩამოსხმელი კუთხვული კუთხვული გვერდიდან შედგმული ჰქონდა მატრიცა. მარჯვენა ხელში ეჭირა კოვზი, რომლითაც იღებდა გამდნარ ლითონს და ამ ჰურქელში ასხამდა. ჰურქლის სიმაღლე და განი თანაბარი უნდა ყოფილიყო ჩამოსახმელი ასოს განისა და სიმაღლისა.

ჰურქელში ჩასხმული ლითონი მალე ცივდებოდა. ასოთჩამოსხმელს ეს დამზადებული ლიტერი გამოჰქონდა ჰურქლიდან და იქვე დადგმულ ვობში ჰყრიდა. ამ ლიტერებს, თითქოს მათი გაგრძელებაო, ზედმეტი ნაწვეთები რჩებოდა. ასოთჩამოსხმელი მათ აცილებდა, ასოებს მოხეხავდა ისე, რომ სიმაღლით, სიგანით და მთელი ტანით თანაბარი ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ბეჭდვა შეუძლებელი იქნებოდა.

ამრიგად, პუნსონების დასამზადებლად ანთიმოზს ხელთ უნდა ჰქონოდა როგორც ხუცური ხელნაწერის ისე მხედრული „ვეფხის-ტყაოსანის“ ან სხვა რომელიმე ნაწარმოების საუკეთესო ხელნაწერი. ვეკვობ, რომ უნვროვლახეთში ასეთი ხელნაწერები ყოფილიყოს. ხელნაწერების გარეშე კი ანთიმოზს ასოების ჩამოსხმა დრდათ გაუკირდებოდა. როგორც ხუცური ისე ვახტანგის მხედრული საცხეა ე. წ. „გადმოკიდული“ ასოებით, ე. ი. ისეთი ასოებით, რომელთა მეორე ასოსთან მიდგმის დროს გაყოფი აღარ იღება. ეს ხდება იმისათვის, რომ ასოთა შორის დაშორებაში (აბროში) ერთგვარი თანაბრობა იქმნეს დაცული და ანაწყოები კარგად იყითხებოდეს და თან დაცულ იქნეს ის სილამაზე, რომელიც ხელნაწერს აქვს. მაგ., ავილოთ სიტყვა „იგი“. ამ სიტყვაში ასო „გ“ არის გადმოკიდული როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ. ასო „ი“ მასში იჭრება როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ. ასო „ი“ შედის

„გ“-ს არეში. თუ ასე არ გაკეთდა მაშინ ეს სიტყვა დაყოფილს დაემსგავსება და სტრიქონიდან გამოირჩევა როგორც ანაწყობის ტექნიკით ისე აზრობრივი მნიშვნელობით. ასეთი სიტყვები, სადაც საჭიროა გადმოკიდული ასოების ხმარება, ხელნაწერს მოითხოვს.

თუ ჩვენ დაუშვებთ იმას, რომ ანთიმოზს არ შეიძლებაო ხელთ ჰქონოდა საუკეთესო ხელნაწერი, როგორც ხუცურის აგრეთვე მხედრულის, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ იგი ამ შრიფტების პუნსონებს და მით უფრო ლიტერებს ვერ დამზადებდა.

ვის ჰქონდა საუკეთესო ხელნაწერების შერჩევის საშუალება, ვის შეეძლო ამ საქმეში ყოფილიყო ყველაზე მეტად კომპეტენტური? რასაკვირველია, ვახტანგ მეექვსეს და იმ კომისიას, რომელიც მის მიერ იყო შედგენილი. ამ კომისიაში, ალბათ, ქართული ხელნაწერების საუკეთესო მცოდნეებთან ერთად საუკეთესო კალიგრაფებიც შედიოდნენ. მხოლოდ ვახტანგს შეეძლო, ამ კომისიის დახმარებით, აერჩია ყველაზე ტიპიური ხუცური და მხედრული აღფაბეტი დაწერილი ხელნაწერები და მათი მიხედვით დაემზადებიათ პუნსონები და ლიტერები. მართლაც ვახტანგის სტამბიდან გამოსული პირველი წიგნები ამას მოწმობენ. როდესაც პირველი ნაბეჭდი სახარების ხუცურ შრიფტს ვაძარებთ სხვა ხუცური წიგნების ხელნაწერებს ერწმუნდებით, რომ ეს შრიფტი არის უაღრესად ტიპიური და კალიგრაფიულად სრულყოფილი. ასევე ტიპიურია და სრულყოფილი, ვერ „ლოცვანში“, „ეჰანში“, „კონდაკში“ შემდეგ „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარი, მხედრული შრიფტი. ამის შემდეგ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ჩვენთვის სრულიად გასაგები ხდება უნგროვლახელის განცხადება: „ყოველივე საქმენი რაოდენნი იხილევბიან: ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა დაწყებით

სრულ ყოფამდე მოქმედო და წინამოღოლი ვარო.“

ჩვენს მოსაზრებას ამოწმობს იდეის გარემოება, რომ პირველ ნახებში ვახტანგის სტამბის შრიფტი მხოლოდ ერთი კეგელის იყო. ამით არის აწყობილი მთელი სახარება, რაც დრო გადის სხვა და სხვა კეგელები ჩნდება. ეს უდავოდ იმას ადასტურებს, რომ უნგროვლახელმა, ჩამოსვლის პირველ წელს მოასწრო მხოლოდ ხუცური შრიფტის ერთი კეგელის პუნსონებისა და ლიტერების დამზადება, ამით დაბეჭდა სახარება. ამავე დროს შეუდგა სხვა კეგელების მზადებას და მართლაც შემდეგ გამოცემებში მათ უკვე ვხვდავთ. უფრო მეტი სიცხადისათვის განვიხილოთ ვახტანგის პირველი გამოცემის რამდენიმე წიგნი: უნგროვლახელის ჩამოსვლისათვის, როგორც ჩანს, ვახტანგს უკვე დამზადებული ჰქონია როგორც ხუცური შრიფტის სანიმუშო ხელნაწერი აგრეთვე მხედრული შრიფტისაც. ამავე დროს, წინასწარ შემუშავებული ჰქონია საგომოცემლო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით პირველად იბეჭდება სახარება 1709 წ.

მიუხედავად იმისა, რომ სახარება აწყობილია დიდ ზომაზე (25×17) სმ. და ტექსტი შრიფტის სხვადასხვაობას მოითხოვს, მასში ნახმარია მხოლოდ ნუსხური კეგ. 16 და ასომთავრული კეგ. 14.

როგორც ჩანს, უნგროვლახელს პირველ რიგში ეს კეგელები გაუკეთებია. მთელი წიგნი დაბეჭდილია ერთ ფერში (შავი). ნაწილი აწყობილია ერთბაშო სტრიქონებით, ნაწილი — კი ორსვეტად. თითოეულ გვერდში საშუალოდ 33 სტრიქონია. ასოთა შორის დაყოფა არ არის თანაბარი. ზოგიერთ ასოს კიდურები არა აქვს (აბოში), ან თუ აქვს მინიმალური. მრავლად არის ნახმარი გადმოკიდული ასოები. ზოგიერთი ასო რამდენიმე ზომაზეა ჩამოსხმული. შრიფტის ხაზი არ არის დაზუსტებული, რაც ასოების ლივლივს იწვევს. როგორც ნუსხურის აგრეთვე ასომთავრუ-



ლის შტრიხი სამი განზომილების არის. ძირითადი, ბეწვეური და დაკვირილი (ანუ სერიფი). ნუსხურის ძირითადი შტრიხის ზომა უდრის დაახლოებით 3 პუნქტს (პუნქტი 0,376 მილ.) ხოლო ასომთავრულის — 4 პუნქტს.

არეების მოცულობა ერთბაში წყობისა ასეთია:

- ა) შუათანა (ე. ი. ულაში) 1 სმ.
  - ბ) ქვედა . . . . . 1/2 "
  - ვ) ზედა . . . . . 1/2 "
  - გ) გარეთა . . . . . 1 "
- ორ სვეტიანის:
- ა) შუათანა . . . . . 2 სმ.
  - ბ) ქვედა . . . . . 1/2 "
  - ვ) ზედა . . . . . 1/2 "
  - გ) გარეთა . . . . . 2 "

აბზაცი ყველგან გარეთ არის გამოტანილი.

როგორც დღემდე ცნობილია, ვახტანგის სტამბაში დიბეჭდა სულ 20 სახელწოდების წიგნი. განმეორებით გამოცემების ჩათვლით კი—24. აქედან ეჭვსი სახელწოდების წიგნი მთლიანად მხედრული შრიფტით არის დაბეჭდილი, რამდენიმე ხუცურ-მხედრულით, დანარჩენი-კი ხუცური შრიფტით.

არეების განაწილებასა და ზომებს შორის რაიმე კანონზომიერება არ ყოფილა ზუსტად დაცული. ზოგჯერ უდიდესი ზომის წიგნის არეები (როგორც, მაგალითად, „პარაკლიტონი“) თითქმის ისეთივეა როგორც უმცირესი ზომის წიგნისა („დავითნი“) და გაცილებით ნაკლები, ვიდრე შუათანა ზომის წიგნისა („კურთხევანი“).

შრიფტების ნაირობის მხრივ 1710 წლიდან მდგომარეობა საფუძვლიანად იცვლება. როგორც ჩანს, უნგროვლახელს ამ წლისათვის დიდი მუშაობა ჩაუტარებია, როგორც შრიფტების სხვადასხვა კვებების დამზადების ისე ბეჭდვის პროცესების გაუმჯობესების მხრივ. ამავე დროს, როგორც ეს წელი, ისე მომდევნო 1711 წ. ყველაზე ნაყოფიერად მოჩანს ვახტანგის სტამბის მუ-

შაობაში. ამ წლებში გამოდის წიგნების ყველაზე მეტი რაოდენობა. 1709 წლის „სახარებაში“ ნაშრომის რაოდენობა კვ. 16 და ასომთავრული კვ. 14—1710 წლის „ლოცვანში“ ძირითად შრიფტად უკვე გამოყენებულია ნუსხა ხუცური კვ. 10 (კორპუსი) და ასომთავრული კვ. 8,12,16. ამავე დროს ამ წიგნში პირველად არის ნახმარი მხედრული კვ. 24. ამ შრიფტით აწყობილია მხოლოდ სამი სტრიქონი: „ხელითა: მესტამზე: მიხაილ: სტეფანე: შვილისა უნგროვლახელისა.“

ჩანს, ეს ახლადდამზადებული შრიფტი ცდის სახით იხმარა „ლოცვანში“ და ამ შრიფტით პირველად თავისი ეინაობა აღნიშნა.

მომდევნო წიგნი („ქამნი“) უკვე ორი ფერით იბეჭდება (წითელი და შავი).

„კონდაკში“ კი გამოყენებულია შრიფტთა მრავალსახეობა (ზომების მხრივ) დაბეჭდვის ტექნიკა უმაღლეს წერტილამდე არის აყვანილი. ამ წიგნში გამოყენებულია ნუსხა ხუცურის უკვე სამი კვ. 10,12,16 და ასომთავრული კვ. 12,16,24 წიგნი დაბეჭდილია ორ ფერში სხვადასხვა ბორდიურებით და შესამკობელი ქსილოგრაფიული მასალით. აქვე არის ნახმარი მხედრული შრიფტი. ამ შრიფტით აწყობილია რუმინული ლექსი. როგორც ჩანს, ასეთი მოქმედებით უნგროვლახელი თავისი პატრიოტიზმის ლემონსტრაციასთან ერთად, ცდებს ატარებს ამ შრიფტის საფუძვლიანი გამოყენებისათვის. მართლაც მომდევნო 1711 წელს უკვე მხედრული შრიფტით იბეჭდება რამდენიმე დიდტანიანი წიგნი. ამ წიგნთა შორის ბეჭდვის მაღალხარისხოვნებით და შრიფტის სიმკვეთრით უნდა აღინიშნოს 1711 წლის „დავითნი“. ამ წიგნში თავურ ასობად გამოყენებულია ასომთავრული და წიგნი აწყობილია უშპონოდ.

ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუ რომელი კალიგრაფის ხელნაწერი დაედო საფუძვლად ამ მხედრულ შრიფტს, მხოლოდ

ეციოთ, ის რომ მხედრული აღფაბეტის უდიდესმა მოამაგებმა, მეფეთა კარზე მომუშავე კალიგრაფებმა, დროთა განმავლობაში მკაფიოდ ჩამოაყალიბეს ამ აღფაბეტის ჩონჩხი, სრულ სიზუსტემდე მიიყვანეს თითოეული ასოს ინდივიდუალობა. გრაფიკულად ისე დაუკავშირეს ერთმანეთს, რომ ვერც ერთი ასო ვეღარ ეგუებოდა რაიმე ძირითად ცვლილებას.

ვფიქრობთ, რომ ამ საქმეში უდიდესი ღვაწლი უნდა მიუძღოდეს ცნობილ კალიგრაფს და სასულიერო პოეტს ნიკოლოზ ტფილელს, სულხან-საბა ორბელიანის ძმას და ვახტანგის კარის მხატვარს.

ვახტანგ მეექვსის კარზე შექმნილი შრიფტები, იმ დროინდელი სტამბის მოთხოვნილების თვალსაზრისით, უდიდესი მიღწევა იყო. გარდა იმისა, რომ ამ შრიფტის შექმნის დროს გაბედული ნაბიჯი იქმნა გადადგმული ხელნაწერის გავლენიდან განთავისუფლების მხრივ, მის გრაფიკულ დამუშავებაშიაც უპირატესობა მიეცა იმას, რაც თანამედროვე პოლიგრაფიულმა მეცნიერებამ გამოარკვია, სახელდობრ: „იდეალური შრიფტი წრებაზით უნდა შენდებოდეს, ოთხპარალელში იწერებოდეს, იყოს უაღრესად სადა, საგრძნობლად განიერი და ზომიერად მუქი“. ყველა ამ მოთხოვნას ზედმიწევნით აკმაყოფილებს ვახტანგის შრიფტი.

როგორც ვახტანგს ისე მის ირგვლივ მყოფ პროგრესულ მოღვაწეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული მხედრული შრიფტის მომავალი და მისი მნიშვნელობა სახალხო განათლების საქმეში.

ყოველი მათი ნაბიჯი აამკარავებს, რომ დრომოკმული და სასულიერო კასტის შრიფტი ე. წ. „ხუცური“ ხალხის ფართო ფენებისათვის იყო უცხო და

გრაფიკულად მიუღებელი. ამიტომ/ვახტანგი გადამწყვეტ ბრძოლაში უცხოებს „ხუცურს“ და სასულიერო წიგნებსაც კი მხედრულით აწყობს. სამწუხაროდ მხედრული შრიფტის დამუშავება მის ჩასახვასთან ერთად შესწყდა. ვერც ვახტანგმა და ვერც უნგროვლახელმა ვერ მოასწრეს ამ შრიფტის კეგელების ხუცურის ოდენობამდე მიყვანა. „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგის სანუკეარი წიგნი მხოლოდ ერთი კეგელით (24) იბეჭდებოდა, და ისიც, როგორც ჩანს, ვახტანგისა და უნგროვლახელის ზედამხედველობის გარეშე. თუმცა „ვეფხისტყაოსანი“ ორი ფერით არის ნაბეჭდი, შიშინი გამოყენებულია (3 პუნქტიანი), მაგრამ როგორც ბეჭდვის სიფაქიზით აგრეთვე ასოთა სიმკვეთრით დიდად ჩამორჩება 1711 წელში მხედრული შრიფტით ნაბეჭდ წიგნებს. „ვეფხისტყაოსანის“ ნაბეჭდს ეტყობა, რომ ქართველ მბეჭდავებს ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონიათ ათვისებული უნგროვლახელის ოსტატობა და გამოცდილება. ასოები უკვე დაეყვილია, ჩანს წინა გამოცემებში ის წამხდარა და ახალი ვერ ჩამოუსხამთ. ზოგიერთი ასო ისეა დამახინჯებული, რომ სხვა მოხაზულობას იძლევა. ვახტანგის სტამბის მეურნეობა და მუშაობა მიყვანილი დიდ სიმაღლემდე, 1712 წლიდან დაბლა ეშვება და ბოლოს 1714 წლიდან 1717 წლამდე სრულიად წყდება. ამ წლებში სამეფო ტახტი ვახტანგის ძმას გამაჰმადიანებულ იასეს ეჭირა, თვით ვახტანგი სპარსეთში იყოფებოდა და უნგროვლახელი-კი ჯერ კიდევ 1712 წელში უკვალოდ იკარგება. საქმეს ვერც ვახტანგის შვილის ბაქარის გამეფება შეეღის. ჩანს ვახტანგის სპარსეთიდან დაბრუნებამდე (1719) მის სტამბაში მხედრული შრიფტის ბევრი პუნსონი შემთხვევით თუ განზრახ



პეტროპოლიტი გაივლინება, როგორც რუსეთის ისე ოსმალეთის მხრივ, რუსეთმა წინადადება მისცა ყველას ვინც მას პრეტის ლაშქრობაში ეხმარებოდა გადასახლებულიყვნენ რუსეთში და ამით თავი დაეღწიათ ოსმალეთის შურისძიებიდან. ამ შურისძიებას, ვერც მუხანათურად მოლაღატე, კონსტანტინე ბარანკოვანო გადაურჩა. ოსმალებმა არ აბატიეს მას რუსეთთან საიდუმლო ხელშეკრულების დადება. იგი დაიბარეს თავისი ოჯახობით სტამბოლს და იქ ყველას თავები წაჰკვეთეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მიტროპოლიტ ანთიმოზსაც თითქმის ასეთივე ბედი ეწია. გამხეცებულმა ბერძენმა ფანარიოტებმა პოლიტიკური ღალატი შესწამეს მას, მიტროპოლიტობიდან ჩამოაგდეს, გაქეცება მიუსაჯეს და გზად მიმავალი წყალში დააღრჩეს.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც პრეტის ლაშქრობას მოჰყვა, ცხადია უნგრელებს ბედიც გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო. ვახტანგის გვერდით აღმოჩნდა საერთო საქმისა და რუსეთის მოლაღატის კონსტანტინე ბარანკოვანოს წარმოგზავნილი კაცი. ვფიქრობთ, რომ მასაც თავისი ბატონის ბედი უნდა სწვევოდა. რასაკვირველია, ამას ხელს შეუწყობდა საქართველოს კლერიკალური სამღვდლოებისა და მრავალრიცხოვან უმუშევრად დარჩენილი გადაშენების უკმაყოფილება. როგორც ზეითაც თქვით, პრეტის ომის შემდეგ, ვახტანგი იძულებული შეიქმნა ყაენს ხლებოდა, ალბათ, როგორც ერთ-ერთი შეთქმულთაგანი ისლამური სამყაროს წინააღმდეგ. იქიდან ის ქირმანში გადასახლეს სამი წლით. იმ დროს (1713), როდესაც ირანის კარზე ვახტანგი ისლამის მიღებაზე უარს ამბობდა და თავის უდანაშაულობას ამტკიცებდა, მის უბედურ ბიძას უსახლკარო მეფე არჩილს რუსეთის ერთგულს და ქართუ-

ლი საქმისათვის განწირულს, საყვარელი შვილების გვერდით, ყოფნა მუქას-ტრის გალაგანში მიწას მბრუნებელი ირანიდან დაბრუნებულ გამაჰმადიანებულ ვახტანგს დიდხანს აღარ დასცალდა საქართველოში მოღვაწეობა. 1721 წელს გამოთვალ მდგომარეობაში ჩაყარდა. როდესაც რუსეთმა განაახლა სამხრეთის საზღვრების გაფარობა, ვახტანგმა არ დააყოვნა და პეტრე დიდთან დასლო ხელშეკრულება სპარსეთის წინააღმდეგ. პეტრე დიდმა დარუბანდი აიღო და ყველა დარწმუნებულიყო სპარსეთის დამხობაში, ვახტანგმა თავი გაამკლავა როგორც რუსეთის მოკავშირემ, მაგრამ აქაც, როგორც პრეტის ლაშქრობის დროს, მოხდა მოულოდნელი ამბავი: პეტრე დიდმა პირიბრუნა ჩრდილოეთისაკენ. გონებადაბნეულმა ვახტანგმა კიდევ უფრო სახიფათო ნაბიჯი გადასდგა. მიმართა ოსმალეთს დახმარებისათვის. ოსმალეთმა დახმარების ნაცვლად საქართველო ჯერ გააპარტახა, შემდეგ ომით დაიკავა. 1723 წელს თბილისი ოსმალებმა აიღეს.

ვახტანგს და იმ ათას-ოთხას რჩეულ ქართველს, რომლებიც ჯერ სპარსეთის და შემდეგ ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, ისლა რჩებოდათ, რომ გასცლოდნენ საქართველოს მიწაწყალს, უკეთესი მერმისის მილოდინში რუსეთს გადასახლებულიყვნენ.

ამ რჩეული ადამიანების მოღვაწეობის შეწყვეტასთან ერთად დიდი ხნით შესწყდა პირველი ქართული სტამბის მოქმედებაც. განახლდა მაშინ, როდესაც საქართველო დაადგა გარკვეულ გზას. დიდ რუს ხალხთან მეგობრობის გზას. ამ გზით საქართველო შეიქნა მონაწილე უმაგალითო პოლიტიკური და კულტურული აღორძინებისა, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციით იქმნა მოპოებულა.

## ბიბლიოგრაფია



„რუსი მწერლები საპარტიო საზოგადოებასთან“, ტ. 1, 330-ლი დროიდან მე-19 სუ-  
კუნის ნახევარამდე, შედგენილი ვანო ჯაფარიძის მიერ.



ალექსანდრე კავკაზაძემ თავის შესანიშნავ  
ლექსში მძლავრი პოეტური ფერადებით ასახა  
მილიტარისტული რუსეთის შემოჭრა კავკასიონის  
გაუფლად ვიწროებისა და ცამდე აღმართულ  
კლდეებს შორის მომავალი ძნელი გზებით. მან  
არ დაჟვარა, რომ იმ სამხსოვერთ ხანაში:  
... კავკასია მკენსარად — ეზოთა მიერ წყლულ-  
თა თვისთა ცხად ჰყოფდა შწარად!“. მაგრამ პო-  
ეტისათვის ამასთან ერთად საეხებით ნათელი  
იყო უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელო-  
ბა ამ ფაქტისა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.  
ორი ბალო სტრიქონი ლექსისა „კავკასია“ ცხად-  
ჰყოფს პოეტისა და მოაზროვნის მიერ განუ-  
რეტელ მომავლის პერსპექტივას: „განისხნა  
ვსა და გშვათ იფერეთ სასოება, რომე მე-  
ნით შევიდეთ მათ შორის განათლება“.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა უფრო მკაფიოდ გა-  
მოხატა რომანტიკოს პოეტთა შესუდუღება სა-  
ქართველოს მომავალზე ახალ პოლიტიკურ ვი-  
თარებაში (საფლავი მეფის ირაკლისა“), თერგ-  
დაღელეთა თაობამ, ილია კავკაზაძისა და აკაკი  
წერეთლის შეთავრებით, თავისი შემოქმედო-  
ბითა პრაქტიკითა და საზოგადოებრივი იდეალო-  
ბით, საეხებით ნათელჰყო, თუ რა განუზომელი  
მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის სუ-  
ლიერ ძალთა ხელახალი აღორძინებისათვის მის  
ზიარებას დიდი რუსი ხალხის კულტურასთან,  
მოწინავე აზროვნებასთან, პროგრესულ პოლი-  
ტიკურ იდეებთან.

ქართველი ხალხი მთელი მე-19 საუკუნის მან-  
ძალზე სასტიკად ემბოძოდა ცარიზმის დამპყ-  
რობლერ პოლიტიკას, მის უბეშ ძალას, რომე-  
ლიც მოწინააღმდეგე იყო განადგურებინა ყო-  
ველგვარი ნასახი საქართველოს ეროვნული კულ-  
ტურისა, მისი ნაციონალური თავისებურებისა;  
მეორე მხრივ ქართველი ხალხი ამ ბრძოლისათ-  
ვის ძალას და შთაგონებას პოულობდა რუსი ხალ-  
ხის კულტურაში, მის მოწინავე, ჰუმანურ იდეებ-  
ში, მის ფილოსოფიასა და ხელოვნებაში.

დიდმა ლენინმა გენიალურად განისაზღვრა ორი

ეროვნული კულტურის არსებობის ფაქტი უცვლელ  
ეროვნულ კულტურაში. ქართველი პროგრესუ-  
ლი მოაზროვნეებისათვის გასულ საუკუნეში  
საეხებით ნათელი იყო, რომ არსებობდა ორი  
რუსეთი — ერთი მხრივ რუსეთი რეაქციული  
დრეკილობებისა და ბნელთის მოციქულებისა,  
ხოლო, მეორე მხრივ რუსეთი დეკაბრისტების,  
პუშკინისა და ბელინსკისა, რუსეთი რევოლუ-  
ციურ-დემოკრატიების — ჩერნიშევსკისა და დო-  
ბროლეოვის, ნაროდოვოლცების, მარქსისტ-  
ლენინელების, რუსეთი ტოლსტოის, ზეზოვის და  
გორკისა. საეხებით ბუნებრივი იყო, რომ სწო-  
რად იმ ამ მეორე რუსეთში ეძებდა ქართველი  
ხალხის მეზობელი ნებისყოფა თავის დასაყრ-  
დენ ძალას, თავის იდეურ არსებას, თავის  
ერთვულ მოკავშირეს ეროვნულ-გამანათლებლ-  
ელ ბრძოლაში ცარიზმის წინააღმდეგ.

სარეცენზიო კრებული — „რუსი მწერლები  
საქართველოს შესახებ“ წარმოადგენს შესა-  
ნიშნავ ილუსტრაციას, თუ რა დამოკიდებულე-  
ბაში იმყოფებოდნენ რუსი ხალხის მოწინავე  
კულტურის წარმომადგენლები ქართველ ხალ-  
ხთან, როგორ აფასებდნენ მის კულტურას,  
წარსულ ცხოვრებას, თანამედროვე უფას, მის  
სამომავლო იდენტას.

კრებულის შემდგენელსა და რედაქტორს  
თავისი შრომა ფართო მასშტაბითა იქვს გა-  
მანართი. სარეცენზიო კრებული წარმოადგენს  
მხოლოდ პირველ ტომს განზრახული ნაშრომი-  
ნისა. — იგი შეიცავს რუსი მწერლების წერი-  
ლებსა და მხატვრულ ნაწარმოებებს მე-15 საუ-  
კუნდიდან მე-19 საუკუნემდე. მეორე ტომი მიე-  
ძენება 1850 — 1917 წლების თხზულებებს, ხო-  
ლო მესამე და უკანასკნელი — საბჭოთა პე-  
რიოდის ნაწერებს.

სარეცენზიო კრებული მრავალმხრივ საგუ-  
ლისხმო მასალას შეიცავს. იხსენება იგი ვანო ჯა-  
ფარიძის შესავალი წერილით: „საქართველო რუ-  
სულ ლიტერატურაში“. ავტორი საფუძვლიანი  
ცოდნითა და მრავალფეროვანი მასალის გამო-

ყენებით, მიმოიხილავს რუსული ლიტერატურის ყველა იმ ძეგლებს, სადაც კი ოდესმე ყოფილა მოხსენებული საქართველო, მისი ადამიანები, მისი ცხოვრება. „რუსეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორია, — წერს ავტორი, — შორეული წარსულიდან მომდინარეობს. ეს ურთიერთობა მე-11-12 საუკუნეებში წარმოიშვა და მის შემდეგ იგი ფართოვდებოდა, მტკიცდებოდა და ვითარდებოდა ამ რთი შესანიშნავი ქვეყნის რთულ საშინაო და საგარეო პირობებში“.

მიმოიხილავს რა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეულ ფაქტებს მე-11—19 საუკუნის მანძილზე, ავტორი, უწინარეს ყოვლისა, ჩერდება უძველეს რუსულ ძეგლებზე, სადაც მოხსენებული არიან ქართველები და მათი გამოჩენილი მოღვაწენი. ეს ძეგლებია: „თქმულება ბაბილონის სამეფოზე“ (მე-15 ს. დამდეგი) და „თქმულება დინარაზე“ (მე-16 ს. დამდეგი). — უკანასკნელი გადმოგვცემს თამარ მეფის ამბებს.

საქართველოს თემატიკა უფრო ხშირად იჩენს თავს მე-18 საუკუნის რუსულ მწერლობაში. ეს აისახება რუსეთ-საქართველოს შორის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის გაძლიერებით.

ქართულ და რუს ხალხებს შორის კულტურული კავშირი მტკიცდება და ფართოვდება საქართველოს რუსეთთან შეერთებას შემდეგ.

ავტორი ცალკე თავებს უჭლენის მე-19 ს. პირველ ნახევრის დიდ რუს მწერლებსა და პოეტებს, რომლებმაც თავიანთ შემოქმედებაში ფართო ადგილი დაუთმეს საქართველოს თემს. იგი საგანგებოდ ჩერდება ა. გრიბოედოვის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვისა და აგრეთვე ი. პოლონსკის ნაწერებზე, სადაც ფართოდ აისახა საქართველოს ბუნება, მისი ხალხის ყოფა-ცხოვრება, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარება.

განო შადურის ნარკვევში უბევ ისტორიულ-ლიტერატურული მასალა გააზრებულია მაღალ იდეურ დონეზე, ფართო ისტორიულ ფონის ქარგაზე. იგი იკითხება შევნიშლებელი ინტერესით და თავისთავად, როგორც მეცნიერული შრომა, მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს კრებულში.

ტექსტუალური მასალა ქრონოლოგიური წესით არის დალაგებული. ზემოთ უნდა მოხსენებულ ორ თქმულებას მოსდევს მე-18 ს. გამოჩენილი რუსი მწერლების, ა. რადონშევისა და ნ. კარაშინის ნაწერები. პირველს — ნაწევრები პოემა „ბოვა“-დან და ლექსი — „ისტორიული სიმღერა“, ხოლო მეორესი — ნაწევრები „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიიდან“. უკანასკნელში მოკლედ მოთხრობილია რუს-ქარ-

თველთა ურთიერთობის ამბები თამარ მეფის დროიდან ბორის გოდუნოვის ხანამდე, მისი ჩათვლით, კრებულის მოთავსების მიხედვით, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მწერლებს თხზულებებს საქართველოზე. ამ წარმოდგენილი არიან ლექსებით, მხატვრული პროზითა, პირადი მიმოწერითა და სხვა დოკუმენტური მასალით, შემდეგი მწერლები: ა. გრიბოედოვი, ვ. კუბელბევერი, დ. დავიდოვი, ა. ბესტუჟევი-მარლინსკი, ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ნ. გოგოლი, ბ. ბელინსკი, ა. გერცენი, ნ. იაზიკოვი, ა. მაიკოვი და ი. პოლონსკი. კრებულის ბოლო ნაწილი დათმობილი აქვს პუშკინის დროის პოეტთა ნაწარმოებებს (ზაიცევი, გრიგორიევი, ტუპოლიკოვი, მვისნერი, იაკუბოვიჩი, გოტოცევა, ოსნოინიშინი და ა. შიშკოვი).

ა. გრიბოედოვის ნაწარმოებთაგან კრებულში მოთავსებულია: ლექსი — „იქ, სადაც რბის ალბანი“, ნაწევრები პოემიდან — „მედილიანი“ (თარგმანი ე. კვიციანისა), ნაწევრები ტრაგედიაიდან „ქართული დამე“ (თარგმ. გ. გორგაძისა) და სხვა თხზულებანი. ა. პუშკინის ნაწარმოებებიდან: „არა, ლამაზო“, „საქართველოს მოთხზე“, „მონასტერი მუნივარზე“, „ზევა“, ნაწევრები „კავკასიის ტყვიდან“ და „ბაღჩისაიის შადრევნიდან“ (თარგმ. ე. კვიციანისა), „კავკასიონი“ (თარგმ. მ. პატარძისა), „არზრეში მოგზაურობა“ (თარგმ. ი. ავლაძისა) და სხვ. ნაწარმოებნი, თარგმნილი ე. ნადირაძისა, გრ. ცეცხლაძისა, დავ. ვაჩეჩილაძისა და გ. გაჩეჩილაძის მიერ. განსაკუთრებით ბლომად არის წარმოდგენილი მ. ლერმონტოვის ნაწარმოებნი და აგრეთვე ი. პოლონსკისა, რომელიც პირველად ითარგმნება ქართულ ენაზე ასე ვრცლად და კვალითცოვრად.

კრებულში მოთავსებულია ნაწევრები ნ. გოგოლისა და ბ. ბელინსკის უაღრესად მნიშვნელოვან სტატიებიდან, სადაც აღნიშნულია საქართველოს და კავკასიის უდიდესი როლი პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებით განვითარებაში.

ქართულ პოეტებსა და მწერლებს, საწაფელთა არ დაუკლიათ, რომ მშობლიურ ენაზე ლირსულად აეფლერებინათ რუსი მკანსების ნაწარმოებნი, მიძღვნილი ქართველი ხალხისადმი. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ითქვას, რომ მათი თარგმანები მაინც არ არის დაზღვეული ნებისით თუ უნებლიე შეცდომებისაგან. ჩვენს ვალა წიფეთითთა ჩვენს მთარგმნელ პოეტებს ზოგიერთ უსწორობაზე, რომელიც მათ დაშვებული აქვთ რუსული ორიგინალის აზრის გადმოცემის დროს.

შავლითისთავის ავილით პუშკინის ლექსი „არა, ლამაზო“, თარგმნილი ე. კვიციანის მიერ, თავის თარგმანებში ე. კვიციანეს, როგორც და-

ველენებულ ოსტატს, ახასიათებს სიზუსტე, დედნის აზრის კარგი ვადმოცემა, ძიება ადექვატური ფორმისა. შეიხედვად ამისა, ზემოხსენებულ ლექსის თარგმანში, რომელიც, სიძარითლე უნდა ითქვას, საერთოდ ჩინებულადაა შესრულებული, კ. კვიციანიძეს მაინც დაუშვია ზოგიერთი თვითნებობა ორიგინალის მიმართ. ასე მაგალითად, პეშინის სტროფი:

Увы, напоминают мне  
Твои жестокие напевы  
И степь, и ночь, и при луне  
Черты далекой, бедной деви!..

კ. კვიციანიძეს თარგმნილი აქვს შემდეგნაირად: თითქოს ხმა იყოს ეს სამარისა, ჩემში ცოცხლდება უცნაურ ძალით ტრამალი, ღამე, შუქი მთიარისა და შორეული საბრალო ქალი..

მკითხველი დაგვიბახმება, რომ „Твои жестокие напевы“ სრულიად სხვა აზრს შეიცავს, ვიდრე სტრიქონი „თითქოს ხმა იყოს ვე სამარისა“.

ასევე უსწოროდაა ვადმოთარგმნილი სტრიქონები

Не пой, красавица, при мне  
Ты песни Грузии печальной,

„არა, ლამაზო, ნუ გამავონებ  
ქართულ სიმღერას ესოდენ მწარეს..“

პეშინს სრულიად შეგნებულად მჭუხარე საქართველოს სიმღერებზე აქვს ლაპარაკი და არა საქართველოს მწარე სიმღერებზე, როგორც შეცდომით ფიქრობს მთარგმნელი. შეიძლება ვეითხრან, რომ აქ ოდნავ შესაძინევი ნიუანსია დაშვებული, რომ აზრი თითქმის ერთი და იგივეაო, მაგრამ მოდით, ნუ გავუსწორებთ პეშინს, — მან, როგორც ცნობილია, შესანიშნავად იცოდა, როგორ და რა სიტყვებით გამოეხატა თავისი აზრები.

„კავკასიის ტყის“ შენიშვნაში გაპარულია აგრეთვე უსწორობა, რომელიც ამბინჯებს დედნის აზრს, რუსულად ვკითხვლობთ: Песни славят... смерть наших героев: Бакунина и Цицианова“..

ქართულად ნათარგმნია: „სიმღერები... ჭებას ასხამენ.. ჩვენი გმირების დაღუპვას: ბაქუნინს, ციციანოეს...“ (გვ. 143). ცხადია, უნდა იყოს ასე: „... ჩვენი გმირების — ბაქუნინისა, და ციციანოის დაღუპვას“.

თუ ამ რამდენიმე შენიშვნას არ მივუღებთ მხედველობაში, უნდა ითქვას, რომ კ. კვიციანიძის თარგმანები ამ კრებულში გამორჩევიან — ამგვინი მაღალი ღირსებით. დღიე ტექსტის შესახებ არცაა რაღაცეა რომინი არიან თარგმნილი მის მიერ პეშინის „მონასტერი შეინარჩუნე“, „ზეავი“, ნაწყვეტები „კავკასიის ტყვიდან“ და „ბალისარაის შადრევნიდან“.

პეშინის ლექსების კარგი თარგმანები აქვს გრ. ცეცხლაძეს, ერთის გამოკლებით. ეს არის ლექსი, რომელიც იწყება სტრიქონით: „Страшно и скучно...“ გრ. ცეცხლაძეს იგი მოუცია თავისუფალი თარგმანის სახით, რომელშიაც, ცხადია, დაცული არ არის ავტორის არც რიტმი, არც მეტრიული წყობა და თავისებურობა პოეტური სახეებისა. ვფიქრობთ, ასეთი თვითნებობა პეშინის ტექსტის მიმართ დაუშვებელია და კარგი იყო, რედაქტორს მიეცია ამისთვის სათანადო ყურადღება.

დავ. გაჩეილაძის თვალსაზრისით თარგმანებს ვეთვინიან ლერმონტოვის „ქართული სიმღერა“, „ხანჯალი“, პოემა „მწირი“ და სხვ. მის თარგმანებს შორის ვეველაზე სუსტად მაგვიანია ლერმონტოვის — „ღაეა“. აქ თარგმანში ჩვენ ვმოულობთ მთელ რიგ არასწორად გავებულ ადგილებს. ასე, მაგალითად, სტრიქონები:

Бедуни забыл наезды  
Для цветных шатров...

ღ. გაჩეილაძეს თარგმნილი აქვს შემდეგნაირად:

„ბედუინი ფერად კარავს  
ღღარ ესხმის თავზე...“

პოეტი ამბობს, რომ ბედუინმა თავი ანება თარგმნებს და არჩია ფერად კარავში მოსვენებით ცხოვრებაო. მთარგმნელი კი ფიქრობს, რომ ბედუინის თარგმნის მიზანი იყო (ალბათ მეტარგმნეთა) ფერად კარავებზე თავდასხმა, — რაც სწორად არ მაგვიანია.

ამავე ლექსის საუცხოო სტრიქონები:

Колыхаясь и сверкая,  
Двигутся полки,  
Влеут белые султаны,  
Как степной ковыль...

თარგმანი ასეა ვადმოცემული:

„ჩაზმნი ეღვით წამოვიდნენ,  
შეკრდებს მთარგმნედნენ,  
ვაცისწყურას ჯილა უვავთ,  
რომ ირხევა ქარში.“

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედ-  
მეტია.

კრებულში აქა-იქ ზვენი წაეწყდით მეორეხა-  
რისხოვან შეცდომებსაც. მაგალითად, როცა  
რუსი პოეტი ი. პოლონსკი თბილისელ აშულს  
უწოდებს „Сарай“-ს, ქართულმა მთარგმნელმა  
უნდა იცოდეს, რომ ეს არის სათარა, და არა  
სათარი (გვ. 277), ისევე უნდა ითქვას დიმილი-  
პიტო და არა ტიმპლიპიტო (გვ. 417), ვარციხე  
ან ვარდციხე და არა ვარდის-ციხე (გვ. 415) და  
სხვ. წიგნში გვხვდება კორექტურული შეცდო-  
მებიც, მაგალითად, გვ. 273 უნდა იყოს „შშო-  
ბელ მზარში“ და არა „შშრომელ მზარში“.

სარეცენზიო კრებულის თარგმანთა ყოველ-  
მხრივი განხილვა და შეფასება მოითხოვს სა-  
განგებო წერილს. ეს წიგნი კი ღირსია ისეთი  
განხილვის საგნად იქცეს. რეცენზიის ვიწრო  
ფარგლებს ვგაიძლევი ამჟამად რამდენიმე  
შენიშვნით დავეყუაროდე.

ზემოხსენებულ უსწორბათა მიუხედავად, სა-  
ჭიროა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნოს,  
რომ ქართულ საბჭოთა პოეტებსა და მწერ-  
ლებს, — ამ კრებულში მოთავსებულ ნაწარმოე-  
ვბთა მთავნელებს, — დამყაყოფილებლად  
უშუშენიათ, მონდომება არ დაუკლიათ, რომ  
ჩვენი მკითხველისათვის ღირსეული სახით მოე-  
წოდებინათ შესანიშნავი რუსი პოეტების ნაწარ-  
მოებმა.

კრებული „რუსი მწერლები საქართველოს  
შესახებ“ ძვირფას ხაზუქარს წარმოადგენს ზე-

ნი ქართველი საბჭოთა მკითხველისთვის, ეს  
წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია ზვენი კულ-  
ტურისათვის. იგი კიდევ უტყროს მტრულ-მე-  
ტრის ხელს ქართველი ხალხის ტანჯვასა და  
ზისა და მეგობრობის განმტკიცებას დიდ რუს  
ხალხთან, მისი სიყვარულისა და მადლობის  
გრძნობის გაღვივებას რუსული კულტურის  
ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ამ  
უკვლავი წარმომადგენლებისადმი, ვინც ცარიზ-  
მის შავნელ ეპოქაში, დიდმყრობლური შო-  
ვინიზმის მძვინვარების ხანაში, მგვობრული ზე-  
ლი გამოუწოდა ჩაგრულ ქვეყანას და მიუძღვნა  
მას წრფელი გრძნობებით გამთბარი პოეტური  
სიმღერა.

კრებული გამოცემულია ფაქიზად, დაბეჭე-  
ლია კარგ ქაღალდზე. წიგნს გააცოცხლებდა სა-  
თანადოდ შერჩეული სურათები, როგორც კრე-  
ბულში წარმოდგენილ მწერლებისა, ისე საქარ-  
თველოს პეიზაჟებისა, ყოფაცხოვრების, ტიპე-  
ბის და სხვ. შენამებულ ნაწარმოებთა შინაარ-  
სთან. ეტყობა, გამოცემლობა მორიდები-  
წიგნის გაქვირებას. მიუხედავად ამისა, კრებუ-  
ლი მაინც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. გე-  
მოცემლობა „საბჭოთა მწერალს“ გულმოდგინე  
შრომა გაუწევია წიგნის ტექნიკურად კარგი  
გამომშვებისათვის, რისთვისაც იგი მკითხველის  
მადლობას იმსახურებს.

ლევან ასათიანი

ალ. ჭუთათელი — „პირისპირ“ \*



ჩვენი ახლო თუ შორეული წარსულის მოე-  
ლენათა მხატვრული ასახვა მარქსისტულ-  
ლენინური თეატალიზაციით — საბჭოთა მწერ-  
ლის უაღრესად საბატიო და დიდმნიშვნელოვანი  
ამოცანაა. დიდი საბჭოთა ეპოქის რვეო-  
ლუციური იდეების თვალსაზრისით გამოქვეყნ-  
ული წარსულის თემაზე დაწერილი კარგი წიგ-  
ნი ისევე საყურადღებო და მისასალმებელი  
მოგვნაა, როგორც თანამედროვეობის ამსახ-  
ველი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები.  
სწორედ ამ მხრივ იმსახურებს ყურადღებას  
აღქმანდრე ჭუთათელს ვრცელი რომანი  
„პირისპირ“, რომელიც ხელახლა გამოიცა უკა-  
ნასკნელ ხანებში (1-ლი წიგნი — 1947 წელს,  
მე-2 — 1948 წ. მე-3 — 1949 წ.) ეს რომანი  
ეხება ჩვენი ახლო წარსულის ერთ-ერთ მეტად  
დაძაბულ, რთული და უმნიშვნელოვანესი ამ-  
ბებით აღსავსე პერიოდს — მენშევიკთა უზად-  
რეკი პატრონობის ხანას საქართველოში.  
ქართულ მენშევიკების ამომწურავი დაზა-

სიათება მოგვცა ამხ. ლ. ბერიამ თბილისის  
პარტაქტივის კრებაზე გაკეთებულ მოხსენებ-  
ში 1935 წ. 21 — 22 ივლისს: „ქართველი მენ-  
შევიკები ქართველი ხალხის ყველაზე საზიზ-  
ღარი მოვალეებები და გამცემლები არიან.  
ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გა-  
მარჯვების შემდეგ მათ მოხწყვიტეს საქარ-  
თველო რევოლუციურ რუსეთს. ისინი დიდ-  
კავშირდნენ ჯერ გერმანიის, ხოლო შემდეგ  
ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს და, დაშ-  
ნაყებთან და მესაეატელებთან ერთად, გადატ-  
ციეს ამიერ-კავკასია საბჭოთა რუსეთის წი-  
ნაღმზედ უტოპიის ინტერვენტებისა და ბერ-  
დასოხულ-თეთარგვარდიული კონტრ-რევოლუ-  
ციის პლანტარმად (მენშევიკების კავშირი დე-  
ნიკინთან, ალექსეევთან და სხვა თეთარგვარ-  
დიულ გენერლებთან საბჭოთა ხელისუფლების  
წინაღმდეგ საბრძოლველად).  
ქართველი მენშევიკები ქართველი გლეხო-  
ბის ინტერესების ყველაზე გათამხირებულ-





მოღალატენი არიან, ისინი იცვდნენ ქართულ თავადებსა და აზნაურებს გლეხთა რევოლუციური აღშფოთებისაგან; ისინი ანადგურებდნენ გლეხთა რევოლუციურ აჯანყებებს სამეგრელოში, გურიაში, ლეჩქუმში, კახეთში, სამხრეთ-ოსეთში, დეშეთისა და სხვა მხარეებში; ისინი იყვნენ სტალინის საიდგომებელი პოლიტიკის გამტარებელი.

„მენშევიკები ყველა რეპრესიული ძალების— აზნაურების, თავადების, სამღვდლოებისა და ბურჟუაზიის ხელისჩამდგმელი და დამარბმველი იყვნენ საქართველოს მშენა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მენშევიკური „დემოკრატია“ იყო ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული წყობილების ხსნის უკანასკნელი ნაბიჯი“.

„მენშევიკები იყვნენ მხეცური ნაციონალ-შოენიზმისა და ერთმეორის წინააღმდეგ ამერკავასიის ხალხთა წასისიანების პოლიტიკის ორგანიზატორები“ (ლ. ბერიძე, ამირ-კეკელიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, 1945 წ. გვ. 286—287).

სწორედ ხალხს ამ საზიზღარმა მოღალატეებმა და გამცემებმა ჩაიგდეს ხელში ძალადგლება თებერვლის რევოლუციის შემდეგ და შესძლეს საქართველო საკმაო ხნით მოეწყვიტათ რევოლუციური რუსეთისაგან და ქართველი ხალხის სერვილის წინააღმდეგ დასავლეთ-ევროპის იმპერიალიზმის სათარგმნო მოედნად ექციათ იგი. მხოლოდ საბჭოთა რუსეთის დახმარებით ქართველი ხალხის რევოლუციურმა აჯანყებამ 1921 წლის თებერვალში იხსნა საქართველო ევროპულ იმპერიალისტთა კოლონიად გადაქცივისაგან და მისცა მას ჩვენი ქვეყნის ხალხთა მტერი ოჯახში აყვავებისა და სრული განუთავრების შესაძლებლობა.

საქართველოში მენშევიკთა ბატონობის პერიოდი მტრად რთული მოვლენების შემცველია და მისი სათანადო მხატვრული ასახვა შეუძლებელია დიდ უნარსა და გამოცდილებას მოითხოვს. აღ. ქუთათელის, როგორც მხატვრის, გამარჯვება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან შესწოლი დაქაჯა თავის რომანში მენშევიკური საქართველოს რელიეფური და მხატვრულად სწორი სურათი.

რომანში აღწერილია მშრომელი ხალხის ხელისკეობა, ცარიზმის დამხობით გამოწვეული სიზარელი. მრავალრიცხოვანი მიტინგები და დემონსტრაციები, ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა განწყობილება, მთავრობის სრული უნიათობა და მის შესვერთა ოპორტუნისტული ბუნება. ავტორი მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენებს, რომ თებერვლის ბერ-  
12. „მშათობი“, № 1.

ქვემოთ რევოლუციის არაფერი შეტყობია მშრომელი ხალხისათვის; ხელისუფლების სათავეში მოქცეული წერილობითი მხატვრები საზოგადოებრივი ცხოვრების წესებს გარდაქმნას არ ცდილობდნენ, „თებერვლის რევოლუციის მერმე ამერკავასიაში, ნაციონალურ ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატის ლიდერების წყალობით, მეფის რუსეთის ხელისუფლების მთელი აპარატი ხელუხლებელი დარჩა“; ძველ გორილოვებს მხოლოდ ტრასაცმელი გამოეცვალეს და „ქალაქის ახალი მილიცია“ უწოდეს, მეთისნაცვლი თავის სრულად დაბრუნდებოდა სასახლეში, ხოლო შემდეგ საშუალება მიეცა რუსეთს გამგზავრებულყო; დროებითი მთავრობის წინაშე ფიცის დასაღებად გამოსულ ჯარს, რომელიც ხანგრძლივი ომით იყო მოქანცული, რევოლუციონერთა ნიღაბს ამოფარებულ კადეტები კვლავ ომის ვაგრძელებისა და „სამშობლოს დაცვისაგან“ მოუწოდებდნენ. მაგრამ ჯარისკაცებს აღარ სურთ ომი, ისინი ბოლშევიკური ავტიციის შედეგად უარს ამბობენ კვლავ ფრონტზე წასვლაზე. მენშევიკური მთავრობით ვინაირადებას აბდემს და ათასგვარ ეროვნულ კორპუსებსა და გვარდიას აყალიბებს, სადაც ხელმძღვანელ პოსტებს ყოფილი მეფის ფიციტები იჭერენ.

რომანში დამაჯერებლადაა ნაჩვენები ის საგალო შედეგები, რაც მოჰყვა მენშევიკების ბატონობას საქართველოში: ნაციონალური შუღლის გამწვავება და ამერკავასიის სხვადასხვა ეროვნებათა სისხლისმღვრელი შეტაკებანი, რევოლუციური ჯარისკაცთა ხოცვა-კლავა შამქრში, ნაძირალათა ბრბოების თარეში და მსარეველობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, დამარცხებანი ფრონტზე და მტრების მიერ საქართველოს საშრეთ რაიონების დამყრობა. ჯარ გერმანულ, ხოლო შემდეგ ინგლისელ იმპერიალისტთა თავაშეხებელი პარკაში საქართველოს მიწაყალიბე.

რომანის ფერცლებაზე მკითხველი ენობა ბოლშევიკების თავადებულ ბრბოლასაც: ბოლშევიკურ ავტიციას ჯარის ნაწილებში, მოქმედებას ამერკავასიის ხალხთა შორის გლეხებელი შუღლის მოსასპობად, მიტინგებს, შეიარაღებული აჯანყებისათვის შზადებას, რასაც მენშევიკური „დემოკრატული“ მთავრობა სასტიკი რეპრესიებით უქანებებს; ახდენს ბოლშევიკურად განწყობულ ჯარის ნაწილების ვინაირადებას, აპატიმრებს ბოლშევიკებს, არბევს და ხერკავს ბოლშევიკურ გაზეთებს, ტყვიით უქანინძლდება საპროტესტო მიტინგებს და სხვ. ხიყვარულითა ჰყავს ავტორს დახატული შეგნებელი, მებრბოლი ბოლშევიკების

სახეები: ეანო მახათაძე, გიორგი ნატროშვილი, სერგო ქავთარაძე, ვალაქტიონ ვალაშვილი და სხვანი.

მაგრამ რომანის ცენტრში არ არის მოქცეული ჩამოყალიბებულ რევოლუციონერ მებრძოლთა ცხოვრება, არამედ იგი შედარებით უკანა პლანზეა გადაწეული, ხოლო რომანის ცენტრში მოქცეულია ახალგაზრდა ინტელიგენტ კორნელი მხეიძის ცხოვრების ისტორია. რომანის სუბეტური კომპონიციის ძირითად საყრდენს სწორედ კორნელი მხეიძის ცხოვრება წარმოადგენს. აქტორი საინტერესო დამატებითელ კვანძებს ქმნის თავის გმირის ვარშემო და მათი განვითარების პროცესში ასახავს იმ სოციალურ ძვრებსა და ღრმა ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მენშევიკურ საქართველოში.

კორნელი მხეიძემ სწორედ იმ წელს დაამთავრა გიმნაზია, როცა რევოლუციური რუსეთში ახალი ეპოქა დაიწყო. დიდმნიშვნელოვანმა ამბებმა აიძულა უმაღლესი განათლების მიღებაზე შეეცადათ ჰებუტი — უარყოფითად შეფასებინა განვლილი გზა, რადგან იგი მოწყვეტილი ილმონდა ხალხის ცხოვრებისაგან. კორნელი ცდილობს ამ ნაკლის გამოსწორებას, საზოგადოებრივ მოვლენებში ვარკვევას, მაგრამ წერილობრივადი ბუნების ჰებუტი აძლიერდა და მალე სტუდენტის ფორმის ნაცვლად ჯარისკაცის მახარას იცვამს, მალე ახალგაზრდობიერი ჯარისკაცი — არტილერიისტი კორნელი მხეიძე ახალციხე-ახალქალაქის ფრონტზე ამოყოფს თავს და თურქების წინააღმდეგ ბრძოლებში იღებს მონაწილეობას. აქ შეიტყობს იგი საქართველოს „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებას ქართველი ნაციონალისტების მიერ. მაგრამ კორნელი სულ მალე მიხედება ამ ყალბი „დამოუკიდებლობის“ ფასს, როცა ახალციხე-ახალქალაქის მახარას თურქები დაიკავებენ. ზოლო საქართველოს მიწაწაღებულ გერმანელები დაიწყებენ პარაზის. მალე ამის შემდეგ კორნელი ნახავს, თუ როგორ შესცვლიან გერმანელებს ინგლისელები და როგორ მლიქვნელურად იმანჭებიან მათ წინაშე მენშევიკური მთავრობის პამშულა შეხვედრები. ვულცრებულ ჯარისკაცი შეეხედებათ მიდის მშობლიურ სოფელში, სადაც მას სტუმრად ჩამოსული სატრფო და მისი მშობლები ელოდებიან.

თუ რომანის პირველ წიგნში ნაწარმოების მთავარ გმირს, კორნელი მხეიძეს, თბილისში ან ფრონტზე ვხვდებით და ამის შესაბამისად აღწერილია პროცესები, რომლებსაც ავტორი კვლავ უბრუნდება მესამე წიგნში, — მეორე

წიგნი მთლიანად ეხება მენშევიკების კორნელი სოფელს. სოფელში ჩასული კორნელი ხედავს საშინელ გაპირებებს, მენშევიკები მოხუც გლეხებს, რომელთაც მსგავსი მსაქმე ტყავი იქით ვადამქარალო, მაგრამ საჩირო სენდელი კი მაინც ვერ მოუყვანიათ და იძულებული არიან ლუკა-პურის საშოვნელად სხვა რაიონებს მიაშურონ. ამავე დროს კი სოფლის შექმნებული მიწათმფლობელი — კორნელის დედა ტრეზა, ბიძა ოტია მდივანი და სხვანი ფუფუნებითა და განცხრობით ცხოვრობენ. ყოველდღიურად ქვიფობენ და დროს ატარებენ აგრეთვე მენშევიკების ბატონობის წლებში ცხოვრების ზედამირზე წამოტიტრებული ნაძირალები და საეჭუო პროფესიის ადამიანები, მთავრობის მოხელენი, სპეკულანტები. სოფელში თანდათან ბრუნდებიან იმპერიალისტურ იმში ნაშუაფი ჯარისკაცები. ფრონტზე ზოლშევიკურ ავიტაციას გარდაუქმნია ჯარისკაცის ფარაჯში გადაცმული გლეხების შეგნება და სოფელში დაბრუნებისას ისინი ცდილობენ გლეხობაში რევოლუციური სულისკვეთების გაღვივებას, აგრარული რევოლუციის მოხდენას. მწერალს მხედრობიდან არ გამოუტოვებია ის ფაქტი, რომ ამ რევოლუციური ნაწილის გარდა, გლეხობაში იყო მეორე ნაწილიც, რომელსაც არ სწამდა თავისი ძალა და მთავრობის დაპირებებსა და „კეთილ“ მებატონეთა მოწყალეობაზე მყარებდა იმედს: „ამ გაპირებულ ცხოვრებას ჩვენ ვინ შეგაცვალავინებს? ბატონებობას ჩვენ ვინ ვადავალებდით, რუს ზელშიფეს რომ არ მოესურვებია? ენახოთ: იქნებ მთავრობამ მართლა ჩამოართვის მემამულეებს ნორმაზე მეტი მიწები და ჩვენ ვაღმოვცევსო“ — ასე მსაჯლობენ ისინი.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ აღ. ქუთათული შესანიშნავად იცნობს იმერეთის სოფელს, ზნე-ჩვეულებებს, ბუნებას, ადამიანებს და რამდენიმე დამახასიათებელი შტრიხით ახერხებს მათ გაცოცხლებას მკითხველის თვალწინ. შესანიშნავად არის, მაგალითად, დახატული ოთხმოცი წლის მოხუცი გლეხი ვოჯასიძე, რომელიც ვაუტახელი, შრომისმოყვარე ქართველი გლეხის განზოგადოებული სახე-მკითხველის მესხიარებაში რჩება აგრეთვე გლეხების — ჯაჯან მენჯავიძის, ივლის, აიკოს, ხალხის მოამაფე ონას, თავად ოტია მდივანის, მისი დის—ტრეზას და სხვათა სახეები. ავტორს ვერ მოუწონებთ თოლდე ტურია-შვილის სახის, რომელიც იუმორისტული ფერებოთა დახატული. საერთოდ, მსუბუქ იუმორულ ტონს აღ. ქუთათული ხშირად მიმართავს, რაც კიდევ უფრო იმპონიბელს ხდის მის რომანს, მაგრამ ასოცი წლის მოხუცის სახეს, უფერობით, იგი არ შეშენის.



ავტორს საინტერესოდ აქვს აღწერილი სოციალური ძვრები სოფელში. — გლეხობის შეიარაღებული აჯანყება ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების ხელმძღვანელობით. ეს აჯანყება მენშევიური მთავრობის დამხობის მომასწავებელია, თუმცა იგი გლეხთა მარცხით მთავრდება: მენშევიური სახალხო გვარდია გერმანული თვითმფრინავების დახმარებით ახერხებს გლეხთა რაზმების დამარცხებას და ახრბებს აჯანყებულ სოფლებს. სხვათა შორის, ვარდიელთა მსხვერპლი ხდება ოთხმოცო წლის მოზცი გლეხი გოჯისპირიცი, აჯანყების ერთერთი მეთაურის — ჯარისკაც გაღმტვიონ ველაშვილის მამა. მისი სიყვლილი წარუხოცელ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს კორნელი მზვიძეზე და ერთხელ კიდევ არწმუნებს მას, რომ მენშევიეთა ბატონობას ხალხის სიყვითის ნაცვლად სიყვდილს და განადღურება მოსდევს. ოცდართი წლის ახალგაზრდის გამჭირახი გონება ღრმად უყვირდება საზოგადოებრივ მოვლენებს, ჰაბუკი კრიტიკული თვალთ უცქერის თავის ძველ წვრილბურჯაზიულ შეხედულებებს და მათ ნაცვლად ახალი ცხოვრების ქეშპარტ ამანს ითვისებს.

რომანის მესამე წიგნში კორნელი მზვიძეს კვლავ თბილისში ვხვდავთ. აქ იგი ცხოვრების უშუალო შთაბეჭდილებებით წერს რამდენიმე მოთხრობას და უახლოვდება მწერალთა ერთ დეკადენტურ ჯგუფს. დეკადირებული ბურჟუაზიის სამსახურში ჩაშვგარი ლიტერატურა დაკინების გზაზე დგას, იგი ზეგობრივი გახრწნილების გამოშვატეულია და მიმდევარი ლოზუნგისა — „ხელოვნება ხელოვნებისათვის!“ კორნელიმ ვერაფერი გამონახა საერთო ამ მწერლებთან, რომლებსაც, ცხადია, არ მოეწონებოდათ გლეხთა რვეოლუციური აჯანყების თვამზე დაწერილი კორნელის მოთხრობა „გოჯისპირი“. მაგრამ სამაგიეროდ, ამ მოთხრობამ გზა გაიკაფა ფართო მკითხველისაკენ ბოლშევიკური პრესის საშუალებით. ბოლშევიკური ჟურნალის ფურცლებზე მოთხრობის დაბეჭდვამ კიდევ უფრო გაამწვავა კორნელის ურთიერთობა საკუთარი კლასის წარმომადგენლებთან და სატრფოსთან განშორების ძირითადი მიზეზიც გახდა. სამაგიეროდ, კორნელი თანდათან უახლოვდება მშრომელი ხალხის კეთილდღეო-

ბისათვის მებრძოლ ადამიანებს. ასე თანდათანობით იზრდება მკითხველის თვალში კორნელი მზვიძე პატრემოყვარე (სტრინბერგის) კაბუციდან მვენებულ მებრძოლ მწერალად. მას კერძო კიდევ არა აქვს საბოლოოდ გაწყვეტილი კავშირი თავის წვრილ-ბურჟუაზიულ წარსულთან, იგრძნობა, რომ რომანის უკანასკნელ წიგნში კორნელი თავის ბედს საშუალოდ დაუკავშირებს მშრომელთა კეთილდღეობის საქმეს. ნაწარმოების გმირის ამ გარდაქმნისა და ჩამოყალიბების რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა რომანში დამაჯერებლად არის ნახევრები, ამიტომ იხვავს კორნელი მზვიძე თანდათანობით მკითხველის სიმპათიას და ავტორის გამარჯვებაც ამასი მდგომარეობს.

ნაწარმოები ბუნებრივი და ძარღვიანი ქართული ენითაა დაწერილი, ამიტომ იგი თავიდან ბოლომდე ძალდაუტანებლად და საიპონებით იკითხება. ავტორის ეტყობა, რომ საფუძვლიანად იცნობს ხალხის მეტყველებას და საკმაო სიტყვიერი მარაგი გააჩნია. ნაწარმოების გმირებია — ინტელიგენტებიც, მუშებიც და გლეხებიც — ლიტერატურულად გამართული ენით მებტველებენ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ იშვიათ გამონაკლისს). მიუხედავად ამისა, მწერალი სტროლსა და ლესიკის საშუალებით მიანც ახერხებს საკუთიერობა შეუნარჩუნოს ყოველი გმირის მებტველებას. ეს გზა, ცხადია, ვაცილებით უფრო სწორი და ეფექტურიც არის.

იღ. ქეთათელის სტილი ნათელი და დაბეწვილია, მთელს რომანში თითქმის არსად გვხვდება ბორკლიანი და ბუნდოვანი გამოთქმები, ოღონდ უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი: მწერალი ხშირად იმეორებს ბოლშე თაყისი გმირის დასაბასიათებლად ერთხელეე აკვიატებულ ფრაზას და იგი ბოლოსდაბოლოს მოხაბეზრებელი ხდება.

რომანი „პირისპირ“ უკანასკნელ ხანებში მეორედ გამოიცა. აღსანიშნავია, რომ ავტორის სერიოზულად უმეშენია რომანის ახალ გამოცემასედაც და უფრო დაუბეწვიავს იგი. რომანი „პირისპირ“ ქართული საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ზურაბ ჭავჭავაძე

გიორგი ლეონიძე — „ქიზასანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, მე-17“

80-18 ს. ს., ტომი 1-ლი, 1940 წ.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

★

გიორგი ლეონიძე ძველი ქართული საერო ლიტერატურის კვლევის დარგში ყარგა ხანია ნაკოფიერად მუშაობს. მის კალამს ვეუფენის რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომლებიც ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს ახლებურად და თავისებურად ამუშვენს.

„ქიზასანი“ არ წარმოადგენს მე-17 — 18 საუკუნეთა ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემატურ კურსს, მაგრამ მას გარკვეული წვლილი შეაქვს ამ ისტორიაში და საინტერესო მასალებს და მოსაზრებებს შეიცავს აღნიშნული ეპოქის მწერალთა ბიოგრაფიებისა და შემოქმედების გასათვალისწინებლად.

პოეტ-მკვლევარს განსაკუთრებული სიყვარულით და მონღღობით უმუშაუნია იოსებ ტფილელის, სულხან-საბა ორბელიანისა და ბესიკის ბიოგრაფიათა დასახვსტებლად.

უთუოდ ანგარიშგასაწევი და დამაკვირვებელია ბესიკის ცხოვრების ერთი ტრაგიკული ეპიზოდის გარკვევა. გ. ლეონიძეს დასახვლებული აქვს საკმაო საბუთები, რომელთა მიხედვით ირკვევა, ბესარიონ გაბაშვილის ტრფობის საგანი ყოფილა შაია — ქსნის ერისთავის ვიორგის ასული, მეუღლე — ვარკლეს დისწულის — მამუკა ორბელიანისა და ამდენად, ვარკლეს სასახლის წევრი და მეფის ოჯახის ახლომგელი პირი. შაია დაქვრივდა 1770 წელს. მისი ასული ანა ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფეს — დავით მეორეს. ეს ანა დედოფალი მეკლდეარებს ბესიკის მიჯნურად მიაჩნდათ, რასაც გ. ლეონიძე არ იზიარებს. შაიასთან გამკლდეარებული მიჯნურობის მსხვერპლი შექნა ბესიკი. ვანრისხებულმა ვარკლემ მეორემ ის თბილისიდან გააძევა. ასე აქვს საქმის ეთაბრება წარმოდგენილი ვერორს.

მაგრამ მარტოდენ ეს რომანი არ უნდა მიგვეჩნია ბესიკის ვაძევენის მიხეზად. ამისათვის ნიდაფე, აღნათ, სასახლესში ადრევე მზადდებოდა. სამართლიანად მიგვაჩნია ამ შირივ ავად. ვ. კეკელიძის მოსაზრება, რომ „ბესიკის იმერეთში გადასახლება მოწყობილი იყო უმთავრესად ანტონ კათალიკოსის მიერ, რომელიც, როგორც ცნობილია, მტრულად იყო განწყობილი პოეტის მიმის ზაქარიას მიმართ“. (ქართული ლიტერატორია“, ტ. მე-2, გვ. 613).

ამგვარად პოეტის ვაძევენა შედეგი იყო არა იმდენად იმ ვარემოებისა, რომ „ვარკლემ შეკცრა ზნეობის აღამიხის იყო და სასტიკ მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა მთელი სასახლე“ (გ. ლეონიძე), არამედ ზაქარია ვაბაშვილისა და მის თანამოაზრეთა წინააღმდეგ ბრძოლისაც. პოეტის ვამკლდეარებული მიჯნურობა უმთავრე-

სად მისი ვანდვენის საზაბად უნდა მივიჩნიოთ: და არა მიხეზად.

საკითხი მაინც, თუ ვინ იყო ის ანა, რომელიც მოხსენებელია ლექსში „დედოფალს ანაზად“ ვარკლეველი რჩება. თუ ვრკლემ მეორის სასახლიდან ბესიკის ვაძევენის საზაბი შაია ერისთავთან მიჯნურობა იყო, რაც გ. ლეონიძეს დამაკვირვებლად აქვს დამახუთებელი, მაშინ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ისიც რომ ბესიკს ჰყვარებია სხვა ქალიც — ანა დედოფლის სახელით ცნობილი.

გ. ლეონიძე წერს: „ამიერიდან უკვე შეუძლებელი ხდება ლამარაკი ანას რომანზე ბესიკთან. სხვანაირად ანომალიასთან გვექნება საქმე. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რომ ანა დედოფლის დედა-შაიაა. ისიც ვასაგები ხდება თუ რა მოტივით უნდა მიეძღვნა სხენებელი ლექსი ბესიკს თავის სატრფოს ქალიშვილისადმი თუ ამ ლექსში მართლაც ანა დედოფალი-ორბელიანის ქალი — ივრდისხმებას. საყვრადღებოთა ივრთვე-ამ ლექსის შემდეგი ადგილი:

შემოა ხელი,  
იონი სახელი  
მისმან ვუჩამან ჰაწაწინამან.

შესაძლოა, აქ ლამარაკი იყოს ჰაწაწა ანაზე. რომელიც მისი „ვერანია“, ვ. ი. მეფანი დედის-შაიას თაყვის მშვენიერებით, ჩვენი დავიარევი-შით, ნაწარმოები „დედოფალს ანაზად“ უნდა შედგებოდეს ორი სხვადასხვა დროის დამწერილი ლექსისაგან. პირველი ლექსი უნდა შეიცავდეს 1 — 5 სტროფს და, ჩვენის ფიქრით, დამწერილი უნდა იყოს ანას ახალგაზრდობაში, სატრფოს ქალიშვილზე მეკობრულ-საალურსოდ.

ლექსის მეორე ნაწილი, უკეთ, მეორე ლექსით ნათვამი უნდა იყოს ანას დედოფლობისას. (ქიზასანი“, გვ. 244).

მეკლდეარის მოსაზრება ამ ლექსის ორ ნაწილად ვაყოფისა და შაია სხვადასხვა დროს დამწერის შესახებ ეყრიტიკოდაც რომ მივიღოთ, მაინც დაუყვარებელია, რომ ის „მეკობრულ-საალურსო“ მიხნით იყოს დამწერილი.

ლექსში ძალიან ცხადად არის ნათვამი:

ცნობა მიშოლ და გული  
ხედვით შემზღვდა ანამან;  
კვლევ მოქლა მისმან ცილმან  
და წელთა მიმოტანამან,  
ყოყობსა ვარდსა ნარგიშმან  
ამკურა ცკამლი, ანამა.



ჯობს, რომ არ შეადგეს მიჯნერი  
ან მოკლას ამისთანა მან.

განა აქ შეიძლება იმის უარუფა, რომ გა-  
მიჯნურებული ბესიკი თავის სატრფოს არ მი-  
პართავს?

ან როგორ უნდა გავივით:

მიმილო ცნობა  
არ ძალშიან მკობა —  
ჩემმან ხელშეწემლან, ლამაზმან ამან!

პოეტი აქ ძალიან გარკვევით ამბობს, რომ  
ჩემმა გამოცეცებულმა „ღამაზმან ამან“, (რომელ-  
შიც ზმერად სახელი „ანა“ იკითხება) ცნობა,  
ვინება დამაყარგენით. არა გვგონია ეს „მეგობ-  
რული“ გრძნობით იყოს გამოწვეული.

აქ გამიჯნურებული პოეტი ლამაზაობს!

იმ დედოფალთან ბესიკის ურთიერთობის სა-  
კითხი კვლავ შესწავლას მოითხოვს.

ბ. ტფილელის „დღემორავიანის“ გარჩევი-  
ნას ავტორი წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ ქარ-  
თველ ხალხურ პოეზიაში, დღემდე გამოქვეყნე-  
ბულა და შეგროვილ ლექსებში, არსად არ ჩანს  
კიორჯი სააკაის სახელი, დიდი მორტივის გმი-  
რობის შესახებ არავითარ ძველ ლექსს ჩვენამ-  
ვის არ მოუღწევია. ხანგრძლივი მუშაობის  
შემდეგ, მე მხოლოდ 1935 წელს ზელთ ჩამი-  
ვარდა ჯერ ერთი ფრაგმენტი და შემდეგ ორი  
ლექსი. ორი უკანასკნელი ჩაწერილია ზევში,  
იფ. ჯუთიაში, შოთა თათარაშვილის მიერ. სა-  
ხელი ლექსი იდეოლოგიური არსით და გიორგი  
სააკაის პიროვნების შეფასებულ ხალხის მიერ  
ჭეტად საყურადღებოა“. (გვ. 4) „ორივე ლექსი  
ჩე-19 საუკუნის დასაწყისს უნდა მივაკუთვნოთ.  
პოეტი წინააღმდეგობა აშკარაა, ა. ფტრცე-  
ლასის მონოგრაფიის გაცენით“ (გვ. 5). ანტ-  
ფტრცელასის საფუძვლიანი გამოკვლევა „პრიო-  
ლა საქართველოს მონასპობად და საქართვე-  
ლოს სწავრთებლად, ანუ გიორგი სააკაი და  
მისი დრო“ პირველად გამოქვეყნდა 1892 წელს,  
ხოლო მეორე გამოცემა გამოვიდა 1911 წელს.  
ასე, რომ მე-19 საუკუნის უკანასკნელ ათე-  
ულში გამოსული წიგნი ზელს ვერ შეუწყობდა  
ვერც მე-19 საუკუნის დასაწყისსა და ვერც  
მე-19 საუკუნის შეაწილებში ხალხური ლექსების  
წარმოშობას, ვნებათ. ვერც მე-20 საუკუნის  
დასაწყისში, რანაირ ფართოდაც არ უნდა გავი-  
ვით ეს „დასაწყისი“. გიორჯი ლეონიძეს სა-  
ფუძვლიანად აქვს გამოჩვეული საკითხი „დღე-  
მორავიანის“—თავების დასათავრების შესახებ.  
„დასათავრები ავტორს იხსნებ ტფილელს არ ჰყო-  
ვნებია. ეს მომენტი მით არის საყურადღებო,  
რომ დღემორავიანის ცალკეული თავების სა-  
თავრებს დღემდე ტფილელისათვის მიუკუთვნე-

ბულს ემყარებოდნენ, როგორც ტფილელის  
სარწმუნო ისტორიულ ცნობებს გიორჯი სააკაი-  
ზე და მით შეუდობაში შედარებით (გვ. 41).

მეცლევარის აზრით: „დღემორავიანის“ და-  
წერა მღვდელმთავრის მიერ იმავე დროს,  
დღემორავიანის ფაქტია მკვლევარი მწერ-  
ლობის დაქვეითებისა და საერო მწერლობის  
აღორძინებისა, რასაც ადგილი ჰქონდა ისტო-  
რიულად მე-17 საუკუნეში“ (გვ. 49).

„მღვდელმთავრობა“ ამ შემთხვევაში არ გა-  
მოდგება არც სასულიერო მწერლობის დაქვეი-  
ებისა და არც საერო მწერლობის აყვავე-  
ბის შანსებულად.

საქმე არჩილ მეფის მიერ თეოლოგიულ დას-  
ბუთებული, თავისებური რელიგიური მიმარ-  
თულების განმტკიცებაშია. ისტორიულ თემებს  
ჩვენი მწერლები მიმართავენ იმდენად, რამ-  
დენადაც ისინი ზელს უწყობდნენ საქართველო-  
მთლიანობის აღდგენას და ხალხში გმირული  
სულის გაღვივებას.

ძალიან ზნობად საერო თემაზე დაწერილი  
ნაწარმოების გმირთა მოქმედება რელიგიური  
გრძნობითაა მოტივირებული. ამ მონაზრებას  
თავითონ მეცლევარიც ადასტურებს: „პოემაში  
(„დღემორავიანის“) მკვლავ შესამჩნევია კლე-  
რიკალურ-ეკლესიური შორალის ბრძანებულება.  
ავტორის (ბ. ტფილელის) მიერ დახატული გი-  
ორჯი სააკაე კვშიარტი მორწმუნე ქრისტიან-  
ია, რელიგიურ ფანატიზმად შეწყენილი ადა-  
შიანია. ავტორი — მღვდელმთავარი, აშკარად  
თავს ახვევს პოემის გმირს საყუთარს, კლერიკა-  
ლურს მსოფლმხედველობას. ამიტომ პოემის  
გმირიც — გიორჯი სააკაე დიდი ქრისტიანულ-  
სათნოებით არის აღჭურვილი“. (გვ. 49 — 50).

„თემაის“ პირველ ტომში მოთავსებულია  
ავტორის გამოკვლევა სულხან-საბა ორბელი-  
ანის შესახებ. ნაშრომში დიდი სიყვარულითაა  
წარმოდგენილი ქართული ეპლტერის ამ უდი-  
დესი მოღვაწის სახე. ყარაღაა გარკვეული  
სულხან ორბელიანის ლიტერატურული და დი-  
ლომატიური მოღვაწეობა, რომელიც მილიანად  
სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობას და გაძლიე-  
რებას ემსახურებოდა.

ავტორი სხეცაილურად ეხება სულხან-საბა  
ორბელიანის ცხოვრების ტრაგიკულ ეპიზოდს —  
ვახტანგ მეექვსესთან განხეობილებას და წერს:  
„ფეოდალური ოპოზიციისა და ვახტანგის სუსტი  
ხასიათის წყალობით საბასაც დაუდგა კატასტრო-  
ფული მომენტი. ვახტანგის კარზე სრულიად  
მოულოდნელად ზდება უცნაური იშბავი: შეფე  
და საბა ერთმანეთს შორდებიან... ჩვენის აზრით  
საბას განდევნის მიზეზი უნდა ყოფილიყო მისი  
ზედშეტი ერთგულება კათოლიკობისადმი, კანო-  
ნიკალია ამ აღმსარებლობისა, რასაც ზედ უნდა  
ღართოდა საერთო უკმაყოფილება მისი უშედე-  
გო ელჩობით ევროპაში.

საბას იზოლაციის მომხრენი უნდა ყოფილიყო ოპოზიციური ფეოდალური ჯგუფი, რომელთაც მეთაურობდნენ: ბატონიშვილი იასე (შემდეგში მეფეს), ბატონიშვილი სვიმონ და კათალიკოსი დომენტი... არაჩვეულებრივი უმაღურება გამოიჩინა თვით ახალგაზრდა ბაქარმა" (გვ. 101 — 103).

ასევე ხსნიან ამ ფაქტს სხვა მკვლევარებიც. პროფ. ალ. ზაზანიშვილის სიტყვით: „მეფე იასემ საბას დაუწყო დევნა გეოლოგიების გამო“. ხოლო აკად. კ. კვეციანი წერს: „საბამ 1716 წლის ივლისში, სამშობლომდე მიაღწია, საქართველოში მან მოიკვანა კათოლიკე მისიონერები, რითაც ძალზე განარისხა როგორც მეფე, ისე ოფიციალური ეკლესიის წარმომადგენელი" (ქართული ლიტერატ. ისტორია", მე-2, გვ. 428). ასეთივე შეხედულებისაა პროფ. ალ. ბარამიძეც: „საბა სამშობლოში დაბრუნებულა ზოფა-არტანუჯის გზით 1716 წლის ივლისის თვეში. მაგრამ მშობლიური ქვეყანა მტრად დახვდომია მრავალტარჯულ მოგზავრს. ქართულ ორტოდოქსალურ — კლერიკალურ ეკლესიას საბა თითქოს შეუტყუებელია ვიდრე კათოლიკობაში გადასვლისა და კათოლიკე პატრების მოყვანის გამო... კლერიკალების ინტრიგებს ახეოლია მეფე იესე... ს. ს. (ე. ი. საბას) სიკიცხლე მოეწამლა მხოლოდ ვახტანგის უმადურობამ". (ნარკვევები", მე-2, 1940 წ. გვ. 252). ხოლო ვრ. ბარამიძისა და ვ. ჯაკობიას „ქართული ლიტერატურის მე-9 კლასის სახელმძღვანელოში" ვკითხულობთ: „სამშობლოში მას (ე. ი. სულხან-საბა ორბელიანს) დიდი შინაური აშლილობა დახედა, თანაც გაუგებარი უნდობლობით შეხედნენ, შეტყუეს სულხანი მთლიანად იქნა აღიარებული და, როგორც ასეთი, სასახლიდან განდევნილი" (1947 წ. გვ. 181).

საერთოდ, მკვლევარები არ აზუსტებენ, თუ ვისი სასახლიდან იქნა განდევნილი საბა, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ სულ სხვადასხვა იესეს მეფის (ილიუფლიანის) სასახლე (1714 — 1716 წ.წ.), ბაქარის სასახლე (1716 — 1719 წ.წ.) და ვახტანგ მეექვსის სასახლე (1719 — 1724 წ.წ.).

ბაქარი, რომელმაც 1716 წლის შემოდგომაზე დაიგვა ტახტი, მართალია თავის მამას ვახტანგს ეკლიდა და მისი პოლიტიკური ბაზის გამტარებელი იყო, მაგრამ ის მოქმედებდა არა დამოუკიდებლად, არამედ მრჩვეულა მითითებებით. ამ „მრჩეველთა" შორის, რასაკვირველია, ბევრი იქნებოდნენ ასეთნი, რომლებიც ვახტანგის ერთგულად ახლებდნენ თავს და სინამდვილეში კი — ინტრიგის ქსელს ახამდნენ სამეფო კარზე. საბა ჩამოშორდა არა ვახტანგის სასახლეს, არამედ ბაქარისას.

ერთგვარისწინებით რა ყოველივე ამას, ჩვენ სწორად არ მიგვახსნია ის აზრსა, რომლის მიხედ-

ვითაც საბას და ვახტანგს შორის განხილვების მიზეზი, თითქოს, საბას „კათოლიკობა" თნდაც „მეტისმეტე კათოლიკობა" უნდა იყოს. უმადურობა მოგზავრობა ყოფილყოფილიყო.

მართლაც, საქმის ვითარება ასეთია. 1712 წელს ვახტანგი ირანში გაიწვიეს და ორი წლის განმავლობაში „თავსაზღვნი" მამამლიანობის მიღებას, რაზეც მეფე კატეგორიულ უარს აცხადებდა. 1714 წელს ირანის მთავრობა რაი დარწმუნდა, რომ ვახტანგის მოდრეკა არ ხერხდებოდა, ის პატივადილი, ნახვარად პატიმრობაში ქირმანს გაგზავნა, ხოლო ქართლის ტახტი ვახტანგის ძმას მამამლიანებულ იესეს გადაეცა.

ვახტანგის დაეალებით 1713 წელს მისი ერთგული გამხრდელი სულხან-საბა ორბელიანი ვეროაში ფართლად გაგზავნა დახმარების მოსაპოვებლად. 1716 წლის ივლისში საბა სამშობლოში დაბრუნდა.

თუ რა ხდებოდა ქართლში, საბამ კარგად იცოდა, იცოდა ვახტანგ მეექვსემაც. მაგრამ არ უნდა ეთქვიროთ, თითქოს, ვახტანგისა და საბას პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა, მათ შორის მამამლიანებულმა იესემაც, არ იცოდნენ თუ როგორი გზით და რა საშუალებით ცდილობდნენ ვახტანგი და მისი მომხრენი ქართლის ტახტის დაბრუნებას.

უამკველია, იესეს არაფრად ესაიმივნებოდა სამეფო ვიარკვერის ვახტანგისათვის გადაცემა როგორც ჩანს, ის ძალიან ექტურად ცდილობდა მისი ძმის თუ მთლიანად დაღუპვას არა, მის იზოლაციას მაინც — ირანში პატიმრობის სახით.

ვახტანგი 1714 წლის 20 თებერვალს საბას წერს: „ევერ ეხედავ და ჩემი ხელით ვერაფერსა გწერ, რადგან მეშინია ჩემის ძმის, არტილერისი ვერერაობის იესესი, რომელიც, რთორც მელამ განდგომილი მტერი და ეშმაკი, თუ დამტრიალეს ვარს, რათა ჩამოქოს" (იხ. ს. ს. ორბელიანის „მოგზაურობა" ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1940 წ. გვ. 162).

რაში ენაღვლებოდა იესეს საბას კათოლიკობა? ან რატომ უნდა დარჩენილიყო ის უკმაყოფილო საბას უმადურო მგზავრობით, როგორც ლეონიძე ფიქრობს? თუ ორბელიანის მგზავრობა შედეგადად იქნებოდა, ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ იესეს ტახტიდან ჩამოაგდებდნენ. საბა მისთვის მხოლოდ პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო, და უამკველია მხოლოდ ამიტომ, როგორც „მოგზაურობის" ავტორი წერს: „ევერ იყო ჩემზე (იესეს) კიან გულითი". მაგრამ როცა სინამდვილემ იესეს შიში არ გააშროლია, ის საბას მიმართ მოზიციას იცვლის.

მუხეხედავდ იმისა, რომ სულხან ორბელიანს მძებე უშლიდნენ ქართლში ჩასვლას, ის მაინც გამოცხადებულა სასახლეში, რადგან „მეტე

ღონე" არ იყო. და აი აქ, რისხვის შავიერ „მეფეშიც კი პატივა მცოა“.

როგორც ჩანს, საბას იესეს წინააღმდეგ არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც. საბას ასეთმა საქციელმა, აღზად დიდი გულსწყრომა გამოიწვია ვახტანგის მომხრეთა დასში. (შეიძლება საბას პოლიტიკური ცხოვრებისაგან ჩამოშორება იმათაც იყო გამოწვეული, რომ სწორედ იმ ხანებში ქიზიანს მყოფმა ვახტანგმა მამაადიანობა მიიღო და ფორმალურად ირანულ ორიენტაციას დაადგა).

საბასა და იესეს შორის ჩამოვარდნილი ეს „ზავი“ არაფრად ესაზივინებოდათ ვახტანგის მომხრეებს. შთ მიიხდომეს საბას დაღუპვა თვით იესეს სამფალებით. ამ საქმეში აქტიურად გამოხედა ქართული სამღვდელთა. „მერმე სამღვდელთ შფოთი აღძრეს ჩემზედ, კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს, მაგრამ მეფე (იგულისხმება იესე — მ. კ.) ვერ აიყოლიეს (მოგზაურობა“, გვ. 152).

მის შემდეგ იესემ „სამი თვე კიდევ იბატონა და მერმე მეფე ბაქარ დასჯდა მეფედ“ (მოგზაურობა“, გვ. 152). ბაქარი ამ დროს 15 წლის იყო. ის, როგორც საბა წერს: „მატყუეს მცხეთას, ჩემი სიყვარული და სამახური სულ დაავიწყეს, კრება მივეს და წმიდის პაპის ვინება მომიდგეს“.

როგორ გამოეხმაურა ვახტანგი ამ ფაქტს?

პირველ ხანებში ის ძლიერ ნაწყენი დაჩრწინდა (ალბათ, ტენდენციური ინფორმაციის შედეგად), მაგრამ მეფეს საბოლოოდ არ ურწმუნებია თავის გამხრადლის განდგომა და მალე ბოდიშიც კი მოუხდია საბას წინაშე.

ცნობილია, რომ ვახტანგი 1719 წლის აგვისტომდე ირანში იმყოფებოდა, ქართლს კი 1716 წლის ოქტომბრიდან ბაქარი განაგებდა. პატიმრობაში მყოფმა მეფე ვახტანგმა „ქილია და დამანა“ სთარგმნა. ეს თარგმანი შესრულებულია ქიზიანს 1714 — 1716 წლებში. (ი. ბარამიძე, „ნარკვევები“, 1-ლი, 1945, გვ. 276). თარგმანი ვასაჩაღხავად „ვახტანგმა საბას გამოუწაგუნა ქართლში და თან“ მოეწერა შიღალხა დაბალი ბოდიშები.

ამ მოვლენ შენ ჩემი პირველი სიყვარულია, ეს საქმე კარგად მისაქმე, თვალთ ნუ მოვიცა რულია“

(„ქილია და დამანა“ 1949 წ. გვ. 4). ამგვარად პირადად ვახტანგსა და საბას შორის გაუგებრობას სულ მცირე ხნით ჰქონია ადგილი. შეფხვა და მის გამხრადელს შორის ურთიერთობა მალე აღდგენილია.

მეორეც: ირანში მყოფ ვახტანგს უსამართლოდ ეცენია მისი ძის ბაქარისა და ქართველ სამღვდელთა და მოკიდებულთა წინააღმდეგობა. თან კრების მიწვევა და სამხრეთ-დასავლეთის ცდაც. ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი მოწვე თვითონ საბაა. სულხან ორბელიანი წერს, რომ ამ ამბების შესახებ „ვახტანგ მეფეს სმენოდა, დიდად სწყყენოდა და ეოველნი დაეტუქსა“ (ჩაბი ჩვენია — მ. კ. მოგზაურობა“ გვ. 153).

სწორედ ამით აიხსნება რომ ვახტანგ მეფესის ქართლში დაბრუნების შემდეგ მისი ურთიერთობა სულხან-საბა ორბელიანთან ისევ მტოცე ხასიათს ღებულობს და გამხრადელი თავისი ვაზრდილის ბედს იზიარებს. (ი. ორბელიანი ვახტანგ მეფესეს გაყვანა რუსეთში და ვაზრდიელია მოსკოვს 1725 წელს).

ამგვარად საბასა და ვახტანგს შორის ჩამოვარდნილი განუთქილება გამოწვეული იყო არა პირველის კათოლიკობით და საქართველოში კაპუცინების ჩამოყვანით, არამედ საბას მეფე იესესთან მოწვევებითი ლოიალური დამოკიდებულებით. იესე, რომელმაც იცოდა საბას ევროპაში მოგზაურობის მიზანი, ცხადია, ვანრისებული იყო, მაგრამ დიპლომატიური მოსაზრებით, რისხვის მივიგრა, საბასთვის „კვი ბარტიველია“. ეს ფაქტი ვახტანგის ქართლში დაბრუნებულმა მომხრეებმა საბას „აღატიად“ მიიხინეს და ისარგებლეს რა ბატონიშვილი ბაქარის არასრულწლოვანებით (ბაქარი 15 წლის იყო, როცა ტახტზე ავიდა). მის წინააღმდეგ ვაჩილეს დევნა, რომელშიც ქართველ სამღვდელთა აქტიური მონაწილეობა მიუღია — საბას კათოლიკობის მომხრეებში. ვახტანგს დაუტუქსანია ბაქარიც და მისი მრჩვეულიცა საბას დევნისათვის, მაგრამ „სობრძენ სიცრუის“ უყვლავ აეტრის გული იმდენად გატეხილი ჰქონია, რომ ის ბაქარის სასახლეს სავსებით ჩამოშორებდა.

სამაგიეროდ, ვახტანგის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1719 წელს საბას ისევ ვხვდებით მის მიერ აღზრდილი მეფის (ვახტანგის) მძალეში და ამით აიხსნება ემიგრაციაში მისი მოხვედრა.

საქმის ასეთი ვითარება უფლებას გვაძლევს ვახტანგს მოეხსნას ის ბრალდება, რომლის მიხედვითაც მას ახასიათებენ „გულფიცს“, „სუსტი ნებისყოფის მქონეს“, „უმადურს“ და სხვა. პირიქით 7 წლის განმავლობაში სამშობლოს მომხრეებულ მეფე დიდ შორსმჭვრეტელობას იჩენს და სწრაფად ერეგვა ინტრიგისა და ვთვებრობის ქაღალში. მისმა გულმა ძლიერ მალე იგრძნო თუ რა შედეგობას ჩადიოდნენ ქართლში — ბაქარის სასახლეში საბას მიმართ.

პირადად მისი ბოდიშიც აღმხრადელის წინაშე ატკიცებს ვახტანგ მეფის უაღრესად დიდებულ

ნოვემბს, თავდაბლობს და ადამიანური გრძნობების სიფაქიწეს.

ასე ვეცხსება ჩვენ ქართული ენობრივი ორი დიდი მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ მეექვსის სიყვარულით აღსავსე დამოცილებულების ერთი სამწუხარო ეპიზოდის ნამდვილი მიზეზი.

პირველ ტომში მოთხვებული გ. ლეონიძის ნარკვევი „მკობანი საიათნაჲ“ დამაჯერებლად ახსენებს პოეტის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს. ეჭვმოდ საიათნოვან ელზობას მკვლევარი არ იზიარებს. ასევე უსაფუძვლოდ მიაჩნია მას ის ლეგენდა, რომლის მიხედვით პოეტი, თითქოს 1795 წელს დაიღუპა თბილისში ალა-შამაღხანის შემოსევის დროს. მკობნის დაღუპვის ასეთი ვერსია პირველად გამოაქვეყნა ეჭ. გ. ახვერდიანცმა (1852 წ.). შემდეგ მას იმეორებდნენ მთელი რიგი მკვლევარები და პოეტები. ამჟამად ჩვენი შეცნობითა იხერ საიათნოვან საყვალის მიზეზიც და თარიღიც სხვანაირადაა გაშუქებული და ახვერდიანცის ცნობები უარყოფილია. მართლდება პლ. ოსტელანის ცნობა, რომ საიათნოვა გარდაიცვალა

ლა 1801 წელს ბენებრივი სიყვარულით და მას არავითარი შეტყუება ირანულ დამპყრობლებთან არ მოხვლია. ამ მოსაზრებას ემხრობა ექვტერს პროფ. ლ. მელიქსედი-ბეგევი (თურქული) თავის წიგნში „საიათნოვა“ (1936 წ. გვ. 133) წერს: „ხოლო თუ ვყვლა ამას მივიღებთ, მაშინ აუცილებლად იხივ უნდა აღვიაროთ, რომ საიათნოვანს საფლავს ამაოდ ეძებდნენ ტფილისის მიედნის წმ. ვიორჯის ეკლესიის შესავალ პატარა კარავში. სადაც უკვდავ მკობანს 1914 წელს ძველი კი აღუშრატეს. უფრო საფიქრებელია, რომ იგი, როგორც ბენებრივი გზით აბჰატის მონასტერში გარდაცვლილი იქვე იყო დასაფლავებული“.

გ. ლეონიძის დამახატრება (პროფ. ლ. მელიქსედ-ბეგთან ერთად) გ. ახვერდიანცის შემგვობნით გაგრცულებული ლეგენდის გაფანტვა საიათნოვან მოწამებრივი სიყვდილის შესახებ.

ვიორჯი ლეონიძის „ძიებანი“ საუერადღებო წიგნია და მნიშვნელოვნად შეეწყო მსგ. ხელს მე-17 — 18 საუერუნეთა ქართული მწერლებს ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას.

მიხეილ კაქელიძე.

## იოსებ გეგლიზვილი — მონადირის დიპდიანა

★

ამხანაგი ბუდიონი ამბობდა: „სპორტის არც ერთი სხვა სახე იდამიანს ისე არ აახლოებს სალაშქრო, საბრძოლო მდგომარეობასთან, როგორც ნადირობა. ნადირობა იმუშავებს მონადირეში დავირებისა და უცნობ ადგილებში ორიენტირებისა და შენიღბვის უნარს, თავშეკავების, გამბედაობას, მოსაზრებულობას, ინიციატივას, სალაშქრო ცხოვრების პირობებისათვის სპორტო ფიზიკური დამაბულობის უნარსა და ატანობას“.

ამხანაგმა ვორთილოვმა ნადირობას სნაიპრის სკოლა უწოდა.

საბჭოთა კავშირის გმირი ამბ. ლინკოვი თავის წერილში — „მონადირის გამოცდილება“. შეთხვევს მოუთხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენა მან ნადირობის დროს მიღებული გამოცდილება ფაშისტებთან ბრძოლაში. ამბ. ლინკოვი მტრის ზურგში იმოყოფებოდა, ცხოვრება და ბრძოლა უხდებოდა მეტად რთულ, სახიფათო პირობებში. აი, რას წერს იგი: „ხოლოდ დიდი მონადირეული გამოცდილების შემწეობით შეეძლო სარღობის და

ვისრებულ ვიოცანათა შესრულება მტრის ზურგში. მონადირეული გამოცდილება ყოველთვის ვეცხსმარებოდა დავერტკია ფაშისტებისათვის იქ, და მაშინ, სადაც და როდესაც იხინი ამას არ მოელოდნენ“.

მოვიგონოთ სახელგანთქმული სნაიპერი როკოტოვი, რომლის გმირული ცხოვრება აღწერა მწერალმა პერმიტინმა. როკოტოვი იყო ზინებული მონადირე ზოლო როცა ფაშისტთა ურღლებით თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს, მან მაშინა მოიმარჯვა და არა ერთ ფაშისტს სამუდამოდ ჩაექრო სიოცხლის შექი.

საბჭოთა კეთხველი კარგად იცნობს რუსი მწერლის პრიშვინის შესანიშნავ თხზულებებს. რომლებშიაც სიყვარულით აღწერლია ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს წარმტაცი ბუნება. არამილევის რომანი — „მათეს სიყრმე“ მთლიანად მიძღენილია ნადირობასადმი. ფედინი, სოკოლოდ-მიკტოვი, სკრებნიკო, ლეერენკო, ტერნიკო, პერმიტინი, ლახარევი და სხვები წერენ ნადირობის შესახებ.

მხედველობაში თუ არ მივიღებთ ჩამდენიმე



მოთხრობასა და ირავი აბაშიძის ლექსების ციკლს — „მონადირის ღმერთი“, ჭართულ ლიტერატურაში თითქმის არაფერი ვეძებ ამ შრიც.

საბლიტერატურის მიერ აღზან გამოცემული მწერალ იოსებ მკვდლიშვილის მოთხრობების წიგნი — „მონადირის ღმერთი“ დაწერილია ნადირობისადმი დიდი სიყვარულით. წიგნი მოთავსებულია თერთმეტი მოთხრობა. ვარდა-ამისა, რომ ეს წიგნი მკითხველს ავფარებს სპორტის ამ მშვენიერ სახეს, ძუნწად, მაგრამ მინც აწეღის ცნობებს ფრინველთა და ნადირობა ზევეებისა და ცხოველების შესახებ. მწერის შესახებ ავტორი წერს: „მწერი აბრალი მოდრინდება ხოლმე ზეწმი, თბათვეში კვერცხსა სდებს და მკათათვეში უჯვე ბარტყები ჰყავს გამოკელი. ავგისტოში უჯვე დაფრინილები არიან და ფერვის შემოსვლის დროს ძალზე სუქდებიან“. „მწერი ბელურაზე მოზრდილი, მტად მშვენიერი, მიწის ფერი ფრინველთა (მე-დარება არ არის ზუსტი, ა. ლ.). არასოდეს ზე-ზე არ აღდება და სწორედ ამისათვის უოქვამთ არა შეჯდამ მწერი ზესა, არა იყო გერი მი-სიო“. იგი დავოჯავს ზალაბზეში, გეჯილებში, ვანებში, განსაკუთრებით უჯვარს ფერტი და ზურჭის მსგავსი ზალაბის, ნუგზარის თესლი“.

მოთხრობა — „კაჯაბზე ნადირობა“, ასე იწევა-ბა: „კაჯაბი ზეწს ფრინველთა შორის ერთ-ერთი უმშვენიერესთაგანია. იგი მტრულზე ოდ-ნე დღია და მტრულდეთი ოჯახობით, ანუ ბუ-ღობით ცხოვრობს: ძალიან უჯვარს ციკაბო-ჯდებებში ბუღობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნაწრთობია“.

ფსიტის შესახებ ავტორი ამბობს: „ფსიტე ვარეული თხა, იგი არაფრით არ განსხვავდება შინაური თხისაგან, მხოლოდ ბუნებამ თედაც-ვის მტეი უნარაინობა მისცა, რადგან ვარეულს ბევრი მტერი ვაეს: მველი, აფთარი, ფოცხე-რო, ვეზხეი“.

ანტეტესო იყობება ზაბობზე, მელაზე, გელზე, ფსიტზე ნადირობისადმი მიძღვნილი მოთხრობება. განსაკუთრებით კარგია ნოველა „ფსიტე“. მონადირემ დასკრა ფსიტე. ფსიტე ვაქცა, მონადირე დაეღენა, მაგრამ ფსიტე ვაქცა: „ფსიტის ვადახტობა ვივარაუდე, — ამ-ბობს ავტორი, — და აბლა გვევიდან მოვფარე რტხილას: რტხილის ანვერტო კენწეროს ქვეშ ერთვან რაღაც სველი ადვილი შეენწეშე“.

დავაკვირო, სისხლი იყო. გამოკვირდა.

სად უნდა გამჭრალიყო იქიდან ფსიტე? ან როგორ მოხდა, რომ იმ ერთ ადგილას დიდიარა სისხლი და იქიდან კვლი აღარსად შეიღდა? ან რანირად ვაინდა იმ ერთ ადგილას

ამდენი სისხლი, ისე რომ შინა ფერს ვალა-ბა ამწევი?

სწორედ ამ ფიქრებში ვეგრძე მტრულად დაშეცა სასხლის წვეთი. ბიბლიოგრაფია

ავიხედე მალა, არაფერი ჩანდა.

უფფერე, უფფერე და ცოტა ხანს შემდეგ ხშირი ფოთლები ჩამოიარა სისხლის წვეთი. და კიდევ დამეცა თავზე.

ფეხი ვადავინაცულე-აქედან შევხედე, იქიდან შევხედე რტხილის ანვერილ ტოტებს და მალა, ჩის ტანს აბლო ტოტზე რქით ვაღმოკადებული ფსიტე დავი-სახტე.

თურმე რქით ვაღმოკადება ფსიტისა თუ ჯიჯისათვის სიკვდილისაგან გაქცევის უჯანს-წნელი ღონისძიება ყოფილა“. ასე თავდება ეს შესანიშნავი ნოველა, რომელც თამაშად შე-ვეიქვია გვერდით ამოუყუენოთ ნადირობის თემაზე დაწერილ სხვა მწერალების ნაწარმოე-ბებს. იგი კომპოზიციურად კარგად არის ავე-ბული და ყოველ სტრიქონში ავრძნობა მონა-დირის მახვილი თვალი და ის უნდაური თრ-თოლვა, რომელსაც „გლახის ნაამბოში“ დი-დი შთავონებით უმღერა ილია ჭავჭავაძემ.

ამ მოთხრობებში გახსნილია მონადირის ბუ-ნებაც. როცა მონადირე, ვოქვათ, შველს შეე-ურება და სროლას ვერ მოასწრებს, ან და-ცოლებს, იგი ბრავით იღრჩობა, დღეხანს წუხს იმის გამო, რომ შველი ვერ მოკლა. მაგრამ საქმარისთა თვალი მოკრას მგლის მიერ და-ღეჯილ შველს, რომ შველისადმი სიბრალე-ლის ვრწმობა აღეძმას. მოთხრობაში „კაჯაბზე ნადირობა“. ი. მკვდლიშვილი ანალოგიურ სტრატოს ვეიხატავს. მონადირემ ბევრი იარა, ვერაფერი მოკლა, ფრიად დაღონებულია ამის გამო. იგი ვაფოციცებით ეტებს კაჯაბს. ამ დროს მონადირე შენიშნავს კაჯაბს, რომელსაც ქორი მოსდევს. კაჯაბი მონადირისკენ მოდრინავს, მან გულში თითქმის მადლობა უნდა უთხრას ქორს, რომ კაჯაბის მოკვლის საშუალება ე-ღეღვა. მაგრამ არა, მონადირეს კაჯაბი შეეცო-დება.

შესაძლოა ზოგჯერ მონადირე სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდეს. საჭიროა მაშინ ფიზიკური და სულიერი ენერჯიის დამაბე, რომ ვაიძარჯეო. ამას ვებმა ი. მკვდლიშვილის მოთხრობა „კაჯაბზე ნადირობა“.

ი. მკვდლიშვილს, როგორც მონადირეს, უჯვარს ძალია „უძალიად მონადირე, — წერს იგი, — მონადირე არ არის. მონადირე-სათვის ძალია მოქმედების დედა-ღერძია, გამ-ყოლი, ზოგჯერ წინამძღოლი, ვზის მაივენ-ბელი, მშველელი — და უერთგულესი თანა-შემწე“. მონადირეს უჯვარს თავისი ძალი, რადგან იგი მისი ერთგული მეგობარი და ხე-



დროს პირველი მოქმედების დასრულების შემდეგ მთვრალი ზოქაული ფილიზონივე სცენაზე ახელა და წარმოდგენის შეწყვეტა მოეთხოვია, განსაკუთრებით — მუსიკის ჩანჩუკება, რადგან იგი რევოლუციურ პანგებს ასრულებს. ვალერიან გენიას უპასუხნია „წაბრძანდი და ხაქმეს მე მოვაგვარებო“, ზოქაულს გინება დაუწვია, რაც გენიას ვერ მოუთმენია, ფიზიკრად შეებნია მის და გარეთ გაუდგია. ეს ამბავი ხალხს გაუგია და წარმოდგენის გაათვეების შემდეგ გენია ზელში აუყვანიათ, ეტლში ჩაუხაზათ და „კეპას“ ძაბილით სასტუმრომდე მიუცალებიათ. საინტერესოა კოტე ყიფიანის ინციდენტიც. ამ ინციდენტშიც ჩარეულია ვალერიან გენია, რომელსაც ზოქაული ფილიზონი თავისი ამალთ დაუტყვევებია თეატრში. საქმე სასამართლომდე მიხელა, სადაც გენია ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გაუმართლებიით.

დიდი ინტერესით იკითხება აგრეთვე ადგილები ანტიკომიტური პიესის „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის დროს მაყურებელთა რევოლუციური გამოსვლების შესახებ, სამ ენაზე „ოტელოს“ წარმოდგენის ამბები, ზოგიერთი როლების თამაშის დროს დაშვებული კუროზები და სხვა. წიგნი შესდგება 9 თავისაგან. ცალკე თავია მიძღენილი ზათუმის საბჭოთა თეატრის დაარსებისადმი, აგრეთვე პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებისადმი. წიგნს ღართული აქვს: ზათუმის თეატრის რუბერტუარი უკანასკნელი 12 წლის მანძილზე, ზათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლმქტივის შემადგენლობა (1949 წლისათვის) და წყაროები, რომლითაც ისარგებლა ავტორმა.

წიგნს აქვს მრავალი ნაკლები კითხვითი ენა ყოველთვის არ არის სწორი და ვამართლი. სათაურებშიც კი დაშვებულნი არიან შეცდომები. „პირველი ნაბიჯები თეატრისკენ“ წიგნს სტეინის მოყვარეთა წრე“. ნაშრომში ასეთი ვალუპართავი წინადადებები ზმირია: „მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი სწყევტდნენ (ალბათ სცენისმოყვარენი) სპექტაკლების მართვას, მაგრამ ხანგრძლივ წლებების მანძილზე მუშაობის შეწყვეტის შემთხვევა არ ყოფილა“. ანდა: „ეტყობა შენიშვნის იმ ადგილს, რომელიც ზოგიერთი არტისტების დაუდევრობას ვებნა, კოლექტივის წევრთა უსიამოვნება გამოუწვევია, უდანაშაულოებს ასეთი ბრალდებისაგან განთავისუფლება ვანტურაზე...“ ან კიდევ „შეორე მოქმედების დაწყების მაუწყებლად დაორეკეს შერეე ზარი“.

ნაშრომი ციტატებით ზომავე მეტად გადატვირთულია. შეიძლებადა წყაროებზე მითითებით ავტორს თვითონ გამოეთქვა თავისი შესაფერისი აზრი. არ იყო საჭირო ძველ რეცენსენტებთან კამათი და ან ძველი წარმოდგენების დავიანებული (ახლებური) შეფასება. არ იყო საჭირო ბევრი ისეთი საანანისო კეშმარტების მტკიცება, რომ სავასტროლო პროფესიული დანის სპექტაკლებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ ადგილობრავ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებთან შედარებით. წიგნში ზმირია ფაქტებს მოკლებული ამბები და წარმოდგენების ზოგადი შეფასება.

მიუხედავად ასეთი ნაკლისა, იგი საჭირო წიგნია და, რავორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრ ძვირფას მახალს შეიცავს.

**ზ. მალალიზილი**

**ქართული ხელოვნების ისტორიის ზოგირათი საკითხის შესახებ.**

(В. БЕРИДЗЕ. АРХИТЕКТУРА ГРУЗИИ. МОСКВА, 1948. ИЗД. АКАДЕМИИ АРХИТЕКТУРЫ СССР.)



ჯერ კიდევ 1938 წელს, ს.ს.რ.კ. უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, აშხანავა ლავრენტი პელეს ძე ბერიამ, ქართველი ხალხის ისტორიის ლავორერი და ამომწერავი დახასიათება მოგვცა, რომლითაც უნდა იტელმძღვანელოს ეველა ქართველმა ისტორიკოსმა, რა დარგის ისტორიასაც არ უნდა ენებოდნენ ისინი. „ქართველი ხალხი მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მამაცურად იცავდა თავის თავსუფლებას. იგი ვპირუთავ ივე-

რიებდა რომის იმპერატორებს, თურქეთის სულთანების, სპარსეთის შაჰების ურდოთა ურაცებ თავდასხმებს“, — ამბობდა ამბ. ლ. ბერია, — „ქართველმა ხალხმა შესწლო საუკუნეების მანძილზე გამოეტარებინა თავისი ენა, თავისი ძველი კულტურა, თავისი ნებისყოფა გამარჯვებისა და თავისუფლებისადმი“ (ლ. ბერია. ქართველი ხალხი ლენინ-სტალინის დროშით ეგვებდა. უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. გვ. 5 — 6. საბეღამი, 1938 წ.).

ქართული ხალხის ძველი კულტურის ერთ-ერთ თვალსაჩინო და ღირსშესანიშნავ შემაღ-გენელ ნაწილს წარმოადგენს ქართული არქიტექტურა (მურობითობდგერება). ხელოვნების ამ შინაშენლოვანი დარგის მეცნიერულად შესწავლას, მისი განვითარებისა და ისტორიის მარკსისტულ-ლენინურად გაშუქებას არა მარტო ისტორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყნის არქიტექტურული მემკვიდრეობის სათანადოდ გამოყენების თვალსაზრისით. დიდი ფრანგი პროგრესული შვედარი ვიქტორ პიეტო თავის რომანში „პარიზის დღისნიშობლის ტაძარი“ აღნიშნავს, რომ „დღის შენობა, როგორც დღის მთა საუკუნეების ქმნილებაა. მხატვარი, პირველად, აღმოაჩინა არ მისხანს ამ ევებერთელა მასში, მისი შემქმნელის სახელი არ გერჩება; აღმოაჩინის გონება არის აქ შეჯამებული. აქ დრო მურობითობდგერა, ხალხი კი — ქვის მთელი“. და მართლაც, არქიტექტურის ბუნება თითქმის უმრავლესობას არ შეჩნა მათი აღმშენებლის გვარი ან სახელი. მრავალი არქიტექტურული ძეგლი, მეტადრე საკულტო, შექმნა ქართული ხალხის გენიამ. ჩვენ შეგვიძლია ოცამდე ქართული არქიტექტურული ძეგლი დავასახელოთ, რომელთაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ. მაგალ. ბილინის, წყაროს-თაი, ურბნისი, ნინოწმინდა, მცხეთის ჯვარი, წირობი, იშხანის, ბანა, ოპხა, ოშკი, ხახული, ქუმურდო, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი, სამთავისი, გელათი, სვეტიცხოველი და სხვ. — ქართული შემოქმედებითი გენიის მხატვრული შედეგები არიან.

სამწუხაროდ, ქართული არქიტექტურის შესწავლა ძლიერ გვიან დაიწყო საქართველოში. პირველად ვახუშტი ბაგრატიონმა თავის ცნობილ „საქართველოს გეოგრაფიაში“ აღნიშნა და აღწერა ქართული რელიგიური (საკულტო) და საერო არქიტექტურის თითქმის ყველა ძეგლი. შემდეგ ქართული არქიტექტურის შესწავლაზე შემაბრუნდა ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეობა, როგორც მ. ბროსე, ბ. ოსტოლიანი, დიმიტრი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, ე. თაყაიშვილი, ა. ცუგარელი, ივანე ჯავახიშვილი, ნ. შარი, თ. კორძინია, მ. ჯანაშვილი და სხვ. გვიან შეიქმნა აგრეთვე ქართული ხელოვნების ისტორია, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა. პირველობა ამ დარგში უთუოდ გ. ჩუბინაშვილის ეკუთვნის, რომლის შესახებ სრულად სამართლიანად აღნიშნავს შ. ამირანაშვილი, რომ „მან პირველად მოგვცა ზუსტი მეცნიერული დაბასათება ქართული არქიტექტურისა, გაარკვია მისი მხატვრული სახე და რაობა, და ყველა ეს ხელოვნებათა განვითარების ზოგად ისტორიას დაუკავშირა“ (შ. ამირანაშვილი — „ქართული

ხელოვნების ისტორია“, გვ. 111. და ეს მისი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც შეიქმნა ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლების დაცვა-შენახვისა და მისი შესწავლად შესწავლის სრული შესაძლებლობა.

ეს გარემოება, რომ ქართული არქიტექტურა ასე გვიან შეიქმნა მეცნიერული შესწავლის ობიექტად, ცხადია, ხელს უწყობდა არასწორი, უცნაური და ახიარებული მოსაზრების და შეხედულების გავრცელებას ზოგ ბურჟუაზიულ ხელოვნებათმცოდნის ნაწარგში ქართული არქიტექტურის შესახებ (მაგ., დიუბუა დე-მონპერე, შუაზი, სტრეიფოგესკი და სხვ.). ხშირად მათ ნაწარგში მეტისმეტად ანეკდოტურ ამბებს წააწყდებოდა ხოლმე მკითხველი. დიუბუა, მაგალითად, ქართულ არქიტექტურას სომხურის განსტობად სთვლიდა. შუაზი, რომლის „არქიტექტურის ისტორიის“ მეორე ტომი 1931 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე, სოციალ-დემოკრატიის იქნის, როდესაც ქუთაისის ბაგრატის ტაძარს, სამთავისს, ბიჭვინთას, მოგვს — სომხური არქიტექტურის ძეგლებად აცხადებს. მაგრამ უფრო ვასაოცარია, როდესაც საბჭოთა მკვლევარი ა. ნეკრასოვი თავის შენიშვნებში არამედ თუ არ ასწორებს შუაზის შეცდომებს, არამედ თავის მხრივ ოპიზის ტაძარსაც ხელ უმატებს (იხ. შუაზის წიგნის გვ. 78, შენიშვნა 21).

ასეთ პირობებში, ცხადია, ყოველი ახალი წიგნის გამოსვლა რუსულ ენაზე, რომელიც სწორად, ფაქტობრივ მასალას უხეი მიუზღვრით, მარქსისტულ მეცნიერებაზე დაყრდნობით შედგება ქართული არქიტექტურის ნამდვილი განვითარების სურათის დახატვას, უფროდ მისასალმებელია. ასეთ წიგნთა რიცხვს გვუფერის ახლგაზრდა ნიჭიერი მეცნიერის ვახტანგ ბერიძის რუსულ ენაზე გამოშვებული „საქართველოს არქიტექტურა“. წიგნი არ არის ფართო მოცულობისა, სულ 95 გვერდი, მაგრამ თითქმის ყოველ გვერდზე ამა თუ იმ არქიტექტურული ძეგლის სურათი ან გეგმა არის მოცემული, რაც უფროდ ურდის წიგნის მეცნიერულ ღირებულებას. ტექსტის მხრივ წიგნი წარმოადგენს პიროგრაფიის სახით მთელი ქართული არქიტექტურის ისტორიის მოცემის პირველ ცდის ძველი დროიდან რუსეთთან შეერთებამდე, რაც აქამდე ჯერ არ ყოფილა გაკეთებული. გ. ჩუბინაშვილის მიერ 1936 წელს ქართულ ენაზე გამოცემული წიგნი, მართალია ქართული არქიტექტურის განვითარების პირველ საისტუმბტორ მამოხილვას წარმოადგენს, მაგრამ იგი ბევრ მოლოდინს უკმაყოფილებს. იფარგლება შ. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორია“ (1944 წ.) მიმოხილავს ძეგლებს ქვის ხანიდან არამთა შემოსევამდე, ნ. სვეტიცხოვის 1947 წელს რუსულ ენაზე გამოშვებული „ქართული

ლი არქიტექტურის ძეგლები" კი მონოგრაფიად არ ჩათვლება, რადგან იქ მოყვებულია ძეგლების შესანიშნავი ფოტოები, რომელთაც ბოლოში თან ერთვის სათანადო ანოტაციები.

ისტორიული ხასიათის შესავალი შემდეგ, რომელიც დახლოებით ხუთ გვერდს იტევს, ვ. ბერიძე პირდაპირ გადადის ძეგლების მიმოხილვაზე. დღეს ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში გამოძვრებულია ქართული არქიტექტურის რამდენიმე პერიოდი და ყოფა. პირველი — მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც შეიცავს ქრისტიანული ელტის ძეგლების მეოთხე საუკუნიდან მეექვსე საუკუნის დამლევამდე; მეორე ე. წ. აყვავების პერიოდი, მეექვსე საუკუნის ბოლოდან მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევრამდე; მესამე — გარდამავალი პერიოდი, ახალი ფორმების ძიების პერიოდი, მათე საუკუნემდე; მეოთხე პერიოდი — ბრწყინვალე აყვავების პერიოდი, 10—12 საუკუნეები და უკანასკნელი მეხუთე პერიოდი — 16—18 საუკუნეები, გვიანა ფეოდალიზმის ხანა, ვ. ბერიძე სწორედ ასეთ პერიოდიზაციას იზიარებს. მეოთხე და მეხუთე პერიოდების შუა გამოტოვებულ საუკუნეებს, ავტორი აგრეთვე მეოთხე პერიოდს მიაყენებს: „период этот охватывает и 13 — 14 века, когда после неосодобратных монгольских нашествий, политическое и экономическое положение страны резко меняется к худшему“ (გვ. 11). მკვამ სიზუსტისათვის სჯობდა, რომ მეოთხე პერიოდში, ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე აყვავების პერიოდში არ შეგვეტანა მონღოლების მიერ 13—14 საუკუნეებში დარბეული საქართველო. „ასეთ სახარულ პირობებში“, — წერს „საქართველოს ისტორია“ (1943 წ.), — „შეუღალა და განათლებისათვის, შეწარმობისა და ხელოვნებისათვის ვის შეეძლო მოეცალა, ანდა ვის ეწეებოდა ამისათვის გული და ხალისი“ (გვ. 247). და მართლაც, როგორც თვითონ ვ. ბერიძე აღნიშნავს (გვ. 81), ამ პერიოდში აშენებულს ვერც ერთ არქიტექტურულ ძეგლს ჩვენ ვერ დავსახებლებთ.

წინაქრისტიანულ ძეგლებიდან ვ. ბერიძე ასახელებს უფლისციხეს და ბავიწყთის აკროპოლს. უფლისციხე, როგორც ცნობილია, გერ კიდევ ურარტუს სახელმწიფოს დროინდელი არქიტექტურული ძეგლია. „რკინის აირადით ხალღები კლდეში შესანიშნავ ციხე-დარბაზებს აკეთებდნენ. ამ რივის ხეობათმცოდნეების ნიმუშია საქართველოში კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე“ („საქ. ისტორია“, გვ. 30). ამბოვად უფლისციხე წარმოადგენს ჩვენი წინაბრების, ხეტურ-სუბარული ტომების, მიერ შექმნილ არქიტექტურულ ძეგლს, ასე რომ იგი აღკლობრივ ტრადიციის განვითარების ბრწყინ-

ვალ ნიმუშია და არა „წინახალის ხალხთა უძველესი აღმშენებლობის ტრადიციებიან“ (სოც. ვალი კავშირის“ (გვ. 12) შეფასებას.

გადადის რა საკულტო არქიტექტურის მიმოხილვაზე, ვ. ბერიძე გუმბათის შექმნის საკითხს სრულიად სამართლიანად აკავშირებს ქართველი გლეხის სახლის ძველისძველ ნაციონალურ ტრადიციასთან, ვერ, წოდ. დარბაზთან, რომლის გადახურვის კონსტრუქციამ („გვირგვინი“) უთვოდ შთააგონა საკულტო არქიტექტურის აღმშენებლები გუმბათიანი გადახურვის შექმნისათვის. „ქართული დარბაზის“ შესახებ შესანიშნავ ცნობებს იძლევა ბერძენი შუგრალი ქსენოფონტე გერ კიდევ 4 საუკუნეში ჩვენ ერამდე. ვ. ბერიძე „ქართული დარბაზის“ საკითხთან დაკავშირებით სწორად აღნიშნავს მის მნიშვნელობას ქართული არქიტექტურის განვითარებისათვის: „В первых же черках 4—5 веков мы имеем несколько случаев крытого куполом квадрата“ (გვ. 14). შემდეგ, მე-3 საუკუნეში ჩვენ გავქვს ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძრის ისეთი ნიმუშები, როგორც ძველი გვირა (ყახეში). ძველი გვირაში შემდგომ განვითარების წარმოადგენს ნინოწმიდის შესანიშნავი კათედრალი (მეექვსე საუკ. ნახევარი). ნინოწმიდა კი გარდამავალი ეტაპია მცხეთის გერისათვის. აქ არ შეიძლება ერთგულ კიდევ არ მოკეყვანოთ ადგილი „საქ. ისტორიიდან“, სადაც აღნიშნულია, რომ „გვირის“ არქიტექტურული ტიპი დაიბადა და განვითარდა საქართველოში და იქვე მაიღწია მან თავის სრულყოფილი. ეს ტიპი ძველი ეროვნული, ხალხური ხელოვნების ტრადიციების ნიდაგზე წარმოიშვა. მისი ხალხური წინამორბედეა ქართული გლეხური სახლი, „დარბაზი“, ანუ „ერთობის სახლი“, რომელიც დღემდე არის შემონახული აღმოსავლეთ საქართველოში“ (გვ. 119) მცხეთის გვირა — გენიალური არქიტექტურის უცვლელი კნისებუაა და ძველი ქართული ევლტურის საამაყო ძეგლი. ვ. ბერიძე თავის წიგნში ფართოდ აშუქებს ამ ბრწყინვალე ძეგლს.

ამრიგად, „ქართული ხელოვნების განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ქართული ხელოვნება არის განსაკუთრებული მხატვრული მოვლენა, ბუნებრივად და შინაგანი ადციონლობით განვითარებული და გაზრდილი ხალხურ ფართო საფუძველზე და არა ხელოვნურად დამკნობილი და გარედან გადმოიწერილი“ (გ. ჩუბინაშვილი, „ქართ. ხელ. ისტ.“, გვ. 6). ქართული არქიტექტურაში კარგად ცნობილია აგრეთვე ბაზილიკური ტიპის საკულტო ძეგლები. საქართველოში იცამდე ბაზილიკა არის შემონახული. ერთერთი ყველაზე უძველესი და მნიშვნელოვანია მთ შორის — ბოდბის სიონი (478 — 493 წლებში აშენებული). ვ. ბერიძე

მართებულად აღნიშნავს, რომ ბოლნისის ბაზილიკა სრულებით არ წაავსებს ელინისტურ ბაზილიკებს. ამავე დროს იგი იხიარებს ამ მოსახრებას, რომ სამწავიანი ბაზილიკა არ არის ქართული წარმოშობისა—„привнесения извне... некупольная, базилициальная форма“ (გვ. 14) და მის წინამორბედად სთვლის პალესტინაში აშენებულ უძველეს ქრისტიანულ ეკლესიებს. ბოლნისის სიონის დეკორი (გეომეტრიული, მცენარეები და ცხოველები) ვ. ბერიძეს სწორად აქვს დაკავშირებული ქართულ ხალხურ ორნამენტთან, კერძოდ ზის ნაკეთობასთან. შეიძლება არ დავუთანებოთ ავტორს იმაში, რომ ბოლნისის სიონში „архитектору не удалось достигнуть гармоничной согласованности между интерьером и внешним обликом“ (გვ. 18). ბოლნისის სიონი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია, იგი ერთი მთლიანი ორგანიზმია, სადაც შინაგანი სივრცე და გარეგნული გაფორმება მოცემულია მხატვრული სრულყოფით. ბოლნისის ბაზილიკასთან ერთად არ არიან ნახსენები აგრეთვე 5—6 საუკუნეების ცნობილი ბაზილიკები ურბნისისა და წყაროსთავის. უკანასკნელი 10—11 საუკუნეებში იტუმბათოვან ნაგებობად იყო გადაკეთებული.

„მცხეთის ჯვარმა“ გველენა მოახდინა მარტვილის, ატენის სიონის, ძველი შუამთის და ნაწილობრივ, დრანდას ტაძრებზე. „მცხეთის ჯვრის“ შემდეგ მეორე თვალსაჩინო ეტაპია ქართულ არქიტექტურაში წრომის ტაძარი (ქართლი, 626—635 წლები). ამ ტაძარში არის გამოყენებული პრინციპულად ახალი კონსტრუქციული ხეხა: „უშუალოდ გარეგნულ კედლებზე კი არ არის დაყრდნობილი, არამედ ტაძრის შიგნით ოთხ თავისუფლად მდგარ სვეტებზე“ (გვ. 30) „Изумительная чистота мощным ядлами, точность профилировки, широким размахом арок, глубоко прочувствованные пропорции“ (გვ. 31)—ველაფერი ეს ამტკიცებს, რომ წრომის არქიტექტორი—დიდი შემოქმედი იყო. წრომის წრის ძეგლებს გეოგონის აგრეთვე სამწევრისის პატარა ეკლესია (7 საუკუნე), რომელიც, როგორც ვ. ბერიძე სამართლიანად აღნიშნავს: „по своему редкому изяществу, по законичности и выразительности, по безорыченному мастерству исполнения... является, несомненно, одним из лучших достижений архитектуры“ (გვ. 33).

ქართული არქიტექტურის მესამე ეტაპია ბანა (7 საუკუნე). ტაო-კლარჯეთში (ახლა თურქეთის მიერ მიტაცებული ძველ ქართულ მიწაზე). ვ. ბერიძეს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ იგი ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვან ძეგლებად აღნიშნავს მხოლოდ ბანას და ოშკის ტაძრებს, მაშინ როდესაც დღევანდელ ვითარებაში, მე-

ტი უკრძალვია უნდა მივუცია ისტორიულ სამხრეთ საქართველოს, თურქეთის, ქუჩა-ქუჩა მცხეთელი მიწების არქიტექტურული მემკვიდრის ხეობის და მტკვრის სათავეების მხარე). მართალია, ნ. ტოკარსკის წიგნს („ძველი სომხეთის არქიტექტურა“, 1946 წ.) აკად. ს. ჯანშიამ განმარტებულად მასვლი გასცა (იხ. მისი „Об одном примере искажения исторической правды“, 1947 წ.), სადაც განსვენებულმა აკადემიკოსმა აღნიშნა ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა, როდესაც ერთი ეროვნების ისტორიულ ძეგლებს მეორე ეროვნების ძეგლებად აცხადებენ. მაგრამ ვინაა ნ. სვეეროვის ახალ წიგნში თითქმის იგვევს არა ვხვდებით? აკად. ს. ჯანშიამ აღნიშნავდა, რომ „Архитектура Тао-Кларджети есть органическая часть грузинской архитектуры“ (გვ. 31) და შემდეგ „Тао-Кларджети 9—10 веков вообще являлась средоточием и главным рассадником грузинского просвещения, литературы и искусства“ (გვ. 38). ვველაფერს ამას გვერდს უხვევს ნ. სვეეროვი და ტოკარსკის ჩმახვას გაუმართლებლად იმეორებს (იხ. მისი წიგნის გვ. 190, 191—192 და სხვ.). ვ. ბერიძეს მტკი იწვიაში უნდა გაეწია ამ გარემოებისათვის, წინ წამოეწია იშხანის, ონიოსისა და ხაზლის ტაძრები და გამოერკვია მათი გენეტიკური დამოკიდებულების საკითხი. ცნობილია, რომ იშხანის ძველი ტაძარი (დაახლოებით 630—641 წლებში აშენებული) მალე დაიხვრა, დაიხვრა აგრეთვე ზეარტნიოსის დიდი ტაძარი (სომხეთში, დაახლოებით 645—660 წლებში აშენებული), რომელიც იშხანის ძველი ტაძრის გამეორება იყო. ბანას არქიტექტორი იშხანის ძველ ტაძარს ბრძალ არ ჰაძახს, მისი გენიალობა სწორედ იმაშია, რომ მან დიდი ნოვტატობა გამოიჩინა ტაძრის გამძლეობის მხრივ. „ბანას კათედრალის უღრვევლობა გამოიწვია იშხანის ტაძრის გვეგამაში შეტანილმა გენიალურმა ცვლილებამ. ცვლილება შემდეგში გამოიხატა: სურთომოდურაში ჩვეულებრივი სვეტების ნაცვლად აღმოსავლეთისა და დასავლეთის აბსიდებით შექმნილ კუთხეებში ამოიყვანა სამ-სამი სართული ოთხკუთხე პატრონიკეთა. ისინი ტაძარს ბურჯობასაც უწყვედენ თავისი სიმტკიცითა და გამძლეობით, და ამშვენებდნენ კიდევ“ (ვ. თვითაწერილი. ვაზ. „კომუნისტ“, 1946 წ., მისი). ვ. ბერიძე, ზეარტნიოსისა და ვაგეის ტაძრების გვერდით, ასახელებს აგრეთვე ბანას, როგორც არაგამძლე შენობის ტიპს, რაც, როგორც ვხედავთ, არ არის სწორი. თუ მივიღებთ მხედველობაში გ. ლებნაშვილის დათარბილებას (7 საუკუნის ნახევარი) ბანას ტაძრისათვის, (ვ. ბერიძეც არ უწინაღმდეგება ამას), მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ აღარნასე მეორის დროს (883—923 წწ.) ჩატარ-

და ბანას რესტავრაცია („მეორედ აშენება“), რასაც არსებითი ცვლილებები არ შეუტანია, როგორც ცნობილია, ბანას ტაძარი ჯერ კიდევ 1843 წელს კარგად შენახული უნახავს ბოტანიკოსს კოხს. „ბანა შრავალი საუკუნე არსებობდა და იარსებებდა კიდევ, რომ თურქთა მფლობელების პარზაროსულ ხელს ციხე-სიმაგრედ არ გადაეცემა რუს-ოსმალოს ომის დროს 19 საუკუნის პირველ ნახევარში“ (ეჭ. თაყაი-შვილი).

იშხანის ძველი ტაძრის ნანგრევებზე ხაბანის მიერ 826 წელს აღდგენილ იქნა ახალი ტაძარი. იშხანი ერთნაირი ბაზილიკისა და ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძრის სინთეზია. ასეთივე ტიპის ტაძარია ოშკი. „პირველხარისხოვანი ძველი ტაძარი, ბანას შემდეგ, თავისი მუმბერაზობით, პარაზონული სტილით და სამკვეთლოებით“. ხახულის შესახებ არაფერი აქვს მოხსენებული ვ. ბერიძეს მაშინ, როდესაც ეჭ. თაყაი-შვილის თქმით „ხახული სინთეზია ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძრისა და სამნავიანი ბაზილიკისა. ამით განირჩევა იშხანისა და ოშკისაგან. ეს წინ წაღებული ნაშრომა ოშკის აშენების შემდეგ 10 საუკუნის დასასრულს, დაეთაურაბაღის დროს“, ვ. ბ. 951—1001 წლებში.

მეთერთმეტე საუკუნის ქართული არქიტექტურის სიამაყეა სამი შედევრი: ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, მცხეთის სვეტიცხოველი და ალავერდის კათედრალი. ვ. ბერიძის სამართლიანი თქმით ესენი არიან „Этапные памятники, утверждающие стилистические особенности эпохи“ (გვ. 58). შესანიშნავი ძველია ვრცელი ბაგრატ მეოთხის დროს ქართლში აშენებული სამთავისის ტაძარი, რომლის შესახებ ვ. ბერიძე აღნიშნავს „По смелости и законченности декоративного замысла, по изумительному совершенству пропорций, по блестящему мастерству выполнения резьбы... несомненно является одним из значительнейших памятников Грузии“ (გვ. 60). მეორამეტე საუკუნის მშენებანს წარმოადგენს ველაო (1106 წ. დაწყებული), დაეთ აღმაშენებლის მიერ აშენებული. ამავე საუკუნის ტაძრებია—საორბისი (1152 წ.) და იკორთა (1172 წ.). ბეთანია და ფიტარეთი „წარმოადგენენ ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშებს 12 და 13 საუკუნეების მოგონებ“ (გვ. 69).

შეტად საინტერესოა ქართული არქიტექტურის ძველების ორნამენტაციის საკითხი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლნისის სიონის დეკორაჟს ვ. ბერიძე სწორად უკავშირებს ხალხურ ქართულ ორნამენტს, და ეს შეეხება არა მარტო ბოლნისის სიონს, არამედ სხვა ძველებსაც. „Народный орнамент по дереву следует считать тем источником, откуда берет свое начало и изумительная ориентация грузинских монументальных зданий“ (გვ.

89) სრულიად მართებულად დისკუსი უნდა იქონიებდეს ამიტომ ზეენ უნდა უკმაყოფილო ყოველგვარი ცდა ქართული ორნამენტის რეკონსტრუქციის სპარსულ-სასანურ ორნამენტულ ელემენტებზე. ამირანაშვილის აზრით „ბოლნისის სიონის ორნამენტალური შემკვლეობა თავისი სტილითა და მოტივებით გარკვეულად მიუთითებს სასანიანთა ხანის სპარსულ ხელოვნებაზე“ (ქართული ხელ. ისტ., გვ. 139). და თურმე ეს იმიტომ, რომ „ლომებისა და ჯიხვის გამოხატულება თავისი ფორმით მოგვეგონებს სასანიანთა ხანის 5—6 საუკუნის ძეგლებს“. რატომ მაინც და მაინც სასანიანთა ხელოვნებისაგან უნდა აეღოთ ძველ ქართულ მხატვრებს ლომების გამოსახულება, როდესაც ქართველების წინაპრების, ხეთურ-სუბარულ, ხელოვნებაში სასანიანებზე უფრო ადრე გავრცელებული იყო ცხოველების, მეტადრე ლომების, გამოსახულება. ბოლნისით არ კმაყოფილდება ვ. ამირანაშვილი და ატენის სიონის შესანიშნავი რელიეფების აღწერისას პირდაპირ აღიარებს რაღაც კონკლომერატულ-კოსმოპოლიტურ „ქართულ-სასანური ხელოვნების“ არსებობას საქართველოში! (იხ. გვ. 178—179). რა არის ეს „ქართულ-სასანური ხელოვნება“? ეს ხომ ისეთივე გამოვლენილი ტერმინია, როგორც ი. ბრაგინსკის მიერ შემოხული „Таджико-персидская литература“, რაც ასე სასტიკად გაყრიტებული იყო „ლიტერატურნაი გაზეტაში“ (1949 წ. № 11). ნ. სვეტიცი ანაურის დიდი ტაძრის ორნამენტაციაში ზედმეტ „თურქული მოტივების გავლენას“ (გვ. 184), ნინოწმიდის სამრევლო მას მოსკავს როგორც იმის მაგონებელი, თუ რამდენად მოქცეა მე-16 საუკუნის ქართული არქიტექტურა ირანული არქიტექტურის გავლენაში. და თურმე ეს იმიტომ, რომ „ირანული გემოვნების მიხედვით სამრევლო აშენებულა აფურისისაგანთ“ (გვ. 104). მაგრამ რატომ ავიწყდება ნ. სვეტიცი, რომ ყინწისის ტაძარი ქართულში—მე-12—13 საუკუნის ძველი, მე-13 საუკუნის ტიპითეს უბანის გუმბათიანი ტაძარი, მე-8—9 საუკუნის გურჯაანის ბაზილიკის კამარა და თაღები აგრეთვე აფურით არიან აშენებული. ნუთუ მაშინაც „ირანული გემოვნება“ მეფობდა? და საერთოდ როგორი მეცნიერული კრიტერიუმია „გემოვნება“?

ამანავი სტალინი გვასწავლის, რომ აყოველ ერს—სულ ერთია დიდი ის თუ პატარა, ვაანინა თავისი თვისობრიობითი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ მას ეყუთენის და რომელიც სხვა ერებს არ ვაანინა, ეს თავისებურებანი წარმოადგენენ იმ წვილის, რომელიც შევსებს თითოეულ ერს მსოფლიო კულტურის საერთო საყანძურში, და რითაც ავსებს და ამდიდრებს მას“ („სპრავდა“ 13/IV—

1748 წკ. ამხანგ სტალინის ეს გენიალური განსახლება ხელოვნების ისტორიკოსებსაც ესება. ჩვენი ხელოვნებაში ცოდნების პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს გამოარკვიონ ქართული ხელოვნების „თავისებრიობითი თავისებურებაანი“, მისი „სპეციფიკა“, გამოარკვიონ თუ რა „წელილი“ შეიტანა ქართველმა ერმა „მსოფლიო კულტურის საერთო სავანებში“ და არა ის, რომ ეძებონ არარსებული გავლენები და მიაბეჭებინ.

სამოქალაქო ძეგლების განხილვისას, ე. ბერიძე იხსენიებს ცნობილ ხილს შდინარე ზრამზე და მოყავს ვიდეო რუსი კაპიტნის 1770 წლის ჩვენება ამ ხიდის შესახებ. ცხადია, ეს არ არის ინტერესს მოცულებული, მაგრამ ვინა უფრო საინტერესო არ იქნებოდა დიდი რუსი შერლის ა. გრიბოედოვის 1819 წლის ჩანაწერიდან მოგვეყვანა აღვლდები. იმ რას სწერდა იგი „Мост великолениый!.. Прекрасное произведение архитектуры“ და შემდეგ „я долго им любовался, обозревал со всех сторон: он из кирпича; как искусно сведен и огромен!.. нельзя, чтобы строитель не знал симметрии“. ასე შესანიშნავად დააფასა ქართული სამოქალაქო არქიტექტურის ეს ბრწყინვალე ძეგლი ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა.

ახლა უნდა შევხედეთ უკანასკნელ საკითხზე, რომელიც აკრთვევ ერთერთ აქტუალურ საკითხად მივაჩნით. ეს არის ქართული კულტურის და კერძოთ ქართული ხელოვნების, განუწყვეტლობის საკითხი. ზოგ მკვლევარს პლენია, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ შესწუდა ქართული ხელოვნების განვითარება და მხოლოდ 19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ხელახლა გაპრთულდა მისი შეწყვეტილი ხაზი. ე. ბერიძე თავის წიგნში საუკუბოთ მართებულად აღნიშნავს „Связь с русской культурой оказалась, несомненно, благотворное влияние на грузинскую культуру, даже в условиях жестокого национального гнета со

стороны царского правительства“ (გვ. 10) და შემდეგ იქვე „С присоединением Грузии к России, в самом начале XIX века в грузинской архитектуре открылись новые пути. Грузия вошла в орбиту русской культуры“ (გვ. 11)

ამ ჩვენს წერილის დასაწყისში მოვიყვანეთ ლ. ბერიძის სიტყვები, საიდანაც ნათლად მტკიცდება ქართული კულტურის განუწყვეტლობის თეზისი („საუკუნეების განძობზე“ გამოატარა ჩვენამდე ქართველმა ხალხმა „თავისი ძეგლი კულტურა“).

როგორც ქართულ ლიტერატურაში აღუქმანდრე კავკავიად ძველ და ახალ ქართულ პოეზიას აკავშირებს ერთმანეთს, ასევე იყო მხატვრობაში, თუმცა არა ისეთი სიმღერით. აღუქმა მესხიშვილი, ნიკოლოზ აფხაზი, ინანურის ტარის მხატვარი, დავით დიასამიძე, რომელიც 1802 წლიდან მუშაობდა ბიჭვინთის ტაძარში და მეტადრე შესანიშნავი პორტრეტისტი გრიგოლ მისტრამე — ყველა ესენი მე-18 საუკუნის დასასრულის და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მხატვრები იყენენ. გრიგოლ მისტრამე აღუქმანდრე კავკავიძის მეგობარი იყო. სწავლობდა მეტერბურგის სახატვრო აკადემიაში. „მეტრებში“ დაცულია მის მიერ 1839 წ. შესრულებული ერთი შესანიშნავი პორტრეტი. რომელიც არაფრით არ ჩამოეყარდება ცნობილი რუსი პორტრეტისტების როკოტოვის, პოროგიოცესკისა და ლევიცის პორტრეტებს.

ქართული ხელოვნების ისტორიის მხოლოდ ზოგიერთ საკითხს შეეხებთ ე. ბერიძის წიგნთან დაკავშირებით. მიუხედავად ზოგიერთი შენიშვნისა რომელიც უკუბოთ აღნიშნეთ, მთლიანად ე. ბერიძის წიგნი „საქართველოს არქიტექტურა“ თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართულ ხელოვნებაშიცოდნეობაში.

შალვა ალხაჯიშვილი



ქუჩნალ „მნათობის“ 1949 წლის ნომრების შინაარსი

დოკუმენტები

ვ. ა. ლენინი, მოწინავე წერილი, № 1.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, — ამხანაგ კ. ს. ჩაქვიანი ს მოხსენება 1949 წლის 25 იანვარს, № 1.

ბრძანებულება ს. ს. რ. კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ ლ. პ. ბერიას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ, № 3.

ამხანაგ ლავრენტი პავლესძე ბერიას — საქავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ს. ს. რ. კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება, № 3.

მოსკოვი, ს. ს. რ. კავშირის მინისტრთა საბჭოს ამხანაგ ბერიას — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. მინისტრთა საბჭოს მისალმება, № 3.

ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ. „კომუნისტი“-ს 11:5 სარედაქციო წერილი, № 5.

ვიოტრი მიხეილისძე დემიტროვი, № 7.

ქართული საბჭოთა მწერლობის შემდგომი აღმავლობისათვის. — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის აბ. რ. ს. შადურის მოხსენება მწერალთა საერთო კრებაზე 1949 წლის 17 ივნისს, № 7.

ამხანაგ სტალინს — დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ლენინის უცვლელი საქმის განმგრძობს, — საქავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და ს. ს. რ. კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება, № 12.

მოსკოვი, კრემლი, ამხანაგ სტალინს, — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება, № 12.

ხალხთა დიდ ბელადს მშობლიურ სტალინსა — მიმართვა მიღებულია საქ. საბჭოთა მწერლებს კავშირის გამგეობის პლენუმზე, კ. გორში, 1949 წლის 22 დეკემბერს, № 12.

რომანები, მოთხრობები, პიესები, ნარკვევები, მოგონებები

ამაშიძე ნინო — ქრელი ბაღდადი, მოთხრობა, № 6.

ატრიაი ვ. — მწვემის თედორე, მოთხრობა, თარგმ. სომხურიდან ატრ. დავითიანი, № 11.

ბაქრაძე დავითი — გმირთა სისხლით, ნარკვევი, პირველი ნაწილი, № 1, 3, 6, 7, 8.

ბუაჩიძე ვერა — ახალი სახლი, მოთხრობა, № 11.

გამსახურდია კონსტანტინე — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი მესამე, № 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 10.

გაბიძული შარაში — ტყავული, ნარკვევი, № 1.

გოგიავა კლიმენტი — მერბეულის განთიადი, ნარკვევი, № 3. ფერმა ივრის პირას, მოთხრობა, № 10, 11.

დგუბაძე ფოცო — ნათელი დღეები, მოთხრობა, № 3.

დოლიძე ნინო — ერთ ახალშენზე, მოთხრობა, № 7, 8, 9.

თავაძე სოლომონი — მაიხის განთიადი, რომანი, დასასრული, № 2.

კლდიაშვილი სერგო — მოხუცა შეფუტკრე, მოთხრობა, № 4.

ლისაშვილი იაკინთე — ახალი მესხები, ნარკვევი, № 1.

ლორთქიფანიძე კონსტანტინე — იმერეთის ცისკარი, ერთი თავი რომანის მეორე წიგნიდან, № 7; მწეანე ლილი, მოთხრობა, № 10.

13. „მნათობი“, № 1.



- მოსაშვდი ილი — ჩაბარული ქვები, პეესა, № 1.  
 აუშკინი ა. ს. — დუბროვსკი, თარგმ. ირ. ქავეკარაძისა, № 5, 6.  
 ხელაშვილი დავითი — შობლიური მიწი, მოთბობა, № 5.  
 ტალახაძე ვაბრიელი — შარდაშვარ, მოთბობა, № 3, 4, 5.  
 ფახტი შოჟარდი — თავისუფლებს გზა, რომანი, თარგმ. ინგლისურიდან გივი ქვაჩიასა, № 10, 11.  
 ქუთათელი ალექსანდრე — მაჟმინდაზე, ერთი თავი რომანიდან, № 4.  
 კურაშვილი ვიორჯი — თერგიდან სევესტოპოლამდე, ნაწევებები წიგნიდან, № 9.  
 ზენკელაია დემნა — წითელი ყაყაი, რომანი, ნაწილი მეორე, № 9.  
 ჩიქოვანი გრიგოლი — გვირის გზა, ნარკვევი, № 11.  
 ჩხეიძე ბორისი — ნამოსახლარზე, მოთბობა, № 2.  
 ჩხეიძე უშაგო — კოტე შარჯანიშვილი, რეჟისორი და ზეღმძღვანელი, მოგონება, № 5.  
 ვაფარაძე რევაზი — ძვირფასი ნივთი, მოთბობა, № 11.

### პონეშიბი და ლეპსაბი

- ახაშვილი ალექსანდრე — ლენინის დროშით, № 1.  
 ადამია ალიო — მესხეთის ვახაფხული, № 7.  
 აკობია შოთა — თბიბი ლექსი, № 10.  
 აღიშვან ჰამიდი — ბელადის დედას, თარგმ. ს. შანშიაშვილისა, № 12.  
 აშადუ ყორჯი — სიმღერა საქოეთზე, თარგმ. ხ. ვარდოშვილისა, № 12.  
 ამისულაშვილი შალვა — ლექსები, № 4, ღრუბელი, შავლევა ღრუბელი, № 9.  
 არღუნელი სტეფანე — სიმღერა, № 10.  
 ბერძენი რუთა — ლატვიში, № 9.  
 ბეხერი იოჰანესი — სტალინის სიტყვა, თარგმ. ს. ვუღლიქურაძისა, № 12.  
 გარფიასი პედრო — სტალინი, თარგმ. კ. ლორთქიფანიძისა, № 12.  
 გვეტაძე რადენი — ახალი ჭარბი, № 3.  
 გილაში ანატოლი — ჩემი უნგრეთი, თარგმ. კ. ლორთქიფანიძისა, № 12.  
 გაყთე ა. ვ. — ლექსები, თარგმ. გ. ბეწუძეებისა, № 8.  
 გორგანელი ვახტანგი — ახალწლის ღამე, № 1.  
 გრუზინი ფრანტიშკეი — პრალის მთის, თარგმ. კ. ლორთქიფანიძისა, № 12.  
 ვში ხაი — სიმღერა სტალინზე, თარგმ. გ. იმედაძისა, № 12.  
 ვურგუნი ხამედი — სალაში ბელადს, თარგმ. გ. აბაშიძისა, № 12.  
 ზანგურაშვილი მიხეილი — რუსთავი, № 3, იორი, № 9.  
 თალაკვაძე ნიკოლოზი — ეგნატე ნინოშვილს, № 10.  
 თოფურია აკაკი — ლენინი ქობში, № 1.  
 იხაკიანი ავტოკი — დიდ სტალინს, თარგმ. ირ. აბაშიძისა, № 12.  
 კაჭახაძე ვიორჯი — აგრთონში ქალი, № 7; ირი ლექსი, № 11.  
 კუშელაია ზინდო — მეაბრეშუმე ედრა, № 1.  
 კოლახი აკობი — სტალინი, თარგმ. ა. შირცხულავასი, № 12.  
 კორნიანუ ლეონიდი — ხალიჩა, თარგმ. ა. აბაშვილისა, № 12.  
 ღვონი კარლოს აუგუსტო — ლენინი და სტალინი, თარგმანი ა. შირცხულავასი, № 12.  
 ლუდუვა ვიორჯი — დილა სამგორში, № 9.  
 ლომსაძე შოთა — მესხეთს ვაშენებ, № 10.  
 მაშფორია ითარი — მოხუცი მებადე, № 1; ბუშტინისადმი, № 6; ავტოგვიანტის კედლებთან, № 7.  
 შარგანი რევაზი — სიმღერა კომუნისმისა, № 2.  
 მიცკევიჩი ადამი — კონრად ვალენროდი, ისტორიული მოთბობა, თარგმ. ირ. აბაშიძისა, № 9, 10, 11.  
 კ. ქალაძისა და კ. ლორთქიფანიძისა, № 9, 10, 11.  
 მონტონი ჯანშვარდი — სტალინი, თარგმ. ვ. გორგაძისა, № 12.  
 შრეველიშვილი ლადო — რთველი კახეთში, № 8.  
 ნადირაძე ნიკოლოზი — ლენინი ოქტობრში, № 1.  
 წერისი ხალოშვა — სტალინისადმი, თარგმ. ხ. ვარდოშვილისა, № 12.  
 წერუდა პახლო — იოსებ სტალინი, თარგმ. ილ. შოსაშვილისა, № 12.



- პეტრე შანდორი — ლექსები, თარგმ. გრ. აბაშიძისა, № 6.
- პუშკინი ა. ს. — კაცასიის ტყე, პოემა, თარგმ. კ. კვიციანიძისა, № 1; ლექსები, თარგმანი, ე. გაბეცაძისა, № 6; ნადირაძისა, № 6; ლექსები, თარგმანი, ე. გაბეცაძისა, № 6; ვარდოშვილისა, ს. აბულაძისა და ნ. ნადირაძისა, № 6.
- ურული ვარლამი — სიმღერა დიდ ლენინზე, № 1; ჩემო ქვეყანო, № 4; პუშკინის ბაღში, № 6; მიწის სუნთქვა, № 10.
- რაული შარტ — დიდება სტალინს, თარგმ. ვ. გორგაძისა, № 12.
- რილსკი მაქსიმ — სიმღერა სტალინზე, თარგმ. კ. ლორთქიფანიძისა, № 12.
- სამადაშვილი შაქრო — შემოქმედო, № 3.
- საღლიანი ვაღერანი — აედრის შემდეგ, № 10.
- სუდრაბკალი იანი — ბელადს, თარგმ. ვ. გორგაძისა, № 12.
- სულაკური არჩილი — დედა, ჩემი ქუჩა, № 10.
- სურკოვი ალექსი — ხალხთა ბელადს, თარგმ. ე. კალაძისა, № 12.
- ტაბიძე ვალაკიონი — სტალინს, № 12.
- ტოგონაძე შალვა — დაბრუნება, № 4.
- ტუფაიანი რაულ გონსაღეს — სტალინი, თარგმ. ირ. აბაშიძისა, № 12.
- ტურუნ-ზადე შირზო — ინდიური ლექსები, თარგმ. ს. ბერულავასი, № 9; წერილი აშხანე სტალინს, თარგმ. შ. ფორჩხიძისა და ვ. ბეწუშვილისა, № 12.
- უკრაინა დესია — ტყის სიმღერა, დრამატული პოემა, თარგმ. რ. გვეტაძისა, № 7, 8.
- უშტაღიფი თემირუზი — დიდი წიგნი, თარგმ. ნ. ნადირაძისა, № 12.
- ფორჩხიძე შალვა — წვიმაში სამგორის ველზე, № 2; ლექსები, № 10.
- ქუნიშვილი გიორგი — გამოქვეყნებული ლექსები, № 2.
- ყიფიანი ედიშერი — ხვალისდელი სამგორის სურათები, № 9.
- შენგელია ალექო — ფოლადის ქალაქის ქრონიკები, № 8.
- შერაზადაშვილი ზაქარია — შეგირდები, № 2.
- შექსიანი უილიამი — სინეტები, თარგმ. ინგლისურიდან რ. თაბუკაშვილისა, № 10.
- ჩაჩავა ნიკოლოზი — ქალბატონი, № 9.
- ქელიძე ითარი — რუსთავის ვარიეტები, პოემა, № 5, სამი ლექსი, № 11.
- ჯაბუშაშვილი გაბრიელი — ზემო იმერეთში, № 8.
- ჯაბუშვილი — სიმღერა სტალინზე, თარგმ. კ. კვიციანიძისა, № 12.

ქართველი და ლიტერატურის ისტორია.

- აბაშიძე ირაკლი — სტალინს უმღერის, № 12.
- აბშილაძე სერგო — აკად. ივ. პავლოვის მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ, № 8.
- ბახტურიძე პეტრე — ლიტერატურის პარტიკულობისათვის, მაღალი მხატვრული ხარისხისათვის, № 10; ბელადის სახე ქართულ საბჭოთა პოეზიაში, № 12.
- ბრეგვაძე გრიგოლი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობები, № 11.
- ბუხნიკაშვილი ვ. — მოსკოვის მცირე თეატრი, № 11.
- ბღაბა ხ. — დიმიტრი გულია, № 4.
- გამსახურდია კონსტანტინე — სულხან-საბა ორბელიანი, № 1.
- გოგივა კლიმენტ — მაქსიმ გორკი იმერეთის შესახებ, № 4.
- გოციანი დედანი — მათემატიკის დაფუძნების თანამედროვე დასავლური რეაქციული თეორიები, № 2.
- გომედაური ნ. — საქართველოს შავი მეტალურგია, № 4.
- გორგილაძე დ. — მარქსიზმის თეორიის რევიზიის ედების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, № 5; ი. ბ. სტალინი განმანათლებლებელი მოძრაობის შესახებ საქართველოში, № 12.
- ენიკოლოფაშვილი ი. — ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ომი საქართველოს თავადაზნაურ-გლებთან“ — დიფერის ისტორია, № 1.
- ინგოროვა პავლე — გიორგი შერჩული, ქართველი შვერალი შეათე სულენისა, № 10, 11.



- კლანდაძე ლავროსი — ხელოვნების ზოგიერთი საკითხის შესახებ, № 1; რომანი „გამარჯებულ დამიანზე“, № 10.
- კვახავაძე შალვა — ი. ბ. სტალინი ქართულ საზღვით ხელოვნებაში, № 12.
- კობიძე დავითი — ფილოლოგიური შენიშვნები, № 3.
- მაისურაძე დავითი — საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა, № 2; ლენინი და სტალინი კამბალისტური გარემოცვის პირობებში საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, № 4.
- პირცხულავა ა. — ი. ბ. სტალინის კლასიკური ნაშრომი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, № 5.
- ნაზარეკო გ. — ივანე კოტლიარეცკის „ენეიდა“, № 3.
- ნიკოლაძე ანა — ა. ნ. რადიშჩევი, № 8.
- ევანია გრიგოლი — ანბ. ლ. პ. ბერიას წიგნი „ამიერკავკასიის ბალშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, № 3.
- ფანშულიძე დავითი — ი. ბ. სტალინი ლიტერატურის შესახებ, № 12.
- ჭავჭავაძე მათა — პოეტად ფასტი, № 3.
- შადური ვანო — რუსული პოეზიის მზე, № 6; საქართველო რუსულ ლიტერატურაში, № 8.
- შამუგია ივანე — სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, № 7.
- შარია პეტრე — ლენინის „პეტროპოლისში და ეპმირიოკრიტიკებში“ როგორც მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ახალი ეტაპი, № 9; ზოგიერთი საკითხი სტალინის მოძღვრებისა ერის შესახებ, № 12.
- ცაიშვილი ხილმონი — მასალები გრიგოლ ორბელიანის ზოგრაფიისათვის, № 8.
- ციცყაძე იასე — ერთი უსაფუძვლო პასუხის გამო, № 5.
- ქელოძე ვახტანგი — ივანე მაჩაბლის თარგმანები, № 2; შექსპირის „ქარიშხლის“ ქართული თარგმანის გამო, № 6.
- ჭიაურელი ვლადიმერი — გამარჯვებულთა ყრილობა, № 1.
- ქილაია სერგი — ი. ბ. სტალინი ქართულ საბჭოთა პროზაში, № 12.
- ქიქინაძე კონსტანტინე — ჩემი პასუხი, № 3.

ბიბლიოგრაფიები

- ამაშიძე გრიგოლი — აპოლონიუს როდოსელი „არქონავტიკა“, № 3.
- ა. ლ. — სიმონ ზუნდაძე „მასალები ქართული ლიტერატურის და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“, № 10.
- ალბაწიშვილი შალვა — ს. კლდიაშვილი „დაბრუნება“, № 7; ნინო ამაშიძის მოთხრობები, № 9; უნგრეთის დიდი პოეტი შანდორ პეტეფი ქართულ ენაზე, № 10.
- ანდროიძე ხ. — ნიკო გვარაძე „თეატრალური მემუარები“, № 8.
- არაბული ირაკლი — ლ. მეგრელიძე „ბუნბა და ლელა“, № 9.
- არტემიძე ვლ. — ი. გრიშაშვილი „საბავშვო ლექსები“, № 9.
- ასათიანი ლევანი — შალვა აფხაიძე „ლექსები“, № 10; ნიკოლოზ ჩაჩავა — „გოგოიას წიგნი“, № 11.
- ასათიანი მიხეილ — გ. გამყრელიძე — „თბილისის უნივერსიტეტი“, № 10.
- გოგიავა კლიმენტო — „ქალაქი-ბალი“ — ლექსები და სიმღერები სოხუმზე, № 7.
- გორდაძე დ. — ნ. ჩაბუავილი „ქართველი კომკავშირელები სამშულო ომის ფრონტზე“, № 5; ა. რუსიძე „ნოველები“, № 6.
- გურუღი ვ. — ე. ქარელიშვილი „ნიკო ლომოური“, № 7.
- ფლორეძე ბ. — ნიკო გოცირაძე „მოგონებები“, № 8.
- ვაშლიშვილი ა. — „ძია მიხო“ — რუსი პოეტების ლექსები, № 6.
- ვახაშვილი ვლადიმერი — გ. თავაშვილი „იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება“, № 8.
- ვოსტოკა მ. — საადი — „გოლესთან“, № 8.
- თოფურია აკ. — „ა. დ. უშინსკი ქართულ ენაზე“, № 8.
- იანქოშვილი მერი — „შექსპირის პიესების ქართული კრებელი“, № 5; ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ ენაზე, № 9.
- კაკაბაძე მიხეილი — ნ. ისტროვსკი „როგორ იწითაობდა ფოლადი“, № 1.
- კლანდაძე ლავროსი — რაუდენ გვეტაძე „ცხოვრება იწყება თეიდან“, № 7.

- მაღალაშვილი გ. — აღ. ბურთიაშვილი „ნატო გაბუნია“, № 8. გ. გოგსაძე „ნარკვევები/პოეტის ძველი ისტორიები“, № 10.
- მებუჯე გ. — ბიბლიოგრაფიის შოამზე № 4-5, № 4; ახალი ნარკვევები „ეროვნული გმირის“ ქორელი „ფილიპონ ტორიძე“, № 11.
- მკითხველი — „პაგანინის ვანკიტვა“, № 3; გ. შატბერაშვილი — „კარგი ბიჭი“, № 6.
- მუშკუდია ნ. ვლ. — გ. ერემოვი „საბჭოთა კონსტიტუციის განვითარების ეტაპები“, № 3.
- ნასაძე ი. — ვიორგი შატბერაშვილი „უკვდავი ფესვები“, № 10.
- ნ—ლი მ. — ი. ნონეშვილის „ქარიშხლის შემდეგ“, № 3.
- სიხარულიძე ე. — მარიამ გარბუელი „განვლილი გზა“, № 10.
- ფიცხაძე ვ. — „ნარკვევი გმირ ქალიშვილზე“, № 11.
- ურუშაძე ა. — სიმონ უაუზიშვილი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ ტომი 1 — 2, № 11.
- შენგელაია დემნა — დ. ჯანელიძე „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“, № 2; კალდე-რონი „თავისთავის დარაჯი“, № 6.
- ცაიშვილი ხოლომონი — როდონ ქორქია „გოლზიდის ვარსკვლავები“, № 4.
- ცინცაძე იასე — ვლ. ტატიშვილი „ქართელები მოსკოვში“, № 1.
- წერავა ხიმონი — ა. ჩხერელი „რომიკო“, № 6.
- ხუციშვილი სოლომონი — „ქვირფისი გზამკვლევი“, № 8.
- ჯიბუტი ვლადიმერი — ილვა შენგელი „ანანო სიმღერა“, № 5; ს. კილია „ლიტერატურული წერილები“ ნაწ. მე-2, № 6; კ. კალაძე „ახლანდელი მშობლიურ სოფელში“, № 7.



შინაარსი

ალექსანდრე პიუშკინი — ლელო, რომანი, ადგილები მეორე წიგნიდან . . . . .	83
რამაზ მარბანი — ერთობიდან მივეყარს, ლექსი . . . . .	29
ვახტანგ ბორბანიანი — ლენინი, ლექსი . . . . .	31
ვირა შუბლაძე — ლენინს, ლექსი . . . . .	32
ნიკოლოზ ჩახაბა — ბელადის წიგნი, ლექსი . . . . .	33
ეფ. ქაჯაპივიჩი — ვარკველი, მოთხრობა, თარგმანი ქეთო ადამიანი . . . . .	34
ხარიტონ ვარდოშვილი — ეგნატე ნინოშვილს, ლექსი . . . . .	55
ბონდო ქუშელაშვილი — მოგონება, ლექსი . . . . .	56
ოტარ შილიძე — მარშალის ჯარისკაცი, პოემა . . . . .	57
პოსტარდ ფასტი — თავისუფლების გზა, რომანი, გაგრძელება, თარგმანი ინგლისურიდან გივი ქვიციანი . . . . .	65
შალვა შორაჩხიძე — სამი ლექსი . . . . .	84
ადამ მიცკივიჩი — კონრად ვალენროდი, ისტორიული მოთხრობა, დასასრული, თარგმანი ქართულ კალაძისა . . . . .	86
—	
სერგი შილაია — ეგნატე ნინოშვილი, წერილი . . . . .	91
ბავლე ინგოროშვილი — გიორგი მერჩულე, წერილი, გაგრძელება . . . . .	106
რ. ბალიძე — ამერიკის იმპერიალისტები და „მარშალიზებული“ თურქეთი, წერილი . . . . .	149
ბ. გორდუნიანი — პირველი ქართული სტამბა და მისი შექმნელობა, წერილი . . . . .	159
—	
ლევან ასათიანი — „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“, ტ. I, ბიბლიოგრაფია . . . . .	173
ზურაბ კუშხუნიანი — „ალექსანდრე ქუთათელი, „პირისპირ“, ბიბლიოგრაფია . . . . .	176
მინდილ კიკელიძე — „გიორგი ლეონიძე, „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, მე-17-მე-18 სს. ტ. 1“, ბიბლიოგრაფია . . . . .	180
ანდრო ლომიძე — „იოსებ შვედლიშვილი, „მონადირის დღიურიდან“, ბიბლიოგრაფია . . . . .	84
ბ. მალაღვიანი — „სერგო გერსამია, „ბათუმის თეატრი 70 წლის მანძილზე“, ბიბლიოგრაფია . . . . .	186
შალვა ალბაჩიშვილი — ქართული ხელოვნების ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ (В. Беридзе, „Архитектура Грузии“), ბიბლიოგრაფია . . . . .	187
—	
ეფრენა „მნათობის“ 1949 წლის ნომრების შინაარსი . . . . .	193



პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი,  
შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო გოსაშვი-  
ლი, შალვა რადიანი, ლეო კიკნაძე, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ  
ჩხეიძე, სერგი შილაია.

---

ბელმოწერილია დასაბეჭდად 13/11-50 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12½ ფ-  
ში 00022. შეფ. № 76. ტირაჟი 5.500.

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის,  
ვაშლიყვანილობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი  
სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Управления по делам полиграфической промышленности,  
издательств и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.